


ՈՒՅՆԵ  
ՈՒՅՆԵ



ՄԱՏԻՆԱԼ ԳԱՅԳԱ

յԵՅՅԶԳՅՆՅՄԸՆ  
ԸՄՆՆԶՆ


თარგმნა ჯ ე ნ ე ტ ი ზ ა ნ ე ტ უ რ ა ი ა მ



იუპან სმუულს ამ წიგნისათვის 1961 წელს ლენინური პრემია მიენიჭა. ეს არის ღრმად იდეური და მაღალშხატვრული ნაწარმოები, ფიქრისა და განცდის წიგნი, თავისებური ნარკვევი-რომანი.

„ყინულის წიგნი“ ბევრი გმირია. ესენი არიან სინამდვილეში არსებული, ცოცხალი ადამიანები, რომელთაც საკუთარი სახელები და საკუთარი ბიოგრაფიები აქვთ. მწერალი გულისყურით აკვირდება თავის გმირებს, ცდილობს ჩაწვდეს თვითმულის სულს, გაიგოს როგორია დღეს იგი — ნამდვილი საბჭოთა ადამიანი. სმუულს მიერ დახატული პორტრეტები საოცრად ხელშესახები და რეალურია.

წიგნში გამოყვანილია კიდევ ერთი გმირი, რომელსაც უყვარს ჩვენი საბჭოთა სინამდვილე. იგი უაღრესად თანამედროვე, დაკვირვებულ, კეთილგონიერი და პირდაპირი კაცია. ეს გმირი თვით ავტორი გახლავთ. მისი პოეტური, მგზნებარე, პარტიული ბუნება მქლავნდება წიგნის ინტონაციაშიც, თხრობის მანერაშიც, იმ მსუბუქ, ამასთანავე ვაქცატურ იუმორშიც. რომლითაც ზოგჯერ ავტორი ჩქმალავს თავის ლირიკულ მღელვარებას. ამ გმირის ბუნება, მისი ხასიათი აშკარას ხდის, თუ რა აწუხებს, რა ახარებს, რა აღუღვებს თანამედროვე საბჭოთა ინტელიგენტს, როგორ ესმის მას ცხოვრების არსი, ქვეყნის, ხალხის წინაშე მოვალეობის გრძნობა. ჩვენი სინამდვილე აყენებს მთელ რიგ პრობლემებს და ავტორი ცდილობს პასუსი გასცეს მათ. ნაწარმოების ყველა სტრიქონში ჩქმუს ცოცხალი, მახვილი აზრი.



1957 წლის 80 ოქტომბერი

კალინინბრადი, დიჰალელექტროგავალი  
„კოოპერაცია“

დღეს „კოოპერაციაზე“ გადავბარგდი.

ერთი საათია, რაც ჩემი ცოლი წავიდა.

გამოთხოვებამდე ერთად ვისხედით კაიუტაში, რომელიც ჩემი და ჩემი თანამგზავრის, სინოპტიკოს ვასიუკოვის, ბარგით იყო გამოკედლილი; აქ მოძრაობა კი არადა. ჯდომაც კი ჭირდა. ჩემი ცოლი თვენახევარი იყო, რაც მაცილებდა (თავდაპირველი ცნობით, „კოოპერაცია“ ზღვაში 17 სექტემბერს უნდა გასულიყო). ამიტომ უთქმელი არაფერი დაგვრჩენია. მე მას გადავეცი მთელი ფული, რომლის დახარჯვა ვერ მოვასწარი, მან კი დამიბრუნა ხუთი მანეთი, რომ უკანასკნელად ერთი კათხა ლუდი დამეღია.

რას ამბობენ ხოლმე გამოთხოვების ეამს? უმეტესობა ამ სიტყვებისა გაცვდა, როგორც დიდი ხნით ხელიდან ხელში მოაარული ხურდა ფული. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ ემსახურებიან თავიანთ საქმეს და ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას ეგრეთ წოდებული კარგი აღზრდის ფარგლებში.

მაგრამ ზოგჯერ ამბობენ რალაც ახალსაც. მაგალითად. ლემბიტ

რემელგასმა გზა დამილოცა დაახლოებით ასეთი, წმინდა რემელგასული სიტყვებით:

— ვის გაუგია მეგობარი კაცის ქვეყნის დასალიერში გაგზავნა? სად არ გამისტუმრებიხარ — ეშმაკთან, სათაელთან (მან დაასახელა კიდეც რამდენიმე მისამართი, რომლებსაც აღარ გავიგეო-რებ), მაგრამ ქვეყნის დასალიერში? — არა, ჯერ აქამდე არ მივსულ-ვარ.

დებორამ კი თქვა:

— საწყენია, ღმერთი რომ არ მწამს, არ ვიცი ვის შევავედრო შენი თავი.

მე მისთვის არ შემიხსენებია, რომ ორივენი კომუნისტები და ათეისტები ვართ; რომ აქვე, კაიუტაში, მაგიდაზე დევს ჩემი ახალი ანტირელიგიური პიესის „ლუას“ პირველი მოქმედების ნახევარი და ნაოსნობის დროს ღვთის შეწევნით მისი წერა სამძიმო და უზრდელობა იქნებოდა. უნდა გამოვტყდე, გულში ჩამწვდა დე-ბორას სიტყვები, შესანიშნავად გავიგე მათი იდუმალი აზრი, მაგრამ მხოლოდ ესღა ვთქვი:

— კარგია, კარგი!..

ახლა დებორა რიგის შატარებლით უკან ბრუნდება.

მაგონდება ბოლო კვირები. სექტემბრის დადგომისთანავე შევეუ-დექი მზადებას ანტარქტიკაში წასასვლელად. თუ მკითხავთ, როგორ ემზადებოდიო, გამოგიტყდებით, მოსამზადებელი არაფერი მქონ-და. ზიხარ და ელოდები: ერთ, თითქოსდა საბოლოო ვადას ცვლის მეორე; კვლავ ელოდები, კვლავ გადის ეს ვადა, — ასეთ დროს ჩემს ცხოვრებაში ყოველთვის რაღაც უაზრო სიცარიელე ისადგურებს ხოლმე. ყურადღება ვერაფერზე შემჩერებია, ხალხი, ამბები, საქ-მეები — ყოველივე ზერელე, არაარსებითი ხდება ჩემთვის, გულს არ ეკარება. გუშინდელი დღე წარსულს ჩაბარდა, დღევანდელი — მარტოდენ კარიბჭეა ხვალინდელი დღისა, ხოლო „ხვალინდელი დღე“, რომელიც ყველაფერს იტევს, ბუნდოვანია და გაურკვეველო-ბით აღსასევ. წერა არ ძალგიძს, ფიქრი არ გასურს და არც თუ ისე საძნელო გზა, ანაზღად, ყველაზე მიმზიდველი გეჩვენება. ამ ბოლო კვირებში სასარგებლო მხოლოდ ის გავაკეთე, რომ გადავიკითხე

ჩემთვის ხელმისაწვდომი ყველა წიგნი ჩრდილოეთ და სამხრეთ პოლუსებზე, ნანსენი კი ჩემი საყვარელი გმირი გახდა.

ბოლო რვა დღე მე და ჩემმა ცოლმა კალინინგრადის სასტუმრო „მოსკოვი“ გავატარეთ. ქალაქი დანგრეულია. ასე გგონია, გუშინ გადაიგრუხუნაო ომის გრივალმა — ომი ყველა ქუჩიდან შემოვკეპრის.

დიდი შთაბეჭდილება გამომეყვა სასტუმროდან, რომელიც მთლიანად ჰქონდათ დაკავებული ახლანდელ ჩემს თანამგზავრებს — მესამე კომპლექსური ანტარქტიკული ექსპედიციის მონაწილეებს.

ყველა სასტუმრო, სასტუმროს ყველა ოთახი, რომელშიც ძმაკაცური ან მკაცრი ადმინისტრატორი ერთად ჩაასახლებს ხოლმე სხვადასხვა პროფესიის, ხასიათის, ფიქრებისა და შეხედულებების ადამიანებს, თავისებური ცოცხალი ნოველების კრებულია.

„მოსკოვი“ ჩინებული სასტუმროა. აქვს რიგიანი, თბილი ოთახები, არის ცივი და ცხელი წყალი, სანიმუშო სისუფთავე, ყველა ოთახში ტელეფონი და რადიოტრანსლაციაა. აქ უთუოდ ყველაფერი უფრო უზადო იქნებოდა, რომ არ ყოფილიყო ერთი უსიამოვნო გარემოება — სასტუმროს თანამშრომლების ახირება. როგორც სასტუმროში არ მიცხოვრია ომის შემდგომ წლებში, მაგრამ არსად არ მიგვრძნია თავი ისე ზედმეტად, როგორც ამ სასტუმროში.

ნასადილევს ვწვებოდით. აკაკუნებდნენ. ჩვენ განვაგრძობდით ძილს. კვლავ აკაკუნებდნენ. შემდეგ გაისმოდა მბრძანებლური ხმა: — გააღეთ!

ვაღებდით. ხალათგადაცმული ჩემი ცოლი ფანჯარასთან მიდგებოდა; მე კი საბანს ნიკაპამდე წავიხურავდი. ნომერში შემომწკრივდებოდა ხუთი კაცისაგან შემდგარი კომისია. მაგიდას მიუჯდებოდა შეეკაბიანი, ფაშფაშა, სათვალისანი, დარბაისელი ქალი, რომელიც შემოსვლის ღირსადაც არ გვთვლიდა, მის მარჯვნივ აისვეტებოდა წითელკაბიანი, ხმელ-ხმელი, სათვალისანი ქალი, ხოლო მათ ზურგს უკან გაილურსებოდა სამი ქალიშვილი, რომლებიც რაღაცით უნებლიეთ ბერძნულ ქოროს მოგავიწყებდნენ. მაგიდაზე ალაგებდნენ ათასგვარი პარაგრაფებით, ნომრებითა და დასახელებებით აჭრელებულ უშველებელ ფურცლებს.

იწყებოდა ინვენტარის აღნუსხვა.

— რამდენი საწოლია? — კითხულობდა შავკაბიანი მსუქანი ქალი.

— ორი ხის საწოლი, — უპასუხებდა წითელკაბიანი, — ზამბარაიანი ლეიბებით.

— ზამბარაიანი ლეიბებით... — სხაპასხუპით იმეორებდა სამი ქალიშვილი.

— საწერი მაგიდა? — კითხულობდა მსუქანი ქალი.

— ერთი, მუხისა, — აწვდიდა ცნობას წითელკაბიანი.

— მუხისა... — კვერს უკრავდნენ ქალიშვილები, და ასე გრძელდებოდა კითხვა-პასუხი.

— ბალიში რამდენია?

— ოთხი, — ორკოფულად ამბობდა წითელკაბიანი ქალი, რადგან ოთხივე ბალიში თავივე მქონდა ამოდებული და მეორე საწოლზე მათ ვერ ხედავდა.

— ჩაეწეროთ ოთხი? — კითხვის კილოთი ამბობდა მსუქანი ქალი.

— ჩაეწეროთ ოთხი, — უპასუხებდა წითელკაბიანი და უნდობლად გამოაპარებდა ჩემკენ თვალს. უნდოდა გაეგო, ოთხივე ბალიში თავივე მქონდა მდგომარეობა არა, ან ხომ არ გადამისანსლავს რომელიმე მათგანი.

— იატაკის საფენი?

ახლა ერთ-ერთი ქალიშვილი რულეტს მოიმარჯვებდა და შეუდგებოდა საფენის გულმოდგინე გაზომვას. ეს საქმიანობა კარგა ხანს გრძელდებოდა. ბოლოს ქალიშვილი იტყოდა:

— რვა მეტრი და ორმოცდაორი სანტიმეტრია.

— თქვენ ამბობთ, რვა მეტრი და ორმოცდაორი სანტიმეტრიაო, არა? — და მსუქანი ქალი კითხვის ნიშნად წარბებს ზემოთ აზიდავდა. — მაშასადამე, ჩაეწეროთ რვა და ორმოცდაორი.

— დიახ, ჩაეწეროთ რვა და ორმოცდაორი, — ეთანხმებოდა წითელკაბიანი. შემდეგ აღნუსხავდნენ ოთახის მორთულობას, სკამებს, გრაფინებს, ჭიქებს და ასე შემდეგ.

— ხელოვნების ნივთები თუა? — კითხულობდა შავკაბიანი.

— არის, — უპასუხებდა წითელკაბიანი და მიუთითებდა ცხენზე ამხედრებული, ულვაშებაწკებილი ჩაპაევის ქანდაკებაზე, რომელიც მაგიდაზე იდგა, — ერთი ნივთია, ჩაპაევი.

— ეგ არაფერი, რომ ჩაპაევია, მთავარია. რომ ერთია.

ასე გრძელდებოდა თითქმის ერთი საათი. სიბრაზისაგან ფერ-წასული ჩემი ცოლი ფანჯარასთან იჯდა და ძარღვებში სისხლი ეყინებოდა. მას არც კი შეუშინებია, როგორ შეიტანეს სიაში დღეს დილით მის მიერ ნაყიდი ბაკელიტის წითელი თეფში.

შემდეგ კომისია გზას განაგრძობდა. ცოლი დიდსაანს კრიჭაშეკრული იჯდა და ხმას ვერ იღებდა. მე კი თავს ზედნიერად ვთვლიდი. შეიძლება. ლიტფონდში ორი ათასი მანეთი სამივლინებო ფული მიიღო, დაისვენო რომელიმე დასასვენებელ სახლში და ვერაფერი ნახო. აქ კი ისეთი ჭეშმარიტი, ისეთი ხალასი, ისეთი განუზმერებელი განცდა გეუფლება, როგორც სიზმარშიც არ მოგელანდება.

ბოლო ღამეს ძალიან ცუდად გვეძინა. სასტუმროს ოთახები თხელკედლიანია. მეზობელ ოთახში დაბინავდა ცოლ-ქმარი, რომელთაც არაფერი ჰქონდათ საერთო ანტარქტიკასთან, მაგრამ ექსპედიციის მრავალრიცხოვან კოლექტივზე მეტად ხმაურობდნენ. განსაკუთრებით გამოირჩეოდა ცოლი. მისი ხმა იყო ქალის ერთი უკანასკნელი ხმა. რომელიც მოვისმინე ხმელეთზე და, ალბათ, ეკვატორამდე მიწივლებს ყურებში. დიდი ხანია არ მსმენია ესოდენ საზიზღარი, გამყიჯანი, გააღმასებელი, უზომოდ აგრესიული ხმა. თავდაპირველად, თითქოს არა უშავდა რა. მრავალრიცხოვანი საზოგადოება, რომელიც ცოლ-ქმართან შეკრებილიყო, მხიარულობდა. სვამდა, მღეროდა. ცეკვასაც კი ღამობდა და გარკვეულ დრომდე ამ ქალის ხმას ახშობდა. ჩამეძინა, მაგრამ გამეღვიძა ღამის სამ საათზე, მას შემდეგ რაც მხიარულება მინელებულიყო; ქალის კაპასობა არღვევდა სიჩუმეს. მისი ხმა ისე მკაფიოდ ისმოდა, თითქოს ქალი აქვე, ჩემს საწოლთან, მჯდარიყო. გვეგონა, სადგისს გვირქობდნენ ყურებში. ორსაათნახევარში საოცრად გავნათლდით. გავიგეთ, რომ საზღვარგარეთ თეთრეული უკეთესი აქვთ და ხალხიც უფრო თავაზიანია, ვიდრე ჩვენთან. გავიგეთ რამდენიმე რიგელის მისამართი, რომლებთანაც შეიძლებოდა ბუმბულივით მსუბუქი ტრიკოტაჟის შოვნა. გავეცანით ძმისწულებს, თუმცა ამ საუბრიდან მხოლოდ იმას მივხვდით, რომ მთელი ამაგი წყალში გადაიყრებოდა, თუ არ უზრუნველყოფდნენ მათ კეთილმოწყობილი ბინებით. სულ-

მოუთქმელად წაკითხულმა ღამის ამ ლექციამ სევდისაღმძვრელი და შეურაცხყოფელი შთაბეჭდილება დაგვიტოვა. როცა ბოლოს და ბოლოს ლექცია დამთავრდა, ჩემმა ცოლმა ჩაილაპარაკა:

— ლომვეშაპი!

დებორა ჩემზე ნაკლებად იცნობს ზღვას და ლომვეშაპებიც ცოტა უნახავს. თორემ ცხადია, ასეთ სიმპათიურ და გონიერ ცხოველს ამ მოშლილ გრამოფონს არ შეადარებდა.

მე თვითონ მესმის რაოდენ უადგილოა ახლა განვილილ შთაბეჭდილებებზე საუბარი, მაგრამ ისინი რატომღაც ჭერ კიდევ მიმორჩილებენ, სანამ ჩემს ირგვლივ ნავსადგურის უძრავი, ზეთნარევი წყალია და ხომალდი მიწაზე მდგარი სახლივით ადგილიდან არ იძვრის. დიდი ხნის ლოდინმა ტვინი გამიყინა მორავიას ნოველის კელნერივით, მაგრამ მჭერა. რომ იგი კვლავ ამუშავდება „კოოპერაციის“ ხრახნთან ერთად.

დღეს ზღვაში გავდივართ.

1157 წლის 31 ოქტომბერი

კალინინგრადი, „კოოპერაცია“

გუშინ ზღვაში ვერ გავედით. ვერც დღეს მოვახერხეთ. ყური მოვკარი, „კოოპერაციაზე“ ახალი რადიოლოკატორის დადგმას აპირებენო, წუხელ ჩამოუტანიათ რიგიდან.

საღამო ეამს „კოოპერაციის“ მახლობლად ჭერ კიდევ იდგა მცურავი ამწე, რომელზედაც ორი „პინგვინი“ ჩანდა. დილით „პინგვინები“ უკვე გემბანზე იყო. ნეტავ როგორ მოძრაობენ ეს ყველგანმავლები (თუ ტრაქტორები) ანტარქტიკაში? მართალია, „პინგვინებს“ კაბინა ლითონისა აქვთ (კაბინის ზემოთ პატარა ილუმინატორების მსგავსი კარები და სარკმლები დაუტანებიათ). მაგრამ ისინი მაინც მსუბუქი მეჩვენება. „პინგვინის“ მუხლუხები განიერია.

უკვე ოთხივე სატვირთო სათოფური აწეულია. ხომალდის ცხვირიდან კიჩომდე გასვლა და ისევ უკან დაბრუნება სახიფათო უნდა იყოს. გემბანის სათოფურზე „პინგვინები“ ჩამწყკრივებულან. ძნელი გადასასვლელია გვარლებსა და ძელებზე, რომლებითაც ისინი



არიან დამაგრებულნი. „პინგვინების“ გვერდით, მესამე სათოფურ-  
თან ღვას ყუთი. ყუთში ოთხი ნაძვია. ნაძვები სილაშია ჩაფლული  
და საგულდაგულოდ შეფუთული, რომ ტოტები არ დაუზიანდეთ.  
ხომალდს საახალწლო ნაძვის ხეებიც მიაქვს მირნიში.

მიმოვიხედე კაიუტაში, ვცდილობ ჩემს ბარგს როგორმე თავისი  
ადგილი მივუჩინო. ცუდია. როცა კაცი ღარიბია, მაგრამ უფრო  
უარესია, თუ ერთ ვიწრო კაიუტაში ორი მდიდარი მგზავრი შეიყ-  
რება. მე და კონსტანტინე ვასიუკოვს კი კაი გვარიანი ბარგი აღმო-  
გვაჩნდა.

გემზე ჩემი ბარგის გადაზიდვა თავისებურ საციკო სანახაობას  
ჰგავდა. ჭერ ორი ჩემოდანი ამოვათრიე. შემდეგ ჭერი მიდგა მწვანე  
ბრეზენტის ტომარაზე. ტომარაში, პოლარული აღჭურვილობის  
გარდა, ჩატენილი მქონდა ვიწრო კინოფირით სავსე ათამდე რკინის  
ყუთი. ტომარა ტყვიასავით მძიმე იყო, მაგრამ უარესი ის გახლდათ,  
რომ უცებ ვიწრო ტრაპზე, ბაგირებს შუა, გავეჩირე. ალბათ, არც  
ერთი სახედარი არ გამოიყურებოდა ისე ყუყუჩურად, როგორც მე  
ვიჩინდი „კოოპერაციის“ ტრაპზე. ზემოდან მეზღვაურები და ექსპე-  
დიციის მონაწილეები დამკეპროდნენ, ქვემოდან, ნავმისადგომიდან,  
კი ნავსადგურის მუშები შემომყურებდნენ. ზოგჯერ სულაც არაა სა-  
სურველი, ყურადღების ცენტრში რომ აღმოჩნდები. სულშეგუბე-  
ბულმა, სახეალეწილმა და გაცეცხლებულმა ტომარა კაიუტაში  
შევათრიე. უნებურად გამახსენდა ჩვენი მწერლის ფრიდებერტ  
ტუგლასის გმირის ფელიქს ორმუსონის სიტყვები:

— გასწი ქაპანსა, ესთეტო!

ბოლოს ჩემი ტექნიკური აღჭურვილობაც მოვათრიე. როცა  
აპარატბაჟიდებული, საახალწლო ნაძვისხესავით დახუნძლული კა-  
ლინინგრადის ნავსადგურში მივაბიჯებდი, ერთმა ლამაზმა ქალი-  
შვილმა მეგობარს გადაულაპარაკა:

— „კოოპერაციაზე“ მიიჩქარის. ალბათ, ტექნიკურ მეცნიე-  
რებათა დოქტორია.

რა იცოდა, რომ მე უფრო ნაკლებად მეშინია ბისკაის უბისა.  
ვიდრე ტექნიკისა; ყოველგვარი აპარატი, რომელსაც კი ხელს შევა-  
ხებ, უგვან თვისებას ამჟღავნებს: ან მაშინვე გაფუქდება, ან, საერ-  
თოდ, არ ამუშავდება.

ასეა.

ახლა კი შევეუდგეთ აღჭურვილობის ჩამოთვლას.

როგორც ექსპედიციის სრულუფლებიან მონაწილეს, მეც შემდეგი ნივთები მომცეს:

1. კაპიუშონიანი ქურთუკი.
2. დაბამბული შარვალი.
3. ჩექმები.
4. თბილი სვიტერი.
5. ქურთუკი.
6. თბილი ხელთათმანები.
7. თოვლსაწინააღმდეგო სათვალეები.
8. მწვანე ბრეზენტის ტომარა, რომელშიც ეს ნივთები ელაგა.

მე კი პირადად თან წამოღებული მქონდა:

1. მუქი და ღია ფერის ორი კოსტუმი.
2. თორმეტი ცალი პერანგი.
3. თეთრეული.
4. ცხვირსახოცები.
5. სათბურა.
6. ქარგაუმტარი ქსოვილის ქურთუკი.
7. ათი წყვილი წინდა.
8. დედაჩემის მიერ შინ მოქსოვილი მატყლის ორი წყვილი

კრელი წინდა.

9. სამართებელი.
10. ასი საპარსი ფერფიტა.
11. „ყაზბეგის“ ასი კოლოფი.
12. ასი კოლოფი ასანთი.
13. ხუთი ბოთლი კონიაკი.
14. სამი ბოთლი ღვინო.

ტექნიკური აღჭურვილობა:

1. ფოტოაპარატი „ზორკი“.
2. ვიწროფირიანი კინოაპარატი „კიევი“ (რომელიც ტალინის

ტელესტუდიას ეკუთვნოდა).

3. ფოტოექსპონომეტრი „ლენინგრადი“.

4. საველე ღურბინდი „ბინოკულიარ M 36X30“ (პაულ რუმო უმცროსის კუთვნილება).

5. ხუთი კოჭა ფოტოაპარატის ფირი.
6. ორი ათას ხუთასი მეტრი ვიწრო კინოფირი
7. სამი ავტოკალამი.
8. ექვსი ბლოკნოტი.
9. ერთი ბოთლი მელანი.
10. ორი წყვილი სათვალე.
11. ჯაყვა.
12. ფრჩხილების საქლიბი.
- 13 ნემსებით. ძაფებით. ღილებითა და თავის ტკივილის ფხვნილით სავსე ზარდახშა.

წიგნები:

1. სტენდალი, „წითელი და შავი“.
2. ჯოზეფ კონრადი, „ლორდი ჯიმი“.
3. ჰემინგუეი, „მოხუცი და ზღვა“.
4. იუჯინ ო'ნილი. „კარაიბის კუნძულთა მთვარე“.
5. ფ. ნანსენი, „გრენლანდიის გადასერვა თხილამურებით“.
6. რ. ე. ბერდი, „გაფრენა სამხრეთ პოლუსზე“.
7. ე. შეკლტონი. „მოგზაურობა სამხრეთ პოლუსზე“.
8. კრებულის „ქვეყნებისა და ხალხების“ პირველი გამოცემა — „პოლუსები“.

9. რუსულ-ესტონური ლექსიკონი.

გარდა ამისა, თან წამოვიღე ჩემი პოემა „ქარიშხლის ვაჟი,“ რომელიც ნაოსნობის პერიოდში მინდა შევამოკლო და გადავამუშაო, და პიესა „ლეას“ დასაწყისი, რომელიც უსათუოდ უნდა დავამთავრო გზაში. კარგი იქნება, თუკი ამ განზრახვის შესრულებას მოვახერხებ მირნიში ჩასვლამდე.

1957 წლის 1 ნოემბერი

დღეს 6 საათსა და 00 წუთზე, როგორც იქნა, „კოოპერაცია“ ზღვაში გავიდა.

საბუთების შემოწმება ბალე დამთავრდა. ნავსადგურში ბევრი გამცილებელი ირევა. ზოგიერთებს თვალები აცრემლებია. რომელიღაც კაიუტაში გარმონს უკრავენ. გემბანზე ამოსული გამცილებლები

კარგა ხანია ჩავიდნენ. გადამლობი გვარლი უკვე აუღიათ ტრაპიდან, მაგრამ ტრაპი ჯერ ისევ ადგილზეა. ხომალდიდან უნდა ჩავიღეს ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარი სამმართველოს მუშაკი ალექსი მიხეილის ძე ფიშკინი. ფიშკინი საუკეთესო და ყველასათვის საყვარელი ადამიანია. მას დიდი წვლილი მიუძღვის ამ ექსპედიციის მომზადებაში. თვითვე ჩვენგანს დაამახსოვრდება მისი ჭალარა წვერი, სათვალის იქით მოციმციმე, ჭკვიანი, კეთილი თვალები, ჩასუქებულ ტანი და სახეზე შარავანდვად გადაფენილი ღიმილი.

ბოლოს ალექსი მიხეილის ძეც ჩავიდა.

ჩვენი ხომალდის ცხვირთან აქშინდა ერთი საბუქსირო გემი, კიჩოსთან კი — მეორე.

კიჩოთი შემობრუნებული „კოოპერაცია“ ნელ-ნელა შორდება ნავმისადგომს. გაისმის საბუქსირო გემების კივილი, „კოოპერაციის“ ზავთიანი ხავილი. დროდადრო საბუქსირო გემების ბოლქვებად ავარდნილ კვამლში იბურება „კოოპერაციის“ თეთრი კორპუსი, დაყათრული გემბანი და ანძები. ღრუბლიანი, ბურუსიანი ამინდია. ნისლში ჩაძირულა და კუშტი იერი დასდებია კალინინგრადის ნავსადგურის შორს გაჭიმულ არხს, რომელშიც ძლივს ჩანან მცურავი ამწევები, ხომალდები, ტივტივები.

ნავსადგურში მდგარი გემები საყვირით გვემშვიდობებიან. ასეთი მაყრული ჯერ არ მსმენია. ზემო ბოგურაზე შეკრებილ რამდენიმე მგზავრს „კოოპერაციის“ ბოხი, ზავთიანი ხმის გამო ყურებში თითები დაუცავს. ნავსადგურში დარჩენილი გემების მიღებთან ავარდნილი ორთქლის თეთრი ქულები ჰაერში იფანტება. საყვირები, რომელთაც ადამიანთა მსგავსად სხვადასხვაგვარი ხმა აქვთ — ზოგს წკრიალა, ზოგს — ყრუ, თავისებურ გუნდს ქმნიან; ეშმაკმა იცის, რა ხმებს არ გააჩრევთ ამ ყურთასმენის წამლებ ხმაურში. აქ მოისმის ზღვის ბრდღვინვა, ხან მშვიდი, ხანაც მრისხანე მისი გუგუნი. მზიან ამინდში ეს სურათი ალბათ უფრო სასიამოვნო შთაბეჭდილებას მოახდენდა.

გავდივართ ღია ზღვაში. ბინდდება. დროდადრო ციაგებს შუქურების სინათლე, შუქურები ინთება და ქრება, ინთება და ქრება. წყალს თალხი ფერი გადაჰკრავს და უფრო და უფრო ქუფრდება. ქარის სიმძლავრე ექვსი ბალია.

ბალტიისკის, გავლის შემდეგ ჩვენი ლოცმანი გადავიდა „აკადემიკოს კრილოვზე“, რომელიც ზღვაში იღვა და კალინინგრადში შესვლის ნებართვას ელოდა. თითქოს წყვდიადიდან ამოძვრაო ლოცმანის პატარა, დიდებული, მარდი კატარა. არ ვიცი, რა ძრავა ედგა კატარას, მაგრამ მისი ხმა სულ გოკის ღრუტუნს მიაგავდა. ალბათ, ხმის სახშობი დროდადრო წყალში ეშვებოდა. ლოცმანის კატარა მალე დაგვშორდა და ჩვენ დიდხანს გავყურებდით კუნაპეტ წყალზე ანცად მოციგლივე საანძე ნათურების ანარეკლებს.

მიგვაცილებს ნავსადგურის სამი თოლია. ისინი თითქმის არ არხევენ ფრთებს, მაგრამ ოდნავადაც არ შორდებიან „კოოპერაციას“. თოლიებს ვხედავთ, როცა ნათურების შუქი ეფინებათ და პირველი თოვლივით თეთრად ქათქათებენ.

„კოოპერაცია“ ოდნავ ირწყევა.

ისმის ბრძანება — დაიკეტოს მესამე კლასის კაიუტების ილუმინატორები. ექსპედიციის მონაწილეებს, რომლებიც პირველად მგზავრობენ გემით, ზღვის ავადმყოფობამ დარია ხელი.

1957 წლის 8 ნოემბერი

ზღვაში „კოოპერაციაზე“

კარგია კარგი გადაწყვეტილებების მიღება. „ხვალ ვიწყებ ახალ ცხოვრებას“, „სერიოზულად შევუდგები ჰუშაობას, დღეს უკანასკნელად წავიზარმაცებ და მორჩა“ და ა. შ. და ა. შ. ოღონდ ძნელია ასეთი გადაწყვეტილებების შესრულება.

მართალია, ზღვაში უფრო შრომისმოყვარე ვარ, ვიდრე ხმელეთზე, მაგრამ აქაც ხშირად საკუთარი თავისადმი მიცემული აღთქმა მარტოოდენ კეთილ განზრახვად მრჩება ხოლმე. შესაძლოა იმიტომაც, რომ მოგზაურობის დასაწყისში ყოველთვის ქარბადაა ახალი შთაბეჭდილებები, უცნობი ადამიანები, ხშირია მათთან შეხვედრები, საუბრები, შეუჩვეველი ხარ თანამგზავრებს და თავს ჭერჯეობით უცხო გარემოში გრძნობ. ასეთ დროს თავს იჩენს ჩემი ყველაზე დიდი სამწერლო ნაკლი — გულისყური მეფანტება, წესიერად ვერ ვაზროვნებ, აზრები მებურღება.

ასეთი ნაოსნობის დროს უნდა წერო დღიური, წერო სისტემატურად, გამუდმებით; აღნუსხო თავიდათავი ნახულ-გაგონილისა, აღნუსხო ყოველივე, რაც დაგჭირდება შემდგომ მუშაობაში. თუმცა, უნდა ვთქვა, გუშინდელი დღე, ზღვაში ყოფნის მეორე დღე, უკვე დავეკარგე. ახლა დამეა, წვიმს. ოდნავ მოციმციმე წყლის ზედაპირიდან სინათლე ირეკლება. ჩრდილოეთით ჩანს ძველი ცოცხავით გაძენძილი ლეგა ღრუბელი. სინოპტიკოსები რაღაცას ამბობდნენ ციკლონსა და „ცივ ფრონტზე“ და ამ ნაფლეთებად ქცეული ღრუბლის მიხედვით დაასკვნეს: ხვალ ჩრდილოეთის ზღვაში შტორში დაგვატყდებაო. ვნახოთ, ტალინის ამინდის ბიუროზე უფრო მიხვედრილები არიან თუ არა.

გუშინ დილით ჩატარდა ექსპედიციის პარტჯგუფის კრება. ავირჩიეთ დროებითი (მირნიში ჩასვლამდე) პარტიული კომიტეტი. განვიხილეთ მომავალი ამოცანები, ვითათბირეთ, როგორ შევხვდეთ ოქტომბრის რევოლუციის დღესასწაულს. გადავწყვიტეთ, გამოვეშვათ კედლის გაზეთი, რადიოგაზეთი და ფოტოგაზეთი. საუბრის დროს ზოგიერთები დროდადრო გადმომხედავდნენ — ხომ არ დაწერ რაიმეს კედლის გაზეთისათვისო. „ო, არა, რუსულად ვწერო ლექსები? აქამდე ჯერ კიდევ ბევრი მიკლია!“ — გავიფიქრე ჩემთვის და მშვიდად დავიწყე „კოოპერაციაზე“ ბორიალი.

ხომალდი ოდნავ ირწეოდა. წინანდებურად ქროდა ხუთ-ექვსბალიანი ქარი. ზღვაზე ქოჩორა ტალღები წამოიშალა. „კოოპერაცია“ თითქოს სამგზავრო ხომალდიცაა და სავაჭროც. მაგრამ ჩვენი ექსპედიციისათვის მაინც პატარაა. ას სამოცკაციანი კოლექტივის დიდი ნაწილი არც ისე სახარბიელო პირობებშია. საწოლები დგას დასასვენებელ ოთახში, მოსაწევ სალონში, დერეფნებში. ბოლო კინოდარბაზში ექსპედიციის მონაწილეები იატაკზე წვანან. მაგრამ ისინი მრავალ ქარ-ცეცხლში გამოვლოლი, გაკაეებული ადამიანებია და ადვილად ეგუებიან ძნელ პირობებს. თანამგზავრები, რომლებიც უკვე გავიცანი, შესანიშნავი ამხანაგები არიან, და საბედნიეროდ, არც ისე გულჩახვეულნი, როგორც გარეგნულად ჩანან.

დავბრუნდი კაიუტაში, რომ წამემუშავა.

თურმე კაცს ხიფათი უჩუმრად ეპარება, მივა და წყნარად მიუკაკუნებს კარზე.

კაიუტის კარზე მართლაც მოაკაკუნეს. ჩემს მოწვევაზე — მობრძანდით-მეთქი, შემოვიდა ახლახან არჩეული პარტიული კომიტეტის ერთ-ერთი წევრი — გრიგოლ თევდორეს ძე ბურხანოვი. იგი მონაწილეობდა იმ ექვსი „ბინგვინის“ შექმნაში, რომლებიც ახლა ჩვენი ხომალდის გემბანზე დგანან. ვიმუსაიფეთ, ვთქვით მთისა და ბარის ამბები, სტუმარმა რამდენიმე ჩემი ლექსიც წაიკითხა და უცებ ჭიქურ მითხრა:

- თქვენ, ამხანაგო სმულ, ურედაქტორებთ კედლის გაზეთს.
- რომელ კედლის გაზეთს?
- ექსპედიციისას.
- არაფერი გამოვა, ამხანაგო ბურხანოვ!
- გამოვა.

— რუსული არ ვიცი, უფრო მეტიც, მე ამ ხომალდზე ერთადერთი კაცი ვარ, რომელიც ყველაზე ცუდად ვლაპარაკობ რუსულად. ყველაფერს დომხალივით ავურევ!..

ენის გარკვეული ცოდნის დროს შეიძლება ისეთი შთაბეჭდილება მოახდინოთ მოსაუბრეზე, თითქოს ენა იცით. თქვენი სასაუბრო ლექსიკონი შედგენილი იქნება მარტოდენ თავაზიანი და საბოლოო წინადადებებისაგან, ბანქოს ტერმინებისაგან, მადლობისა და მოწონების გამომხატველი სიტყვებისაგან, ფართოდ გავრცელებული რამდენიმე ლიტერატურული ფრაზისა და ტერმინისაგან და საყოველთაოდ ხმარებულ საგანთა სახელებისაგან (ჩემს ლექსიკაში მათ ემატება უამრავი უცენზურო სიტყვა, რომლებიც ატლანტის ოკეანეში ყოფნის დროს შევისწავლე). სიტყვათა ასეთი მარაგით შეიძლება გაქცეული კაცი მოაბრუნო, მაგრამ მობრუნებულს ვერ გააქცევ. ამჟამად, მოგზაურობის დასაწყისში, ჩემი მეტყველება სწორედ ასეთია.

ბურხანოვი. თქვენ ენას ფლობთ. ოღონდ ყოველთვის მარჯვედ არ გამოგდით ლაპარაკი. აქცენტიც ძლიერი გაქვთ. ვერც მაგარ „ლ“-ს გამოთქვამთ სწორად, ვერც შიშინა თანხმოვნებს. გრამატიკაშიც მოიკოკლებთ, მაგრამ ყოველთვის არა. რა თქმა უნდა, სიტყვათა მარაგიც შეიძლებოდა მეტი გქონოდათ. ერთი სიტყვით, როგორმე თავს გაართმევთ. თქვენ ხომ შეგიძლიათ თქვენივე ნაწარმოებთა თარგმანის ავტორიზება, მათი შემოწმება.

მე. კუდიანი ეშმაკის ავტორიზება შემიძლია მე.

ბ უ რ ი ა ნ ო ვ ი. კუდიანის შეგიძლიათ თუ უკუდოსი, ამას მნიშვნელობა არა აქვს (შემდეგ აიღო რუსულ ენაზე გამოცემული ჩემი ლექსების კრებული). აი, ხომ ხედავთ, აქაც წერია: „ავტორიზებული თარგმანი“.

ერთი სიტყვით, რამდენი არ ვემუდარე, რამდენი არ ვეხვეწე, სულ ამოდ, ვერაფრით ვერ შევეურყიე გრიგოლ თევდორეს ძეს ჩემდამი ღრმა რწმენა, როგორც ორგანიზატორული ნიჭის მქონე და რუსული ენის მცოდნე კაცზე. ასე და ამრიგად, გავხდი კედლის გაზეთის რედაქტორი. თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ უკვე მიმოვდიოდი დომინოსა და ბანქოს მოთამაშეთა შორის, ვაჩერებდი გემბანზე მოსეირნე ექსპედიციის მონაწილეებს და ათროლებული ხმით შევთხოვდი:

— ხომ არ შეგიძლიათ კარიკატურის ხატვა? ლექსებს ხომ არ წერთ?!

ბურხანოვი კი აღიოდა და ჩამოდიოდა კიბეებზე, შედიოდა კაიუტებსა და სალონებში — ადგენდა სარედაქციო კოლეგიის წევრთა სიას. გაზეთის პირველი ნომერი ოქტომბრის დღესასწაულის წინა დღეს უნდა გამოსულიყო. დამე ცუდად მეძინა.

დღეს, 3 ნოემბერს, დილით გადმომცეს სარედაქციო კოლეგიის წევრთა სია. გადავწყვიტე, კრება მომეწვია, მაგრამ ვერ მოვახერხე. ორმა ამბავმა ყველანი აგვაფორიაქა. ჩვენი ალტაცების პირველი მიზეზი ახალი თანამგზავრის გაშვებაა. მსჯელობენ, კამათობენ, განიციდიან. ექსპედიციის საერთო კრებამ მისალოცი დეპეშა გაგზავნა მოსკოვში. უზომოდ ბევრს ლაპარაკობენ ძალზე, პირველ ცოცხალ არსებაზე, რომელმაც ასეთ სიმაღლეს მიაღწია. ბევრი სჯა-ბაასი აქვთ აგრეთვე თანამგზავრზე, მის ორბიტაზე, ორბიტის რადიუსზე. ერთ-ერთ მოჭადრაკეს, რომელსაც არაფრით არ უნდოდა დანებებოდა მოწინააღმდეგეს, მიაძახეს: „შენ რა, თანამგზავრივით სულ ტრიალებ და არ იწვები“. ესეც ხომ თავისებური თვალთახედვაა.

მეორე ალტაცების მიზეზი კილის არხთან მიახლოება გახლავთ. განუწყვეტლივ მოცურავენ და მოცურავენ გემები. ჩვენი ხომალდის ზემო გემბანი ხალხითაა გაჭედილი. ყველას ფოტოაპარატი მოუმარჯვებია. ღურბინდებს დიდი გასავალი აქვს. ჩემს ღურ-



ბინდსაც საკმაო ჯაფა დაადგა. ტყუილებრალოდ როდი წამომიღია თან.

აი, კილის არხი. კაპიტნის ბოგურაზე გერმანელი ლოცმანი დგას. საქვევართანაც გერმანელია. არხის ორივე მხარეს გადაქიმულია ლარივით სწორი, მყუდრო ტაფობი. ირგვლივ აუარებელი გემი ირევა. მიგვიძღვიან წინ, მოგვეყვებიან უკან. უჩვეულო გამოცოცხლებაა არხში. დღეს კვირაა და ნაპირებთან მრავალ გერმანელს ზოუყრია თავი. ზოგი ხელს გვიქნევს, ზოგიც — ცხვირსახოცს. ბინდდება. თვალეზი გველდება.

1957 წლის 4 ნოემბერი

ჩრდილოეთის ზღვა

დღეს დილითაც ვერ მოვახერხე კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიის წევრთა კრების მოწვევა. ამოვარდა სასტიკი, მართლაც ჩრდილოეთის ზღვისათვის დამახასიათებელი შტორმი, უფრო სწორად, გრიგალი. ტალღებზე მოქანავე „კოოპერაცია“ დროდადრო ისე ძაგძაგებს, გეგონებათ ხერხემლით რომელიღაც ჩაძირულ ზომალდს ედებოა წყალქვეშ. როგორც ჩანს, ამ მძაფრ ქარში ზვირთები ვერ ახერხებენ ყალუზე დადგომას. მათი ზეაყრილი ფაფარი ქარტეხილს წყლის ზედაპირზე განურთხავს და გაულასტავს. მე აღრეც შევსწრებივარ ზღვაში შტორმს, მაგრამ ასეთი არაფერი მინახავს. წყლის სვეტები ზეცამდე აღის, ჰაერი სუსხიანია და მლაშე. ჰორიზონტი — ვგულისხმობ ჩვეულებრივ ჰორიზონტს — აღარსად ჩანს, ირგვლივ მხოლოდ ცადაჭრილი წყალია და გრიგალის განუწყვეტელი, გააგებული და გამძვინვარებული დმუილი ისმის. თავს კარგად ვგრძნობ. გული ლაღობსო რომ იტყვიან, სწორედ ისე ვარ. მინდა თავი დავაჯერო, ზღვის ავადმყოფობის მიმართ იმუნიტეტი გამომიმუშავდამეთქი.

„კოოპერაცია“ სქლად დაფენილ წყლის ბუერში მიიკვლევს გზას. ზომალდის ცხვირთან და მთლიანად მის ირგვლივ, თეთრად ირევა ზღვის თქორი. ქარიშხალი წყლის ზედაპირს აგლუჯს გემის მიერ ორადგააბობილ ზვირთებს და ერთიანად შემუსვრილს გემის საკვა-

მურს ასხურებს. ქარის სიჩქარე ოცდათხუთმეტ მეტრს უდრის წამში, ესე იგი, ას ოცდაექვს კილომეტრს საათში.

ხელი დავავლე ჩემს ვიწროფირიან კინოაპარატს და ზემო ბოგურაზე ავძვერი. წყალი თავზე მესხმება. ჩვენი ექსპედიციის სასიამოვნო და გულისხმიერი ახალგაზრდა ფიზიკოსი, რომელსაც ბორიას ვეძახით, თავის „კიევიანად“ უკვე აქაა. ეტყობა, მას უმარჯვია და რამდენიმე მეტრ ფირზე უკვე აღუბეჭდავს გაავებული ზღვა. ვთხოვე, დამხმარებოდა. ჩვენ ერთმანეთს კი არ ველაპარაკებოდით, ვუყვიროდით. მან, როგორც უფრო გამოცდილმა ოპერატორმა, გამომართვა აპარატი. მე უნდა შემემაგრებინა ბორია. ხელებით ჩავეჭიდე მას. უცებ აპარატში კასეტი ჩაიჭედა. გამოეცვალეთ, ჩავდეთ ახალი, ისევ ჩაიჭედა. მესამე, უკანასკნელი კასეტა წესიერად ბრუნავს. ვებლაუჭებით ბოგურას მოაჯირს და წინ მივძვრებით, რომ ხომალდის ცხვირი გადავიდოთ. თუ აქამდე ქარი სახეში არ გვცემდა, ახლა წინიდან მხოლოდ რკინის მოაჯირები გვფარავდა. იმის მაგივრად, რომ ბორია შემემაგრებინა, ქარმა მე თვითონ გამიტაცა, ჩიკორივით დამაბზრიალა ბოგურაზე და რადიოლოკაციის ანტენის ანძას მიმანარცხა. უკან გამომიღვა ვეება ზვირთი, მაგრამ ყალყზე შემართული უცებ რაღაც სასწაულით ჩემს წინ გაიჩინდა და თითქოს გაკვირვებით შემოაკეჭრდა ჩემს დილის ვარჯიშს.

საჩქაროდ გამოვექეციეთ ქარაშოტს, მოვძებნეთ ქარისაგან დაცული მყუდრო ადგილი და დავიწყეთ „კიევის“ კასეტების ძაგება. ისინი მართლაც არაფრად ვარგა და ხშირად სპეციალისტებიც კი გაუწბილებია. ამ კასეტებმა უკვე გამიფუჭა ორმოცდახუთი მეტრი ფირი, რომელზედაც შტორმი მქონდა გადაღებული, და ალბათ კიდევ ბევრ უსიამოვნებას მომაყენებს, განსაკუთრებით მირნიში. მე თან მხოლოდ სამი კასეტი მაქვს და მათგან ორი არცაა სანდო.

მზემ ერთი ორჯერ გამოაჭყიტა და ტალღებზე მაშინვე აფერადდა პაწაწინა ცისარტყელები. ძირს დაშვებული ღრუბელი სულ დაბლა, მოქანავე ანძების თავზე მიქრის, ზღვასა და ზეცას შორის მანძილი ერთი ციდაა.

მე და ბორიამ ბოგურადან მოვძურწეთ. იქვე, ჩვენთან ახლოს იჩხვება ქარისაგან დაფხრეწილი ბრეზენტის, რომელიც კანჯოზეა გა-

დაფარებული. ვანტები ვიოლინოს სიმებივით დაქიმულა. ქარი უწყალოდ გლეჯს გემის ალამს.

ურჯუკია ჩრდილოეთის ზღვა!..

გემბანზე დიდხანს ვერ გაჩერდები — მთლად გაილუმპები. დროდადრო ვიკეტები კაიუტაში და ვკითხულობ სტენდალს. შტორმი გრძელდება. „კოპერაცია“ დღეს არანაკლებ ასი მილი დაკარგა.

გემები არსად ჩანან. ალბათ, ნავსადგურებში წინასწარ გაათრთხილეს, შტორმი იქნებაო.

ექსპედიციის ბევრი მონაწილე იტანჯება ზღვის ავადმყოფობით.

6 ნოემბერი

ჩრდილოეთის ზღვა

ზღვაზე წინანდებურად ბობოქრობს ქარიშხალი. განუწყვეტლივ შოგორავენ უზარმაზარი ტალღები. რადიოთი გადმოგვცეს ჩვენი კოორდინატები — ისევ ჩრდილოეთის ზღვაში ვართ. პირქარას გამო „კოპერაცია“ მხოლოდ და მხოლოდ ოთხ-ხუთ მილს გადის საათში. გუშინ დავკარგეთ ასიოდე მილი, დღეს ალბათ უფრო მეტს დავკარგავთ. კაპიტანმა გვითხრა, გემის ხრახნის ნელი სვლის გამო „კოპერაცია“ ერთ-ორ მილს კარგავსო ყოველ საათში. პროექტის მიხედვით გემის სიჩქარე თორმეტ მილს უნდა აღწევდეს, მაგრამ ნორმალურ პირობებში ჩვენ მხოლოდ ათ-ათნახევარ მილს გავდივართ. თუკი გასულ წელს ხომალდი მირნიში ორმოცდახუთ დღეში ჩავიდა, ამჟერად, ყველაზე გაბედული ვარაუდით, იქამდე ორმოცდაათი-ორმოცდათხუთმეტი დღე დაგვიკირდება.

როგორც იქნა, ჩავატარეთ სარედაქციო კოლეგიის კრება. მდგომარეობა არც ისე უიმედოა, როგორც ადრე გვეგონა. 7 ნოემბერს, დილისათვის გაზეთი მზად იქნება. სარედაქციო კოლეგიაში თავი მოიყარა შესანიშნავმა ხალხმა. ალბათ, ესტონეთის ვერც ერთი გაზეთი ვერ დაიტრაბახებს ასეთი კვალიფიციური რედაქტორებით. ყველანი დაინტერესებულნი ვართ, რომ საქმემ ფუჟად არ ჩაგვი-

როს. თქვენ წარმოიდგინეთ, ლექსებიც კი გვექნება. მხოლოდ მხატვრობის საქმეა ცუდად. საუბედუროდ, ვერსად მივაგენით მხატვრების კვალს, თუმცა ისინი გემზე უთუოდ არიან. რომელი-ღაც კაიუტის კარზე გაკრულია ექსპედიციის ერთ-ერთი ხელმძღვანელის შესანიშნავი კარიკატურა, რომელმაც ბევრი გვაცინა. ოღონდ, ვინ არის მისი ავტორი? — არავინ იცის. უკვალოდ იქარგებიან ტალანტები!..

გემბანზე წინანდებურად ასხამს წყალი. მხოლოდ საქარე ქიმზე თუ დარჩები გაუწუწავი. ვანტებსა და გვარლებზე, რომლებიც აუარება ყუთებითა და ტომრებით დახერგილ კიჩოზეა გაქიმული, დროდადრო სხდებიან ქარიშხლისაგან ქანცგაწყვეტილი და რეტდასხმული, საცოდავად გაწუწული შოშიები. ჩვენ ვცდილობთ ნისკარტის მოყვანილობის მიხედვით გამოვიცნოთ მათი სამშობლო. ნეტავ საიდან მოფრინავენ? ალბათ ნორვეგიიდან. ექსპედიციის მონაწილეები ფრინველებს თანაგრძნობით ადევნებენ თვალს: ძალიან უჭირთ შოშიებს ხომალდზე დაფრენა, რამდენჯერმე უხდებათ ხომალდის თავზე კამარის შეკვრა — ქარაშოტი შორს იტაცებს მათ. დადლილან ფრთოსნები და დადლილობისაგან გამბედაობა შემატეებით. ბევრი ფრინველი ჩაიღუპა გუშინ და დღეს ჩრდილოეთის ზღვაში.

კონსტანტინე ვასიუკოვი, რომელიც ჩემთან ერთად ცხოვრობს კაიუტაში, მთელი დღე გემბანზეა, ხომალდის გამუდმებული რყევის გამო შეუძლოდ გრძნობს თავს. იგი პირველადაა გემზე და, მართალია, მგზავრობა მისთვის არასასურველად დაიწყო, მაგრამ თუ აქ საქმეში ჩემს ცოდნას დაეჭერება, ვიტყვი, რომ ნაოსნობის დასასრულს უდავოდ მეზღვაური გახდება. ვასიუკოვს აქვს „რაღაც“, რაც ესოდენ აუცილებელია ზღვის ავადმყოფობასთან საბრძოლველად. ცნობილია, რომ ზღვის ავადმყოფობის დროს კაცს ეუფლება წარმოუდგენელი აპათია და სკეპსისი: მისთვის სამყარო, სიცოცხლე, წარსული, მომავალი — ყველაფერი წყვედიადით იბურება და ჯოჯობხეთად იქცევა. ალბათ, ბევრი კრიტიკოსი, რომელთაც თვალთ არ უნახავთ ზღვა, დაბადებიდან სიკვდილამდე ზღვის ავადმყოფობით იტანჯება. სხვაგვარად ვერ ახსნი მათ ღვარძლიანობას და აგვულობას. ვასიუკოვი კი სხვა მასალისგანაა ნაგები. იგი შეუპოვ-

რად ებრძვის აპათიას და სულაც არ ჰგავს იმ სულმოკლე ადამიანებს, რომლებიც საწოლებზე გაიშობებიან და არც კი აპირებენ წელის ათრევას, სანამ ისევ დარებს არ დაიჭერს, ზღვა არ დამშვიდდება და მაღა არ გაეხსნებათ.

მეტეოროლოგიური ჯგუფის უფროს მეცნიერ-მუშაკს ვასიუკოვს, რომელიც მოზამთრეებთან ერთად მიემგზავრება მირნიში, გლენკაციის სახე აქვს. რამდენიმე დღეა ვეძებ და ვერაფრით გამომიძებნია ის სიტყვა, რომელიც ზედმიწევნით ზუსტად გამოკვეთავდა მის ბუნებას. მირონის კაციაო რომ იტყვიან, სწორედ ისაა. ესტონელებს იშვიათად გვეტყობა იმდენი გულითადობა, სითბო და გულისხმიერება, რამდენიც ვასიუკოვს. მართალია, ყველა ეს თვისება ჩვენც გაგვაჩნია, მაგრამ რატომღაც გვერცხვინება, მაშინაც კი, როცა ამ თვისებებს ჩვენდამი ავლენენ, და თავდაპირველად ფარული რიდი გვეუფლება. სწორედ ასე მოხდა ჩემსა და ვასიუკოვს შორისაც. მისი ხასიათი გადამლილი წიგნია. მის ცხოვრებაში ისეთი არაფერია, რაც უხერხულობას გაგრძნობინებდა. მისი გულკეთილობა — ეს დიდი ბავშვის გულკეთილობაა. თანაც ვასიუკოვი ჩინებულის, უკვე ცნობილი მეტეოროლოგია.

ახლა ვასიუკოვს ხანგრძლივი და ჭერჭერობით უთანაბრო ბრძოლა უზღდება აღელვებულ ზღვასთან. მისი საწოლის თავზე სურათების მთელი გალერეაა. კედელზე გაკრულია ოჯახის წევრთა ფოტოსურათი. ამ სურათზე ჩანან ვასიუკოვის ცოლი მარია, თვითონ ვასიუკოვი, მათი ბიჭუნა გრიშა და სიმამრი. შემდეგ გაკრულია ცოლის პატარა ფოტოსურათი, შემდეგ გრიშენკას დიდი სურათი. გრიშას შესახებ მე უკვე იმდენი ვიცი. რამდენიც კი შეიძლება იცოდეს კაცმა ექვსიოდე წლის ბიჭუნაზე, მის ხასიათზე, მის კითხვა-პასუხზე, მის მოულოდნელ ქცევაზე. მის მახვილგონიერებაზე, რაც ხშირად საგონებელში აგდებს ხოლმე დიდებს.

პირველ საღამოს, ძილის წინ, ვასიუკოვმა ჩემოდნიდან ამოიღო გრიშას ფოტოსურათი და თვალეზგაბრწყინებული დიდხანს დასცქეროდა. შემდეგ სურათი საწოლის ზემოთ გააქრა და წარმოთქვა:

— აბა, გრიშა, კარგად უღარაჯე მამიკოს ძილს!..

ჩვენ კიდევ ბევრი ვიბაასეთ გრიშაზე, ვთქვით, რომ იგი საოცრად დინჯად გამოიყურება სურათზე (ბიჭუნას ქურქი აცვია და

ხელში ნიჩაბი უჭირავს), რომ მას მხედართმთავრის გამომეტყველება და გარეგნობა აქვს. ბოლოს და ბოლოს იმ დასკვნამდე მივედით, რომ გრიშა ცოტათი ჰგავს კიდევ რომელიღაც მარშალს. ამრიგად, მარშალი, რომელიც გადაიქცა გრიშად, ანდა გრიშა, რომელიც გადაიქცა მარშლად, დარაჯობდა მამის ძილს. მართალია, სურათი ღამე ჩამოვარდნილიყო და გამოღვიძებულმა ვასიუკოვმა იგი საწოლში იპოვა საკმაოდ დაქმუქვნილი, მაგრამ გრიშა ხომ მაინც გრიშაა, კარგი მამის კარგი ვაჟკაცი, რომელიც ღამღამობით დარაჯობს ხოლმე მამის ძილს.

ნეტარ არიან ცოლები, რომელთაც ვასიუკოვის მსგავსი ქმრები ჰყავთ!..

მართლაც გამიმართლდა, თანამგზავრად რომ ასეთი კაცი შემხვდა. როცა იგი გუშინ საღამოს დიდხანს შესცქეროდა თავის მარიას, უნებლიეთ გავიფიქრე, როგორ გაუჭირდება-მეთქი ამ სათნო კაცს ხანგრძლივი და მძიმე ზამთრის დღე-ღამეებში ცოლის და შვილის გარეშე ცხოვრება. და განა მართო ამ კაცს გაუჭირდება?

© ნოემბერი  
ლა-მანში

დარიანი დღეა, ზღვაზე მსუბუქი ტალღები ირწყვიან. ხელმარჯენი ინგლისია.

ჩვენი ხომალდი ნაპირთან ახლოს მიცურავს. 14 საათსა და 00 წუთზე ჩავუარეთ დუვრს. ნაპირი კლდოვანია და დაბალი. ალაგ-ალაგ თეთრად ჩანს ცარცი. ირგვლივ აუარება გემი ირევა — უფრო მეტად ნავთობსასხმელი ტანკერები. სასიამოვნო როდია, როცა ვხედავთ, როგორ გვეწვიან და გვასწრებენ ისინი — დიდი სიჩქარე აქვთ ამ გემებს. მაგრამ დღეს ჩვენც ათ მილს გავდივართ საათში. ყველგან გემები, გემები, გემები... ჩემი დურბინი ყოველ წუთს სადღაც იკარგება, ელვის სისწრაფით გადადის ხელიდან ხელში, ხომალდის ერთი ბოლოდან მეორეში, ქიმიდან ქიმზე. „კოოპერაცი-აზე“ ბევრი ახალგაზრდაა, რომლებიც პირველად მოგზაურობენ გემით. ლა-მანშია ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა მათზე. ლა-მანში მართლაც ერთ-ერთი უმთავრესი სავაჭრო არტერიაა. ცნო-

ბილია, რომ გემებს შეუძლიათ უაღრესად აპათიურ ადამიანებსაც კი აღუძრან ინტერესი და ერთგვარი აღფრთოვანებაც. ოღონდ ნუ უყურებთ უკუნ ღამეში მიმავალ გემებს. არაფერია იმაზე მწარე და სევდისამშლელი, როცა გასცქერით გემის ოდნავ მბჟუტავ ნათურებს, თანდათანობით რომ იძირებიან ღამის წყვლიაღში.

ეს გრძნობა საოცრად ნაცნობია ჩემთვის.

მიუხედავად არასახარბიელო სიჩქარისა, გედვიით თეთრი „კოპერაცია“ ღამაში ჩანს სხვა გემების ფონზე.

„კოოპერაციისა“ და, სავრთოდ,  
ხომალდების შესახებ

ხომალდი რომ აღწერო, ან პროფესიული მეზღვაური უნდა იყო, ანდა ისეთი უვიცი, რომ ვერ ანსხვავებდეს გემის ცხვირს კიჩოსაგან. პროფესიული მეზღვაური ზუსტად იტყვის ყველაფერს, ჩამოთვლიან გემის ყველა დეტალს და მექანიზმს, დაასახელებს ყველა ციფრს, რომლებიც აღნიშნავენ სათავსოების ფართობსა და მოცულობას, ცხენის ძალის რაოდენობას, ხრახნის ბრუნს, წონას და ა. შ. უვიცი კი ნავსადგურში მდგომ ხომალდს პოეტური თვალით გასცქერის. მაგრამ თუ ზღვის აუადმყოფობა სჭირს — მძულვარედ. გემი მისთვის ხან მზეთუნახავია, ხანაც ავი სული. ყველაფერი დამოკიდებულია გარემო პირობებზე და უმთავრესად მოგონებათა ხასიათზე.

ყოველთვის, როცა რკინის ტრაპით ნახევრად ბნელ და ცივ ტრიუმში მიხდება ჩასვლა, საშინლად მაყრქოლებს ხოლმე. ჩემს თვალწინ ამოიმართება ოცდაერთის მოთამაშე ექვსი კაცი, ვხედავ აზარტისაგან აცახცახებულ ხელებში გაზინთულ კარტებს, ბანკში თავმოყრილ დაკმუჭვნილ ქაღალდის ფულს — ოთხი ათას მანეთს, მესმის ლითონის გემბანზე მოხვედრილი ტყვიების სტვენა, ზალხის ყვირილი და ყუმბარების გრუხუნნი. ყოველივე ეს მოხდა 1941 წლის აგვისტოში, ფინეთის უბეში, ლატვიის დიდი სავაჭრო გემის სატვირთო ტრიუმში. ამ გემით ჩვენ, კუნძულის მობილიზებული მცხოვრებლები, ტალინიდან ლენინგრადში მივცურავდით. გერმანელები მალლიდან გვიტყვდნენ. მტრის თვითმფრინავები ანძებამდე ეშვებოდნენ. რამდენიმე ასეული კაცი კი ვისხედით თუ-

ჯის საკანალიზაციო მილებზე, რომლითაც დატვირთული იყო ხომალდი. ჩვენ კარგად ვიცოდით: საკმარისი იყო მოგვხვედროდა ერთი მძიმე ფუგასური ბომბი და ყველანი ზღვის ფსკერისკენ წავიდოდით. ტრიუმფი ხაფანგად ქცეულიყო ჩვენთვის. რომც გექონოდა საშველი სარტყლები (ისინი გემზე არ გახლდათ), სულ ერთია, ვერ მოვახერხებდით რკინის ვიწრო ტრაპზე ამოსვლას და ერთმანეთს გადავქელავდით. ჩვენ არ ვიცოდით, რა ხდებოდა ზემოთ, არ ვიცოდით, რომ საპაერო თავდასხმის პირველ წუთებშივე საკომანდო ბოგურიდან ყველაფერი აღგვილიყო. მგზავრთა უმრავლესობას ჯერ კიდევ მთელი სიცხადით ვერ შეეგნო, რა საფრთხე გველოდა. ვერც მე წარმომედგინა იგი სავსებით. ვინაიდან პოლიტხელმა აზარტული თამაშობები აგვიკრძალა, მთელი საპაერო თავდასხმის მანძილზე კიბესთან ვიდექი, რაა ბანქოს მოთამაშეებს დაწყებული ხელი დაემთავრებინათ. ამ დარაჯობისთვის ისინი თხუთმეტ-თხუთმეტ მანეთს მაძლევდნენ ყოველი ბანკიდან. ჩემთვის მაშინ ეს ფული საკმარად ბევრი იყო. მოთამაშეთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ მაშინაც არ შეუწყვეტიათ თამაში, როცა გემის ცხვირს ყუმბარა მოხვდა და ტრიუმფის კედლიდან ენგი ჩამოცვივდა. ალბათ, აზარტი მათთვის შიშისაგან თავის დაღწევის თავისებურ საშუალებად იქცა. საპაერო თავდასხმის შემდეგ ისევ გემბანზე ამოვედით და დავინახეთ დამსხვრეული კანჯო, ტყვიით დაცხრილული დროებითი საპირფარეშოს კედლები და ჩვენი ალაღის ერთ-ერთ გემზე ავარდნილი ხანძარი. ჩვენთვის საბოლოოდ ნათელი გახდა, რა ქარტეხილს გადაეგლო აქ. თუ გერმანელები ისევ დაგვესხმოდნენ, ალბათ, მხოლოდ ტყვიამფრქვევით შეგვრეკავდნენ უკან. ჩვენ ვიგრძენით შიში ტრიუმფის მიმართ.

გემები ჩვენში სხვადასხვა შთაბეჭდილებას იწვევს და სხვადასხვა ფიქრს აგვიშლის ხოლმე. მიუხედავად იმისა, რომ ქაშაყმჭერი ტრაულერი მეტად კეთილმოწყობილია და კარგი მექანიზმითაა აღჭურვილი, იგი ხშირად მაგონებდა ზურგჩადრეკილ, პატარა, ღონიერ და უდრეკი ხასიათის საარემულ ცხენს. ჩვენი ერთ-ერთი უდიდესი ქაშაყმჭერი მცურავი ბაზა „არქტიკა“, რომელსაც დიდხანს ვათვალთვარებდი კლარკედის ნავსადგურში, ბუმბერაზობით თევზის დიდ ქარხანას ჰგავდა. ისეთი შთაბეჭდილება გრჩებოდათ, თით-



ქოს ეს ქარხანა ფოლადის ბლაგვეცხვირა კორპუსში იყო მოთავსებული. ადამიანები ბუზისოდენად მოჩანდნენ გემზე. ისინი ჰგავდნენ ფაბრიკის ან მცურავი დოკის მუშებს, რომლებიც თითქოს სრულიად მოწყვეტილიყვნენ ქვეყნიერებას.

ერთხელ, 1955 წლის ივნისის ღამეს, სკაგერაკში გვერდით ჩაუვარეთ ღუზაზე მდგომ ინგლისურ ავიამზიდს. ხომალდს სამას მეტრზე მეტი სიგრძის ასაფრენი გემბანი ჰქონდა, რის გამოც მისი ზემონაწილი ღვეზელივით განიერი ჩანდა. ამ მცურავი აეროდრომის მეორე ბოლოში აღმართული საკომანდო კოშკურა უთანაბროს ხდიდა არამართო ფოლადის ამ მართკუთხა ფართობს, არამედ მთელ ხომალდს. ისარივით წაგრძელებული ვიწრო კორპუსი, რომელიც არც კი ჩანდა ასაფრენი გემბანის ქვეშ, სოლივით შექრილიყო წყალში. ხომალდი მოტორიანი ნაკებით იყო დატვირთული. რუბნი და პირქუში, საესებით ჩაბნელებული ხომალდი თავის შენიღბული ოკულარებით შემოგვეცქეროდა ღამის წყვდიადში. წყნარ ზღვაზე ეს მრავალტონიანი ზორზობი ხომალდი უსარგებლო, მტრული და საშიფათო ჩანდა. აღმოსავლეთისაკენ ცხვირმიშვერილი ერთხელ კიდევ მოგვაგონებდა, რომ ომი, რომელიც 1945 წელს დამთავრდა, სიზმარი კი არა, ცხადი იყო და დასავლეთში ზოგიერთები ისევ ოცნებობენ მის განმეორებაზე. ღია ზღვაში გემის დანახვა გამოცოცხლებას იწვევს ხოლმე. ადამიანებს აუშლის ფიქრებს შორეულ ნაპირებზე ან შიტოვებულ სახლ-ქარზე, მაგრამ, როცა სკაგერაკში ამ ავიამზიდის გვერდით მიეცურავდით, სიკვდილის სუნი გვეცა.

„კოოპერაციას“ ჯერ კიდევ ცუდად ვიცნობ და წინასწარ არ შემიძლია ვთქვა, რა მოგონებები დამრჩება მასზე ნაოსნობის დამთავრების შემდეგ. ალბათ, სხვადასხვანაირი: ნაღვლიანიცა და ხალისიანიც, შფოთიანიცა და უშფოთველიც. ჩემი განწყობილება გადაეცემა გემს, ხოლო გემის განწყობილება გადმომეცემა მე. ახლა გრძელ დერეფნებში სიჩუმე სუფევს, მკრთალი სინათლე იღვრება ნათურებიდან. დერეფნის გასწვრივ უამრავი კარია ჩამწყკრივებული და რიტმულად ირხევა ფარდები. აქ ყველაფერი მყუდროებას მოუცავს, ყველაფერში ოჯახური სითბო იგრძნობა. მყუდროება შეიძლება დაირღვეს, მაგრამ ოჯახური სითბო არ განელდება.

სანამ „კოოპერაციას“ ანტარქტიკის გზას გაუყენებდნენ, დიდ-

ხანს დავობდნენ ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარ სამმართველოსა და მეცნიერებათა აკადემიაში, ვარგისი იყო თუ არა იგი და პქონდა თუ არა საკმარისი სიმძლავრე ასეთი ნაოსნობისათვის. ბევრი ამ ხომალდის გაგზავნის წინააღმდეგი იყო. ბოლოს, „კოოპერაცია“ რთულ და ძნელ პირობებში წარმატებით იმოგზაურა ჩრდილოეთის ყინულოვან ოკეანეში და დავატ შეწყდა -- არჩევანი მას ერგო.

„კოოპერაცია“ პატარა ხომალდია. სრული დატვირთვის დროს მისი წყალწყევა 5560 ტონას უდრის. სიგრძით 103 მეტრია, სიგანით 14 მეტრი. მისი დიზელები „MA“ მარკისაა და თვითეული 1400 ცხენისძალიანია, გემის მაქსიმალური სიჩქარე (რომელსაც ჩვენ ჯერჯერობით ვერ მივალწიეთ, და ალბათ, ვერც მივალწიეთ) 11,6 მილს უდრის საათში.

გარდა ეკიპაჟის სადგომებისა „კოოპერაციას“ აქვს ას ოცადგილიანი ოცდაჩვიდმეტი კაიუტა.

ხომალდს აქვს აგრეთვე ოთხი ტრიუმი. რეფრიჟერატორიან ტრიუმებში შეიძლება დაეტიოს ათას ტონაზე მეტი ისეთი პროდუქტი, რომელიც მალე ფუჭდება. საქესამართი და ლუზის ჯალამბარა ელექტროენერგიით მოძრაობს. ხომალდზე დადგმულია საკმაოდ კარგი მიმღები და გადამცემი რადიოაპარატურა, გიროკომპასი და რადიოლოკატორი. რაც მთავარია, მას აქვს უაღრესად მაგარი კორპუსი, რომელიც ყინულის წნევას უძლებს. რასაკვირველია, ორი ათას რვაასი ცხენისძალიანი დიზელი საკმარისი არაა სამხრეთის ყინულოვან ოკეანეში. ისიც უნდა ითქვას, რომ „კოოპერაცია“ არ არის თანამედროვე ახალი გემი, იგი შუა ხნისაა, შეიძლება უფრო ხნიერიც.

ხომალდი ააგეს 1929 წელს ლენინგრადის გემსაშენში. მაშინ „კოოპერაცია“ ერთ-ერთი ყველაზე თანამედროვე კონსტრუქციის გემი იყო. 1929 წლიდან 1937 წლამდე იგი რეგულარულად მიმოდინდა ლენინგრად—ჰავრ—ლონდონის ხაზზე. გადაჰყავდა მგზავრები და გადაჰქონდა ტვირთი. ამას მოსდევს ყველაზე ლამაზი და დიდებული ნაწილი მისი ბიოგრაფიისა: 1937 წელს „კოოპერაციას“ გადაჰქონდა ტვირთი რესპუბლიკური ესპანეთისათვის.

შემდეგ იგი უხილავი ძაფებით მჭიდროდაა დაკავშირებული

ჩრდილოეთთან და ყინულებთან. ჩრდილოეთ პოლუსზე ვალერი ჩკალოვის გადაფრენის შემდეგ „კოოპერაციამ“ საფრანგეთიდან საბჭოთა კავშირში ჩამოიტანა ჩკალოვის თვითმფრინავი. როცა ვლადიმერ კოკინაჟი ჩრდილოეთ პოლუსზე გადავლით მიფრინავდა, „კოოპერაცია“ რადიოშუქურის მოვალეობას ასრულებდა. დიდი სამამულო ომის პერიოდში იგი ჩრდილოეთის სამხედრო ფლოტის შემადგენლობაში იყო და წარმოადგენდა ბაზას სატორპედო კატარღებისათვის. 1947-1948 წლებში „კოოპერაცია“ ისევ დაუბრუნდა მკუდრო, მშვიდობიან ცხოვრებას. ლენინგრად—შჩეცინის ხაზზე გადაჰყავდა მგზავრები, გადაჰქონდა ტვირთი.

1949-1952 წლებში დამაშვრალი, დაზიანებული ხომალდი ვისმარში იდგა შესაკეთებლად. რემონტის შემდეგ, 1954 წლამდე ბალტიის ზღვის და დასავლეთ ევროპის ნავსადგურებს შორის მიმოდირდა. 1954 წლიდან მუშაობდა არქტიკაში. ახალგაზრდობის მოსკოვის ფესტივალის დამთავრების შემდეგ სამშობლოში ჩაიყვანა ისლანდიის დელეგაცია.

1956 წელს „კოოპერაციამ“ მირნიში წაიყვანა მეორე კომპლექსური ანტარქტიკული ექსპედიცია. ამჟამად იგი მეორედ მიემგზავრება მეექვსე კონტინენტზე. ბევრი გემი როდი სარგებლობს ამდენი ნდობით.

რა თქმა უნდა, „კოოპერაცია“ შეიძლებოდა ყოფილიყო უფრო დიდი, უფრო განიერი და მძლავრი ხომალდი, ჰქონოდა ახალი დიზელები და მეტი სიჩქარე. ერთი სიტყვით, შეიძლებოდა უფრო ახალგაზრდა ყოფილიყო ხნოვანებით. მაგრამ კაპიტან ანატოლი საველის ძე იანცელევიჩის და სამოცკაციანი ეკიპაჟის გამოცდილება, ყინულებში მრავალნაცადი კორპუსი, ექსტონიანი ხრახნის აუჩქარებელი და დინჯი ზრუნვა ბევრს ნიშნავს. ღონიერი ჰაბუკის გვერდით, რომელიც მუდამ მიიჩქარის, მუდამ მისწრაფვის, კარგია იარო მანამ, სანამ გზა იოლია და სასიამოვნო. მაგრამ საკმარისია შემოხვდეს სიძნელეები, დაბრკოლებები, და ჰაბუკს სახე მოელუშება, სულით დაეცემა. ჩვენი ხომალდი კი მრავალნაცადი მორბედი, ამასთან დინჯი, შეუპოვარი და მშვიდი. მას შეიძლება მიეწოდოს.

დღეს მოვამთავრეთ კედლის გაზეთი. არა უშავს, კარგი გამოგვდა. ხომალდზე ძალიან ხათრიანი ხალხია თავმოყრილი. მხატვრებიც

კი გამოვნახეთ. განსაკუთრებით დაგვეხმარნენ: რადისტი ბორის ჩერნოვი, რომელიც დიდი ხანია მუშაობს ჩრდილოეთში და კარგადაც ხატავს (იგი, როგორც ყველა რადისტი, ასევე კარგად ბეჭდავს ხელის მანქანაზე), გამოცდილი პოლარული მფრინავი ვსევოლოდ ივანეს ძე ფურდევკი, აეროლოგები—ოლეგ ტორეჟუტკინი და ვლადიმერ ბელოვი და მირნის საწყობების მომავალი უფროსი სერგეევი.

ხომალდზე წინასაღღესასწაულო, ხალისიანი განწყობილება სუფევს. ვარვარებს უთოები, ზუზუნებს ელექტროსამართებლები. ხვალ შედგება საზეიმო კრება, გვექნება საღღესასწაულო სადილო და თვითშემოქმედების კონცერტი.

საღამოს მოვიწვიე კედლის გაზეთის აქტივი. არ გვიხმაურია, მაგრამ კარგად ვიმხიარულეთ. თითქმის ყოველთვის ასეა ხომალდზე, თუკი ჩუმ-ჩუმად ერთ ან ორ ბოთლ კონიაკს ხუხავ. კაიუტა თხელკედლიანია და, თუმცა მეზობლები წვრილმანი და შარიანი ხალხი არაა, ხმაური მაინც აწუხებთ, მით უმეტეს, თუ გვიანაა. გამახსენდა 1955 წლის ივანეს ღამე<sup>1</sup> ჩრდილოეთ ატლანტიკაში. მე და კაპიტანი მის პატარა კაიუტაში ვისხედით და სხვადასხვა მშვენიერ სიმღერებს ვმღეროდით, მაგრამ ვმღეროდით ისე ჩუმად, რომ ძლივს გვესმოდა ჩვენივე ხმა. დღეს, აქაც, ჩემს კაიუტაშიც გაისმოდა ისეთივე ხმადაბალი დუდუნი, კიქაში ჩასხმისას კონიაკის ჩუმი ლიკოკი, ქალღმადგადაფარებულ, მოქანავე სუფრაზე აგორებული ვაშლების ხმიანობა. ლა-მანში მშვიდადაა. უბერავს ზურგის ქარი, ღია სარკმლიდან მოისმის ზღვის ნელი ტლაშენი...

სამყარო, რომელშიც ამ საღამოს პირველად მოვხვდი, პოლარული მკვლევარებისა და მოგზაურების სამყაროა. ეს სამყარო ანადგურებს კაცს თავისი უკაცრიელობით, ქარბუქებითა და, როგორც ამბობენ ხოლმე, იშვიათი დუმილით, რომელიც ფიზიკურად მოქმედებს ადამიანებზე. ეს სამყარო ახლა ჩემს თვალწინ გადაიშალა არა ნანსენის, ბერდის, შეკლტონის და ამუნდსენის წიგნების წყალობით, არამედ ცოცხალი ადამიანების წყნარი მონათხრობის შედეგად.

---

<sup>1</sup> ივანეს ღამეს ხალხური ტრადიციით 24 ივნისს აღნიშნავენ ესტონეთში; ანთებენ კიაკოკონებს, ეწყობა ღამის სეირნობა.

ფურდეციმ გვიამბო ჩრდილოეთის ყინულოვან ოკეანეზე თავისი გადაფრენის ამბები. მოგვითხრო, როგორ ამარაგებდნენ კვლევით სადგურებს — „ჩრდილოეთ პოლუსებს“. გაიხსენა ჩვენი ესტონელი მფრინავი ენდელე პუუსეპე, რომელიც ყველა პოლარულ მფრინავს ასოვს. ფურდეციმის სწავლულის იერი გადაჰკრავს, თხრობაც მეცნიერული იცის, მაგრამ შეუძლია ისე ცოცხლად აღწეროს თვითმფრინავები, საჰაერო ოკეანე, შტორმები, ავარიები, კარგი და ცუდა აეროდრომები, რომ მაშინვე ყველაფერი თვალნათლივ წარმოგიდგება. იქნებ მოეახერხო და მასთან ერთად თვითმფრინავით ვიმოგზაურო ანტარქტიკაში. მეორე მფრინავი აფონინი ფურდეციკით პირველად მიემგზავრება სამხრეთ პოლუსზე. იგი 1935 წლიდანაა პოლარელი. ვერტმფრენით ყოფილა „ჩრდილოეთ პოლუს 4-ზე“. ერთხელ, დომინოს თამაშის დროს, მოულოდნელად მაგიდაზე მიმითათა და მითხრა:

— ხორგი, რომელზედაც მოთავსებული იყო „ჩრდილოეთ პოლუსი 4“, ამ მაგიდისოდენა იყო, ბოლოს კი დომინოს ამ ქვაზე უფრო პატარა გახდა.

აფონინმა ეშმაკური გაღიმება იცის. სახე ნაოქებით დადარვია. ტანმორჩილია და ჩაფსკენილი. ოდნავადაც არ აწუხებს ზედმეტი სიმსუქნე. აფონინი მაგონებს ერთ-ერთ კაპიტანს, რომლის თავგადასავალმა შთაბაგონა პოემა „ქარიშხლის ვაჟის“ დაწერა. ჩვენს შედარებით ახალგაზრდულ კოშპანიში იგი ბუდასავით მშვიდია და უდრტივინველი. როცა თავისი თავგადასავლის თხრობას დაიწყებს, სახეზე განცვიფრება გამოეხატება ხოლმე. ჩრდილოეთის ყინულოვან ოკეანეში ერთ-ერთი დასაჯდომი მოედნის გაქრობის ამბავი მან ასე გვიამბო:

— გამოვძებნეთ კარგი ხორგი, მოვაწყვეთ მშვენიერი დასაჯდომი მოედანი. მეორე დღეს კი სადაა მოედანი, გამქალა. ვერტმფრენით გავწიე მის საძებრად და კვალს ექვსი კილომეტრის დაშორებით მივაგენი. მესამე დღეს იგი (აფონინმა რამდენიმე მაგარი სატყუა იხმარა მოედნის მისამართით) თორმეტი კილომეტრით დაგვშორებოდა. უკანასკნელად ორმოცდახუთ კილომეტრზე ვიპოვე და მერე აღარ მინახავს. ეშმაკმა იცის, სად გაქრა.

და ამ ეშმაკმა იცის, სად გაქრამ“ იგი კვლავ საგონებელში ჩააგდო, სახეზე გაოცება აღებეჭდა.

სტუმრები დაიშალნენ. შუალამე გადავიდა. ხომალდის საათი პირველს უჩვენებს. ახლა ტალინის დროით ოთხი საათია. მაშასადამე, ზეიმი უკვე დაიწყო. გავალვიძე ვასიუკოვი, რომელსაც ჩვენი ხანგრძლივი სერობის მანძილზე უზრუნველად ეძინა თავისი ბიჭის მფარველობის ქვეშ. მან თვალეები მოიფშვინტა, მოათვალიერა არეულ-დარეული კაიუტა და შემეკითხა:

— რა მოხდა აქ, პოლტავის ომი ხომ არ იყო?

ერთმანეთს მივულოცეთ დღესასწაული, ვახსენეთ სამშობლო, რომელსაც უფრო და უფრო ვშორდებით, მოვიგონეთ ახლობლები.

„რევოლუციის ხომალდები სუფთა უნდა იყოს!“ — ამბობს „ესკადრის დაღუპვის“ ბოცმანი, და მეც შევუძღე კაიუტის დალაგებას.

7 ნოემბერი

ლ ა - მ ა ნ შ ი

დღეს ხომალდზე დიდი ზეიმია. ვესალმებით ერთმანეთს და ვუსურვებთ ბედნიერ დღესასწაულებს. სალონში სასაუზმოდ თავმოყრილი საზოგადოება თეატრის პრემიერაზე მოსულ ხალხზე ნაკლებად როდია გამოწყობილი. მოდის და მოდის რადიოგრამები. მათ არიგებს ექსპედიციის კომენდანტი გოლუბენკოვი. იგი სულსწრაფა ადამიანებითაა ყოველთვის გარშემორტყმული. ვიცი, დღეს, ალბათ, არაფერს გამომიგზავნიან, მაგრამ გოლუბენკოვს მაინც ვერ ვცილდები. ზღვაზე აშკარა ხდება, თუ რას ნიშნავს შინიდან მიღებული ორიოდე სიტყვა.

დაიწყო ექსპედიციის საზეიმო კრება. ლაპარაკობს კაპიტნის პირველი თანაშემწე რიაბინანი. შემდეგ კითხულობენ რადიოგრამებს. რადიოგრამები მივიღეთ „ობიდან“ (იგი, ალბათ, ახლა რვა ათასი მილით მაინცაა ჩვენზე წინ) მირნიდან, ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარი სამმართველოდან, აკადემიკოს ბარდინისაგან და ა. შ.

ორ საათზე სადღესასწაულო სადილი გვაქვს. ოთხ კაცზე გვაძლევენ თითო ბოთლ არაყსა და თითო ბოთლ ქართულ ღვინოს.

ვსვამთ ჩვენი სამშობლოს სადღეგრძელოს, ექსპედიციის წარმატების სადღეგრძელოს, „კოოპერაციისა“ და მისი კაპიტნის სადღეგრძელოს. რეისის უფროსი ალექსანდრე პავლეს ძე კიბალინი სვამს ჩვენი საყვარელი ადამიანების — ცოლებისა და საცოლეების სადღეგრძელოს. გაისმის მქუხარე ტაში, რომელიც ოვაციად იქცევა. ყველანი ფეხზე დგებიან. სადილის შემდეგ ყველა შეჭიკჩიკობულია.

ინსტრუქციის მიხედვით მაგარი სასმელების შენახვა აკრძალულია. ამის შესახებ არა ერთხელ გაგვაფრთხილა ხომალდის რადიოკვანძმაც, მაგრამ ჩემოდნებიდან, საწოლს ქვემოთა ბნელი კუნჭულებიდან, ჩანთებიდან, განჯინებიდან მაინც გამოაცოცეს გადამალული ბოთლები. ხომალდზე უმეტესობა ახალგაზრდობაა, ყველა ჯანმრთელია და აუგუსტ ალეს<sup>1</sup> არ იყოს, არაფინაა მათ შორის „სტაფილოწუნია“. უნდა ითქვას, რომ ჩვენი ლხინი არ სცილდება საზეიმო მხიარულების ჩარჩოებს. აქ დისციპლინიანობა ხალხია.

ხუთ საათზე მუსიკალურ სალონში დაიწყო ექსპედიციის წევრთა თვითშემოქმედების კონცერტი. მართალია, რამდენიმე დღის წინათ ჩამოყალიბებულმა ახალგაზრდა კოლექტივმა ვერ შეძლო ვრცელი პროგრამის მომზადება, მაგრამ ყველა სიმღერა კარგად შეასრულეს და მსმენელებიც გულთბილად შეხვდნენ მათ.

მე განსაკუთრებით მიყვარს ზოგიერთი სიმღერა. ატლანტიკის ოკეანეში, თევზსაქერ გემზე მთელი დღეები უკრავდნენ „ცირცელოს“:

ქე, აქოჩრილო ცირველო,  
აფეთქებული თურად...<sup>2</sup>

ყოველთვის სიამოვნებით ვისმენდი ამ სიმღერას. ახლაც „ცირცელო“ იმღერეს. ეს სიმღერა თითქოს საგანგებოდაა შექმნილი ხომალდებზე, ხანგრძლივ განშორებაზე და ოჯახის დარღვევი ნალვლიანია, ლამაზი და ყველას ერთნაირ ფიქრებს აგვიშლის ხოლმე.

1. აუგუსტ ალე (1890—1952)—გამოჩენილი ესტონელი პოეტი-სატირიკოსი.

2. წიგნში ჩართული ლექსები თარგმნა მურმან ლებანიძემ.

კონცერტის შემდეგ სალონში ცეკვები გაიმართა. ეკიპაჟის სა-  
შოც წევრს შორის შეიძლია თუ რვა ქალია — მზარეულები, სტიუარ-  
დესები, დამლაგებლები. დღესასწაულის გამო დღეს არ მუშაობენ.  
ქალებს ფორმის მწვანე კაბები აცვიათ. ისინი უზომო ყურადღებით  
არიან გარემოსილნი. მოზეიმენი ერთმანეთს არ აცლიან და მათ  
წამდაუწუმ იწვევენ საცეკვაოდ. ხომალდი ირწყევა, დროდადრო  
გემბანი ათი გრადუსით იხრება, მაგრამ ეს არავის აწუხებს.

სალამოს კინოსურათს უჩვენებენ.

როცა დიდხანს გიხდება ნაოსნობა, ამჩნევ, რომ ახალგაზრდობას,  
ანდა იმ ადამიანებს, რომლებიც პირველად შორღებიან ნაპირს, ცო-  
ტა სხვაგვარად ეხატებათ საკუთარი მიწა-წყალი, საკუთარი სამ-  
შობლო, ვიდრე ხმელეთზე ყოფნის დროს. მათ წარმოდგენაში  
უფრო ნათლად ინაკვეთება მშობლიური მიწისთვის დამახასიათებ-  
ელი ნიშნები და დროისა და მანძილის ზრდასთან ერთად ემატებათ  
სინაზე სამშობლო მხარისადმი. სწორედ ეს სინაზე, მშრომელების  
სწორედ ეს სიყვარული განსაზღვრავს ჩვენს დღევანდელ განწყო-  
ბილებას. გარდა ამისა, ექსპედიციის წევრებს შორის შეინიშნება  
კიდევ ერთი თვისება: თითქმის ყველა — მეცნიერი თუ ტექნიკო-  
სი — ამაყობს სამამულო ტექნიკით. მათ სიამაყეში არ იგრძნობა  
არც დასაველეთის მეცნიერების კუდაბზიკური უგულებელყოფა, არც  
„კუდიტ ქვის სროლინება“, მაგრამ იგრძნობა ღრმა რწმენა იმისა,  
რომ საბჭოთა მეცნიერება მსოფლიოში არავის წინაშე არ შერცხ-  
ვება.

ჩემი ფიქრები ახლა თავს დასტრიალებს ესტონეთის ქალაქებს,  
სოფლებს, შარაგზებსა და სრუტეებს. გონებაში ხორცს ისხამს მო-  
ზაიკა, მოოქვილი ნაირფერადი ნამსხვრევეებით; ეს ნამსხვრევებია —  
ხალხი, მათი შრომა, მათი საზრუნავი, მათი სიხარული და სიმღე-  
რები, სამხრეთ ესტონეთის მთაგორიანი, ლურჯთვალა ტბის პეიზა-  
ჟები, ჩრდილოეთ ესტონეთის ქვიანი დაბლობები, ლეგა ფერის ცივი  
სრუტეები, დიდ და პატარა კუნძულებზე შემოდგომის ტყეების  
ხასხასა ფერები. შესაძლოა ყოველივე ეს უფრო მკაფიოდ დამენახა,  
რომ ჩემს გონებაში გადაშლილ რუკას გადაკრული არ ჰქონდეს



ჯავშანი გაცვეთილი პოეტური ლექსიკონისა, რომელშიც ხშირად ვერ იპოვი სიძულვილს იმის მიმართ, რაც საძულველია, და სიყვარულს იმის მიმართ, რაც ღირსია სიყვარულისა; რომელშიც ხშირად არაა გრძნობა შენი სამშობლოს, შენი ქვეყნის და შენი დროის მიმართ ჯერაც გადაუხდელი ვალისა.

გონებაში გადაშლილი რუკის შუაგულიდან შემომცქერის ვირტის ტბის ნუშისმაგვარი ლურჯი თვალი, და მაგონდება უიტმენის სიტყვები:

მიწაჲ! შენ ჩემგან რაიმეს ელი?  
თქვი, ჩემო ძველო, მაინც რა გინდა?

და ის უპასუხებს:

ველი და მინდა,  
შეპიცვალონ შეილებმა სახე!

1957 წლის 8 ნოემბერი

ბისკაის უბე

ბისკაის უბე არ ღელავს, სადღაც ჩვენს წინ შტორმი ბობოქრობს, ზურგს უკანაც შტორმი. „კოოპერაცია“ კი მყუდრო ზონაში მიაპობს ზვირთებს. რა თქმა უნდა, ჩვენ მივცურავთ არა ბისკაის უბის შუაში, არამედ მის განაკიდეს, რომელსაც დასავლეთით ატლანტის ოკეანე ემიჯნება. წყნარი, ნაღვლიანი დღეა. დღეს არა-ეინ მუშაობს. ყველანი კაიუტებში შეხიზნულან, ერთი სპეციალობის ხალხი უმეტესად ერთად შეკრებილა. ცალკეულ ჯგუფებს უკვე მუდმივი წევრები გაუჩნდათ.

დღისით მზე აცხუნებს. ბისკაის უბის ნაცრისფერ ზედაპირზე გამოჩნდა მწვანე ფერის ვეება ჩრდილები. დღეს პირველად შემოგვხვდნენ დელფინები. სულ ექვსნი იყვნენ. ისინი თითქმის ერთი საათი ანცობდნენ გემის ცხვირთან, ფორშტევენის ზვირთებში, ყურყუმელაობდნენ. წყლიდან ხტოდნენ, გვართობდნენ. რა საოცრად ჰგვანან დელფინები გოჭებს.

გემზე მიმოდინ ადამიანები, რომლებზეც ვერ იტყვი უბედურებათაო, მაგრამ სერიოზულნი კი არიან. კომენდანტ გოლუბენკოვის გა-

მოჩენა იმედის ნაპერწკალს უღვივებს მათ. კისაც შინიდან ჯერაც არ მიუღია რადიოგრამა, მაგრამ როცა გოლუბენკოვი მათთან არ მიდის და არაფერს აწვდის. ალღელებული, დავიწყებული ქმრები პაპიროსის ნერვიულად ქაჩვას იწყებენ. მოსაწვევი სალონიდან გადიან ვერანდაზე. ვერანდიდან ისევ სალონში ბრუნდებიან. შემდეგ ცოტა ხნით ადიან სამგზავრო გემბანზე, იქიდან გადადიან საკარკაპეში და ბოლოს თავს ამოყოფენ ზემო ბოგურაზე. მათ საკუთარი ხელებიც კი არ ემორჩილებათ და ბედშავთა როლის შემსრულებელ ახალბედა მსახიობებს ჰგვანან. რადიოგრამა არც მე მიმიღია და, ალბათ, მათზე უკეთ არც მე გამოვიყურები. გოლუბენკოვთან კი მაინც არ მივდივარ, არც არაფერს ვეკითხები, იგი მიცნობს და რაიმე რომ იყოს ჩემს სახელზე, თვითონვე მეწვეოდა კაიუტაში. არავის სურს იწუწუნოს. ერთმა უიღბლომ უკვე სცადა ცოლისთვის ესაყვედურა, მაგრამ ასე დაამშვიდეს:

— აბა, რა გეგონა? ალბათ, შენმა ცოლმა დღესასწაულთან დაკავშირებით სადმე შეიარა, დილამდე იცეკვა და ახლა მხოლოდ კვალრები აგონდება. შეიძლება ერთხელ გაგიხსენოს, სამაგიეროდ თორმეტჯერ დაგივიწყებს. რას ნერვიულობ?

ჩეხოვი სადღაც ამბობს, თუ კაცს ხუმრობა არ ესმის, ყველაფერი წყლის ნაყვანაა. ხუმრობა ვერც ამ ამხანაგმა გაიგო. თუმცა, სიმაართლე რომ ითქვას, ცოტა მკაცრად კი ამშვიდებდნენ. ნახევარი საათის შემდეგ გემბანზე გავედი. ჩენი უიღბლო თანამგზავრიც გემბანზე გამოსულიყო, მოაჯირს დაყრდნობილი ბისკაის უბეს გასცქეროდა და, ალბათ, ვერაფერს ხედავდა.

როცა ზღვაში ხარ, უნდა შეგეძლოს საკუთარ თავზედაც იხუმრო, უნდა შეგეძლოს დროებით მაინც გაართვა თავი საკუთარ საზრუნავსა და შავ ფიქრებს. სხვაგვარად ძალიან გაგიჟირდება.

სწორედ იმ დროს, როცა ჩვენს კაიუტაში თავი მოიყარეს ჩემმა და ვასიუკოვის მეგობრებმა, ვასიუკოვს რადიოგრამა მოუტანეს. „ვაიიშვილები“ — მიწერილი ჰქონდა რადიოგრამას (მისი უმცროსი ბიჭი ექვსი თვისაა). ვასიუკოვი საწოლზე შეხტა და არნახული ცეკვა წამოიწყო. უსაზღვრო სიხარულის გამომხატველი იყო ეს ცეკვა. მერე მარცხენა ხელში ჩაბლუჯულ რადიოგრამას ყველას

უჩვენებდა, მარჯვენათი კი უკვე პასუხს წერდა. რაოდენ ძლიერადაა ეს კაცი დაკავშირებული ხმელეთთან.

სალამო უამს ქარი გაძლიერდა. „კოოპერაცია“ მდაბლად უკრავს თავს ბისკაის უბეს. გემბანიდან კაიუტაში დავბრუნდი. სარკმლიდან შემოჭრილ ქარს გადაეშალა ნანსენის წიგნი „გრელანდიის გადასერვა თხილამურებით“ და კითხულობდა, ფურცლავდა სწრაფად, გვერდების გამოუტოვებლად, მხოლოდ წამით თუ შეჩერდებოდა წიგნში ჩაკრულ ცარცის ქალღღებზე.

სალამოები და ღამეები უკვე კუნაპეტი გახდა. დღეს მთვარე არ ჩანს, მთელი ცა საადრო ღრუბლებითაა მოქუშული, ქექა-ქუხილი არემარეს აყრუებს. ბისკაის უბის ცის კიდურზე დროდადრო იკლანება ელვა. იგი ძალიან შორსაა, მაგრამ კაშკაშაა და თვალსა ქრის. ელვით განათებული წყალი ანტრაციტივით შავია. აქა-იქ დროდადრო თეთრად აქაფებული ტალღები მოჩანს.

ვნახეთ ბუნების თავისებური მოვლენა — ღამის ცისარტყელა. ცისარტყელა გამოჩნდა დასავლეთით, გემის მარჯვენა მხარეს. იგი დღის ცისარტყელასავით ნათელი არ იყო, მაგრამ კარგად ჩანდა შავი ღრუბლების ფონზე.

სალამოს რამდენიმე კაცი შევიკრიბეთ კაპიტანთან. დღესასწაულის აღსანიშნავად კაპიტანმა პატარა წვეულება გამართა. მისი კაიუტა დანარჩენ კაიუტებზე მალაა და უფრო მეტადაც ირყევა. იმ სალამოს რამდენიმე თეფში დაიმსხვრა. ვსაუბრობდით „პინგვინებზე“. ბურხანოვი მათი დიდი მცოდნეა. თურმე ზღვაზე გამოცდის დროს „პინგვინებს“ ხუთბალიანი ღელვისთვის გაუძლიათ. კაპიტანი ბევრ საინტერესოს გვიამბობდა „კოოპერაციაზე“, მის რეისებსა და განსაკუთრებით მის ხრახნზე. ამჟამად ხომალდზე დადგმულია ფოლადის ხრახნი. თეორიის მიხედვით მხოლოდ და მხოლოდ ფოლადის ხრახნი უძლებს არქტიკისა და ანტარქტიკის ყინულებს, თუმცა ბევრს ექვი ეპარება. „კოოპერაციის“ ბრინჯაოს ძველი ხრახნი ტრიუმში განისვენებს.

ამ ხრახნით ორი მილით მეტს გავივლიდით საათში. თურმე ხრახნების შესახებ სპეციალური მეცნიერების ცალკე დარგია შექმნილი.

სადაც ხელმარცხნივ პორტუგალია მდებარეობს.

ყველა წერს წერილებს მშობლებს, მეგობრებს, ხვალ ან ზევ უნდა შემოგვხვდეს მკურავი ბაზა „ყაზანი“. თუ ლელვა არ იქნა და გემს წერილები გადავცით, იგი ჩვენს ფოსტას რამდენიმე დღეში ჩაიტანს ოდესაში. წერილს მეც ვწერ.

დღისით პროფესორმა მარკოვმა წაიკითხა ლექცია ანტარქტიკაზე. ლექცია ჩატარდა მუსიკალურ სალონში, სადაც თითქმის მთელი ექსპედიციის წევრებმა მოიყარეს თავი. აი, რამდენიმე ცნობა ანტარქტიკის შესახებ:

საერთო ფართობი უდრის 14.100 ათას კვადრატულ კილომეტრს, ეს მატერიკის ფართობია. მას უნდა დაემატოს აგრეთვე ყინვარის ფართობიც — 930 ათასი კვადრატული კილომეტრი, საშუალო სიმაღლე 2200 მეტრია (სხვა მატერიკებზე საშუალო სიმაღლე უდრის 850 მეტრს). ეს არაჩვეულებრივად დიდი სიმაღლე შედეგია ანტარქტიკის ყინულოვანი საბურველისა. მეცნიერებმა აქამდე ვერ მოახერხეს კარგად ჩაეხედათ ამ საბურველქვეშ. მათ ჯერ კიდევ ცუდად იციან, რა იმალება იქ<sup>1</sup>. უზარმაზარი სისქის ყინული უდიდესი სიმძიმით აწევა ანტარქტიკის მატერიკის ყოველ კვადრატულ კილომეტრს. ყინული მატერიკს უხილავს ხდის ჩვენთვის.

მთელი ყინულოვანი მასის, მსოფლიოს ყინულოვანი რესურსების 86 პროცენტი, და იქნებ უფრო მეტიც, ანტარქტიკაზე მოდის. მეექვსე მატერიკი ხაზარდიან ქალსა ჰგავს. ყინულის სამოსელში იგი უფრო განიერი და დიდი ჩანს. სამხრეთ პოლუსის სიმაღლე ორი ათას რვაას მეტრს აღწევს.

ანტარქტიკის ახალი რუკებიც კი არ არის ჯერ სავსებით სრულყოფილი და ზუსტი. მათში ბევრი შეცდომაა.

ექსპედიციის მონაწილეთა შორის ხელიდან ხელში გადადის მარკოვის წიგნი „მოგზაურობა ანტარქტიკაში“. უსათუოდ უნდა წავიკითხო ეს წიგნი.

<sup>1</sup> შედარებით მიუწვდომლობის პოლუსზე ლაშქრობის დროს მესამე ექსპედიციამ რთულ პირობებში ჩაატარა ყინულის სისქის სეისმური ზონდება და დაადგინა ყინულქვეშა ფენის სტრუქტურის ძირითადი თავისებურებანი.

დღეს გიბრალტარის ტრავერზზე შემოგვხვდა „ყაზანი“. ამინდი საუცხოოა. მეტისმეტად ლურჯი ზღვა თეალისმომკრელად ლაპლაპებს: „კოლოპერაცია“ და „ყაზანი“ საყვირის ხანგრძლივი გუგუნით მიესალმნენ ერთმანეთს. ჩვენს შორის სულ ერთი კაბელტოვი თუ იქნება. ორივე ხომალდის გემბანი ხალხითაა გაკედლილი. მგზავრები დგანან ერთმანეთის პირისპირ, ერთმანეთის მხარდამხარ. ვფიქრობ, „კოლოპერაციაზე“ სულ ცოტა, ორასი ფოტოაპარატი მაინც იქნება. ვანუწყვეტლივ გაისმის ჩხაკუნი. „ყაზანი“ ურიგო გემი როდია, მაგრამ, რა თქმა უნდა, „კოლოპერაციას“ ვერ შეედრება, რაც არ უნდა იყოს, მაინც მცურავი ბაზაა. „კოლოპერაციიდან“ კანჯო ჩაუშვეს. ნიჩბებს ოთხი მეზღვაური უზის, ხოლო საქეს უფროსი თანამემწე, ანუ, ჩვენებურად რომ ვთქვათ, პირველი შტურმანი: მან უნდა გადასცეს წერილები „ყაზანის“ ეკიპაჟს. ჩვენი ხომალდის მაღალი ბოგურნიდან კანჯო პატარა თეთრ ხოქოს მიაგავს. წერილი ხუთასამდეა და პეტწილად უმარკო. ფოსტას შემოსავალი ექნება.

გუშინ ვფიქრობდი, რა პოეტურად და ლამაზად შეიძლება აღწერო-მეთქი ოკეანეში ორი ხომალდის შეხვედრა. დღეს კი ასე აღარ ვფიქრობ. განა მართო ეს არის ლამაზი და საუცხოო? მაგალითად, რად ღირს მართო იმის წარმოდგენა, როგორ გადასერავს ჩემი წერილი ხმელთაშუა ზღვას, ოქროს კიშკარს, შავ ზღვას, მიაღწევს ოდესას, გაივლის მრავალი კაცის ხელში, დილით ტალინელი ფოსტალიონი მიადგება ჩემს ბინას, დარეკავს ზარს, გაუღებენ კარს და ფოსტალიონი ჩემს ცოლს მოსთხოვს მანეთიანს — მარკის ფულს. ცოლი გამოურბენინებს ფულს, ხოლო შემდეგ სასიხარულო ამბის მოტანისათვის კიდევ ხუთ მანეთს აჩუქებს, ბოლოს იგი თეთრი ხელებით აიღებს წერილს, გახსნის, გადაიკითხავს, ატირდება, მერე აკისკისდება და წამოიძახებს: „ვაშა-აა!“ მაგრამ ყოველივე ეს დაუწერელი დარჩება, რადგან გადავწყვიტე სერიოზულად მოვეკიდო კინოოპერატორის ამოცანებს; „კიევიში“ ახალი კასეტა ჩავდე და გემბანზე გამოვედი.

რომელი კასეტაც არ ვცადე (ორი ჩემი და ორი სხვისი), ყველა ჩაიქვდა.

რომელიღაც წიგნში ამოვიკითხე გამოთქმა — „დორბლმორეული სიბრაზე“. ეს ზედმიწევნით ზუსტად გამოხატავს ახლანდელ ჩემს განწყობილებას. ჩვენი თანამგზავრების თანაგრძნობით აღსაესე გამოხედვა, მათი სურვილი, როგორმე დამეხმარონ, მათი მეგობრული რჩევა-დარიგება მხოლოდ წუთიერად მიმსუბუქებს ვარაშს. სამწუხაროა, ეს აპარატი ჩემი საკუთრება რომ არ არის! ოკეანის ხილრმე აქ ორი ათასი მეტრია...

კანჯო დაბრუნდა და იგი კვლავ ხომალდზე ამოიტანეს.

„კოოპერაციამ“ თავისი გზა განაგრძო სამხრეთისაკენ, „ყაზანი“ კი შებრუნდა აღმოსავლეთისაკენ, გიბრალტარის სრუტის მიმართულებით.

გზა მშვიდობისა!

დღისით ხომალდის რადიოკვანძმა გამოაცხადა: ამ საღამოს საზეიმო ვითარებაში გაიხსნებაო კინოთეატრი „ვოლნა“. ესეც თავისებური ისტორიული მოვლენაა. ყველას სთხოვეს მონაწილეობა მიეღო მის გახსნაში. ამიერიდან გვიჩვენებენ მხოლოდ იმ ფილმებს, რომლებშიც ბევრია სიყვარული და ცოტაა სისხლის ღვრა.

მართლაც, თავისებურია ჩვენი კინოთეატრი. საპროექციო აპარატი დგას საკარქაპე გემბანზე, ეკრანი კი გაკრულია კიჩოს ანძაზე. სად არ ნახავთ მაყურებლებს — სპარდეკზე, ტრაპზე, მოაჯირებზე, მაგრამ ყველაზე ბედნიერნი შაინც ისინი არიან, რომლებიც „პინგვინებზე“ სხედან. ეს პრივილეგიური ხალხი „პინგვინების“ შოფრები და მექანიკოსებია, ადამიანები, რომლებსაც დღისითაც არ ავიწყდებათ თავიანთი მანქანები. მართალია, ძალიან ახლოს სხედან ეკრანთან, მაგრამ სამაგიეროდ, მოსაწყენი ადგილების დროს შეუძლიათ მხარეთქოზე წამოწოლილებმა იძინონ ბრეზენტზე. მთელი ეს სანახაობა ჩაძირულია კუნაპეტ სუბტროპიკულ დამეში. როცა „კოოპერაცია“. ირწევა, ცაზე ტორტმანებენ დიდრონი, კაშკაშა ვარსკვლავები. გვიჩვენეს ეგვიპტური ფილმი „სიყვარული და ცრემლები“. ყველაზე ამაღელვებელი ადგილების დროს „პინგვინებიდან“ ნელი ოხვრა მოისმოდა.

## ატლანტის ოკეანე

ოკეანე მართლაც რომ დაუჯერებლად, წარმოუდგენლად ლურჯია, მეტისმეტად ლურჯი. ვერ მომიძებნია ამ სილურჯის გამომხატველი სიტყვა. შეუძლებელია მუქი სათვალის გარეშე უცქირო მზით გაკაშკაშებულ, თვალისმომკრელად მოლაპლაპე ოკეანეს.

სითბო თანდათანობით მატულობს. ეუახლოვდებით ტროპიკულ სარტყელს.

ძალიან ვწუხვარ, რომ არ ვწერ პიესას, მაწუხებს იმის შეგრძნება, რომ არაფერს ვაკეთებ. სულელური, მტანჯველია ეს გრძნობა. დღეები კი ძალიან სწრაფად მიქრიან!.. კეიტაუნამდე ოცი დღის საეალი კიდევია. ამ დროის მანძილზე მეორე მოქმედება მაინც უნდა დავამთავრო, რადგან სულშემხუთველი ეკვატორული პაპანაჟება კარგ დღეს არ დამაყრის. გადავწყვიტე, მუშაობას შევედგე 14 ნომბერს. მე ისეთი ბრიყვი როდი ვარ, რომ რაიმე მნიშვნელოვანის გაკეთება დავიწყო ოთხშაბათ დღეს და ისიც ცამეტ რიცხვში.

## ატლანტის ოკეანე

მთელი დღე კანარის კუნძულებს შორის მივტურავთ. ძალიან შორს, ხელმარცხნივ მოჩანს მათი მთაგორიანი, მაღალი რელიეფი. მსუბუქი ნისლი ბურავს კუნძულებსა და მთის მწვერვალებს. ყველაზე ძლიერი ღურბინდებიც კი ვერაფერს გვშველის. მართალია, კანარის კუნძულები ბურუსში იყო გახვეული, მაგრამ მე მაინც შემიძლია ვთქვა, ისინი მინახავს-მეთქი. კუს ნაბიჯებით მივიწიეთ წინ. „კოროპერაციაზე“ მხოლოდ ერთი დიზელი მუშაობს. დიდი-დიდი ექვს მილს გავდიოდეთ საათში. თუ სულ ასე ვიარეთ, ალბათ, ახალ წლამდე ვერ ჩავალწევთ მირანიში.

საუცხოო; თბილი ამინდია. ყოველთვის, როცა გემბანზე გამოვდივარ, მათებს ოკეანის მუქი სილურჯე. ეს სილურჯე ისე ურიოშოა და კამკამა, პოეტების მოგონილი მგონია.

ჩვენთვის, ნაცრისფერი ზღვის შვილებისათვის, ეს ხორცშესხმული ზღაპარია. ტროპიკულ სარტყელში ნაოსნობის მთელი ოცი დღის განმავლობაში შემოძლია დაუსრულებლად ვუცქირო მას. მინდა ერთხელ და სამუდამოდ დამამახსოვრდეს ეს სილურჯე. ვინ იცის, მოვხვდები კიდევ ამ მხარეში ოდესმე?

ალბათ, სულ სხვაგვარი იქნება ინდოეთის ოკეანე, რომლითაც უკან უნდა დავბრუნდეთ.

ვნახეთ მფრინავი თევზები. ღამის ბინდბუნდში დიდხანს მიგვაცილებდა რომელიღაც მძლავრი შუქურას სინათლე.

საძაგელ გუნებაზე ვარ. კაიუტა გალიად მეჩვენება, ვერც გემბანზე ვისვენებ. თვალს ვერ ვუსწორებ ამხანაგებს.

ბოლო წლებში შევეჩვიე კრიტიკის ადვილად ატანას, მაგრამ ჯერ კიდევ ძველებურად გულს მიღრღნის ერთი შეხედვით უმნიშვნელო შეცდომით გამოწვეული დანაშაულის მტანჯველი გრძნობა — ძველებურად მანადგურებს აგდებული სიტყვა, კილოც კი. დანაშაულის გრძნობა მიღრღნის გულს დღესაც. ავცეტდი და დაუფიქრებლად მოვაწერე ხელი რადიოგაზეთის მისამართით დაწერილი ბარათს. ასეთი რამ ადრეც დამმართნია. ბარათში ლაპარაკი იყო წყალზე, ჩვეულებრივ დასაბან წყალზე.

ბასკის უბის გამოვლის შემდეგ ონკანებში მხოლოდ მლაშე წყალი მოდის. იგი აშრობს და ახეშეშებს კანს, წვაეს თვალებს, თოკივით აუხეშებს თმას. კილში შეცდომით შექენილი საპონი, რომელსაც სადღეინფექციოდ იყენებენ, უვარგისი გამოდგა ზღვის წყლისათვის. იგი არ ქაფდება და მყარალი სუნიც ასდის. ამან აღაშფოთა ექსპედიციის ზოგიერთი წევრი. პროტესტის ნიშნად მათ დაწერეს ზემოაღნიშნული ბარათი. ბარათის ავტორებს არ ვიცნობ, მაგრამ ბარათს ხელი მეც მოვაწერე. მოვაწერე და მაშინვე მივხვდი, რომ სისულელე ჩავიდინე. კიჩოზე დგას გამოხდილი წყლით სავსე რეზერვუარი — აავსე ვედრო, წაიღე კაიუტაში და იბანე, რამდენიც გენებოს, არაეინ გიშლის, წყლის ხარჯვა განსაზღვრული არ არის. მე უნდა მცოდნოდა წყლის როგორი რეჟიმი არსებობს შორეული ნაოსნობის ხომალდებზე. გარდა ამისა, მე ხომ ექსპედიციის მხოლოდ და მხოლოდ დროებითი მონაწილე ვარ და არც მარნიში მომიხდება გამოზამთრება და არც საზღვაო ექსპე-



დიციის წევრებთან „ობზე“ გადასვლა. მე უფლება არ მაქვს გამოვთქვა ის პრეტენზიები, რომელთა გამოთქმაც ექსპედიციის მონაწილეებს შეუძლიათ. ცხადია, წერილის ავტორებმა იმიტომ მომმართეს, რომ „პრავდის“ კორესპონდენტად ვითვლები.

მთელი ამ დავიდარბის იქით იმალება ერთი სურვილი -- გავჩერდეთ დაკარში.

14 ნოემბერი

ატლანტის ოკეანე

დღეს ექსპედიციის საერთო კრებაა. პირველად განიხილეს წყლის საკითხი. შესვლა დაკარში, სადაც მხოლოდ წყალს მოვიმარაგებდით (სხვა ყველაფერი კეიპტაუნში გვქონდა შეკვეთილი), დაგვიჩდებოდა ოთხი ათასი მანეთი ოქროთი. ბევრი ილაპარაკეს ღია ბარათზე. ექსპედიციის ას სამოცდაექვს წევრთან მასზე მხოლოდ ოცდაჩვიდმეტ კაცს მოეწერა ხელი. წერილის ობოლი მარგალიტი იყო რედაქტირების დროს ჩაწერილი წინადადება, რომელიც ხმამაღლა წაიკითხა პარტჯგუფის საორგანიზაციო ბიუროს დროებით არჩეულმა მდივანმა გიორგი ივანეს ძე გოლიშევმა. აი, დაახლოებით როგორ ელერდა ეს წინადადება:

„ამით ხომალდის უფროსობასა და ექსპედიციის ხელმძღვანელობას ეკისრება მთელი პასუხისმგებლობა ორასი კაცის სიცოცხლისათვის“. ასეთ წინადადებაზე იტყვიან ხოლმე, ნამეტნავად დიდია მისი იდეური წონაო.

ყველაფერი მშვიდობიანად მოგვარდა. დაკარში არ გავჩერებულვართ, მაგრამ მე სიკვდილამდე არ დამავიწყდება ეს „ოცდაჩვიდმეტის უსტარი“.

მეორე საკითხი ღვინოს შეეხებოდა. ტროპიკებში ნაოსნობის დროს თვითულისთვის გათვალისწინებულია სამასი გრამი მშრალი ღვინო დღიურად. როგორც ჩანს, ყველას კარგად ესმოდა ერთი რამ: ან უნდა გამოეკლოთ ღვინის ღირებულება იმ ფულიდან, რომელიც კვებაზე ერგებოდათ (ტროპიკებში ეს თანხა შეადგენს თექვ-

სნეტ მანეთს დღეში, რომლიდანაც დაქვითვის შემდეგ დარჩებოდა მხოლოდ ცხრა მანეთი), ან ეყიდათ ღვინო საკუთარი ფულით. თვითფულისათვის ოთხმოცი—ასი მანეთის ხარჯვა ხელმისაწვდომი იქნებოდა. მსჯელობა გაჭიანურდა. ერთმა კაცმა დაიწყო მტკიცება, მე ცხრა მანეთი მეყოფა, ექსპედიციის დანარჩენი ას სამოცდახუთი მონაწილე კი ღორმუცელააო (სწორედ ეს სიტყვა იხმარა). იგი მოითხოვდა: დამიწესეთ ულუფაზე სპეციალური კონტროლი და ღვინო უფასოდ მომეცითო. ამ მოთხოვნამ ყველანი გაამხიარულა. წინადადება ხმამაღალი და საფუძვლიანი არგუმენტებით უარყვეს.

სადაც არ უნდა იყო, სადაც არ უნდა მოხვდე, ყველგან მიგყვება შენი ხასიათის ძირითადი თვისებები, ზოგჯერ სიხარბეც და წვერილმანობაც. მაგრამ „კოოპერაციით“ მართო ანგელოზები და ღმერთები რომ მიემგზავრებოდნენ, მაშინ ზღვის ასეთი სილურჯისა და მზის მცხუნვარების მიუხედავად, რაღა აზრი ექნებოდა ჩემს აქ ყოფნას.

ხომალდზე საცურაო აუზი ავაგეთ. ყველანი ფიცხლად და გატაცებით ვმუშაობდით. სულ მალე მზად იყო პატარა, ღრმა აუზი. თურმე ექსპედიციის უმრავლესობა ხუროზე ნაკლებად როდი ხმარობს ცულსა და ხერხს. განსაკუთრებით ხელმარჯვეები არიან რადისტები, ოღონდ მათ ჩემს ესტონურ ხელნაწერს ვერ მოუხერხეს ვერაფერი. ხანდახან უკან მიბრუნებენ უსტარებს. ძალიან ვცდილობ, ვწერო გარკვეულად, მაგრამ ჩემი ხელნაწერი მაინც ცუდია, ასოებიც გაუგებარია.

მუშაობს ინგლისური ენის შემსწავლელი ორი წრე — დამწყებთათვის და იმათთვის, ვინც ცოტათი იცის ენა. პიენისათვის ჭერაც არ მიხლია ხელი. ძალიან ცხელა. მთავარი კი ისაა, რომ ჭერაც არ შემორდება ფიქრი იმ უგუნურ ხელმოწერაზე.

16 ნოემბერი

ატლანტის ოკეანე

დღეს 5 საათსა და 40 წუთზე დასაველეთის გრძედის 17°-ზე გადავკვეთეთ კირჩხიბის ტროპიკი. ამინდი წინანდებურად საუცხოოა.

აუზი ხალხითაა სავსე. ყვირიან, ერთმანეთს ებღეებიან, წუწობენ. ხომალდი უფრო და უფრო ემსგავსება მოცურავე სანატორიუმს ან დასასვენებელ სახლს. გემბანზე საცურაო კოსტუმებით დავსეირნობთ. დღეს ცოტა სიცხე მაქვს — დიდხანს დავყავი მზეზე. აქაური მზე დაუნდობელია. აუზში წყლის ტემპერატურა 25 — 26 გრადუსია და ბანაობა მხოლოდ წუთით გვაგრილებს. როგორც კი კანი მზეზე გაშრება, მთელი ტანი მარჩლით იფარება. თავში ერთი სასაცილო აზრი მომივიდა: რა სიამოვნებით გალოკავდნენ მზეზე მოსეირანეებს ხბორები! მათ ხომ ძალიან უყვართ მარჩლი.

თვალი მოვკარი რამდენიმე დელფინს, მაგრამ ჩვენ უფრო მფრინავი თევზები გვაინტერესებს. ისინი მართლაც ჩიტებივით დაფრინავენ და გაშლილი ფარფლებით მერცხლებს მაგონებენ. მათი ფრენა რაღაცით ჰგავს კიდევ მერცხლების ფრენას. ლამაზები და მოხდენილები არიან. მოთეთრო მუცელი და მუქი ფერის ზურავი ათასფრად უბზინავენ მზეზე. ზოგი მათგანი ორი მეტრით სცილდება წყლის ზედაპირს და დაახლოებით ას მეტრზე მიფრინავს.

სამუშაო ვერ აეწყო. კაიუტაში 30 გრადუსი სიცხეა და საშინლად შეხუთულია ჰაერი. კარი გავაღეთ და ვენტოლატორი ავამუშავეთ. ტემპერატურამ 28 გრადუსამდე დაიწია, მაგრამ ცოტა ხანში ისევ მაღლა ავიდა და 32 გრადუსზე გაჩერდა. გემბანზე, რა თქმა უნდა, უფრო ცხელა.

ზღვა არ ღელავს. ცოტათი თავბრუ მესხმის. მზეს უნდა მოვერჩიდო, თორემ თუ ექიმების ხელში ჩავვარდი, მშვიდობით, აუზო და დელფინებო! მათ ხომ ძალიან ემარჯვებათ მკაცრი რეჟიმების დაწესება, თან ყურებს გამოგიჟედავენ გონიერულ კვებაზე, თამბაქოს წვევის მავნებლობასა და მზის საშიშროებაზე საუბრით. რამდენიმე დღის წინათ ხომალდის ექიმმა მითხრა:

— აგიცრით ქოლერის, ყვავილის და ჭირის საწინააღმდეგოდ: ეს ძალიან სასარგებლოა.

ვცდილობ ახლოს არ გავეკარო მას.

## ატლანტის ოკეანე

არ მჯერა, დღეს რომ 16 ნოემბერია. ნამდვილი ზაფხულია, თითქოსდა მარადიული ზაფხული. ზღვა გარინდებულა. მატარებელიც კი უფრო მეტად ირწევა ხოლმე, ვიდრე დღეს ჩვენი ხომალდი. ხანდახან სულ შეკარგება დროისა და სივრცის შეგრძნება — მგონია, ივლისის მცხუნვარე თვეა და სადღაც ესტონეთში ვარ. ქრის საამო სიო, ცაზე ერთი ფთილა ღრუბელიც კი არსადაა.

ისე შევეჩვიე კაიუტას, თითქოს საკუთარი სამუშაო ოთახი იყოს. რა თქმა უნდა, უსათუოდ მეწვევა ის გრძნობა, რომელიც მოსვენებას არ აძლევდა ჯოზეფ კონრადს, და რომელსაც იგი „კაიუტის შიშს“ ეძახდა, მაგრამ ჭერჭერობით მის მოახლოებამდე ათასი მილი მ:ინცაა. მხოლოდ, როცა ვფიქრობ, მაშინ მაგონდება, რომ ოკეანეში ვარ, რომ თანდათანობით ვუახლოვდებით ეკვატორს და რომ ღამლამობით უკვე უცხო ვარსკვლავები დაგვცქერის. „კოპერაცია“ რიგიანი სიჩქარით მიიწევს წინ — ორას ორმოც მილზე მეტს გადის დღეში. მუშაობს ხომალდის ორი ათას რეაქს ცხენისძალიანი ორივე დიზელი, საათში თერთმეტი მილის სიჩქარით მივდივართ. ფეხქვეშ ვგრძნობ მანქანების მძლავრ დაგადუგს და ეს სიამოვნებას მგვრის.

ზღვაზე უამრავი მფრინავი თევზია. ორჯერ შემოგვხვდა დელფინების მრავალრიცხოვანი გუნდი. დელფინები დასრიალებენ ხომალდის ცხვირთან, ფორშტევენის ტალღებში, მაღლა ხტებიან, ყურყუმელობენ, ბრუნდებიან გვერდზე. მთელი წინაერლო ხალხითაა გაქედილი. ვცდილობთ, დელფინების მარჯვე ნახტომები ფირზე აღვბეჭდოთ. ჩვენ გვაოცებს დელფინების მოძრაობა. ისინი ოცა კილომეტრის სისწრაფით ისე მისრიალებენ ჩვენს წინ, თითქოს ვიღაც უხილავი ძაფით ეწევათო. იფიქრებთ, მათ ადრე სადღაც უბიძგეს და ახლა მხოლოდ ინერციით მიქრიანო. რა მშვენიერი ცხოველები არიან, რამდენ მხიარულებას გვანიჭებენ, როგორ გვართობენ.

ყველაზე სასიერო ადგილი ხომალდზე აუზია. აქ მთელი დღე

უფასო სანახაობაა. მკერდამდე წყალში ჩამდგარი მობანავეები აყურყუმელავებდნენ ერთმანეთს, უღიტილებდნენ ქუსლებზე, კლასიკური ილეთებით ჭიდაობდნენ. საკმარისია აუზის ნაპირას მზეზე განცხრომით გაშოტილმა მაცურებელმა, რომელიც მთელი ხმით ხარხარებს, ერთი წუთით მოადუნოს სიფხიზლე, რომ მოულოდნელი ბიძგით უცებ თავით გადაეშეება წყალში. მხოლოდ დილაადრიან არაა აქ ბევრი ხალხი.

დღისით შედგა მეცნიერებათა კანდიდატის გოლიშევის ლექცია: „ატმოსფეროს ზედა შრეების გამოკვლევა რაკეტებით“. ლექცია საინტერესო იყო. ლექციის შემდეგ ლექტორს სეტყვასავით დააყარეს შეკითხვები.

ჩამდენიმე საათი ვუჩქეჰი პიესას. გადავწერე პირველი მოქმედების დასაწყისი. მართლაც, ძნელია ტროპიკებში მუშაობა. შეეუდეჰი კედლის გაზეთის ახალი ნომრის გამოშვების თადარიგს. მასალების შოვნა ძალიან ჭირს. ვთქვათ, სერიოზულ და საქმიან აგიტაციას უწევდ რომელიმე თანამგზავს, ის კი თვალსა და ხელს შუა გაგისხლტება და ჰაიდა, აუზში! შემდეგ კი შეგეკითხება:

— ასე არ ჯობს. იუჰან იურის ძევ? ვინ სულელი დაიწყებს მწერლობას ამ გაგანია სიცხეში? წავიდეთ, დელფინებს ვუტკიროთ.

მორიგი ნომერი „ნებტუნის დღისთვის“ უნდა გამოვიდეს, ესე იგი იმ დღისთვის, როცა ეკვატორს გადავკვეთავთ.

18 ნოემბერი

ატლანტის ოკეანე

დღეს შეგვატყობინეს — „ობი“ მირნიში ჩავიდაო.

ცხელა. უკვე ათჯერ მაინც ვიჭყუმპალავე აუზში და ეგრძნობ, რომ დამარილებულ ჭიჭყინას დავემსგავსე. მთელი დღე პირში მლაშე წყლის გემო მაქვს. უცნაურია, სიმლაშე წყურვილს მიკლავს. ჰაერი ძლიერ ტენიანია. თეთრი ნაფიფჰი ადევს ჩემოდნებს, ფეხსაცმლებს. ქურთუკის ჯიბეში ჩადებულ ხელთათმანებსაც კი.

კვლავ შევეცადე პიესას მიეჯდომოდი. არაფერი გამოდის.

ქალღმერთზე ჩნდება ოფლისა და მელნის ლაქები. გუშინაც ასე იყო. სურდოც მაქვს. სურდო ყოველთვის ცხელ დღეებში მემართება, და არა იმ დროს, როცა აცემინებს ყველა ნორმალურ ადამიანს. პაპიროსი ნოტიოა, უფრო სწორად, სველი. წვეის დროს მთელი ძალით უნდა ქაჩო. ქაჩვისაგან ლოყები დისტროფიკივით ყბებში გვიცვივა.

გვშველის წყალნარევი მშრალი ღვინო. ყველგან — გემბანზე, წინაერდოზე, კანჯობთან, აუზში გაისმის ახალმოდური სიტყვა „ტონუსი“. როცა გეუბნებიან: „წამო, ავიმალლოთ ტონუსი“, ეს იმას ნიშნავს, რომ ღვინის სასმელად გეპატიჟებიან კაიუტაში. ბევრს არ უყვარს მშრალი ღვინო, რადგან იგი რბილია და მწკლარტე გემოს დაიკრავს. ამიტომაც, ვისაც ეს ღვინო უყვარს, ყოველთვის აქვს დამატებითი მარაგი. ილუმინატორებიდან გამუდმებით ცვივა წყალში ცარიელი ბოთლები. იმ ადგილიდან, სადაც ერთმანეთს ჰკეეტს კირხიბის ტროპიკი და დასავლეთის მე-17 მერიდიანი, „კოოპერაციის“ გზა მოფენილია ოკეანეზე მოქანავე ბოთლებით, რომლებშიც ოდესღაც ესხა ოცდასამი ნომერი ქართული ღვინო.

დღეს, 12 საათსა და 00 წუთზე, ჩრდილოეთ განედის 10°04′-ზე და დასავლეთ გრძედის 17°09′-ზე „კოოპერაცია“ კვლავ ათნახვეართორმეტ მილს გადის საათში. ეს კარგია. პაერში უკვე იგრძნობა ეკვატორის მოახლოება. საინტერესო უნდა იყოს საზღვაო ნათლობის ცერემონია. დერეფანში, ჩემს ახლოს, გაიღვავა რომელიღაც თანამედროვე მეფე ლირმა. მას წითელი მანტია მოესხა, გრძელი წვერი ხრალისაგან გაეკეთებინა, თავზე გვირგვინი დაედგა, ხელში ეკვატორის გასაღები და ვერცხლისფერი ფარი დაეჭირა. არ ვიცი, საიდან გაჩნდა იგი ჩემს ახლოს, ან სად გაქრა ასე უცებ. ძალიან ცოტას აქვს განდობილი მომავალი ცერემონიის საიდუმლოება.

რადიოთი განუწყვეტლივ გადმოცემენ რაღაც ცნობებს. უფრო ზუსტად რომ გითხრათ, განკარგულებებსა და ბრძანებებს. თითქმის ყოველი გადაცემისას რაიმეს კრძალავენ. არ შეიძლება თამბაქოს მოწვევა არც ერთ გემბანზე, გარდა საკარჭაპე გემბანისა, რომელიც საგანგებოდ ამისთვისაა განკუთვნილი. არ შეიძლება თამბაქოს მოწვევა საწოლზე, არ შეიძლება ნამწვების გადაგდება ქიმიდან — შესაძლოა ქარმა უკანვე შემოაგდოს იგი, ხანძარი კი ძალიან საშიშია

ხომალდზე, მით უმეტეს, თუ მას ისეთი ტვირთი მიაქვს, როგორც ჩვენს „კოოპერაციას“. არ შეიძლება უპერანგოდ სიარული სამსახურებრივი დანიშნულების სათავსოებში, არ შეიძლება ტანგახდილმა იარო წინაერდოზე, არ შეიძლება გემბანზე ლოგინის თეთრულის გამოტანა. ვინც ამ წესს დაარღვევს, ემუქრებიან — მირნამდე ზეწრებს ვერ მიიღებსო. მაგრამ ყველაზე მკაცრად მაინც ებრძვიან მათ, ვისაც საოცრად უყვარს დედიშობილა სიარული-ხომალდზე ხომ ქალებიც არიან!

კედლის გაზეთისთვის მივიღე სერია კარიკატურებისა, რომლებიც ექსპედიციის მონაწილეთა ჩაცმულობის ევოლუციას გამოხატავს.

პირველი. კალინინგრადიდან გასვლის შემდეგ გემბანზე ჩალის სავარძელში ზის ნალვლიანი გამომეტყველების ბაჰისქროთუკიანი მამაკაცი. კაპიუშონი თვალბანდზე ჩამოუფხატავს, ფეხზე უნტები აცვია, ხელები ბეწვის ხელჯაგებში წაუყვია. ზურგიდანაც კი ჩანს, რომ ზღვის ავადმყოფობას გაუწაჸებია.

მეორე. ლამანში. იმავე პიროვნებას მხარზე ფოტოაპარატი გადაუკიდებია. მსუბუქად და კობტადაა ჩაცმული.

მესამე. სუბტროპიკები. აქ კი უფრო აშკარად ჩანს ამ მამაკაცის სხეულის სილამაზე — მას მხოლოდ ტრუსები აცვია.

მეოთხე. ტროპიკები. შიშველი მამაკაცი ვანტებზე გასაშრობად ჰკიდებს საბანაო ტრუსებს. ეს ისევ იმ მამაკაცის ფიგურაა, მაგრამ სხეულის აგებულება შეცვლია. ფეხები დაღვლარქნია და გაძვალტყაველია. მუცელი კვახივით გამობერვია წინ. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ფეხების ამ მოულოდნელ გამრუდებას, კარიკატურების მთელი სერია ზედმიწევნით ზუსტად ასახავს ტროპიკულ პირობებში „კოოპერაციაზე“ ცხოვრების ერთ-ერთ თავისებურებას. ზოგიერთებში მართლაც მოხდა ასეთი ევოლუცია.

მეცნიერული მუშაობა, რომელიც ძალუმად ჩქეფდა ზომიერი ჰავის პირობებში, და რომელიც კვლავ განახლდება ტროპიკების გავლის შემდეგ, ცოტაოდენ მიწედა. ახლა შეგიძლიათ გემბანზე დომინო და ბანქო ეთამაშოთ მეცნიერებათა კანდიდატებს. ისინი ძალიან აზარტულად განიცდიან მოგებასაც და წაგებასაც. ეს მეც მემართება — მოგება ხალისს მმატებს.

სალამოს ცას ქეჟა-ქუხილმა გადაუარა. შემდეგ გაწვიმდა. კინოსეანისის დროს ცისკიდურთან თვალისმომკრელად ელავდა. ვარსკვლავები არსად ჩანდა. მხოლოდ გემის მარჯვენა მხარეს, დასავლეთით, თვალსა კრიდა მოციმციმე, დიდი ვარსკვლავი. ეს ვენერა იყო.

10 ნოემბერი

ატლანტის ოკეანე

12 საათსა და 00 წუთზე „კოპერაციის“ კოორდინატები იყო ჩრდილოეთ განედის  $7^{\circ}11'$  და დასავლეთ გრძედის  $15^{\circ}12'$ . ჩვენ კვლავ გვარიანი სიჩქარით უუახლოვდებით ეკვატორს, ამავე დროს მკვეთრად ვიხრებით აღმოსავლეთისკენ.

სადაც, მოლაპლაპე წყალს იქით, ლიბერია მდებარეობს, მაგრამ აფრიკის მატერიკს კეიბტაუნამდე ვერ ვიხილავთ. ვერ ვიხილავთ მძვინვარე ლომებიან და მოციმციმე სილიან ნაპირებს, რომლებსაც სიზმარში ხედავდა ჰემინგუეის მოხუცი.

ღამით რადისტებმა ჩემი ცოლის რადიოგრამა მიიღეს და რადიოჩიხურში მიმიწვიეს. მთელი რადიოგრამა მისამართიანად ესტონურად იყო შედგენილი. მან გაიარა ესტონური ენის უცოდინარი ორი თუ სამი რადისტის ხელში (ტალინი — მოსკოვი — „კოპერაცია“), რის გამოც ტექსტი ცოტაოდენად შეცვლილა, მაგრამ ყველაფერი გავიგე. ბოლოს და ბოლოს, სიყვარულს ხომ ცოტა რამ აკავშირებს მართლწერასთან.

რადისტები, ალბათ, ყველაზე მტკიცე კოლექტივს შეადგენენ „კოპერაციაზე“. თითქმის ყოველ მათგანს უმუშავია ჩრდილოეთში, პოლარული წრის იქით, კარგად იცნობენ ერთმანეთს და განსაკუთრებული პროფესიული მეგობრობაც აკავშირებთ. ბორის ჩერნოვი, რომელმაც თერთმეტი წელი დაჰყო ჩრდილოეთში, დიდი ხნის განმავლობაში პირველად შეესწრო თბილ ზაფხულს. ასევე არიან სხვებიც. სამყაროს მათთვის ის მხარე ჰქონდა მიქცეული, რომელზედაც ბევრ ჩვენგანს მეტისმეტად რომანტიული წარმოდგენა აქვს. სინამდვილეში იგი არც ისე მიმზიდველია. რადისტები



კარგად იცნობენ მფრინავეებს. ყველასთან ჰქონიათ ოდესღაც რადიოკავშირი.

ამ სტრიქონებს მუსიკალურ სალონში ვწერ. ვამზადებთ ახალ კედლის გაზეთს. ჩემი კარგი მეგობრები ჩერნოვი და ფურდევკი ვატმანის დიდ ქალაღზე დახრილან და სათაურებს წერენ. მეორე ფურცელს თავს დასტრიალებენ აეროლოგები—ტორჟუტკინი და ბელოვი. აქვეა ჩვენი ერთ-ერთი საუკეთესო და აქტიური თანაშემწე, მაგნიტოლოგი გონჩაროვი. მას უკვე ჩინებული ურთიერთობა აქვს ეკიპაჟთან და კარიკატურებით გვაშარაგებს.

შემდეგ სალონში შედგა ნეპტუნის ზეიმის გენერალური რეპეტიცია. ნეპტუნი მეფესავით ზის სავარძელში, თან ახლავს ამაღა — ზღვის ეშმაკები (მათ ჯერ არ აცვიათ კოსტუმები, მაგრამ ზეიმის დღეს. ალბათ, ლურჯი ენქერით მოირთვებიან). გადაწყვეტილია ამაღაში თხუთმეტი ეშმაკი იყოს. მსურველი მეტია, მაგრამ დანარჩენს უარს ეუბნებიან. ვიღაც საზრიანმა კაცმა ხმა გაავრცელა, რადგანაც ეშმაკები მოუნათლავები არიან, ღვინის საკუთარ წილს ვერ მიიღებენო. ამან შესამჩნევად შეასუსტა მოხალისეთა ნაკადი.

აქ არიან ექიმი-სტომატოლოგი შლეიფერი და ბორის გალკინი, რომელმაც ზეიმისათვის მთელი სცენარი ლექსად დაწერა. არიან აგრეთვე ჩემნაირი მაყურებლები. ცოტა არ იყოს, მეშინია 21 რიცხვისა. ამ დღეს პირისპირ უნდა შევხვდე მის უდიდებულესობა ნეპტუნსა და ნეპტუნის ამაღას — ზღვის ეშმაკებსა და ასისტენტებს.

20 ნოემბერი

ატლანტის ოკეანა

გრილი დღეა. ქრის მძლავრი პირქარი. დღისით წვიმდა, მაგრამ ეს არ იყო ტროპიკული, კოკისპირული წვიმა. მოდიოდა თბილი თქორი და „კოოპერაციის“ ირგვლივ ნისლს ჰორიზონტი დაეპატარავებინა. გემბანზე ვიდექით საცურაო ტრუსებში და ტანს წვიმას წყლით ვიბანდით. სამწუხაროდ, წვიმამ ისევე მოულოდნელად გადაიღო, როგორც დაიწყო. მე კი თავი გასაპნული დამჩა.

დღის თორმეტ საათზე ჩვენი კოორდინატები იყო ჩრდილოეთ

განედის 3°47', დასავლეთ გრძედის 12°50'. აფრიკის ნაპირებს თანდათანობით ვშორდებით. ჩვენს შორის გვინების ყურეა გადაქიმული.

ხომალდზე მთელი დღე დახურული კრებებია. კრებებზე განიხილავენ ნეპტუნის ზეიმის ცერემონიალს. ჩვენ კვლავ კედლის გაზეთს ვუსხედვართ. მე პატივს ვცემ კაპიტნის პირველ თანაშემწეს რიბინინს, მაგრამ სწორედ მის გამო გვხვდება სიძნელები სარედაქციო მუშაობაში. კედლის გაზეთი გემის ეკიპაჟისა და ექსპედიციის ორგანოა. პირველი თანაშემწის წყალობით, მეგობრული კრიტიკა ნებადართულია მხოლოდ ექსპედიციის მონაწილეების მიმართ. ხომალდის შესახებ კი კრინტის დაძვრაც არ შეიძლება. რიბინინსა და სარედაქციო კოლეგიას შორის დაეაბუჯდა. ერთ-ერთ ჩვენს კარიკატურას ქვემოთ წარწერა ჰქონდა: „ქალთა საათი დიზელ-ელექტრომავალ „კოოპერაციაზე“. ნასადილევს, ორიდან სამ საათამდე, აუზი ეთმობოდა ქალებს. ამ პერიოდში ყველა მამაკაცს უნდა დაეტოვებინა აუზი; ისინი მართლაც მიდიოდნენ, მაგრამ მხოლოდ უკანასკნელ წუთს. კარიკატურაზე გამოხატულია. როგორ მოაბიჯებენ წინაერდოზე საცურაო კოსტუმებში გამოწყობილი ქალები და აუზიდან როგორ გარბიან კისრისტეხით მამაკაცები.

რიბინინი. ეს ქალების შეურაცხყოფაა.

ფურდევკი. არა მგონია.

რიბინინი. მოიფიქრეთ სხვა წარწერა, რომელიც სავსებით ნათელს გახდიდა კარიკატურის შინაარსს.

ბელოვი. წავაწეროთ: „რვა მარტი მინიატურაში“.

რიბინინი. არ ვარგა. პოლიტიკურად მცდარია.

ჩერნოვი (კარიკატურის საფუძვლიანი შესწავლის შემდეგ ხნადაბლა მეუბნება). იუჰან იურის ძევ, კარიკატურაზე ათი უკანალია.

ფურდევკი (მალულად უყურებს კარიკატურას). ჩემის აზრით, ცხრაა.

კარიკატურაზე მართლაცაა დახატული ათი კაცი, რომლებიც ამორბიან აუზიდან.

მე (რიბინინის ზურგს უკან, ხმადაბლა). კი მაგრამ, მათ ხომ არ შეუძლიათ აუზში დარჩენა.

სარედაქციო კოლეგიის ერთ-ერთი წევრი. ამხანაგო რიაზინინ, გაზეთში ათი...

სარედაქციო კოლეგიის მეორე წევრი. სუუ!.. რიაზინინი. რა არის კედლის გაზეთში?

სარედაქციო კოლეგიის ერთ-ერთი წევრი. კარგი კედლის გაზეთია-მეთქი. მას ათობით კაცი წაიკითხავს.

თანდათანობით შევთანხმდით, შევცვალეთ მბოლოდ ერთი სიტყვა. რიაზინინი, არსებითად, კარგი, გულითადი კაცია. მისთვის. როგორც ყველა ჩვენგანისთვის, განსაკუთრებით ძვირფასია ხომალდის ღირსება. ამიტომაც იცავს იგი მორალს ასე სულითა და გულით.

ძალიან ძნელია პასუხისმგებელი მუშაკი იყო, განსაკუთრებით ტროპიკებში.

21 ნოემბერი

#### აკაბორის გადაკვეთის შედეგ

დღეს 16 საათსა და 28 წუთზე გადაკვეთით ეკვატორი დასავლეთ გრძედის 10°04'-ზე. ახლა. ამ უკუნ ტროპიკულ ღამეში, როცა უკვე რამდენიმე ათეულ მილზე ვიმყოფები ეკვატორის სამხრეთით, ურში მიგუგუნებს ტალინის ეკლესიის ყველა ზარი და ორღანების მძლავრი ხმიანი. უკვე მომნათლეს, დამაჯილდოვეს დიპლომით და ოცი ათას საზღვაო მილზე დამწინდეს მლაშე და თბილ ოკეანეზე, რომელიც მომავალში ყინულოვანი გახდება. ჩვენ ამ ოცი ათას მილს გავცურავთ სულ ცოტა სამ ან სამნახევარ თვეში.

ჩერ არ ვიცი, იქნება თუ არა ეს ჩემი უკანასკნელი საზღვაო გზა, ის კი ვიცი, რომ ტალინში დაბრუნების დროს შეიძლება სრულიად გამიქრეს მოგზაურობით გატაცება. ვიცი, ამ ხნის განმავლობაში თვალები დამელდება წყლის ლურჯი და ნაცრისფერი უსაზღვრო სივრცის ცქერით, მომბეზრდება ზღვის მონოტონურობა, ჩემი გრძნობები ვერ შეიძლება საკმაოდ მოსაწყენი, ერთფეროვანი შთაბეჭდილებების აღქმას და რაღაც სხვას მოვისურვებ. საბედნიეროდ, მე არ მაქვს ზღვის მიმართ ილუზიები.

ოკეანეში ზოგჯერ მართლაც სერიოზულად ეთანხმები ჩვენს

ერამდე ექვსასი წლით ადრე მცხოვრები ანაქარსისის პირქულ მტკიცებას: „ადამიანები იყოფიან სამ ჯგუფად: ცოცხლებად, გარდაცვლილებად და ზღვაში მოცურავეებად“. არსად, გარდა ციხისა, არ სდევნის კაცს ესოდენ განუშორებლად მისთვის უცხო ლანდები, წარსულში ჩადენილი შეცდომები და ადამიანთა აშკარა თუ მოჩვენებითი ორგულობა.

დიდი ძალაა საჭირო, რომ ბედუკუღმართობის უამს შენი შეხედულებებით ავადმყოფურად არ ჩაებლაუქო ყოველივე შეგბენელს, ზედაპირზე არ ამოატივტივო იგი, ხოლო ყველაფერი რაც კარგია, არ ჩაძირო ცხოვრების მღვრიე და მძიმე ტალღებში... ჩვენს სულში დაბუდებულ შეგბენელ შეხედულებათა კარი ზღვაში ყოფნისას მეტისმეტად ირყევა ხოლმე. ასეთი კარი ჩემშიცაა. მე ვიცი, რომ არც ერთი ქარიშხალი არ არის ისე საშიში, როგორც სულში მობობოქრე ქარიშხალი. იგი ხშირად არყევს იმ სალოცავებსაც კი, რომლებიცაც ესოდენ მტკიცედ გვჯეროდა ხმელეთზე. მარია უნდერი წერს:<sup>1</sup>

ერთს დავიქნევ ცხვირსასოცს და  
დავადგები გზას,  
მაქვს იმედი მგზავრს,  
იგი ჩანჩქერს ჰგავს—  
აღმა ვეღარ შებრუნდება,  
რა მოსწყდება ხრამს.

და მოსაწყენ, ავდრიან დღეებში რამდენი ჩვენგანის რწმენა და იმედი ემსგავსება ხრამს მოწყვეტილ ამ ჩანჩქერს! ჩვენ გავცქერით ზღვას, თითქოს ყურს ეუფდებთ ჩანჩქერის ხმაურს და ჩვენი გამოხედვა ძველი, გაკერებებული ადამიანების გამოხედვას ჰგავს. ასეთი დღეები იყო და კვლავაც იქნება. რა ვიღონოთ? რომ არ ყოფილიყო სამ უშაოები, დავალებანი, ვალდებულებანი, რომ არ ყოფილიყო მხიარულება, იუმორი, ირონია საკუთარი თავისადმი, არ ყოფილიყვნენ კარგი ადამიანები, რომ არ ყოფილიყო ცოდნისადმი სწრაფვა, მაშინ ჩემისთანა სუსტი ხასიათის ადამიანისათვის ყოველივე ეს შეიძლება სახიფათო გამხდა-

---

<sup>1</sup> მარია უნდერი — ცნობილი ესტონელი პოეტი ქალი, რომელიც ემიგრაციაში ცხოვრობს.

რიყო. ნანსენმა ჩინებულად თქვა: „ადამიანი მიისწრაფვის ცოდნისაკენ, და როგორც კი მასში ქრება ცოდნის წყურვილი, იგი კვდება, როგორც ადამიანი“. ცხადია, ბედნიერება ან დაქმყოფილების გრძნობა უმთავრესად იზომება იმ საზღაურით, რასაც ვიხდით, ან მზად ვართ გადავიხადოთ მათ მოსაპოვებლად. მაგრამ ადამიანები ერთნაირად როდი არიან დახარბებული ბედნიერებას. დაქმყოფილების გრძნობისათვის ერთნი იხდიან ძალიან ცოტას, მეორენი — ძალიან ბევრს.

პოლარელი მკვლევარები, უკლებლივ ყველანი, იხდიან ბევრს. არქტიკისა და ანტარქტიკის შესწავლის მთელი ისტორია არის მიღწევათა ისტორია, მიღწევათა, რომლებმაც უდიდესი ძალღონე, ტანჯვა-წამება და ზოგჯერ მსხვერპლიც კი მოითხოვეს. ბორის ჩერნოვმა, რომელიც რადისტად მუშაობდა კუნძულ დიკსონზე, იმიერპოლარეთში, თავისი იქაური მდგომარეობა და მუშაობის პირობები ასე დაახასიათა: „თერთმეტი წელი არავითარი ცხოვრება არ მინახავს“.

და ახლა, მეთორმეტე წელს მიემგზავრება შირნიში. ყველა ეს მკვლევარი მარტო ბრძანებებს კი არ ემორჩილება, არამედ რაღაც სხვას, უფრო მნიშვნელოვანს, უფრო არსებითს.

მე სამჯერ შევეცადე მოვხვედრილიყავი ანტარქტიკის წყლებში, მაგრამ ამაოდ. 1950 წელს ვცდილობდი მივლინებით გავყოლოდი ვეშამპერ ფლოტილია „სლავას“. 1953 წელს ისევ „სლავაზე“ მოხვედრას ვცდილობდი და ბოლოს, ახლა, 1957 წელს, მიემგზავრები სამხრეთ პოლუსისაკენ.

ანტარქტიკის ნახვის სურვილი ჯერ კიდევ 1948 წელს დამებადა, როცა პირველად წავიკითხე ბერდის წიგნი „გადაფრენა სამხრეთ პოლუსზე“. მაშინაც და ახლაც, უწინარეს ყოვლისა, ზაინტერესებს ზღვა, ხომალდის ცხოვრება და თვითონ ხომალდი. მასთან მკიდროლა და დაკავშირებული ჩემი მომავალი მუშაობა, ყოველ შემთხვევაში, ასეთია ჩემი ჯეგმები. ჩვენი რეისი საკმაოდ კარგ წარმოდგენას მომცემს ზღვებსა და ოკეანეებზე, იგი საკმაოდ ხანგრძლივია და ამ დროის განმავლობაში შეიძლება მინიმუმამდე შემცირდეს ყველაფერი შემთხვევითი მოვონებებსა და შთაბეჭდილებებში. ჩვენ უკვე ვიხილეთ და კვლავაც ვიხილავთ ჩრდილოეთ და სამხრეთ ატლანტიკას, სუბტროპიკებს, ტროპიკებს, „ღრიალა მეორმოცე“

განედს (მეტეოროლოგების ცნობით, იქ უკვე ერთი კვირაა მძვინვარებს ძლიერი შტორმი). ანტარქტიკის ყინულოვან ოკეანეს. უკან დაბრუნების დროს ვნახავთ ინდოეთის ოკეანეს, მეწამულ, ხმელთაშუა და შავ ზღვებს. ჩვენი საზღვაო გზის სიგრძე თითქმის გაუტოლდება დედამიწის ირგვლივ გზის სიგრძეს. თუ არ ჩავთვლით ზმელთაშუა ზღვას, ჩვენ შემოვხაზავთ წრეს აფრიკის გარშემო. მე კი ამ წრის ბოლოებს შევაერთებ ტალინში.

არა მგონია, მოგზაურობის შემდეგ ისევ მომენატროს ზღვა. მაგრამ გაივლის ნახევარი წელი, ერთი წელი, იქნებ წელიწადნახევარიც და ჩემი ჩემოდნითა და საბუთებით კვლავ ავალ ტრაპზე, ხოლო შემდეგ, სადმე ნორდკაპთან ან კურილის კუნძულებთან პროკურორივით განვსჯი საკუთარ თავს: „რომელმა ეშმაკმა გადმოგაგდო აქეთ? ნუთუ სხვა უკეთესი ვერაფერი მოიფიქრე? შესაწავი გოჭივით ტრიალებ!“ და ისევ დავდებ ალექსას: ამიერიდან ათივე ფრჩხილით ჩავებლაუქო მიწას, ამიერიდან ორივე ხელით ჩავაფრინდე ჩემი სიყვარულის საგანს.

და თუ ამ ფიცს ვუღალატებ, მხოლოდ იმიტომ, რომ ზოგჯერ ზღვაზე დღევანდელივით გამოერევა ბოლმე საზეიმო, საუცხოო, დაუვიწყარი დღეები.

რა შესანიშნავი ღამეა! თბილი და ლუსკუმი, მხოლოდ რამდენიმე ობოლი ვარსკვლავი ციმციმებს ცაზე. არ შემიძლია „ყოვლისშთანმთქმელზე“ უკეთესი სიტყვა მოვეუნაბო მას. „კოოპერაციის“ ირგვლივ ტლაშუნებს წყალი. ვასიუკოვს უშფოთველად სძინავს. დერეფნიდან მოისმის ნეპტუნის მხიარული, ნალვლიანი ბანი. მას უკვე გაუხდია თავისი სამოსელი.

-- შეილნო ჩემნო!

ჯერ კიდევ სამ საათზე, ნათლობამდე, რადიოთი გადმოსცეს ექსპედიციის ყველა ის მონაწილე, რომელმაც პირველად გადაკვეთა ეკვატორი, 16 საათსა და 00 წუთზე გამოცხადდეს წინაერლოზე, სათვალეები და საათები დატოვონ კაიუტაში, ფოტოაპარატი წამოიღონ თან, ჩაიცვან საუკეთესო საზაფხულო ტანსაცმელი.

ამინდი საოცრად კარგია. ქრის ოდნავ გრილი, საამო ნიავი, ანათებს მზე. აუზის წინ გამართულია ესტრადა, რომელიც ცერე-

შონიის ხელმძღვანელებმა — თავკაცებმა უნდა დაკავონ. აუზზე ბიდივით გაუღვიათ მოქანავე ფიცარი. აუზის მეორე მხარეს დოლბანდგადაფარებული კასრი დგას. კასრში ღვინოა, იგი მონათლულებისთვისაა განკუთვნილი. ძნელია სხვა წერილმანების გარჩევა, ყველაზე საუკეთესო ადგილები ფოტომოყვარულებს აქვთ დაკავებული. ისინი წინა ანძასა და ვანტებზეც კი ჩამოკიდებულან. ის იყო „კიევი“ ფირი უნდა ჩამედო და... თუმცა, ნულარ ვილაპარაკებთ მეტს მის შესახებ.

ოთხ საათზე გემბანზე გამოჩნდნენ საოცარი გარეგნობის არსებები, ყველანი წინაერდოსკენ მიძვრებოდნენ. ორკესტრანტებმა, ანუ ჰიდროლოგმა, იზვეკოვმა, მეტეოროლოგმა ლობოდინმა, რადარტმა სულინმა და აეროლოგმა მავესკიმ, რომელთაც მთელი ტანი მოთხუპნული ჰქონდათ და სახეზე ნიღბები ეკეთათ, დაუკრეს საცერემონიო მარში. წინ შობიკებდა მთავარი ეშმაკი — გეოფიზიკოსი გუბანოვი. ზომილიც ერთიანად მოხატული იყო ცოდვად მიჩნეული გამოსატულებებით. თავზე ოქა ედგა, სახეზე სატანისებური გამომეტყველება ემჩნეოდა.

მას მოჰყვებოდა ვარსკვლავებით შოოჯვილ, ძოწისფერ, მეფურ მანტიაში გახვეული, ჯერგვინითა და მკერდამდე წვერით დამშვენებული, ერთი სიტყვით, მეტად მნიშვნელოვანი პიროვნება — ნეპტუნი. ეს ივანე მოსეს ძე კუზნეცოვია — ერთ-ერთი ყველაზე უხუცესი პოლარელი ჩვენს შორის. პირველ ანტარქტიკულ ექსპედიციაში იგი კაიურად მუშაობდა. ახლა მექანიკოსია. კუზნეცოვების ოჯახს — ივანეს. მის ძმებს თევდორესა და გრიგოლს — კარგად იცნობენ პოლარელთა შორის. ისინი შთამომავლობით ზღვისპირელები არიან და უკვე ათეული წელია ცხოვრობენ პოლარული წრის იქით. ყველაფერზე ეტყობა, რომ ივანე კუზნეცოვი ჯანიანი კაცია. მას მომრგვალო, წითური წვერი; გარუჯული, ფართო სახე, ლურჯი თვალები, კაი გვარიანი ცხვირი, შექალაქავებული თავი და ჩემზე ორჯერ უფრო ფართო მხრები აქვს. მართლაც რომ შექთერის ნეპტუნობა,

ნეპტუნს მოჰყვება ჰეოქმე. რომელსაც ილიაში უზარმაზარი ფანერები ამოუჩრია: შემდეგ მოდის მკურნალი — ექიმი შლეიფერი, ყველაზე ბოლოს მოდიან შედარებით უბრალო ეშმაკები და სხვა მოღვაწენი. დაუფიქრარ სანახაობა იყო: მთელმა უფროსობამ

დაიკავა ესტრადა, ხოლო ეშმაკები, რომლებსაც პირისახე და ტანი მოეთხუზნათ, აუზის ნაპირზე აძვრნენ და სისხლმწყურვალეობით დაგვიწყეს ცქერა წინაერდოზე შექუჩულ მყოფრებლებს. მათი დაკუნთული მკლავები არავითარ შეწყალებას არ გვიქადდა.

მერე ნებტუნმა წარმოთქვა:

რამ მოგიყვანათ თქვენ ეკვატორზე?  
ვინ ხართ? საიდან მოსულხართ მხნენი?  
აქ რომელია რესტორატორი,  
ან კაპიტანი სად არის თქვენი?

ორკესტრმა დაუკრა სიმღერა კაპიტანზე — „კაპიტან გრანტის შვილებიდან“. სიმღერის ხმაზე თანაშემწეების თანხლებით შემოვიდა საპარადო ფორმაში გამოწყობილი „კოოპერაციის“ კაპიტანი იანცელევიჩი. მან მისასალმებელი სიტყვით მიმართა ზღვის მეფეს, ხომალდთა მფარველს, ქარიშხალთა მბრძანებელს და კიბორჩხალეების, კიბოების, სირინოზებისა და ზღვის სხვა ბინადართა მეუფეს. კაპიტანმა თქვა, რომ მოხარულია ნებტუნთან შეხვედრისა, რომ მივცურავთ ანტარქტიკაში და თან მიგვაქვს ყოველგვარი აღწყურვილობა; თუკი მისი უდიდებულესობა ნებტუნი ეკვატორზე გაგვატარებს, რესტორატორი მისცემს არაყს. ხოლო დანარჩენები პატივსა და დიდებას არ მოაკლებენ. ამ სიტყვებთან ერთად ნებტუნს მიართვეს მაღალი ბოკალი, რომელიც მან ნაშინვე გამოცალა. არაყის ხარისხზე მას ცუდი არაფერი უთქვამს, მაგრამ მეოქმემ უზომოდ უკმაყოფილო გამომეტყველებით წაისისინა, ექსპედიციის ხელმძღვანელობა მეტისმეტად ხელმომჭირნეა და ანტარქტიკაში ბულალტერიც კი მიჰყავსო. მიუხედავად ამისა, ნებტუნმა წარმოთქვა საპასუხო სიტყვა და კაპიტანს გადასცა მეტრზე მეტი სიგრძის ეკვატორის ოქროს გასალები, ხოლო კაპიტანმა წარუდგინა ხომალდის საბუთები. მთელი ამ დროის განმავლობაში ეშმაკები თავს აქეთ-იქით ატრიალებდნენ და პირველ მსხვერპლს დაეძებდნენ ჩვენს შორის.

უცებ ყველანი — კაპიტანი, ნებტუნი და ეშმაკები — მეორე პლანზე აღმოჩნდნენ. ნაღვლიანი მელოდიის ხმაზე შემოვიდა ზღვისქალწული, რომელსაც რადისტი იაკოვლევი განასახიერებდა. ზღვისქალწულს ეცვა ზოლიანი პერანგისაგან შეყერილი, კანკებამდე ჩა-



მოშვებული ვიწრო ქვედა საცვალი და დოლბანდის ფრიალა კაბა. ოქროსფერი გრძელი თმა ამშვენებდა, მკერდი და თეძოები ბამბით დაეტენა, თავი მომხიბვლულად ექირა. მისი ხელების რხევაში გამოსკვიოდა ვედრება და ალერსი. ქალწული ცდილობდა უნატიფესად მოსჩვენებოდა ყველას. მაგრამ მისი სახე სავსებით აშკარად მეტყველებდა, რა არაზნეობრივი ამბები იმალებოდა ნეპტუნის ზურგს უკან. ზღვის ქალწულს ლოყები შეეგარდისფერებინა, ღამის ქეიფებს თვალის უბეები ჩაელურჩებინა. იგი მაშინვე ნეპტუნისაკენ გაჩოჩნდა საკოცნელად, მაგრამ ნეპტუნი უკან გახტა. სიყვარულის ანაბეჭდმა ლოყა აუვარდისფერა კაპიტნის მეოთხე თანაშემწეს ოკოროკოვს. შემდეგ ზღვის ქალწულმა წვრილი ხმით წარმოთქვა სიტყვა, რომლის ძირითადი აზრი ის გახლდათ, რომ მეზღვაურებს და ექსპედიციის მონაწილეებს, დაქანცულთ ხანგრძლივი ნაოსნობით, შეუძლიათ ორი-სამი დღე გაატარონ მის დებთან, მერე, თუკი მოისურვებენ, დაბრუნდნენ ხომალდზე. ლაპარაკის დროს ზღვის ქალწული კეკლუტად და სრულიად ურცხვად აცეცებდა აქეთ-იქით თვალებს. ორკესტრმა დაუკრა საცეკვაო ფილმიდან — „ბატონი 420“. ზღვის ქალწულმა დაიწყო ცეკვა ჯერ ეშმაკებს შორის, შემდეგ აუზზე გადებულ ფიცარზე. ცეკვაც ისეთივე მეტყველი იყო, როგორც მისი სახე. მოფრიალე კაბა, ზოლებიანი ქვედა საცვალი, ხელების მოძრაობა და თეძოების რხევა. ჯერ კიდევ ბევრი საიდუმლო იმალება ოკეანის წყლებში.

შემოვიდნენ განსწავლული კაცნი. მათ იჩივლეს, რომ ზოგჯერ „კოოპერაცია“ ძალიან ნელა მიიწევს წინ, რომ არც ერთი ეშმაკი არ აურჩევიათ მეცნიერთა წრიდან, რითაც სახელი გაუტეხეს მეცნიერებას და ამიტომაც მოექცნენ ეშმაკების გავლენის ქვეშ. რომ ისინი ოცნებობენ ყინულოვან მატერიკზე, მაგრამ რახან იგი შორსაა, მათი ფიქრები ვალუტისკენაა მიმართული. მეცნიერებათა წარმომადგენლებმა შეგვატყობინეს, რომ „კოოპერაციაზე“ დაწერეს დისერტაცია და თხოულობენ ნებართვას, იგი მის უდიდებულესობა ნეპტუნს მიართვან. ნეპტუნმა მოწიწებით მიიღო დისერტაცია, გაშალა და იქიდან ძენძში გახვეული ბოთლი ამოიღო; ბოთლში წყალი აღმოჩნდა და ნეპტუნმა იგი ქიმიდან გადაუძახა! მერე ნეპტუნის კარის მკურნალი, ექიმი აიბოლიტი შეუდგა მეცნიერებათა წარმო-

მადგენლების გასინჯვას. მანამ, სანამ საექიმო შემოწმება გრძელდებოდა, სამგლოვიარო მარშს უკრავდნენ. ექიმმა დაასკვნა, რომ განსწავლულ კაცებს ყველაფერი რიგზე არა აქვთ და აუზში ბანაობა გამოუწერა. „კალინკას“ ხმაზე მეცნიერები თავდაყირა გადაუბახეს აუზში. ეშმაკები მთელი სერიოზულობით მოეკიდნენ თავიანთ საქმეს: თუ ნათლობაა, ნათლობა იყოსო!

ორკესტრმა დაუკრა „სამი ტანკისტი“. შემოვიდნენ ტრანსპორტის წარმომადგენლები. მათ ნებტუნს „პინგვინებზე“ მოუთხრეს და საჩუქრად ერთი ბოთლი საპოხი ზეთი მიართვეს. ერთ-ერთმა ეშმაკმა, ნებტუნის პირადმა დეგუსტატორმა, ძღვენი გასინჯა და სახე დაემანჭა. ბოთლი ოკეანეში გადაუძახეს, ტრანსპორტის მოსამსახურეები — აუზში.

ორკესტრმა დაუკრა „მეგობრებო, ჩიტები ვართ და მივფრინავთ თბილ ქვეყნებში“. შემოვიდნენ შავ ტანსაცმელში მოხდენილად მორთულ-მოკაზმული ფურდეცკი და აფონინი. მათ შავი ჰალსტუხით დამშვენებული თეთრი პერანგები და გაკრიალებული ფეხსაცმელები ეცვათ. წარუდგნენ ნებტუნს, მოუთხრეს მფრინავებზე, მერე შეეცადნენ მიეცათ ქრთამი, რაღა თქმა უნდა, ბოთლის სახით. ნებტუნმა შეურაცხყოფილად იგრძნო თავი და მისმა მარდმა ეშმაკებმა საზეიმოდ გამოპრანჭული მფრინავები მაშინვე წყალში გადაყარეს. ტანწოწილი ფურდეცკი, რომელიც ექვს ფუტზე მეტი სიმაღლისაა, ერთნახევარჯერ გადატრიალდა ჰაერში, სანამ ტყაპანს მოადენდა წყალში. აუზს ზემოთ გაიღვა მისმა ყვითელმა სანდლებმა. მასთან შედარებით ტანმორჩილი აფონინი ისე ძლიერად მოიქნის, რომ ჩიკორივით დაბზრიალდა წყალზე.

ისევ გაისმა „კალინკა“. მუსიკის ხმაზე ეშმაკებმა როკვა გააჩაღეს: აფრიალებდნენ ენჭერის შემოსაკრავებს, საშინლად ბანცალებდნენ. მერე დაიწყო საყოველთაო ნათლობა. ეშმაკები შეიჭრებოდნენ მაყურებელთა რიგებში, ჩააფრინდებოდნენ რომელიმეს ხელებსა და ფეხებში და ისროდნენ აუზში ზოგს თავდაღმა, ზოგს გულადმა. მხოლოდ ქალებს ექცეოდნენ თავაზიანად. მე ხელში ჩავუვარდი საკმაოდ სასტიკ ეშმაკებს და ბედს უნდა ვუმაღლოდე, რომ ჩვენი აუზი ღრმა იყო. აფრინდე მალლა და ორი მეტრის სიმაღლიდან ტყაპანი მოადინო წყალში, არც თუ სახუმარო ამბავია.

ჩვენ ამოვდიოდით აუზის მეორე ნაპირზე, იქ იდგა საოცრად მშვენიერი ზღვის ქალწული, რომელიც ყოველი მონათლულისთვის კასრიდან დიდი ჩამჩით იღებდა ღვინოს.

გეშბანი ფრიად სასაცილოდ გამოიყურებოდა. ჩაცმული, ანდა ნახევრად ტიტველი ადამიანების ტანსაცმლიდან წურწურით ჩამოდიოდა წყალი. ყველანი ქშინავდნენ და ძლივს ითქვამდნენ სულს. ეშმაკები კეთილსინდისიერად ასრულებდნენ თავიანთ საქმეს. როცა ხალხი შეთხელდა, დაიწყეს აქეთ-იქით მიმალულების ძებნა. სავალალო გამოდგა მათი ბედი. უცებ თვალი მოვკარი, როგორ მიათრევედა ექვსი ეშმაკი რომელიღაც დეზერტირს. ცალ ფეხზე წამძვრალი ფეხსაცმლისა და სხვა ნიშნების მიხედვით მიხვდებოდით, რომ ეშმაკებთან ხუმრობა არ შეიძლებოდა.

საღამოს გაიმართა საზეიმო ვახშამი. მოგვართვეს ღვინო. შემდეგ კაპიტანმა დაგვირიგა დიპლომები.

ნათქვამია, ბოლო აგვორგვინებს საქმესათ. დღევანდელი დღის დაგვირგვინება კი ნეპტუნისა და მისი ეშმაკების ზეიმი გახლდათ მუსიკალურ სალონში. მე არასოდეს არაფერი მინახავს ესოდენ მხიარული, ესოდენ გოგური, ესოდენ ველური, ესოდენ თავაწყვეტილი და ესოდენ ჯოჯონეთური ამ სიტყვის ყველაზე სერიოზული გაგებით. მთავარმა ეშმაკმა ეშმაკებსა და ზოგიერთ სტუმარს მიართვა გამჭვირვალე თბილი სითხე, ერთი ნაკერი პური, კიტრი და სოკო. სასმელი გაზავებული სპირტი აღმოჩნდა. სტუმრების მანკვა და თვალეზე მომდგარი ცრემლები მეტყველებდა, რომ ის უფრო ზრდილობისათვის გაეზავებინათ. წარმოთქვამდნენ სადღეგრძელოებს, რომლებიც გამოირჩეოდა აზრთა სისხარტით, ძარღვიანობით და სიცხადით. ეშმაკები მღეროდნენ, ცეკვავდნენ რუსულ ცეკვებს. მეგარმონები უფრო და უფრო ფიცხობდნენ. მოცეკვავეები იქნედნენ ბელებს, ფეხების მოძრაობისთვის თვალის მიდევნება უკვე შეუძლებელი იყო. სალონი აევსო მხიარულ ახალგაზრდებს, რომლებიც ადგილზე ვერ ისვენებდნენ. მთელ ამ ორომტრიალს ფარავდა ნეპტუნის მამობრივი ხმა:

— შეილნო ჩემნო!

„კოპერაციის“ ხრანნი ას ოცდაათჯერ ბრუნავს წუთში. ას ოც-

დაათქერ ტოკავს წუთში ხომალდი. ეშმაკების დღესასწაულის დროს კი ხომალდი ირყეოდა გაცილებით უფრო ძლიერად და უფრო მაღლიმალ.

22 ნოემბერი

ატლანტის ოკეანე

შევხვდით ოდესის საზღვაოსნო სასწავლებლის სავარჯიშო ხომალდ „ტოვარიშის“. რომ არ ავცდენოდით, „კოოპერაციამ“ რამდენიმე მილით გადაუხვია დასავლეთისაკენ იმ მრუდედან, რომლითაც მონიშნულია ჩვენი გზა ლა-მანშიდან კეიპტაუნამდე. „ტოვარიში“ შორეული ნაოსნობიდან ბრუნდებოდა. მას მოუვლია ინდოეთის ნავსადგურები, ჯაკარტა და კეიპტაუნი. ჩვენთან შეხვედრამდე წმიდა ელენეს კუნძულზე ყოფილა. ხომალდი მშობლიურ ნავსადგურს თებერვალში მიაღგებოდა. მისთვის წერილები არ გაგვიტანებია: კეიპტაუნიდან ჩვეულებრივი გზით ისინი უფრო მალე ჩააღწევდნენ ადგილზე.

„ტოვარიშის“ წინა და ცენტრალურ ანძაზე სწორი აფრები აქვს, ხოლო უკანაზე — გაფელისა. მახსოვრობაში შემორჩენალ, ჩემი ბავშვობის რამდენ აუხდენელ ოცნებას მაგონებდა ოკეანის ლურჯ ფონზე მზით გაკაშკაშებული, თეთრად მოქათქათე ეს აფრები, ჩვენკენ მომავალი ეს გემი, ძალიან მაღალი რომ ჩანდა. სხვათა შორის, ეს პირველი იალქნიანი გემი იყო, რომელიც შეგვხვდა ნაოსნობის მთელ მანძილზე. ძალიან ცოტა შემოგვრჩა ასეთი გემი. როცა შეხვდები რომელიმე აფრიან გემს, ეს ისეთსავე შთაბეჭდილებას ტოვებს, როგორსაც დატოვებდა ჩვენს მუსიკალურ სალონში ლორდ ბაირონის შემოსვლა.

ერთმანეთს გაუწყვალეთ კინოფილმები. ხომალდები გვერდი-გვერდ იდგნენ, „ტოვარიშისა“ და „კოოპერაციაზე“ ქუხდა ომახიანი „ვაშა“. მერე ქარმა და ღელუამ „ტოვარიში“ ძალიან ახლოს მოაცურა ჩვენთან და კურსსანტებმა უკან დაიხიეს ბუგშპრიტიდან, რომელიც უკვე „პინგვინების“ თავზე ირწყოდა. სახიფათოდ, ნელა ქანაობდა ბუგშპრიტი სათოფურიდან სათოფურამდე. „კოოპერა-

ციის“ ქიმიკ ედებოდა და ღრუბლებდა. ხომალდები ისე იდგნენ ერთმანეთის მიმართ, რომ უზარმაზარ რუსულ „T“-ს ქმნიდნენ. შემდეგ ბუგშარიტი მიწვდა კიჩოს გემბანის ყველაზე მაღალ ნაწილს და ხის ნამტვრევები ჩამოყარა. „ტოვარიშჩმა“ მეტისმეტად არივ-დარია კიჩოზე ყველაფერი. ერთ-ერთ ჩვენს მაშველ კანჯოს სერიოზული შეკეთება დასკირდება. როცა ხომალდებზე ვლაპარაკობთ, გამოთქმას „ცხვირით დაეჭანენ ერთმანეთს“ ხუმრობის ელფერი ეკარგება, რადგანაც ხომალდებისათვის ეს ძალიან სახიფათოა.

„ტოვარიშჩთან“ შეხვედრამ ისევ გამახსენა დიდი ხნის წინათ აკვიატებული და ჭერაც განუხორციელებელი ოცნება — დავწერო პიესა ესტონეთის ზღვაოსნობის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე თავისებურ და კოლორიტულ ადამიანზე — მიხკელ უუეტოაზე, „ტყის კაპიტანზე“, რომელსაც ჩვენი მამები კუნძულ კიხნუელ იინას სახელით იცნობენ. მიუხედავად იმისა, ვინც არ უნდა დაწეროს ეს პიესა, ჩემის აზრით იგი სასიმღერო სანახაობად უნდა იქცეს. მაგრამ სანამ პიესის წერას შევუდგებოდე, საჭიროა ცოტაოდენ მაინც ვიცურაო იალქნიანი გემით. ამისთვის ყველაზე შესაფერისია ტალინის საზღვაოსნო სკოლის სავარჯიშო ხომალდი „ვეგა“. საჭიროა თან წავიყვანო რეჟისორი პანსო და დეკორატორი.

გამოვეთხოვეთ „ტოვარიშჩს“ და კურსი სამხრეთისაკენ ავიღეთ. საღამოს ჩატარდა ბურხანოვის ლექცია მესამე ექსპედიციის მუშაობაში სახმელეთო ტრანსპორტის როლის შესახებ. ეს პრობლემა მეტისმეტად რთულია. კონსტრუქტორებისათვის ერთ-ერთი ყველაზე ძნელად გადასაჭრელი საკითხი იყო, როგორ აეცილებინათ თავიდან ძრავების სიმძლავრის შემცირება ოთხი ათას მეტრსა და უფრო მეტ სიმაღლეზე. აგრეთვე საზოცდაათ-ოთხმოცგრადუსიან ყინვაში. ეს საკითხი დგას მფრინავების წინაშეც, განსაკუთრებით აფრენის დროს. ჩვენ გვაქვს ორი წინა ექსპედიციის დიდი გამოცდილება, მაგრამ „პინგვინები“ ახალი მანქანებია და ისინი ანტარქტიკაში პირველად მიემგზავრებიან. ამ მანქანებმა ზღვაში „კოოპერაციის“ გასვლამდე რამდენიმე ხნით ადრე დატოვეს ქარხნის საამქრო და მათი ქეშმარიტი, პრაქტიკული ღირსებები მხოლოდ ანტარქტიკაში გამოჩნდება. „პინგვინი“ ლენინგრადის კიროვის სახელობისა და სტალინგრადის სატრაქტორო ქარხნების ღვიძლი შვილია. უნდა

ითქვას, რომ მანქანა კარგი გაპოვიდა. კაბინა დასურული აქვს. თბო-  
იზოლაცია შესანიშნავი. დიდი ყინვების დროსაც კი შეიძლება მას-  
ში იცხოვროს და იმუშაოს სუთმა კაცმა. „პინგვინში“ დგას კომპასი  
და რადიოგადამცემი. ძრავას სიმძლავრე 240 ცენის ძალას უდრის,  
ყოველი მანქანა იწონის 16 ტონას. ესე იგი თვითეულ ტონაზე მო-  
ლის 15 ცხენის ძალა. ეტყობა, ანტარქტიკაში „პინგვინები“ უნდა  
გამოცადონ, როგორც ამფიბია, მაგრამ ამავე დროს დიდ სიმაღლე-  
ებსა და ძლიერ ყინვებში მან უნდა გამოამჟღავნოს თავისი საუკე-  
თესო თვისებები.

ლექციის შემდეგ დაენაწილდით ჯგუფებად და „პინგვინების“  
წოდებებში გაგვაცნეს თავიანთი მანქანები.

დავწერე პიესის ნახევარი გვერდი. სასაცილოა, მაგრამ უნდა  
ვთქვა. დრო არ მყოფნის. საღამო ხანს, როგორც კი დღიურის წერას  
მოვათავებ, „მთქნარებისაგან ყბები მექსიკის უბეზე უფრო ფარ-  
თოდ მეხლიჩება“ და ვიძინებ. ერთხელ კიდევ დასტურდება ის  
ამბავი, რომ ესტონელ მწერლებს ყველა განედზე შეუძლიათ  
ძილი.

23 ნოემბერი

აბლანტის ოკეანე

დღეს ტრავერზზე გამოჩნდა კონგოს შესართავი. ბურუსიანი  
ამინდია. გრილა, ქარი ხუთ ბაღს აღწევს. ისევ მარკოვის წიგნს  
ვკითხულობ. საღამოს გვიჩვენეს „კარნავალის დამე“. მართლაც  
კარგი კინოკომედიაა. ზღვაზე განსაკუთრებით უყვარს ხალხს მხიარ-  
ული კინოსურათები.

უკვე რამდენიმე საღამოა დავეძებ კარგ ადგილს, რომ სეანების  
დროს მოვკალათდე ეს ადგილი დღეს იმ მეხუთე მაშველ კანჯოზე  
ვიპოვე. რომელიც კაიოზე დგას. აქ დანავარდობს ქარი, თავზე დაგ-  
ყურებს ბნელი ცა და ისეთი გრძნობა გებადება, თითქოს მარტოლ-  
მარტო ხარ. კანჯოდან ხედავ შავად მოკრიალე ოკეანეს.

ვერ ვიძინებ. გემბანზე ვიღაც სასოწარკვეთილად, სმენის გარეშე  
მღერის ბოშურ რომანსებს, ივ მონტანის სიმღერებსა და „შრია-

ლებდა ლელქაშს“. მომღერალს მუსიკალურ სალონში გამოუძებნია გიტარა და საშინლად მაწამებს. მეზობელ კაიუტაშიც არ სძინაუთ, თუმცა შუალამე გადავიდა და დილით შეიძ საათზე ეართ ასადგომი. მაგრამ მომღერალს ხელს არაეინ უშლის. დღეს მისი დაბადების დღეა. დაე, იმღეროს! ნალვლიანია მომღერლის ხმა, ნალვლიანია ჩემი ფიქრებიც.

20 ნოემბერა

ატლანტის ოკეანე

12 საათსა და 00 წუთზე ჩვენი კოორდინატები იყო სამხრეთ განედის 12°44' და დასავლეთ გრძედის 2°40'. სწრაფად ვუახლოვდებით ნულოვან მერიდიანს. აღმოსავლეთით, რამდენიმე ასეულ მილზე მდებარეობს პორტუგალიის კოლონია ანგოლა, რომელიც აფრიკის დასავლეთ სანაპიროზეა გადაჭიმული.

„ტოვარიშჩის“ გამოთხოვების შემდეგ, ისევე როგორც მასთან შეხვედრამდე რამდენიმე დღით ადრე, არც ერთი გემისთვის არ მოგვიკრავს თვალი. ეს აიხსნება ოკეანის სიდიდით და იმითაც, რომ გადავიხარეთ ჩვეულებრივი საზღვაო გზიდან და სუეციც კარგად ასრულებს თავის მოვალეობას. ცოტა გემი დადის კეთილი იმედის კონცხის შემოვლით.

შეხვდით დელფინების დიდ გუნდს. ამინდი კარგია. საინტერესოა, რომ ამავე ჩრდილოეთ განედზე ძალიან ცხელა, აქ კი უკვე აგრილდა. ნამდვილი ეკვატორი, ანუ ყველაზე დიდი სიციხის ზოლი, რომელიც სერავს ატლანტის ოკეანეს, გადის მნიშვნელოვნად ჩრდილოეთით, ვიდრე გეოგრაფიული ეკვატორი. კეიპტაუნამდე რჩება შეიდი-რეა დღის გზა. სამხრეთით, მეორმოცე განედზე ისევე მძვინვარებს თერთმეტბალიანი შტორმი. ვნახოთ, როგორ შეგვხვდება ამ ადგილებში ზღვა.

დღეს ბედნიერი დღეა, ჭერ ერთი, მივიღე ცოლის რადიოგრაფა, ნეორეც, ჩავუჭექი პიესას და სამუშაოც ადგილიდან დაიძრა (ფვიქრობ, რადიოგრაფასა და კარგ სამუშაო განწყობილებას შორის მეტად მკიდრო კავშირი არსებობს). მე მგონი, ის ორი გვერდი, დღეს

რომ დაეწერე, არა უშავს, კარგი გამომივიდა. შეიძლება ეს იმით აიხსნება, რომ ყოველთვის, როცა ეწერ, არ ვიკარებ არავითარ ექვს, ვივსები რწმენით საკუთარი თავისა და ჩემი გადაწყვეტილების სისწორისადმი. უამისოდ შეუძლებელია მუშაობა. ექვი, სულიერი ტანჯვა, საკუთარი უნარისადმი რწმენის დაკარგვა, ისეთი გრძნობა, თითქოს ვიღაც მოგეკლას, — ყოველივე თავს იჩენს მუშაობის დამთავრების შემდეგ. ჭერჭერობით კი მთელი ეს ინკვიზიტორული და-ვიდარაბა ქამრით არის გაკრული და კარადაში ჰკიდია.

გულახდილად რომ ვთქვა, ცოტა ექვი მეპარება ჩემი პიესის სცენურობაში. სამწუხაროა, რომ ასეთი ექვეები ყოველთვის ჩნდება მაშინ, როცა ხელს ჰკიდებ სამუშაოს. აქ მთავრდება ყველაზე კარგი, ფანტაზიით ყველაზე მდიდარი, ყველაზე ამაღელვებელი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც ძალდატანებისა და მოვალეობის ტვირთით ჭერ კიდევ დაუმძიმებელი ნაწარმოები მხოლოდ წარმოსახვაში არსებობს. იგი თანდათანობით ივსება, იღებს მყარ ფორმას. იკვეთება ცალკეულ გმირთა ძირითადი თვისებები. ნაწყვეტ-ნაწყვეტი რეპლიკები, ნაწყვეტ-ნაწყვეტი დიალოგები უკვე რუკაზე გავლებული პუნქტირივით აღნიშნავს მათ გზებსა და მისწრაფებებს. მაგრამ ჩვენ დაუწერელ ნაწარმოებებს ჭერჭერობით ისე ვხედავთ, როგორც ბეცი კაცი შემოდგომის ტყეს, რომლის ნაირ-ნაირ ფერებს მხოლოდ ერთ ლაქად აღიქვამს.

ჩემი ტანჯვა მხოლოდ მაშინ იწყება, როცა საჭიროა ლექსის, მოთხრობის ან პიესის სული მოვაქციო რაიმე სხეულში — გამოვეუნახო რაღაც ფორმა. წინასწარ ჩაფიქრებული ამბავი ქალაქდზე ხშირად უღიმღამო და უფერული, მოსაწყენი გამოდის, მოქცეულია ან ძალიან ვიწრო, ან ძალიან ფართო ჩარჩოში. იგი ან ვერ ეტევა ამ ჩარჩოში, ან ვერ ავსებს მას.

ახალი სამუშაოს დაწყების დროს ისეთივე გრძნობა მეუფლება, როგორიც მეუფლება ზოგჯერ დილაობით, როცა მაგონდება სიზმარში საუკეთესოდ და თავისთავად დაწერილი ლექსები.

ირითმებიან

რითმები წკრიალით,

სიტყვები

ფარებივით პრიალებენ...



მაგრამ რომც გამოსტაცო სიზმარს რაიმე სტრიქონი, დაინახავ, რომ რითმა არაფრად არ ვარგა, აზრი ულოგიკოა. სიზმარში სულ სხვა კანონები და შეზღუდვები არსებობს, ვიდრე ცხადში. ამბობენ, კუჭის წყლულით დაავადებულ პოეტებს ესიზმრებათ მზამზარეულო, სრულქმნილი ლექსები, რომელთაც დილით ქალაქში გადატანის მეტი არაფერი უნდაო. მეხარბება ამ სიზმარეულთა სტილი, დისციპლინა და ერუდიცია, მაგრამ საუბედუროდ, კუჭი სავსებით ჯანმრთელი მაქვს და სიზმრის იმედი ვერაფერ სიკეთეს მომიტანს. ისე კი, მეექვება, რაიმე დიდტანიანი შეთხზა სიზმარში.

აქამდე თითქმის ყოველდღე მხოლოდ კომპოზიციაზე ვიმტვრევი და თავს და მასზე ფიქრი ხშირად დასვენების დროსაც მტანჯავდა. ალბათ, აღრიდანვე ჯობდა თავი დამენებებინა დრამატული უანრი-სათვის, მაგრამ მე იშვიათად ვტოვებ დაწყებულ საქმეს შუა გზაზე.

უბედურება ისაა, რომ ძალიან ცუდად ვიცი სცენას, მის კანონებს და წესებს. ჩემს პიესაში, რომელშიც მინდა აღვწერო მეტად ბნელი სექტანტური წრე, არ შეიძლება მორწმუნეთა დაცინვა, თუმცა მხოლოდ ეს გზა განაპირობებს პიესის წარმატებას. მე ღმერთი არ მწამს, მაგრამ მწამს ღვთაებრიობა ადამიანში. დღეს, სანამ მუშაობას შევუდგებოდი, გადავიკითხე პიესის მთავარი გმირის — სექტანტი ქალის ლეა ვიირესის დახასიათება, რომელიც ტალინში დაეწერე სექტემბრის დასაწყისში.

„ლეა ვიირესი ნათელი, სათნო, ადამიანური გოგონაა. სურს ჩაიკეტოს ვიწრო სექტანტურ ნაქუჭში, მაგრამ არ ძალუძს. თავდაპირველად აღიარებს და იღებს ანტი სოციალურ და კაცთმოძულე სექტანტურ ფილოსოფიას, მაგრამ არ შეუძლია დაუმორჩილოს მას თავისი გაბედული, მაძიებელი, მგზნებარე, ყოველივე მიწიერთან შესისხლხორცებული „მე“. მთავარი პრობლემაა: ადამიანურობამ, სიცოცხლის სიყვარულმა და რწმენამ დაამსხვრიოს ქადაგება უნებისყოფობაზე, გულგრილობაზე, ფატალურობაზე, განდევნილობაზე და ა. შ. და ა. შ.“

სიუეტისტე! წერს:

1 იუჰან სიუეტისტე (1899—1945) — უდიდესი ესტონელი პოეტი.

ო. ბედო ჩემო, ვიყავ დამჯერე,  
ვიყავ მორჩილი მე შენი დღემდე;  
მიკუროხე ქნარი, ჯვარი დამჯერე,  
ახლა ჩემს ქნარს და ჩემს სიტყვას ენდე.

არ ვიცი, რა მსხვერპლს არ გავიღებდი, ოღონდ სრულყოფილი გამოძივდი მთავარი გმირი. თუ იგი არ გამოძივდა, მაშინ, საერთოდ არაფერი არ გამოძივა. მე მაინც ძალიან მიყვარს იგი. ჭერ კიდევ სიჭაბუკეში შემიყვარდა ერთი ადამიანი, რომლისგანაც ბეგრამ რამ იქნება ნასესხები ლეა ვიირესის სახის შესაქმნელად. ძნელი და მტკივნეულია შეეხო საკითხებს, რომლებიც ამ ადამიანისთვის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხის ტოლია, და რომლებიც მისთვის სრულიად მიუღებელი გზით უნდა გადავწყვიტო. იგი ხომ ჭერაც არ მისულა და, ალბათ, არც არასოდეს მივა იმ დასკვნამდე, სადამდეც პიესის დასასრულს მივიყვან ჩემს ლეას. ცოცხალ ადამიანებზე წერა იმას ნიშნავს, რომ გული ატკინო მათ და ზოგჯერ უსამართლოდ აწყენინო კიდევ.

საღამოს გვიჩვენეს ფილმი „როცა ბულბულები გალობენ“. უკვე აღარ შეგვიძლია ყოველ საღამოს ბოლომდე ვუყუროთ სურათებს — ყელამდე ვართ კინოს ცქერით. ბოლომდე დღესაც ვერ გავძელი. მოჭათქათე მთვარეს ზღვაზე გაუკვალავს მოვერცხლისფრო-მოლურჯო ფართო ბილიკი, რომელიც ხომალდთან ვიწროვდება. არასოდეს მინახავს ამგვარად გადაყირავებული მთვარე. იგი მიაგავს დიდ და ბრტყელ ოქროს ფიალას, რომელიც გადმოპირქვავებული ჰკიდია ოკეანის სუფრის ზემოთ.

27 ნოემბერი

ატლანტის ოკეანე

დღეს 12 საათსა და 00 წუთზე ჩვენი კოორდინატებია სამხრეთ განედის 15°25' და აღმოსავლეთ გრძედის 00°52'. დროდადრო თვალს გამოაჩვენებს მზე. საერთოდ, სამხრეთ ნახევარსფეროში ცა უფრო ღრუბლიანია, ვიდრე ჩრდილოეთში. უკვე რამდენიმე დღეა

ზღვაზე მოგორავს ერთნაირი სიმძლავრის და სიდიდის ტალღები. მოსაწევ სალონში გაკრულ დაფაზე მეოთხე დღეა არ იცვლება წარწერა: „ტალღის სიმძლავრე სამი ბალია“. ოკეანე ლამაზი, მიმზიდველი, ძალიან ამალელებელიც კია ქარიშხლიან დღეებშიც, უქარო ამინდებშიც, მზის ჩასვლის დროსაც, მაგრამ ზოგჯერ ისეთი მონოტონურია, რომ ყველაზე უკაცრიელი უდაბნოც საოცრად მრავალფეროვანი მოგეჩვენება მასთან შედარებით. ეს რომ გაიგო, არ კმარა ერთი დღე, არც ერთი კვირა. ხვალ მეოთხე კვირაა, რაც ზღვაში ვართ, და ამიტომაც გვაქვს საფუძველი, რომ არ ვამეღავენებთ გადამეტებულ აღფრთოვანებას. „კოოპერაცია“ თითქმის არ ირწევია, სამბალიანი ღელვა მისთვის არაფერია.

უუჩეჭი პიესას. სამუშაო წინ მიდის. მე მგონი, ხვალ დაევამთავრებ პირველ მოქმედებას. მთავარი ისაა, რომ გამოიმუშაოდა სრულიად მყარი სამუშაო რიტმი, რომელიც საოცრად მაკლია ტალინში. უფრო სწორად, მაკლია ხასიათის სიმტკიცე, სამაგიეროდ მაქვს საკმაოდ დიდი ადმინისტრაციული პატივმოყვარეობა, რათა გამოვიმუშაო და განვიმტკიცო იგი იქ. მაგრამ ოკეანეს აქვს საკუთარი რიტმი და იგი აჰას თავს გახვევს. სამბალიან ტალღასაც კი იმდენი თანმიმდევრობა, შეუპოვრობა და მუდმივი სწრაფვა ახასიათებს, ერთი საათი რომ უტკირო ამ დამცხრალ ზვირთებს, გაემართები კაიუტისაკენ და თავს ეტყვი: „მაშ, განვაგრძოთ ტვირთის თრევა!“

სალამოს ისევ კინოა. სულ ცოტა ოცი ფილმი მაინც ვნახე, რაც ზღვაში ვართ. მათი ნახვის მერე ისეთი შეგრძნება გიჩნდება, როგორც დაძაბული სამუშაო დღის შემდეგ: მოწეული გაქვს ძალიან ბევრი პაპიროსი, თავში სიცარიელეს გრძნობ, გონებას ძალას ვეღარ ატან და ყოველგვარ სერიოზულ აზრს შიშით არიდებ თავს. ყველა ფილმი ერთმანეთში ირევა.

სტენდალის განსაზღვრით არსებობს: გულისმიერი სიყვარული, გონებისმიერი სიყვარული, ვნებისმიერი სიყვარული, გატაცებისმიერი სიყვარული და შეჩვეული სიყვარული. კინოში არსებობს: გატაცებისმიერი სიყვარული (?); სიყვარული, რომელიც თავდება ქორწილით; სიყვარული, რომელიც ჯერ კიდევ არ თავდება ეკრანზე ქორწილით. არსებობს აგრეთვე მეორე კატეგორიის გმირების მზრუნველობითი დამოკიდებულება პირველი კატეგორიის გმირები-

სადმი, დამოკიდებულება, რომელიც უარყოფს თავისთვის ყველა-ფერს: პურს, სიყვარულს და ფანტაზიას.

ხშირად სეანსების დამთავრების შემდეგ ვასიუკოვი პოლარულ-ლი დათვივით ბრდღვინავს.

28 ნოემბერი

ატლანტის ოკეანე

შუაღლით ჩვენი კოორდინატებია სამხრეთ განედის  $18^{\circ}15'$  და აღმოსავლეთ გრძედის  $02^{\circ}08'$ . ვუახლოვდებით აფრიკის სანაპიროს-ოკეანე ისევე უკაცრიელია. ვნახეთ პირველი ალბატროსები. მფრინავი თევზები უკვე კარგა ხანია არ ჩანან, თითო-ოროლა დელფინი კიდევ გვხვდება.

კარგი დღეა. დავამთავრე პირველი მოქმედება. ხვალ გადავათეთ-რებ. მოქმედების ბოლო პირქუში გამომივიდა. კარგია თუ არა, არ ვიცი. მე საერთოდ მაქვს მიდრეკილება პირქუში ნაწარმოებებისად-მი, თუმცა არასდროს არ გამომდის. ახლა სხვა გზა არ მქონდა, ლეა სულიერ კრაზამდე, თვითმკვლელობამდე უნდა მიმეყვანა, რადგან სხვა მხრივ სიცოცხლით სავსე ქალიშვილის „გამოღვიძება“ ულო-გიკო და დაუსაბუთებელი იქნებოდა.

მთელი დღე აკვიატებული მაქვს მოტივი საგალობლებიდან — „შესხმანი ტარიგისი“ და „საგალობელნი ძლევისანი“. თურმე კარგად მცოდნია ეს საგალობლები და განსწავლული ვყოფილვარ სასუ-ლიერო მწერლობაში. რომ შევიქმნა შესაფერისი განწყობილება, დილიდანვე ვმღერი ამ ჰიმნებს. კიდევ კარგი, რომ ჩემმა მეგობრებ-მა არ იციან ესტონური, თორემ ასეთი რეპერტუარი მეტისმეტად უცნაურ შთაბეჭდილებას მოახდენდა მათზე. სადილობის დროს დიდხანს ვეკამათე ბურხანოვს რწმენის რაობაზე, და იმაზე, როგორ უნდა გვესმოდეს სიტყვა „მორწმუნე“. ბურხანოვის აზრი ამ საკი-თხზე განსაკუთრებით საინტერესო და ჰუმანურია. მე ხშირად ვვარ-დებოდი გამოუვალ მდგომარეობაში და მიხდებოდა თავისმტვრევა.

დღეს გადავიკითხე საკუთარი შენიშვნები, ამონაწერები ბიბლი-იდან, „ქრისტიანის მომლოცვაობიდან“, სექტანტური ლოცვანიდან

(ამ უკანასკნელის კითხვის დროს ყოველთვის მეტი პატივისცემით ვიმსჯელები მარტინ ლუთერისადმი). საკვირველია, რა სამოთხე შექმნა ადამიანის ფანტაზიამ და რა მუქი ფერებით აღწერა ცოდვილი მიწა! სამყარო — ეს ცრემლთა ველი, დაშრეტილი ჰა, საწუთრო, ცოდვა-ბრალი, სნება, ჯოჯოხეთის კარიბჭე, წყვდიადი, მაცდური სიციარიელე, ხორშაკი, სუსხია. აქ უპირატესად ბოგინებენ მათხოვარნი, უძღურნი, ტანჯულნი, სულით დაცემულნი, ცოდვილნი, უბადრუკნი, ბოლომოდებულნი. ხოლო ყოველივე ამას ახურავს დამცირების, დამცირებულობისა და დამამცირებლობის შავი კაშპარა. მაგრამ რაც არ უნდა მუქი ფერებით იყოს დახატული სამყარო, იგო მაინც სამოთხეზე უფრო რეალურია. სამოთხის ყველა აღწერა მე იმავე ფიქრებს აღმიძრავს, როგორც გაუჩნდა ჰეკ ფინს დეიდა პოლისთან საუბრის დროს (ეს ტვენის უბრწყინვალესი ადგილია). ირგვლივ საზეიმო განწყობილებაა, წესიერებაა, დადინარ თეთრებში მორთული, ბარბითთ ხელში და მღერი. სრული ნივილირებაა: ლომს ექნება ცხვრის გული, ქუჩები იქნება ოქროსი, ზღვა მინისა (?), კედლები იასპისა, ილიკლიკებენ ნაკადულები, იშრიალებენ პალმები... კრიტიკა არ არის და არცაა საჭირო, რადგან ყოველგვარი საჭიროება ძალისა, რომელსაც წინ მიყავხარ, გამორიცხულია. ლექსი-კონიდან ქრება სიტყვა „ცდომილება“. მაჰმადიანებს ქალები მაინცაჰყავთ სამოთხეში, აქ კი... ქრისტიანული სამოთხე ანტარქტიკის მატერიკს მიაგავს რაღაცით. აკი როცა ბერდმა როსის ბარიერზე გამოზამთრების შემდეგ ერთ-ერთ თანამგზავრს ჰკითხა, ყველაზე მეტად რა გაკლდათ, მან უპასუხა:

— ეღუნება!

სამოთხეცა და ჯოჯოხეთიც კოლექტიური შემოქმედების ნაყოფია, მაგრამ თუ ჯოჯოხეთი უკეთ გამოვიდა, ეს არცაა გასაკვირო. უძველეს სამყაროში, შუა საუკუნეებში, ახალ და უახლეს ხანებში დედამიწაზე აუარებელი ჯოჯოხეთი არსებობდა. სამოთხე კი უნდა გამოეგონებინათ. შესაძლოა, ამიტომაც ყველანი ვიცნობთ დანტეს „ჯოჯოხეთს“, „სამოთხე“ კი ძალიან ცოტას წაგვიკითხავს. თუმცა ეს ხომ დანტეა!

ეს უცნაური ფიქრები შეიძლება მოგვეგვაროს ღამის ოკეანემ და სამბალიანმა ტალღამ.

დღეს ლამაზი იყო მზის ჩასვლა. ზანტად და უშფოთველად გაწოლილი, მეწამული, მოელვარე ოკეანე უზარმაზარი და გიგანტური ჩანდა. ასეთია მძინარე ლომი. აქ მზე ძალიან მალე ჩადის. აჰა, წყალში ჩაესვენა დისკოს ზემო ნაწილიც და იმ ადგილზე, სადაც მზე გაქრა, რამდენიმე წამი ისევ ადგა ოკეანეს მწვანე სხივთა ბაკმი. იშვიათი, დაუვიწყარი სანახაობაა.

29 ნოემბერი

ატლანტის ოკეანე

სადილობამდე და ნასადილევს მთელი დღე პიესას ვუჩქევი, ვათეთრებდი.

შუადღით ჩვენი ადგილმდებარეობა გახლავთ: 21°22' და 4°43'. ამინდი წინანდებურად შესანიშნავია. ტალღები სუსტია. თუ რუკას დავხედავთ, აფრიკის ნაპირები ახლოსაა, მაგრამ ეს მხოლოდ რუკაზეა. თვალსაწიერზე არსადაა გემის ქაჭანება, არც ხმელეთის სიახლოვის რაიმე ნიშანი. უკვე კვირაზე მეტია ტემპერატურა არ იცვლება და თანაბარი სიძლიერით ქრის ქარი.

ვუახლოვდებით კეიპტაუნს. 4 დეკემბერს იქ უნდა ვიყოთ. ამასთან დაკავშირებით „კოოპერაციაზე“ დიდი გამოცოცხლება და ფაქტუცია. ყოველ საათობით ემატება ფასი ინგლისური ენის მცოდნეებს. პირველ დღეს გავემგზავრებით კეთილი იმედის კონცხზე, მეორე დღეს მოვანდომებთ ქალაქის დათვალიერებას. ხომალდი ბირჟას დაემსგავსა, წამდაუწუმ გაისმის სიტყვა „ვალუტა“. მათ, ვინც მეორედ ჩადის კეიპტაუნში, ესე იგი პირველი ანტარქტიკული ექსპედიციის მონაწილეებს, ეკითხებიან, როგორი ფასებიანო ქალაქში. მეც მოვსინჯე მაზანდა. ამბობენ, კარგი ვისკი ნახევარი გირვანქა სტერლინგი ღირსო. ჰმ-ჰმ! ვასიუკოვმა მოკლედ გამოთქვა თავისი აზრი:

— იმპერიალიზმის ზვიგენები!

სადამოს გვიჩვენეს ფილმი „თუ ქაბუკები მთელი ქვეყნისა...“ ეს სეანსი დამამახსოვრდება, როგორც რაღაც შუალედი რეალურსა

და არარეალურს შორის. სადღაც ზემოთ აღვნიშნე, ეკრანი უკანა ან-  
დაზნა მიმაგრებული-მეთქი. წარმოიდგინეთ, რომ ამ თეთრ მართკუ-  
თხა ტილოზე ირწყევა თორმეტკაციანი სათევზაო ტრალერი, და მთელ  
ეკიპაჟს სიკვდილი ემუქრება. მათი კოორდინატია ჩრდილოეთ განე-  
ლის 68°. ეკრანზე აღბეჭდილი აღელვებული ზღვა თითქოს მთლიანად  
ერწყმის ჩვენი ხომალდის კიჩოსა და ქიმს იქით გადაშლილ ოკეანეს,  
რის გამოც ეკრანი უსასრულო ჩანს. ისეთი შთაბეჭდილებაა, თით-  
ქოს ამ თორმეტმა ჰაბუკმა „კოოპერაციაზე“ ამოჰყო თავი. კინოეკ-  
რანზე ლაპარაკობენ რადიოტელეფონით, ამ ლაპარაკშიც იჭრება ჩვე-  
ნი გადამცემის — მორზეს ხმა. ფილმის გმირებთან სრული შერწყ-  
მის გრძნობას, სიახლოვის გრძნობას მარტო მე არ შევუპყრია —  
ჩვენ ყველანი ძალიან განვიცდით ეკრანზე მომხდარ ამბავს. კარგი  
სურათია.

ახლოდან „კოოპერაციის“ კიჩოს ანძა ძალიან მაღალი და მსხვი-  
ლი ჩანს, განსაკუთრებით ღამეში. იგი კვეთს მთვარით გაშუქებულ  
ღრუბლებს, ზიგზაგები და წრეხაზები გამოჰყავს ზედ, ნელა დაცუ-  
რავს ვარსკვლავთა ზემოთ. ანძის წვერო თითქოს თავისთვისაა აშ-  
ვერილი — წვეროსა და ანტენას ეცემა ანძის სასიგნალო შუქი. თუ  
ანძის ფუძე გემბანს ჩაზრდია, როგორც ხე მიწას, სამაგიეროდ, მისი  
წვერო მიახლოებია ვანტებს შორის მოქანავე ღრუბლებს, მუქ ლი-  
ლისფერ ცას და კაშკაშა ვარსკვლავებს. ამ საღამოს პირველად შე-  
ვამჩნიე ეს.

1967 წლის 30 ნოემბერი

რვა საათზე გრინვიჩის დროით გადაკვეთეთ თხის რქის ტროპი-  
კი აღმოსავლეთ გრძედის 7°-ზე. გამოვედით ტროპიკული სარტყ-  
ლიდან. თუმცა ეკვატორის შემდეგ არც ისე იგრძნობოდა სიცხე.  
ზომიერი სიგრილეა, სწორედ ასეთი ამინდი იცის ხოლმე ბალტიის  
ზღვაზე ივნისის შუა ან ბოლო რიცხვებში.

შუაღლით შევნიშნე, რომ ოკეანეს არაჩვეულებრივად კაშკაშა  
შუქი მოჰტენოდა. ბოლო დღეებში ეს ძალიან იშვიათად ხდებოდა.  
გემბანზე ამოსულმა მაშინვე ვერ დავინახე მზე. იგი ზუსტად ჩემს  
ზემოთ იდგა ზენიტზე, გეგონებოდათ ანძებმა, მოაჭირის რიკულუბ-

მა, „პინგვინებმა“, სვარძლებმა და კანჯობებმა დაკარგეს მყარი სხეულისათვის დამახასიათებელი თვისება ჩრდილის დაყენებისა.

ვნახეთ რამდენიმე ალბატროსი. ერთ მათგანს მეტრნახევრამდე სიგრძის ფრთები ჰქონდა. ისინი ხომალდის ახლოს სრიალებდნენ და სულ არ არხევდნენ ფრთებს. ენერჯის ასეთი დაზოგვით შეიძლება ძალიან დიდი მანძილი გაიარო. ალბატროსები ძალოვანი ფრინველები არიან.

წესრიგში მოვიყვანე უკანასკნელი დღეების ჩანაწერები. ცხადია, ესეც საქმეა პიესას კეიპტაუნიდან გასვლის შემდეგ დავუბრუნდები. იქნებ მოვასწრო და დავასრულო მეორე მოქმედება მეორმოცე პარალელზე შტორმების დაწყებამდე... ცხადია, მათ ვერაფრით ვერ დავალწევთ თავს. უკანასკნელ მოქმედებას უკან დაბრუნების დროისათვის, ინდოეთის ოკეანისათვის გადავდებ. სამხრეთის ყინულოვანი ოკეანე და მირნი ისეთი ადგილებია, რომ მხოლოდ უნდა იცქირო, იცქირო, და იცქირო.

მოგახსენებთ აგრეთვე ერთ ფრიად მნიშვნელოვან ამბავს თმის გაკრეკაზე. ბოლო დღეებში დალაქობას დიდი გასავალი აქვს, ახლოვდება კეიპტაუნი. ჩემი დალაქი საპარაშუტო სპორტის ოსტატი მედვედევია. იგი ათას ხუთასჯერაა გადმომხტარი თვითმფრინავიდან. მედვედევი ერთ-ერთი წარმომადგენელია იმ მცირერიცხოვანი ჯგუფისა, რომელიც გადმომხტარა ჩრდილოეთ პოლუსის რაიონში.

გაკრეკვას თან ახლდა აზრთა ურთიერთგაზიარება, რაც ცხადყოფდა ჩვენს ღრმა ცოდნას ამ სფეროში. ჩვენთვის ცნობილი იყო ბოქსი, ნახევარბოქსი, გაკრეკვა „ქოთნისებურად“, „სტილიაგურად“, „ბულბა“ (ჩვენი ექსპედიციის ერთ-ერთ მონაწილეს თავი მთლიანად გადახატრილი აქვს, მხოლოდ კეფაზე დაუტოვებია ქოჩორი, — სწორედ ესაა „ბულბა“), აქა ჟერარ ფილიპი, აქა შიშველი თალგამი და ა. შ. ერთ თანამოსაუბრეს საჭიროდ მიაჩნდა შეენიღბა ჩემი წაგრძელებული კეფა, რადგან ასეთი კეფა მოდიდან გავიდაო. შემირჩიეს სათანადო ხერხი, რამაც საკუთარი თავისა და სიცოცხლისადმი შიში აღმიძრა. ვასიუკოვმაც გამოთქვა რამდენიმე კრიტიკული შენიშვნა ჩემი თავის ქალას მიმართ, მაგრამ ეს სრულებით არ იყო გონივრული. მას ჩემზე მეტადა აქვს კეფა უკან წაგრძელებული და სამოცდარი ნომერ ქუდს იხურავს. ვასიუკოვს უდავოდ ყვე-



ლაზე დიდი თავი აქვს არა მარტო „კოოპერაციაზე“, არამედ თხის რქის მთელ ტროპიკზედაც. ანდაზას — სხვის თვალში ბეწვს ეძებს და თავის თვალში ღირეს ვერ ამჩნევს — ჯერ კიდევ არ დაუყარგავს თავისი მნიშვნელობა. ახლა მე და ვასიუკოვს დაღიჯნული თავები და წინ გამოშვებული ყურები გვაქვს.

დღეს ვნახეთ კარგი ფილმი — „სხვადასხვა ბედი“. იგი მხატვრული სურათია და გამოირჩევა სიმართლით. მას შემდეგ, რაც რადიოთი ღამე ნებისა გვისურვეს და სპარდეკზე სინათლე ჩაქრა, მოკამათეთა ჭკუფებმა დერეფნებში გადმოინაცვლეს. ყველას თავისებურად ესმის „სხვადასხვა ბედი“, მაგრამ ყველა დადებითი აზრისაა. ერთი ჭკუფი ჩვენი კაიუტის წინ დგას. აქ არიან რადისტები — იაკუნინი, იაკოვლევი, ჩერნოვი, სუშანსკი და საწყობების უფროსი სერგეევი. რამდენადაც ფილმში მართალი ცხოვრებაა ნაჩვენები, მისი ფსიქოლოგიური მხარე კამათს არ იწვევს. მაგრამ ბინები? ო, ბინები კი მართლაც დიდებულია. კომპოზიტორს უჭირავს უზარმაზარი დარბაზები, ტატიანას მშობლებიც არ ცხოვრობენ როკფელერზე უარესად. კამათიც სწორედ ამან გამოიწვია. საბინაო საკითხი, როგორც სხვა დანარჩენი საარსებო საკითხები, აქაც არ სცილდება ადამიანის გონებას. მეორე ჭკუფში არიან კონსტრუქტორები, ტრანსპორტის მუშაკები, ბურხანოვი და ვასიუკოვი. ვასიუკოვი უკვე ოსტროვსკის დრამატურგიის ანალიზამდე მივიდა, მისი თანამოსაუბრე ბურხანოვი კი იქვენულად ჭუტავს თვალებს. მოსაწევ სალონში თავი მოუყრიათ მფრინავეებს, მეტეოროლოგებს და „ობზე“ მომავალი საზღვაო ექსპედიციის ზოგიერთ მონაწილეს. სხვადასხვა ბედის ადამიანები ერთად გროვდებიან, მერე ისევ იშლებიან, დაეხეტებიან დერეფნებში და სულ არ აპირებენ დაძინებას. შესანიშნავა ხალხია!

☺ დეკემბერი

ა ბ ლ ა ნ ბ ი კ ა

კეიპტაუნამდე ოთხას მილზე ნაკლები დარჩა. ნორმალური სიჩქარით რომ გვევლო, იქ ოთხ რიცხვში უნდა ჩავსულიყავით დილით, მაგრამ ახლა, როგორც ჩანს, ნასადილევს ჩავალთ. ქრის ქარი შეიდა,

დროდადრო რვა ბალის სიმძლავრით. ექვსბალიანი ტალღები, რომლებიც ჩვენი ხომალდის საპირისპიროდ მოგორავენ, ანელებენ სიჩქარეს.

დღეს ოკეანე ლამაზია. მძლავრი ქარი უკვე მალა იტაცებს წყალს, ყელყელაობენ ტალღები, წინაერდო წყლის შხეფებით იწუწუება. ოკეანეს ლეგლურჯა ფერი გადაჰკრავს, მაგრამ ღურბინიდან იგი ღია ვერცხლისფერი ჩანს.

„კოოპერაციას“ აუარება ალბატროსი მიაცილებს. ლამაზი ფრინველები არიან ალბატროსები! ისინი არც კი არხევენ ფრთებს, ისე დანავარდობენ ტალღიდან ტალღაზე, იკარგებიან მათ შორის გაჩენილ ნარვალეებში, მიმოქრიან აქოჩრილ ზვირთებზე, დროდადრო ჰაერის ნაკადი მალა იტაცებს მათ. ალბატროსებს ძალიან გრძელი, წამახვილებული ფრთები აქვთ, მაგრამ ერთხელაც არ შემომჩნევია, რომ ზედიზედ დაექნიოთ. ისინი ქარის საწინააღმდეგოდ დაფრინავენ, ლივლივებენ ჰაერში. დღეს ალბატროსების დღეა — ექსპედიციისათვის ისინი ჯერ ისე ახალი ნაცნობები არიან.

### ■ ღვემზებრა

შუადღისას ჩვენი კოორდინატებია: სამხრეთ განედის  $30^{\circ}08'$  და აღმოსავლეთ გრძედის  $15^{\circ}20'$ . ქრის რვაბალიანი ქარი, ღელვა ექვსშვიდ ბალს აღწევს. ექვსი ბალის დროს ფორშტევენის წინ წყალი ყალყზე დგება, შვიდი ბალის დროს ქარი უფრო მძლავრად უტევს ხომალდს, რვა ბალის დროს კი უკვე იგრძნობა შტორმის მოახლოება. დღისით წინაერდოზე ალბატროსებს სურათი გადაეუღე. ქარმა ისინი „ზორკის“ ობიექტივთან ახლოს მორეკა. შემდეგ გემზე ტალღამ დაიწყო მოზავთება და კაიუტაში დასველებული დავბრუნდი. აპარატის ობიექტივი მარილით დაიფარა.

იშვიათად გუგუნებს ოკეანე ისე თანაბრად, როგორც დღეს. ძლიერია ეს გუგუნე. გუგუნე იჭრება კაიუტებსა და სხვა ოთახებში. მეორე დღეს გეჩვენება, რომ ეს ხმა მარადეამს გესმოდა და არც მოგშორდება მთელი სიცოცხლე. „კოოპერაცია“ ირყევა. დღეს ტალღა განსაკუთრებულ თვისებას ამჟღავნებს: ვინც რაიმეს არ

ეჭიდება, სულ ერთია, იცის თუ არა ცეკვა, მაინც ფოქსტროტი<sup>1</sup> ტაქტზე დადის. აი, ეს კი ნამდვილი ოკეანეა.

უკვე ოცდაცამეტი დღეა ზღვაში ვართ. ცხოვრებაში ხანდახან ისეც ხდება, რომ ზედმიწევნით უფერულ, ულიმლამო, ულაზათო დღეებში უცებ საზეიმო განწყობილება შემოიჭრება. ასეთ განწყობილებას ბადებს სასიამოვნო ახალი ამბავი და კეთილი სიტყვა, კარგი მუშაობა ან ამ მუშაობის დამთავრება, სახალისო იღეა ან მეტი-მეტი სერიოზულობა, ლამაზი თვალების შემონათება და სხვა რაიმე მოულოდნელი შემთხვევა. ეს გრძნობა აბანომაც შეიძლება მოგგვაროს. ჩემი ახლანდელი შესანიშნავი განწყობილება იმით უნდა აიხსნას, რომ გარეთ ბობოქარი ამინდია, დღეს ბანაობის დღე გვაქვს და ხვალ სამხრეთ აფრიკის მიწას უნდა დავადგათ ფეხი.

ბანაობის დღეს ხომალდზე „სანიტარულ ავრალს“ უწოდებენ. ავრალი გრძელდება თორმეტი საათი — დილის რვიდან საღამოს რვაამდე. ამ დროის განმავლობაში უნდა გაამზეურო და გაბერტყო ლეიბები, საბნები, ბალიშები, ხალიჩები. კარგად დაალაგო კაიუტა, მორეცხო იატაკი, მიალაგო მაგიდა (ჩემი მიზეზით, ჩვენი კაიუტის მაგიდა ყოველთვის მიხერგილ-მოხერგილია), მიიღო აბაზანა, გაირეცხო ქვედა საცვალი და ა. შ. რვაბალიანი ქარის დროს სანიტარული ავრალი რთულ ღონისძიებად იქცევა. მეორე სათოფურთან ტალღა გემზე შემობრს და ყველაფერს ასველებს. სასუირო გემბანი, რომელზედაც ქარი დაქშიტინებს, გავსებულა ლეიბებით და საკუთარი ქვეშაგები ვერსად დაგიდვია. ძლივს მიაგნებ თავისუფალ ადგილს, იქ კი გემბანი აღმოჩნდება მოსარეცხი, და შენც ისე აწყდები აქეთ-იქით, როგორც ცოდვილი ქალი თავისი უკანონო შვილით.

დილით ჩვრები არ გვქონდა, უჩვროდ კი იატაკს როგორ მორეცხავ. შევეცადე ბოცმანი მენახა, ვერ მივაგენი, ვერც ვასიუკოვმა მიაგნო. მერე ვასიუკოვი გემბანზე წააწყდა ვილაცის მიერ გაფენილ ტომარას (აღბათ, ქვანახშირისა თუ იყო), ამოიჩარა კალთის ქვეშ და კაიუტაში შემოიტანა. უკვე მდიდრები ვართ.

— რა ბედნიერებაა, იუჰან! შეხე — ტომარა! — მითხრა ვასიუკოვმა.

— მართლაც ბედნიერებაა! — ვუპასუხე სერიოზულად. ამქვეყნად ყველაფერი შედარებითია.

თხუთმეტოდე წუთის შემდეგ კაიუტაში მუხლამდე იდგა წყალი, მთელი ჩვენი ავლადიდება ახორავებული იყო საწოლებზე და ორივენი ცეცხლმოდებულებივით გაერბოდით და გამოვრბოდით. გვეშინოდა ტომრის პატრონის გამოჩენისა. ახლა კაიუტაში ყველაფერს ზომზომი გაუდის. ტომარა გადაშალული გვაქვს. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოურად აღვიზარდეთ, ჯერ კიდევ შემოგვერჩა კერძომესაკუთრული გადმონაშთები.

რა ნეტარებაა, ზიხარ აბაზანაში და შენს ირგვლივ ხომალდის რხევის ტაქტზე ირწევა თბილი და მტკნარი წყლის ტალღები. საპონი ქაფდება, თავზე თმა გირბილდება, თავში ჰაეროვანი აზრები ისადგურებს. ბანაობას რეცხვა მოსდევს.

გავრეცხე სამი პერანგი, მსუბუქი ქურთუკი და ორი წყვილი წინდა. ბევრი საპონი მივალიე! საუბედუროდ, როცა ქურთუკი გასაშრობად გაფეინე გემბანზე, იგი უფრო ჭუჭყიანი მეჩვენა, ვიდრე ადრე იყო. ვიმედოვნებ, ეს სინათლის ბრალია.

1057 წლის 4 დეკემბერი

საინტერესოა, ჩავალთ თუ არა კეიპტაუნში შუადამემდე? ღამით დღევა შტორმმა შეცვალა. „კოოპერაცია“ ტორტმანებდა და აქეთიქით აწყდებოდა. როცა იგი ტალღებს შორის გაჩენილ ღრმულებში ყურყუმელაობდა, ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, თითქოს მისი მრავალტონიანი სხეული კიბეზე ეშვება და თვითეულ საფეხურზე ბორძიკობსო. ჩვენ შტორმისა და ექვსბალიანი ქარის საპირისპიროდ მივცურავთ. ხომალდი კარგავს სიჩქარეს, ამიტომაც ვიგვიანებთ.

ნასადილევს პირველად მოვკარი თვალი აფრიკის სანაპიროს. გამოჩნდა სილა, თეთრი ქვებით მოოჭვილი არც თუ მაღალი კბოდეები, გუმბათისმაგვარი მთები, შუქურა, ორიოდე სახლი. შეუიარაღებელი თვალითაც ხედავ, როგორ ქაფდება წყალი კბოდესთან, მაგრამ ყველაფერს ბინდისფერი გადაჰკრავს და ნისლი ბურავს. ვილაც ირწმუნება, პლაჟზე ქალებს ვხედავო; მაგრამ დურბინდის ოკულარი ცხადყოფს, რომ ეს მირაჟია. მალე წინგამოშვერილი ნაპირი კიჩოს მიეფარა და გემის მარჯვენა მხრიდან რომელიღაც შუქურამ სალაში გამოგვიგზავნა.

ალბატროსები უკვე აღარ ჩანან. ისინი ღია ზღვის ფართონები არიან და ხმელეთთან ახლოს არ მოფრინავენ. სამაგიეროდ მოგვეყვება ადამიანებს შეჩვეული თოლიების გუნდი. ხომალდის გვერდით ჩაიქროლებს თითო-ორი დელფინი, ქიმთან ახლოს ბუნიკივით წამრგვალეზულ თავებს ამოყოფენ სელაპები. ამ ადგილებში სელაპებზე არავენ ნადირობს და ისინიც თამამად არიან. მაგრამ სელაპების ნამდვილი სამეფო წინაა, უფრო სამხრეთით.

მზის ჩასვლის შემდეგ ერთი ჯგუფთა და ალიაქოთი ატყდა ხომალდზე — ყველა მარცხენა ქიმს მიაწყდა. ვიღაცამ იყვირა, თანამგზავრიო, და ყველას მოუხდა კარგ სათვალთვალ ადგილზე დამდგარიყო, მაგრამ არაფერი გვინახავს, არც თანამგზავრი, არც მისი მხილველი.

23 საათი და 00 წუთია. ჩვენს წინ კეიპტაუნი ჩანს. მისი ნაირფერად კაშკაშა ჩირალდანთა შუქი კუპრივით შავ წყალზე ისარკება და თვალმომჭრელად ციმციმებს. უცნაურია, ასე ახლოს რომ ხედავ უცხო ჩირალდნებს და უცნობ ადამიანთა სახლების განათებულ ფანჯრებს. ისმის მანქანების გუგუნის, ზღვაზე ციმციმებს რეკლამების შუქი და პროექტორების სინათლის სვეტები. ნიავს პურიას სურნელი მოაქვს ნაპირიდან.

კეიპტაუნის ზემოთ აზიდულმა მთებმა თავდაპირველად შეცდომაში შეგვიყვანა. ისინი საავდრო, ქუში ღრუბლები გვეგონა, მაგრამ, როცა ქალაქს მიეუახლოვდით, მთები თითქოს გამოეყო ცას. ისინი დაბინდული კუხებივით ამოზრდილიყვნენ მიწიდან და მძინარე აქლემს მიაგავდნენ. ამ უზარმაზარი, მძინარე ცხოველის ირგვლივ კი გვირილებივით თეთრად კრთოდა კეიპტაუნის ჩირალდნები.

წინაერდოზე იმდენი ხალხია თავმოყრილი, რომ იქაურობა ჩაშავებულია. „კოოპერაციამ“ ლუზა ჩაუშვა. ღამეს რეიდზე გავათევთ.

6 დეკემბერი

კ ე ი პ ტ ა უ ნ ი

დილით ხომალდზე ლოცმანი ამოვიდა. „კოოპერაცია“ მოლოს მიადგა. ჩვენ გვერდით ამოვეუდექით უზარმაზარ ამერიკულ გემ

„სიტი ოფ იორკს“. კეიპტაუნი უფრო დიდ და სისხლსავსე ნავსადგურად მქონდა წარმოდგენილი. ის კი არც ისე დიდი ყოფილა, ამწეებიც ერთი ციკქნა მეჩვენა. აქ გემები იშვიათად შემოდიან და გადიან. ზაფხულში ტალინის რეიდზე უფრო მეტი მოძრაობაა.

პირველი, რაც ნავსადგურში შევნიშნეთ და შემდეგ უფრო აშკარად დავინახეთ, თეთრკანიანების და ფერადკანიანების ერთმანეთისაგან მკვეთრი გამოიჯნა. როგორც ჩანს, მათ შორის ზღვარი სიმდიდრესა და სიღარიბეს შორის ზღვარს ნიშნავს. ზანგები ეზიდებიან ტომრებს, ექვსი ზანგი მიათრევს ბაგირის ნაქრებით დატვირთულ ფორანს. ერთი სიტყვით, ყოველგვარ შავ სამუშაოს ასრულებენ ფერადკანიანები. ხარისკისრიანი ერთი რუსი ემიგრანტი კი ტრაპთან თავმოყრილ ექსპედიციის მონაწილეებს უხსნის, სამხრეთ აფრიკის კავშირში ზანგი ბურჟუებიც ცხოვრობენო. სიტყვა „ბურჟუას“ იგი ისე მოწიწებით წარმოთქვამს, თითქოს მას უნარი ჰქონდეს ზანგს სიშავე ჩამორეცხოს და იგი წმინდა ევროპელთა თანა აღაზევოს.

მზე აცხუნებს, ცა კამკამებს, ქრის თბილი ქარი. მთას, რომელიც დღისით სხვაგვარად გამოიყურება, ვიდრე ღამით (იგი ახლა უზარმაზარ ქვის მაგიდას ჰგავს), ჩანჩქერივით გადმოჰკიდებია რძისფერი ნისლი. მის ქვემოთ კი ჩანს მზეზე ფანჯრებაბრჭყვიალებული, წითელსახურავეებიანი სახლები და ქალაქის ვიწროქუჩებიანი უბნები. ქალაქს ოკეანის სილურჯე შემოსარკვია. ხომალდის გვერდით, ნავსადგურის აუზში, ბანაობს ზანგი და კუპრივით შავი თავი მზეზე ეხრუკება.

მოგვცეს ფული — გირვანქა სტერლინგი. ნავმისადგომებთან დგას სამი ავტობუსი, რომლებმაც კეთილი იმედის კონცხზე უნდა წაგვიყვანონ. ჯიბეში ვიღებ ფულს, მხარზე ვიკიდებ „ზორკისა“ და „კიევს“. წავედით!

კეთილი იმედის კონცხზე მგზავრობა დიდხანს მემახსოვრება. ახლა, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, მინდა მქონდეს სულ ცოტა, თუნდაც რამდენიმე დღის შუალედი, რათა ოდნავ მაინც მოვიყვანო წესრიგში ფიქრები, შთაბეჭდილებები, შუქჩრდილები და ფერები. ალბათ, რამდენიმე დღე დამქირდებოდა, რომ გადმომეცა ორი ძმის — ინდოეთისა და ატლანტის ოკეანის სილამაზე, აღმეწერა, როგორ ვალერსებიან ისინი თავიანთი თბილი ხელებით აფრიკის

კლასიკურად ნატიფ ყელს ორივე მხრიდან, როგორ ენებთან ერთ-მანეთს ეს ხელები სამხრეთისაკენ მიშვერილ მის კლდოვან შუალ-თან.

ვერასოდეს ვერ ვიტანდი დასასვენებელი სახლების მიერ მოწყობილ ექსკურსიებს და სხვა ამგვარ ამბებს. ასეთი ექსკურსიები გლლის, გიტოვებს ზერელე შთაბეჭდილებებს, რომლებიც ერთი ფინჯანი ყავის შემდეგ დავიწყებას ეძლევა. ვფიქრობ, ბევრი ასეთი ექსკურსია ისეთივე ზედაპირული და ზერელეა, როგორც იმ მწერლების ცოდნა, რომლებიც თავიანთ მომავალ, აშკარად უზვიერო ვშირებს პროკურორივით, ან კიდევ მაძებარივით უწყობენ დაკითხვას და ფიქრობენ, რომ აღამაინის ხასიათის გახსნა ისევე ადვილია, როგორც სამზარეულო კარადისა. რა თქმა უნდა, ასეთი მეთოდები რაღაცას იძლევა; მაგრამ ეს „რაღაცა“ თითქმის ყოველთვის ისეთი ცუდია, რომ ჯობს საერთოდ არ იყო.

ექსკურსია კეთილი იმედის კონცხზე სულ სხვა ხასიათისა იყო. ჯერ ერთი, მისი მონაწილენი უცხონი არ ვიყავით ერთმანეთისთვის. ჩვენ ხომ ნაოსნობის დღეებმა დაგვაახლოვა. მეორეც, თვეზე მეტი ხნის განმავლობაში ოკეანის განუწყვეტელი ტლაშუნის, ხომალდის ძაგძაგისა და ნჯღრევის შემდეგ დედამიწა უფრო მიმზიდველი გეჩვენება. საკუთარ თავში საოცრად ხარ დარწმუნებული, როცა მიაბიჭებ ხრეშზე, ქვებსა თუ სილაზე, მაგრამ მთავარი მაინც თვით ბუნების დიდებულება და სილამაზეა: ირგვლივ მთებია, მიიკლაკნება შარაგზა, თუთრად მოჩანს მოციმციმე სილა. მთები არც ისე მაღალია, ალაგ-ალაგ მათი მოთეთრო ქვეები ბალახითაა დაფარული, მაგრამ მაინც დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ტოვებს. სულ ასე მგონია, სადაცაა გასხივოსნებულ მაღლობსა და ძირს დაშვებულ ღრუბელს შორის გამოანათებს შავი მატერიკის დემონის აღგზნებული და ნაღვლიანი თვალები. უფრო მეტიც, დარწმუნებული ვარ, რომ დემონს ექნება ჩვენი კინოოპერატორის ედუარდ ეზოვის სახე, ჩვენი კარგი ეზოვისა, რომლის ოქროს ხელებმა როგორც იყო აამუშავა ჩემი „კიევი“ (ოლონდ, დიდი ხნით?)

ხელმარცხნივ მთებია. მთის ძირში მიიკლაკნება მოასფალტებუ-ლი გზატკეცილი. გზატკეცილი ვიწროა, როგორც ყველა მთის შარაგზა. ხელმარცხნივ ფეხდაფეხ მოგვყვება ლეგა ფერის, მშვიდი

ატლანტის ოკეანე. კბოდოვანი ყურეებიდან შემომცქერის მისი: კვიანური, მკაცრი თვალები, რომლებიც კუნძულის მკვიდრი ესტონელი ბერიკაცების თვალებს მაგონებს. მე გიცნობ შენ, ჩემო მეგობარო. და მსურს გიამბო როგორ ბრუნდებოდა ოდესღაც შინ კუნძულკიხნუს ორი მეთევზე რიგის ქვის სამტეხლოდან, როგორ შეჩერდნენ ისინი ღამის გასათევად პიარნუში, როგორ მოხვდნენ სტუმრად მხიარულ გოგონებთან და როგორ მივიდა დილით ერთი მათგანი. იმ დასკვნამდე, რომ ამქვეყნად არ უნდა არსებობდეს ძალიან ბევრი სიკარგე. შენც ხომ ისეთი ზნე გქირს, რომ თუ მშვიდად ხარ, მეტისმეტად ხარ მშვიდად, მაგრამ თუკი რუხი ფერის მუშტები დაგვიშინე, ზომა არ იცი. შენც არც თავდაჭერილობა გაქვს, არც სისტემატურობა, არც დისციპლინა, რითაც ესოდენ გამოირჩევიან ჩვენი ექსპედიციის მონაწილეები, დროდადრო რომ აჩერებენ ავტობუსებს გზისპირა ბარებთან და ამოწმებენ თავიანთ ფულს — ყალბი ხომ არააო. არა, ყალბი არაა! ამ ფულით შეიძლება იყიდო ვისკი, რომი, კონიაკი, სოლიანი წყალი, სიგარეტი და თითქმის მუქთი ლუდი. ვერ იტყვი, რომ „კოოპერაციაზე“ მეფობდა მშრალი კანონი, მაგრამ ბევრი ჩვენგანის აზრით, რაც არ უნდა სული მიგდიოდეს მაგარ სასმელებზე ხმელეთზე ყოფნის დროს, ზღვაში ისინი ნაკლებად გინდება. მაგრამ დღეს სხვა ამბავია. ბარებში ისეა არეული ენები, როგორც ბაბილონში აურია ღმერთმა. ერთდროულად გაისმის ინგლისური, გერმანული და რუსული ფრაზები. ერთ-ერთი ბარმენი ისე ძალიან ჰგავს ჩემს ნაცნობ ტალინელ ისტორიკოსს, რომ მინდა ესტონურად გაეუბა საუბარი, მაგრამ იგი ჰოლანდიელია და ჩვენ ვიწყებთ ერთმანეთისათვის გასაგებ ენაზე ლაპარაკს. მალა ვწევ თითს და ვამბობ: „Bier!“ მერე მეგობრობის განსამტკიცებლად ვწევ ორ თითს და ისევ ვამბობ: „Bier!“ კარგი იქნებოდა, ჩვენს ესტონელ ისტორიკოსებსაც ასევე კარგად ესმოდეთ ერთმანეთისა და ასეთივე კარგი შედეგები ჰქონდეთ!

ირგვლივ თვალისმომკრელი სინათლეა. თვალს ვერ ვუსწორებ სილას, რომელიც თებერვლის თოვლივით ბზინავს მზეზე. ბარებში კი გრილა და ნახევრად ბნელა. ის ბარები, რომლებშიც ჩვენ ვიყავით, მხოლოდ თეთრკანიანებისთვისაა განკუთვნილი. მათი პატრონებიც თეთრკანიანები არიან. ზანგები მხოლოდ შავ სამუშაოს ას-



რულებენ — რეცხენ ქიქებს, გვიან იატაკს, სხეპავენ ბარის წინ დარგულ ბუჩქებს. მათ გაუბედავად უქირაეთ თავი, თითქოს უჩინარნი არიან. არ ვიცი, რატომ ამეკვიატა ღეშახტეთა სიმღერა:

თხუთმეტი ტონა ქვანახშირი  
უნდა მონგრეთ დღეში.  
უდროოდ დაბერდები ვალუბში  
და მადაროების ბნელში.

და ვიდრე უფალი მიგიღებდეს,  
იშრომე, არ გაქვს სხვა უფლება  
შენ, მუშა-პირუტყუო კომპანოს,  
შენ — კომპანიის საკუთრება!

გასაგები ხდება ზანგური სიმღერები თავიანთი ბავშვური და კონკრეტული წარმოდგენით ზეცაზე, ზეცისკენ მიმავალ უფასო რკინიგზაზე, ღრუბლის კიდეზე წინასწარ ჩამოდებულ ფენსაცმელებსა, პიჯაკებსა და ბანჯოებზე, თეთრკანიანებზე, რომლებიც დედამიწაზე ჩადენილი დანაშაულისათვის სამაგიეროს მიიღებენ ზეცაში.

განვაგრძობთ გზას. მთები თანდათანობით დაბლდება. უცებ. სრულიად მოულოდნელად, ხელმარცხნივ ინდოეთის ოკეანე გადაიშალა. შეიძლება ატლანტის ოკეანიდან ქვაც კი მიაწვდინო. მაგრამ საკვირველია არა ამ ორი ოკეანის ასეთი სიახლოვე, არამედ ის, რომ მთელი კონტინენტი, შავი მატერიკი, აქ ასე ვიწროვდება. ნაპირთან ახლოს ინდოეთის ოკეანე ატლანტის ოკეანეზე ლურჯი ჩანს. შორს კი იგი ისეთივე უკარებაა, როგორც მისი ანგლოსაქსონელი ძმა: იქ, სადაც ოკეანეები ცისკიდურს უერთდებიან, ორივეს ფოლადისფერი გადაჰკრავს. ახლა კი კმარა, მერეც დიდხანს მოგვიწევს ინდოეთის ოკეანის ცქერა, დღეს ისედაც ბევრს ვლაპარაკობ.

კეთილი იმედის კონცხს შავი მატერიკიდან მაღალი გალავანი ჰყოფს. აქ ნაკრძალია. გზატკეცილზე ჰიშკარი ჰკიდა. ჰიშკართან ჩალისფერულვაშებიანი ძველი მებრძოლი ზის. მას ხაკისფერი ტანსაცმელი აცვია. მეომარი მთლიანად შეხამებია უნაყოფო, ჰვიან მიდამოს და მის სისხლხორცეულ ნაწილად ქვეულა. მებრძოლის ჩამქრალ, უსიცოცხლო თვალებში გამოსჰვივის სილის ციმციმიც, რა-

ზედაც უკვე ვილაპარაკე, მთების საუკუნეობრივი სიბერეც და სრული გულგრილობაც. ვინ იცის, იქნებ იგი ბურების ომის დროიდან მოყოლებული ზის ამ ადგილას?

გზატყეცილზე სამი ზებრა გამოჩნდა. ჩვენ გადმოვედით ავტობუსებიდან. აჩხაკუნდა აპარატები, ჩემმა „კიევემაც“ აღბეჭდა სამივე კულქიციანა ზებრა. ისინი უურადლების ღირსად არ გვხდიან. გატიკნილი და ბუნჩულა ზებრები ძალიან მაგონებენ პიარნუს პლაჟის ჩათქვირებულ ქალებს, რომლებიც მხოლოდ გახდომასზე ფიქრობენ და ამავე დროს ცოტას მოძრაობენ. მსგავსებას აძლიერებს ზებრების ბუნებრივი პიჟამა — მათი ზოლებიანი ტყავი.

კეთილი იმედის კონცხი დიდ შთაბეჭდილებას ახდენს ჩვენზე. მივედით შუქურამდე. ხელმარცხნივ გადაშლილია ინდოეთის ოკეანე, ხელმარჯვნივ — ატლანტის ოკეანე. წინ კი ვადის ის წარმოსახვითი ზოლი, სადაც ამ ორი ოკეანის წყალი ერთვის ერთმანეთს. ჩვენ არც კლდეების სიმაღლე გვაოცებს. არც მათი ციცაბო გვერდები, გვაოცებს ოკეანის სიდიდე, უკიდვე განობა და სიმშვიდე. ამას წყლის შუაგულშიც კი ვერ იგრძნობ ისე მძაფრად, როგორც აქ.

ასეთი პეიზაჟი — ზღვის გულში ჩახუტებული მატერიკი, პიტალო ქარაფები, აქაფებული ტალღები, ალბათ, ხელს უწყობს ადამიანს გახდეს პოეტი. ისინი, ვინც იზრდებიან ღვიის, თხილის ბუჩქებსა და რიყის ქვებს შორის, ადრე თუ გვიან პროზას ჰკიდებენ ხელს.

განვაგრძობთ გზას.

1967 წლის 5 დეკემბერი

კ ე ი კ ტ ა უ ნ ი

სალამოს ხომალდზე გვეწვივნენ იაპონიის ანტარქტიკული ექსპედიციის წარმომადგენლები. მუსიკალურ სალონში ტევა არ იყო. ერთნაირ ლურჯ კოსტუმებში გამოწყობილი სტუმრები ახალგაზრდულად გამოიყურებოდნენ და ძალიან ჰგავდნენ ერთმანეთს. სინამდვილეში კი არც ისე ახალგაზრდები იყვნენ. ჩვენი მხრიდან სტუმრები მიიღეს გოლიშევა და პროფესორმა ბუგაევმა, მფრინავების

სახელით — ფურდუცკიმ, რადისტების სახელით — ჩერნოვმა, ტრანსპორტის მუშაკთა სახელით — ბურხანოვმა. თარჯიმნობდა შორეული ნაოსნობის შტურმანი და ანტარქტიკის მატერიკის ექსპედიციის ნავიგატორი ოლეგ ვოსკრესენსკი. მე, ასე ვთქვათ, პრენის წარმომადგენელი ვიყავი. ყველანი მაშინვე პროფესიების მიხედვით დანაწილდნენ. ფურდუცკის, რომელსაც გარს შემორტყმოდნენ იაპონელი მფრინავები, თარჯიმანი აღარ შეხვდა — ჩვენი „ინგლისელების“ უმეტესობა ქალაქში იყო გასული. უბის წიგნაკებში მაშინვე გაჩნდა თვითმფრინავების ჩანახატები, ძრავების განლაგების სქემები. ცხენის ძალისა და ფრენის სიმაღლის აღმნაშვნილი ციფრები, ყინულის აეროდრომების მონახაზები. ტექნიკის ხალხი შესანიშნავად უგებს ერთმანეთს. ბურხანოვმა „პინგვინები“ გააცნო იაპონელებს. მანქანები მართლაც კარგია და სტუმრებს არც კი დასჭირებიათ მხოლოდ იაპონური თავაზიანობის გამო ელიარებიანთ ეს.

არ ვიცი, რას დაწერს ამ შეხვედრის თაობაზე „ასახის“ კორესპონდენტი მისტერ ხიკიდა. ხომალდზე შეკრებილ კოლეგებს შორის, უდავოდ, ყველაზე ცუდად ჩვენ გვესმოდა ერთმანეთისა. მისტერ ხიკიდა ლაპარაკობდა ინგლისურად, მე — რუსულად, ასე რომ აქაც გვიხდებოდა ხელებით ლაპარაკი. ჩვენ გვესმოდა ცალკეული სიტყვები, მაგრამ, რადგანაც საუბარი ლიტერატურას ეხებოდა, ეს საკმარისი არ იყო.

— დოსტოევსკი, — აჰობს მისტერ ხიკიდა, — very good!<sup>1</sup> — ამას მოსდევს თავის დაკვრა, ღიმილი. მეც ვუპასუხებ თავის დაკვრით, ღიმილითა და very good-ით.

— ტოლსტოი! Very, very good! — მეორდება თავის დაკვრა, ღიმილი.

— ერენბურგი! — კვლავ იგივე ცერემონია.

ვსაუბრობდით ჩემს კაიუტაში. მისტერ ხიკიდამ „ყაზბეგი“ მოსწია (თავდაპირველად იგი უკუღმა ჩაიდგა პირში). მეც გავსინჯე იაპონური სიგარეტი. შორიდან ჩვენი გულითადი საუბარი მუნჯების ლაპარაკს ჰგავდა. ხიკიდას ვაჩუქე საკუთარი იუმორისტული მოთხ-

---

<sup>1</sup> ძალიან კარგია (ინგლისური).

რობა „მუხუელთა საოცარი თავგადასავალი“, რომლის შინაარსი მას უფრო გვიან ილუსტრაციების საკმაოდ თავისუფალი ახსნა-განმარტებით შოუთხრო ინგლისურად ვოსკრესენსკიმ. ხიკილამ გადმომცა თავისი საღარბაზო ბარათი და იაპონიის პეიზაჟიანი ღია ბარათი, რომლის უკანა გვერდზე ეწერა: With Best Wishes for a Merry Christmas and a Happy New Year<sup>1</sup>.

მე ხაზი გავუსვი სიტყვა „Christmas“-ს.

მისტერ ხიკილამ წამოიძახა:

— No! — და მოჰყვა ლაპარაკს თეოლოგიაზე, უთუოდ არა ევროპულზე. სტუმრებს სამეცნიერო ლიტერატურა გაუუცვალეთ.

ისინი გვიანობამდე დარჩნენ „კოლოპერაციაზე“. კაპიტანმა წვეულება გამართა. საკითხავია, სტუმრებმა მართლაც ისე ცუდად იცოდნენ რუსული, როგორც გარეგნულად ჩანდა, თუ არა. „მაწანწალა“ და „სტენკა რაზინი“ ბევრმა ისევე კარგად გაიგო, როგორც ზოგიერთი რუსული სიტყვა, რომლებიც, ჩვეულებრივ, არ იბეჭდება. თუმცა, საეჭვოა, რომ სწორად ესმოდათ მათ ამ სიტყვების აზრი. ყოველ შემთხვევაში, ერთ-ერთი სიტყვა მათ თავისებურ გამოთქმაში სააღერსოდ აედერდა.

1957 წლის 6 დეკემბერი

დღეს უმეტესი დრო ოლეგ ვოსკრესენსკისთან ერთად ქალაქში ვაეატარე. გირვანქა სტერლინგი ჯიბეს მიწვავდა და როგორმე უნდა მომეცილებინა... და აჰა, იგი თანდათანობით მთლიანად შემომადნა ხელში. გამახსენდა, როგორ ჩიოდა მამაჩემი მოხუცებულობაში: რამდენი ახალი საფულე არ უნდა ვიყიდო, რამდენი არ უნდა გამოვიცვალო, ფული არც ერთში არ უცდისო. მეც უკვე ხუთი საფულე გამოვიცვალე, მაგრამ ისინი მამაჩემის საფულეების მსგავსნი გამოდგნენ. ეს მით უფრო საკვირველია, რომ ყველაზე მეტად მაღაზიებში სიარული მეჭავრება. თუკი რაიმე მაქვს საყიდელი,

<sup>1</sup> „გისურვებთ მხიარულ შობის დღეს და ბედნიერ ახალ წელს!“ (ინგლისური).

წთელი დღე უგუნებოდ ვარ, უკმაყოფილოდ ვბუზღუნებ და ვიღრინები, თუმცა ვიცი, რომ ეს უმწეო კაცის უაზრო უკმაყოფილებაა და სხვა არაფერი.

მაგრამ ვოსკრესენსკი ისეთი სიმპათიური კაცია, რომ ამჯერად არავითარი ციებ-ცხელება არ განმიცდია. მისმა კარგმა ინგლისურმა გამიადვილა ვაჭრობა. იმ დუქნებში, რომლის აგენტები ხომალდზე ამოცივდნენ და თავიანთ პროსპექტებს გვაჩრიდნენ, ცოტას ვყიდულობდით. ჩვენი თვალთ დანახული კეიპტაუნი — ეს სავაჭრო კეიპტაუნია. ზაფხულია, ვიტრინებში კი საშობაო რეკლამებია გამოფენილი. გამყიდველები მეტისმეტ თავაზიანობას იჩენენ. აგვეკიდა ერთი რუსი მედუქნე, რომელსაც, მგონი, განგებ დაყვავდით ყველაზე ცუდ მაღაზიებში. იგი დაუსრულებლივ ლაპარაკობდა თავის სავაჭროზე. გვეუბნებოდა, რამდენი გირვანქა სტერლინგი ღატოვებს მასთან „სლავას“ ვეშამპურებმა, და ა. შ. ეს საუბარი გაგრძელდა მანამ, სანამ ერთ-ერთმა მისმა კონკურენტმა არ ჰკითხა:

— თქვენ ამ ბატონების თანამგზავრი ხართ?

და საუბარმა უმალ თანამგზავრზე გადაინაცვლა.

ჩვენს მეგზურს ნახევარი საათით სრულიად გადაავიწყდა დუქანი თავის ღირსებებიანად და უაღრესად გულწრფელი აღფრთოვანება გამოხატა. ეს გასაგებიცაა. თანამგზავრი დედამიწის გარშემო დაქრის, ბოლო მას თავს დასტრიალებს სხვადასხვა შენედულების ადამიანთა აზრები, მათი აღტაცება და ღვარძლი. მათი პოლიტიკური მრწამსი და ხვალინდელი დღის მოლოდინი. ჩვენ, ექსპედიციის მონაწილეებმა. ძალიან ცოტა რამ ვიცით მეორე თანამგზავრზე. მხოლოდ გუშინ მივიღეთ 13 ნომბრის „პრაედა“ და დღეს ცოტათი გავნათლდით. გასაოცარი წარმატება! ჩვენ მართლაც დიდ სიამაყეს ვგრძნობთ, თუმცა არ ძალგვიძს გამოვხატოთ იგი ისეთი გასაოცარი ტემპერამენტით, როგორც კეიპტაუნელები გამოხატავენ.

ერთი დღე საკმარისი არაა სრული წარმოდგენა შეგვექმნას ქალაქზე. რომლის მოსახლეობა ნახევარ მილიონზე მეტია. მახსოვრობაში ჩამჩჩა კეიპტაუნის ქუჩების სიჭრელე, ზანგების სახის ფერადოვნება — ღია ყავისფერით დაწყებული და შავით გათავებული, ტანსაცმლის ღია, ზოგჯერ მეტად უჩვეულო ჰყეტელა ფერები, მაღაზიების სიგრილე, ბარში მაგიდაზე ფეხებშემოწყობილი, უზარ-

მაზარ ყვითელფეხსაცმლებიანი ვილაც გადამტყვერალი ბატონი, ოფიციატების ზღაპრული სიმარდე: კარგი შოტლანდიური ვისკი და, რა თქმა უნდა, „კოკა-კოლა“. ამ სასმელის რეკლამა და მისი სამპენსიანი ბოთლები მოსვენებას არ გვაძლევს ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. დამამახსოვრდა ორსართულიანი ავტობუსები, რომლების პირველ სართულში თეთრკანიანები სხედან, მეორეში კი ზანგები და სხვა ფერადკანიანები. ზანგებისთვის არის ცალკე ბარები. რომლებიც ღარიბული და ქუჩყიანია (ყოველ შემთხვევაში, გარედან მაინც).

მაგრამ მე ჯერ კიდევ ვერ შევიცანი ქალაქის სული, მისი მრავალფეროვნება, მისი სასიცოცხლო რიტმი. უცხო კაცად მოვედი აქ და უცხო კაცადვე წავალ აქედან.

ექსპედიციის ერთმა ნაწილმა, ძირითადად მოსკოველებმა, აქ წერილები მიიღეს შინიდან. ლენინგრადელებს არ მიუღიათ. ეტყოფა, ტალინიც ძალიან შორსაა აქედან. ისე კი, იმედი მქონდა, რომ ჩემს სახელზეც იქნებოდა რაიმე, მაგრამ მოვტყუვდი: ჩვენ შევავსეთ ჭიქები ფლოტის მომმარაგებლების მიერ მოცემული რომით და დავლიეთ იმათი სადღეგრძელო, ვისაც წერილები არ მიუღია. ნაღვლიანი სადღეგრძელოა.

ახლა ზღვაში ვართ. წინ სამხრეთის ყინულოვანი ოკეანეა, ცივა და უკაცრიელი. ალბათ, მირინმდე არც ერთი გემი არ შეგვხვდება.

1957 წლის 8 დეკემბერი

გადავკვეთეთ სამხრეთის მეორმოცე პარალელი. ამოვ გამოდგა ჩვენი შიში აპინდთან დაკავშირებით. ოკეანე ძალიან მშვიდი, რუხი და მონოტონურია: ბედი გვწყალობს. „ობს“ აქ ისეთი დღე დაადგა, რომ კინაღამ თავისი დაემართა. ჩვენ რიგიანი სიჩქარით მივდივართ.

გუშინ სადამოს ექსპედიციის წევრებმა კარგა ბლომად მოვიყარეთ თავი და დიდხანს ვისხედით ერთად. თვითეული ჩვენგანი თავის მშობლიურ ქალაქს აქებდა. ტალინს ბევრი ქება-დიდება ერგო. ერთმანეთს გავუზიარეთ კეიპტაუნის შთაბეჭდილებები. ვიმღერეთ.

ჩვენი კოორდინატებია სამხრეთ განედის  $42^{\circ}50'$  და აღმოსავლეთ გრძედის  $25^{\circ}20'$ . ოკეანე არ ღელავს, ქარის სიჩქარე წამში ოთხ მეტრს აღწევს. უფრო და უფრო იგრძნობა სიგრილე. პაერის ტემპერატურა ღლეს პლუს 9,2 გრადუსია, წყლის ტემპერატურა — პლუს 10,7 გრადუსი. ჩვენ ჭერჭერობით კუნძულ პრინც ედუარდისაკენ გვიჭირავს გეზი. ვჩქარობთ მალე გავიაროთ მეორმოცე პარალელი და მშვიდი წყლების ზონაში შევიდეთ.

1957 წლის 10 დეკემბერი

შუადღით ჩვენი კოორდინატებია სამხრეთ განედის  $43^{\circ}53'$  და აღმოსავლეთ გრძედის  $28^{\circ}16'$ . უკვე საკმაოდ გრილა. რა თქმა უნდა, ეს განსაკუთრებით იგრძნობა ტროპიკების, სუბტროპიკებისა და ეკვატორის შემდეგ. პაერის ტემპერატურა პლუს 6 გრადუსია, წყლის ტემპერატურა — პლუს 7,2 გრადუსი. ღლეს საღამოს ჩაუუარეთ პრინც ედუარდის კუნძულებს, მაგრამ ნახვით, არ გვინახავს. კუნძულები შორს იყო აღმოსავლეთით.

ჩრდილოური, პირქუში დღეა. წავიკითხე ოწილი. ჩემზე განსაკუთრებით ძლიერი, მაგრამ მძიმე შთაბეჭდილება დატოვა მისმა ნაწარმოებებმა. ერთია „ვეშაპის ქონი“ და მეორე „სახიფათო ზონაში“. „ვეშაპის ქონში“ განსაკუთრებით ოსტატურად და დიდი ფსიქოლოგიური დამაჯერებლობითაა გადმოცემული ბრძოლა სუსტ ადამიანურ ხასიათსა და ზღვის მონოტონურობას შორის. სუსტი ხასიათის ადამიანი ზღვის მონოტონურობასა და მის უდრეკ ძალასთან ბრძოლაში ყოველთვის მარცხდება.

სტენდალის „წითელ და შავში“ დატუსაღებული ეიულიენ სორელი ამოწმებს თავის შინაგან ძალებს და შემდეგ დასკვნამდე მიდის: „აი, უკვე ოცი გრადუსით დაბლა ვდგავარ სიკვდილის დონეზე“. მე „სიკვდილის დონეზე“ აღარ მჭირდება ლაპარაკი. მიუხედავად ამისა, ხანგრძლივი ნაოსნობის დროს ადამიანს უნდა ჰქონდეს თავისი შინაგანი დონე, რომლის დაბლა არ უნდა დაეშვას. ღლეს ჰეიდგავარ მინუს ორ გრადუსზე.

მოდის წყალთოვლი. როგორც ზღვას, ასევე ჩემს სულსაც ნისლი ბურავს.

1857 წლის 11 დეკემბერი

შუადლით ჩვენი კოორდინატებია  $48^{\circ}53'$  და  $31^{\circ}41'$ . დღეს გუშინდელზე უფრო ცივა. წყლის ტემპერატურა პლუს 4,9 გრადუსია, ჰაერის ტემპერატურა პლუს 2,8 გრადუსი. თუ ადრე თავმოყრის ადგილი საკარკაპე გემბანი იყო, ახლა იქ კინოსეანსების დროსაც კი ცოტა ხალხი იკრიბება, სხვა დროს ხომ სულ არავინაა. ქურთუკებს უკვე პატივი დაედო. მე უაზროდ შევეყურებ კედელზე ჩამოკიდებულ ჩემს ნაცრისფერ შლიაპას, არ ვიცი ოკეანეში გადავუძახო, თუ მირნიში რომელიმე პინგვინს ვაჩუქო. ანატოლ ფრანსის თქმით, პინგვინებს ადამიანებივით უყვართ სიკოხტავე, განსაკუთრებით მშვენიერთა სქესის წარმომადგენლებს. ჩემი ქული დიდი არაფერია და არც მენანება, ახლა იგი ყველაზე გამოუსადეგარი ნივთია ჩვენს კაიუტაში.

ამჟამად ბევრი ხალხი იყრის თავს მოსაწევ დარბაზში. აი, ახლა ღამის თორმეტის ნახევარია და ჩემს კაიუტამდე აღწევს დომინოს ქვების ჭახუნი. ჩვენს ხომალდზე ბევრი თამაშობს ბანქოს, დომინოს კი — ყველა. მე ბანქოს ძველი, საკმაოდ აზარტული მოთამაშე ვარ და ბანქოსადმი მათი სიყვარული ჩემთვის გასაგებია, მაგრამ დომინოთი ასეთ გატაცებას პირველად ვამჩნევ. როცა დღეს, ნასადილევეს, დომინოს „პროფესორებმა“ გოლუბენკოვმა და მფრინაევმა რიეკოვმა მოვიგეს, მე სერიოზულად გავბრაზდი ჩემს პარტნიორზე: რატომ ავიწყლებოდა ჩემი სამიანები, რომლითაც მოწინააღმდეგეების განადგურება შეგვეძლო? ყველაზე ცუდი ისაა, რომ წაგებულებს მაშინვე აგდებენ მაგიდიდან: ბევრია თამაშის მსურველი. გამახსენდა ნანსენის ნათქვამი: გრელანდიაში „იაზონით“ მოგზაურობის დროს სელაპმჭერები დილიდან შუალამემდე ბანქოს თამაშობდნენ. ზოგიერთები „კოოპერაციაზეც“ ატაკუნებდნენ დილიდანვე. წაგებულები თავიდან იკავებდნენ რიგს და ასე გრძელდებოდა გვიანობამდე.



კარგი სიჩქარით მივიწევთ. გუშინ გავიარეთ ორას ოცდათხუთმეტი მილი. დღესაც ათ მილს გავდივართ საათში. თუ შემდეგაც ასე ვივლით, 23—24 დეკემბერს მირინში ვიქნებით. ეს შესანიშნავია.

დღეს გადავკვეთეთ ორმოცდამეათე პარალელი. ახლა გაძლიერებულ კვებაზე გადაგვიყვანენ, მოგვეცემა პოლარული ნორმა. თუმცა აქამდეც ძალიან კარგად გვკვებავდნენ.

შუადღით ჩვენი კოორდინატები იყო სამხრეთ განედის  $51^{\circ}54'$  და აღმოსავლეთ გრძედის  $35^{\circ} 33'$ . ჰაერის ტემპერატურა პლუს 3,5 გრადუსია, წყლის ტემპერატურა — პლუს 3,2 გრადუსი. უქაროდღეა.

შევხვდით პირველ აისბერგს — სალამი გვიძღვნა ანტარქტიკული. იგი გამოჩნდა ხომალდის მარჯვენა მხრიდან და სულ იზრდებოდა და იზრდებოდა. „კოოპერაციამ“ აისბერგს ხუთ-ექვს კილომეტრზე ჩაუარა. დიდებული სანახაობა იყო! თეთრად ქათქათებდა და აქეთ-იქით ლურჯი ჩრდილები დაჰკრავდა. აისბერგი ჰგავდა მოცურავე კლდოვან კუნძულს, რომელზედაც თითქოს ორი საყდარი იყო აგებული. „კოოპერაციის“ მოძრაობასთან ერთად იცვლებოდა მისი გარეგნობაც. იგი ხან ახლად დაბანილ, სარკქენად თავადერილ თეთრ ცხვარს მოგაგონებდა, ხან კიდევ საპირისპირო მიმართულებით აფრენილ უზარმაზარ თვითმფრინავს.

ვნახეთ უამრავი ვეშაპი.

„კიევი“ კვლავ არ მუშაობს.

შესანიშნავი ამინდია. სწრაფად მივცურავთ. გეამება რუკის შეხედვა — კეიპტაუნიდან მოყოლებული წითელ წერტილებს შორის მანძილი, რომელიც დღიურად გავლილ მონაკვეთს აღნიშნავს, ერთნაირია: ორას ორმოცი მილი, ან ცოტათი ნაკლები. შესაძლოა, ორმოცდაათ დღეში ჩვენ მართლაც გავიარეთ მთელი მანძილი კალინინგრადიდან მირნიმდე — თერთმეტი ათასი საზღვაო მილი, ანუ ოცი ათასი კილომეტრი. შუადღით ჩვენი ადგილმდებარეობაა: სამხ-

რეთ ვანედის 54°16' და აღმოსავლეთ გრძედის 39°58', პაერის ტემპერატურა პლუს 3.3 გრადუსია, წყლის ტემპერატურა — პლუს 1,9 გრადუსი.

დღისით შემოგვხვდა მტაცებელი ნამგალა ვეშაპების უზარმაზარი გუნდი. იქნებოდა დაახლოებით ას ორმოცდაათი—ორასი სული. მათ აინუნშიაც არ ჩაუგდიათ ჩვენი „კოოპერაცია“ და გზიდან არ გადაუხვევიათ. საშინელი მტაცებლები არიან ნამგალა ვეშაპები — ისინი რისხვად ატყდებიან თავს სელაპებს, პინგვინებსა და დიდ ვეშაპებსაც კი.

ნამგალა ვეშაპები არც ისე დიდები არიან. ერთი შეხედვით, მიჩურინის დელფინები გეგონებათ. მათი მუქი ფერის ზურგი და მაღალი ფართლი ხან წყალში იკარგება, ხან ისევ გამოჩნდება — ისინი კარგად ცურავენ როგორც წყლის ზედაპირზე, ისე წყლის სიღრმეში. როცა მათ გემიდან უყურებთ, სულ არ გეჩვენებათ საშიში; მაგრამ ჩვენი ბიოლოგები ამბობენ, ერთი ასეთი თევზუნას ფაშვში თორმეტი სელაპი იპოვესო! სელაპი კი იმდენს იწონის, რამდენსაც მე.

ბიოლოგი ზენკოვიჩი, რომელიც ჩვენთან ერთად მოემგზავრება შირნიში და იქ საზღვაო ექსპედიციაში გადავა „ობზე“, კარგად იცნობს ვეშაპებს. იგი წერს, რომ ეს ხარბი მტაცებლები გარს ერტყმიან და მუსრს ავლებენ ლომვეშაპების გუნდებს, თავს ესხმიან სხვა ვეშაპებს და ენას აგლეჯენ ხახიდანო...

ზუსტად მზის ჩასვლის დროს „კოოპერაციამ“ საკმაოდ ახლოს ჩაუარა დიდ აისბერგს. აისბერგი მალლა ამოშვერილიყო და მოგაგონებდათ უზარმაზარ თავ შაქარს, რომლისთვისაც დიასახლისს ერთი-ორი ნატეხი ჩამოუმტვრევია და შერე თავი მიუნებებია. ეს ორი ნატეხი ახლა იქვე გდია, წყლის ლურჯ სუფრაზე. მართალია, ამ უზარმაზარი ყინულის ხორგის შვიდი მეთათედი წყალქვეშაა, მაგრამ რაც ჩანს, ისიც საკმარისია. იგი საოცრად თეთრად ქათქათებს, ალაგ-ალაგ მოლურჯო ფერი გადაჰკრავს, დაჩრდილულ ადგილებში კი სულ მთლად ლურჯია. აისბერგის წყალზედა ნაწილი ტალღებს წარმოუდგენლად, საგულდაგულოდ გაუკრიალებია რამდენიმე მეტრის სიმაღლეზე. ყინული უძვირფასეს მარმარილოსავით ბრწყინავს. იგი სადაა და დიდებული, არავითარი არქიტექტურული ზედ-

მეტობა არ ეტყობა. ერთ-ერთმა ამ ზორზოხა, თეთრმა, ფრიალო კლდემ გამახსენა ქველებური, ბოლოშევიწროებული, მოჩუქურთმებული, გალაქული კომოდი. ალბათ, არც ერთ მეფეს არ უნახავს ასეთი დიდი და თეთრი კომოდი.

აისბერგი ყველა მხრიდან სხვადასხვანაირია. როცა იგი „კოოპერაციის“ კიჩოს იქით მოექცა და მის თეთრ ფონზე ალისფრად აფერადდა ჩვენი დროშა, ეს ყინულის მთა დაემსგავსა კოშკებიან და ფორტებიან ციხე-სიმაგრეს, რომელსაც ირგვლივ შემორტყმია თვალწვედნელი ხანდაკი — ოკეანე. მთელი ეს ნაგებობა ეყრდნობა უზარმაზარ წყალქვეშა პლაცდარმს, რომელზედაც მიგორავენ ტალღები და შხეფებს ისვრიან.

დაისია, მზე ჩადის, წყალს ფოლადისფერი გადაჰკრავს. აისბერგი თანდათან გვშორდება, მისა ფერები ისეთი დაწმენდილი და ხასხასაა, რომ გულს გვიჩქროლებს.

1957 წლის 16 დეკემბერი

გუშინ კაპიტანს ველაპარაკე. შეიძლება მირნიში 21 დეკემბერს ჩავიდეთ. „კოოპერაციას“ მისვლისთანავე გადმოტვირთავენ. მას მტკიცე განკარგულება აქვს მიცემული: მირნიდან მეორე ანტარქტიკული ექსპედიცია ორ პარტიად უნდა გაიყვანოს. პირველი პარტია ალექსანდრიაში უნდა მიიყვანოს, შემდეგ დაბრუნდეს უკან და დანარჩენები კალინინგრადში ან რიგაში წაიყვანოს. ამ ვარიანტის დროს გემი ათიოდე დღე უნდა დარჩეს მირნიში. თუ „კოოპერაციამ“ მეორე ექსპედიციის ყველა წევრის ერთდროულად წაყვანა მოახერხა, მაშინ მირნიში დავრჩებით ორმოცი-ორმოცდაათი დღე. ჭერჭერობით უფრო მოსალბდნელია პირველი ვარიანტი.

თავდაპირველად განზრახული მქონდა მაშინვე გავყოლოდი „კოოპერაციას“ ალექსანდრიაში, მაგრამ გუშინ, წუხელ დამით და დღეს დილით ყოყმანი დავიწყე. როგორ მოვიქცე? იცურავო თერთმეტი ათასი მილი, ზღვაში დაჰყო ორმოცდაათი დღე და ბოლოს, მხოლოდ რამდენიმე დღე დარჩე მირნიში, სადაც ალბათ ვერასოდეს ჩამოვალ — ვერაფერი გადაწყვეტილებაა, ანდა შეიძლება ითქვას, მხოლოდ ზერელე, ტურისტული გადაწყვეტილებაა. ექსპედი-

.ციის ხელმძღვანელობა თანახმაა, დავრჩე მირნიში ალექსანდრიიდან „კოოპერაციის“ დაბრუნებამდე. თუ პირველ რეისს გავყვები, ესტონეთში თებერვალში დავბრუნდები, მეორე რეისით კი — მაისის დასაწყისში. საბოლოოდ, როგორც იყო, დარჩენა გადავწყვიტე. ამ სტრატეგიებს ვწერ გულდამძიმებული და ფიქრებაშლილი. ძალიან მომენტარა ესტონეთი, მისი კუნძულები, ოჯახური სიტბო, ჩემი ოთახი, რომელიც არ ირყევა და არც ტორტმანებს გამუდმებით, და სადაც იმდენი ადგილი მაინცაა, რომ ფიქრებში წასულმა წინ და უკან იარო. ძალიან მომინდა ცოლის ნახვა. ჩემში ჯერ კიდევ არ შეწყვეტილა არაქათგამომცლელი ბრძოლა გონებასა და გრძნობას შორის. ახლა ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, საითკენ გადაწონის სასწორს „მე უნდა“. საქმე ეხება მკვდარ ყინულებში სამი თვის ცხოვრებას.

რა ეწინააღმდეგება ანტარქტიკაში ჩემს დარჩენას?

1. რა ჯანდაბად უნდა დაკარგო სიცოცხლის სამი თვე ანტარქტიკის ყინულებში, სადაც არასოდეს არ გქონია რაიმე საქმე და არც არასოდეს გექნება?

2. შენ არა ხარ მეცნიერი მუშაკი და არც ისე ბრწყინვალედ ერკვევი იმ ამოცანებში, რომლებიც ჩვენი მკვლევარების წინაშეა დასმული.

3. ამ სამი თვის შემდეგაც ანტარქტიკა შენთვის ისევ ისეთი terra incognita<sup>1</sup> იქნება, როგორც აქამდე იყო.

4. შენ წამოხვედი, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ გეცხოვრა დიდ ხომალდზე, გენახა ზღვები და ოკეანეები. შენ უკვე ნახე ისინი და ახლაც ხედავ. მაგრამ ზოგჯერ ისეთი თვალთ უყურებ, როგორც ტუსადი თავის ზედამხედველს. ანტარქტიკაც ხომ იგივე ოკეანეა, მუდმივი ყინულის ოკეანე, ციხის იგივე ზედამხედველი.

5. ესტონეთში გელოდებიან საყვარელი ადამიანები. იქ, მიწი ნურამეს გამოთქმა რომ ვინმე ართ, შენი „მიწიერი ფესვებია“. ჩხომ არ დაგლეჯს ამ ფესვებს ქარი, ხომ არ დააზრობს ყინვა? იქ შენი სამუშაო ადგილია. იქ არის კაფე „მოსკოვი“, სადაც უკრავენ მუსიკას, გიმნაზიანდლებიან კარგი კონიაკით, და სადაც საუბრობენ კულ-

<sup>1</sup> იდუმალი მიწა (ლათინური)

ტურის საკითხებზე, ნაცნობთა პირად ცხოვრებაზე (მწერლისათვის ეს ცოდნის უაღრესად მნიშვნელოვანი სფეროა) და სხვ.

6. ხომ არ გეშინია, რომ ანტარქტიკაში უნეს დაყოვნებას ზოგიერთი ისე გაიგებს, როგორც მწვავე სასიცოცხლო პრობლემებიდან გაქცევისა და საზოგადოებრივი სამუშაოდან თავის დაძრომას?

7. ის, ვისაც არც პროფესია აიძულებს, არც განათლება და თავისი ნებით მიდის ანტარქტიკაში, ცოტათი შეშლილია (მანძილი ათჯერ ნაკლებიც რომ ყოფილიყო, ბევრი ჩვენი მწერალი მაინც ამავე დასკვნამდე მივიდოდა). ის კი, ვისაც უკან დაბრუნების საშუალება აქვს, მაგრამ ნებაყოფლობით იქ რჩება, უზომოდ ყუყუჩია.

8. არის აგრეთვე ასზე მეტი სხვა, სრულიად დამარწმუნებელი არგუმენტი.

რა საფუძველი არსებობს იმისა, რომ ანტარქტიკაში დავრჩე?

1. უნდა ვნახო და ჩავწედე, რა კეთდება იქ.

2. აუცილებელი არაა ალექსანდრიაში მირჩინდნენ წავიდე. არის გაცილებით მოკლე და ადვილი გზა.

3. ასი შესაძლებლობიდან ოთხმოცდაათი მაქვს იმისა, რომ თვითმფრინავით ვიმოგზაურო ანტარქტიკაზე (ცხადია, იმ შემთხვევაში, თუკი დავრჩები), და ასი შესაძლებლობიდან ათი იმისა, რომ გავყვე ტრაქტორ-მატარებელს ანტარქტიკის მატერიკის შუაგულისკენ.

4. რაც არ უნდა იყოს, ამას ვერ მოვახერხებ იმ ხალხის გარეშე, რომელთანაც თვენახევარია ვარ, მაგრამ საქმით ჯერ არ გამიცნია.

5. ათობით ჩემზე კარგი და ღირსეული ადამიანი წასულა უფრო რთული მარშრუტით და გამგზავრების წინ არ დაუწყია საათობით კოყმანი, ძნელი გზა იქნება, თუ ადვილიო. უნდა დავრჩე.

მორჩა. საქმე გადაწყვეტილია.

უკვე მერამდენე დღეა, ვცდილობ დავიწყო პიესის მეორე მოქმედება, არაფერი გამომდის. გონებაში იჭრება სულ სხვა იდეებო, რომლებიც ხომალდთან და ზღვასთანაა დაკავშირებული. აზრები იცვლიან ელფერს და მიმართულებას. დღეს თავს ძალა დავატანე და ერთი სცენის დაწერა ძლივს მოვახერხე.

ოკეანის თავზე დაბალი, რძისფერი ნისლი ჰკიდია. რამდენიმე

ათეულ მეტრზე არაფერი ჩანს. კაპიტნის ბოგურაზე დიდხანს ვადევნებდი თვალყურს რადიოლოკატორის ეკრანს: ოკეანე მოცარაილებულია — წინ არც ერთი აისბერგი არ ჩანს. მოდის ხვრიში თოვლი.

უცებ შუადღით გაისმა „კოპერაციის“ სირენის წყვეტილი კვილი. ეს სავარჯიშო-სახანძრო განგაშია. ნისლით დაბინდულ გემბანზე, კიჩოს მიმართულებით, „ხანძრის“ ადგილისაკენ გაირბინეს კორპისჭამრიანმა ეკიპაჟის წევრებმა. განწყობილება მართლაც საგანგაშოა — ალბათ, ნისლის გამო.

1967 წლის 18 დეკემბერი

შევეცადე მემუშავა პიესაზე, არაფერი გამოდის. შუადღემდე ორი რეპლიკა დავწერე და ისიც არ მომწონს. საღამო ჟამს ხელნაწერს ღრმად ჩავმალავ ჩემოდანში: იქნებ ანტარქტიკაში, ქარბუქის დროს, ისევ ამოვიღო იგი, შეიძლება არც ამოვიღო. სამწუხაროა, რომ ველარ დავამთავრე მეორე მოქმედება ოკეანეში ყოფნის დროს. მაგრამ არც ისაა სარწმუნო, რომ, თუკი ტალინში დავრჩებოდი, მას აუცილებლად დავამთავრებდი ამ ხნის განმავლობაში. უკან დაბრუნებისას ოკეანეში დასაწერი მრჩება ორი მოქმედებანიმედი მაქვს, რომ ამ დროისათვის გამივლის ის შინაგანი მღელვარება, რაც ოკეანით, ყინულებსა და ანტარქტიკის მატერიკის სიანლოვით, აგრეთვე სამხრეთიდან, ხომალდის მარჯვენა მხრიდან, მონაბერი გრილი სიოთია გამოწვეული. დაბოლოს, რამდენადაც ვიცი, სამარეთ განედის 60 და 70 გრადუსებს შორის ჯერ არავის უწერია პიესა.

შუადღით ჩვენი კოორდინატები იყო სამხრეთ განედის  $61^{\circ}36'$  და აღმოსავლეთ გრძედის  $57^{\circ}33'$ . აქ ერთი საათით ადრე იწყება დღე, ვიდრე მოსკოვში. დამეები ძალიან ნათელი გახდა. მაგრამ ისეთი მაინც არ არის, როგორც ჩრდილოეთ ატლანტიკაში იყო. ჰაერის ტემპერატურა ნულს უახლოვდება. წყლის ტემპერატურა 0,6 გრადუსია ნულის ზევით.

ბერდის წიგნში პირველად შემხვდა გამოთქმა: „ბარჩერის ნამატი“. დღეს ოკეანეში ბევრი ყინულია.

ჰორიზონტი დაფარულია პატარა აისბერგების დაკბილული კონუსებით, კუბებითა და ნახევარსფეროებით. ეს სხვადასხვა ფორმის ბორცვები, რომელთა შორის მივცურავთ, და რომლებიც აიძულებს „კოოპერაციას“ იკანკლურად იაროს, დიდი აისბერგების შვილები გგონია, დიდი აისბერგები კი — ყინვარისა და ყინულის ბარელების შვილები. „ნამატი“ მართლაც სწორი და ზუსტი სიტყვაა. ყოველ საათს მატულობს ყინული, მაგრამ ეს ჩვეულებრივი ყინული კი არა, ცალკეული აისბერგები, ანდა მათი ნამსხვრევებია. ბევრი მათგანი დაბალია, მხოლოდ ერთი-ორი მეტრი სიმაღლისა; ისინი არსებობის უკანასკნელ დღეებს ითვლიან. რამდენიმე მეტრზე მათ ირგვლივ წყალი გამჭვირვალე ლურჯი ფერისაა და ერთი შეხედვით თბილი ჩანს. ვნახეთ პატარა, სამი-ოთხი მეტრი დიამეტრის ყინულის კუნძული, რომლის ძირი წყალს გამოუხრავს. იგი ლურჯ ბალახებში ამოსულ მჟადა-სოკოს მიაგავდა.

თუ „კოოპერაციამ“ თავისი ძალებით ვერ გაარღვია ყინული მიწისთან ახლოს, დეივისის ზღვაში, შეიძლება ჩვენს დასახმარებლად „ობი“ გამოემართოს. ამაღლელებელი დღეებია — ჩვენს ირგვლივ უკვე ყინულის სამყაროა, წინ კი ყინულის მატერიკი.

რამდენიმე წერილი უნდა დავწერო ესტონეთში გასაგზავნად. „კოოპერაცია“ მათ წაიღებს ალექსანდრიაში, იქიდან კი მეორე ექსპედიციის მონაწილეები ჩაიტანენ საბჭოთა კავშირში.

ახლა ყველაზე მეტად მაინტერესებს ყინული, ყველა ფორმისა და ზომის ყინული.

1067 წლის 17 დეკემბერი

დღეს შუადღით ჩვენი კოორდინატები იყო სამხრეთ განედის  $62^{\circ}10'$  და აღმოსავლეთ გრძედის  $65^{\circ}31'$ . ცივი, ღრუბლიანი დღეა.

დილით მე და ვასილკოვმა ერთმანეთს გავუზიარეთ აზრები, თუ რა უნდა გვეთქვა ჩვენი ცოლებისათვის, როცა შინ დავბრუნდებოდით, ანუ რა უნდა გვეთქვა ისეთი, რომ თავი უდიდეს გმირებად, ზღვაოსნებად და ანტარქტიკის დამპყრობლებად მოგვეჩვენებინა. ვიგონებდით ათასგვარ ხიფათებს, ნამგალა ვეშაპებთან ბრძოლებს,

საზარელ შტორმებს, რომელთა დროსაც გმირულად გვეჭირა თავი-  
გავიხსენეთ, ხანდახან რყევის დროს რამდენი გრადუსით იხრებოდა  
„კოლოპერაცია“ და ეს ციფრი ერთნახევარჯერ გავზარდეთ.

ვიწრო კაიუტაში კაცი დიდი და ბრგე ჩანს. აქედან წარმოიშვე-  
ბა ძალის შეგრძნებაც. ალბათ, ამ შეგრძნებისა და იმის გამო, რომ  
უფრო ჯანმრთელად ვარ, ვიდრე ოდესმე ვყოფილვარ ომის შემდეგ,  
მებადება სურვილი, ვინმეს ვეჩხუბო. ყოველ დილით მე და ვასი-  
უკოვს მატჩი გვაქვს კრივში. მისი ამტენი ყოველთვის ვასიუკოვია.  
როცა ვერ ვერევი, მაშინვე დანას ვტაცებ ხელს, ზე აღვმართავ და  
ვყვირი:

— ფინელივით ფიცხი ვარ, მიფრთხილდი!

ეს ყოველთვის მშველის. დღესაც, გაცხარებული ლაპარაკის,  
არაჩვეულებრივი ამბების მოყოლის, ჩვენი ფანტაზიის აღმაფრენი-  
სა და ყველა იმ სასწაულის ჩამოთვლის დროს, რომლებიც ცოლებს  
უნდა ჩავუბუღებულათ, ცოტათი შევლაპარაკდით: ყველაფერი  
ჩვენს ღონეზე ბაქიაობით დაიწყო.

ვასიუკოვი. მე მას (ესე იგი ცოლს) ვუამბობ, დილაობით  
ვარჯიშის მაგივრად როგორ ვასილაქებდი ესტონეთის მწერალთა  
კავშირის თავმჯდომარეს, არ ვეშვებოდი მანამ, სანამ საწოლის ქვეშ  
არ შევადკრენდი და იქიდან მის გამომყვერილ ფეხებს არ დავინა-  
ხავდი.

მე. მერედა, არა გრცხვენია, კოსტია, ტყუილს რომ ეტყვი?!

ვასიუკოვი. დიდი რამე! ცოტას წავუმატებ — უფრო ლა-  
მაზი გამოვა. მაშა (ესე იგი, მისი ცოლი) ყველაფერს დაიჯერებს.  
ბოლოს და ბოლოს, მართლაც რა ხარ ასეთი — ერთი ტალინის ჭიჭი-  
ყინა ხარ და მეტი არაფერი. მე შენზე ღონიერი ვარ.

მე. კარგი, კოსტია, კარგი იცოდე, არც მე დაგაკლებ ხელს.  
ჩემს ცოლს მოვუყვები, როცა მუშტებს გიღერებდი, როგორ ცახ-  
ცახებდი კუთხეში მიყუყუელი.

ვასიუკოვი. რა გულუბრყვილო ხარ! მერე გგონია დაგიჯე-  
რებს?

მე. დამიჯერებს. ეს ხომ სიმართლეა და, თუ გინდა იცოდე, მე  
ამ ამბავს წიგნშიც დავწერ და მას დაბეჭდავენ. დაე, შენმა ბიჭებმა



წაიკითხონ, რამდენჯერ დათეთქვა და აღრიალა საწყალი მათი მამა ტალინის ჭიკჭინამ სამხრეთის ყინულოვან ოკეანეში.

ჩვენ კიდევ ვბაქიბუქობდით და თანდათან ვუმატებდით ქადილს. საბოლოო შედეგი ასეთი გახლდათ: კაიუტაში თავდაყირა იდგა ყველაფერი, ვასიუკოვი თავის საწოლზე გამხლართულიყო და სულს ძლივს ითქვამდა.

ვ ა ს ი უ კ ო ვ ი. მშვიდობიანი თანაარსებობა! კაცი დარბაისელი უნდა იყოს!

მ ე. დარბაისელი! შეხე, რას ჰგაეხარ!

ვ ა ს ი უ კ ო ვ ი. ვითომ რაო, ესტონეთში ასეა მიღებული, ჰალსტუხი ზურგზე დაიკიდონ?

მ ე (ჰალსტუხს ვისწორებ). ხეალ, დილის ხუთ საათზე, მიიღებ ქოთაქებს.

ყველაზე ცუდი ისაა, რომ სამელნე ვადმოგვიბრუნდა, მაგიდაზე მელანი დაიდვარა და მინის ქვეშ ტბორი დადგა. მთელი საათი მოვანდომეთ ჯერ მაგიდისა და მინის გაწმენდას, მერე ხელებისა და ცხვირ-პირის ბანას. ამ დროს ჩვენ ვბაქიბობდით ანტარქტიკაზე, იმ ანტარქტიკაზე, რომელიც არც ერთ ჩვენგანს თვალით არ გვენახა, და რომელსაც ჩვენი ცოლებისათვის ვიგონებდით.

დღეს ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარი სამმართველოს ოცდახუთი წლის იუბილეა. სადილზე დაგვირიგეს თითო ჭიქა გაზაფეხული სპირტი. კარგ გუნებაზე ვარ. შესაფერის ადგილას — აისბერგებს შორის — აღვნიშნავთ ჩვენ ამ თარიღს.

მცდარი აზრია, თითქოს ინდოეთის ოკეანის სამხრეთი, ყინულოვანი ნაწილი, უსიცოცხლო იყოს. აქ უფრო მეტი მრავალფეროვნება და სანახაობაა, ვიდრე თვით ტროპიკებში.

დღეს ძალიან ბევრი ყინული გვხვდება. „კოპერაცია“ თავისუფალი გასასვლელების ძებნაში იკანკლურად მიდის ყინულის ხორგებს შორის. უსწორმასწოროა მის მიერ გავლილი გზა. გვხვდება ბორცვებიანი აისბერგები — ნამდვილი მოცურავე კუნძულები, რომლებსაც ათ მეტრზე მეტი სიმაღლე და რამდენიმე ასეული მეტრი სიგრძე და განი აქვთ. შედარებით ძველ აისბერგებზე წყალს გამოქვაბულები გამოუხრავს. ისინი ჰგავს აღმოსავლური ზღაპრე-

ბის ციხე-კოშკთა კარიბჭეს, ყინულის ტალანში გამავალ ალაყაფის კარებს. დიდი აისბერგები ერთმანეთის საწინააღმდეგო გრძნობებს იწვევს: ცხადად ხედავ ბუნების ძალასა და სილამაზეს, ოკეანის სიგანესა და სიღრმეს, საკუთარ სიპატარავესა და უღონობას, განიცდი მარტოობას და გრძნობ, რომ არ შეგიძლია სიტყვებით გამოხატო ის, რასაც ხედავ.

როცა გასცქერი ამ ბორცვებიან გიგანტებს, რომლებიც შორს ზღვის მთაგორიან პეიზაჟს ერწყმიან, გეჩვენება, თითქოს საცაა მათ იქით აღიმართება ჩირაღდნებითა და ქუჩებით დამშვენებული, ხალხმრავალი თეთრი ქალაქის ხატება.

გვხვდებიან ბევრი, ხშირად საკმაოდ დიდი სელაპები. ისინი წვანან ხორგებზე და ხომალდისაკენ მხოლოდ მაშინ შემობრუნებენ. მრგვალ თავებს, როცა ყიჟინას დაცემთ. სელაპები აბჩენენ ხახას, იყურებიან ზემოთ, მაგრამ ჩვენში ვერაფერ ახალს და თავშესაქცევს ხედავენ, და როცა ხომალდი გვერდით ჩაუვლით, კვლავ მშვიდბილს ეძლევიან.

გვხვდებიან ნამგალა ვეშაპები, აუარება ჩიტი. ირგვლივ ყინულები და ოკეანეა.

1067 წლის 10 დეკემბერი

ოკეანე, გუშინდელის არ იყოს, დღესაც მშვიდი და ცივია. მიუცურავთ აღმოსავლეთით 61-ე და 62-ე განედებს შორის და ცხვირით ისე ვიჭრებით მერიდიანებში, როგორც დანა კარაქში. გუშინდელი შუადღიდან დღევანდლამდე აღმოსავლეთ გრძედის 72° 42'-დან 80° 19'-მდე გავიარეთ. ყინული ნაკლებადაა, გვხვდება მხოლოდ ცალკეული აისბერგები.

ქრის ექვს-შვიდბალიანი ქარი, დღევა ოთხ ბაღს აღწევს, ჰაერის ტემპერატურა ნულ გრადუსამდე მერყეობს, წყლის ტემპერატურა ნულს ზემოთ 0,4—0,6 გრადუსია. გემბანზე არ იგრძნობა ძველებური მზიარულება. პორიზონტზე ნისლი წევს, ზღვასა და ცას შორის ზღვარი გამქრალა. ცივი ქარი მოქმუტუნებს სახელოებსა და საყელოებში. შორს, ნისლში, ლანდივით მოჩანს თითო-ოროლა თეთრი აისბერგი. მიახლოებისას ვხედავთ, როგორ ენარცხება. და იმსხვრე-

ჟა აისბერგზე ტალღები. მალა ადის თეთრი პერი, აისბერგი ოდნავ ირწყევა და უზარმაზარ უანძო გემს მოგაგონებთ. შორიდან აისბერგები ჰგვანან ფრიალა თეთრ ლეჩაქებში მორთულ ძველი დროის ძალზე ლამაზ და ძალზე ცივ საპატარძლოებს. დიდხანს შეეყურებდი ერთ აისბერგს. იგი ასი მეტრი სიგრძის იქნებოდა, გვერდები ფრიალო, ზედაპირი კი მაგიდასავით სწორი ჰქონდა. ჩანდა, რომ არც ისე დიდი ხნის წინათ მოწყვეტოდა ყინულის ბარიერს — ტალღებს ჯერ კიდევ ვერ გამოედრნათ მასში გამოქვაბულები. შემუსვრილი ზვირთების ზემოთ ირწყეოდა თეთრი პერი, რომელიც თეთრ მკქმანად შემოხვეოდა აისბერგს და დიდებულ იერს აძლევდა. გამახსენდა ვალმარ ადამსის ლექსების კრებულის სახელწოდება „თოვლის კოცნა“ — წიგნის თეთრი გარეკანი შუაში დახატული წითელი ტუჩებით და გამაჟრჟოლო. ის, ვისაც ასე სწადია თოვლის კოცნა, აქ მობრძანდეს, იგი ყველას ეყოფა. ორნახევარი მილიარდი კაციც კი ვერ გააღზობს კოცნით საშუალო სიდიდის ერთ აისბერგს. და საერთოდ... არის ერთი ლამაზი, ძველებური სიმღერა:

მომე ბაგე —  
 გამიქარვე სეედა,  
 მომეფერე  
 ბარემ თუ მეფერები;  
 გული მტკივა,  
 აქ დამაწყვე გულზე,  
 მტკივან გულზე,  
 შენი თეთრი ხელები.

დალახვროს ეშმაკმა! როგორც იყო, მივიღე ცოლის რადიო-გრამა.

საღამოს შედგა ღია პარტიული კრება. განვიხილეთ ხომალდის გადმოტვირთვის საკითხი. „კოოპერაციას“ გადმოტვირთავენ დამკვერელური წესით — ოთხივე სათოფურიდან ერთდროულად. ტრაქტორისტების, „პინგვინების“ ეკიპაჟის, ცალკეული მეცნიერი მუშაკის და ექსპედიციის ზოგიერთი წევრის გარდა გადმოტვირთვაში მონაწილეობას მიიღებს ყველა. გადმოტვირთვა შეიძლება ოთხ დღეში მოვამთავროთ. რაც უფრო ჩქარა გაუდგება „კოოპერაცია“

ალექსანდრიის გზას, მით უფრო ჩქარა დაბრუნდება დანარჩენების წასაყვანად.

მე მეტეოროლოგების ბრიგადას მიმამაგრეს. ბრიგადირი ვიქტორ ანტონის ძე ბუგაევია. ჩვენ გადმოვტვირთავთ ტრიუმს გემის ცხვირის პირველი სათოფურიდან. აქ ბენზინი და სხვა თხევადი საწვავია. ამიტომაც ჩვენი განსატვირთავი ადგილი ყველაზე საპასუხისმგებლოა. ასანთი და პაპიროსი კაიუტაში უნდა დავტოვოთ. ვიმუშავეთ ორ წყებად, თორმეტ საათს დღიურად.

1867 წლის 21 დეკემბერი

შუადღით ჩვენი კოორდინატებია სამხრეთ განედის  $63^{\circ} 17'$  და აღმოსავლეთ გრძედის  $90^{\circ} 43'$ . მირნამდე ოთხას კილომეტრზე ნაკლები დარჩა. ბოლო ექვს საათში გავიარეთ მხოლოდ ცხრაშეტომილი. ჩვენს ჩრგვლივ დაცურავენ ყინულის დიდი კუნძულები, რომლებიც ყინულებში ჩამდგარ წყლის ნაკადებს დაუხრამავს. „კოპერაცია“ ყინულმჭრელივით მიიკვლევს გზას და ცუდად როდი ართმევს თავს ახალ სამუშაოს. სასიამოვნო სანახავეია, როგორც ებრძვის ყინულებს. იგი მთელი სისწრაფით კი არ ეჭახება ყინულის ხორგებსა და კუნძულებს, არამედ ფრთხილად უახლოვდება, ცხვირით აწვება და ამსხვრევს ნელ-ნელა. ყინულის კუნძული ადგილიდან იძვრის, ნელა იწყებს ტრიალს, მერე აიყოლიებს უფრო პატარა ხორგებს, თვითონ კი ან გვერდზე იწევს, ან შუაზე სკდება, ხანდახან ძლივძლივობით მივცოცავთ წინ. ფორშტევენი გაჭრილი ხორგების გვერდებზე ტოვებს საღებავს. ამ ბრძოლაში ყინულს ის უპირატესობა აქვს, რომ იგი ძველია და მტკიცე, ხომალდის უპირატესობა კი მისი ძალაა, აგრეთვე კაპიტნის მოთმინება, მოხერხება, სიფრთხილე, შეუპოვრობა და გონებამახვილობა. ანატოლ საველის ძე იანცელევიჩი პირველად როდია ამ წყლებში, პირველად როდი უხდება გზის გაკაფვა ყინულებში. მან იცის, რა შეუძლია და რა არ შეუძლია „კოპერაციას“. ხანდახან ძლივს მივზოზინობთ, ხანდახან კი ხომალდი აძაგძაგდება და მთელი სისწრაფით მიჭრის წინ — გრძნობ, როგორ აწვება მთელი ტანით ხორგებს და იმორჩილება.

ასეთი შეტაკების დროს, ყოველთვის მეკუმშება კუნთები, ვითომ ამით შემეძლოს მივეხმარო ხომალდს.

როცა გემის ფერდი დიდ ხორგს წამოედება, გემი ისე შეტორტმანდება, თითქოს ანტარქტიკის რომელიღაც მტაცებელი თავისა უხილავი ყინულის ტორებით ჩაეჭიდაო მის ქიმსა და კილს.

გუშინ მირნიდან რადიოთი შეგვატყობინეს, „ობი“ არ წამოვა თქვენს დასახმარებლადო: ფიქრობენ, რომ „კოროპეაცია“ თვითონაც გაივლის ამ გზას. „ობი“ ახლა ხუთნახევარ კილომეტრზე იმყოფება მირნიდან, მაგრამ, თუკი მის შესახვედრად ყინულით გამოემართებიან ტრაქტორები, ჩვიდმეტი კილომეტრი უნდა გაიარონ. ეს კი საკმაოდ შორი გზაა. „ობი“ ახლა მირნისკენ მიიკვლევს გზას და დღეში თითო კილომეტრს გადის. რაც უფრო მიუახლოვდება „კოროპეაცია“ მირნის, მით უფრო ჩქარა გადმოვტვირთავთ. „ობის“ ფარვატერით ჩვენ უეჭველად შეგვიძლია ძალიან ახლოს მივიდეთ ნაპირთან.

დღეს პირველად შევხვდით ანტარქტიკის მატერიკის საბჰოთა ელჩს — მოსკალენკოს თვითმფრინავს, რომელიც „კოროპეაციისათვის“ ყინულის დასაზვერადად გამოსულიყო. როცა იგი მეორედ მოფრინდა, ყინულის რუკა გადმოგვიგდო. რუკა უკანა ანძის ვანტებს დაეცა. სიმარჯვეც ამას ჰქვია!

გამოჩნდნენ პირველი, ჭერჭერობით პატარა პინგვინები. ისინი შავ პიჯაკებსა და თეთრ ეილეტებში გამოწყობილი ბიჭებივით დგანან ხორგებზე და ხომალდს შეკუყრებენ. შეგვხვდა ერთი დიდი სამპერატორო პინგვინი, მაგრამ იგი ძალიან შორს იყო.

იშვიათად ვხედავთ სელაპებს. ერთ წყვილს სწორედ ჩვენს გზაზე ეძინა და იძულებული გავხდით მათთვის ძილი დაგვეფრთხო. სელაპებმა ჩვენი ხომალდის ქიმთან ახლოს დაიწყეს ყინულზე წრიალი. მათ ისეთივე გაჭავრებული სახე ჰქონდათ, როგორიც აქვთ ხოლმე იმ ადამიანებს, რომლებსაც არ აძლევენ ძილის საშუალებას. ესენი იყვნენ კიბორჩხალაჭამია სელაპები, რომელთა ტყავი მოყავისფრო-მონაცრისფრო, ანდა მოყავისფრო-მონაცრისფრო-მოთეთრო ფერისაა.

გემბანზე ნახევარი საათი ვიდექი. მუქი სათვალეები არ მეკეთა. სინათლე მეტისმეტად კაშკაშა იყო და თვალები ამტკივდა.

კეიპტაუნის შემდეგ დღეს ისევ დავადგით ფეხი მყარ მიწას, უფრო სწორად, ყინულს, მაგრამ ეს ის ყინულია, რომელიც ქმნის ერთ მთლიან მეექვსე კონტინენტს. მოლაპლაპე ველზე აღჭარბულია ბრტყელი, უმეტყველო, ერთმანეთის მსგავსი აისბერგები. მათ არ ეტყობათ ის მოუსვენრობა და დაუდგრომლობა, რაც მოცურავე გიგანტებს ახასიათებთ. აისბერგების უკან ლურჯად აფერადებული, ყინულებში ჩამარხული, მზის სხივებში მოლივლივე ანტარქტიკის ამაღლევებელი მატერიკი გაშლილა.

მაშ, ეს ის მატერიკია, რომელსაც ამდენი ფიქრი მივალე ბოლო წლებში, რომლისკენაც მეწეოდა რაღაც გაურკვეველი, დაჟინებული და გამოუცნობი ძალა, ძალა, რომელიც ასაზრდოებდა და მხარს აძლევდა ჩემს ფიქრებს, ჩემს წიგნებს, და ალბათ, სურვილს — გაემხდარიყავი უკეთესი და უფრო გაბედული, ვიდრე სინამდვილეში ვარ! მაგრამ მართლაც ასეთია თუ არა იგი, შეესაბამება თუ არა იგი ჩემს ბუნდოვან წარმოდგენას, რომელიც შემექმნა ნაწყვეტ-ნაწყვეტი ცნობების მიხედვით? რა თქმა უნდა, ასეთია და, ამავე დროს, არცაა ასეთი.

ჯოზეფ კონრადი წერს:

„დღედამიწაზე თვითეულ ბალახს აქვს თავისი სიცოცხლის წყარო, სიმტკიცის წყარო; ასევეა ადამიანიც, იგი თავის ფესვებით ეჭიდება იმ ნიადაგს, რომელსაც უმადლის საკუთარ რწმენასა და სიცოცხლეს“. განა აქ მიწის საძებრად მოვედი, რომელიც დამიბრუნებდა გაცრუებულ რწმენას ადამიანებისა და სიცოცხლისადმი? არა. მე ხომ არასოდეს დამიკარგავს ეს რწმენა. შეიძლება აქ მომიყვანა იმ გულისგამაწყალებელმა მოუსვენრობამ, რომელიც ბავშვობიდანვე გვაქვს თანდაყოლილი ჩვენ, ზღვისპირა სოფლების ქაბუკებს, და რომელიც გვაიძულებს, ვიხეტილოთ ამქვეყნად, თუმცა არა იმდენად ბედნიერების, რამდენადაც პურის საძებნელად. თვითეულ ჩვენგანს იმ ბალახის მსგავსად გვაქვს საკუთარი ადგილი დედამიწაზე, საკუთარი მყუდრო ნავსაყუდარი, რომელსაც მუდამ ვუბრუნდებით ხოლმე და რომლის სანუკვარი სახელი გვაწერია გულის ფიცარზე, როგორც ხომალდს კიჩოზე. ეს წარწერა ზოგჯერ

წისლში იძირება, მაგრამ მერე ისევ ამოტივტივდება მკაფიოდ და თავისკენ გვეძახის. უცნაურია, მაგრამ ადამიანები, რომლებსაც ეს ნავსაყურდარი არა აქვთ და თითქოს თავისუფალი და შეუბოქავი არიან, შეშფოთებული ადგებიან ხოლმე რომელიმე შედარებით მყუდრო ადგილს, წყალში უშვებენ თავიანთ საცოდავ ლუზას და მალე მათი გემის კილი ნიჟარებითა და ლორწოთი იფარება.

საკუთარი ადგილის, საკუთარი ნავსაყურდარის გრძნობა ძლიერადაა ჩემში ფესვგადგმული. რომ არ მქონოდა ეს გრძნობა, ალბათ, არასოდეს არ მეყოფოდა გამბედაობა, დამეკეტა ჩემი სახლის კარა და ეზოში აწკმუტუნებული ძალი დამეტოვებინა.

ჩემი ამ მულამ დამთრგუნველი მოუსვენრობის კიდევ ერთი მეტიმეტად პირადული მიზეზი ისაა, რომ არ შემიძლია შევეჩვიო ქალაქს. უკვე ცამეტი წელია ტალინში ვცხოვრობ, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ გავხდი რიგიანი ქალაქელი და ვერ შევიგრძენი, რომ აქაა ჩემი ადგილი. უფრო უარესი, მე ვხედავ, როგორ მეკიდება ჟანგი, ვეძლევა თვითდამშვიდებას, აზრები მიღუნდება, ვამართლებ საკუთარ სისუსტესა და ყოველივე იმ ქარაფშუტულს, რომელიც ლამაზი სიტყვებისაგან შემზადებული საწებლის მეშვეობით შეიძლება რიგიან და ვარგის კერძად მოგეჩვენოს. ეს ქარაფშუტობა შეიძლება მიმზიდველიც კი გამოჩნდეს პოეზიაში. ის ხომ იღადადებს თქვენი სულის სირთულეზე, ღრმა თვითანალიზზე, იმაზე, თუ რამდენად სასაცილოა თავისი არარაობით პოლიტიკა თქვენს საკუთარ „მეს“-თან შედარებით. ამ პოეზიისათვის თვალგზნაღვლიანი ლამაზი ქალიშვილები წითელი ყვავილებით დაგაჯილდოებენ ლიტერატურულ სადამოებზე. ასეთია თანამედროვე ესტონური პოეზიის მთელი მამართულების ბაზა, და მართო მე როდი მატყდებოდა თავს ამ მამართულების დამცველთა რისხვა! სრულიადაც არ არის საშიში, მიაკაკუნო კარს, რომელსაც ახატია ყვავილები და აწერია ნაზი სიტყვები: „ხელი არ მახლო!“

რასაკვირველია, სისულელეა დაადანაშაულო ქალაქი! ბრალი საკუთარ თავს უნდა დასდო. ოღონდ ახლა ამ გრძნობათა, მოსაზრებათა, მტკიცებათა და განზრახვათა კადრილი ვერ გამიტაცებს, ვერ მაიძულებს ვიცეკვო მის პანგზე.

ღამით უკან დარჩა ყინული. ჩვენს მიერ გავლილი ყინულის სარტყლის სიგანე ორას მილს აღწევს. შემდეგ — ანტარქტიდის სანაპიროს მახლობლად, დეივისის ზღვაში წყალი სუფთა იყო და „კოოპერაცია“ სწრაფად მიცურავდა. დღისით გვერდით ჩაუუარეთ დრიგალსკის კუნძულს. იგი ეოვლსა და ყინულებშია ჩამარხული და მისი ბრტყელი სილუეტი ისე ერწყმის კუნძულის უკან ამოშვერილ აისბერგებსა და პორიზონტზე გართხმულ ღრუბლებს, რომ გამოუცდელ თვალს შეიძლება ან ფანტასტიკური ყინულის მთა ეგონოს, ან შეჯგუფული ღრუბლის ბოლქვები.

— გემის მარჯვნივ ანტარქტიდის ნაპირია! — გაისმა ნასადილევა რადიოში. თავდაპირველად დავინახეთ მხოლოდ განიერი, ბრტყელი და დაბალი, ერთმანეთს მიჭრილი და ამოფარებული აისბერგები. ისინი ამოშვერილიყვნენ მოელვარე ყინულის ველზე, სწორედ იმ ველზე, რომელიც კარგა ხანია მოგვეყვებოდა გემის მარჯვენა მხარეს. მხოლოდ უფრო გვიან შევნიშნეთ ანტარქტიდის მატერიკი, რომელიც ამოტივტივდა არა ნაცრისფერი ზღვიდან, არამედ თეთრი ყინულებიდან. მის ახლოს ამოზიდულიყო ტიტველი კბოდე, რომელიც თავდაპირველად „ობი“ გვეგონა. ხელმარჯვნივ, ჩვენგან რამდენიმე ათეულ მეტრზე, გადაჭიმულიყო სანაპირო ყინულის ნაწიბური. მასზე მოჩანდა მუხლუხების ნაკვალევი, რომელიც მატერიკის სიღრმეში იკარგებოდა. ამ ადგილას გადმოტვირთეს პირველად „ობი“ (ძალიან ძნელი და რთული საქმე იყო ეს). ნაპირზე მედიდურად დასეირნობდნენ მსუქანი და სოლიდური საიმპერატორო პინგვინები, აქა-იქ ჩანდნენ სელაპები.

ახლა ჩვენ იმ ადგილზე ვდგავართ, საიდანაც „ობმა“ დაიწყო გზის გაკაფვა მირნისაკენ, რომელიც ათ-თორმეტ კილომეტრზე უნდა იყოს აქედან: „ობის“ მიერ გაჭრილი ბორცვებიანი, განიერი არხი უკვე გაყინულა. მისი გავლა „კოოპერაციას“ არ ძალუძს. ჩვენი ხომალდი ადგილზე გაქვავდა. ირგვლივ თვალისმომჭრელი თეთრი ყინულია, რომელზედაც შორეული აისბერგები წამომართულან, აქა-იქ შვავად მოჩანან პინგვინები. წინ მირნია. მას ძლივს ვხედავთ აქედან.

სალამოს ყინულზე ეშვება მონოპლანი „იაკი“. მონოპლანში სხედან ექსპედიციის უფროსი ევგენი ივანეს ძე ტოლსტიკოვი (იგო



„ობით“ ჩამოვიდა აქ ჩვენზე ადრე) და „ობის“ კაპიტანი მანი. გაცივანით ჩვენი ხელმძღვანელი. ვაიბა საუბარი. წაკითხულისა და თანამგზავრების მონათხრობით ტოლსტიკოვი წარმოდგენილი მყავდა ხანში შესულ, ჭალარა, ბოხხმთან მამაკაცად. ის კი ახალგაზრდა, ბრვე კაცი გამოდგა, ლაპარაკობდა დაბალი ხმით, გულთბილად, შიგადაშიგ უწყინარ ხუმრობასაც გამოუჩევდა. გამოიჩვენა, რომ ჩვენი ხომალდის გადმოტვირთვა არც დღეს დაიწყებოდა და არც ხვალ, რადგან „ობი“, რომელიც ძლივძლივობით მიიწევდა წინ, ჯერ ისევ გვიკაფავდა გზას. ათას რვაასი ტონა ტვირთის გადაზიდვა ტრაქტორებით ხუმრობა საქმე როდი იყო.

რამდენიმე დღის შემდეგ ანტარქტიდის სიღრმეში — უკვე შექმნილ სადგურ ვოსტოკსა და ჯერ კიდევ მშენებლობადაუშთავრებელ სადგურ სოვეტსკაიასკენ გაემართება მარხილებიანი ტრაქტორი-მატარებული. ალბათ „პინგვინები“ არ შევა მის შემადგენლობაში, რადგან მატარებელი უკვე შექმნილია. „პინგვინები“ ისევ „კოოპერაციაზე“ დგანან და სირცხვილისაგან წითლდებიან.

ტოლსტიკოვმა გაგვაცნო ანტარქტიკის შიდაკონტინენტური სადგურები. პიონერსკაიაში და ოაზისში საყოფაცხოვრებო პირობები შედარებით კარგი ჩანს, მაგრამ ვოსტოკსა, კომსომოლსკაიასა და ჯერ კიდევ მშენებლობადაუშთავრებელ სოვეტსკაიაში ეს პირობები ძალიან მძიმე და რთული უნდა იყოს, განსაკუთრებით ანტარქტიკულ ზამთარში. ტემპერატურა ეცემა 70 გრადუსზე დაბლა, მაგრამ ყველაზე დიდი უბედურება ჟანგბადის ნაკლებობაა. სადგური ვოსტოკი მდებარეობს გეომანტიური პოლუსის რაიონში, სამი ათას ოთხას ოცი მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან, სოვეტსკაია კი — სამი ათას ხუთას სამოცდაათ მეტრზე. ჰაერის წნევა ამ ადგილებში 450—460 მილიმეტრს აღწევს. თუმცა ჯერ ადრეა ამაზე ლაპარაკი. საჭიროა თვითონ ისუნთქო ეს ჰაერი.

ხვალ „კოოპერაციაზე“ სიჩუმე დაისადგურებს. ვერტმფრენით მირნიში გაგზავნიან მათ, ვინც ტრაქტორ-მატარებლით უნდა გაემგზავროს შიდაკონტინენტურ სადგურებში, გაგზავნიან ზოგიერთ მეცნიერს, საზღვაო ექსპედიციის მონაწილეების ერთ ნაწილს, მფრინავთა რაზმს.

არაჩვეულებრივი საღამოა — გრძელი პოლარული დღის პირო-

ბითი სალამო. მზე შუბის ტარზეა, თეთრად მოქათქათე ყინულებს ზემოთ. იგი არ ჩადის და დროდადრო მხოლოდ ღრუბლებით იბურება. ჩრდილოეთით ცა ზღაპრულია. არასოდეს მინახავს ასეთი ზეცა. აქ ყველა ფერი ერთადაა დაღვრილი, არ ჩანს მხოლოდ შავი ფერი. საღებავები, რომელთა შორის ქარბობს ოქროსფერ-ყვითელი, ნარინჯისფერი, წითელი და მოლურჯო-მომწვანო, ერწყმიან ერთმანეთს, ქმნიან გარდამავალ ტონს და თითქოს მღერიან ამ სიჩუმეში.

ქარი არ ქრის. ირგვლივ მხოლოდ თეთრი მღუმარებაა, რომელსაც არც ხრახნის ძაგძაგი არღვევს და არც მოტორების გუგუნი. ყინულზე გამწკრივებული პინგვინების დინჯი, დარბაისლური და საზეიმო პროცესია მატერიკისაკენ მიემართება. წინ, „ობის“ ფარვატერის ბორცვიან ყინულზე, ერთადერთ სელაპს სძინავს. დასაუღეთით ცა დაფარულია მოლურჯო-მოშავო ღრუბლებით. ყინულზე მეტისმეტად გრძელი ჩრდილები გაწოლილან.

ირგვლივ ისეთი მღუმარებაა, რომ მთელი არსებით შეიგრძნობ ამას. უჩვეულო და მრისხანეა ეს მღუმარება. მას თითქოს ყინულის მკერდში ჩაუკრავს და ჩაუმალავს გრძელი ღამეები და მძაფრი ქარბუქები.

1067 წლის 28 დეკემბერი

როცა „კოოპერაცია“ სანაპირო ყინულის ნაწიბურის გვერდით მიცურავდა, ფურღეცკიმ დამანახვა ერთ-ერთი საიმპერატორო პინგვინი, რომელსაც თავი გვერდზე მოებრუნებინა და ახლოს მიმავალ ხომალდს გასცქეროდა. ფურღეცკიმ მითხრა:

— ადამიანის პაროდიას!

ასე მგონია, სახეზე ცეცხლი მეკიდება. მთელი სახე (განსაკუთრებით ცხვირი) ისე მაქვს გაწითლებული, თითქოს ერთი ბოთლა სპირტი გადამეკრას. ეს აქაური მზისა და ძლიერი ულტრა-იისფერი სხივების ბრალია. აგრეთვე იმის ბრალიცაა. რომ სამი საათი ვიდექი გემბანზე და სხვებთან ერთად თვალყურს ვადევნებდი პინგვინებს— ადამიანის და, მაშასადამე, ჩემს პაროდიასაც. პინგვინები პატარა-პატარა გუნდებად ირევიან ხომალდის გარშემო. შესანიშნავი ფრინველები არიან, გაბედულნი, მეგობრულნი, თუკი საჭირო გახდება,

საკმაოდ კარგი მეომარნიც. ისინი ადამიანებით მიმოდინა გლუვ ყინულზე, ულაზათოდ დააბიჯებენ. ფეხსაცმელებით გაკვალულ თოვლზე კი მუცლით დაფორთხავენ, რის დროსაც ფრთებს იშველე-ბენ. ამ ხერხს უფრო მაშინ მიმართავენ, როცა მათი უფროსი ძმა — ადამიანი მეტისმეტად აბეზრებს თავს და სურთ საჩქაროდ გაეცალონ. როცა პინგვინი თავისი რუდიმენტული ფრთებით ასე მიფორთხავს ყინულზე და თავი ზემოთ აქვს აღერილი, სრულებით არ ჰგავს არც ადამიანსა და არც ფრინველს. მაგონდება მამინ-სიბირიაკის ზღაპარი, სადაც ყვავი ამბობს იადონზე: „არა, ეს ჩიტი არაა!“ ძირს გართმეული პინგვინი ცოტათი ჰგავს სელაპსს, უფრო კი მოგაგონებთ კუს. მხოლოდ ზეაწვდილი თავი — ფრინველის სხეულის ერთადერთი ნაწილი — მეტყველებს, რომ იგი არც ძუძუმწოვარაა და არც ქვეწარმევალი. წყალში პინგვინები ძალიან სწრაფად დაცურავენ, ერთად იკერენ თევზს და დროდადრო დელფინებით ხტებიან ზემოთ. პინგვინები ძალიან მეგობრული, ოჯახის მოყვარული ფრინველები არიან, თუმცა თვალად ვერ შეატყობ, რა ნათესაური კავშირი არსებობს ამა თუ იმ პინგვინს შორის. პინგვინებისათვის ყველაზე დამახასიათებელი ნიშანი, ცხადია, მათი დარბაისლობაა. ფოტოაპარატის ობიექტივის წინ იშვიათად არხევენ ფრთებს და ისეთი მედიდური იერით დგანან, თითქოს ელოდებიან, როდის წარვუდგენთ ჩვენ, ჩრდილოეთიდან წარმოგზავნილი უცხოელები, სადესპანო რწმუნებულების სიგელებს. დარბაისელი არიან როგორც ადელის, ისე საიმპერატორო პინგვინები, მაგრამ რადგან პირველნი ზომით უფრო პატარები არიან, იმდენი მედიდურობაც აღარ ეტევათ გულში და ამიტომ ცნობისმოყვარეობასაც უფრო გულახდილად ამყლავნებენ.

საიმპერატორო პინგვინები ორჯერ მაღალი და რამდენჯერმე მძიმე არიან თავიანთ უმცროს ძმებზე. ისინი არისტოკრატიულნი და ზრდილნი გახლავთ და თვალში ისე არ გეჩხირებიათ, როგორც პატარა პინგვინები. სხვა მხრივ, ყველაფრით ჰგვანან ერთმანეთს.

თვალუწვდენელ, მოლაპლაპე ყინულის ველზე მიემართება შავ ტანსაცმელში გამოწყობილი მაყრიონი. წინ მოაბიჯებს ოთხი ახოვანი საიმპერატორო პინგვინი. პირველი — ეს ალბათ მუსიკოსია, — დროდადრო უკან იხედება — ხომ არ ჩაძორჩნენ დანარჩენებიო. მაყრიონის ბოლოს მიცუხცუხებს ადელის რვა პინგვინი — არც

მეტი. არც ნაკლები, — ზედგამოჭრილი ბავშვები, რომლებიც დიდებმა თან წამოიყვანეს ქორწილში, და ახლა მათ მორჩილად მისდევნენ კუდში. ცოტა ხნის შემდეგ ოთხი უფროსი პინგვინი ფორთხვას იწყებს — ეტყობა, ლუდმა გონება აურიათ. რვა ბავშვი კი ხტუნვა-ხტუნვით მისდევს უკან.

(ამ სურათის დანახვისას გამახსენდა სასაცილო მოთხრობები მუხხურ ქორწილებზე. გამახსენდნენ ისინი, რომლებსაც დამძიმებული თავი და დედამიწის მიზიდულობის ძალა აიძულებდათ გართხმულიყვნენ მიწაზე, ფორთხვით ევლოთ სახლამდე, ცხვირით ეხნათ მიწა და დაქედილი ფეხსაცმელებით ეჩიჩქნათ მთელი გზა. მართალია, კომპასი არ ჰქონდათ, მაგრამ სახლს მაინც აგნებდნენ. მუხხუს ქვებზე აღბეჭდილი ნაკვდევები და ნაკაწრები, რომლებსაც სწავლულები ყინულოვანი ხანის ნაკვალევად მიიჩნევდნენ, უთუოდ, ამ ორკვირიანი ქორწილების დროს გაჩნდა.)

მთელი არემარე თეთრად და შავად გამოწყობილი პინგვინების ჯგუფებითაა მოფენილი. ამიტომ აქაურ აღგილებში უსიცოცხლობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. პინგვინები მართლაც ჩუმი ხალხია, ამასთანავე ხმაც ისეთი აქვთ, რომ გონივრული იქნებოდა, სულაც გაჩუმებულყვნენ.

შეკლტონი წერს:

„მუდამ დიდებული იერი აქვთ საიმპერატორო პინგვინებს. უცნობს, სულ ერთია, ადამიანი იქნება იგი თუ ძაღლი, უახლოვდებიან ცოტა დაუდევარი ნაბიჯებით, ჩერდებიან კარგა მოშორებით, რის შემდეგ მათი წინამძღოლი წინ გადმოდგამს რამდენიმე ნაბიჯს და ისე მძიმედ უკრავს თავს მოსულს, რომ ნისკარტი თითქმის მკერდს ესება. წინამძღოლი წარმოთქვამს ვრცელ სიტყვას და ყოველ წინადადებას გაუგებარი წამოძახილებით ამთავრებს — ასეთი ბუნდოვანი ლაპარაკი უყვართ ხოლმე პროფესორებსაც. როგორც კი დაამთავრებს წინამძღოლი თავის ღრმააზროვან მონოლოგს, თავაზიანობისათვის კიდევ რამდენიმე წუთი დგას თავდახრილი, მერე უზრუნველად მალა აიქნევს თავს, ასწევს ნისკარტს, რამდენადაც ამის საშუალებას აძლევს კისრის მალეები და უცხოს დაყინებით მიაშტერდება სახეში: ყველაფერი გაიგო თუ არაო; როცა უცხო ნათქვამს ვერ გაიგებს, წინამძღოლი თავიდან იწყებს ყველაფერს. თუკი სტუ-

მარი გულკეთილი გამოდგა და მოთმინებით უგდებს ყურს, მას მიუ-  
ახლოვდება რომელიმე სხვა ხუმარა, გვერდზე მიაგდებს-ორატორს  
და იმეორებს ზუსტად იმავე საზეიმო ცერემონიას. პინგვინებს აშ-  
კარად მიაჩნიათ ადამიანები ნათესავებად, მართალია, ცოტათი უშ-  
ნო და მეტისმეტად დიდ თავიანთ განშტობად“.

ამ ამბავში ყველაფერი მართალია, გარდა ერთისა: საიმპერატო-  
რო პინგვინები სიტყვას არ წარმოთქვამენ. შეიძლება, პირველი ექს-  
პედიციის წინაშე ისინი მართლაც წარმოთქვამდნენ სიტყვას, მაგ-  
რამ მესამე ექსპედიციის წინაშე მათ საჭიროდ არ მიაჩნიათ ეს.  
ამასთანავე, კრების პერიოდმაც, როგორც ეტყობა, გაიარა (ტალინ-  
შიც ასეა: ყველა ვრცელ სიტყვას წარმოთქვამენ ზამთარში, ზა-  
ფხულში კი ან თავს იმტვრევენ იმაზე, რის შესახებ ვილაპარაკოთო  
შემოდგომაზე, ან ცდილობენ გაიგონ, რატომ ენამკვევრობდით ზამ-  
თარში ამდენსო. აქ კი ახლა შუა ზაფხულია).

ასე გავიცანით პირველად პინგვინები.

მთელი დღე ვერტმფრენი ხან ჰაერში აღიოდა, ხან „კოოპერა-  
ციასთან“ ახლოს ეშვებოდა. მკიდრო კავშირი დავამყარეთ მირნის-  
თან. ბევრი მიემგზავრება იქ.

„კოოპერაცია“ ზღვასთან ვიწრო არხითაა დაკავშირებული. ამ  
არხით გუშინ და დღეს ღამით გვესტუმრნენ ვეშაპები. ჯერ ორი მო-  
ცურდა, მერე ხუთი. ზედ ხომალდის კიჩოსთან გამოჩნდა მათი  
უზარმაზარი შავი ზურგები. ისინი ფრუტუნებენ (აღწერილობაში  
ამბობენ „ქშინავენო“), თითქმის, როგორც ცხენები. საინტერესოა,  
რას დაეძებენ, ანდა რას პოულობენ აქ.

საოცარი გრძნობა გეუფლება, როცა ხედავ შუალამის მზის ირი-  
ბი სხივებით განათებულ ამ გიგანტებს.

1067 წლის 24 დეკემბერი

ადგილიდან არ ვიძვრით. „ობი“ ძლივძლივობით გვიკაფავს გზას  
და ნელა მიიწევს წინ. ხომალდს განვტვირთავთ მხოლოდ მყარ, რი-  
გიან ნაპირზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ძვირად დაგვიჯდება ეს  
საქმე.

ვაწესრიგებ უკანასკნელ ჩანაწერებს. ხომალდზე თითქოს ჩაკვდა  
ყველაფერი, ხომალდი უსიცოცხლო გახდა. კაიუტებშიც კი აღწევს  
თეთრი მღუმარება. რა თქმა უნდა, მღუმარება შეიძლება უცებ შე-

ცვალოს ვანტების ზუზუნმა და მძვინვარე ქარბუქმა, მაგრამ ახლა სამარისებური სიჩუმეა. კაიუტები დაცარიელებულია, რესტორანი ცარიელია, მხოლოდ დროდადრო გაისმის ნაბიჯების ხმა გემბანზე. ხალხის უმეტესობა უკვე მირნიშია.

გუშინ კაპიტანთან შევხვდი მეორე ექსპედიციის უფროსს ტრეშნიკოვს და ჩემს კოლეგას. „პრავდის“ კორესპონდენტს ვედენსკის. ტრეშნიკოვი, რომელიც ორი დღის წინაღ დაბრუნდა კოსტოკიდან და გუშინ გოლიშევთან და ტოლსტიკოვთან ერთად გაფრინდა შედარებითი მიუწვდომლობის პოლუსზე, ახალგაზრდა და მკვრივი აგებულების კაცია, იწონის ას კილოზე მეტს, სახე ინდიელივით წითური აქვს. მის სახესაც მოჰკიდებია პოლარული მზე, რომელიც უფრო ცხოველმყოფელი უნდა იყოს ანტარქტიდის გუმბათზე, ვიდრე აქ. ვედენსკიმ ზამთარი მირნიში გაატარა და „კოოპერაციით“ ალექსანდრიაში გაემგზავრება.

1967 წლის 25 დეკემბერი.

დღეს დილით „კოოპერაციის“ ახლოს დაეშვა დიდი თვითმფრინავი. მას მირნიში გავეყევი. თვითმფრინავიდან ჩანდა, როგორ მიქროდა ფრთებს ქვემოთ ალაგ-ალაგ გრძელი ნაპრალებით დასერილი ყინული. მირნისთან ახლოს გამოჩნდა „ობის“ შავი სილუეტი. საინტერესოა, როდის შევეუდგებით ბოლოს და ბოლოს „კოოპერაციის“ გადმოტვირთვას?

ვეცნობი მირნის, აეროდრომი კარგია. იგი დაბის ახლოს მდებარეობს და თვითმფრინავებითაა სავსე. მირნი კლდეებშია შეყუყულო, კლდეები თოვლიდან ამოშვერილა და მურა ფერით ესტონურ ფიქალს მაგონებს. ბრტყელსახურავიანი და მაღალფანჯრებიანი სახლები აქეთ-იქითაა მიმოფანტული, თითქოს ბავშვების მიერ მიყრილ-მოყრილი კუბურებიანო. დევს ლელმა თოვლი, იგი ღრმაა და ერთიანად დაუსერავს ტრაქტორებს. ალბათ, არც ერთ განედსა და გრძელზე არ მოიძებნება მირნის მსგავსი სხვა დაბა, სადაც ამდენი ტექნიკა იყოს თავმოყრილი. რა მანქანა გინდათ, რომ აქ არ ნახოთ. თავდაპირველად გარჩევაკ კი გაგიჭირდებათ.

ველაპარაკე ტოლსტიკოვს. იგი წინააღმდეგი არაა რამდენიმე

ხნით დავრჩე მირნიში. როგორც ჩანს, ბინა მეორე ნომერ სახლში შექნება. ამ სახლში ახლა ვედენსკი და კინოოპერატორი ცხოვრობენ. იმედია, ფრენა არ მომაკლდება — ჩემი სიმჩატე არც ერთ თვითმფრინავს არ დაამძიმებს.

სილამაზით მირნის ვერც ერთი სახლი ვერ მოგტაცებს თვალს. ისინი ბრტყელ კოლოფებს ჰგვანან და ზამთარში მთლიანად თოვლით იფარებიან. ოთახები კი ძალიან მყუდრო და თბილია. იატაკი და კედლები ხალიჩებითაა მოფენილი. თითქოს გეხამუშება კიდევ, როცა ხედავ აქ, ანტარქტიკის მატერიკზე, ტანსაცმლის ჩვეულებრივ კარადას, დივანს, მონიკლულ საწოლს და წიგნის თარო-სეკრეტერს. რამდენად ეწინააღმდეგება ყოველივე ეს სამხრეთ პოლუსზე პირველი ექსპედიციების შესახებ წაკითხულ ამბებს, როცა ნივთების წონა და მოცულობა ყველაზე რთულ პრობლემას წარმოადგენდა.

ვედენსკი როტმილდით გამიმასპინძლდა. პაკეტში, რომელიც „კოოპერაციით“ გამოუგზავნეს ლენინგრადიდან, ცივილიზაციის კეთილ ძღვენთან ერთად იყო დამლუპველი ძღვენიც, სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, სასმელი. კონიაკს ანტარქტიკის ზაფხულის ცასავით არც ერთი ვარსკვლავი არ ჰქონდა, ესე იგი „ერევანი“ გახლდათ. ჩემმა მასპინძელმა გამოიტანა აგრეთვე თოვლივით ქათქათა და ყინულივით ცივი დაშაშხული ღორის ქონი, რომელზედაც მარილის კვნიწები ბრჭყვიალებდა. მაგრამ მთავარი ეს როდია; მთავარი ისაა, რომ ქონი აქაურია: მირნიში თურმე გოჭი ჩამოიყვანეს. იგი მეექვსე კონტინენტზე გაიზარდა და აქ პოლარელის უღმობელ დანას შეეწირა, მაგრამ თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე ისეთი გზა გაიარა, რომელიც არც ერთ გოქს არ დასიზმრებია. ოდეს კაცი ასეთ არაჩვეულებრივ ქონს მიირთმევს, მასში ძალაუნებურად იღვიძება პოეტური სული. როცა ვედენსკის გამოვემშვიდობე და გარეთ გამოვედი, თოვლი უფრო თეთრი მეჩვენა, ბილიკი — უფრო ვიწრო, სახლები — უფრო გაფანტული. მწვანე ფერის თვითმფრინავებს დილანდელთან შედარებით ორჯერ უფრო გრძელი პროპელერი ჰქონდათ, მათი ფიჭულაქი ოქროსფრად ელვარებდა.

მე გავევებოდი ჩრდილოეთის ქარს,

თოვლის, ქარბუქის

და მარადი ყინულის შხარეს...

წავილიდინე. გული ამიჩუყდა და თვალეებზე ცრემლი მომადგა. ახლა აღარ შეევუდგები მირნის აღწერას, რადგან ნამდვილი ედემის წალკოტი გამომივა. დღეს თვითმფრინავებით ოცდაათი ტონა ტვირთი გადმოზიდეს „კოოპერაციიდან“. ნელ-ნელა მივიწვევთ წინ „ობის“ ფარვატერით და უკვე ყოველი მხრით ყინული გვარტყია.

1967 წლის 20 დეკემბერი

დღეს დილით მირნიდან კომსომოლსკაიას, ვოსტოკსა და ჯერ კიდევ მშენებლობადაუმთავრებელ სოვეტსკაიას მიმართულებით და-ობა მარხილებიანი ტრაქტორ-მატარებელი.

ვზივარ ხომალდში. საძაგელ გუნებაზე ვარ. ასე მგონია, ჰაერში ვარ-მეთქი გამოკიდებული. ვერ გამიგია, ნამდვილად ანტარქტიკაში ვიმყოფები, თუ არა. „ობი“ ძველებურად გვიკაფავს გზას. ჩემისთანა კაცი, რომელსაც არა აქვს მჭიდრო კავშირი რომელიმე სამეცნიერო ჯგუფთან, არა აქვს გარკვეული ამოცანა, ზედმეტად გრძნობს თავს. მირნიში ხალხს თავის მოსაფხანად არ სცალია და არ მინდა ფეხებში ვებლანდებოდე ვინმეს. მოხუცები, ესე იგი მეორე ექსპედიციის მონაწილეები, გადასცემენ ახალბედებს, ესე იგი მესამე ექსპედიციის მონაწილეებს, ნივთებსა და აღჭურვილობას, აუწყებენ მეცნიერულ ცნობებს. ყველაფერი ეს ახალია, უჩვეულო და ეხება არა იმდენად მირნის, რამდენადაც ანტარქტიკის შიდაკონტინენტური სადგურების ცხოვრებასა და კლიმატურ პირობებს. მხოლოდ და მხოლოდ ცარიელი სიტყვების მოსმენა, ალბათ, ტალინში დამაკმაყოფილებდა და არა აქ, პოლარული სადგურების ახლოს, რომელთა ნახვას ასე ვე-შურებოდე. ასე რომ, საჭიროა მოთმინება და ლოდინი, მაგრამ ეს თვისებები არც ისე ჰარბად გამომყოლია ტალინიდან.

„კოოპერაციაზე“ სიჩუმეა. ამ სიჩუმეს დღეში ორჯერ არღვევს ძირს დაშვებული ვერტმფრენის გუგუნე. კაიუტის კედლებს ეცემა უზარმაზარი მბრუნავი ამწევი ზრახნის ლაპოტების ჩრდილი. ახლა ირგვლივ მდუმარებაა, ჩემი ყველაზე მოსისხლე მტერი. მას თითქოს უჩინმაჩინის ქუდი დაუხურავს, ვერაგულად შემოუყვია ფანჯარაში ყინულივით ცივი ხელები და ყელში მიჭერს. ეს მდუმარება



შეიძლება ყურითაც კი გაიგონო, იგი დროის თეთრი მდინარეა და ფსკერი მოლიპული აქვს. ნეტავ, რას გრძნობენ სხვები?

აქაურმა მზემ თავისი გაიტანა. სახეზე კანი მძვრება, ტუჩები შე-  
მიშუპდა.

1967 წლის 27 დეკემბერი

„ობი“ მოგვადგა იმ არხით, რომელიც კარგა ხანია გაპყავდა თავისთვის და „კოოპერაციისთვის“. იგი მარჯვნივაა გადახრილი. ყინულს სულ სხვაგვარად ჰრის, ვიდრე ჩვენი გემი („კოოპერაცია-ყინულს მთელი სიმძიმით აწვება და ყინულიც ოდნავ იწვევს მაღლა). „ობის“ უკან რჩება საკმაოდ ვიწრო ბილიკი, რომელშიც ხომალდის კვალდაკვალ ნელა მოცურავს თოში. აი, ძალაც ამას ჰქვია! „ობს“ არა აქვს ისეთი ფორშტევენი, როგორც „კოოპერაციას“. მისი ფორშტევენი ლავგარდანივით ეხურება ყინულებს.

როცა „ობმა“ „კოოპერაციამდე“ მოაღწია, ამოვარდა ქარბუქი. მშვიდი და მზიანი ამინდების შემდეგ (ასეთი ამინდები კი 22 დეკემბრიდან იღვავს) ანტარქტიკამ გამოაჩინა თავისი ჩვეულებრივი უხალისო სახე. გუშინ საღამოს, და განსაკუთრებით დღეს დილით, პინგვინები გაიბაწრნენ და სანაპირო ყინულის ნაწიბურიდან მატერიკისაკენ იწყეს დენა. ცა მოიქუფრა, აისბერგის კონტურები ბუნდოვანი გახდა, ხილვადობა გაუარესდა, სინათლე უკვე აღარ ჰქრიდა თვალს.

ახლა მძვინვარებს ქარბუქი, რომელიც რვა-ცხრა ბაღს აღწევს. „ობი“ „კოოპერაციის“ კიჩოს უკან დგას, მისი განიერი მილი და შოკლე ანძები ვანტებს შორის მოჩანს და ასე გგონია, „კოოპერაციის“ მინაშენიაო. გემბანზე გრივალი დათარეშობს. ქარბუქი თითქოს აპატარაეებს ხომალდს, ადაბლებს ანძებს; როცა ქარი განსაკუთრებით მძლავრად დაუბერავს, ანძის წვეროები სულ მთლად იკარგებიან ცაში, რომელიც წყლის ზედაპირზეა ჩამოხურული და, საერთოდ, არც კი არსებობს თითქოს. „კოოპერაციის“ თეთრი კორპუსი მთლიანად ერწყმის ქარბუქს, მის თეთრ ტალღებს. ეს ტალღები დროდადრო თითქმის ერთიანად ფარავს „ობის“ შავ სილუეტს. აქაიქ თუ გამოჩნდება მისი საკვამური ან ყვითელი ანძები, საფეხურებიანი ცხვირი ან მრგვალი კიჩო. ცა შერწყმია ყინულის ველს. ათ-

თორმეტ მეტრზე არაფერი ჩანს. ასე მგონია, სულ იზრდება და იზრდება-მეთქი „კოოპერაციის“ გარშემო-ყინულის სიმაღლე.

საშინელება იქნებოდა, ყინულს. რომ ისევ დაეხურა არხი და „ობს“ თავიდან გაეკაფა ჩვენთვის გზა. მაშინ ვერ ველირ-სებოდით „კოოპერაციის“ გადატვირთვასა და ალექსანდრიაში მის წასვლას.

კარგია, თუ ასეთ ქარბუქში თავზე ჰქერი გახურავს, თუ თოვლით აშოლესილ ილუმინატორებში ილანდება სინათლე, თუ შეგიძლია დაიძინო საწოლში, თუ გვერდით გყავს მეგობარი, რომელიც სახედარს გეძახის: აქაოდა, როგორ გაბედე და, მოულოდნელად ამოვარდნილი ქარბუქის გამო სიტყვა დასძარი მეტეოროლოგიაზე, ამ მეცნიერებათა მეცნიერებაზე, თანაც აზრი გამოთქვი: თუკი ყინულმა ისეკ გადაგვიხერგა გზა, მისი ხელახლა გაკაფვა დაევალოს არა „ობს“, არამედ ექსპედიციის მეტეოროლოგიურ პერსონალსო.

1957 წლის 29 დეკემბერი

თითქოს რძით სავსე კოჭობში ვსხედვართ; ირგვლივ არაფერი ჩანს. მგონი, პერვომაისკის ერთ-ერთი ლექსი იწყება ასე: „ბარდნისა და ბარდნის...“ ბარდნის, თოვლი ფარავს სასეირნო გემბანს, „პინგვინებს“, კანჯობს, თეთრ ზეწარს აფენს „ობს“, ერწყმის ყინულსა და ზეცას. სამყარო ერთ ციდადაა ქცეული და თეთრ, უმტვერო სამოსელშია გახვეული. შეიძლება კიდევ რამდენიმე დღე გაგრძელდეს ასე. ამოვართიე პიესა, არაფერი გამოვიდა. მას სჭირდება უფრო დიდი სივრცე და გაცილებით ავი ამინდი.

ამ თეთრი ბუერიდან ისევ ამოტივტივდა ერთი გამოთქმა, რომელიც კარგა ხანია გონებაში მქონდა ჩაქედილი. ეს გამოთქმა კვალ-დაკვალ დამდევდა კიჩოზე, წინაერდოზე, ბოგურაზე, დათოვლილ გემბანზე და ახლა თან შემომყვება კაიუტაში. ერთ ხანს იგი გადამავეიწყდა კიდეც, მაგრამ ახლა ისევ გამახსენდა, ისევ მეწვია, და მეწვია არა როგორც მეგობარი. ეს გამოთქმა „ტ კ ი ვ ი ლ ი ს ზ ლ ვ ა რ ი“ გახლავთ, იგი სამედიცინო ტერმინია.

მძიმე გამოდგა 1956 წლის შემოდგომა ჩემთვის და ჩემი ცოლისთვის. ჩვენს ორ ახლო ნათესავ ყმაწვილს, რომლებიც სკოლას ამ-

თავრებდნენ, ბავშვის დამშლა დაეცა. ბეწვზე ეკიდა მათი სიცოცხლე. რამდენიმე კვირის განმავლობაში ყოველ მოკაყუნებაზე ასე გვეგონა, სიკვდილმა მოგვიკაყუნა თავისი დაჩონჩხილი ხელითო, ბოლო ტელეფონის ყოველ წკრიალზე გული გვეკუმშებოდა. იმ ხანებში ხშირად ვეჩხუბებოდი ექიმებს.

ერთხელ მე და ექიმი მოისარი კაფე „მოსკოვში“ ვისხედით და ავადმყოფების ჭანმრთელობაზე ვსაუბრობდით. ერთ-ერთი ავადმყოფი განსაკუთრებით ცუდად იყო. აუჩქარებელმა, გულისხმიერმა და, ამავე დროს, იურისტივით ზუსტმა ექიმმა მოისარმა მცირე ფიქრის შემდეგ წარმოთქვა:

— ჰოო, მისი ტკივილის ზღვარი დაბალია.

შეიძლება ჩემი მხრივ ეს იყო ეგოისტობა და გულქვაობა, შეიძლება ეს იყო არაგულისხმიერება იმ ადამიანის მიმართ, რომელსაც ინფექციურ საავადმყოფოში ჟანგბადის ბალიშებით აბრუნებდნენ, შაგრამ მე ვიგრძენი, როგორ შემეხარბა ბრწყინვალედ მიგნებული ეს გამოთქმა, ერთიანად შემძრა მან და გადაამავიწყა ყველაფერი. ქალისადმი ეჭვიანობაზე ნაკლებად ძლიერი არ იყო ეს შური. ჩემში გაიღვიძა კერძომესაკუთრულმა გრძნობამ მწერლისა, რომელიც წააწყდა ერთი პრობლემის, ანდა შეიძლება მთელი რიგი პრობლემების შემცველ ახალ, უაღრესად ტევად გამოთქმას და ცდილობს მხოლოდ თავისთვის შეინახოს ეს გამოთქმა მანამ, სანამ არ მოახერხებს გააფართოვოს, ნათელი მოჰტინოს მის მნიშვნელობას, და ამ სახით დაუბრუნოს მკითხველს, ლოტივით გადაისროლოს ადამიანის გრძნობისა და ბედისწერის ბნელ ქაში. მაშინ დაიფარება ეს გამოთქმა სხვადასხვა ამბების, კონფლიქტების, სულიერი კრახის, ბედნიერებისა და უბედურების ხარაჩოებით, მაშინ დაუკავშირდება იგი სიუჟეტის შეორეხარისხოვან თემებს. და მხოლოდ მისი წყალობით თარსებებს ეს ხარაჩოები.

ჩვენს ლიტერატურაში გამოთქმა „ტკივილის ზღვარი“ არ შემხვედრია, თუმცა ყველაფერი, რაც კი უხსოვარი დროიდან დაწერილა ადამიანზე, უშუალოდ ამ გამოთქმასთანაა დაკავშირებული. თვითეული ჩვენგანის ტკივილის ზღვარი შეიძლება საერთოდ ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა იყოს ცხოვრებასა და ლიტერატურაში. მეტ-

წილად ხომ მოსგან გამომდინარეობს გარემოსთან ჩვენი აქტიური ან პასიური დამოკიდებულება.

ეს გამოთქმა, რომელიც ას ტონას იწონის, აუცილებელია ყველა მწერლისათვის, რა სტილიც არ უნდა ჰქონდეს მას და ფერების რა გამაც არ უნდა ახასიათებდეს მის მეტყველებას. „ტკივილის ზღვარი“ გამოსადეგია არა მარტო მედიცინაში, არამედ საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც, იგი წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ მრჩეველსა და ხელმძღვანელს საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწეთათვის. ეს ზღვარი ყველას გვაქვს, მაგრამ სხვადასხვა სიმაღლისა — ეგონისტისა და უსულგულო კარიერისტების ზღვარი უკიდურესად მაღალია.

მე მიმაჩნია, რომ მწერალს შეიძლება ჰქონდეს ათასი ნაკლი, მაგრამ ეს ხელს არ უშლიდეს იყოს მწერალი, ხოლო თუ იგი მოკლებულია ტალანტს და აქვს მაღალი ტკივილის ზღვარი, მისი საქმე წასულია. რა თქმა უნდა, ხანდახან ჩვენ გვიხდებოდა მოგვესმინა ზოგიერთების მტკიცება — თითქოს სოციალისტური რეალიზმი ხელს უშლის საბრალო მწერალს — რითაც ცდილობდნენ დამაჯერებლად და მოხერხებულად მიეჩქმალათ საკუთარი უნიკობა და გონებადახშულობა. ამ ნაცნობ ჰანგებს თან ახლდა დაახლოებით ასეთი. არგუმენტები: სტენდალი რომანს უწოდებდა სარკეს, რომელსაც მიათრევენ დიდ შარავზაზე. ამ სარკეში ხან ცის ლავარდი ირეკლება, ხან წუმბეები (სტენდალმა მართლაც თქვა ასე) და შემდეგ: თქვენ, ფარისეველნო, უმეცარნო, მლიქვნელებო, დაზრმავებული ფინიებო, და ა. შ. და ა. შ., რატომ მოითხოვთ, რომ ჩემმა თვალებმა — ჩემი სულის სარკემ — ასახოს ცის სილაქვარდეც, თუკი მე, სხვისთვის მიუწვდომელ და დევნილ მწერალს, მხოლოდ წუმბეები მიყვარს? მერე ამას მოსდევს მსჯელობა შემოქმედების თავისუფლებაზე, საუბარი იმაზე, რომ გვეშინია გავაკრიტიკოთ ჩვენი საზოგადოების ნაკლოვანებანი. ზარბაზნების ქუხილივით გაისმის მათი ბაგეებიდან გოგოლისა და შჩედრინის დიდი სახელები, თავში ახლიან მოწინააღმდეგეს მაიაკოვსკის „აბანოს“. მაგრამ საკმარისია მიმოიხედო, და მაშინვე აშკარა გახდება, რომ სამყარო შენს ირგვლივ ისევ ისეთია, ხალხიც ჩვეულებრივია, რომ პური ჩვენი არსობისა წინანდებურად გაჭირვებითაა საშოვნი, რომ ცა

ისევ ლაქვარდის ფერი და შარავნაზე ჯერ კიდევ საკმაოდ ბევრი წუმპეა. ისიც აშკარა გახდება, რომ ეკამათებოდი კაცს, რომელიც პურს არსობისას ამ წუმპის წყალობით შოულობს, რომ, თუ სასწაული მოხდება და ყოვლისმძლე დეკრეტით ერთ დღეს მოისპობა ცხოვრებისა და ადამიანის სულში არსებული ყოველგვარი წუმპე, ამ უბედურს ფეხქვეშ გამოეცლება. შემოქმედებითი ნიადაგი და ულუქმაპუროდ და უქონორაროდ დარჩება. როგორ მოხერხებულადაც არ უნდა ეფარებოდეს ეს მწერალი მარქსის წვერს, მაინც აშკარაა, რომ იგი ჩვენს ნაკლოვანებებს უყურებს, როგორც საარსებო საშუალებას და მისმა ტკივილის ზღვარმა სახიფათო სიმაღლეს მი-აღწია.

ჩვენ, მწერლებს, არ უნდა გვქონდეს ტკივილის ზღვარი მაღალი ყოველივე იმის მიმართ, რაც გეტკივა და იწვევს ტკივილს. კარგია, თუ ადამიანთა დარდი გვაწუხებს, იგი შეუფერხებლად იჭრება ჩვენს სულში, იქცევა ჩვენს ნაწილად, გვიღრღნის გულს. მაშინ ჩვენ მართალია, მალე ვდნებით, ადრე ვქალაქავდებით, გვეკარგება ნამდვილი სიმშვიდე, მაგრამ სხვაგვარად სიცოცხლეს აზრი არ ექნებოდა. ბოლოს და ბოლოს, ტვირთი, რომელსაც თავიანთ თავზე იღებენ დაბალი ტკივილის ზღვარის მქონე ადამიანები, და რომელიც ჩვენი ტანჯვაც არის და ჩვენი სიმდიდრეც, თავისი სერიოზულობის, სიცხოველის, სირთულის, ზოგჯერ კი გადაუჭრელობის გამო, არასოდეს არ გვაძლევს უფლებას ვიყოთ მეტისმეტად შემბრალებნი, ცრემლიანი თანამგრძობნი. ეს კი გვაეჭვებს, რომ მწერალი იმედოვნებს დაფნის გვირგვინი დაადგან (და ზოგჯერ განა ამაოდ) არა იმისათვის, რომ გაერკვა მოვლენათა მიზეზებში, არამედ იმისათვის, რომ გადა-ღქა მისი შედეგები, გამოსწოვა მათგან მთელი სენტიმენტალური წვენი და ასეთი გადამუშავებული სახით მიაწოდა მკითხველს.

ყველაზე ცუდი ლიტერატურა შემბრალებ ლიტერატურაა.  
ნეკრასოვი წერს:

...ნუ თანაუგრძობ შენ ჭირში მყოფ ადამიანებს,  
ნუ, ნუ დაუწყებ, ძმაო, კითხვას ჭუმანურ წიგნებს,  
მაგრამ ნურც ლურსმნებს განუშაადებ ეტლს უკან ბავშვებს,  
რა შეხტებიან, ეჩხვლიტოთო ანაზღად იქნებ.

ჩვენი ტკივილის ზღვარის სიმალლე დამოკიდებულია არა იმ გულმოდგინებაზე, რაც ჩვენს გარშემო მწუხარების ხილვისას გვეუფლება, იგი სხვა რამეზეა დამოკიდებული. ჩვენი მწერლური „მე“ სულიერი სიმშვიდის სასიკეთოდ დაქედდის თუ არა ლურსმნებით — აი, რა არის მთავარი.

უნდა დავწერო ნოველა სათაურით — „ტკივილის ზღვარი“.

1957 წლის 30 დეკემბერი

შესანიშნავი დღეა. „ობი“ „კოოპერაციის“ გვერდით დგას და მასზე „პონგვინები“ გადააქვთ. შეიძლება ხვალ დავიწყეთ გადმოტვირთვა. უსაქმურობამ ამომართვა სული.

1957 წლის 31 დეკემბერი

დღეს „ობიდან“ აუშვეს ორი მეტეოროლოგიური რაკეტა, რომლებმაც ოთხმოცი კილომეტრის სიმაღლეს მიაღწიეს. დიდებული სანახაობა იყო: ჯერ გაისმა აფეთქების ხმა, შემდეგ ხომალდის ცვირიდან ნელ-ნელა აიჭრა ცეცხლისკუდიანი ლამაზი რაკეტა. იგი სწრაფად ავიდა მაღლა და ღრუბლებში გაუჩინარდა. ალბათ, ძალიან ცოტა შეხვდა ახალ წელს ასეთი უჩვეულო შუშხუნით.

„კოოპერაციაზე“ წინასაღღესასწაულო განწყობილება სუფევს, სწორედ ისეთი ნაცნობი და შინაურული, როგორცაა ხოლმე ხმელეთზე ზემის წინა დღეებში. დავხეებებით ხომალდზე, ვაბოლებთ თამბაქოს და ერთმანეთს ვუზიარებთ საკუთარ აზრებს: რა ხდება ახლა იქ, დიდ მიწაზე. იღუმალი ნაღველი ახლავს ამ ფიქრებს. ბევრია ჩვენს შორის მეორე ექსპედიციის მონაწილე, რომლებიც წელიწადზე მეტია შინ არ ყოფილა. მართალია, ჩვენს საახალწლო ნაძვის ხეს წიწვები მოსცილდა და ბევრი ტოტი დაემტვრა, მაგრამ მისი შეხედვა მაინც მაგონებს ტყეს, ხავსით, ტანკენარი ხეებით, არყებითა და ბუჩქნარით დაფარულ ესტონეთის ტყეს. სულ სხვაგვარი, სიმბოლური მნიშვნელობა აქვს ამ გაძარცვულ ნაძვის ხეს აქ, ამ ადგილებში, სადაც ხედავ ყინულებიდან ამოშვერილ კუნძულ ხასუელის მიხაკისფერ კლდეებს, რომლებსაც მხოლოდ პინგვინები, პატარ-პატარა ჩიტები და მოწრიალე სელაპები აცოცხლებენ, კლდე-

უბს, რომელთა თავზე არასოდეს გადაუფრენია ქრელ პეპელას და რომელთა მკერდზე არ ამოსულა არც ერთი ბალახი, აქ, სადაც შენს თვალწინ სძინავს ყინულის ნაბადწამოსხმულ ანტარქტიკის მატერიკს.

1958 წლის 1 იანვარი

ახალი წელი აქ ოთხი საათით ადრე გვეწვია, ვიდრე ტალინში. სხვა მხრივ იგი არაფრით განსხვავდებოდა წინა ახალი წლებისაგან. ვისხედით ერთად და ვმღეროდით დილამდე. მუსიკალურ სალონში გარმონს უკრავდნენ — ცეკვა გაეჩაღებინათ. „ობიდან“ სტუმრები მოდიოდნენ ჩვენთან, ჩვენ მივდიოდით მათთან.

საუცხოო, მზიანი დღეა.

ვნახოთ, რას მომიტანს 1958 წელი. ველი უფრო მეტს, ვიდრე მომცა გასულმა წელმა, რომელიც საკმაოდ უქმი გამოდგა ჩემთვის. მხოლოდ წლის ბოლო ორმა თვემ გაიარა „კოოპერაციაზე“ შედარებით დაძაბულად და შემოქმედებითად. იმედი მაქვს, რომ ეს ორი თვე დატოვებს კვალს ჩემს მომავალ მუშაობაში. 1958 წელი უკეთესი უნდა გამოდგეს თუნდაც იმიტომ, რომ მას შეაქვს ანტარქტიკა, მერე კი — მოგონებანი ანტარქტიკაზე. გაივლის რამდენიმე ხანი და კვლავ ახალი ძალით იფეთქებს შთაბეჭდილებები, ისევე მოზეავდება დაუფიქვარი და ურყევი მოგონებები.

1958 წლის 2 იანვარი

დღეს შევუდექით გადმოტვირთვას. მეტად სასიამოვნოა ფიზიკური მუშაობა დიდი ხნის დასვენების შემდეგ. „კოოპერაციასთან“ მიდი-მოდიან მარხილებიანი ტრაქტორები, მუშაობს გემის ჯალამბრები. ჩვენი მეტეოროლოგიური ბრიგადა კი თავისი შესანიშნავი ბრიგადირის, პროფესორ ბუგაევის ხელმძღვანელობით კასრებს მოაგორებს პირველ ტრიუმში.

ნასადილევს მოულოდნელად შეწყდა მუშაობა. „ობთან“ ახლოს ყინული გაიბზარა და ნაპრალი „კოოპერაციისაკენ“ დაიძრა. იგი თანდათანობით იზრდებოდა და იზრდებოდა. „კოოპერაციის“ მეო-

თხე სათოფურთან მდგარი მარხილებიანი ტრაქტორი სასწრაფოდ გაეცალა იქაურობას. მერე ძირითად ბზარს გამოეყო სხვა, უფრო პატარა ბზარი, რომელმაც ყინული თითქოს „კოოპერაციის“ ცხვირამდე გააპო. ტრაქტორები წავიდნენ. დღეს მეტი მუშაობა არ შეიძლება.

მიმიწვიეს საღამოზე, რომელსაც სატრაქტორო ექსპედიციის მონაწილეები მართავენ. მათმა ტრაქტორ-მატარებელმა გაიარა ოთხი ათასკილომეტრიანი მძიმე და სახიფათო გზა მირნიდან სადგურ ვოსტოკამდე და უკან.

1966 წლის 8 იანვარი.

წუხანდელმა არაჩვეულებრივმა და დაუვიწყარმა საღამომ დიდი აღმავლობით ჩაიარა. სატრაქტორო ექსპედიციის მონაწილეებმა, ბეწვის ქურთუკში გამოწყობილმა ამ მოკრძალებულმა და ჩუმმა ადამიანებმა, ჩაიდინეს ნამდვილი კოლექტიური გმირობა. სიმართლე რომ ვთქვა, მე ჯერ კიდევ არ შემიძლია შევაფასო მათი რეიდის სიძნელე და მნიშვნელობა, სანამ თვითონ არ გავივლი ამ გზას, თუნდაც თვითმფრინავით.

გავიციანი ჩემი თანამემამულე ზინობი შიხეილის ძე ტებლინსკი, რომელიც ამ ექსპედიციაში მონაწილეობდა. იგი ყოფილი ტანკისტი, ამჟამად ტრაქტორისტ-მექანიკოსად მუშაობს. ხუთი წელიც ზღვრობდა საარემიაში. ჩვენ დიდხანს ვისაუბრეთ იქაურ კუნძულებზე; გზებზე, თევზებზე, ბუნებაზე, საარემიას ლუდზე, და სულ გადამავიწყდა, ასე რომ ვარ დაშორებული ჩემს სახლს. დროდადრო მე და ტებლინსკი ერთი და იმავე სიტყვებით გამოვხატავდით ჩვენს გაკვირვებას: „დახე. სად შევხვდით!“

ისევ შევუდექით გადმოტვირთვას. ყინული თითქოს გამაგრდა— ვნახოთ სანამ გაძლებს. კვლავინდებურად ტრიუმში ვმუშაობ. კარგი იყო უფრო ბევრი გვექონოდა ტრაქტორები და მარხილები, უფრო მოკლე ყოფილიყო მანძილი! პირდაპირი გზა მირნამდე ოთხი-ხუთი კილომეტრია, ტრაქტორებს კი თითქმის ოცი კილომეტრის შემოვლა უხდებათ. ერთ გზობას ხუთ-ექვს საათს ანდომებენ.



ოთხ იანვარს, ამ ისტორიულ დღეს, ანტარქტიკის მატერიკს ფეხი დაადგა ესტონეთის ხალხისა და ესტონური ლიტერატურის წარმომადგენელმა. პირველად გამოჩნდა ამ მიდამოებში ესტონელი და მეორედ — კუნძულის მკვიდრი (კუნძულის პირველი მკვიდრი გახლდათ პილგუსეს მამულიდან ჩამოსული ბარონი ბელინსჰაუზენი). ესტონელმა „კოოპერაციიდან“ მირნიმდე ოკცილომეტრიანი გზა გაიარა ტრაქტორს გამობმული ფოლადის მარხილით. ის იჭდა კაბელის გორგალზე, ზურგს უკან ედო ყვითელი პორტფელი, რომელშიც ელაგა დაუმთავრებელი ნაწარმოებები, ფერხთით განისვენებდა დაბამბული შარვლებით, წიგნებით, კინოფირითა და სხვა ძვირფასეულობით გატენილი მწვანე ბრეზენტის ტომარა, მარჯვნივ ედგა თეთრეულით სავსე შავი, ელეგანტური ჩემოდანი. მას ტუჩები დასკდომოდა, სახეზე კანი ასძრობოდა, გაყინული ცხვირი გასწითლებოდა. გული ავსებოდა მხნეობით, გამბედაობით, მეექვსე კონტინენტის დაპყრობის ურყევი რწმენით და სხვა ამგვარი ძლიერი გრძნობებით. მაგრამ როცა მარხილგამობმული ტრაქტორის მუხლუხებიდან მძლავრ ნაკადად გადმოხეთქავდა მწვანე ფერის წყალი, შიშისგან გული ეკუმშებოდა. იგი შიშობდა, და არც უსაფუძვლოდ, რომ დეივისის ზღვას შეიძლება შთაენთქა ტრაქტორი, ტრაქტორისტი, მარხილი და თვითონ ისიც. მერე იგი ჩამოვიდა მირნიში და თავისი ნივთები მიათრია პრესის კაიუტაში, რომელიც მოთავსებული იყო ლენინის ქუჩაზე, № 2 სახლში, მაგრამ გამოირკვა, რომ მისთვის გათვალისწინებულ საწოლზე წოლა შეუძლებელი იყო, რადგან საწოლი დროებით სხვისთვის გადაეცათ. იგი გათოშილი გახლდათ და ამ ამბავმა ცოტათი დაალონა. ბოლოს გაგზავნეს ღამის ცვლაში — „კოოპერაციიდან“ მოსული ტრაქტორ-მარხილების გადმოსატვირთავად.

ვასილკოვისთვის რომ მეთხოვა, აღეწერა „კოოპერაციიდან“ მირნიში ჩემი გადმოსვლა, იგი სწორედ ასეთნაირად აღწერდა ამ ამბავს, რაც საკმაოდ ზუსტად შეეფერება სინამდვილეს.

დილამდე ვეზიდებოდი ბენზინსა და სოლარის ზეთს. ოთხ საათ-

ზე ამოვარდა მძაფრი, სუსხიანი ქარი, დაიწყო ქარბუქი. ბრეზენტის ხელჯაგები დაგვისველდა. ჩემი ამხანაგები, რომლებიც კასრებს მიაგორებდნენ, საკმაოდ უცნაურად გამოიყურებოდნენ. ქურთუკებსა და თვალეზამდე ჩამოფხატულ კაპიუშონებში ისინი დაემსგავსნენ რუსულად მოლაპარაკე კაპუცინებს, ამასთანავე ლაპარაკში მოულოდნელად ისეთ სიტყვებს გამოურევდნენ, რომ რომის პაპი მათ ვერა და ვერ შეაქებდა, პირიქით, საკმაოდ უნდა შეეძინათ ინდულგენციები, რათა ამით საკუთარი ცოდვები გამოესყიდათ. კასრები მძიმე იყო, და როცა მათ დგომელა ვაყენებდით, ძალ-ღონის მოსაკრებლად მაგარ-მაგარ სიტყვებს ვისროდით. რაც გინდათ მითხარით, მაგრამ ეს ნამდვილად გვშველის მუშაობაში!

ერთ-ერთ ტრაქტორს ყინული ჩაუტყდა და ცალი მუხლუხით აყირავდა. იგი ხუთმა ტრაქტორმა ამოათრია. ტრაქტორისტს არაფერი დაშავებია.

ღილით არსად მქონდა დასაძინებელი ადგილი. მირნის საწყობების უფროსმა სერგეევმა თავის ოთახში მიმიწვია. პირველად ჩემს სიცოცხლეში შევძვეარი საძილე ტომარაში. შესანიშნავი და მეტად პრაქტიკული გამოგონებაა! „ელვა“ ნიკაპამდე ამოვქაჩე. ვიგრძენი, რომ დათვის ბელს დავემსგავსე; იქნებ, ძილში ვბრღლვინავდი კიდეც. ისე კი, კარგად მეძინა! მეძინა დღის ორ საათამდე და სადილობის დრო გამომეპარა.

ისევ ღამის ცვლაში წაველ სამუშაოდ.

1958 წლის 6 იანვარი

სალამოს ცხრიდან დილის ცხრამდე ისევ გადმოტვირთვაზე ვმუშაობდი. ჩვენი ბრიგადის ნახევარი გარეუბანში საქმიანობდა — საწვავით სავსე კასრები გადმოჰქონდა მარხილებიდან და თოვლზე ალაგებდა. მეორე ნახევარი კი მირნის მუშაობდა. პირველად საწყობში გადმოვზიდეთ ასობით ყუთი ხახვი, ნიორი, ვაშლი და ფორთოხალი. მერე შეეუღლებით იმ ყუთების გადმოტვირთვას, რომლებშიც ელაგა მედიკამენტები, გეოფიზიკოსებისა და საკვლევი სადგურების აპარატურა, ფორტოქალაღი. ეს უკანასკნელი მეტად დეფიციტური და ძვირფასი საქონელია მირნისში. ყუთების ზიდვა არ ჰგავს კასრების

გადაგორებას. ყველა ყუთი სხვადასხვა ზომისა და სხვადასხვა სიმძიმისაა. ზოგიერთი უზარმაზარია და რამდენიმე ასეულ კილოგრამს, იწონის, ზოგიერთი კი ათი კილოც არაა. უმეტესობაზე გამაფრთხილებელი წარწერაა: „მინაა! არ აგორათ!“ ასეთი ყუთების გადმოტვირთვა საშარო საქმეა. ხანმოკლე შესვენების დროს სასადილოში მივდიოდით: ღამის ცვლაში მომუშავეთათვის სუფრა მუდამ გაშლილი იყო.

ბოლო დღით შეგვხვდა ძალიან რთული სამუშაო; იგი უდიდეს მოთმინებას მოითხოვდა. მარხილიდან უნდა გადმოგვეტანა ორ ტონაზე მეტი წონის მოგრძო ყუთი. ტალით შეიარაღებული მტვირთავებისათვის ასეთი სიმძიმე არაფერია, მაგრამ საქმე ის არის, რომ ყუთში იღო მეტად ფაქიზი და რთული აპარატურა — ავტომატური სადგური, მგონი, კოსმოსური გამოსხივების საზომი, რომლის გადახრა 15 გრადუსზე მეტად არ შეიძლება. გადმოტვირთვას თვალყურს ადევნებდა ექსპედიციის ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე, ყველაზე ახალგაზრდა მეცნიერი კოლომიეცი, რომელმაც მას მზრუნველობა არ უნდა მოაკლოს ვოსტოკშიც (სადგური სწორედ იქ უნდა დადგან). კოლომიეცი ჩვენს ირგვლოვ დარბოდა — მას ტყაპუჭი შეხსნოდა, შიშველი ხელები ყინვისაგან გასწითლებოდა — და საცოდავად გვეხვეწებოდა:

— ნელა, ამხანაგებო! მეტს ნუ გადახრით, ძვირფასო ამხანაგებო! ახლა ოდნავ გასწიეთ, აი, დაიძრა, მოიწია, ყოჩაღ, ბიჭებო, ეშმაკმა წაგიღოთ!.. ნელა, ძვირფასო ამხანაგებო, ნელა!.. კიდევ ნელა!.. სდექ!

იგი გველაპარაკებოდა ისე ალერსიანად და მუდარით, როგორც ელაპარაკებიან ხოლმე დიდები პატარებს, როცა მათ ბროლის ვაზა უჭირავთ, და თუ სერიოზულად არ გააფრთხილე, შეიძლება გაუფარდეთ. მართალია, ჩვენს შორის ზოგიერთები მამად შეეფერებოდა კოლომიეცს, მაგრამ მისი „ყოჩაღ, ბიჭებო“ და „ძვირფასო ამხანაგებო“ გვახალისებდა და არაჩვეულებრივი დისციპლინისაკენ მოგვიწოდებდა. გრძელი ყუთი 10 გრადუსზე მეტად მართლაც არ გადაგვიხრია. როცა საბოლოოდ ყუთი თოვლზე გადმოვდგით, კოლომიეცმა ყველას მხურვალედ ჩამოგვართვა ხელი. მართალია, ანტარქტიკაში ეს მიღებული არ არის, მაგრამ ამ შემთხვევაში სავსებით

მართებული იყო. ასეთი ხელის ჩამორთმევა დიდხანს არ გავიწყდება და დიდხანს გითბობს გულს. მართლაც, ღირდა კოლომბიეცის ბედნიერი სახის დანახვა: მას სახე ბავშვივით მრგვალი და უნაოქო ჰქონდა, თვალები თაფლისფერი და მოელვარე. მთელი მისი არსება მხოლოდ ერთს მეტყველებდა: „მე ძალიან ახალგაზრდა, ძალიან კარგი ვარ და დიდი საპასუხისმგებლო საქმე მაქვს!“ სწორედ ასეთი იერით უვლიდა იგი გარს თავის სადგურს — მკერდგაღელი და კიბოსავით ხელებდაწითლებული.

ჩემთვის სრულიად გაუგებარია, როგორ ჩადებენ ამ უზარმაზარ აპარატურას თვითმფრინავში და როგორ წაიღებენ ვოსტოკში ისე, რომ 15 გრადუსზე მეტად ერთხელაც არ გადაიხაროს. თუმცა, ამაზე, დაე, კოლომბიეცმა იზრუნოს.

„ყოჩაღ, ბიჭებო! ძვირფასო ამხანაგებო!“

აი, ასე!

დილით ჩვენი ბრიგადის თვითეულ წევრს მისცეს ასი გრამი სპირტი. პოლარულ ზონაში, როგორც ჩრდილოეთში, ისე სამხრეთში, სპირტს აზავებენ იმის შესაბამისად, თუ რომელ პარალელზე იმყოფებიან. ჩვენი განედია  $66^{\circ}30'$ . მაშასადამე, უნდა ვსვათ  $66-67$ -გრადუსიანი სპირტი. აღსანიშნავია, რომ სუფთა ჰაერზე თორმეტსაათიანი მუშაობის შემდეგ იგი მეტად სასიამოვნო დასალევია, გივლის თავით ფეხამდე, აღწევს ფრჩხილებამდე, სპირალისებურად გეხვევა ჭიპის ირგვლივ (თუკი თვალს გადაავლებ ანტარქტიკის რუკას, ყინულის მატერიკზე უხვად მიმოფანტულ საკვლევ სადგურებს, დაინახავ, რომ სპირალი დედამიწის უპესაც — სამხრეთ პოლუსსაც ეხვევა) და თავში სისხლს გიჩქეფებს — მოკლედ რომ ვთქვა, მეტად ინტიმურად იჭრება ეს სასმელი ადამიანის ორგანიზმში.

საწოლი ჯერაც არა მაქვს, პრესის კაიუტაში სძინავთ კომსომოლსკაიდან ჩამოსულებს. იქვე მუშაობს მეორე ექსპედიციის სახმელეთო ტრანსპორტის უფროსი და კაქუნობენ ხელსაბეჭდი მანქანები. მოვძებნე დროებითი თავშესაფარი ჩემს ძველ მეგობარ რადისტებთან — იაკუნინთან და იაკოვლევეთან. მათი ფანჯარა გადაჰყურებს ზღვას, მირნის კლდოვან რეიდს, კუნძულ ხასუელს. ჩანს, მართლა მოდის ზაფხული: სუფთა წყლის მუქი ზოლი ყოველდღიუ-

რად უახლოვდება ნაპირს. შეიძლება რამდენიმე დღეში დეივისის ზღვა მთლიანად გაიწმინდოს ყინულებისაგან. რომ არ იყოს ეს შიშველი კლდეები, ყინულზე მიმავალი ტრაქტორები, თითქმის შავი წყლის შორეული ზოლი, ბორცვიანი უზარმაზარი თეთრი აისბერგები, ეს ხედი ისეთივე იქნებოდა, როგორცაა ჩემი ფანჯარიდან ტალინის უბე გაზაფხულზე.

ომის შემდეგ საკმაოდ ბევრი ვიხეტიალუე, ნაწილობრივ იმიტომაც, რომ ტალინში ვერ ვახერხებ მუშაობას. ბოლო წლების ნაწარმოებებიდან მხოლოდ ერთი მეხუთედი თუ მექნება ტალინში დაწერილი. მე ნაკლებად ვარ შეჩვეული მუდმივ სამუშაო ადგილს, მუდმივ მაგიდას, ნაცნობ შპალერს, მაგიდის ლამპის მშვიდ, წრიულ შუქს და მუშაობისთვის აუცილებელ სიწყნარეს. რადისტებთან ყოფნის პირველსავე წუთებიდან თავი შინ მეგონა. ეს გრძნობა უთუოდ გამოიწვია ზღვის ხედმა და რადისტების გულითადობამ.

სანამ მირნიში ვიქნები, ყოველთვის უბოდიშოდ ვისარგებლებ იაკუნინისა და იაკოვლევის სტუმართმოყვარეობით.

1958 წლის 7 იანვარი

„კოოპერაციის“ პირველი, მეოთხე და, შესაძლოა, მესამე ტრუმიც უკვე ცარიელია. მეორე ტრიუმში კიდევ არის ას ორმოცი ტონა ტვირთი. ვფიქრობდით, დღეს დაგვემთავრებინა გადმოტვირთვა, მაგრამ მუშაობა შეეწყვიტეთ. ახლა ქარის სისწრაფე ზღვაზე თოთხმეტ მეტრს აღწევს წამში, ყინულის ნაწიბური თხელია და არასაიმედო, სუფთა წყლის ზღვარი უფრო და უფრო გვიახლოვდება. ბზარები გახშირდა. თუ მუშაობას არ შეეწყვეტთ, შეიძლება ტრაქტორი ჩაიძიროს. იქნებ ხვალ მაინც დავამთავროთ გადმოტვირთვა, ცხადია, თუკი ამინდი გამოკეთდა და ყინულის მზვერავეებმა დაადგინეს, რომ ტრასა საიმედოა.

ფრენაზე ჭერჭერობით ლაპარაკიც ზედმეტია. თაზისში ცუდი ამინდი დაიჭირა და მოზამთრეების ახალი პარტიის ნაწილი ჭერ ისევ აქაა. სატრაქტორო კოლონა პიონერსკაიაშია წასული და ოთხასკილომეტრიანი რთული გზა აქვს გამოსაელელი. პიონერსკაიაშიც ავ-

დარია. ვოსტოკში ორი თვითმფრინავი გაფრინდა, მაგრამ მე ჯერ უფრო ახლო სადგურებში — ოაზისში ან პიონერსკაიაში — ვაპირებ გამგზავრებას. მირნიდან უცებ ვოსტოკს წასვლა პავის მეტის-მეტად მკვეთრი გამოცვლა იქნებოდა ჩემთვის.

თანდათანობით ვეჩვენებ მირნის. აქაური სახლები შორიდან პატარა და დაბალი ჩანს. სახლები გაბნეულია თანატოლი სიმაღლის ნამქერის ბორცვებს შორის და მათთან ერთად ლარივით სწორ ზედაპირს ქმნის. მათ მაღლიდან გადმოჰყურებს კლდეზე აგებული რადიოსადგური, რადისტების სახლი, ელექტროსადგური, სარემონტო სახელოსნო და რადიოანძმები.

ელექტროსადგურის კართან დგას წითურწვერიანი ნეპტუნი — კუზნეცოვი, რომლის „შვილნო ჩემნო!“ ისევ მქუხარედ და სიყვარულით გაისმის მირნიში; მას აქაც მამას ეძახიან. კუზნეცოვმა დამათვალეირებინა თავისი მეურნეობა. ელექტროსადგური მძლავრია. სადგურში დგას შეიდასი კილოვატის საერთო სიმძლავრის სამი აგრეგატი, რომლებიც დიზელის სათბობზე მუშაობენ. მირნისთვის ეს სრულიად საკმარისია და ჩვენ ყოველთვის გვეყოფნის ელექტროენერგია. სადგური კლდეზე დგას. ფეხქვეშ გრძნობ, როგორ ძაგძაგებს ლითონის იატაკი, როგორ გუგუნებს ხმამაღლა და თანაბრად უურთაქმენის წამლები გენერატორები და შენთვის ნათელი ხდება, რომ საბჭოთა ადამიანი მხოლოდ ერთი დღით როდია აქ ჩამოსული.

იმ სახლში კი, სადაც დაბინავდნენ მეტეოროლოგიური სამსახურის მუშაკები ვიქტორ ანტონის ძე ბუგაევის მეთაურობით, სადაც იღვწის ჩინებული სინოპტიკოსი კოსტია ვასიუკოვი, სადაც შრომობენ აეროლოგები ბელოვის ხელმძღვანელობით, სადაც ცხოვრობენ და მუშაობენ ადგილობრივი ამერიკელები: მისტერ კარტრაიტი და მისტერ რუბინი, დაბოლოს, სადაც ამ ბოლო დღეებში ვერ მოახერხეს საფრენად კარგი ამინდის შერჩევა — იმ სახლში არც რკინის იატაკია და არც გენერატორების გუგუნე ისმის, აქ არის მხოლოდ პატარა რთული აპარატები და სინოპტიკური რუკები, რომლებზედაც აღნიშნულია ციკლონის ცენტრები და მათი მოძრაობის მიმართულება. აქ, ამ ოთახში, გაისმის საკმაოდ უცნაური კითხვები:

ბუგაევი ეკითხება ვასიუკოს:

— საით გადარეკავთ ამ ციკლონს?

ვასიუკოვი ზომავს ციკლონის მოძრაობას და უპასუხებს -სრულ-  
ლიად საქმიანად და ამასთანავე ისეთი ტონით, თითქოს ციკლონი  
მარხილში შესაბმელი ძაღლი იყოს:

— მატერიკისაკენ!

ერთხელ, ციკლონის მოძრაობაზე კამათის დროს, ერთი მეტად  
უცნაური ფრაზა გავიგონე. წინა ექსპედიციის მეტეოროლოგიური  
ჯგუფის უფროსმა, ცნობილმა საბჭოთა სინოპტიკოსმა კრიჩაკმა  
თქვა:

— შეუძლებელია იყო კარგი სინოპტიკოსი, თუ ფანტაზია არა  
გაქვს.

დალაზეროს ეშმაკმა, იქნებ მართლაც არის ამ მეცნიერებაში  
პოეზია!

მეტეოროლოგების სახლი ოდნავ მოშორებით დგას სხვა სახ-  
ლებიდან და მიგნებაც ადვილია. სახურავზე მიჭედლია დიდი ფანე-  
რი, რომელზედაც გამოსახულია ორი შიშველი კინოვარსკვლავი.  
ერთ-ერთ მათგანს გრძელი, შავი დალალები აქვს და სიმბოლურად  
გამოხატავს დასავლეთის ქარს, მეორე კი ქერაკულულებიანია და  
გამოხატავს აღმოსავლეთის ქარს. ორივე ძალიან ლამაზია, ორივეს  
სავსე მკერდი აქვს და ა. შ. თვითული მეტეოროლოგი, სანამ და-  
კვირვების მოსახდენად წავიდოდეს, ჭერ ამ ქალებს ახედავს. ვერ  
გეტყვით, რა გავლენას ახდენენ ისინი მირნის კლიმატურ პირო-  
ბებზე.

ვინ რა იცის, რომელ ვარსკვლავზეა დაბადებული? რას წარ-  
მოიდგენდა ვასიუკოვი, რომელსაც ასე მონდომებით ვწერთნიდი  
„კოოპერაციაზე“, ანდა ბუგაევი, ეს დარბაისელი მეცნიერი, რომ  
ოდესმე შიშველი კინოვარსკვლავების მფარველობის ქვეშ მოუხდებ-  
ბოდათ ცხოვრება?

1958 წლის 9 იანვარი

„კოოპერაცია“ ბოლოს და ბოლოს განიტვირთა.

იგი მირნის რეიდზე დგას „ობის“ გვერდით ყინულებში და გალ-  
მოტვირთვის შემდეგ გაცილებით მაღალი ჩანს. უკვე ხომალდზეა  
მეორე ექსპედიციის ოცდაათივე მონაწილე, რომლებიც სამშობლო-

ში პირველი რეისით ბრუნდებიან. მირნი დაცარიელდა, გაყუჩდა და დღეს პირველად ამართლებს თავის სახელწოდებას. უფრო იშვიათად ვხედავ უცნობ სახეებს, ყველგან ჭარბობენ ჩემი თანამგზავრები.

ამ ღამით პირველად გავისეირნე ანტარქტიკის ყინულოვან მატერიკზე, ისიც მცირე მანძილზე. ვიმგზავრეთ სამი „პინგვინით“. ორს ხორციით დატვირთული მარხილი ება. ჩვენ უნდა მივსულიყავით პირველ საწყობში, რომელიც ოც კილომეტრზე მდებარეობს მირნის სამხრეთით, კომსომოლსკაიას, პიონერსკაიას და ვოსტოკის გზაზე. შოფრებსა და რადისტებს გარდა ჩვენთან ერთად წამოვიდნენ ტრეშნიკოვი, ექსპედიციის მთავარი ინჟინერი პარტენოვი და სახმელეთო ტრანსპორტის უფროსი ბურხანოვი. მე ვიჭექი მესამე მანქანაში, ნომერ პირველ „პინგვინში“, რომელსაც მართავდა სტანისლავ რომაიკინი, რადისტად კი ილია ჟურენკო იყო.

ჩვენი გზა სამხრეთ-დასავლეთისკენ მიემართება. ხელმარჯვნივ ჯერ ისევ მოჩანს დეივისის ზღვა, რომელსაც მატერიკისაკენ თავისი თეთრი ყინულის ზურგი აქვს მიქცეული, უფრო შორს კი ლივლივებს მუქი ფერის წყალი. მერე გზა უხვევს სამხრეთით. ყინული თანდათანობით ოდნავ შესამჩნევ ტალღებად იწვევს ზღვის დონიდან მაღლა და თანაბრად და მდოვრედ მიემართება ზევით. აქ იგი გლუვია და უნაპრალო, ზედ არსად ჩანს ტბორები. ხედავ მხოლოდ თეთრ თოვლს, წინ მიმავალი მარხილების მოლურჯო ფართო ნაკვალევს და თვით მარხილებს, დახერგილთ ხორცის გორებით. ხედავ ლურჯ ცას, რომელსაც ანტარქტიდის გუმბათს ამოფარებული მზის მკრთალი სხივები მოჰფენია. ერთადერთი ცოცხალი არსება ამ მიდამოებში პატარა თოვლის ქარიშხალაა, რომელიც ჩვენებურ მერცხალს წააგავს და „პინგვინის“ ახლოს ტრიალებს. რადისტები ამბობენ, ეს ჩიტუნები ორმოცდაათი კილომეტრის სიშორეზე გვხვდებიან ნაპირიდანო. საინტერესოა, რა იზიდავს მათ ასე ღრმად მატერიკისაკენ, — იქ ხომ არც კოლოა, არც ხოჭო, ერთი სიტყვით, არაფერი, გარდა ცივი ჰაერის, ყინულისა და ცისა. როცა მირნიში ერთი გრადუსი ყინვაა, ათ კილომეტრზე ტემპერატურა 15 გრადუსამდე ეცემა. ქარი გაძლიერდა და უფრო სუსხიანი გახდა, ფოლადისფრად მოელვარე ყინულის ზედაპირზე პარალელურ დაბალ ტალღებად მიქრის თოვლის ნამქერი.



„პინგვინების“ კაბინები ტევადია. წინა ნაწილში მოთავსებულია ყოველგვარი საზომებით აღჭურვილი ხელსაწყოების დაფა, შოფრის დაბალი სავარძელი, რადიოგადამცემი და რადიომიმღები. ძარას იატაკი შედარებით მაღალია. აქ ღვას მწვანე მუშამბაგადაკრული მაგიდა და სკამები. ბოლო ნაწილში, ქვემოთ, მოთავსებულია ძრავა, მის ზემოთ კი კედელში დატანებულია ნიში, სადაც შეგიძლიათ დაიძინოთ, ან შეინახოთ საკმაოდ დიდი მოცულობის ტვირთი.

ძნელია რაიმე დაინახო „პინგვინის“ ილუმინატორებიდან. ამ მხრივ მას სჯობნის თოვლზე მოსიარულე ყველა სხვა მანქანა. მხოლოდ შოფრის მართკუთხა ფანჯარაა შედარებით განიერი და არ იჭირხლება. თხზივე მხარეს დატანებული მაღალი ილუმინატორებიდან არ იჭირხლება მხოლოდ მარჯვენა. გვერდითი კარების ილუმინატორებიც იჭირხლება. შოფერი ვერ ხედავს ბუქსირზე გამომხლულ მარხილებს, რადგან უკანა ილუმინატორი ძალიან შორსაა მისგან. მაღალზეა და, როგორც წესი, ისიც იჭირხლება. ეს „პინგვინების“ ერთ-ერთი ნაკლია.

აქაურ უგზობასა და თოვლში ორას ორმოცი ცხენის ძალა არც ისე დიდი სიმძლავრეა. ჩვენ ვხედავდით, რა გაჭირვებით ეწეოდნენ წინ მიმავალი „პინგვინები“ თავიანთ მარხილებს. რასაკვირველია, შედარებით უკეთეს გზაზე უმარხილო „პინგვინი“ ადვილად გადის ოც კილომეტრზე მეტს საათში. ეს კარგია. ჭერჭერობით მანქანებს მხოლოდ ამოწმებენ, ანტარქტიდის ყინულთა გადალახვის ნამდვილი გამოცდა კი ჭერ კიდევ წინაა.

წინ მიმავალმა ორივე „პინგვინმა“ მშვიდობიანად გაიარა ოცე კილომეტრი და დანიშნულებისამებრ მიიტანა თავისი ტვირთი. ჩვენ კი ვეღარ მივალწიეთ იქამდე. მირნიდან თორმეტობდე კილომეტრზე გაგვიფუჭდა ძრავა. ჩვენი რადისტი დაუკავშირდა მირნის, მერე ელპარაკა ორივე „პინგვინის“ შოფერს. ცოტა ხანში ძრავა ისევ ამუშავდა, ჩვენ კიდევ გავიარეთ ერთ კილომეტრამდე გზა, მაგრამ მალე ანტიფრიზი აღუღდა, ძრავას ზემოთა ნიში ორთქლით აივსო და მანქანა საბოლოოდ გაჩერდა. რომაკინი მანქანის შეკეთებას შეუდგა, მე და რადისტი კი სკამებზე მოვკალათდით დასაძინებლად. სინამ დავიძინებდით, სახურავახდილი მრგვალი საძრომიდან დავინახე

ლურჯი ცა და რადისტი, რომელიც ბგერათსაინჰოლაციო ყურსაცვამს იხსნიდა.

გადავჩქეით უკანდაბრუნებულ „პინგვინში“. ტრაქტორებით გადათბრილ, დაბორცვილ გზაზე იგი მთელი სიჩქარით მიქროდა და ისე ირყეოდა, ძილზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო.

1956 წლის 10 იანვარი

შუადღით „ობმა“ და „კოოპერაციამ“ მირნის რეიდი დატოვეს. შედარებით მძლავრი „ობი“ ადრევე გაკვალული არხით წინ წაუძღვა „კოოპერაციას“. მათი გამოსათხოვარი საყვირის ხმა ძლივს აღწევდა მირნიში. ქათქათა „კოოპერაცია“ მთელი ტანით ეფარებოდა წინმძეველ „ობს“, შემდეგ ორივე ხომალდი თანდათანობით ბუნდოვანი გახდა და საბოლოოდ მიეფარა თვალს.

მეგონა, ორი თვე ვიქნებოდი მირნიში, მაგრამ დღეს გამოირკვა, რომ გაცილებით ცოტა ხანი მომიწევს ანტარქტიკაში ყოფნა — დაახლოებით ერთი თვე. მეორე ექსპედიციის მონაწილეები „კოოპერაციას“ ალექსანდრიაში კი არ მიჰყავს, არამედ პორტ-ლუიში, კუნძულ მავრიკიზე. ნორმალური სიჩქარით „კოოპერაცია“ ორ კვირაზე ცოტა მეტ ხანში ჩავა დანიშნულ ადგილას და უკან ოცი თებერვლისათვის გამობრუნდება. რა სასიამოვნოც არ უნდა იყოს ჩემთვის ერთი თვით ან თვენახევრით ადრე შინ დაბრუნება, ეს ამბავი მაინც მაწუხებს. დრო შეიკვეცა და ახლა ძირითადად მხოლოდ ამინდზე იქნება დამოკიდებული, მოვახერხებ თუ არა ანტარქტიკის შუაგულამდე მისვლას, საკმარისად ვიფრენ თუ არა მატერიკის თავზე. ბუნების ჰირვეულობამ შეიძლება მეტისმეტად შეამოკლოს ეს თვე, თუმცა იანვარსა და თებერვალში აქ ფრენისათვის, ჩვეულებრივ, საუკეთესო ამინდებია ხოლმე. შემეძლო ამ დღეებში გავფრენილიყავი, მაგრამ არ ვჩქარობდი, მეგონა, შუა მარტამდე დავრჩებოდი აქ. სხვა მიზეზიც მიშლიდა ხელს — არ მქონდა შესაფერისი ტანსაცმელი. ვოსტოკში კი ჭერ ისევ 40 გრადუსი ყინვაა, პიონერსკიაიზზე კი 30—40 გრადუსი. ალბათ, დღეს მივიღებ თბილ ტანსაცმელს.

ვნახე, როგორ აუშვეს რადიოზონდი და როგორ აღევნებდნენ თვალყურს მის ფრენას ლოკატორის საშუალებით. მეტად მარტივი

და ამასთანავე მეტად კვიციანური გამოგონებაა. არასაკმაო ცოდნას, მოუზნადებლობას მეცნიერების ამა თუ იმ დარგში, აშკარად ვგრძნობ ყოველ ნაბიჯზე. თუ მომავალ ექსპედიციებში მივიღებ მონაწილეობას, ცოტათი მაინც უნდა გავეცნო პროგრამით გათვალისწინებულ სამეცნიერო საკითხებს.

მირნიში მეცნიერება მხოლოდ ორგან რჩება ჩრდილში. პირველი გახლავთ სასადილო, ანუ კაიუტ-კომპანია, რომელსაც რესტორან „პინგვინსაც“ ეძახიან. აქ ყოველ მეორე დღეს აჩვენებენ კინოს, იშვიათად ატარებენ საერთო კრებას და ცალკეული საკვლევი ჯგუფების საწარმოო თათბირებს. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ აქ ხელგაშლით და გულუხვად გვიმასპინძლებიან. არავითარი განსაზღვრული ულუფა არ არსებობს — მიირთვი რაც გინდა და რამდენიც გინდა. ვერასოდეს დავიწყებდი, რომ მიუხედავად ჩემი წონისა — სამოცდასუთი კილოგრამისა — შევძლებდი სამჭერ მეტის შესანსვლას, ვიდრე შინ. აქ ბევრს დადიხარ ყინვაში, მეტისმეტად სუფთა ჰაერზე, ხშირად მუხლამდე თოვლში და ამიტომაც გელვიძებდა ისეთი ძლიერი მადა, რომ სანამ სადილობას შეუდგებოდე, ასე გგონია, მეორე თავ კერძზე შემწვარ ბატკანს შეხანსლავ. თანდათანობით ვუგებ ფინელი მწერლის ალექსის კივის რომანის ლორმუცელას, რომელმაც საქორწილო ნადიმის წინ ორმო ამოთხარა თავისი ფაშვისათვის, რომ მერე უკეთ გამოშუშებულეყო.

ერთხელ, ბავშვობაში, შიშით შევეყურებდი ქორწილზე ერთ-ერთ ლორმუცელას. როცა იგი გამოტყვრა და კურესაარეს კლინიკაში წააბრძანეს, მუცლიდან ამოულეს თითქმის ერთი ფუთი ბალტიის ქაშაყი და დამატებით კიდევ სხვა თევზეული. ეს რაოდენობა მაშინ ფანტასტიკური მეჩვენა, მაგრამ ახლა, სანამ სადილობას შევუდგებოდე, ფიქრით გაცილებით მეტს ვსანსლავ. კიდევ კარგი, რომ ცხადელიც არა.

თავდაპირველად შიშნეულად ვაცეცებდი თვალებს აქეთ-იქით, ლორმუცელად ხომ არ მთვლიან-მეთქი. მაგრამ საკმარისი იყო ჩემს მაგიდას შემოსხლომოდნენ ერთი მექანიკოსი და ერთი ტრაქტორისტი, რომელიც შვიდი ფუტი სიმადლისაა და ას კილოგრამს იწონის. აგრეთვე მშენებელთა ჯგუფის ორი ქაბუკი—ეს ხალხი გაფურჩქნის ხაზაშია და არც ერთი მათგანი არ ეწევა—რომ ჩემთვის გასაგები გამხ-

დარიყო: აქაური სამუშაო და აქაური პირობები აიძულებს კაცს, ჰქონდეს მადიანად და ლაზათიანად. შიდასაკონტინენტო სადგურებში კი, სადაც მზარეულებად ექიმები მუშაობენ, პოლარული ზამთრის მიწურულში ყველანი უმადობას უჩივიან. რა თქმა უნდა, ასევეა მირნი-შიც, როცა უსასრულო ღამე და საზარელი ავდარი ოთხ კედელშია ამწყვდევეს კაცს და თითქმის უსპობს მოძრაობის საშუალებას.

კვება კარგი და მრავალფეროვანია. საკმარისად გვაქვს ხორციც, კარაქიც, რძის ფხვნილიც, შაქარიც, ხილიც. მართალია, ჩვენს მაგიდებზე გახეხილი მუშაობაა გადაფარებული და პირველსა და მეორე თავ კერძს შევექცევით ერთსა და იმავე თეფშიდან; მართალია, ჩვენი ჭურჭელი ჭარისკაცურად უბრალო და გამძლეა, მაგრამ მზარეულების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ იციან და უყვართ თავიანთი საქმე. თავს მოსაპყრელად დავდებ, თუ ანტარქტიკის ან არქტიკის ექსპედიციის რომელიც გნებავთ მზარეულს არ შეეძლოს გაკირვებიდან იხსნას დიდი მიწის ესა თუ ის გაკორებული რესტორანი. მხოლოდ დიეტურ სასაღილოში ვერ იმუშავებდნენ ისინი: მაგარი კბილებისა და სალი კუჭის სამეფოში მათ არ უხდებათ თავპირის მტვრევა სამკურნალო მენიუს შესადგენად.

სასაღილო ყველაზე მეტად საღამოობითაა საინტერესო. უმეტესობამ დაამთავრა დღიური სამუშაო, რადისტების პირველმა ცვლამ ყურსაცვამები მეორე ცვლას გადასცა, არავის არსად მიეჩქარება. ჩაბნელებულ, თოვლიან წინაკარში ტანსაცმლის საკიდელი დახუნჯლულია ტყაპუკებითა და ქუდებით, რომლებიც, რასაკვირველია, ხშირად ერთმანეთში გვერევა. მე, ალბათ, უკვე მეოთხე ქუდი გამოვიცვალე, მაგრამ ვინ აქცევს ამას ყურადღებას.

აქ გრძელ მაგიდებს ერთად შემოსხდომიან მეტეოროლოგები, აეროლოგები, გლაციოლოგები, ავიაციის წარმომადგენლები, სამშენებლო რაზმის ბიჭები, ტრანსპორტისა და რადიოკავშირის მუშაკები. ოთახში შემოსვლისთანავე თვალში გეცემა ახალგაზრდების ჭარისკაცურად შეკრეპილი თავები — მათი შავი, ქერა და წაბლისფერი თმა — ძალიან ცოტაა ჰალარაშერეული და სულ გათეთრებული. მოდი და გააკვივე, ვინაა აქ პროფესორი, მეცნიერებათა კანდიდატი, ვის მოსავეს დოქტორის ტიტულის შარავანდელი ან კარგი ხუროს დიდება.

საუბრის თემა ყოველდღიური და ზოგადსაკაცობრიოა. განსაკუთრებით ფასობს მხიარული და ძარღვიანი სიტყვა. ყველგან ჩქეფს სიცოცხლე, არის ერთი გუგუნი და ქრიაშული. დომინოს მოთამაშეები აქახუნებენ ქვებს, რიგში ჩამდგარნი მოითხოვენ, წაგებულებმა დროზე დაუთმონ ადგილი. დაგვიანებით შემოდის ვასიუკოვი თავის გაქუცული, ირმის ტყავისქულებიანი ქუდით, რომელიც ხუთი წელი ეხურა იაკუტიაში და ვერც ახლა იშორებს, რადგან მისი სარგო ქუდი ჭერაც არ შეუქერავთ. იგი ჯდება და, როგორც ყოველთვის, ჩემს გამოსაჩავრებლად იწყებს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა განჭიქებასა და მეტეოროლოგიისა და უმალღესი მათემატიკის განდიდებას.

იატაკზე ერთმანეთს ერწყმის ჰერზე ჩამოკიდებული ნათურებიდან დაღერილი ყვითელი ფერის სინათლის წრეები. ბნელჭერიანია, გრილი დარბაზი უზარმაზარი და იღუმალი ჩანს. კაიუტ-კომპანიის ბინდბუნდს დანასავით შუა ჰყვეთს სამზარეულოს კარიდან გამოჭრილი კაშკაშა შუქის სვეტი, რომელსაც კედელზე დროდადრო გამოჰყავს შავი, ზანგური თავები. გეჩვენება, რომ ამ ხმაურიან, სასიამოვნო და მეგობრულ სახლში ყველაფერი უკვე ნაცნობია და ოდესღაც გინახავს, მაგრამ სად? ალბათ, რემბრანდტის სურათების რეპროდუქციებზე.

— შენ, იურის ძე, — მეუბნება ვასიუკოვი, — არ გიყვარს უმალღესი მათემატიკა და ავდრიან ამინდში აუგად იხსენიებ მეტეოროლოგიას. ნამდვილი პოეზია კი მხოლოდ მეცნიერებაშია. იცი, ვინაა მეოცე საუკუნის უდიდესი პოეტი?

— ასე უცებ ძნელი სათქმელია.

— ალბერტ აინშტაინი, — ამბობს ვასიუკოვი და იგი მართალია.

მეორე ადგილი, სადაც მეცნიერება უკანა პლანზე ინაცვლებს, ძაღლების სადგომია ზღვის სანაპიროზე. მირინში ახლა ორმოცი ძაღლია, ესე იგი ციმბირული ძაღლების ოთხი უღლეული. მათი ნაწილი აქ დაიბადა, ნაწილი კარგა ხანია აქვე ატარებს ზამთარს — ჯერ კიდევ პირველი ექსპედიციის დროიდან. მე კაიურ ვიქტორ ვედეშინთან ერთად უკვე რამდენჯერმე ვიყავი მათთან.

სხვათა შორის, სადგომში მხოლოდ ლეკვებიანი ძუკნა ძაღლები

და მოზარდებია, დიდი ძალები კი გარეთ არიან. ისინი ყინულში ჩარკობილ ხიმინჯებზე მიუბამთ ჯაჭვით.

ვედეშინი წარმოშობით ტულის ანლო სოფლიდანაა. მას აქ შეუსრულდა ოცდაერთი წელი. ძალების გეშვა ჯარში დაიწყო. ამ გონიერ ოთხფეხა ცხოველებს უყვართ იგი. როგორც კი თვალს მოჰკრავენ ვედეშინის ჯმუხ ფიგურას, ისინი მოუსვენარ წკმუტუნს ტეხენ, ჭაჩავენ ჯაჭვს, ყალყზე დგებიან და ალერსიანად შეჰყურებენ პატრონს.

ალბათ იმიტომ, რომ აქ ვედეშინთან ერთად დავდივარ, ისინი მეც შეგობრულად მეპყრობიან. არ მინდა ქელი მოვიხარო ესტონური ანდაზის წინაშე: „ძალდი ძაღლს უტეხ ცნობსო“.

ძაღლები კარგი, ამტანი, ინტელიგენტური ცხოველები არიან, ამასთანავე ინდივიდუალურნიც. აი, თუნდაც სამარხილე ნაგაზი ვესიოლი, მას საუკეთესო ექსტერიერი და ისეთი დრუნჩი აქვს, რომლის მსგავსი არსად მინახავს. მასზე აღბეჭდილია სიფიცხეც, თავხედობაც, ცბიერებაც, გულკეთილობაც, ნაღვლიანი ირონიაც. ყურები აუცქვეტია: წაგრძელებულ დინგს უმშვენებს ქილვაშები და ხშირი წვერი. ყოველივე ეს ამსგავსებს მოხუც შვიპერს, რომელიც ეს-ეს არის შეზარხოშებული გამოვიდა სამიკიტნოდან და მხიარულ კომპანიას დაეძებს.

სოკოლიც კარგი ძაღლია, თუმცა უფრო სერიოზული, აპათიური და გოროზია.

შე ყველაზე მეტად მომწონს ცხრა თვის აისბერგი. მას ზურგი შავი აქვს, მკერდი და წინა თათები — თეთრი, სრულიად არ ეტყობა სამარხილე ბებერი ძაღლების დარბაისლობა — იგი კუდის რიკამდე ნორჩია.

ორმოცსავე ძაღლს თავისი სახე, თავისი ხასიათი და თავისი შეხედულება აქვს გარე სამყაროსა და მათთან დაბმულ დაძმებზე.

მხოლოდ ერთ შემთხვევაში ემსგავსებიან ისინი ერთმანეთს, იქვეიან ერთნაირად და თვალები ერთნაირად უნაღვლიანდებათ.

... როცა ყინულზე მათ ცვირწინ დაბაჯბაჯებს თავნება და უღარდელი ადელის პინგვინი, ხმაგაკმენდილი და ყურებაცქვეტილი ძაღლები წუთში უკვე ბარიერის კიდეზე არიან და ფოფხვით მიიწევენ

მისკენ, რამდენადაც ჯაჭვი აძლევთ ამის საშუალებას. ყველა განა-  
ბულია: კუდის ბოლოებს არხევენ მხოლოდ და ტრფილებით შეჰყუ-  
რებენ თამამ ფრინველს. პინგვინი ხედავს ძაღლებს, ჩერდება, ცნო-  
ბისმოყვარეობით ათვალეირებს მათ, მერე რამდენიმე ნაბიჯზე უახ-  
ლოვდება, და მაშინ, ლოდინისა და მღვლეარების თრთოლვით შე-  
პყრობილ ნაგაზთა მკერდიდან ამოხეთქავს ბორას ბზუილისმაგვარი  
სუსტი და წვრილი წკმუილი: „აბა, მომიახლოვდი!“ თვითეული  
მათგანის გამოხედვაში შეიძლება ამოიკითხოთ იაკობ ლივიის  
ლექსი:

მო, საყვარელო,  
სტომაქშია შენი ადგილი...

მაგრამ პინგვინი მოახლოებულ საშიშროებას, რაც ცნობისმოყუა-  
რეობაზე ძლიერია, ინსტინქტით გრძნობს და მშვიდად შორდება  
ძაღლებს. გაისმის ძაღლების ქშინვა, ყველა ძაღლი თავის ადგილს  
უბრუნდება.

ეს სცენა რამდენჯერმე მეორდება დღეში. ძაღლები იმედს არ  
კარგავენ. რომ არ გაცრუებოდათ იმედი, ზოგიერთმა გაბედულმა  
პინგვინმა საკუთარი სიცოცხლეც კი გასწირა.

ძაღლებს აქ სამუშაო ცოტა აქვთ. ანტარქტიკის შესწავლის საქ-  
მეში მარხილუმებმული ძაღლები — ეს გუშინდელი დღეა. ყური მოვ-  
კარი, ძაღლების დიდ ნაწილს ალბათ დაბოცავენ, სანამ პოლარული  
ლამე დადგებაო. თავისთავად ცხადია, არც ეკონომიური და არც გო-  
ნივრულია 20 ათას კილომეტრზე ათრიო საკვები უმუშევარი ძაღ-  
ლებისათვის. ისინი კი არც ისე ცოტას ჭამენ.

თუ მართლა ასე იქნება, ვითხოვ, აისბერგი ტალინში გამატანონ.

1958 წლის 11 იანვარი

დღეს ვიფრინე ათას სამასი კილომეტრი ანტარქტიდის, ამ უსუ-  
ლო მატერიკის თავზე. ვიყავი შუალედურ სადგურ ვოსტოკ-1-ზე  
და დავბრუნდი უკან.

წუხელ საღამოს იმედი მქონდა, რომ ვოსტოკამდე მივალწევდი,  
იქ თვითმფრინავი პარაშუტით ჩამოაგდებდა ტვირთს და ძირსდაუ-

შვებლად უკან გამობრუნდებოდა. ამიტომაც გავემართე საწყობების უფროს ნიკოლოზ პეტრეს ძე სერგეევთან. ტანსაცმლის ნაწილი გამომიცვალეს, ნაწილი კი დამიმატეს. თავდაპირველად გამოვიცვალე დაბამბული შარვალი. შარვალში, რომელიც მოუზომავად წამოვიღე კალინინგრადის საწყობიდან, ჩემს გარდა კიდევ ნახევარი ანტარქტიდა ჩაეტეოდა. შარვალი გამომიცვალეს. მომცეს აგრეთვე უნტები — ძაღლის ტყავის ჩექმები. ისინი ძალიან თბილი, მსუბუქი და სახმარად მოსახერხებელია. მომცეს ცხვრის ტყავისსარჩულიანი და ძაღლის კრებლენწვიანი ქუდი და ქარგაუმტარი ქსოვილისაგან შეკერილი კრაველის ხელჯაგები.

ისეთივე მტკიცე ხასიათი რომ მქონდეს, როგორც ეს აღჭურვილობაა, იცოცხლეთ, ჩემგან მოგზაური გამოვიდოდა.

მირნიდან 9 საათსა და 10 წუთზე გავფრინდით „ლი-2“-ით. ხომალდის მეთაურია პოლარული მფრინავი ნიკოლოზ ალექსის ძე: შკოლნიკოვი. შკოლნიკოვი „კოპერაციაზე“ გავიცანი. იგი, ალბათ, ყველაზე ახალგაზრდა მეთაურია ექსპედიციის მფრინავთა შორის, ამჟამად დროს ძლიერი ნების ქაბუკია. მის არსებაში არის რაღაც ნაწილი იმ მკაცრი სამყაროს მდუმარებისა, სადაც აშკარად ვიმყოფებით. იშვიათად მინახავს ასეთი გულითადი, ასეთი თავდაპირილი და ტაქტიანი კაცი.

თვითმფრინავმა დეივისის ზღვას შემოუფრინა. ჩვენს ქვემოთ ყინულებს შორის აღმართული მურა ფერის მქისე კედლებია — ეს ხასუელის კუნძულია. კუნძულის შუაგულში მოჩანს გალხობილი თოვლის ლურჯი ტბა. ზღვაზე უკვე იმსხვრევა ყინული. სუფთა წყლის ზოლი უახლოვდება ხმელეთს. სანაპიროსთან ყინული უზარმაზარი ბზარებითაა დასერილი. ფრიალო ბარიერიდან ჩამომსხვრეული, ერთიანად დაბზარულ-დასერილი აისბერგები ჯერ წყნარად დგანან უკვე შეთხლებულ ყინულებს შორის, მაგრამ ბარიერის ნაპრალების მიხედვით შეატყობთ, რომ მათ ჩქარა მოემატებათ მაშველი ძალები მატერიკიდან.

მკაფიოდ მოჩანს „ობისა“ და „კოპერაციის“ გზა, რომლითაც ისინი მირნის მიადგნენ.



მიეფრინავთ ანტარქტიკის მატერიკის თავზე, მისი რელიეფი თანდათანობით მალღდება თანაბრად და გორიზონტი სიმშვიდით. ირგვლავ არაფერი ჩანს გარდა ჩვენს ზემოთ გადაშლილი კამკამა ლურჯი ცისა, შორს, დაბალ პორიზონტზე, ოქროსფერი ქულა ღრუბლებისა, ჩვენს ქვემოთ კი თვალისმომკრელად ქათქათა, სრულიად უმტვერო და უკიდეგანო, ცივი და უსიცოცხლო ანტარქტიკის მატერიკისა. უსასრულო ყინულის ველს აცოცხლებს მხოლოდ თოვლის ამონაწვერები, რომელთა ძირში პატარა ჩრდილები გაწოლილან. თვითმფრინავის სიჩქარე ას ოთხმოცი, ას ოთხმოცდაათი კილომეტრია საათში. არ გვაწუხებს არაერთარი საპაერო ორმოები, მივიწევთ სულ მალა და მალა, დედამიწა კი თანდათანობით გვიახლოვდება, მოქრის ჩვენსკენ მთელი სისწრაფით და ჩვენც უფრო და უფრო გარკვევით ვხედავთ მას. ალტიმეტრი ორი ათას რვაას მეტრს გვიჩვენებს. საინტერესოა, რა მანძილია ყინულამდე? ანტარქტიკაში სივრცეს ზუსტად ვერ გაზომავ თვალთ, უსათუოდ მოტყუვდები, მაგრამ მე მგონია, ყინულამდე ხუთას მეტრზე ნაკლები უნდა იყოს.

გაზის ღუმელზე დგას თოვლით სავსე ჩაიდანი — მალე ჩაის ავადღულებთ.

10 საათი და 45 წუთი. მიეფრინავთ სამი კილომეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან, ჰაერის ტემპერატურა მინუს 28 გრადუსია. ყინული ისევ და ისევ გვიახლოვდება. ახლა სამასი მეტრით ვართ დაშორებული დედამიწის ამ თეთრი ქურქიდან.

11 საათი და 45 წუთი. სიმაღლე სამი ათას ორასი მეტრია. ყინული კიდევ უფრო ახლოსაა — ორმოცდაათი — ასი მეტრის მანძილზე. ხელმარცხნივ მოვიტოვეთ ვილქელმ მეორის მიწა, ხელმარჯვნივ — დედოფალ მერის მიწა. ახლა მიეფრინავთ უსახელო მიწის თავზე. ცის ტატნობი მოიქეშა, თოვლი წინანდებურად აღარ ქრის თვალს. ტატით გადავდივართ ზედ ყინულზე. ისეთი შთაბეჭდილებაა, თითქოს თვითმფრინავს არ ძალუძს თავი დააღწიოს ამ არასასურველ მებზობელს. უნებლიეთ ფიქრებში იძირები. ნეტავ რა სიღრმეზეა ამ ყინულებში ჩამარხული დედამიწა, რით არის იგი დაფარული — ქვით, კლდეებით თუ გრანიტით, რა იმალება მის წიაღში.

დიდი ხანია გრძელდება მისი ყინულოვანი ძილი? ბოლოს და ბოლოს, რჩება მხოლოდ ერთი გარკვეული შეგრძნება — შეგრძნება უზარმაზარი სიმძიმისა, რითაც ყინულის მასა აწვება აქ ნიადაგის ყოველ კვადრატულ დუიმს.

12 ს ა ა თ ი და 00 წ უ თ ი. თვითმფრინავი მიქრის ზედ ზეგანის თავზე. მისი სიახლოვე ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს მეტრისმეტად ჩქარა მივფრინავდეთ. ჩვენს ქვემოთ წინანდებურად გადაჭიმულია ოდნავ დატალღული თოვლი, რომელიც თითქოს უფრო ცოტა ჩანს ზეგანზე. სიმაღლე სამი ათას ორას სამოცი მეტრია.

ისევ მაღლა მივიწვიეთ. ახლა ჩვენი სიმაღლე სამი ათას სამას ორმოცდაათი მეტრია, მაგრამ მატერიკი ამოიზიდა და სულ ახლოს მოჩანს ფრთების ქვემოთ.

12 ს ა ა თ ი და 15 წ უ თ ი. გადავუფრინეთ ტრაქტორ-მატარებელს და ხელმარჯვნივ მოვიტოვეთ. ორ-ორ მარხილგამობმულ რვა მძლავრ მუხლუხა ტრაქტორს გეზი ვოსტოკ-1-ის მიმართულე-ბით აეღო. თვითმფრინავიდან ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს მატარებელი ერთ ადგილზე იდგა და არ იძვროდა. თვალუწვდენელი თოვლის სუფრაზე იგი ერთი ციციქნა ჩანდა და არაფრით არ ჰგავდა მატარებელს. ტრაქტორები ერთმანეთს კვალში არ მიჰყვებიან. ისინი ან ერთმანეთის გვერდი-გვერდ მიდიან, ანდა საკმაო მანძილზე არიან დაშორებული. ტრაქტორები, თითქოს თოვლზე გაფანტულან. იქ, ქვემოთ, მართლაც კეთდება რაღაც დიადი, რაც მოითხოვს გამბედაობას, მამაცობას, ამტანობას და რკინისებურ დისციპლინას, იქ ურთიერთდახმარება თავაზიანობით კი არაა ნაკარნახევი, არამედ ცხოვრების კანონით. სიცივე, ყინვა, უანგზადის შიმშილობა, რაც საშინლად აძნელებს მოქმედებას, მატერიკის შუაგულისკენ — სადგურ სოვეტსკაიასკენ მიმავალი უსასრულო გზა — ყოველივე ეს ჩვენი ხალხის მიერ შექმნილი გმირული ყინულოვანი ჰიმნია.

მე სინანულით ვფიქრობ იმაზე, რომ ხულიგნებს, რომლებიც ბარებში მაგიდებს აპირქვავენ და სახეში ურტყამენ ქალიშვილებს ცეკვის საღამოებზე, ხატავენ გაზეთებში, ფელეტონისტები ირონიას

არ იშურებენ. რომელიმე მთვრალ რეგვენს კი უზომოდ უხარია გა ზეთში რომ გამოხატეს.

იმ ადამიანთა უმრავლესობაზე კი, ახლა რომ გზას მიიკვლევენ ჩვენგან ხელმარჯვნივ ანტარქტიდის თეთრ კაბადონზე, იღუმალ, უსიცოცხლო მიწაზე, რომლის მთებს ჯერ სახელიც არა აქვთ შერქმეული, რომლის ქარების, ტემპერატურის, გეოლოგიური და გლაციოლოგიური აღნაგობის და ა. შ. და ა. შ. შესახებ არ არსებობს ზუსტი მონაცემები, და რომელიც ანტარქტიკის რუკაზე რჩება თეთრ ლაქად, — ამ ადამიანთა უმრავლესობაზე არავინ წერს. ამ საქმეში მეც მადევს ვალი და ახლო მომავალში უნდა მოვიხადო იგი.

12 საათი და 30 წუთი. დავეშვით პოლარულ სადგურ ვოსტოკ-1-ზე. მისი კოორდინატებია სამხრეთ განედის  $72^{\circ}08'$  და აღმოსავლეთ გრძედის  $96^{\circ}35'$ ; სიმაღლე — სამი ათას ას ორმოცდაათი მეტრი ზღვის დონიდან. მფრინავებს გადმოაქვთ ტვირთი — საწვავით სავსე კასრები. ეს კასრები განკუთვნილია იმ ტრაქტორ-მატარებლისათვის, რომელიც აქეთკენ მოემართება.

ცოტა ხნის წინათ აქ იყო კონტინენტური სადგური, რომელიც შეიქმნა ამჟამად არსებულ სადგურ ვოსტოკისაგან მიმავალ ტრაქტორ-მატარებლის გზაზე. ტრაქტორ-მატარებელი აქ 1957 წლის 18 მარტს, პოლარული ღამის დადგომამდე, მოვიდა. 30 მარტს მეტეოროლოგები შემცილებული პროგრამით შეუღდნენ დაკვირვებას, ხოლო შემდეგ ფართო პროგრამით განაგრძეს მუშაობა. ვოსტოკ-1-მა იმუშავა 1957 წლის 30 ნოემბრამდე, შემდეგ კი გადაინაცვლა ახალ ბაზაზე — სადგურ ვოსტოკზე, რომელიც გეომაგნიტურ პოლუსზე მდებარეობს.

ვოსტოკ-1-ზე კაცის ჭაჭანება არაა. ახლა იგი შუალედური სადგურია, უფრო სწორად რომ ვთქვათ, საწყობია მირნისა და სამხრეთის სადგურების — კომსომოლსკაიას, ვოსტოკსა და ჯერ კიდევ მშენებლობადაუმთავრებელ სოვეტსკაიას გზაზე. აქ მხოლოდ აეროდრომია და საწვავით სავსე კასრები. მიუხედავად იმისა, რომ დაბამბული ტანსაცმელი მაცვია, ოცდახუთგრადუსიანი ყინვა, ქარბუქი და მძაფრი ქარი თავიანთ ძალას მაგრძნობინებენ. თოვლი სილასავით მკვრივია და ფეხქვეშ ჭრატუნებს. მინდა ზოგიერთი რამ გადავიღო „კივივით“, მაგრამ 30 გრადუსამდე ყინვაში ეს მშვენიერი აპარატი მუშაობს მხოლოდ ინსტრუქციაში.

ძრავების გაცივებამდე ისევ მაღლა ავედით. აქედან კარგად ჩანს მუხლუხებისა და მარხილების ნაკვალევი, რომელიც ათეულ კილომეტრზეა გადაჭიმული. ნაკვალევზე ეტყობა, რომ აქეთკენ იშვიათად მოდის თოვლი.

ჩვენს ქვემოთ პიონერსკაიაა — ყინულებსა და თოვლში ჩადგმული პატარა სადგური. მაღალია სადგურის რადიოანძა. ქარი აფრიალებს ფართოდ გაშლილ წითელ დროშას.

ვერ წარმომიდგენია, რომ ყინულებსა და თოვლში სხვა რომელიმე დროშა უფრო ლამაზი სანახავი იყოს.

ვსადილობთ თვითმფრინავში, მირნიდან ორას კილომეტრზე. მე ვერასდროს ვერ ვახერხებდი ტრაპეზის აღწერას, კერძების დახასიათებას, სუფრის დითირამბების თქმას. პატარა მაგიდაზე, რომლის ზემოთ გაკრულ ფარზე ძიგძიგებენ სიჩქარის, სიმაღლისა და ასვლის კუთხის მაჩვენებელი ისრები, დგას საშუალო სიდიდის ტაფა, ოთხივენი ტაფას ვუსხედვართ. ზოგი ყუთზე ზის, ზოგიც ჩემოდანზე, მაგრამ ყველას თავისი ჩანგჭლი აქვს და საკუთარი მადა. ტაფაზე შიშხინებს კარტოფილი და მსხვილად დაჭრილი დაბრაწული ქონი. ქონის ასე მსხვილად დაჭრა ესტონეთის სოფლებში იციან ხოლმე. ამაზე კარგი არაფერია.

გზა მირნიდან ვოსტოკ-1-მდე და უკან ათას სამასი კილომეტრია. რეისი შვიდ საათს გრძელდება.

პირველად ვიხილე ცენტრალური ანტარქტიკის გარეგნული სახე. ეს არის დიდი, ცივი, უღმობელი, უსიცოცხლო, ერთფეროვანი და თუმცა შემზარავი, მაგრამ ლამაზი მხარე.

1958 წლის 12 იანვარი

კომსოგოლსკაია

9 საათსა და 00 წუთზე კვლავ ჩავჯექი „ლი-2“-ში, რომ კომსოგოლსკაიაში წავიდე. გასაუღელი გვაქვს დაახლოებით ცხრაასკილომეტრიანი რთული საჰაერო გზა.

თვითმფრინავის ეკიპაჟი ჯერ კიდევ „კოლოპერაციაზე“ გავიცანნი. მეთაური ვიქტორ გრიგორიევი, მეორე პილოტი ივანოვი, რადის-

ტი ჩერნოვი (მაგრამ არა ბორისი), შტურმანი გრიგოლ ბაიდალა (ბელორუსი), ბორტმეჟანიკოსი ალექსეევი. ჩვენთან ერთად საფრენოსნო ჯგუფიდან მოდის ექსპლოატაციის ინჟინერი კონსტანტინე გენიუკი. თვითმფრინავი დატვირთულია ათასგვარი აპარატურით და ტრაქტორ-მატარებლისთვის განკუთვნილი პროდუქტებით. ეს ტრაქტორ-მატარებელი რამდენიმე დღის შემდეგ უნდა მივიდეს კომსოპოლსკაიაში. მალე ავიღებთ ჰაერში. კაბინაში მოსვენებით და შინაურულად გრძნობ თავს. თვითმფრინავის უკანა ნაწილს, სადაც ტვირთია მოთავსებული, ჩამოფარებული აქვს ბრეზენტი და ასე გვეგონია, პატარა ოთახში ვიმყოფებით. გაზის ქურა უკვე ანთია. გენიუკს, რომელსაც მხიარული და ირონიული, მოგრძო სახე აქვს და უკვე მოზრდია წვერი (იგი დილიდან გვიან საღამომდე აეროდრომზეა), ცალ ხელში თორმეტდუიმიანი დანა უჭირავს, მეორეში — გაყინული ქათამი. იგი ახლა გზებზე მოთარეშე ავაზაკს ჰგავს; თუმცა მისი საზრუნავი მხოლოდ ერთია — როგორმე კარგად მოამზადოს ბულიონი.

მივფრინავთ ანტარქტიკის ისევ იმ დიდი საპაერო ტრასით, რომლის ორი მონაკვეთი — მირნიდან პიონერსკაიამდე და პიონერსკაიადან ვოსტოკ-1-მდე — გავიარეთ გუშინ. ვოსტოკ-1-დან ტრასა მიემართება კომსოპოლსკაიასკენ, იქიდან კი ოდნავ იხრება ოსტისკენ და მიდის ვოსტოკში. ჩვენს ქვემოთ ჩანს ისევ ის ერთფეროვანი და ჭიუტად აღმა აღმავალი ყინული, ისევ ის თოვლი: არსადაა რაიმე განსხვავებული ლაქა, რომელზედაც შესაძლებელი იქნებოდა, დაგვესვენებინა თვალი. თვითმფრინავი კვლავ ანტარქტიკის მატერიკის დამრეც კალთას მიჰყვება, ალტიმეტრის ისარი ნელ-ნელა იწევს მაღლა: „1000, 1500, 2000, 2300, 2500, 3000, 3400“. მაგონდება სადღაც გავონილი მოსწრებული ფრაზა: „მერე „ფოკერმა“ ჩაასო ბრჭყალები ფერდობს და ღრიალით აბობღდა მთაზე“. ყინული მართლაც იმდენად ახლოსაა, რომ ასე გვგონია, თითქოს თვითმფრინავი თავისი უხილავი ბრჭყალებით ადისო ოდნავ ციცაბო, მაგრამ უსასრულო სიმაღლეზე.

11 საათსა და 15 წუთზე ჩვენ ისევ პიონერსკაიას თავზე ვართ. ჩვენმა შტურმანმა ბაიდალამ მოთმინებით ამიხსნა, თუ როგორ არის მოწყობილი მზის კომპასი. ეს მარტივი და პრაქტიკული ხელსაწყო

დიდი ხანია წარმატებით ემსახურება პოლარულ მფრინავებს. მირნიში ერთხელ კიდევ უნდა მივხედო მას: სამი ათას მეტრ სიმაღლეზე ჩემი რუსული არაფრად ვარგა, სიტყვების მარაგი შემომეღია და ძლივძლივობით ვერკევეი ტექნიკაში.

ტრაქტორ-მატარებელმა მიადწია ეოსტოკ-1-ს. მარხილებიანი მანქანები შეგჯუფულან იმ ადგილას, სადაც გუშინ კასრები გადმოვტვირთეთ და თვითმფრინავში საწვავი ჩავასხით. თუ არ ჩავთვლით სიმაღლის თანდათანობით ზრდას, შემდგომი მგზავრობა არაფრით განსხვავდებოდა მგზავრობის დასაწყისისაგან. ყველგან ყინულია. ამ ყინულზე გადაბრის ჩვენი თვითმფრინავის ლანდი და ქარი მიჩნვეტავს ნამქერს. სამი ათას მეტრ სიმაღლეზე ძნელდება ლაპარაკი, სამი ათას ექვსას მეტრზე გრძნობ, რომ სული გეხუთება. ვუახლოვდებით კომსომოლსკაიას.

ვეშვებით 13 საათსა და 00 წუთზე.

ჩვენი მთავარი საზრუნავი თვითმფრინავის გადმოტვირთვაა. ჩვენს შესახვედრად მუხლუხა ტრაქტორებით მოვიდნენ სადგურის უფროსი ფოკინი, მეტეოროლოგი ივანოვი და ტრაქტორისტ-მექანიკოსი მოროზოვი. სანამ ჩვენ თვითმფრინავიდან ყუთები გადმოგვაქვს, თვითმფრინავის ეკიპაჟი კასრებს მოაგორებს და ალაგებს ფრთების ქვემოთ. საწვავის ის მარაგი, რომელიც „ლი-2“-ს აქვს, უკან დასაბრუნებლად არ ეყოფა.

გადმოტვირთვის დროს სიმაღლე თავის ძალას გაგრძობინებს. ასე გგონია, ძალ-ღონის ორი მესამედი მირნიში დაგრჩა. ჩამოდგამ ყუთს, მერე ზიხარ თოვლზე და სულს ძლივს ითქვამ. ოთხმოცკილოგრამიანი ჟანგბადის ბალონები, რომლებიც ორ კაცს ადვილად გადაგვქონდა „კოპერაციაზე“, აქ სამჯერ უფრო მძიმე გვეჩვენება. აუცილებელია, იმოძრაო რაც შეიძლება ნაკლებად, გონივრულად ხარჯო ძალ-ღონე. კომსომოლსკაიაში ჰაერი ცივია, მას გამოხდილი წყალივით არც სუნი აქვს, არც გემო. ისვენებ, ცდილობ ისუნთქო უფრო ღრმად, მაგრამ გრძნობ, რომ ჰაერი არ გყოფნის.

თვითმფრინავი უკან გაფრინდა — დილაღე აქ ვრჩები. ყუთებს ტრაქტორზე ვალაგებთ, მერე ტრაქტორზე ვსხდებით და სადგურ კომსომოლსკაიაში მივდივართ. სადგურში ორი მუხლუხა ტრაქტორია. ტრაქტორებზე დადგმულია სახლი — ყუთები, რომლებშიც

შეუძლია იცხოვროს ათამდე კაცმა. თვით სადგური მოთავსებულია საშუალო სიდიდის ოთხოთახიან საშალ საბლში. განიერ წინა ოთახსა და კინოღარბაზად იყენებენ. კედლებზე ჰკიდია ქურთუკები და ბეწვის ხელჯაგები, თაროებზე ალაგია პროდუქტები, ტანსაცმელი, ლოგინის თეთრეული, წიგნები და ა. შ. მარცხენა კარი გადის კამბუზსა და კაიუტ-კომპანიაში. აქ დგას გაზქურა, ელექტროქურა, დიდი როფი თოვლისათვის, სპილენძის ქვაბები, კარდალები, კარტოფილით სავსე ყუთები, დიდი სასადილო მაგიდა, სამი ტახტი. მეორე კარი გადის სამანქანო განყოფილებაში. იგი ორ დიზელ-ძრავას უჭირავს. ამჟამად მუშაობს მხოლოდ ერთი დიზელ-ძრავა. რომელიც იძლევა დენს რადიოსადგურისა და კამბუზისათვის, განათებისათვის, აკუმულატორების დასამუხტავად. მეორე სარეზერვოა. უნდა ითქვას, რომ კომსომოლსკაიას გული მისი მთავარი ოთახია, ის ოთახი, სადაც მოთავსებულია მიმღები და გადამცემი რადიოსადგური და შეტეოროლოგიური დაკვირვებისათვის აუცილებელი ყოველგვარი აპარატურა. საკმარისია მხოლოდ გადააბრუნო რეგულატორი და გაიგებ ქარის სიჩქარეს, მის მიმართულებას, ჰაერის ტემპერატურას და ა. შ. ამ ოთახშივე ცხოვრობს კომსომოლსკაიას ოთხივე მოზამთრე.

ძველებური, ამასთანავე, ალბათ, ყურნალისტური ჩვევის მიხედვით ვეკითხები ყველას: ვინ საიდანაა წარმოშობით, რა ხნისაა, რა პროფესიისაა, პირველად ანტარქტიკაში თუ არა, რამდენი ხანია რაც პოლარელია. უნტებსა და ბეწვის ქურთუკში გამოწყობილ ამ ადამიანებს აშკარად ეტყობათ, რომ უხერხულად გრძნობენ თავს, მე უარეს მდგომარეობაში ვვარდები. არ ღირდა მირნიში წამოსვლა, არ ღირდა ანტარქტიკის გულში ათასი კილომეტრების გავლა, რათა მიმელო ცნობები, რომელთაც მოსკოვში, ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარ სამმართველოშიც მივიღებდი. მაგრამ ყურნალისტური საქმიანობისათვის აუცილებელ ამ მიძიმე ცერემონიას, რა თქმა უნდა, მედგრად ვუძლებთ, თუმცა, ჩანს, ვერც მე შევეჩვევი მას და ვერც ისინი.

მაშ ასე, ვიცნობდეთ ამ ხალხს.

სადგურის უფროსი მიხეილ ალექსის ძე ფოკინი წარმოშობით კალუგელია. დაბადების წელის კითხვა დამავიწყდა. ალბათ, ოცდა-

ათი-ოცდათხუთმეტისა იქნება. სპეციალობით რადიოტექნიკოსია, პოლარელია 1947 წლიდან. უფრო გვიან, სადილობისას, შევიტყვე, რომ ჰყავს ცოლი, რომელსაც დღეს ოცდაათი წელი შეუსრულდა. ფოკინი სანდომიანი სახის ცისფერთვალებიანი, საშუალო ტანის კაცია. თმა, როგორც ყველა დანარჩენს, ნული ნომერი მანქანითა აქვს გადაკრეჭილი.

მეტეოროლოგი იგორ ალექსის ძე ივანოვი დაიბადა 1931 წელს. დაამთავრა ლენინგრადის არქტიკული ტექნიკუმი. ოთხი წელი იმუშავა პოლარულ სადგურზე სტერლინგოვის კონცხზე, უკანასკნელი ორი წელი მუშაობდა ჩელუსკინის კონცხზე. განათლებით მეტეოროლოგიცაა და რადისტიც. შავულეაშა, მუქთვალებიანი, გამნდარა ახალგაზრდაა.

რადისტმა პავლე ვასილის ძე სოროკინმა თერთმეტი წელი იმუშავა არქტიკაში, როგორც ხომალდებზე, ისე სადგურებში (საერთოდ, მესამე ექსპედიციის რადისტთა უმრავლესობას არქტიკაში მუშაობის ათი-თერთმეტი წლის სტაჟი აქვს). იგი დაბალი და ჯმუხია, სახე მრგვალი აქვს. თვალები მხიარული და ეშმაკური. კითხვებზე ეშმაკურად პასუხობს, იმის მაგივრად, რომ თავისი ბიოგრაფია მოეთხრო. ვაჟიშვილის ფოტოსურათი ამოიღო.

— როგორია?

— შესანიშნავი!

— დახე კიდევ!

დავკეჭრი. სურათზე აღბეჭდილია აზლუქუნებული ყრმა.

— კლასიკური ეგზემპლარია, არა?— და სოროკინი მჭილს იცემს ფართო მკერდში. — გასაგებია, ხომ?

— გასაგებია, პავლე ვასილის ძე.

კომსომოლსკაიაზე არც კოკია, არც ექიმი. მე არ ვიცი, ვინ ასრულებს აქ ექიმის მოვალეობას, ის კი ვიცი, რომ მზარეული სოროკინია. იგი კერძებს მართლაც კარგს ამზადებს. მე და ჩემთან ერთად ჩამოსულ ტრაქტორისტს, რომელიც ავადმყოფი ამხანაგის მაგივრად უნდა გაჰყვეს ტრაქტორ-მატარებელს, უკვე გვაწუხებს ჟანგბადის ნაკლებობა, თავი გეტკივა, ყელში სიმშრალეს ვგრძნობთ. სოროკინი გვაძალებს საქმელს. მას თავისებური მეთოდი აქვს. გვარწმუნებს, ვინც ცოტას ჭამს, არასერიოზული, ცუდი კაცია და პატივს



არ სცემს მზარეულის შრომასო. ამ სიტყვებზე სოროკინის მეტყველ თვალებში ნალველი ისადგურებს. მას ესერხება რეკლამა. გაუკეთოს თავის სუფრას, თუმც რეკლამის გარეშეც ცხადია, რა ნოყიერ, გემრიელ კერძებს ამზადებს იგი.

მეოთხე მოზამთრე მოტორისტია. ეს გახლავთ ტრაქტორისტ-მე-ქანიკოსი ალექსანდრე ივანეს ძე მოროზოვი. მოროზოვი მსუქანი. პირმრგვალი კაცია, ადვილად წითლდება და ბავშვივით წვრილი ხმით ლაპარაკობს.

აი, ჭერჭერობით რა შევიძლია გითხრათ იმ ადამიანების შესახებ, რომელთაც ექსპედიციის წევრთაგან პირველებს მოუხდებათ კომსომოლსკაიაში გამოზამთრება.

სოროკინი რადიოტელეფონში ჩასძახის:

— ვოსტოკი! ვოსტოკი! მე კომსომოლსკაია ვარ! მე კომსომოლსკაია ვარ! გესმით ჩემი ხმა? გადავდივარ მიღებაზე.

„მე კომსომოლსკაია ვარ“. ამ სრულიად იღუმალი „მეს“ კოორდინატები გახლავთ სამხრეთ განედის  $74^{\circ} 05'$  და აღმოსავლეთ გრძედის  $92^{\circ} 29'$ . კომსომოლსკაიას სიმაღლე სამი ათას ოთხას ოცი მეტრია ზღვის დონიდან. ახლა, ამ ანტარქტიკულ ზაფხულში, ტემპერატურა მერყეობს 20-დან 40 გრადუსამდე ნულს ქვემოთ. შუადღით ყინვა 29 გრადუსი იყო. ჰაერის წნევა მერყეობს 470 მილიმეტრის ფარგლებში. გასულ წელს აქ არავის გამოუზამთრებია. ყველაზე დაბალი ტემპერატურა, რომელიც აღნიშნა აქ დატოვებულმა თერმომეტრმა,  $74, 5$  გრადუსს უდრიდა.

სხვა სადგურებში, განსაკუთრებით პიონერსკაიაში, ქრის მეტად ძლიერი ქარი. კომსომოლსკაიაში კი, მიუხედავად იმისა, რომ იგი მაღალზეა, შედარებით მყუდროებდა. ქარის მაქსიმალური სიჩქარე არ აღემატება ოც მეტრს წამში. არავინ იცის, რა სიღრმეზეა აქ ნიადაგი!

თავი მტკივა. ყურები მიშხუის. ყელი გამიშრა, სულს ვლადფე ხმელეთზე გარიყული თევზივით. ჟანგბადი არ მყოფნის.

---

<sup>1</sup> შედარებით მიუწვდომლობის პოლუსზე მუხლუხა-მარხილების ლაშქრობის დროს სეისმური ზონდის მეთოდებით დადგინდა, რომ კომსომოლსკაიაში ყინულის სისქე 3370 მ უდრის.

„კოოპერაციით“ მგზავრობის დროს ბევრს ვლპარაკობდით ანტარქტიკის კონტინენტურ სადგურებზე. თუ საუბარი არ ეხებოდა არც მირნის და არც ოაზისს, მაშასადამე, ლაპარაკობდნენ უანგბადზე. ლაპარაკობდნენ მასზე, როგორც საარსებო საშუალებაზე, რომელიც პურზე და ძილზე ნაკლებ მნიშვნელოვანი როდია, თან დეფიციტურიცაა და ამიტომ არასოდეს გვავიწყებს საკუთარ თავს.

ამალამდელი დამე ფიზიკური და ფსიქიკური თვალსაზრისით ყველაზე მძიმე იყო ჩემს სიცოცხლეში.

გუშინ ორმა თვითმფრინავმა ბენზინით სავსე კასრები ჩამოყარა. ჩვენ ტრაქტორებით მოვზიდეთ ისინი და ერთ ადგილზე დავალაგეთ. მუშაობის დროს გამულმებით ვგრძნობდით უანგბადის ნაკლებობას და დიდ სიმაღლეს. ფეხზე წამოაყენებ ერთ კასრს და უკვე სული გეხუთება. გულისცემა აჩქარებული გაქვს, არაქათს გაცლის ძალღონის ყოველი დაძაბვა. მუშაობის შემდეგ მთელი დარჩენილი ნებისყოფა მოვიკრიბე და ორი საათი დღიურს ვუჭექი.

ტრაქტორისტთან ერთად დასაძინებლად ყველგანმავალს მივაშურე. მოგვცეს ირმის ტყავისაგან შეკერილი საძილე ტომრები. ჩავძვერით შიგ და მაგრა შევიკარით ყელთან. ჩავიძირე რაღაც გამოურყვევ, ილაჯისწამლებ ბურანში. გამომალვიდა ჩემი ამხანაგის გულის რევამ. თუმცა მან გუშინ ცოტა ჰამა, მაგრამ დიდხანს აზიდებდა.

თავს ისე ვგრძნობდი, როგორც მაღალი სიციხის დროს. პირი გამშრალი და მწარე მქონდა, გულისცემა აჩქარებული. დროდადრო მეგონა, რომ აგერ-აგერ შემიღონდებოდა გული. ასე საშინლად, ასე მწვავედ, ასე ძლიერ არასდროს არ ამტკივებია თავი. თავი მტკიოდა მთლიანად, შუბლიდან კეფამდე. ზოგჯერ მეგონა, საფეთქლებზე ჩაქუჩს მირტყამენ-მეთქი. არ მშორდებოდა შავი ფიქრები, ავადმყოფური მოგონებანი, ზოგჯერ ამ დომხალიდან ვირთავგასავით გამოკრთებოდა გესლნარევი კითხვა:

„რა ეშმაკი, რა ჰირი გინდა აქ?“

ამხანაგი, რომელიც ჩემთან ახლოს იწვა თავის საძილე ტომარაში, ჩუმად კვნესოდა და ქალის რომელიღაც სახელს იმეორებდა. შე-

ვეცადე ისევ დამეძინა, მაგრამ გაცილებით ადვილი ასატანი იყო უძილობა, ვიდრე ეს ძილი, უფრო სწორად, ეს მოყვითალო-მონაც-რისფრო მომქანცველი ბურანი, რომელიც მაქლაჯუნასავით მაწვა გულზე და ტეინს მიბურღავდა. გინდა ღრმად ჩაისუნთქო ჰაერი, თითქოს ასერხებ კიდევაც სულის მოთქმას, მაგრამ ეს პირზე ცარი-ელი ტოლჩის მიღებასა ჰგავს — წყურვილი არ გიოკლებს. წრია-ლებ, ცდილობ სადმე გაიქცე, მაგრამ საძილე ტომარა ხელ-ფეხსა გიბორკავს. იძირები ძილის მღვრიე მორევში, რომელიც სავსეა დამცინავი და მახინჯი სახეებით, „ბოროტი ყვაილები“ სტრიქო-ნებით, დამხრჩვალ ადამიანებით, ვიღაც საშველად ხელს გიწვდის. მაგრამ მიუწვდომელია მასი ხელები. ამ მღვრიე მორევს თავის ტყვედ უქცევიზარ და ზევით ამოსვლის საშუალებას არ გაძლევს; თუმცა ნათლად გრძნობ, რომ გამოღვიძება ხსნა იქნება.

სიმაღლე სამი ათას ოთხას ოცი მეტრია!

ასე გაიარა პირველმა გრძელმა ღამემ, რომლის დროსაც ცაზე ჩანდა ჩახჩახა მზე.

როცა წვერს ვიპარსავდი, სარკიდან შემომცქეროდა ვიღაც უც-ნობის გარუჯული, ავადმყოფურად ჩათეთქილი, ღრმად დანაოქებუ-ლი სახე. უცნობს თვალებში წამება გამოხატოდა. თვალის გარსი გა-ყვითლებოდა. ეს მე ვიყავი, დიდხანს ვაკვირდებოდი საკუთარ თავს. თან რომელიღაც წიგნში ამოკითხული, ამ ამბავთან სრულიად შეუსა-ბამო, ერთი ფრაზა ამეკვიატა:

„ბერიკაცი ვარ და შინ მივდივარ, შინ მივდივარ...“

ხმამალა წარმოვთქვი ეს წინადადება და მაშინვე მივხვდი, რომ აქ, ორმოცგრადუსიან ყინვაში, თან ჩამომყოლია ჩემი ძველი მტე-რი — სენტიმენტალობა. ეს მტერი ახლა ჩემს ზურგს უკან იდგა და მოითხოვდა წინააღმდეგობა კი არ გაძეწია თავის ტკივილისა-თვის, არამედ ჩემძვერალიყავი საძილე ტომარაში, თავზე ირმის ტყავი გადაძეფარა და ღმუილი დამეწყო.

ამის ნაცვლად წვერის გაპარსვას შეეუღდექი.

უნდა საჩქაროდ შევეგუო აქაურობას, შევეგუო ჰავას.

უანგბადის ნაკლებობა სერიოზული რამ არის.

დღეს უკან უნდა დავბრუნებულიყავი, მაგრამ კომსომოლსკაია-ში არც ერთი თვითმფრინავი არ დაშვებულა.

ამ სტრიქონებს ვწერ იმ ოთახში, სადაც ცხოვრობენ მოზამბიკელები და დგას აპარატურა. მირნის დროით ახლა დილის ოთხი საათია, მოსკოვის დროით — ღამის თორმეტი საათი. მართალია, მირნი და კომსომოლსკაია ერთ გრძედზე მდებარეობენ, მაგრამ აქ მოსკოვის დროით მუშაობენ. თავდაპირველად უჩვეულო გეჩვენება, ღამის სამ საათზე ჩაის დასალევად რომ გეძახიან.

საკვირველია, რა უცებ შეიძლება შეეგუო აქაურობას. რა თქმა უნდა, დღიურები რომ წერო, თავს ძალა უნდა დაატანო, მაგრამ განწყობილება უკვე კარგი გაქვს, სავსებით ადამიანური. ცოტა თავის ტკივილი კიდევ გაწუხებს, მაგრამ ისიც გაივლის, ანდა, შეეჩვევი. ერთი რამ ცხადია: უნდა იმოდროს ზომიერად, ტყუილუმბრალოდ არ უნდა ხარჯო ძალ-ღონე, უნდა მოიქცე გონივრულად.

დღეს მოფრინდა ორი „ილ-12“. თვითმფრინავები ძირს არ დაწვებულან, მხოლოდ საწვავით სავსე კასრები ჩამოყარეს. საინტერესო სანახაობაა. უზარმაზარი, ვერცხლისფერი თვითმფრინავი ეშვება დაბლა, ათიოდე მეტრის სიმაღლეზე და ყრის მწვანე ფერის კასრებს. დაცემის ადგილზე ავარდება თოვლის ბუქი, კასრები ერთორჯერ შეხტებიან და მერე გაირინდებიან. რა თქმა უნდა, კასრები მთელი ძალით ეცემიან და ადვილი შესაძლებელია, გასკდნენ კიდევაც. მაგრამ მფრინავები პეტროვი და რიჟკოვი, რომელთაც აქ საწვავი დააქვთ, ამ საქმის ოსტატები არიან. თოთხმეტი კასრიდან, რომლებიც ერთ გზობაზე მოაქვს თვითმფრინავს — ხშირად არც ერთი არ იმსხვრევა, ზოგჯერ ერთი კასრი თუ გასკდება, იშვიათად — ორი.

კასრები ისევ მოვზიდეთ და ერთ ადგილზე დავალაგეთ. მათ ტრაქტორზე გამობმულ გვარს ვახვევდით ხოლმე, ტრაქტორი კი თოვლზე მიათრევდა და გზაზე თოვლის ბუქს აყენებდა. ტრაქტორს შეუძლია ერთ გზობაზე შვიდი-ცხრა კასრი წაათრიოს. შესვენების დროს ვისხედით უსიტყვოდ, რადგან სიარული, ლაპარაკი, ყოველგვარი მოძრაობა ილაჯს გვართმევდა. ზოგიერთი კასრი დაცემიან დროს თოვლში ეფლობოდა და თოკი რომ გამოგვება, ჯერ უნდა გადაგვეგორებინა ან ფეხზე წამოგვეყენებინა. ეს სამუშაო სულს გვისუსთავდა.

ქანგბადის ნაკლებობას უკვე ნაკლებად ვგრძნობ. გუშინ არ გავ-

კარებივარ პაპიროსს, მაგრამ დღეს ათი ცალი მრევწიე. თამბაქოს წევას უსათუოდ უნდა დავანებო თავი — ეს მავნე ჩვევაა. ასეთ სიმაღლეზე კი განსაკუთრებით მავნეა.

1958 წლის 14 იანვარი

კომსომოლსკაია

„მე აქ ვდგავარ და არ ძალმიძს არ ვიღგე!“

მარტინ ლუთერის ეს ისტორიული სიტყვები, რომლებიც მან-იმპერიის სეიმზე წარმოთქვა ვორმსში, გავიგეორე „მთავრობის სახლის“ პარმალზე კომსომოლსკაიაში, როცა ფოკინმა მითხრა, დღეს თვითმფრინავები საწვავს გადმოგვიგდებენ, ძირს კი არ დაეშვებიან. რას იზამ, „მე აქ ვდგავარ...“ და ეს ცუდი ადგილი როდია.

მეძინა შესანიშნავად, უშფოთველად. წინა ღამე, მართლაც. საშინლად კოშმარული იყო. ჩემი ამხანაგი ისევ იტანჯება, საშინელი თავის ტკივილი აწუხებს, არაფერს ქამს, თუმცა თითქოს ისიც ოდნავ უკეთაა.

ისევ ჩამოყარეს საწვავით სავსე კასრები, ისევ მოვზიდეთ ისინი ერთ ადგილზე. უახლოეს დღეებში უნდა მოვიდეს ტრაქტორმატარებელი, რომელიც აბლა სადღაც ვოსტოკ-1 და კომსომოლსკაიას შორის იმყოფება.

უკვე თავს შინაურულად ვგრძნობ. კოლექტივი ახალგაზრდულია, მხიარული, ყველა კარგი ამხანაგია, დიდხანს შემახსოვრება კომსომოლსკაიას კაიუტ-კომპანიაში გატარებული საათები.

ფოკინი, მოროზოვი, ივანოვი, ტრაქტორისტი და მე დიდ მაგადას ვუსხედვართ. შევექცევიტ საუზმეს და ვმუსაიფობთ. მაგიდის ბოლოში დგას თეთრ კიტელში გამოწყობილი პავლიკ სოროკინი და ხელში სამზარეულო დანა უჭირავს. იგი ჩეხოვის მოთხრობის „სიორენას“ მსოფლიო ყრილობის მდივანივით ლაპარაკობს. სოროკინი შესანიშნავ კერძებს ამზადებს, მაგრამ არც რეკლამა ჩამოუეარდება მის ნახელავს.

— შექვამს კაცი და უფრო ღონიერი გახდება. — სოროკინი მალ-

ლა სწევს მარცხენა ცერს. — დალევს კაცი და უფრო გაბედული გახდება. — სოროკინი მალა სწევს მარჯვენა ცერს.

იგი დაულალავად აქებს სასმელს, რომელსაც „კომსომოლსკაია“ კოკა-კოლას“ ეძახიან. სოროკინს განუწყვეტლივ ებადება რეალური და აჩარეალური გეგმები, თუ როგორ მოაწყოს კომსომოლსკაიაში გამოზამთრება მყუდროდ და ენერჯის ნაკლები დახარჯვით. როცა სოროკინი ამაზე ლაპარაკობს, დანარჩენები ძირითადად მსმენელთა როლში გამოდიან. სოროკინი გვიკითხავს ლექციას, როგორ უნდა იცხოვრო ამ ქვეყანაზე. მე გამაქილიკა სიგამხდრის გამო, სხვებს კიდეც სხვა მიზეზი გამოუნახა. სოროკინი გვტუქსავეს, თან გვწვრთნის კიდეც. კამბუზში თბილა. თავს შინაურულად ვგრძნობ. მე ვასმენ წარმტაც ამბებს, რომლებიც ჩრდილოეთში გამოზამთრებას შეეხება. სოროკინი, რა თქმა უნდა, საკუთარი საწებლითა კაზმავს ამ ამბებს და ისე გეთავაზობს. აქ კამათობენ ტექნიკაზე, ლიტერატურაზე, მნიშვნელოვან ცხოვრებისეულ პრობლემებზე და გონებაში კვლავ ცოცხლებიან დრო-ჟამით გაუფერულებული სახეები, რომელთა ნაკვთებსაც უკვე ბუნდოვნად ხედავდი, — შორეული ახლობელი ხდება. გავიწყდება, რომ გარეთ თოვლიანი, ცივი უდაბნოა, რომ რამდენიმე ასეულ კილომეტრზე კაცის ჭაჭანება არაა, რომ შესაძლოა პოლარული ღამით კამბუზიდან ასი მეტრის მანძილზე ჭარბუქმა კაცი ჩაჩუმქროს, რომ რკინის შეხებითაც დაგეწყას ხელი. გავიწყდება ისიც, რომ ამ ადამიანებს აქ ელით მძიმე პოლარული ღამის გატარება. ამ მოზამთრებებში ხედავ მხოლოდ ახალგაზრდა, ჯანმრთელ ჭაბუკებს, რომელთაც უყვართ იუმორი და ფხიანი სიტყვა, ხედავ ადამიანებს, რომელთაც სიცოცხლე აინტერესებთ და ანტარქტიკის უდაბნოს ისე უყურებენ, როგორც ჩვეულებრივ სამუშაო ადგილს.

— დიდ მიწაზე ადგილი არ გვეყო, — ხუმრობით ამბობენ ისინი.

ღამით, როცა საძილე ტომარაში წევხარ და შუალამის მზის მკრთალ შუქზე „შერლოკ ჰოლმსს“ კითხულობ, როცა თავთან ახლოს ჭვანახშირითა და ბენზინით გახურებული რკინის პატარა ღუმელი ვარვარებს, როცა გარეთ მძაფრი ქარი ღმუის, სულში ნათელა ხალისი ისადგურებს და მადლიერების გრძნობით ფიქრობ:

„გაივლის ერთი-ორი წელი და დადგება ის მწუხარე დღე,

როცა მუშაობა არ აეწყობა, როცა სულში ბინდი ჩამოწვება და ნაღველო დაისადგურებს. ამ დროს თვალწინ გაივლევებს სუსტი შუქით განათებული კომსომოლსკაიას კაპბუში თავის ტახტებიანად, სპილენძის ქვაბებიანად, აბოლებულ ყავადანიანად და გაგახსენდება მაგიდას შემომსხდარი ეს ოთხი ქაბუჯი. შენ დაინახავ ფოკინის ფიქრნარეც ღიმილს, დაინახავ ბავშვივით წვრილხმთან, ზეთით ხელებგათხუპნულ გიგანტ მოროზოვს, რომლისთვისაც ეს სახლი მეტიმეტად პატარა ჩანს, დაინახავ ივანოვის ქაბუჯურ სახეს და ბოლოს დაინახავ მაგიდასთან მდგარ სოროკინს, რომელიც დანას იქნევს და კითხულობს, მართლა მიმიგავს ტანი ივ მონტანა თუ არაო, დაინახავ მის სახეზე აღბეჭდილ კმაყოფილებას, როცა უპასუხებენ, უფრო ნაპოლეონს ჰგავხარ, მასავით დაბალი და მსუქანი ხარო.

ვიცი, რომ მათ ვერ დავინახავ ისეთებს, როგორებიც ახლა არიან. მაგრამ ისინი იქნებიან თეთრი თოვლის სამეფოში მცხოვრები ისევ ის ძლიერი ადამიანები, რომლებიც მიბრძანებენ იმავე უფლებით, რა უფლებითაც გამგებლობს მწერალზე მისი შინაგანი რეზერვები:

— ნუ წუწუნებ! ვალი ვალია!

1955 წლის 16 იანვარი

კომსომოლსკაია

დღეს ჩვენთან დაეშვა გრიგორიევის თვითმფრინავი. შემეძლო შირნიში გავყოლოდი მას, მაგრამ გადავწყვიტე, კიდევ ორიოდ დღე დავრჩენილიყავი. თავს უკვე სავსებით კარგად ვგრძნობ. სიმალლესა და ჟანგბადის ნაკლებობას შევეჩვიე. ეს მომავალშიც გამომადგება, რადგან ვოსტოკზე ასეთივე პირობებია. მთავარი შიზეზი ისაა, რომ ხვალ ან ზეგ აქ ჩამოდგება ტრაქტორ-მატარებელი და მას უსათუოდ უნდა დავხვდე.

ფრენის ინჟინერი გენიუეიც კომსომოლსკაიაში დარჩა. რომ გამოიანგარიშოს საწვავის მარაგი. გარდა ამისა, როგორც ჩანს, უნდა ააშენონ ახალი აეროდრომი, რომელზედაც არა მარტო „ლი-2“ შედ-

ლებს დაშვებას. არამედ „ილ-12“-იც. მაშინ კომსომოლსკაია გახდება შუალედური სადგური მირნისა და ჯერ კიდევ მშენებლობადაუშვავრებელ სოვეტსკაიას შორის. აქედან გაფრინდებიან ის თვითმფრინავები, რომელთაც კომსომოლსკაიადან სოვეტსკაიაში მიმავალ ტრაქტორთა კოლონებისთვის მიაქვთ ტვირთი. სხვათა შორის, უცხოეთის პრესა წერს, რომ სადგურ სოვეტსკაიას შექმნა, რომელიც თითქმის შედარებითი მიუწვდომლობის პოლუსთან მდებარეობს, წინასწარვე განწირულია. რადგან ტრაქტორ-მატარებელს არ ძალუის გადალახოს გზის უკანასკნელი რთული ეტაპი, და ცხადია, საქმე გვაქვს მორიგ საბჭოთა უტოპიასთანო.

ყოველგვარ შრომას თან ახლავს თავისი პოეზია, თავისი კმაყოფილება. თავისი სიმშვიდის წუთები. ფოკინი, გენიუკი, ივანოვი და მოროხოვი კასრების მოსაგროვებლად წავიდნენ, მე კი კამბუზში დავრჩი, რომ სოროკინს მივბმარებოდი. შევეუდექით კარტოფილის თლას — ვიმზადებთ მარაგს. რადგან სულ მალე შეიძლება მოგვადგეს ტრაქტორ-მატარებელი, მირნიდან კი ჩამოფრინდეს უფროსობა.

რა საუცხოო სამუშაოა! სამხრეთაფრიკული კარტოფილი მოგრძობა, სრიალა და თხელკანიანი, დანა კი მჭრელი. ყველა კარტოფილი ისე სუფთად და ლამაზად იფუტკნება, რომ დიდხანს სიამით დასცქერი, თითქოსდა, მარჯვედ მოქნეული სტროფი იყოს. კამბუზში თბილა, იღვრება სინათლე. არ გვაწუხებს არავითარი ფიზიკური დაძაბულობა, არავითარი უანგზადის შიშშილი. მსოფლიო პრობლემებზე საუბარში გავთალეთ მთელი ქვაბი კარტოფილი.

სოროკინმა მკითხა:

— ჩვენზე წიგნი გინდათ დაწეროთ?

მ.ე. შინდა.

სოროკინი (გამოცოცხლებული): იუპან იურის ძე, ხომ უფრო ადვილია შორეულ ამბებზე წერა? ვთქვათ, ესტონეთის საქმეებზე რომ დაგეწერათ, ხომ მოგხედებოდათ გოგრაში. მართალს ვამბობ, თუ არა?

მ.ე. არ მესმის...

სოროკინი. როცა შეცდომებსა და ნაკლოვანებებზე წერთ, ხომ წაგითაქებენ ხოლმე გოგრაში?

მ.ე. ზოგჯერ წაგითაქებენ კიდევაც. აბა, გოგრა რისთვის გაბია.



სოროკინი. მართალია. დაწერეთ ანტარქტიკაზე. უწყინარი თემაა. სარისკოც არაფერია. დაწერეთ, როგორ ვცხოვრობთ (მარჯვენა ცერი მალა იწევს). თოვს, ყინავს, ყანგბადის ნაკლებობაა, დაუსრულლებელი, გაუთავებელი პოლარული ღამეა, ტემპერატურა ეცემა ოთხმოც გრადუსამდე. მაშინ ისე ადვილად კი ვერ ისუნთქებ, როგორც ახლა — ფილტვები გაგეყინება. კარგი თემაა (მალა იწევს მარცხენა ცერი), უწყინარი, მხიარული თემაა! ასე არ არის?

მე შევხედე თვალეზგაბრწყინებულ სოროკინს, რომელსაც ერთ ხელში ნახევრადგათლილი კარტოფილი ეჭირა, მეორეში — დანა, იგი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ანტარქტიკის თემა — კარგი, მხიარული თემაა, და ეს ყველაზე მეტად ახარებდა. მე გამახსენდა მისი ნართაული სიტყვა, მისი მრავალმხრივი იუმორი, მისი უნარი — ყოველგვარ მძიმე საქმეში დაინახოს კომიკური, და გავიფიქრე: „მართლაც რა იქნება, დაეწერო ნოველა „მამაცი ჯარისკაცი შვეიცი ანტარქტიკაში“, შევამკო შვეიცი სოროკინის თვისებებით, მისი სითბოთი, მისი გულკეთილი ეშმაკობით. მის შინაგანი ძალით. დალაზვროს ეშმაკმა! მართლაც კარგი თემაა, მხიარული თემაა!

1958 წლის 18 იანვარი

კომსომოლსკანი

წყნარი დღეა. ოღნავ ირევა ბუქი. ვემზადებით ტრაქტორ-მატარებლის შესახვედრად. იგი შეიძლება ჩამოდგეს ხვალ, დღის პირველ ნახევარში. მატარებელი მოძრაობს ნელა, ძნელია თოვლში სიარული.

ვახშობისას სოროკინმა თქვა:

— იუჰან იურის ძევ, ვნახოთ „ანუშკა“ ერთხელ კიდევ?

— რომელი „ანუშკა“?

— გუშინდელი.

ახლა კი მივხვდი. სოროკინი ლაპარაკობდა იტალიურ ფილმზე „გაცრუებული ოცნებები“. მაშ ასე, ნავახშმევს ვნახავთ, როგორ ხდება ანა ზაკეო, ეს ლამაზი ქალი. ბედისწერისა და არამზადანს სა-

თამაშო თოჯინა. ხუთი დღის კანმავლობაში უკვე მესამედ უყურებენ ამ სურათს.

კომსომოლსკაიაში აქვთ კინოაპარატურა და, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ მაყურებელი ოთხია, საყმაოდ კარგი დარბაზი. სურათი სამია „გაზაფხული ზარეჩნაიას ქუჩაზე“, „გაცრუებული იმედები“ და კიდევ ერთი, რომელსაც არავენ ნახულობს. არც ვიცი, რა ჰქვია ამ სურათს.

მაშ ასე, ვნახოთ „ანუშკა“. კინომექანიკოსი მოროზოვი ან ფოკინი იქნება, ჩვენ კი — გენიუკი, სოროკინი და მე — მაყურებლები. ფანჯრებზე ტომრებს ვაფარებთ და დარბაზს ვაბნელებთ. დროდადრო თვითეული ჩვენგანის თავზე ირწევა თეთრი ორთქლის ღრუბელი — ეს ამონასუნთქი ჰაერი ცივდება. გვაცვია უნტები და ტყაპუკები, გვახურავს ბეწვის ქუდები. უცებ ეკრანზე გამოჩნდა ანა ზაკეო, რომელსაც შიშველი, სავსე მხრები აქვს. იგი შემოგვცქერის მშვენიერი თვალებით. გვაცნობს თავის ოქახს, მერე მიღია ბაზარში და ხვდება ანდრეას. ცოტა ხნის შემდეგ მას თითქმის დედისმობილას ვხედავთ. 74-ე პარალელზე, სამნახევარი კილომეტრის სისქის მუდმივ ყინულებში, ოცდაათოთხმეტგრადუსიან ყინვაში, იტალიის ცხელი ნაპირის ხედი ცოტათი უცნაურ შთაბეჭდილებას ტოვებს: არა გჯერა, რომ იგი არსებობს და ამავე დროს დარბაზი თითქოს თბება კიდევ. უნდა ითქვას, რომ ჩვენს დარბაზში ვერასოდეს გაიგონებ იმ ორაზროვან ცხენივით ხვიხვისს, რომელიც ხშირად არღვევს ტალინის კინოდარბაზების სიწყნარეს გარკვეული ხასიათის სცენების ჩვენების დროს. ყველას საშინლად გვებრალება ანა ზაკეო. ეს მომხიბლავი და სანდომიანი ქალიშვილი, გეწყინს, რომ ბედისწერა ასე მუხთლად მოექცა, ანდრეამ სილა გააწნა, და ფილმის ბოლომდე ვერ იპოვა დიდი ხნის ნანატრი ბედნიერება.

დროდადრო ისმის კარის ბრახუნი: ივანოვი გადის ხელსაწყოების სანახავად. წინკარში იღვრება კაშკაშა, თვალისმომკრელი სინათლე, ანას უბედური, ატირებული სახე ეკრანიდან ქრება, ჩვენ ველარ ვხედავთ მის ნალვლიან თვალებს, თითქოსდა ეცოდებოდ, თოვლის და მზის სიკაშკაშე შლის მათ. მხოლოდ ხმა ისმის ისევ.

სურათის დამთავრების შემდეგ ჩვენ უსიტყვოდ ვსხედვართ და ვაბოლოებთ.

— ჰო-ო... — ამბობს გენიუცი.

— ჰო-ო... — ამბობს ფოკინი.

— ჰო-ო... — ვამბობ მე.

— არამზადაა ეს რეკლამის აგენტი, ნამდვილი არამზადა! — ამბობს სოროკინი.

— ნეტავ თუ დაბრუნდება ეს ანდრეაა თუ ვილატაა? — კითხულობს თავისი ბავშვეური ხმით გოლიათი მოროზოვი.

— აბა, სად წავა, დაბრუნდება! — ვამშვიდებთ მას.

მოგვიტევეონ ჩვენმა ცოლებმა, მაგრამ მგონი, ყველას ცოტ-ცოტათი შეგვიყვარდა ანა ზაკეო.

1058 წლის 17 იანვარი

კომსომოლსკაია

დღეს ჩამოვიდა ტრაქტორ-მატარებელი. მის შესახვედრად რამდენიმე კილომეტრი გავიარეთ. თავდაპირველად თოვლის თეთრ ზეწარზე იგი შავი წერტილივით გამოჩნდა, მერე წერტილი გაიზარდა, რამდენიმე ლაქად გაიფანტა და საბოლოოდ გაჯარჩიეთ წითელაღმიანი და მალაღმანი ფლაგმანის ტრაქტორი.

კოლონა საკმაო მანძილზე გაჰიმულიყო — ორ-სამ კილომეტრზე. პირველი ჯგუფი, რომელსაც წინ ფლაგმანის ტრაქტორი მოუძღოდა, ხუთი მანქანისაგან შედგებოდა. ჩვენ ათი შუშხუნით მივესალმეთ მათ, მერე მივუახლოვდით და გავჩერდით. ტრაქტორების წითელი კაბინებიდან, მარხილებზე დადგმული სახლებიდან ექსპედიციის მონაწილენი გამოცვივდნენ. ბევრ მათგანს არ ვიცნობდი. ისინი „ობით“ ჩამოვიდნენ აქ, ზოგიერთები კი მეორე ექსპედიციის მოზამთრეები გახლდით. მე ჩვენიანებიც, ე. ი. „კოლაპეაციით“ ჩემთან ერთად ჩამოსულებიც დავეინახე. ვკოცნით ერთმანეთს, ვაბოლებთ თამბაქოს. გამჟვირვალე უნულოვან ჰაერში მკაფიოდ ისმის მისალმების ძახილი, რომელსაც ზოგჯერ თან ახლავს მაგარ-მაგარი სიტყვები ისევე აუცილებელი, როგორც ეშმაკისათვის კული. განწყობილება საზეიმოა, მაგრამ ამავე დროს საქმიანიც:

— კომსომოლსკაიაში ჩამოსვლას ისე ველოდით, როგორც დღე-სასწაულს! — ამბობენ ჩამოსულები.

— გაგვაწვალა თოვლმა.

— გვარლები წყდებოდა.

— ზოგიერთი მარხილი საშინლადაა დატვირთული!

ასე შეეხვდიან ერთმანეთს.

ვსხდებით ტრაქტორზე კაბინის გარშემო. ტრაქტორი მოათრევს ორ წყვილ მარხილს. წინაზე საწვავით სავსე კასრებია, უკანაზე — საცხოვრებელი სახლი. ტვირთი ძალიან მძიმეა და ამიტომ ჩვენი ტრაქტორი გვარლითაა მიბმული წინმავეალი ტრაქტორის მარხილზე. რომლის საპალნე უფრო მსუბუქია. ძნელ ადგილებში იგი გვეხმარება ხოლმე. მივიწვევთ ნელა, პირველი სიჩქარით. გვერდით ჩაგვიქროლა კომსომოლსკაიას ტრაქტორმა და თოვლის ბუქი დააყენა. მას ტვირთი არა აქვს, ჩვენ კი ძლივს მივლოდილობთ. ღრმა თოვლში სიარული ძნელია და ტრაქტორების პარალელურად მომუშავე ძრავები მთელი სიმძლავრით ბრუნავენ. უცებ ფლაგმანი ერთბაშად გაჩერდა და კინალამ ყირაზე გადავიდა. გაწყდა გვარლი. ყველა შოფერი ამუხრუქებს თავის ტრაქტორს და მიიჩქარის ამხანაგის საშველად. ცოტა ხნის შემდეგ ისევ განვაგრძობთ გზას.

ერთმა რადისტმა ასეთი ამბავი მიაშბო. ერთხელ, რომელიღაც გეოლოგიური ექსპედიციის დროს, იგი თავის გადამცემიანად სრულიად მარტო დარჩენილა ციმბირის ტაიგაში, უახლოესი სოფლიდან ოთხას კილომეტრზე. მოულოდნელად გადამცემს რაღაც გაფუჭებია და შეუწყვეტია მუშაობა. რადისტს ზურგჩანთაში ჩაულაგებია საგზალი, ფეხზე მოურგია თხილამურები და გაფუჭებული დეტალის შესაკეთებლად ოთხასკილომეტრიან გზას დასდგომია. გაუვლია დათოვლილი ტაიგა, მოყინვია თითები და ცხვირი. ჩავარდნილა მდინარეში და ბეწვზე გადარჩენილა დახრჩობას თუ გაყინვას. საბოლოოდ, დანიშნულ ადგილზე მისულა და თავისი დეტალი შესაკეთებლად მიუტანია.

— ჰოდა, იქ ბიჭებს სპირტი ჰქონდათ... ანთებული ლუმელიც... ოო, რა კმაყოფილი ვიყავი!

— კარგად დაისვენე?

— დავისვენე, რა თქმა უნდა! იქ საოლქო გაზეთის ერთი კორეს-

პონდენტი დამიხვდა. რომ ჩამაცივდა, აღარ მომეშვა! ვინ ვარ და საიდან ვარ. განსაკუთრებით აინტერესებდა, რას ვგარძნობდი, როცა ყინულჭკრილში ჩავეარდი. ვეუბნები: ცივი იყო-მეთქი, ის კი: „არა, ამას კი არ გეკითხები!“ მე ისევ ვეუბნები: საშინლად ცივი იყო-მეთქი. ხოლო უფრო გვიან, როცა მისი სტატია წავიკითხე, უცბად მივხვდი, რაც უნდოდა, რომ მეთქვა. ისეთ გმირად გამომიყვანა, ნულა იკითხავ. ყინულჭკრილში ჩემი ჩავარდნის ამბავი იმგვარად დაუბატავს, კაცს გული აუჩუყდებოდა. მე კი მაშინ ყველაზე მეტად ის მაღარდებდა, რომ თამბაქო დამისველდა.

— მერე რა მოხდა?

— მერე? ეს მეგაზეთე ხატივით შემომცქეროდა. ფრენა არ იყო და ჩვენთან ჩარჩა. ყველაფერი ჩამაშხამა. შენც კარგად მოგეხსენება, სპირტი არის, ლუმელი ანთია, ბიჭები შენიანები არიან. შენ კა სვი ლამლამობით ჩუმ-ჩუმად და ემაღე ამ ჟურნალისტს. დილით გძინავს ლუმელზე და გული გიკანკალებს, ვაითუ უკან დაბრუნდესო. ყველაფერი ჩამაშხამა.

— მერე რა მოხდა?

— მერე? შემიკეთეს დეტალი და უკან გაებრუნდი.

როცა ჩვენი კამბუზის წინკარში (მხოლოდ აქ იდგმებოდა მოზრდილი მაგიდა) პატარა ბანკეტი მოვაწყვეთ. ეს ამბავი მომაგონდა. ჩემს გვერდით მსხდომმა ადამიანებმა გადალახეს საშინლად ძნელი გზის ათასობით კილომეტრი! მათ მზით გარუჯული, ქარდაკრული საბუებო აქვთ — ზოგი წვერმოშვებულია, ზოგიც წვერმოპარაული. ხელში უჭირავთ გაზავებული სპირტით სავსე დიდი ჭიქები. ეს ადამიანები ებრძოდნენ საზარელ ქარბუქებს, მძაფრ ქარს, ყინვას. თოვლი ღრმა იყო და ამაზრზენი. ხდებოდა ავარიები. ამას არც ის გზა ჩამოუვარდებოდა, რომელიც მომავალში უნდა გაეცლოთ. აქედან ვოსტოკამდე ხუთას ორმოცდაათი კილომეტრია, თუმცა უნდა ითქვას, რომ ჩვენმა ტრაქტორებმა ერთხელ კიდევ გაიარეს ეს გზა. მაგრამ იმათ, ვინც სოვეტსკაიაში მიდის, წინ უღევს ექვსასკილომეტრიანი უცნობი გზა, რომელიც სამი ათას ექვსასი, სამი ათას შეიდასი მეტრი სიმაღლის ყინულის პლატოზე გადადის. ყოველ ას მეტრ აღმართს შეიძლება მოჰყვეს არასასიამოვნო სიურპრიზი. ეს ყველამ იცის. იცის ჯერ კიდევ მშენებლობადაღმთავრებელ სადგურ სო-

ვეტსკაიას უფროსმა, უსაშველოდ მაღალმა, მწვანეკომბინეზონიანმა ახალგაზრდამ, ბაბარიკინმა, იცის სატრაქტორო კოლონის უფროსმა ნიკოლაევმა, იცის ყველა ტრაქტორისტმა, რადისტმა, მექანიკოსმა, სადგურ სოვეტსკაიას ყველა მოზამთრემ.

მაგრამ მაგიდასთან სულ სხვა ამბებზე საუბრობენ. რასაკვირველია, დროდადრო ლაპარაკი ჩამოვარდება ქარბუქებზე, ავარიებსა და გზაში გამოვლილ ათას სხვა დავიდარაბაზე, მაგრამ ყოველივე ამას მხიარული ელფერი დაჰკრავს. გულიანად აგინებენ ერთ ხელმძღვანელ ამხანაგს, რომელსაც ევალება ტრაქტორ-მატარებლია მომარაგება თვითმფრინავების საშუალებით. კიდევ კარგი, რომ იგი არ ისმენს სუფრაზე წარმოთქმულ იმ ხატოვან ეპითეტებს; რომლებიც მას გადახორტილ თავზე დაატეხეს. პარაშუტით გადმოაგდეს გაყინული კვერცი (ამასთან დაკავშირებით მაგიდის ბოლოდან იძლევიან რამდენიმე შენიშვნას). თვითმფრინავმა მატარებელს ჩამოუგდო დამძალბებული თევზი, გაყინული ფორთოხალი და ა. შ. ბოლოს, ეტყობა ყველას მობეზრდა ხსენებული ამხანაგის გინება და საუბარი უფრო და უფრო მხიარული გახდა: ჰყვებიან ანეგდოტებს. იგონებენ გზაში მომხდარ სასაცილო ამბებს, იმას თუ როგორ ჩავარდა ხათაბალაში ერთი, როგორ გააბრიყვეს მეორე. პავლიკ სოროკინს ერთ ხელში სპირტით სავსე გრაფინი უქირავს, მეორეში ყავადანი, გარშემო უვლის მაგიდას, აქებს თავის კერძებს, როტბა'ს ასხამს კომსომოლსკაიას და უზრდელობაში რომ არ ჩამოართვან, სხვა სადგურებსაც. სადღეგრძელოები მოკლე და გასაგებია. როგორც სახარებაშია ნათქვამი: „იყავნ სიტყუაჲ თქუენი: ჰეჲ ჰე და არაჲ არა!“ მართლაცდა, სუფრის იმ ბოლოში, სადაც მე ვზივარ, ზედგამოჭრილი „საიდუმლო სერობაა“. ხშირი წვერით მოსილი ახალგაზრდების სახეებში არის რაღაც მოციქულური. მაგრამ საექვოა, იესო ქრისტე ჩამოსულიყო მიწაზე, თუკი მისი მიმდევრები ასეთი ერისკაცები გამოდგებოდნენ — არავითარი ნიშანწყალი წმიდანობისა.

ნასადილევს ნიკოლაევი გაემართა რადისტებთან და ხანგრძლივი საუბარი გააბა მირნისთან: ხალხს დასვენება უნდა. საჭიროა ტექნიკის პროფილაქტიკური რემონტი. აუცილებელია, შეიქმნას საწყობები როგორც მირნის გზაზე, ასევე ვოსტოკის გზაზედაც. ასე რომ.

შესაძლოა ხუთიოდე დღე მოუწიოთ კომსომოლსკაიაში დარჩენა, რათა გადაჭრან საწვავის პრობლემა და მატარებლის სხვა ყოველ-  
დღიური საქმეები.

ხვალ ჩვენთან ჩამოფრინდება ევგენი ივანეს ძე ტოლსტიკოვი  
მაშინ ყველა ამ საკითხს უფრო გულდასმით განიხილავენ.

ტრაქტორ-მატარებლის მთელი ჯგუფი ღამეს სადგურში გაათევს.  
თავდაპირველად უჩვენებენ კინოფილმს — „გაზაფხული ზარეჩნაი-  
ას ქუჩაზე“, მერე — „ანუშკას“.

1066 წლის 19 იანვარი

მირანი

დღეს კომსომოლსკაიაში ჩამოფრინდნენ ტოლსტიკოვი და ექს-  
პედიციის მთავარი ინჟინერი პარფენოვი. ისინი მაშინვე შეუდგნენ  
თათბირს ბაბარიკინთან, ნიკოლაევთან და ფოკინთან ერთად. განიხი-  
ლვეს კოლონის მარშრუტს, მომარაგების, რემონტისა და საწყობე-  
ზის საკითხებს. შესაძლოა, სოვეტსკაიაში გაგზავნონ ნავარაუდევზე  
მეტი ტრაქტორი. მაშინ ტრაქტორები უფრო მსუბუქად იქნებიან  
დატვირთული, ასეთი უცნობი გზისთვის კი ეს დიდი შელავათია.

საუბარი საკმაოდ მკვახედ მიმდინარეობს. აქ აზრის ურთიერთ-  
გაზიარება დიპლომატიური თავაზიანობით როდი ხდება. ბაბარიკინმა  
მეტად მკაცრი საყვედური გამოთქვა მომარაგების გამო, აგრეთვე  
იმის გამოც, რომ კომსომოლსკაიაში დახვდათ გათვალისწინებულზე  
ნაკლები საწვავი. ზოგიერთი ამხანაგი მან მეტად ღვარძლიანად და-  
ახასიათა. ტოლსტიკოვმა და პარფენოვმა საყვედურის ნაწილი მი-  
იღეს, ნაწილი კი ბაბარიკინის გადამეტებულ პრეტენზიად ჩათვალეს.  
ზოგიერთი ნაკლი უკვე გამოსწორებულა. იმ დროს, როცა თათბირი  
დავტოვე, საუბარი კარტოფილს შეეხებოდა. ბაბარიკინი მოითხოვ-  
და ერთ ტონა კარტოფილს, ტოლსტიკოვი კი უარზე იდგა — სანამ  
სადგურის მშენებლობა არ დამთავრდება, ვერსად შეინახავთო.  
სადავო საკითხების კონკრეტულობა, ორივე მხარის საკმაოდ დიდი  
დაინტერესება — წარმატებით განხორციელდეს სოვეტსკაიას მშე-  
ნებლობა — ყოველივე ეს ბადებდა რწმენას, რომ სადგური ერთ-  
თვეში თუ არა, თვესა და ერთ კვირაში მაინც გაიხსნებოდა. როცა  
გამოვდიოდი ოთახიდან, სადაც მოთავსებული იყო მთელი აპარატუ-

რა და კომსომოლსკაიას ყველა მოზამთრე ცხოვრობდა, მე ერთხელ კიდევ შევავლე თვალი თამბაქოს ნაცრისფერ ბოლში გახვეულ ხუთივე მამაკაცს, რომლებიც კარტოფილზე დავობდნენ.

დავემშვიდობე ფოკინს, სოროკინსა და ივანოვს. შეიძლება, მე ისევ მომიწიოს კომსომოლსკაიაზე გადაფრენა, მაგრამ ვეჭვობ, ძირს დავეშვა.

ანტარქტიკის ცივ კორტოხზე წამომდგარი ეს პატარა სადგური ისეთი შინაურული, ისეთი ახლობელი, ისეთი მშობლიური, ისეთი საყვარელი გახდა ადამიანთა წყალობით, რომ მინდოდა, რაც შეიძლება გულთბილი მადლობა გადამეხადა მასპინძლებისათვის, მაგრამ ყელში რაღაცამ წამიკირა და რუსული სიტყვები არ მეყო. მეგობრები ცივ წინკარში გადავკოცნე. თავზე გვადგა ამონასუნთქი პაერით წარმოქმნილი თეთრი ღრუბელი. ჩვენ ვიდექით და ერთმანეთს ზურგზე ვუბრაგუნებდით ხელებს, რომლებზედაც უზარმაზარი ხელჩაგები გვექონდა წამოცმული. მერე აგუგუნებული თვითმფრინავისაყენ გავიქეცი. იქ თავის ტრაქტორთან სანია მოროზოვი დამხვდა. ხელი მართლაც მქედელს მიუგავს; რომ დამკრა, მხარი ნახევარი მეტრით ჩამომივარდა. ჩვენ რაპდენიმე სიტყვით დავემშვიდობეთ ერთმანეთს და თვითმფრინავში ავედი. ძრავები მთელი ძალით ამუშავდა, ლითონის კიბე ზემოთ ამოსწიეს. უზარმაზარი თხილამურები თოვლით დაფარულ სასტარტო ბილიკზე გასრიალდა. თვითმფრინავი მძიმედ, რის ვაი-ვაგლანით ასცილდა მიწას. შეჭირბლული ფანჯარიდან თვალი მოვკარი სადგურის შენობას, ტრაქტორებს, საცხოვრებელკაბინებიან მარხილებს — მთლიანად მატარებელს, რომელსაც რკალად შემორტყმოდა საწვავის საწყობები, რადიოანძას, ანძაზე აფრიალებულ წითელ დროშას და კაცს, რომელსაც მიწისპირა ქარი ფეხებში სცემდა. ალბათ ეს ივანოვი იყო.

სავსებით შესაძლებელია, რომ ვინადვლო ანტარქტიკაზე, დიახ, სავსებით შესაძლებელია.

მირნიში დაებრუნდი პეროვის თვითმფრინავით. თავდაპირველად ხილვადობა ცუდი აყო, ცა ღრუბლებს დაეფარა, თითქოს რძეში ვიყავით ჩაძირულნი. მაგრამ ნაპირთან ახლოს ცა მოიწმინდა. ჩვენს ქვემოთ გაშლილი თოვლის საბურველი უკვე აღარ არის ისე-



თი მონოტონური, როგორც ადრე იყო. იგი თავისი ნაყშებით ყოველ წუთს იცვლება. ერთი ადგილი წააგავს დათვის სოკოებით მოფენილ მდელს. ჯადოქარ ქარს წამოუშობათავს თოვლის კოხტა გორაკები, რომელთა ქვემოთ ჩრდილებია გაწოლილი. თოვლის გორაკები მართლაც ძალიან ჰგვანან დათვის სოკოებს.

ორი ათასი მეტრის სიმაღლიდან ჩვენს თვალწინ მთელ სიგრძე-სიგანეზე გადაიშალა ანტარქტიკის დიდი, თავისებური პანორამა. ზღვამდე ჯერ კიდევ ოთხმოცდაათი კილომეტრია დარჩენილი, მაგრამ გეგონებათ, სულ ახლოს არისო. ჩვენ ვხედავთ ღია ზღვას, თეთრ აისბერგებს და თვით ბზარებსაც კი. აქედან პირველად დავინახე შეკლტონის შელფური ყინვარი — ყინულის მასივი, რომლის გამონაშეერი მირნიდან აღმოსავლეთით დეივისის ზღვაშია შექრილი და თეთრი ბარიერის სახით დამრეცად ეშვება წყალში. გარკვევით ჩანდა დრივალსკის კუნძული, რომელიც დიდ, აფუებულ ტკბილ დეეზელს თუ შაქარმოყრილ ფუნთუშას ჰგავდა. იგი ისე გართხმულიყო წყალზე, თითქოს შავ ტაფაზე დევსო. აქედან ჩანდა ნაპირთან ღრმად დაბზარული მატერიკის ყინული. ეს ბზარები ცხადყოფდა, როგორი ფორმისა და სიდიდის იქნებოდა მომავალი აისბერგები. დეივისის ზღვამ უკვე მოიშორა ყინულის ჯავშანი. მირნის რეიდზე კი ყინული თუმცა წყლის ნაკადებით ძლიერაა დახრამული და არც ისე მკვირვია, როგორც ერთი კვირის წინათ იყო, მაგრამ ჯერ-ჯერობით ფეხს მაინც არ იცვლის.

მირნიდან დაახლოებით ოცდაათ კილომეტრზე გადაეუქროლეთ ორ „პინგვინს“. მათ გეზი პიონერსკაიასაკენ ექირათ და საკმაოდ კარგი სიჩქარით მიიწევდნენ წინ. ორივე „პინგვინს“ მსუბუქად დატვირთული მარხილი ება. ტრაქტორები, რომლებიც კომსომოლსკაიაში ვნახე, გაცილებით მძლავრი ჩანან.

მირნიში ყოველთვის უხვადაა ხავერდით რბილი, თბილი და არომატული ჰაერი. იგი ახლაც ასეთი დაგვხვდა. მართალია, მირნიში თოვლი ღრმაა და ლეღმადაა ქცეული (იგი უკვე დნება), მაგრამ აქ სიარული კომსომოლსკაიასთან შედარებით არ ღლის ადამიანს. თავი შინ მგონია. დიახ, შინ მგონია. აგერ უკვე ერთი კვირაა, რაც აქ არ ვყოფილვარ.

ერთ-ერთ ჩვენს მობინადრეს — უკიდურესად თავაზიან და

ზრდილ. ინტელიგენტ კაცს, რომელიც ოდნავი დღევის დროს ზღვის ავადმყოფობით იტანჯებოდა და ამის გამო ამხანაგებისა რცხვენოდა, უთუოდ ზღვის მიმართ შიშმა ათქმევინა უარი „ობით“ მოწყობილ საზღვაო ექსპედიციაში მონაწილეობაზე. ახლა კი თვალცრემლიანი მხოლოდ მანძილის ზომეას უნდება რუკაზე მირნიდან პორტლუიმდე, სადაც „კოოპერაცია“ წასული, და ამასთანავე დაწვრილებით ანგარიშობს, რამდენ დღიურს დაუწერენ მირნიში ჯდომისათვის. მე მას რეგვენად მივაჩნევარ, რადგან აქ საკუთარი ხარჯითა და სურვილით ჩამოვედი. ბუნებით იმდენად ნაზია, რომ საცაა დილაობით ამხანაგს ხელზე დაუწყებს კოცნას. ეს სანდომიანი მობინადრე ისე მოკალათდა ოთახში, რომ მაგიდასთან კუთხე აღარ დამიტოვა სამუშაოდ და დასაჯდომად სკამი. მადლობა ღმერთს, რომ საწოლი მაინც მაქვს.

მას უყვარს საუბარი კინომსახიობებსა და მწერლებზე — მოსკოვში, უდავოდ, ფრიად რჩეული ნაცნობები ჰყავს. როცა არ მინდა მობინადრეს ხელი შევეუშალო, ვიღებ ბლოკნოტს და ვცდილობ გარეთ გამოვიძურწო, მაგრამ იგი წყვეტს საუბარს ვიღაც მსახიობ ქალზე, რომლის მთელი ასაეალ-დასაეალი ზედმიწევნით იცის, და დათაფლული ღიმილით მახსენებს, რომ ხვალ ჩემი რიგია და უნდა დავალაგო ოთახი.

თავისუფალი მაგიდის საშოვნელად რადისტებთან გავემართე. რადიოსადგურისაკენ მიმავალს გზად დარდი შემომაწვა. გამახსენდა კომსომოლსკაია, მისი ოთხი მოზამთრე, კამბუზი, იქ გატარებული საღამოები, კარტოფილის თლა, იქაური ლალი, ძალდაუტანებელი, შრომითი და ნამდვილად ამხანაგური ატმოსფერო, რომელშიც ცოტაა ქანგბადი, მაგრამ ბევრია ადამიანური გრძნობა.

ქალივით წრიპინა ეს ვაჟბატონი კი, ეს მბჭუტავი სანთელი. რომელიც დღენიადაგ წუწუნებს, ჩაის აქ პინგვინის სუნი ასდისო, რომელიც ალბათ ახლა თავის დღიურ ფულს ითვლის და უქმაყოფილოა, რომ ცხოვრების სისასტიკემ აიძულა მათ ასაღებად მირნიში ჩამოსულიყო მაშინ, როცა ფოსტალიონს შეეძლო მთელი ეს თანხა, რამდენიმე ათასი მანეთი, პირდაპირ საწოლში მიერთებია, — აი, ეს ვაჟბატონი ანტარქტიკის ყველაზე ამოუხსნელ გამოცანად დარჩება ჩემთვის.

გუშინ მთელი დღე მეძინა. ეტყობა, კომსომოლსკაიამ დამლაღა. დღეს მირნიში სიარული ქირს. ქარბუქია. მთელი დაბა მატერიკიდან მოვარდნილ თოვლებუქშია ჩამარხული. სამ ნაბიჯზე თითქმის არაფერი ჩანს. მოძრაობა შეიძლება მხოლოდ გვერდულად, ლამისაა ოთხზე დავიწყოთ სიარული. კარი თოვლითაა ამოგმანული. გარეთ არ წყდება ქარიშხლის გულისგამაწვრილებელი, საშინელი სტვენა. თვითმფრინავები არ იძვრიან. ეს მხოლოდ და მხოლოდ ზაფხულის პაწაწკინა ქარბუქია. წარმოიდგინეთ, რა იქნება აქ ცივ პოლარულ ღამეში, როცა ქარის სიჩქარე ორმოცდაათ მეტრს აღწევს წამში?

ასეთი ქარბუქი მაინც უნდა იხილო, რომ სავსებით გასაგები გახდეს სკოტის დღიურის ბოლო გვერდები, რომლებიც დაწერილია ქარბუქის დროს, სანოვაგის საწყობიდან ოციოდე კილომეტრის დაშორებით. მათ წინ იყო თოვლებუქი და სიკვდილი, ზურგს უკან კი ანტარქტიკის აღმოჩენის ისტორიაში ალბათ ყველაზე ტრაგიკული ლაშქრობა. ვფურცლავ სკოტის დღიურს:

„სამშაბათი, 16 იანვარი, 1912. გამართლდა ჩვენი ყველაზე უარესი, ანდა თითქმის ყველაზე უარესი შიში. დილით მხნედ გავუღექით გზას და გავიარეთ შეიდანახევარი მილი. შუადღის დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ვიმყოფებით სამხრეთ განედის 89°42'. ნასაუზმევეს განვაგრძეთ გზა შესანიშნავი განწყობილებით. დარწმუნებული ვიყავით, რომ ხვალ მივალწევდით მიზანს. ვიარეთ კიდევ დაახლოებით ორი საათი. უცებ ბოუერსმა თავისი მახვილი თვალით შენიშნა რაღაც საგანი, რომელიც თავდაპირველად სადგომის სანიშნოდ აღმართულ ქვის სვეტად მიიჩნია. იგი შეშფოთდა, მაგრამ მერე თავი იმით დაიმშვიდა, რომ ეს წყლით გათლილი კლდის ამონაშვერი უნდა იყოსო. ნახევარი საათის შემდეგ გავარჩიეთ შავი წერტილი და ჩქარა დავრწმუნდით, რომ იგი არ შეიძლებოდა თოვლის ლანდშაფტის ბუნებრივი ნაწილი ყოფილიყო. როცა მივუახლოვდით, ეს წერტილი მარხილის კავზე მიმაგრებული შავი დროშა აღმოჩნდა. იქვე, შორიახლოს, ჩანდა ნაბანაკარი, ყოველ მხარეს

მარხილებისა და თხილამურების კვალი. ძაღლების მკაფიო ნაფეხურები. ყველაფერი აშკარა იყო: ნორვეგიელებს ჩვენთვის დაესწროთ. მათ პირველებს მიუღწევიათ პოლუსისათვის. საშინლად გაგვიცრუვდა იმედი. ო, როგორ მტკიოდა გული, რა ამოდ დაშვრნენ ჩემი ერთგული ამხანაგები.

ღამისხვრა მთელი ჩენი იმედები. ნაღვლიანი იქნება უკან დაბრუნება.

...ღმერთო ძლიერო! ეს რა უბედური ადგილია. რარივ ძნელია ჩვენთვის იმის წარმოდგენა, რომ ამდენი ვაი-ვაგლახის შემდეგ ისიც კი არ გველირსა, რომ პირველმოსული მოგზაურები ვყოფილიყავით. რა თქმა უნდა, ისიც ბევრს ნიშნავს, რომ საერთოდ მოვედით აქამდე.

ოთხშაბათი, 21 მარტი. მე-60 ბანაკი პოლუსიდან. ორშაბათს, საღამო ხანისთვის 11 მილით მივუახლოვდით საწყობს. გუშინ მთელი დღე ვიწექით, რადგან ქარბუქი მძვინვარებდა. უკანასკნელი იმედი დაგვრჩა: დღეს უილსონი და ბოუერსი წავლენ საწყობში საწვავისთვის.

ხუთშაბათი, 22 და პარასკევი, 23 მარტი. ქარბუქი არ ნელდება. უილსონმა და ბოუერსმა ვერ მოახერხეს წასვლა. ხვალ უკანასკნელი შესაძლებლობა რჩებათ. საწვავი არა გვაქვს, საკმელი ერთ-ორ ჯერზე თუ გვეყოფა. ჩანს, აღსასრული მოგვიახლოვდა. გადავწყვიტეთ, დაველოდოთ ბუნებრივ აღსასრულს. გავემართებით საწყობისაკენ ბარგით ან უბარგოდ და დავიხოცებით გზაში.

ხუთშაბათი, 29 მარტი. 21 რიცხვიდან მძვინვარებდა გამუდმებული შტორმი WSW და SW-დან. 20-ში გექონდა ორორი ფინჯანი ჩაის ასადუღებელი საწვავი და ორი ღლის სამყოფი უწვნო საკმელი. ყოველდღიურად მზად ვიყავით გავდგომოდით გზას — საწყობამდე მხოლოდ თერთმეტი მილია დარჩენილი, მაგრამ კარვიდან გამოსვლა შეუძლებელია. გარეთ თოვლის კორიან-

ტელი დგას. არა მგონია, კიდევ რაიმეს იმედი გვექონდეს. გავძლებთ ბოლომდე. ცხადია, ძალ-ღონე თანდათან გვეცლება, აღსასრული შორს აღარ უნდა იყოს.

სამწუხაროა, მაგრამ არა მგონია, კიდევ შევძლო წერა.

რ. სკოტი“.

უკანასკნელი ჩანაწერი: „ღვთის გულისათვის, უპატრონეთ ჩვენთანებს!“

ყოველივე ეს უკვე გადაკითხულია, უკვე ნაცნობია. მაგრამ სხვა ამბავია, როცა სკოტის წიგნს კითხულობ ტალინში, მყუდრო, წყნარ ოთახში და სხვაა— როცა კითხულობ აქ, მას შემდეგ, რაც ქარბუქში ძლივს მიაგნებ საკუთარი სახლის კარს. ქარბუქი აქ სტრიქონებს შორის კი არ მძვინვარებს, არამედ შენობებს შორის.

1958 წლის 21 იანვარი

„კოოპერაცია“ საკმაო სიჩქარით განაგრძობს გზას. გუშინ უკან მოიტრიალა ძლიერი, თერთმეტბალიანი ზონა. იგი ორას ორმოც—ორას ორმოცდაათ მილს გადის ყოველდღიურად. ერთ დღეს კი ორას სამოცდასამი მილიც დაფარა. ადვილი შესაძლებელია, მირნიში 12—13 თებერვალს დაბრუნდეს.

ვერასგზით ვერ მოვახერხე ვოსტოკში წასვლა. თვითმფრინავები არ იძვრიან. ტოლსტიკოვი ჯერ ისევ კომსომოლსკაიაშია, მისი ნებართვის გარეშე კი ფრენა ვერ ხერხდება.

1958 წლის 22 იანვარი

დღეს მირნი დამწუხრებულია. ღამით კომსომოლსკაიიდან ჩამოასვენეს ახალგაზრდა ინჟინერ-აეროლოგის ნიკოლოზ ალექსის ძე ჩუგუნოვის ნეშტი. ჩუგუნოვი ანტარქტიკაში დაღუპული მეოთხე საბჭოთა პოლარელია. პირველი ექსპედიციის დროს დაიღუპა ტრაქტორისტი ხმარა, რომელიც ტრაქტორიანად ჩავარდა ყინულ-კრილში. მეორე ექსპედიციის დროს ჩამოქცეულმა ბარიერმა დაიტანა „ლენის“ ორი კურსანტი, ჩუგუნოვი მეოთხეა.

იგი მოიწამლა კომსომოლსკაიაში გაზით, როცა სატრაქტორო

კოლონის მონაწილეთათვის სადილს ამზადებდა. მისი გადარჩენა ველარ შეძლეს.

ჩუგუნოვს არ ვიცნობდი, რადგან იგი აქ „ობით“ ჩამოვიდა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, კომსომოლსკაიაში შევხვედრივართ ერთმანეთს, ალბათ კიდევაც გვიმასლაათია, ან იქნებ კინოში ვმსხდარვართ გვერდი-გვერდ. მისი თანამგზავრები ამბობენ, ჩუგუნოვი კარგი ამხანაგი, შესანიშნავი ადამიანი იყო.

დილით, ჯერ კიდევ სანამ ჩუგუნოვის სიკვდილს გავიგებდი, ვკითხულობდი კოლდუელის ნოველას „მინდვრის ყვავილებს“. შესაძლოა, ეს მხოლოდ ახლა მეჩვენება, მაგრამ ასე მეგონა, სადღაც სულ ახლოს სიკვდილი დააბოტებდა. მართლაცდა, შეიძლება დაწერო წიგნი, გამოიყენო მილიონი სიტყვა, და ყველა ეს სიტყვა სწორი იყოს, მაგრამ ადამიანის შესაძლებლობას აღემატება, დაწეროს ნამყო დროში: „მე მოვეკვი“. ვილაყ სხვა წერს: „ის მოკვდა.“ ჩუგუნოვი მოკვდა. ხვალ უთუოდ მის ნაცვლად კომსომოლსკაიაში გაფრინდება სხვა ინჟინერ-აეროლოგი. სიცოცხლე არ ჩერდება, იგი მიიწევს წინ. გზას გაუდგება ტრაქტორ-მატარებელიც, მაგრამ ჩუგუნოვის გარეშე. ჩუგუნოვი ახალგაზრდა იყო, ცოლი ანტარქტიკაში გამომგზავრებამდე რამდენიმე ხნით ადრე შეირთო. ორიოდ დღის შემდეგ ჩვენ მას დავასაფლავებთ მირნიში, დეივისის ზღვის ნაპირზე.

ანტარქტიდის თეთრ კაბადონზე სამუდამოდ დარჩება მისი ნაკვალევი.

1968 წლის 24 იანვარი

ბობოქრობს ძლიერი ქარი, უფრო სწორად, შტორმი. სამხრეთში -- პიონერსკაიაში, კომსომოლსკაიასა და ვოსტოკში — კარგი ამინდია. ოაზისშიც დარია, მირნის თავზე კი ღმუის და წივის ქარიშხალი. მართალია, ამის გამო ვერ მივემგზავრები ოაზისში, მაგრამ რაღაც მშობლიურია ქარიშხლის ღმუილში. ხვალ ან ზეგ ოაზისში გაფრინდება სამი უკანასკნელი თვითმფრინავი, მერე კი მასთან კავშირი გაწყდება დიდი ხნით, სანამ იქიდან ვერტმფრენი არ დაბრუნდება. ქარისაგან მოკუნტული, დღეში ათჯერ მაინც გადავდივარ მფრინავებთან და ვეკითხები, ხომ არ აპირებს გამო-

დარეზას და ხომ არ გაეფრინდებით-მეთქი. მაგრამ გამოდარეზას არ აპირებს.

დღევანდელ ქარბუქში მართლაც არის რაღაც მშობლოური. იგი გვეწვია სამხრეთ-აღმოსავლეთიდან და, როგორც იქნა, ამოძრავა ყინული დეივისის ზღვაში, უფრო ზუსტად, მირნის რეიდზე. იქ, სადაც გუშინ მხოლოდ ვიწრო ბზარი იყო და მარტოდენ თვითმფრინავიდან თუ შენიშნავდით, ახლა ქათქათა ყინულის ხაზოებს შორის შავად მოჩანს სუფთა წყლის ფართო ზოლი. ვინ მოთვლის, რამდენჯერ მინახავს ყინულთსვლა ზღვაზე, ნაპირთან ახორავებული ხორცი, მაგრამ აქ ყველაფერი სხვანაირადაა. აქაური ყინულის მოძრაობა აღესილია სიღინჯითა და დიადი სიღარბისლით. მძიმე, თუჩისმაგვარი აისბერგები ჩიუტობენ და ასე გგონია, ადგილიდან ფეხს არ იცვლიანო, მაგრამ ერთი რამ მაინც აშკარაა: ყინული დაიძრა, მაშასადამე, ზაფხული დადგა. თუმცა უნდა ითქვას, რომ წყალი, რომელიც დროდადრო შტორმის მოქანავე მარმამის ქვეშ დგაფუნობს, გარეგნულად ყინულოვით ცივი ჩანს, სწორედ ისეთი ცივი, როგორც იცის ხოლმე ესტონეთის თავთხელ სრუტეებში ნოემბრის შუა რიცხვებიდან დეკემბრის ბოლომდე.

ა-უუუ! ა-უუუ! ა-უუუ! — დაჰქვითინებს მირნის ქარიშხალი. ვერტმფრენზე ძაგძაგებს ამწევი ხრახნის ლოპოტები, მეტეოროლოგიურ მოედანზე წივის დაქიმული მავთულეები, ქარაშოტი აქეთ-იქით ფანტავს ფრინველებს, მიაგორებს ცარიელ ყუთებს. ქარიშხალისგან აფორიაქებული ეს არემარე სოფლური სულითაა გაჟღენთილი. ჰაერში რომ ირეოდეს შემოდგომის ფოთლები და ლელქაშის დამსხვრეული ტოტები, სახურავზე კი ჩხაოდეს ფრთებდაშვებული ყორანი, ეს იქნებოდა ესტონეთის სოფლის ნამდვილი სურათი ოქტომბრის ავდრიან დღეს. მირნიში მხოლოდ ზღვა არის სხვაგვარი, უფრო მძვინვარე და ცივი, რომელსაც დიდებულ იერს აძლევს ყინულის თეთრი ხრამები, შავ წყალზე მოტივტივე ბრტყელი აისბერგები.

დღეს საღამოს ცხრა საათზე დანიშნული იყო ჩუგუნოვის დაკრძალვა. ყველანი მეტეოროლოგიურ მოედანზე მოვგროვდით. ქუთუბელებიან, თავზე კაპიუმონწამოცმულ აღამიანებს ქარი სახეში

სცემდა და მოკუნტული მიაბიჯებდნენ. ისინი ისე მიდიოდნენ, თითქოს მხრებზე აწვათ ანტარქტიდის მთელი ყინული, სიკვდილის მთელი სიძიმე. ყუმამშემოვლებული კუბო ტრაქტორის მარხილზე დაასვენეს. საპატიო ყარაულში დადგნენ ჩუგუნოვის ამხანაგები — მეტეოროლოგები და აეროლოგები. ქარი ლამობდა შემოეგლიჯა მათთვის ქურთუკები და კაპიუშონები.

სიტყვები წარმოთქვეს ბუგაევმა, ტოლსტიკოვმა და ტრეშნიკოვმა. სამივე ამ მამაცმა ადამიანმა იცის, რა არის რისკი და რისთვის ღირს რისკის გაწევა. მე რომ სიტყვასიტყვით ჩამეწერა მათი ნათქვამი, იგი უთუოდ გულგრილი მოგეჩვენებოდათ. სიკვდილი მუდამ გულს გვიხშობს, იგი ყოველთვის მძიმეა, ჩვენს მცირე რაოდენობას კოლექტივში კი სამჯერ უფრო მძიმე განსაკუთრებით იმათთვის. ვისაც დიდი პასუხისმგებლობა აკისრია.

ჩუგუნოვის კუბო წაასვენეს მირნის ახლომდებარე მორენაზე. ჩუგუნოვი დროებით, დეივისის ზღვაზე ყინულის ისევ გამაგრებამდე დავასაფლავეთ აქ. შემდეგ კუბოს გადაასვენებენ მირნის რეიდის ერთ-ერთ კუნძულზე, სადაც უკვე სძინავს განსვენებულის ორ ამხანაგს, რომლებიც ჩამოქცეულმა ბარიერმა იმსხვერპლა.

სალუტი სანადირო თოფებიდან მისცეს. ქარის ღმუილში ბათქი სუსტად გაისმა.

მაგონდება ზეგერსის წიგნის სახელწოდება „მიცვალებულები რჩებიან ახალგაზრდებად“ და მერე უკვე იაკუნინისა და იაკოვლევის ოთახში დიდხანს ვფიქრობ სიკვდილზე. ვიმედოვნებ. ჭერჭერობით იგი შორსაა ჩემგან, ან იქნებ, ახლოსაცაა — ორი-სამი დღის სავალზე. და თუ მე მართლაც მოვეუტანე ვინმეს ბედნიერება რამდენიმე დღით ან საათით მაინც, თუ გავუწოდე ხელი მძიმე წუთებში, დაე, ამის სანაცვლოდ უკანასკნელ ეამს სულში მეტი ნათელი მედგას, ვიდრე ახლა.

ქარიშხალი დაჰქვეითინებს მირნის.

1958 წლის 26 იანვარი.

ანტარქტიდაში მომთქვნი უნდა იყო. ეს დიდი მატერიკი დიდ მოთმინებას მოითხოვს. გაფრინდები სადმე ერთი დღით, უცებ ამინდი გაფუჭდება — იჯექი მერე იქ ერთი კვირა, ანდა თუნდაც



ერთი თვე, თუ არ გაგიმართლა, რამდენიც არ უნდა იხტუნო, რამდენიც არ უნდა იწრიალო, არაფერი გამოვა. აქაურ ასობით კილომეტრიან მანძილებს ფეხით ვერ გაივლი, ლანძღვა-გინება კი არც ავად გამოგადგება რამეში და არც კარგად.

თვითმფრინავი „ლი-2“ დილითვე დატვირთეს და ოაზისში წასასვლელად გაამზადეს, მაგრამ ქარი არ ცხრება. მოაწია საუზმობის დრომ. საათი კი ჩიუტად მიიწევს და მიიწევს წინ, და აი, დგება სადილობის ეამი.

14 საათზე და 15 წუთზე თვითმფრინავი მანც ადის ჰაერში. პილოტები რიეკოვი და გრიგორიევი. მგზავრები სამნი ვართ: გლაციოლოგიური ჩგუფის უფროსი ზაკიევი, მირნის ექიმი ლიფლიანდსკი, რომელიც ოაზისში ავადმყოფი რადისტის სამკურნალოდ მიემგზავრება და მე. ჩვენი გეზის წრფე გადის თითქმის პირდაპირ ოსტზე, აღმოსავლეთ გრძედის 100-სკენ.

მძლავრი სამხრეთის ქარი ჰაერში ასვლისთანავე ეკვეთა თვითმფრინავს. ჩვენს ხელმარჯვნივ გადაქიმულია დედოფალ მერის მიწა, ხელმარცხნივ და ჩვენს ქვემოთ — დეივისის ზღვა. იგი სავსეა აისბერგებითა და ნაპირსმოწყვეტილი ქათქათა ხორგებით. რომელთა შორის მუქად მოჩანს სუფთა წყლის ფართო ზოლი. მხედველობა კარგია, გარკვევით ჩანს მატერიკის ყინულის მკვეთრად მოხაზული მრუდე. ყინული ხან მთლიანია, ხან დანაწევრებული.

მივფრინავთ ელენეს ყინვარის თავზე. იგი ოდნავ აღმოსავლეთითაა მირნიდან. დაბრეცილი, დანაოქებული, დამსკდარი აისბერგები — ზოგან ერთად შეჯგუფულნი, ზოგან უწესრიგოდ მიმოფანტულნი — საოცარ, წარმოუდგენელ ქაოსს ქმნიან. რა გოლიათური ძალაა, რა გაუგონარი სიმძიმე! ამ აისბერგის მშობელი ადგილი ელენეს ყინვარია, რომელიც გარკვევით ჩანს თვითმფრინავიდან და ზღვაში მოტივტივე უზარმაზარ თეთრ ბორანს წააგავს. იგი ერთიანად ლაპლაპებს მზის ვაშკავაშა შუქზე. რად არქმევენ ქალის სანელებს ასეთ ველურ ადგილებს, ასეთი ველური სილამაზისა და სიძლიერის ადგილებს?

ელენე უკან რჩება. ახლა ჩვენს ქვემოთ უდრტვინველი, თეთრი ზღვის ყინულია: მარცხნივ ოკეანეა თავისი აისბერგებითა და მუქი სილურჯით, მარჯვნივ კი მატერიკის ყინულის ციცაბო ბარიერი და

ღრუბლით შებურვილი, დაბრეცილი ანტარქტიდის გუმბათი. ქვე-  
მოთ, ყინულის კიდეზე, მოფორთხავს სელაპი. სელაპები აქ ბევრია.  
ერთ გუნდში ოცდაორი სელაპი დავთვალე.

გამოჩნდა როსკოს ყინვარი. იგი ელენეს ყინვართან შედარებით  
მშვიდად გამოიყურება, თუმცა რუკაზე უფრო ვრცელი და საზა-  
რელი ჩანს. ელენეს ყინვარი, ალბათ, იმიტომ მეჩვენა ასეთი მძლავ-  
რი და, შეიძლება ითქვას, აქტიური, რომ ჩვენი კურსი გადიოდა  
ყინვარის კონცხზე, რომელიც ზღვაშია შექრილი.

ხელმარჯვნივ წინანდებურად მატერიკია — დედოფალ მერის მი-  
წა, მაგრამ ჩრდილოეთით უკვე აღარ ჩანს სუფთა წყალი, ახლა  
ჩვენს ქვემოთ გადაქიმულია უზარმაზარი და ერთფეროვანი ყინუ-  
ლის თეთრი ველი. ძირს შეკლტონის შეღფური, ესე იგი, მცურავი  
ყინვარია. იგი ერთი უდიდესთაგანია მთელს ანტარქტიკაში. მე სულ  
სხვაგვარად წარმომედგინა ეს ყინვარი, მეგონა ერთიანად დახრა-  
მულ-დასერილი, უფრო მოუსვენარი, უფრო ქაოსური და ცოცხალი.  
თერძე ამდაგვარი არ ყოფილა. თვით კუნძულ მასონსაჲ კი, რომე-  
ლიც ამ ყინვარის შუაგულში, მირნიდან ას ორმოცდაათი კილო-  
მეტრის დაშორებით მდებარეობს, არ ძალუძს გამოაცოცხლოს ეს  
თეთრი უდაბნო. მართალია კუნძული დიდია, მაღლაა ამოზნექილი  
და უზარმაზარ კუზს ქმნის, მაგრამ ისიც მთლიანად ყინულსა და  
თოვლშია ჩამარხული. გეგონებათ, კუნძული კი არა, უზარმაზარი  
სიდიდის ნამქერიაო. ჩვენ ვერ ვხედავთ მის დაჩრდილულ მხარეს  
და ამიტომ უფრო მეტად წააგავს ნამქერს.

15 ს ა ა თ ი და 30 წ უ თ ი. სადღაც ხელმარჯვნივ მოჩანს  
მატერიკის ყინულიდან გამოჩრილი შიშველი, ქუფრი კბოდეები. ამ  
უსულო სამეფოში, სადაც სიცოცხლის ერთადერთ ნიშანწყალს  
წარმოადგენს ყინულის გადანაცვლება, ქარისა და თოვლის ქიდი-  
ლი, მზის ბრწყინვა, სელაპივით მრგვალოთაჲ ეს ქუფრი კბოდეები  
მეგობრულ, ცოცხალ არსებებს ჰგვანან.

მიფერინავთ დენმანისა და სკოტის ყინვარებზე. შემდეგ ჩვენს  
თვალწინ ბანგერის ოაზისი გადაიშალა. სადღაც იქ, შუა ადგილზე,  
მდებარეობს ჩვენი სადგური ოაზისი, მაგრამ ვერ ვხედავთ. ბანგე-  
რის ოაზისს გარს ყინვარები არტყია. მათ შორის თითქოს ფანტას-  
ტიკურ ანდა მთვარის ლანდშაფტზე ამოშვერილან მომცრო

კლდეთა მიხაკისფერი კონუსები. ზემოდან ეს ლანდშაფტი საზარელი, გულქვა, პირქუში და უსიცოცხლო ჩანს — ოაზისი კი ჰქვია, მაგრამ ცხოველების პირობები აქ ყინვარებზე უკეთესი როდია.

რამდენიმე წუთის შემდეგ ბანგერის ოაზისი თვალს მიეფარა. ძირს დაშვება ვერ შეეძლებოდა. ქვემოთ საშინელი ქარიშხალი ბო-ბოქრობდა — ოცდახუთი მეტრი წამში. თვითმფრინავი ისე ირყეო-და, რომ მთელი ოაზისი ერთ მიხაკისფერ ლაქად იქცა.

იძულებული გავხდით, უკან დაებრუნებულიყავით. ხვალ ისევ გავფრინდებით.

დღეს „კოოპერაცია“ პორტ-ლუიში ჩავიდა.

1958 წლის 20 იანვარი

დილით ისევ აეროდრომზე გავემართე, რომ ოაზისში გავფრე-ნილიყავი. ქროდა ძლიერი ქარი. იგი შხუილით ეხეთქებოდა თვით-მფრინავს და ატორტმანებდა მას. ვისხედით, ვაბოლებდით, ველო-დით, მაგრამ უშედეგოდ. რადიოთი გვაუწყეს, ოაზისიდან გამოსუ-ლი ვერტმფრენი, რომელიც ოაზისიდან ოცდახუთი კილომეტრით დაშორებულ აეროდრომზე უნდა მისულიყო, ისევ უკან დაბრუნდა, რადგან კლდეების თავზე ქარი მეტისმეტად არყევდაო. აეროდ-რომიდან ოაზისში მისვლა კი მხოლოდ ვერტმფრენითაა შესაძლე-ბელი. თუკი იგი ჩვენს წასაყვანად ვერ მოვა, ფრენას აზრი არა აქვს. იქაური გზა ძნელი და საშიშია, რადგან ერთიანად დაბზარუ-ლია. უფრო გვიან გვაცნობეს, დაშვების დროს ვერტმფრენს ამწე-ვი ხრახნის ერთ-ერთი ლაპოტი გაუტყდაო.

შინ დაებრუნდით.

მირნიში რამდენიმე დღეა კომსომოლსკაიიდან ჩამოვიდა პავლიკ სოროკინი. მე რამდენჯერმე ვნახე იგი კაიუტ-კომპანიაში. დღეს ისევ შევხვდი. პავლე გამხდარა, სახე გასცრეცია, ძველებურად მხი-არული აღარაა, გამომეტყველებაც უფრო დინჯი აქვს.

გამოვესაუბრეთ ერთმანეთს. ვკითხე, რა დაგემართა-მეთქი. თავ-დაპირველად მოიღუშა, მერე მხიარულად და გულიანად გაიცინა

და თავისი ნაღვლიანი ამბავი მომითხრო. ჰყვებოდა და სახეზე უკიდურესი გაოცება ეხატებოდა.

სოროკინი მირნიში უმთავრესად მედიკამენტებისთვის ჩამოსულა. იგი ჩვენს ექიმებთან ლიფლიანდსკისა და შლეიფერთან შეუსახლებიათ. ეს ექიმები კი ისეთი ქილიკები არიან. გაუკილავს არავის ტოვებენ. მიამიტი, გულისხმიერი და თანამგრძობი გამომეტყველებით ისე გაგაცურებენ, მერე მთელი ექსპედიციის თავშესაქცევი გახდები.

შლეიფერი მუცელგამობერილი, ჩამრგვალებული, ბრგე და ახოვანი კაცია. სახე ისეთი სოლიდური და მშვიდი აქვს, იფიქრებთ, მძინარე იელოვანო. ქუთუთოებით დამძიმებული თავლისფერი თვალები თითქოს გულგრილობითა და აპათიით აღვსებია. იგი ეროვნებით ებრაელია, განათლებით — კბილის ექიმი, სპეციალობით — პოლარული ექსპედიციის მედიკი. ეს უკანასკნელი იმას ნიშნავს, რომ მისი ცოდნა ცოტათი უნდა აღემატებოდეს (და აღემატება კიდევ) სტომატოლოგიის ვიწრო ჩარჩოებს.

ლიფლიანდსკი შლეიფერზე ახალგაზრდაა. იგი ქირურგია. რვა წელი იმუშავა შორეულ ჩრდილოეთში. მსუქანია, მეოცნებე კაცის თვალები და ალაღმართალი კაცის გარეგნობა აქვს. მაგრამ გარეგნობა მაცთურია. აქაურ საავადმყოფოსა და აქაურ „ლათინურ სამზარეულოში“ საშინლად შხამიან ოინებსა და ფანდებს იგონებენ.

აი, თუ გნებავთ, მაგალითი.

თურმე შლეიფერის და ლიფლიანდსკის წინაშე წარსდგა ახლახან უნივერსიტეტდამთავრებული ახალგაზრდა სპეციალისტი, რომელიც პირველად ჩამოსულა პოლარეთში. იგი უნდა გაფრენილყო რომელიღაც შორეულ სადგურში. ახალგაზრდა უჩიოდა ჯანმრთელობას, თუმცა, არავითარი საფუძველი არა ჰქონია. ექიმებს მიუციათ რამდენიმე საქმიანი დარიგება და ურჩევიათ თან წაეღო სათბილებელი, რომელსაც სხეულის ერთ-ერთი, მეტად ნაზი ნაწილისათვის იყენებენ ყინვების დროს. არ ვიცი, რომელ ექიმს დაუმატებია, — სათბილებელი ორგვარია: ერთი — შალის, უბრალო, ექსპედიციის რიგითი წევრებისათვის, მეორე კი ხელმძღვანელებისათვის — შედარებით რთული. ეს უკანასკნელი ძირითადად შედგება ძაღლის ბეწვისა და ელექტროსათბურისაგანო. თურმე ექიმები

დაბეჭითებით ურჩევდნენ მოეთხოვა ხელმძღვანელებისათვის განკუთვნილი სათბილებელი, რადგანაც სიკვდილის, კანონის, მზარეულისა და ყინულის წინაშე ყველანი თანასწორიაო. ვფიქრობ, ამასთანავე გამოითქვა აგრეთვე ბრტყელ-ბრტყელი სიტყვები თანასწორუფლებიანობასა და დემოკრატიაზე.

ცხადია, არც შალისა და არც ბეწვის სათბილებელი არ არსებობს. მაგრამ კაბუკი ანკესზე წამოეგო და უშველებელი განცხადება გამოაცხო, რომელსაც ექსპედიციის უფროსის მოადგილემ სამეურნეო დარგში ლაკონური რეზოლუცია დაადო: „უარი ეთქვას!“ ტოლსტიკოვი კი უცებ ვერ გაერკვა საქმის ვითარებაში და იკითხა:

— კი მაგრამ, თუ მართლა არსებობს ტექნიკის ეს სასწაული, რატომ არ აძლევენ?

ეს ამბავი პირიდან პირში გადადის, ყოველდღიურად სრულყოფილი ხდება და ივსება ახალი დეტალებით — იგი უკვე მირნის ზეპირსიტყვიერი ქრონიკის საკუთრება გახდა.

მაგრამ დავუბრუნდეთ სოროკინს. ექიმებმა იგი ასე გააცურეს: მათ ოთახში ცხოვრობს მეორე ექსპედიციის მედიკი ტიხომიროვი -- გარეგნულად ცივი და პირქუში კაბუკი. სოროკინი მასთან ჩაასახლეს.

ლიფლიანდსკისა და შლეიფერის ჩავონებით ტიხომიროვმა შემოიღო მოიჯონა, მაგრამ იგი ბორგენეულ გიჟად კი არ უნდა მოსჩვენებოდა მას, არამედ წყნარ გიჟად. მან ჩაითრია სოროკინი. რომელიც უკვე გაფრთხილებული ჰყავდა ორივე მეგობარს შესაძლებელ უსიამოვნებათა გამო, ექიმების წინააღმდეგ შეთქმულებაში: ტიხომიროვი პავლეს თვალწინ ფანჯრიდან ჰყრიდა რაღაც ტაბლეტებს და აფიცებდა ექიმებთან ხმა არ ამოიღო. იგი უჩვენებდა პავლეს საწოლის ქვეშ შენახულ მუყაოს დიდ ყუთს და ამბობდა:

— „კოოპერაცია“ — ბუჰ, ბუჰ!

რაც ნიშნავდა, აქ ისეთი ნივთიერება მაქვს, ხომალდს ავაფეთქებო.

სოროკინმა დაიჭერა, რომ იგი შემოიღო, „წყნარი გიჟია“. ტიხომიროვმა საესებით დაარწმუნა იგი ამაში თავისი ქცევითა და მორთულ-მოკაზმულობით. საღამოობით, როცა აბლომახლო არსად

ჩანდნენ შლეიფერი და ლიფლიანდსკი, იგი კორსიკელ მეკობრესა-  
ვით თავზე პირსახოცს შემოიხვევდა, ყელზე თოკით ფორთოხალს  
ჩამოიკიდებდა და მკერდზე ინგლისური ქინძისთავით გულის ექვ-  
სიანს მიიბნევდა. ასე მოკაზმული, მოღუშული დაეხეტებოდა და-  
ცარიელებულ ბნელ საავადმყოფოში და სოროკინს შიშით გულს  
უხეთქავდა. დილათ კი თვალმოუშორებლად მიაჩერდებოდა და  
უებნებოდა:

— წუხელ მთელი ღამე ვფიქრობდი, მოვაკენიტო ყური თუ  
არა-მეთქი. გადავწყვიტე არ მოვაკენიტო. ჭერჭერობით მე შენ  
მომწონხარ. რა გვეჩქარება, მერე კი ვნახოთ.

დაფეთებული სოროკინი საჩივლელად თავის მეგობართან, მშე-  
ნებელთა ჯგუფის მეთაურ კუნინთან გაიქცა. იგი ვერაფრით დაეხ-  
მარა პავლეს, მხოლოდ თავდასაცავად დიდი ჭოპოსანი გამოატანა.  
პავლე კიდევ ორი ღამე იტანჯებოდა და ყოველი შემთხვევისათვის,  
ჭოპოსნით ხელში იძინებდა.

ახლა კი თვითონვე უკვირს.

— ო, როგორ გამაბრიყვეს! ვთქვათ, თავს რომ პირსახოცით  
იკრავდა — გასაგებია. ფანჯრიდან ფხვნილს რომ ყრიდა — ესეც გა-  
საგებია. ყურის მოკვმა რომ უნდოდა — არც ესაა მოულოდნელი  
ამბავი: ერთმა დიდმა მხატვარმა ყური თვითონვე მოიჭრა, უფრო  
მომხიბლავი გარეგნობა შექნებოა. მაგრამ ფორთოხალი და გულის  
ექვსიანი? — აბა, რომელი გაჟი მოიფიქრებს ამას? სადაა ლოგიკა?  
მე კი დავიჯერე, იურის ძევ, ღმერთმანი, დავიჯერე.

და მან სინანულით დასძინა:

— საწყენია, რომ უნდა გავფრინდე. ამ ექიმებისთვის უკვე მო-  
ფიქრებული მაქვს ერთი ოინი. გენიალური ოინია!

როგორიც არ უნდა იყოს ეს ხუმრობანი, სწორედ ისინი ამსუ-  
ბუქებენ და ახალისებენ აქაურ ცხოვრებას, განსაკუთრებით მაშინ,  
თუ შენ თვითონ არა ხარ ხუმრობის საგანი და ამ მხრივ არაერთარი  
საფრთხე არ მოგელის.

ვოსტოკში უკვე ჩავიდა ტრაქტორ-მატარებლის ის რგოლი, რო-  
მელსაც უნდა ჩაეტანა სურსათის მარაგი. კომსომოლსკაიადან ვოს-  
ტოკამდე მანძილი მან შედარებით მალე გაიარა. ტრაქტორები  
ჩვეულებრივზე მეტი იყო და თვითეულს გაცილებით მსუბუქი

ტვირთი მიჰქონდა. თვით მატარებელი კომსომოლსკაიაში დგას და ელოდება ვოსტოკიდან ტრაქტორების დაბრუნებას. მერე დაიწყება ძნელი რეიდი სოვეტსკაიას მიმართულებით.

1958 წლის 27 იანვარი

მშვენიერი, თბილი, ქარბუქიანი დღეა. არც ერთი თვითმფრინავი არ დაფრინავს. განუწყვეტლივ ღმუის ქარი. ვიხედები ყველა კარში — აქ კარს არ კეტავენ — და ყველგან ნაცნობს ვნახულობ. ტალინში კი, სახლში, სადაც მე ვცხოვრობ, ცხრა პატარა ბინაა, მაგრამ მობინადრეებს შორის მხოლოდ ერთს ვიცნობ, იმათზე კი, რომლებიც ჩემს გვერდით ან სართულით დაბლა ცხოვრობენ, წარმოდგენაც არა მაქვს. აქ კი ვიცნობ საკმაოდ ბევრ ადამიანს, რომლებთანაც ვცხოვრობდი (თუმცა მოკლე ხნით) ხომალდზე და მირნიში, რომლებიც ახლახან ჩასახლდნენ მეზობელ ბინებში: ოაზისში — აღმოსავლეთ გრძედის 100-ზე, პიონერსკაიაში — სამხრეთ განედის 69-ზე, კომსომოლსკაიაში — სამხრეთ განედის 74-ზე, ვოსტოკში — სამხრეთ განედის 78-ზე. ვიცნობ, იმათაც კი, რომელთა ზამთრის ბინა ჯერ კიდევ მზად არ არის სოვეტსკაიაში. ზღვა აკავშირებს ადამიანებს — უნდათ თუ არა ეს — ათჯერ უფრო მჭიდროდ, ვიდრე დედამიწა, პოლარული ცხოვრება კი, განსაკუთრებით პატარა სადგურებზე, მათ გაცილებით მეტად აკავშირებს, ვიდრე ზღვა.

მაგრამ ყველა ეს სახეები, ეს ხასიათები, სხვადასხვა ჯურის ყველა ეს ადამიანი, რომლებსაც სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება აქვთ ცხოვრებისადმი, და უაღრესად მსგავსი, მაგრამ მაინც არაერთნაირი დამოკიდებულება შრომისადმი, ადამიანები, რომელთა შორის თვითეულს თავისი გარეგნობა აქვს, თვითეული თავისი ნაბიჯით მიდის ცხოვრების გზაზე — ჯერ კიდევ ან კარგად ვერ შევიცანი, ანდა ჯერჯერობით მეტრისმეტად ახლობელნი არიან ჩემთვის და ამიტომაც არ შემიძლია უფრო გულდასმით აღვწერო ისინი. ავსახო და გავაანალიზო. ანტარქტიდა დიდი მანძილების კონტინენტი და თითქოს მოითხოვს. დავხატო აქაური ხალხი დიდი ხნის გავლის შემდეგ, რომლის დროსაც დავიწყებას მიეცემა ყოველივე ის, რაც თავდაპირველად ნიშანდობლივი მეჩვენა, რაც ბუნ-

დოვნად მოჩანდა სადღაც წინა პლანზე, მაგრამ მერე გაქრა და დარჩა მხოლოდ ის, რაც ყველაზე მეტადაა მნიშვნელოვანი ამა თუ იმ ადამიანისათვის, რაც მხოლოდ მისთვისაა დამახასიათებელი, რაც გამოარჩევს დიდ კოლექტივში და ამავე დროს, აკავშირებს მასთან.

ზოგჯერ გულის ამაჩუყებელია, მომხსენებელი შენზე რომ ჰყვება: დაიბადა მეთევზეთა სოფელში, დაამთავრა დაწყებითი სკოლა, მაგრამ უსახსრობის გამო ვერ შეძლო სწავლის გაგრძელება, თევზაობდა, ხნაედა. კემპარიტად გულის ამაჩუყებელია! მაგრამ ის, რომ არ შეძლო სკოლაში სიარული, რომ ვისწავლე ასე ძალიან ცოტა და ყოველგვარი სისტემის გარეშე, რომ არ მაქვს პოლიტექნიკური განათლება, და ამის გამო ვერც თანამედროვე საკვლევ ტექნიკას ვიგებ — ეს გულის ამაჩუყებელი კი არა, უბრალოდ, ცუდი ამბავია. დღეს ვიყავი გეოფიზიკოსების სახლში. გონჩაროვი და საფრონოვი ცდილობდნენ მოთმინებით და რაც შეიძლება მარტივად და გასაგებად აეხსნათ ჩემთვის ხელსაწყოთა მოწყობილობა, რომლებიც განკუთვნილია კოსმიური გამოსხივების გამოსაკვლევად, დედამიწის მაგნეტიზმის დასადგენად, სეისმური გაზომვებისათვის და ა. შ. იქიდან ისეთი გრძნობით დავბრუნდი, რომ ვარ უმეტესად კაცი, რომელსაც შეუძლია გაარჩიოს სკალაზე დაწერილი ციფრები, მაგრამ არ ძალუძს ჩაწვდეს მათ არსს. ამის შემდეგ საათნახევარი ძაღლებთან ვიჯექი. რამდენად პოეტურიც არ უნდა იყოს შენი სული, ატმოსფეროს როგორ მალალ შრეებშიც არ უნდა ფრინავდეს შენი გრძნობები, ტექნიკური განათლების გარეშე, ტექნიკის ნამდვილი ცოდნის გარეშე მხოლოდ მარხილების სათრევად თუ გამოდგები ანტარქტიკაში.

ტექნიკა, ტექნიკა, ტექნიკა — ყველაზე რთულიდან ყველაზე მარტივამდე. ხელსაწყოები მყუდრო ოთახებში, ცნობების აღმრიცხველი და გადამცემი ხელსაწყოები ღია ცის ქვეშ. დღე და ღამე ზუზუნებს ელექტროსადგური, გრუხუნებენ მუხლუხა ტრაქტორები, „პინგვინები“ და ბულდოზერები. დღე და ღამე უსხედან აპარატებს ყურსაცვამებიანი რადისტები და მთელ მსოფლიოსთან კავშირი აქვთ დამყარებული. ამ ღამით რადისტი ელადიმერ სუშანსკი დაელაპარაკა რომელიღაც ტალინელ რადიომოყვარულს. აქ შორეული ახლობელი ხდება.



მაგრამ აქვე, საწყობების მიღმა, ჩაყურსულა დაფერდებული შენობა, სადაც ტექნიკა ზედმიწევნით სოფლურია, ეს სალორე გახლავთ. ოდესმე არსებული სალორეებიდან განსხვავებით, მის წინკარში ბინადრობს ოთხი პინგვინი. შიგნით კი მშვენიერი ქართაა გამართული და ამ ქართაში დამწყვდეული არიან სხვადასხვა ასაკის ვარდისფერი, ნასუქი ღორები. ერთი ღედა ღორის ზურგს უკან მოჩანს ექვსი ექვსთვიანი ქრელი გოჭი.

1958 წლის 28 იანვარი

ძლიერი ქარია. ისევ და ისევ მძვინვარებს ქარბუქი. ზატხულში მირნიში აუცილებლად უნდა გეცვას ქურთუკი, შალის წინდები და თბილი საცვლები. მართალია, დღეს ოაზისში გაფრინდა თვითმფრინავი და აეროდრომზე დაეშვა, მაგრამ არავითარი აზრი არ ჰქონდა გავყოლოდი. აეროდრომიდან, სადაც ბარგი გადმოტვირთეს, სადგურამდე ფეხით მისვლა შეუძლებელია. ვოსტოკშიაც, სადაც ვოცნებობ ჩავიდე, დიდი ხანია არ დადიან თვითმფრინავები. ის თვითმფრინავებიც კი, რომლებიც იქაურ სადგურებზე არიან მიჩენილი, ჯერ ისევ მირნიში დგანან. ანტარქტიკა მოითხოვს მოთმინებას. მე აქ ოთხი ათასი კილომეტრი ვიფრინე და შესაძლოა, საქმეც ამით დამთავრდეს. „კოპერაცია“ უკან ბრუნდება, და მირნიდან ყოველი გაფრენა სარისკოა, შეიძლება სადმე ჩარჩე და გამოზამთრება აქ მოგიწიოს.

როგორ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ადამიანები! დღეს დილით მესამე ექსპედიციის ერთი დროებითი მონაწილე, რომელიც ჩემთან ერთად ჩამოვიდა აქ და ჩემთან ერთად უნდა დაბრუნდეს უკან, დიდხანს ედავებოდა საწყობის უფროს შაკიროვს. იგი უკვე ორი დღეა გეგმებს აწყობს, როგორ დარჩეს აქ გამოსაზამთრებლად და გულში დაეძებს კიდეც თავისთვის ბინას. სად ჯობია მოიკალათოს? მეტეოროლოგებთან, გლაციოლოგებთან, გეოფიზიკოსებთან თუ რომელიმე სხვა ჯგუფთან. თავისი პროფესიის მიხედვით სულ ერთია, რომელ ჯგუფთანაც იქნება: ამით არც წააგებს ვინმე და არც მოიგებს. აქ გამოზამთრების სურვილი სულ უბრალო მიზეზით აიხსნება: დღიურით. დღეს დილით ისეთი წინდაუხედაობა გამოიჩინა, რომ ლაპარაკი ჩამოავდო, როგორ მიიღებს

დღიურებს. აი, თურმე როგორ მიიღებს. ინტელიგენტურად მოირთხმება ოთახში, უფრო მეტიც, დაიწყებს ინგლისურიდან თარგმნას; როგორც ექსპედიციის მონაწილე, იგი ხომ უფრო ადვილად გამოაქვეყნებს საკუთარ თარგმანებს მოსკოვში. და კიდევ უკეთესი, არის ერთი სენსაციური ფრანგული რომანი, ბესტსელერი, როგორც გავიგე, თავიდან ბოლომდე პორნოგრაფიული. თარგმნისთვის დასჭირდება ერთი თვე. იგი მას გადათარგმნის არა გამომცემლობისათვის, არამედ, უბრალოდ, თავისთვის და თავისი მეგობრებისათვის. ამისთვის მას დასჭირდება ერთი თვე, და ამ ხნის განმავლობაში გადაუხდინან ანტარქტიკის დღიურს.

შაკიროვი ყურს უგდებდა მას და უფრო და უფრო ახრჩობდა ბოლმა.

— ათასები!.. — თქვა მან ბოლოს.

— რა ათასები? — გაღიზიანებული ხმით შეეკითხა მეოცნებე და დააქყიტა თავისი დიდრონი, ქალივით ლამაზი თვალები.

— ათასები უნდა იხადოს სახელმწიფომ პირადი სიამოვნებასათვის განკუთვნილი ამ საროსკიპოს თარგმნისათვის, — უპასუხა შაკიროვმა.

ამ უხეში გამოთქმით შეცბუნებულმა მეოცნებემ დაიწყო რაღაც ლაპარაკი ლიტერატურაში პოლიტიკურ ნეიტრალიტეტზე, იმაზე, რომ კულტურული კაცი ანტარქტიკაშიც არ უნდა ჰკარგავდეს თავის კულტურულ, უაღრესად ფრანგულ ინტერესებს, და აგრეთვე იმაზე, რომ რაკი ანტარქტიკაში მოხვდა, კეთილი ინებონ და აძლიონ ფული, როგორც პოლარულ მკვლევარს.

შაკიროვი აბედივით აინთო. დროდადრო არც თუ ისე ლიტერატურული სიტყვების მოშველიებით მან აუხსნა, რომ მანეთებიდან დგება მილიონი, რომ სახელმწიფო იმიტომ კი არ ხარჯავს სახსრებს, ექსპედიციაში ფულის მზვეკელები ატაროს. მან თქვა, როგორ უნდა იმუშაო ანტარქტიკაში, აღნიშნა, როგორი ორომტრიალი შეიძლება დადგეს ქარბუქის დროს აქ, მირნიში, როცა ქარის სიჩქარე ზოგჯერ ოცდათხუთმეტ-ორმოცდაათ მეტრს აღწევს წამში, შემდეგ იმავე თანმიმდევრობითა. და გააფთრებით შეუტია იმათ, რომლებსაც იმედი აქვთ აბრეშუმის ხელთათმანებით იცხოვრონ ამ ყინულებში. როგორც მეურნემ და კალკულაციის კარგმა

მკოდნემ, შაკიროვმა ამ მეოცნების მსგავსი ადამიანების წვრილმანობა და უპასუხისმგებლობა გადაიყვანა მანეთებში, რომლებიც სახელმწიფომ უნდა იხადოს, მანეთებში კი გადაიყვანა ბინებში. რომლებშიც შეეძლებოდათ ეცხოვრათ მუშებს. იგი წამდაუწყებელ ბრუნდებოდა ფრანგული რომანის. „ამ საროსკიპოს“ თარგმანს. მეოცნებე კი უფრო და უფრო ხრიდა თავს და მომაკვდავის ხმით იმეორებდა:

— მე უფლება მაქვს მივიღო ფული.

შაკიროვმა ნაცარტუტად აქცია ეს „უფლება“. მართალი რომ გითხრათ, იშვიათად მომისმენია ისეთი მგზნებარე, ისეთი უზადოდ დასაბუთებული, ისეთი სახელმწიფოებრივი და ისეთი პატრიოტული, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, საუბარი, როგორც შაკიროვის გულახდილი საუბარი იყო პრესის კაიუტაში. სხვათა შორის, შაკიროვს აქ ახასიათებენ, როგორც ძალიან ფიცხ, მაგრამ უალრესად შრომისმოყვარე კაცს. ადამიანები, რომლებიც მას არ ეთანხმებიან, შაკიროვს მიაჩნია თავის მოწინააღმდეგედ, ე. ი. ადამიანის მოვალეობაზე, ქვეყნისა და ხალხის წინაშე ვალდებულების გრძობაზე ჩამოყალიბებულ საკუთარ შეხედულებათა მოწინააღმდეგედ. უმჯობესია, ასეთები ახლოს არ გაეკარონ.

არის ერთი გამოთქმა გამსკვალული უალრესად მეშინაური შინაარსით — გულქვაობით, გულგრილობით, სულმდაბლობით და მუჭლუგუნებით გზის გაკაფვის მისწრაფებით. ეს გახლავთ „პერსონალური გასამრჯელოს პატრიოტიზმი“. შაკიროვმა, აშკარაა, არ იცის ეს გამოთქმა. მიუხედავად ამისა, მთელი დღე უხსნიდა თავის მოწინააღმდეგეს, რომ მას სწორედ ასეთი პატრიოტიზმი ახასიათებდა.

მალე „მყუდრო ანტარქტიკის მოციქულმა“ განაცხადა: საექვოა, გამოსაზამთრებლად აქ დავრჩე. ანტარქტიკაში უხეში ადამიანები არიან და შეიძლება, არასასიამოვნო რამ გაკადრონ, ამასთანავე შესაძლებელია, ზამთარი მართლაც მძიმე გამოდგეს და ამის გამო იძულებით არასპეციალობის მიხედვით გაქუშაონო და ა. შ.

ნასადილევს მეორე ექსპედიციის მეტეოროლოგიური ჯგუფის უფროსმა კრიჩაკმა მეორე ექსპედიციის მიერ დაგროვილი ცნობე-

ბის საფუძველზე წაიკითხა მოხსენება ანტარქტიკის ჰავის შესახებ. ძალიან დიდი ანტარქტიკის, ამ უზარმაზარი მაცივრის, ზემოქმედება სამხრეთ ნახევარსფეროს ჰავაზე. მისი ყინულის მარწუხები ჩრდილოეთისკენ შორსაა გაშვერილი, მისი სუნთქვა აღწევს ოკეანის შორეულ რაიონებამდე. ანტარქტიკის გარშემო ტრიალებენ ციკლონები და ანტიციკლონები, რომლებიც იშვიათად იჭრებიან ოკეანეებიდან მატერიკზე. ანტარქტიკა თითქოსდა გარშემორტყმულია ფრონტის გიგანტური და უწყესრიგო ხაზით, სადაც ერთმანეთს ეჯახება თბილი და ცივი ჰაერის მასები.

მაგრამ ანტარქტიკის კლიმატური რუკა ჯერ კიდევ სრული არ არის. კონტინენტური სადგურები ერთმანეთისაგან შორს მდებარეობენ, უზარმაზარი სივრცეების შესახებ ჯერჯერობით არ არსებობს არც მეტეოროლოგიური, არც აეროლოგიური ინფორმაციები. ეს კი დიდად უწყობს ხელს დავას, ჰიპოთეზებსა და მეცნიერულ ფანტაზიებს. ანტარქტიკაში ჯერ კიდევ ბევრი რამ არის აღმოუჩენელი და ამოუხსნელი.

ამბობენ, ერთ-ორ დღეში მირნიში ამერიკული ყინულმჭრელი ჩამოვაო.

1958 წლის 30 იანვარი

გუშინ დილით მირნიში ჩამოვიდა ამერიკის სამხედრო ფლოტის ყინულმჭრელი „ბარტონ აილენდი“. დილის შვიდი საათისათვის გამოგვალვიდა უცხო ძრავების გუგუნმა, რომლებიც სახლის ზემოთ გაისმა. იგი სრულებით არ ჰგავდა ჩვენი თვითმფრინავებისა და ვერტმფრენების გუგუნს. ორმა პატარა ამერიკულმა ჰელიკოპტერმა, რომლებიც „ბარტონ აილენდის“ კიჩოს გემბანიდან აფრინდნენ, წრე შემოხაზა მირნის თავზე და ჩვენს აეროდრომზე დაეშვა. ბორბლების ნაცვლად მათ ცილინდრული პონტონები აქვთ, რომელთა წყალობით წყალზეც სხდებიან და ყინულზეც.

ნახევარ საათში მირნი ამერიკელებით აივსო — ზუზუნებენ მათი კინოკამერები, ჩხაკუნობენ ფოტოაპარატები, ვეცნობით სტუმრებს.

„ბარტონ აილენდი“ იღვა ყინულისაგან თავისუფალ მირნის

რეიდზე, უკვე არასაიმედო სანაპირო ყინულის ნაწიბურთან. ამ სამხედრო ყინულმჭკრელის რუხი კორპუსი პატარა ზომისაა, ძრავა — ძალიან მძლავრი. ზომალდს შეუძლია გააღწიოს საკმაოდ სქელ ყინულებში და განავითაროს დიდი სიჩქარე. „ბარტონ აილენდის“ გუშინწინდელი ადგილმდებარეობა და გუშინდელი ჩამოსვლა იმაზე მეტყველებს, რომ ხანმოკლე დროის განმავლობაში მან დიდი მანძილი გაიარა.

ამერიკის ანტარქტიკული ექსპედიცია, კონტინენტურ სადგურებზე მოზამთრეთა მისი ძირითადი კონტიგენტი სამხედრო მოსამსახურეებისაგან შედგება. ექსპედიციის ხარჯებს სამხედრო სამინისტრო იხდის. ამასთან დაკავშირებით უნდა ვიფიქროთ, რომ ავსტრალიის, ინგლისის, საფრანგეთის და ჩვენი ექსპედიციების მეცნიერული პროგრამისაგან განსხვავებით მათი კვლევის პროგრამა სამხედრო ხასიათისაა. „ბარტონ აილენდზე“ თითქმის სულ სამხედროები არიან.

მირინში პირველად ფეხი დაადგა მისტერ ჰერალდ კეტჩემმა, რომელსაც კაპიტნის წოდება და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 43-ე ოპერატიული ჯგუფის უფროსის მოადგილის თანამდებობა აქვს (ამ ჯგუფის ბაზა ანტარქტიკაში იმყოფება), შემდეგ გადმოვიდნენ „ბარტონ აილენდის“ კაპიტანი ბრენინგემი, კაპიტნის თანაშემწე, ეკიპაჟის პირველი ოფიცერი რეინოლდსი, „ბარტონ აილენდის“ ინფორმაციის სამსახურის ოფიცერი, ლეიტენანტი ბეიბი და ბოლოს მეცნიერი მუშაკები: ანტარქტიკის კვლევითი სადგურ „ადერის“ სამეცნიერო ხელმძღვანელი 1956 წლიდან 1957 წლამდე ჯემს ა. შირი, ამერიკის ანტარქტიკული ექსპედიციის გრავიმეტრისტი ჯემს სპარკმენი, შეერთებული შტატების ჰიდროლოგიური სამმართველოს თანამშრომელი, ოკეანოგრაფი სტარი, სადგურ „ლიტლ ამერიკას“ თანამშრომელი რიჩარდ ლ. ჩეპელი, ექიმები: მისტერ ელიოტი და მისტერ მორვანი, და, რასაკვირველია, კორესპონდენტები — ასოშიეიტედ პრესისა მისტერ ტეილორი და „ნიუ-იორკ ტაიმსისა“ მისტერ ბეკერი. გადმოვიდნენ აგრეთვე უმცროსი ოფიცრები, მეზღვაურები და ამერიკის ანტარქტიკული ექსპედიციის მონაწილეები.

ამერიკელები მირინში შინაურულად გრძნობდნენ თავს. მათი.

მეცნიერი თანამშრომლები დიდ ინტერესს იჩენდნენ საბჭოთა მკვლევარების მუშაობის, სამეცნიერო აპარატურის, მირნის და ჩვენი საკონტინენტო სადგურების მიმართ. გლაციოლოგი მიეშურებოდა გლაციოლოგისკენ. მეტეოროლოგი — მეტეოროლოგისკენ. დანარჩენებმაც გააბეს მეგობრული საუბარი და დაამყარეს სრულიად ნორმალური ეკონომიური ურთიერთობა.

საათნახევრის შემდეგ იძულებული გავხდით ოთახში გავქცეულიყავი „ყაზბეგის“ მოსატანად. დიდი მოთხოვნილება იყო ჩვენს პაპიროსზე. ამერიკელებმა კი სხვადასხვა ხარისხის სიგარეტები დაარიგეს. მათ განსაკუთრებით მოეწონათ ჩვენი ქუდები — ზოგიერთ ჩვენგანს ახლაც არაფერი აქვს თავზე დასახური.

უნდა ითქვას, რღმ ამერიკელები უჩვეულოდ მოძრავი ხალხია. გეგონებოდათ, მირნიში ოცი კაცი კი არა, ორასი ჩამოვიდა. ისინი ყველგან არიან — ყოველ ნამქერზე, ყოველ კლდეზე, ყოველ სახლთან. შედიან ყველა კარში და თუ წააწყდებიან ინგლისური ენის მცოდნე ექსპედიციის რომელიმე მონაწილეს, მუსაიფს გააბამენ მისი მეშვეობით, მაგრამ თუ ასეთი კაცი არ შეხვდათ, უიმისოდაც იოლად გადიან ფონს. მისტერ ტეილორი, მოლლილი, აპათიური გამომეტყველების შუახნის მამაკაცი, საკმაოდ მკვირცხლად მიძვრება მიხაკისფერ კლდეებზე. მისი ფოტოაპარატი განუწყვეტლივ ჩხაკუნობს, უბის წიგნაკი კი ჩანაწერებით ივსება. ჭაღარაშერთულმა, მაგრამ მხნე და მუდამ მომლიმარმა: „ნიუ-იორკ ტაიმსელმა“ მისტერ ბეკერმა უკვე მოასწრო ყველასთან ყველაფერზე ლაპარაკი, გარდა პოლიტიკისა.

ჩვენ სტუმრებთან ერთად მეტეოროლოგებთანაც შევედით. ამერიკელები, პირველ ყოვლისა, მიაჩერდნენ სახურავზე გამოხატულ კინოვარსკვლავებს, მათ სურათი გადაუღეს და დიდად შეაფასეს უცნობი მხატვრის ეს ქმნილებანი.

ჩემს გვერდით მდგარმა რომელიღაც ამერიკელმა მოულოდნელად ამოუშვა გაბმული, განცვიფრებული „ოპო-ო-ო!“, უკანალით დაებერტყა თოვლზე, კინოაპარატის ობიექტივი საჩქაროდ სახურავისკენ მიმართა. და გადაღებას შეუდგა.

„ოპო-ო-ო!“ ერთი წუთით ენა ჩავვივარდა ჩვენც, ამერიკელების გამცილებლებს. სახურავზე, შიშველი კინოვარსკვლავების გვერ-

დით უცებ გამოჩნდა სრულიად ნამდვილი პანი, სწორედ ისეთი. როგორც ჩვენ მითებით გვაქვს წარმოდგენილი. იგი იყო ტანდაბალი და ჩაფსკენალი, თავგადახოტრილი და ზანგივით გაშავებული. პანს მხოლოდ ტრუსები ეცვა. თავისი ლურჯი, კეთილი თვალებით იგი განცვიფრებით და შიშით მისჩერებოდა მრავალრიცხოვან ობიექტივს. მის გვერდით მუხლმოყრილ ფანერის მზეთუნახავებს დარცხენით დაეხარათ ნახატი თავები. მათ უკან კი ფონის ნაცვლად გადაშლილიყო ცივი და ღრუბლიანი ტყვიისფერი ცა, დეივისის ყინულოვანი ზღვა, აისბერგები, შიშველი კბოდეები და თეთრი თოვლი.

პანი მეტეოროლოგიური ჯგუფის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი სიმონ გაიგეროვი გამოდგა. თურმე საქმე ასე ყოფილა: მეტეოროლოგიური სადგურის სახურავზე აღმართულია ფანერის ორი დაფა — თეოდოლიტის საფარი. ძველ სპარტანელ გაიგეროვს უფიქრია, ანტარქტიკაშიც შეიძლება მივიღო მზის აბაზანები, თუკი ქარს ამ დაფის უკან დავემალებიო. მისი საკურორტო პროცედურა სწორედ იმ მომენტში დამთავრებულა, როცა ამერიკელები გამოჩნდნენ. ამ უჩვეულო დამთხვევამ გამოიწვია პატარა სენსაცია და ჩვენი სტუმრებიც შესანიშნავ გუნებაზე დააყენა.

ამერიკელებს უჩვენეს რადიოზონდის გაშვება. ისინი დიდხანს ადევნებდნენ თვალყურს მის ფრენას. შემდეგ ბუგაევი შამპანურებით გაუმასპინძლდა მათ. ყველანი მხიარულ გუნებაზე იყვნენ, და კიდევ ორი კაცი გამოეთხოვა ქუდს: — სუვენირი გახლავთ!

„ბარტონ აილენდი“ რამდენიმე მეტრის მოშორებით იდგა ნაპირთან და ზედ რაღაც სასაცილო კანჯოთი გადაგვიყვანეს. გარეგნულად კანჯო მოგაგონებდათ მსუბუქ. მაგრამ მეტისმეტად ტვირთამწევ ფოლადის ვარცლს. კიჩო და ფორშტევენი ისეთი ბოკო ჰქონდა, თითქოს დანით ჩამოუჭრიათო. ასეთი კანჯო ძალიან პრაქტიკულია ყინულებს შორის ცურვის დროს.

„ბარტონ აილენდზე“ გვიჩვენეს ფართოეკრანიანი ამერიკული ფილმი. ფერები ხასხასაა. რევიუს ნომრები ურიცხვი. მაგრამ შინაარსი... ყინულმპკრელმა სადამოს გვიან დატოვა ნაპირი. მე უკანასკნელი კანჯოთი დავბრუნდი შინ. გზაში სულელური ამბავი შემემთხვა: ერთ ადგილას თოვლი მყარო მეგონა და მკერდამდე ჩავეარდი

ყინულებს შორის. წყალი ძალიან ცივი იყო. იგი მაშინვე ჩამივიდა  
ფესხაცმელებში და სულ ერთიანად დამისველა ტანსაცმელიც.

ამ სტრიქონებს საწოლთან დაჩოქილი ვწერ. ზურგი მტეხს და,  
მგონია, ყოველ მოძრაობაზე თითქოს დანით მსერავენ.

რადიკულიტი გახლავთ.

ესლა მაკლდა!

1958 წლის 31 იანვარი.

მგონი, ჩვენმა ფილოლოგმა ვიდემანმა პირველმა თარგმნა სი-  
ტყვა ინტელიგენტი ხალხურ ენაზე. მის თარგმანში ეს სიტყვა ჟღერ-  
და, როგორც „უქანალით მომუშავე“. ზუსტია და სწორი. კარგია,  
თუკი თავი გაბია, მაგრამ თუ ზურგსა და უქანალზე გივლის მწვავე.  
ზოგჯერ აუტანელი ტკივილი, მთელი არსით იწყებ ყველა საგნის.  
ურთიერთკავშირისა და იმ ქეშმარიტების გაგებას, რომ შენი უქანა-  
ლის მდგომარეობა ზოგჯერ მეტისმეტად მგრძნობიარედ მოქმედებს.  
ფიქრის პროცესზე, ზოგჯერ კი სულაც აჩერებს მას.

1958 წლის 2 თებერვალი

საღამოს, 31 იანვარს მირნის რეიდს მოადგა ავსტრალიის ანტარ-  
ქტიკული ექსპედიციის ხომალდი „ტალა დანი“. იგი სრულიად მო-  
ულოდნელად გამოჩნდა ჩრდილოეთიდან. ჩვენ მას 1 თებერვალს  
დილისთვის ველოდით. აჰა, ნელა მოცურავს ხომალდი საღამოს,  
ბინდში ჩამუქებულ წყალზე. მისი წითელი კორპუსის კონტურები  
მკაფიოდ მოჩანს შორეული აისბერგების ფონზე, ხოლო მოყავისფ-  
რო-მოთეთრო კიჩოს ბოგურა უფრო მალღაა აშვერილი და ჰაერში  
გამოკიდებულებით ქანაობს ჩრდილოეთ ცისკიდურზე გაწოლილი  
ქუფრი ღრუბლების ფონზე. „ტალა დანი“ იჯარით აქვთ აღებული  
ავსტრალიელებს დანიელებისაგან; ხომალდი წლინახევრის წინ ჩა-  
უშვეს წყალში. მასზე ჯერ ისევ ფრიალებს როგორც დანიის, ისე  
ავსტრალიის დროშა. ლამაზი ხომალდია: მაყურებელზე სასიამოვნო  
შთაბეჭდილებას ახდენს მისი მოწითალო-მოთეთრო კორპუსი, ქიპ-  
ზე დადგმული წითელი თვითმფრინავი, ანძებზე მოფრიალე ალმები.  
გემი ახალივით გამოიყურება და შორიდან პატარა და მსუბუქი ჩანს.

ღურბინდით გავყურებდი „ტალა დანს“ და პირველად მივაქციე  
ყურადღება ჩამოწოლილ ბინდს, რომელიც ყოველდღიურად მუქ-



დება. შუალამით მირნიში ერთი-ორი საათით ბინდდება და სახლების მომცრო ფანჯრებიდან ოთახში ატანს მუქი, მღვრიე სილურჯე. ხანგრძლივი პოლარული ღამე ნელ-ნელა გვეპარება ანტარქტიდის თეთრი საბურველიდან, გვანსენებს თავის თავს, თავის სიახლოვეს. ჩრდილოეთით ცა დაფარულია შემოდგომის ღრუბლებით. ერთი მათგანი მძიმედ დასწოლია აისბერგებს და თავისი მოხაზულობით ზოგაგონებთ დორეს ილუსტრაციას, რომელშიც სამსონს ქალაქ გაზის კარი მიაქვს. აისბერგების თავზე გაწოლილი მუქ-მოლურჯო ღრუბლები ბურუსში გახვეულ დედამიწას ჰგავს, ხოლო შუაში ასვეტილი ღრუბლის ნაგლეჯი, რომელიც ქვემოთ თასივით ვიწროვდება და დასავლეთით შორსაა გაწოლილი — ნამდვილი სამსონის გამოსახულებაა; ზემოთ კი ერთად შექუჩული, თითქმის ოთხკუთხა ფორმის უზარმაზარი ყომრალი ღრუბელი ქალაქის კარს გვაგონებს.

უკვე ასი დღეა, რაც შინიდან წამოვედი. სახლი შემოდგომაზე დავტოვე და მხოლოდ ახლა დამეწია შემოდგომა.

„ტალა დანი“ ცხვირით მოადგა ნაპირის ყინულს და დაუშვა ტრაპი. ამავე ყინულზე ჩამოუშვეს ღუზებიც. ხომალდიდან გადმოვიდნენ ავსტრალიელები და დანიელები (ექსპედიცია ავსტრალიელებისაგან შედგება, გემის ეკიპაჟი კი დანიელებისაგან). მათ გულითადად შეევეგებეთ. „ბარტონ აილენდმა“ მხოლოდ ცნობა გამოგვიგზავნა, როცა მირნიში მოდიოდა და ამით დაკმაყოფილდა, ავსტრალიის ექსპედიციამ კი გამოგვიგზავნა უაღრესად თავაზიანი რადიოგრამა და გვთხოვა, ნება დაგვეერთო, ენახათ საბჭოთა ანტარქტიკული ობსერვატორია. ჩვენი და ავსტრალიელი მეცნიერების მეგობრულ და საქმიან ურთიერთგაგებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ავსტრალიის ექსპედიციის ხელმძღვანელი, ფილიპ ლოუ, პოლანდიურად წვეერგაპარსული, გამხდარი და ფერმკრთალი მამაკაცი, უკვე მეორედ ჩამოდის მირნიში. იგი პირველად ჩამოფრინდა აქ ჩვენი პირველი ექსპედიციის ყოფნის დროს. მას საბჭოთა მკვლევართან ერთიანი სამეცნიერო ინტერესები აკავშირებს. მისტერ ლოუ ანტარქტიკის ერთ-ერთი გამოჩენილი ავსტრალიელი მკვლევარია.

ვეცნობით ერთმანეთს. ავსტრალიელები და დანიელები ტრაპით ჩამოდიან ქვემოთ, იცინიან, აელვებენ კბილებს, გვართმევენ ხელს. მირნი ისევ ხალხით გაივსო და აფორიაქდა. სტუმარი რადისტები

უკვე მირნის რადიოსადგურში სხედან და გაოცებულნი არიან მისა სიმძლავრით. რადისტების საერთო ოთახში, სადაც მაგიდაზე ყრია ჩემი ხელნაწერები, იჭყიტებიან ერთი ავსტრალიელი და ერთი დანიელი. დანიელს ეცხლივით წითური, ჯაგარივით უღვაშები, ღია-ცისფერი თვალები და ქორფლიანი სახე აქვს. ასეთ სახიანს ბევრს შეხვდებით ჩრდილოეთით 50-ე პარალელს ზემოთ. იგი სიმადლით ექვს ფუტს აღემატება. ცდილობს გამიცვალოს ქუდი. ავსტრალიელი დაბალია, მრგვალსახიანი და ღიპიანი. ორივე სტუმარი მსიარულია და უნდათ ცოტა წაიმასლაათონ ჩემთან.

— ლაპარაკობ ინგლისურად? — მეკითხებიან.

— არა.

— No?

— კარქი! — ამბობს დანიელი და განიერი ჯიბიდან ამოაქვს ორი შეკვრა სიგარეტი და კონსერვის ოთხი ქილა. ქილებში ასხია ძალიან გემრიელი დანიური ლუდი. ვსხედვართ, ვმასლაათობთ, ვლაპარაკობთ ენითაც, ხელებითაც — და როგორადაც უცნაური არ უნდა იყოს, საუცხოოდ ვუგებთ ერთმანეთს.

— აეროვისკი? — ვეკითხები მე და სალოკი თითით წკიპურტს ვირტყამ ყელზე — ეს ქესტი ყველა ენაზე ერთსა და იმავეს გამოხატავს.

სტუმრები წინააღმდეგი არ არიან. ვიქტორ იაკუნინის მცირე მარაგი იხარჯება. ოთახში შემოდინან ახლები — მათ შორის ჩვენებიცაა და სტუმრებიც. საუბარი ზოგად ხასიათს იღებს. ჩამოსულებს მოსწონთ მირნი: რადიოსადგური კარგია, სახლები კარგია, რადისტები — მათი კოლეგები და მეგობრები არიან, აქ არავითარი სამხედრო ბაზა არ არის, „პინგვინებზე“ არ დგას ტყვიამფრქვევები და არც ერთი წყალქვეშა ნავი აქ არ უნახავთ. ცოტა ხნის შემდეგ ყველანი მიეშურებიან მეტეოროლოგებთან, მერე აეროფოტოლაბორატორიაში. სტუმრები მიძვრებიან მანქანების კაბინებში, ათვლიერებენ ჩვენს თვითმფრინავს „ილ-12“. საქმიანი კონტაქტი დამყარებულია.

კარგად ტარდება ერთობლივი სადილიც. სიტყვებით გამოვიდნენ მისტერ ლოუ და ტრეშნიკოვი. ორივე ლაპარაკობს იმაზე, თუ როგორ სჭირდებათ მეცნიერებს კონტაქტი ანტარქტიკის გამოკვ-

ლევის საქმეში და ერთმანეთის ექსპედიციებს უსურვებენ საუკეთესო წარმატებებს. მაგიდას უზის „ტალა დანის“ კაპიტანი კაი ხინბერგი. მას ძველი მეზღვაურის ვაჟკაცური სახე აქვს, თვალებს მხიარულად ჭუტავს. ფორმა ძალიან უხდება. აქაურობა მოსწონს.

აქვე არიან მეცნიერებიც.

ვმღერით ერთად, ერთმანეთს ვაძლევთ ჩვენ-ჩვენ მისამართებს, განვიხილავთ მეცნიერულ საკითხებს, ვლაპარაკობთ პოლარულ მკვლევართა თანამშრომლობაზე.

სალამოს კაიუტ-კომპანიის ბევრი სტუმარია. შესანიშნავი ბიჭები არიან! განსაკუთრებით კარგი ურთიერთობა გვაქვს რადისტებთან. ამიტომაც ისხდნენ ისინი გვიანობამდე მიმღებ სადგურში და ყურსაცვამებმომარჯვებულნი უსმენდნენ მოსკოვისა და „ლიტლ ამერიკის“ გადაცემებს.

„ტალა დანმა“ გუშინ ნასადილევს დატოვა ნაპირი.

დღეს სეისმოლოგებს გავყევი შირნიდან რამდენიმე კილომეტრზე. ცდიდნენ ყინულის სიღრმის საზომ ხელსაწყოებს. ახლა, როცა არც ისე დიდი ყინვაა, ძნელი არ არის მავთულების დამაგრება, მაგრამ 30 გრადუსიანი ყინვისა და მძაფრი ქარის დროს ეს აღბათ საკმაოდ მძიმე სამუშაო იქნება.

დღეს ტრაქტორ-მატარებელი კომსომოლსკაიადან სოვეტსკაიასკენ გაემართა.

„კოოპერაცია“ სალამო ხანისათვის სამხრეთ განედის 35°27' იმყოფებოდა.

1956 წლის 4 თებერვალი

ტრაქტორ-მატარებელი უკვე ასი კილომეტრით დაშორდა კომსომოლსკაიას. ყველაფერი ნორმალურად მიდის.

1956 წლის 6 თებერვალი

ჩემი ახლანდელი შეგრძნება შეიძლება გამოხატო ერთი სიტყვით: ლოდინი. „კოოპერაცია“ კარგი სიჩქარით მოიწევს შირნისკენ, მეორე ექსპედიციის მონაწილეები ალაგებენ თავიანთ ბარგს და აბარე-

ბენ მოწყობილობას, მე კი აშკარად გამოუცდელი და სრულიად უვარგისი პოლარელი, დღეში ასჯერ მაინც ვნატრულობ ჩემს გულის მურაზს. ქალები, რაც მართალი, მართალია, ბნელი ძალაა, რომელიც ალბათ თვითონაც ვერ გრძნობს, როგორ გავლენას ახდენს ჩვენზე, როგორ გვიშლის ხელს ფიქრით მივაშუროთ ალაპს, ესე იგი ჩვენს სამუშაოს.

ყოველდღიურად ვხედავ ახალ ადამიანებს, ვხედავ შრომის დროს და უკეთ ვწედები სიტყვების „კომპლექსური ანტარქტიკული ექსპედიციის“ მნიშვნელობას. სინოპტიკოსები თავიანთ რუკებზე დახრილან, სეისმოლოგები და გლაციოლოგები ყინულის ხასიათსა და სისქეს იკვლევენ, აეროფოტოგრაფები თვითმფრინავის ბნელ ლაბორატორიებსა და კაბინებში მუშაობენ. მირნიდან ოდნავ დაშორებით, თოვლით დაფარულ რადიოს კლდეზე, შრომობენ ავიაექპანიკოსები. ეს ადამიანები, რომელთაც ხშირად ვერც კი ვამჩნევთ ხოლმე გვერდით ჩავლისას, რომელთა სახელები მფრინავთა დიდებით იჩრდილება, ასრულებენ მძიმე და საპასუხისმგებლო საქმეს. ეს საქმე კი მოითხოვს ოქროს ხელებსა და დიდ გამოცდილებას. ავიაექპანიკოსთა შრომის გარეშე ვერც ერთი თვითმფრინავი ვერ აფრინდება ანტარქტიკის ყინულებიდან და სხვა, რომელიც გნებავთ, მინდვრიდან. უფრო საფუძვლიანად რომ შევისწავლო აქაური ხალხი, მაშინ მთელი ზამთარი უნდა დავრჩე ანტარქტიკაში. მაგრამ არც შესაძლებლობა მაქვს ამის და არც გამბედაობა. მე იმის მადლობელიც ვარ, რაც უკვე მომცა ანტარქტიკამ — ახლა ისედაც ბევრი რამ მექნება საფიქრალი.

ზღვა ძალიან, ძალიან ლამაზია. იგი მშვიდია, მუქი, აისბერგთა თვალისმომკრელი მარგალიტებით მოფენილი.

დღეს დილით ტრაქტორ-მატარებელი უკვე ას ორმოცდაათი კილომეტრით იყო დაშორებული კომსომოლსკაიას.

1958 წლის 8 თებერვალი

ნასაუზმევს უცებ სახანძრო განგაშის სიგნალი გაისმა. მირნის თოვლიან ველებს ნაბათის ცემის ყრუ ხმამ გადაუარა.

ნამწვმა, უყურადღებოდ გადაგდებულმა ასანთმა თუ მილიდან

ამოვარდნილმა ნაპერწყალმა ცეცხლი წაუკიდა ელექტროსადგურის ახლოს დაღებულ ცარიელ ყუთებს, ფიცრებს, საწმენდ ნარტ-ნარჩენსა და შორებს. ალი მეტი სიძლიერით ავარდა, როცა ცეცხლ-მა საწვავის ნარჩენებს მიაღწია. ჩვენ რომ მივირბინეთ, ცეცხლი უკვე სადგურის ძელურ ბალავარს ლოკავდა და თუნუქით შექედნილ კედლებს კვამლი ასდიოდა. მოიტანეს ყველა შლანგი, ყველა ცეცხლ-მქრობი, ყველა ვედრო, რომელიც კი მირნიში მოიძვევებოდა. ძალ-ლონე არავის დაუზოგავს და ნახევარ საათში ცეცხლი ჩააქრეს. ტყუილუბრალოდ როდი ვიყავით შემფოთებულები. აბა, რა ამბა-ეი დატრიალდებოდა, ელექტროსადგური რომ დამწვარიყო — გან-საკუთრებით პოლარულ ღამეში, როცა ყინული ყოველ მხრივ სწყვეტს მირნის სამშობლოსაგან? აჰ, ცხადია, სათბობიც საკმაოდ, საწვავიც საკმაოდ, მაგრამ მაინც... ხიფათი, რომელიც ასე ახლოს იდგა ჩვენგან, ახლაც კი გვაქრუოლებს.

1958 წლის 10 თებერვალი

„კომპერაცია“ ხვალ უნდა მოადგეს ნაპირს. მანძილი პორტ-ლოიდან ანტარქტიკამდე, ასეთი ძველი ხომალდის კვალობაზე, საკმაოდ კარგი სიჩქარით გაიარა. სამხრეთ ნახევარსფეროს ზაფხულ-მა საფუძვლიანად შეარბილა აქაური ზღვის მრისხანება. ქარებს აღარა აქვთ ის სუსხი, რომლითაც ერთი-ორი თვის შემდეგ კვლავ მთელი ძალით დაუბერავენ.

მაგრამ ზამთარი, ესე იგი ანტარქტიკული შემოდგომა, უკვე ახ-ლოვდება. ღამეები უკუნი გახდა და სავეს მთვარე, რომელიც მუ-რენას თავს მიაგავს (თოვლის ბრწყინების გამო მთვარე ყვითელი და ერთიანად გაქვარტლული ჩანს, მისი კრატერების კონტურები კი შა-ეი), მკრთალად და ბუნდოვნად ანათებს ანტარქტიდის დამრეც ქედს: დროდადრო მირნის ორმოცი ძალღი მალღა იშვერს დინგს და შე-ყმუის მთვარეს.

ანთია მთვარე ნაღვლიანი,  
დაძანთის თოვლიან მინდვრებს...

მხოლოდ ეს არის, ხე არ ჩანს ქიშკრის გვერდით, რომ გზას ჩრდილი დააფინოს...

პატარა ტალღები დეივისის ზღვაზე დაფრქვეულ მთვარის შუქს ნაწილებად ამსხვრევს და ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს წყალი დამქანარი ფოთლებითაა მოფენილი. ღამლამობით ხასუელის კუნძული და მირნის რეიდზე აღმართული მიხაკისფერი შიშველი კბოდეები დაკბილულ მრისხანე ფორტებს ჰგვანან.

ბარგი ჩალაგებულ მანქანას. ნაღვლიანად ვფიქრობ: კარგი იყო ტვინი ჩემოდანს ან ზურგჩანთას ჰგავდეს, სადაც ყველაფერი ცალ-ცალკე იქნებოდა ჩაწყობილი: აქ სუფთა თეთრეული, იქ — ქუქუქიანი, აქ — საზღვაო რუკები, ნეგატივები, წიგნები, იქ — ფოტოსურათები. ერთმანეთში ირევა მოგონებები, შთაბეჭდილებები, ჩემს მიერ ადამიანთა შეფასება, კოლექტივში მათი მდგომარეობის განსაზღვრა, ყოველივე ის, რაც ვნახე და მოვისმინე, ანდა, რაც ჩემის აზრით გამოვიცანი ანტარქტიკის მატერიკზე ყოფნის ორმოცდაათი დღის განმავლობაში. ასე მგონია, თითქოს მთელი ეს უხილავი სიმდიდრე ვეებერთელა ოთახში მიმოვფანტე. მხოლოდ ცალკეულმა ადამიანებმა, ადამიანთა ცალკეულმა ჯგუფებმა მოასწრეს ეპოვათ ამ ქაოსში მყარი ან მეტნაკლებად მტკიცე ადგილი.

მთელი შეგნებით ეგრძნობ, როგორი დავალებული ვარ მეტეოროლოგების: ვასიუკოვისა და ბუგაევის წინაშე, იმ ადამიანთა წინაშე, რომელთაც შესანიშნავად აქვთ შეთვისებული რუსული გულითადობა და ტაქტის გრძნობა, იმ ადამიანთა წინაშე, რომლებიც დიდი სიყვარულით აკეთებენ თავიანთ საქმეს. მკვიდროდ და განცალკევებით, ერთ მტკიცე კოლექტივად დგანან რადისტებს. მე ცოტა მყავს ბორის ჩერნოვის, სლავა იაკოვლევის, ვიქტორ იაკუნინის, ვლადიმერ სუშანსკისმაგვარი ახლობლები. ჩვენ ასი დღე ვცხოვრობდით გვერდი-გვერდ, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში ერთხელაც არ წამოგვცდენია ქათინაური, პირიქით — ხშირად ერთმანეთისთვის პირში მიგვიხლია მკვახე სიტყვა. მაგრამ, თუ მე კიდევ მომიწევს ყოფნა უკიდურეს ჩრდილოეთში ან შორეულ ნაოსნობაში, ვისურვებდი ჩემს გვერდით ყოფილიყვნენ ისინი, ან მათი მსგავსი ადამიანები.

ცენტრში, ყველასგან განცალკევებით, დგას სადგური კომსო-

მოსკვაია. იქ ცხოვრობს ოთხი მოზამთრე, რომლებსაც ძალიან შე-  
ვეთვისე. ეს არის იოტისოდენა წერტილი ყინულზე, ადგილი, სადაც  
გავატარე ჩემი ცხოვრების ყველაზე მძიმე და ყველაზე შინაარსიანი  
დღეები. დარწმუნებული ვარ, რომ ასეთ დღეებს შეუძლია შეცვა-  
ლოს ადამიანის შინაგანი სამყარო, გაწმინდოს იგი ყოველგვარი ნა-  
ყარნუყარისაგან და მიანიჭოს თოვლის სისპეტაკე. მაგრამ შეყოფა  
კი ადამიანური ძალა, შევინარჩუნო ეს სისპეტაკე?

1958 წლის 12 თებერვალი  
„კოოპერაცია“

გუშინ, 11 თებერვალს, „კოოპერაცია“ მირნის მოადგა და ღუზა  
სწორედ იმ ადგილზე ჩაუშვა, სადაც „ტალა დანი“ იდგა. იგი ცხვი-  
რით მიადგა ყინულის ბარიერს. ჩვენ გემზე ავდიოდით და ჩამოვ-  
დიოდით ჩვეულებრივი, სრულიად ნორმალური ტრაპით, როგორც  
ნამდვილ ნავსადგურში.

თვალყურს ვადევნებდით „კოოპერაციის“ მოახლოებას, ვუყუ-  
რებდით, როგორ მოცურავდა დევიზის ზღვის მუქ წყალზე, თეთრი  
კორპუსით როგორ ერწყმოდა აისბერგს და თითქოს მისი  
ნაწილი ხდებოდა, როგორი პატარა ჩანდა იგი ამ ბრტყევილა გა-  
ვანტებს შორის. ჩვენ ვიდექით მიზაკისფერ დიდ კლდეზე, კომსო-  
მოსკვაიას გორაკზე, სწორედ იმ გორაკზე, რომელზედაც განლაგე-  
ბულია მიმღები რადიოსადგური, ელექტროსადგური და სახელოსნო.  
თითქმის არ ვლაპარაკობდით. არ ვლაპარაკობდით, რადგან შეგვე-  
ყვარდა ტრაქტორის მუხლუხებით გადახნული ამ გაყინული მიწის  
ყოველი მტკაველი, შეგვიყვარდა ყველას თავისებურად: ერთნი მას  
შეეთვისნენ, როგორც სამუშაო ადგილს, მეორენი — როგორც ან-  
ტარქტიკის საიდუმლოებათა აღმოჩენისათვის ბრძოლის ფორ-  
პოსტს. ვერ აეხსნი, როგორ შემიყვარდა ქვეყნის ეს ნაწილი. შე-  
მიყვარდა არა ისე, როგორც გიყვარს ქალი, ნათესავი, თვით „საკუ-  
თარი კუნძული“, მზის ქვეშ გაშლილი შენი ადგილი. შემიყვარდა  
დაახლოებით ისე, როგორც მიყვარს ყველაზე ველური, ყველაზე  
მოუვლელი, ყველაზე ქვიანი მუხუს მიდამოები.

ჩერ კიდევ „კოოპერაციის“ მოსვლამდე გამოვეთხოვე ყველა იმ  
ამხანაგს, რომლებიც მირნიში რჩებიან. ვიყავი მეტეოროლოგებთან,

შევიარე აეროფოტოგრაფებთან, შემდეგ კი რადისტებთან. რაღაც საოცრებით ვიშოვეთ ორი ბოთლი ღვინო, გვექონდა ცოტა სპირტიც. ძალიან ამიჩუყდა გული, დროდადრო ყელში ცრემლები მებჯინებოდა. დაე, ეს იყოს ოდნავ შეზარხოშებული კაცის გულაჩუყება, მაგრამ მას მაინც ახლდა რეალური, ქეშმარიტი და მტკიცე საფუძველი — ამხანაგების მიმართ დიდი მადლიერების გრძნობა.

კომსომოლსკაიას გორაკზე რადიოსადგურის წინ შედგა გამოსათხოვარი მიტინგი. ტოლსტიკოვი კლდის გამოწმენაზე ავიდა და გამოსათხოვარი სიტყვა წარმოთქვა. მან უბრალო და თბილი სიტყვებით მადლობა გადაუხადა მეორე ექსპედიციის თანამშრომლებს ანტარქტიკის კვლევაში იმ დიდი მუშაობისათვის, რაც შეასრულეს და რის გარეშეც ძნელი იქნებოდა წარმატების მიღწევა მესამე ექსპედიციისათვის. ტოლსტიკოვმა კეთილი მგზავრობა და კეთილად შინ დაბრუნება გვისურვა.

ბარგი „კოოპერაციაზე“ გადავიტანე. ამასობაში რადისტებმა გადაახარისხეს სამშობლოდან ჩამოტანილი წერილები. ვიცოდი, წერილს მივიღებდი და უკანვე გამოვიქეცი რადისტებთან. წერილი ყველამ მიიღო, მე კი არა. ათჯერ მაინც მოვიკითხე იგი, გადავათვალიერე ადრესატთა გვარები ასო „ს“-ზე, მერე ასო „შ“-ზე, მაგრამ ვერსად მივაგენი. უნტებჩაცმული კომსომოლსკაიას კლდეზე ვიდექი ქარში. სულში დასადგურებულიყო ცივი სიცარიელე, მწვავე ტკივილი და წყენა — საძულველი თანამგზავრი ყველა დავიწყებულისა. მაგრამ ააფრინე ალალიო, რაც არ არი, არ არიო.

იაკუნინი მოშიახლოვდა.

— არ არის? — მკითხა მან.

— არა.

— ენახავ კიდევ ერთხელ.

— კარგი.

წერილი არ იყო. ასე მეგონა, გულზე მაწვა ეს მიხაკისფერი, დაბზარული და ცივი კლდე.

„კოოპერაცია“ ბარიერთან იდგა. წამსვლელები, ანუ ძირითადად მეორე ექსპედიციის მონაწილეები უკვე ქიმზე ავიდნენ. ტრაპი ასწიეს. მესამე ექსპედიციის წევრები ბარიერზე იდგნენ. სანაპირო წყლის ზემოთ, ჰაერში ერთმანეთს ეხლებოდა ნაპირიდან და ხო-



მალდიდან დაძრული მძლავრი „ვაშა“. აი, თეთრი მატერიკი ნელა შემობრუნებული „კოოპერაციის“ კიჩოს მიღმა დაჩნა. ბარიერზე მდგარი ხალხი ერთ მუქ დაკბილულ ზოლად იქცა. აისბერგებს შორის იკანკლურად ნელა მიმავალმა ხომალდმა გეზი ჩრდილოეთისაკენ აიღო. დროდადრო ქიმს ედებოდა ყინულის ხორგი, ხომალდის კორპუსი ოდნავ ირყეოდა და ასე შეგონა, რკინაზე მოღრქიალე ყინული ჩემს შეგნებაშიც ღრქიალებდა.

დეივისის ზღვა სრულიად გამოცვლილა — სუფთა და კრიალა.

კოლის წერილი მხოლოდ დღეს გადმომცეს, ესე იგი თექვსმეტი საათით გვიან სხვებთან შედარებით. ერთ ამხანაგს ჭერ კიდევ ხომალდზევე აეღო იგი, რომ ჩემთვის, როგორც მწერლისათვის, როგორც ახალგაზრდა, მაგრამ უკვე მოწინავე საზოგადო მოღვაწისათვის „საზეიმოდ“ გადმოეცა. პატივს რომ არ ვცემდე სახომალდო დისციპლინას, ამ კაცის ქალარას, და დარწმუნებული არ ვიყო, რომ მას არასოდეს ჰქონია მოჭარბებული ინტელიგენტობა და ტაქტი, რომ არ ვიცოდე, რომ იგი თავისებური გულკეთილობით იქცეოდა, ალბათ ვცემდი. იმის გამო, რაც მისი წყალობით გადავიტანე, შეიძლებოდა ყველაზე საუკეთესო ადამიანიც შეგძულებოდათ.

1958 წლის 13 თებერვალი

მიეცურავთ შირნის მერიდიანით პირდაპირ ჩრდილოეთისაკენ. კურსი 360-ია. ყინულოვანი ოკეანე — ინდოეთის ოკეანის სამხრეთი ნაწილი — მშვიდადაა. ჩვენს წინ ლურჯი ქუჩაა. ქუჩასთან მსგავსება იმითაა გამოწვეული, რომ გემის ორივე მხარეს ჩამწყრივებულია აისბერგები, თითქოს ვიღაცას საგანგებოდ აუგიაო ისინი სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით. აისბერგები ყველა ფორმისა და სიდიდისაა. აქ ნახავთ დაბლებსაც და მალღებსაც, ნახავთ კოშკისებურს, მთისებურს და გუმბათისებურს. შესაძლოა, ზოგი მათგანი სწორედ ელენეს იმ ყინვარიდანაა შობილი, რომელსაც ერთხელ გადავუფრინე. მთელი დღე შევცქეროდი აისბერგებს, როგორც ახლო ნაცნობებს სამუდამოდ გამოთხოვების ეამს. მინდა სამხარადისოდ დამამახსოვრდეს მათი თვალისმომკრელი, ცივი სის-

პეტაკე. მათი ძალოვნობა, მათი ქათქათა მწვერვალები, რათა წლების განმავლობაში ყოველივე ეს სტრიქონებად და სტროფებად იქცეს. ტალები დაუცხრომლად აკრიალებს აისბერგებს, თხრის გამოქვამბულებს და თანდათანობით ისე სპობს მათ, როგორც დრო ადამიანის სიცოცხლეს.

ვისაც არ უნახავს ოკეანე, ის სიზმარშიც ვერ ნახავს მას ისე ლამაზს. როგორსაც ახლა მე ვუცქერი.

„კოოპერაცია“ ნელა მიცურავს. მუშაობს მხოლოდ ერთი დიზელი, და ვაკეთებთ ექვს, შვიდ კვანძს. ჩვენი ნაოსნობის რუკას არც კი შევხედება. ვიმყოფებით დაახლოებით მე-60—61-ე პარალელზე.

1968 წლის 14 თებერვალი

„კოოპერაცია“ წინანდებურად პირდაპირი კურსით მიიწევს ჩრდილოეთისაკენ. ჯერ კიდევ არ ვიცი, საით წაველთ, ავსტრალიაში — მელბურნიდან ტვირთის წამოსაღებად, თუ კეთილი იმედის კონცხს შემოვუვლით და შინისკენ გავწევთ. მე, ცხადია, უფრო ავსტრალიის ვარიანტი მირჩევნია, მაგრამ ექსპედიციის მონაწილეებს ეს არც ისე ალაფროვანებს. ისინი წელიწადი და ოთხი თვეა სამშობლოში არ ყოფილან და მთელი ფიქრები შინისკენ აქვთ მიპყრობილი. ავსტრალიაში შევლა კი ერთი თვით გაახანგრძლივებს ნაოსნობას. უნდა ვთქვა, რომ ზოგჯერ მეც ძრწოლას მგერის რუკის შეხედვა — რა უზარმაზარი მანძილია სამშობლომდე! დედამიწის გარშემო მანძილის ნახევარზე მეტი. მაგრამ, რა თქმა უნდა, შესანიშნავი იქნება, თუკი ავსტრალიის ვარიანტს აირჩევენ და უკან სუეცის არხითა და ხმელთაშუა ზღვით დავბრუნდებით.

ოკეანე კვლავინდებურად მშვიდადაა. „კოოპერაცია“ ოდნავ ირწყვია.

თანამგზავრებს ჯერ კიდევ არ ვიცნობ კარგად. მირნიში ნაკლები ურთიერთობა მქონდა მეორე ექსპედიციის მონაწილეებთან და ჩემთვის ჯერჯერობით გაურკვეველია, ვინ არის ესა თუ ის კაცი, საიდანაა, რას აკეთებს. მე განსაკუთრებით მაინტერესებს მათი მოგონებანი, მათი გამოცდილება, მათი მსჯელობანი, ვინაიდან ყველამ ანტარქტიკაში გაატარა ზამთარი. იმედია, ხანგრძლივი ნაოსნობის პერიოდში გავეცნობით ერთმანეთს.

ჩემთან კაიუტაში ცხოვრობს ვლადიმერ მიხეილის ძე კუნიჩი, რომელიც ყინულის მატერიკიდან მესამედ ბრუნდება. ერთმანეთი შირნიში გავიცანით. იქ უნინი რადისტების სახლში ცხოვრობდა. იგი ინიერიია, დიდად განათლებული, თავაზიანი, მხარულა, მოუსვენარი, ერთი სიტყვით, შესანიშნავი კაცია. ჩვენ უსათუოდ დავმეგობრდებით.

საღამოს ათ-თერთმეტ საათზე ხომალდის დროით ცაზე გამოჩნდა პოლარული ციალი. ანტარქტიკაში არასოდეს მინახავს იგი, რადგან მაშინ ნამდვილი ღამეები არ იდგა. მოელვარე გველები ნელა იკლაკნებოდნენ სამხრეთ ცისკიდურზე, იცვლიდნენ ფორმას და ადგილმდებარეობას. მათ წინ გართხმული ღრუბლები კი ჩამუქებულ შოებს დამსგავსებოდნენ. ხომალდის თავზეც იკლაკნებოდა უზარმაზარი მოკიაფე სპირალი. რომლის ცივმა ნათებამ გაფანტა ღამის სიბნელე და შთანთქა ვარსკვლავების ციმციმი.

გემის მარჯვენა მხარეს კი, პოლარული ციალის ღია ფონზე გარკვევით გამოჩნდა ღრუბელი. კონტურებით იგი ჰგავდა დაბურდულ მუხურ ღვიას, რომლის უკან გიზგიზებს კოცონი. და აი, აქ, სამხრეთის ჯერის ქვემოთ, 58-ე და 57-ე სამხრეთ პარალელს შორის, „კოპერაციის“ მოქანავე გემბანზე, მის ვანტებს ქვემოთ, რომელთა შუა ვხედავდი, როგორ იბადებოდა და ილეოდა მთვარის თვეები, სწორედ იმ დაუვიწყარ ვანტებს ქვემოთ, სადაც ვსწავლობდი სამხრეთ ნახევარსფეროს ვარსკვლავთა რუკას, ვანტებს ქვემოთ. რომელთა მკვეთრი ხაზები ირხევა ახლა პოლარული ციალის ფონზე. მე კვლავ გამახსენდა, როგორ მივემგზავრებოდი ყოველ ზაფხულს ცოლთან ერთად საარემალაში, გამახსენდა ჩვენი კოცონები მშობლიურ სოფელში, კუნძულ მუხურზე. მახსოვს, თითქმის ყოველ საღამოს ვისხედით მოგუზუჯზე კუნძუბთან ხან მეგობრებთან, ხან მეთევზეებთან ერთად. უფრო ზშირად კი მარტონი. ჩვენ ისე შეგვიყვარდა ეს კოცონები, რომ წვიმიან საღამოსაც კი მივდიოდით ზოლმე მათ ასანთებად. ღვიის სილუეტები ისე გარკვევით ჩანდნენ მაშინ, როგორც ახლა ეს ყომრალი ღრუბელი პოლარული ციალის ფონზე.

ვისურვებდი ბალტიის გამხმარ ქაშაყს. ქვაბში კარტოფილთან ერთად მოხარშულს და მერე ქონში შემწვარს. ვისურვებდი მაგარ,

ქვიან მიწაზე, მოლურჯო-მორუხო თბილი ცის ქვემოთ, ღვიებს შორის კოცონის ანთებას.

და, რა თქმა უნდა, ვისურვებდი, ამ კოცონთან ვმსხდარიყავით ჩვენ ორნი.

ერთი სადამოსთვის ამდენი ნატვრა საკმაოდ ბევრია.

1958 წლის 15 თებერვალი

მივცურავთ წინანდელი კურსით — 360-ით. ჭერ კიდევ არ გამო-  
რკვეულა, მივდივართ თუ არა ავსტრალიაში. არ ვიცი რა ჩვენი პირ-  
ველი ნავსადგური, მაშასადამე, ჩვენი მარშრუტით, და ეს გვანერ-  
ვიულებს.

სადამო ხანს ოკეანე მოიქუშა. ქარმა იმძლავრა, ტალღები ყო-  
ველ საათს მიიწევს მალა და მალა. ღრუბლები დაბლაა გართხ-  
მული, პორიზონტი ნისლშია გახვეული. წვიმს.

1958 წლის 18 თებერვალი

დილით რუკაზე აღნიშნეს ახალი კურსი — 60. მივემართებით  
ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ, ესე იგი ავსტრალიისაკენ. შესანიშნა-  
ვია! პირველი ნავსადგური ჭერ ისევ უცნობია, მაგრამ ალბათ მელ-  
ბურნი იქნება.

საბოლოოდ ჩემოდნიდან ისევ ამოვიღე პიესა. დაე, სწყალობ-  
დეთ ღმერთი მათ, ვინც ასეთ ამინდში უნდა წეროს წიგნები! შტორ-  
მი ჭერ არ მომძლავრებულა — შვიდ-რვა ბალს აღწევს. დროდადრო  
„კოპერაცია“ ისე მძლავრად იხრება გვერდებზე, რომ მაგიდიდან  
ძირს ცვივა ყველაფერი — პაპიროსი, ხელნაწერები, წიგნები. სკამი  
სადაც მიჩოჩავს, შენ კი მკერდით მაგიდის კიდესა ხარ გადაწოლი-  
ლი. წერას ვერ ახერხებ, თუმცა შესანიშნავ გუნებაზე ხარ და მუ-  
შაობის სურვილიც დიდი გაქვს.

„კოპერაციის“ სიჩქარე — ათი-თერთმეტი კვანძია. გვშველის  
დინება, ნაწილობრივ, ქარიც. მუშაობს ორივე დიზელი.

შუალღით ჩვენი კოორდინატებია — სამხრეთ განედის  $47^{\circ}50'$  და აღმოსავლეთ გრძედის  $108^{\circ} 39'$ . ვუახლოვდებით ავსტრალიას. ყოველდღიურად გავდივართ ორას ოცდაათ—ორას ორმოც მილს. სიჩქარე ათი კვანძია. პირველი ნავსადგური ჯერ ისევ უცნობია. დღეს ოკეანე დამშვიდებულია. არც კი გჭერა, რომ ეს ქარიშხალთა სწორედ ის მეორემოცე განედის სარტყელია, რომელზედაც ამდენი გვსმენია. ღომს დაუმაღავს თავისი ბრკყალები და სძინავს.

გუშინ შემისრულდა ოცდათექვსმეტი წელი. ოკეანემ ყველაფერი გააქეთა, იმისათვის, რომ ამ დღეს მშვიდად ფიქრის საშუალება მქონოდა. ღამით ოკეანე გამძვინვარდა, დილით კი ხომალდს მძლავრი გვერდითი ტალღები მოაწყდა. გაწვიმდა, ცის ტატნობი დაიბურა, ქაფმომდგარი ტალღებით მოფენილი მუქი წყლის წრეხაზი დავიწროვდა. ბურუსიანი ჩრდილოეთიდან დაძრული ტალღები დიდი, მრისხანე და ცივი იყო. გემბანს განუწყვეტლივ ესხმოდა წყალი. გემის მაქსიმალური დახრილობა 28 გრადუსია, რამდენჯერმე მაგიდიდან ყველაფერი ძირს გადმოცვივდა. ასეთი ღელვის დროს ვერაფერს დაწერ: გაშმაგებით ჩაებლაუქო მაგიდას და თან იფიქრო, ცხადია, ყოველგვარ ფიზიკურ შესაძლებლობას აღემატება. წევხარ საწოლზე, კითხულობ, ფიქრობ, გარეთ კი ერთი სტვენა და ღმუილია. ფიქრის ბორბალი კი ბრუნავს და ბრუნავს. ფიქრები ნაღვლიანიცაა და მხიარულიც, ოცნებიანიც და საქმიანიც.

დილით კუნინმა დაბადების დღე მომილოცა და მითხრა:

— ამბობენ, ყოველ შვიდ წელიწადში ადამიანს ხასიათი ეცვლებაო. მაშასადამე, ხასიათი თქვენც უნდა შეგეცვალოთ. საინტერესოა, რა მხრივ შეგეცვლებათ იგი?

ჰო, საინტერესოა. რა მაკლია ყველაზე მეტად? ხასიათის რა სისუსტე მიშლის ყველაზე უფრო ხელს?

ჩვენში კარგ ტონად იქცა შეძლებისდაგვარად ცოტა ვილაპარაკოთ იმაზე, თუ როგორ ვწერთ, რას ვგრძნობთ ამ დროს, დაკვირვების როგორი მარაგი გვაქვს, როგორი შემოქმედებითი სამზარეულო. ვიცი, როგორ ცოდვას ჩავიდენ კარგი ტონის მიმართ, მაგრამ მაინც გამოვალეზ ჩემი შემოქმედებითი სამზარეულოს, ჩემი საკუჭ-

ნაოს კარს, სადაც აწყვია ჩემი შინაგანი მარაგი. რა მომეპოვება იქ?

უღარესად ნათელია ბავშვობის მოგონებანი, იმდენად ნათელი, რომ დროს დღესაც ვერ გაუხუნებია. რამდენჯერმე შევეცადე აღმეწერა, აპრილის მზიან, კაშკაშა დილით როგორი ნელი წკრიალით ცვივა წვეთები ნაზ, მინასავით გამჭვირვალე ლოლუებიდან, როგორ სძინავს ქარს. როგორი მგრძნობიარე და ნორჩია მახლობელი ტყე, რა ხმამაღლა ყვირიან სოფელში მამლები, მაგრამ არაფერი გამომდის. მე ნათლად ვგრძნობ და მესმის ყველაფერი, მაგრამ გადმოცემა ამისა, ესოდენ სხივოსნისა და ბროლივით ნათელისა, ბავშვის სულისათვის ესოდენ ძვირფასისა, ჩემს ძალ-ღონეს აღემატება. კარგად მახსოვს ყრმობისდროინდელი ნეტარება, მღელვარებისა და მოწყენილობის გრძნობა, შეგრძნება, თითქოს დროის მსვლელობა გაჩერდა, ერთი სიტყვით, ყოველივე ის, რასაც განვიცდიდით ბავშვები შინაური პარაკლისების დროს კვირადილაობით, თუმცა ჩვენ მოგვწონდა კიდევ საეკლესიო გალობა, თუმცა მამაჩემის მაცხოვარი, უპირველეს ყოვლისა, გულკეთილი, ჰკვიანი და მოწყალე იყო.

მამაჩემიც ასეთი გახლდათ. რაც კი მახსოვს, მუდამ ჰალარა იყო. გრძელი თმა ყოველთვის გამოჩრილი ჰქონდა ტყავის ქუდიდან და შუბლზე ეფინა. სიმაღლით ექვს ფუტს აღწევდა, გამხდარი იყო და ოდნავ მოხრილი. წვერი შვიპერულად, მრგვალად ჰქონდა შეკრეპილი, ცხვირი — არწივისებური, თვალები — ლეგა ზღვის ფერი და გამჰრიაბნი, ხმა — მჰეჰარე და რიხიანი, გული — კეთილი. ბავშვები ბევრნი ვიყავით და ჩვენი ქობის ქეის იატაკზე სულ ყირაზე გადავდიოდით, მაგრამ ამისთვის არასოდეს არავინ გვცემდა. გეტუქსავდნენ სიტყვიერად. მამას „მამას“ ვეძახდით, დედას „დედას“, არ ვიცოდით არავითარი ფარისევლური ხვევნა-კოცნა, არავითარი „ჩემო საყვარელო“, „ჩემო ოქრო“, „მამიკო“, „დედიკო“. „კარგი ბიჭი“, „კარგი გოგო“ — ეს იყო ჩვენთვის ყველაზე დიდი ქება და. ვინაიდან იშვიათად გვესმოდა იგი, მთელი დღით გვახარებდა. ჩვენ გვეშინოდა მამის და პატივს ვცემდით მას. როცა ზოგჯერ მთლად ავიკლებდით იქაურობას, საკმარისი იყო მამას ეთქვა: „აბა, წყნარად, თორემ ღვიის ტოტი არ აგცდებათ!“ — რომ მაშინვე გაულურსულიყავით. სხვათა შორის, ერთხელ მან ასე დასაჯა ჩემი ნახევარდის ვაჟი. მახსოვს, როგორ იდგა იგი ლუმელთან, შარვლიდან 200

კი ღვიის ტოტი მოუჩანდა. დამნაშავე ცრემლებს ღვრიდა და განძრევისა ეშინოდა. ეს იყო ჰუმანური სასჯელი: არ გტკივა, მაგრამ ვერ გაინძრევი. საერთოდ, მამა დიდ თავისუფლებას გვაძლევდა. მას ბუნებრივად მიაჩნდა, რომ ბავშვები ხმაურობენ, ყვირიან, ხანდახან ერთმანეთს ურტყამენ კიდეც და ბევრ ტანსაცმელს ხევენ.

თებერვლის ერთ დღეს, როცა ხუთი წლის ვიყავი, მამა ლეიზიში გაემგზავრა ბაზრობაზე. უფრო ადრე შეპირებული იყო, თან წავიყვანო. მე გამახსენდა დანაპირები და მოვთხოვე შეესრულებინა იგი. გარეთ ქარბუქი იდგა, და როგორც კი დავრწმუნდი, რომ არ მივყავდი, ღრიალი მოვრთე. მამას კალთაში ჩავაფრინდი და რაც კი შემეძლო, ვბლაოდი. მხოლოდ ეს იყო. ცრემლები არ ჩამომდიოდა და აქამდე მახსოვს, როგორ მწყინდა და ჯავრად მქონდა ეს. მამა კი მანუგეშებდა:

— იყვირე, შვილო, დღეს კიდეც შეგიძლია იყვირო. ბაზრობიდან ისეთ მანქანას ჩამოგიტან, რომ ღრიალებდეს, ჰოდა, მაშინ ის იყვირებს.

მთელი დღე ფანჯარასთან ვიჯექი, გავყურებდი ეზოში მოთარეშე ქარბუქს. ველოდი, როდის დაბრუნდებოდა მამა და ჩამოიტანდა „მოლრიალე“ მანქანას, სულ იმის ცდაში ვიყავი, წარმომედგინა, როგორი იქნებოდა იგი: ალბათ, სპილენძისა, ბორბლებიანი და საყვირიანი. მამა გვიან დაბრუნდა. სანამ დედა ტყაპუკიდან თოვლს უფერთხავდა, მის გარშემო ვცმუკავდი და ვცდილობდი დამენახა, სად იყო ეს მოლრიალე მანქანა. მამას უბეში ჰქონდა დამალული „მანქანა“: ერთი ფუტის სიგარძის თუნუქის ცილინდრი. მან აუჩქარებლად გაიხადა ტყაპუკი და მხოლოდ ამის შემდეგ მომცა „მანქანა“. ეს იყო იმდროისათვის საკმაოდ ჩვეულებრივი თუნუქის კოლოფი, რომელშიც დაახლოებით ნახევარი კილო შაქარყინული დახრივინებდა. მაგრამ მე დღემდე მახსოვს, რა ბედნიერი ვიყავი ამ საღამოს. ო, რა სურათი ეხატა სახურავზე! ახლა თვითონ კოლოფი იკითხეთ! მერე რა ვუყვით, რომ არ ღრიალებდა, — მე ხომ აქამდე საკუთარი ხმაყ მყოფნიდა.

მამას ერთი განსაკუთრებული უნარი ჰქონდა: შეეძლო ჩვენთვის შრომის სიყვარული ჩაენერგა. ათი წლისას შემეძლო აკაზმულობის შეეკეთება, ცამეტი წლისა — ვთესავდი, თოთხმეტისა — დი-

ღივით ვხნავდი, და სამუშაო ყოველთვის მიმზიდველი მეჩვენებოდა. აღზრდისადმი სიყვარული, შრომისადმი ინტერესის შენარჩუნების ეს თვისებები ახლაც იშვიათ და არაჩვეულებრივად ძვირფას ნიჭად მიმაჩნია.

ყველაფერი სულ უბრალო საქმიანობით დაიწყო: მამამ მომცა ნახევარი კილო ერთდიუმიანი ლურსმანი და ნება დამართო კედელში ჩამეკედა. მერე დავეყავდი სამკედლოში და საბერველს ვუდექი. ვერც კი შევამჩნიე, როგორ იქცა რკინა ჩემთვის ცოცხალ და მიმზიდველ საგნად. ისეთი უბრალო საქმეც კი, როგორიცაა ბაგირის გაფისვა, მამის წყალობით, საინტერესო სამუშაოდ მიმაჩნდა. მთელი ეს აღმზრდელობითი მეცნიერება შეიძლება მარტივ რამედ მოგეჩვენოთ, მაგრამ მოთმინებას შოითხოვს. კარგად ხვნა არც ისე ადვილია, და როცა გინდა მას დაეუფლო, ძალაუნებურად გიტაცებს. თვით წიგნებისადმი სიყვარულსაც კი რამდენადმე მამას უნდა ვუმაღლოდე: წიგნის კითხვა მას მავნედ და ზედმეტ საქმედ მიაჩნდა, რადგანაც უნდოდა მეზადურად და მიწის მუშად გამოვეზარდე, მაგრამ აკრძალული ხილი აკი ტკბილია.

მახსოვს ყინულთსვლის სანახაობა სრუტეში — მეზადურთა სოფლის ეს წმიდათა წმიდა დღე. მახსოვს ყველა ჩემი ნათლია, რომელთაც შემძინეს, როგორც მე მგონია, ესტონური ენის კარგი ცოდნა, და ჩამინერგეს მეზადურთა თავისებური წოდებრივი სიამაყე. საერთოდ, ჩემს ნათლიებს, მათ თავისებურ ხასიათებს, მათ ნაამბობს წუთისოფელზე და ზღვებზე, მათ გამოთქმებს — მთელი თარო უჭირავს ჩემს შემოქმედებით სამზარეულოში. სამწუხაროა, რომ ჩემი ნათლიები ბერდებიან და თანდათანობით გვესალმებიან სამუდამოდ. ჩემთვის თვითეული მათგანის სიკვდილი მასწავლებლის სიკვდილია.

ნეტავ, კიდეც დიდხანს დაგვამახსოვრდება სიჭაბუკეში განცდილი წყენა, კერძოდ, ის წყენა, რომელიც უკვე კარგა ხანია მხიარულ ღიმილს გვეგვრის? თვრამეტი წლისა ჯერ კიდეც ისევ ტანდაბალი ვიყავი, თუმცა, თანატოლებივით მეწადა სოფლელ ქალწულებთან ცეკვა. მაგრამ მკვრივი და ტანმადალი ქალიშვილები ზემოდან დამყურებდნენ და სრულებით არ ეპიტნავენოდან ჩემისთანა პატარა კავალერთან ცეკვა. (ამ ქალიშვილთა სიმაღლეზე წარმოდგენა შეი-



ძლება მოგცეთ შემდეგმა ამბავმა. ერთმა მეგობარმა მეზღეაურმა მიაშობო: საარემააში ისეთ მაღალ ქაღალდზე ვცეკვავდი, რომ ვალსის დროს ხელი წელზე კი არა, მუხლებზე მქონდა მოხვეულიო!. ცეკვებზე ზოგიერთი შედარებით ჩვილი და გულკეთილი ქაღალდის კიდევ მაქცევდა ყურადღებას, მაგრამ უმრავლესობა ცხვირს იბზეკდა, თავს მაღლა სწევდა, და მე შემედლო კარგად გამერკვია ქვემოდან მათი ნიკაპის მოყვანილობა. ზოგიერთი რბილი და მრგვალნიკაპიანი იყო. ალბათ, ასეთი ქალწულებიდან კარგი ცოლები დადგნენ. სხვებს კი ნიკაპი მუხის კილივით მქონდათ წაწვეტებული. ასეთები კი გახდნენ ძალაუფლების მოყვარულნი, ანჩხლი, თეფშმტვრეველი მეუღლეები. ასეთი ქალები შემდეგში გადადიან ყველაზე საშიშ და გულღვარდლიან ინკვიზიტორთა კატეგორიაში — ბოროტ სიდედრთა კატეგორიაში. მომავალ ამგვარ სიდედრთა ამპარტაენობა და ქედმაღლობა მეტისმეტად საწყენი იყო.

ბავშვობა, ადრეული სიკბუტე, ზაფხულის თბილი საღამოები, ზამთრის ყინვები, კუნძულის ბუნების საოცარი ხედები, თევზაობა, თესვა, მკა, ლეწვა, მკედლის უროებისა და ჩაქუჩების ტაკატუკა-პირველი სიყვარული და მასთან დაკავშირებული სულიერი ტანჯვა-წამება — ყოველივე ეს შეადგენს ჩემი შინაგანი მარაგის მეტად არსებით ნაწილს, მაგრამ ჭერჭერობით ძალა არ შემწევეს ამ ფერადი ძაფებისაგან მოვქსოვო მთლიანი ქსოვილი.

ბევრი ჩვენგანი, და მათ შორის მეც, ვატარებდით რუხ ფარაჯას იმ ასაკში, რომელიც ყველაზე ბედნიერ ასაკად ითვლება, ესე იგი ცხრამეტიდან ოცდასამ წლამდე. ომმა წაგვართვა სიხარულის დიდი ნაწილი, ახალგაზრდობის დიდი ნაწილი, მოგვტაცა თითქმის ათას ხუთასი დღე-ღამე, რომლის განმავლობაში აღამიანი, ჩვეულებრივ, ჩადის ათას უწყინარ სისულელეს, არის ბედნიერი და უბედური, ამასთანავე, ყალიბდება იგი. მაგრამ ამის ნაცვლად ომმა მოგვცა საკმაოდ მძიმე გაკვეთილი, დაგვაჩილდოვა პირქუში მოგონებებით, რაც მართლაც საკმაოდ ძვირი დაგვიჯდა. ამ წლებში ვიხილეთ აღამიანის სული, ვიხილეთ მისი „მე“ ყველაზე გაშიშვლებულად, ვიდრე გვიხილავს წინათ ოდესმე, ან შემდეგ ხანებში.

უნდა ითქვას, რომ ჩვენმა თაობამ შედარებით მოკლე პერიოდში გაცილებით მეტი განიცადა, გაცილებით მეტი გადაიტანა. ვიდ-

რე საშუალოდ განიცდის ყოველი შვედი თავისი მშვიდი ცხოვრების მთელ მანძილზე.

მაგრამ დაუბრუნდეთ ჩემი მსჯელობის დასაწყისს, „ხასიათის გამოცეკვას“. მთელი ეს მასალა, მთელი ეს შთაბეჭდილებანი და მოგონებანი უწესრიგოდ აწყვია ჩემს შემოქმედებით სამზარეულოში. გულახდილად რომ ვთქვა, მხოლოდ ერთი გარემოება — დისციპლინის ნაკლებობა, ნებისყოფის უქონლობა — მიშლის ხელს საბოლოოდ ამოვარჩიო მათ შორის ყველაზე ძირითადი, ყველაზე კოლორიტული, ყველაზე დამახასიათებელი. წერა ხომ ძალიან ძნელია და როგორც ყოველთვის, უბრალოდ თავს ვარიდებ ხოლმე ამ შიშვე სამუშაოს რაღაც-რაღაცის მომიზნებით, რომ თუ საბოლოოდ არა, დროებით მაინც გადავდო იგი. ქალაქში ასეთი მიზეზი საკმაოზე ბევრია, მაგრამ ზღვაში, საბედნიეროდ, ქარწყლდება და პირდაპირ რჩები სიზარმაცის პირისპირ. საინტერესოა, რომ ანტარქტიკაში ყოფნის სამნახევარი თვის განმავლობაში მე შევძელი გამეკეთებინა და ჩამეფიქრებინა უფრო მეტი, ვიდრე მთელი წლის განმავლობაში ვასწრებ ქალაქში. მიუხედავად ამისა, მოსვენებას არ მაძლევს იმის შეგრძნება, რომ ვწერ ძალიან ცოტას. და ზოგჯერ იმდაც არა ვღირვარ, რომ მაქმევდნენ კაიუტ-კომპანიისში.

ბალზაკი, შესაძლოა, ყველაზე შრომისუნარიანი და ყველაზე პატივმოყვარე გენიოსი გენიოსთა შორის, „პროვინციულ მუზაში“ წერს:

„ცხადია, ტვინი ემორჩილება მხოლოდ საკუთარ კანონებს, იგი არ ცნობს არც ცხოვრების მოთხოვნებს, არც პატიოსნების ბრძანებას. შესანიშნავი ნაწარმოები არ იქმნება იმეტოპ. რომ კვდება ცოლი, რომ უნდა გადაიხადო სამარცხვინო ვალები, ანდა გამოკვებო ბავშვები; მიუხედავად ამისა, არ არიან დიდი ტალანტები დიდი ნებისყოფის გარეშე. ეს ორი ტყუპი ძალა აუცილებელია დიდების უზარმაზარი შენობის ასაგებად. როგორც წარსული დროის რაინდებს მუდამ მომარჯვებელი ჰქონდათ თავიანთი იარაღი, ასევე რჩეულ ადამიანთა ტვინი მუდამ მზადაა შემოქმედებისათვის. ეს ადამიანები სძლევენ სიზარმაცეს, უარს ამბობენ განცხრომით სიამოვნებაზე; თუკი ამ მხრივ გამოჩაყლისს აკეთებენ, მხოლოდ თავიანთი ძალების შესაფერისად. ასე იყო ყველა ადამიანი, რომელიც

შეიქცევდა, ჰკუას ასწავლიდა, ანდა წინ მიუძღოდა თავის ეპოქას. ნებისყოფას ტალანტზე მეტად შეუძლია და უნდა იყოს კიდევაც სიამაყის საგანი. თუკი ტალანტი ადამიანის თანდაყოლილი. მაგრამ განვითარებული მიდრეკილებაა, მაშინ მტკიცე ნებისყოფა გამარჯვებაა ინსტინქტზე, ვნებათაღელვაზე: რომელთაც ნებისყოფა ყოველ წამს აცხრობს და ახშობს; გამარჯვებაა ეინზე და დაბრკოლებაზე, რომელთაც იგი ძლევს, გამარჯვებაა ყოველგვარ სიძნელეებზე, რომელთაც იგი გმირულად ლახავს“.

მე შეშლილი არა ვარ, რომ თავი გენიოსად მივიჩნიო, არც ისეთი წარმოდგენისა, ვფიქრობდე, იმას მივალწიე, რომ „შევიქციო, ჰკუა ვასწავლო და წინ გაუძღვე ჩემს ეპოქას“. საკუთარ თავს, როგორც ბევრ ჩემს კოლეგას, მე ვთვლი გზის მუშად, რომელიც გზას უკაფავს ჩვენს შემდეგ მომავალ დიდ ტალანტებს. ესეც საპატიო სამუშაოა და, ბოლოს და ბოლოს, ხომ ვინმემ უნდა შეასრულოს იგი. ეს შრომაც საკმაო დისციპლინას, საკმაო ნებისყოფას მოითხოვს და, თუკი მართლაც მოხდება სასწაული და დღეს ჩემი ხასიათი შეიცვლება, ვისურვებდი ცოტაოდენ გაზრდილიყო მისი შემადგენელი ეს ორი ნაწილი.

მხედველობაში მიიღეთ, ჩემო მეგობრებო, ინდოეთის ოკეანის სამხრეთ განედებზე. საშინლად მოტორტმანე დიზელ-ელექტრომავალ „კოოპერაციაზე“ წარმოთქმული „ახალშობილის“ ეს სადღეგრძელო!

გუშინ ოდესაში ჩავიდა „როსია“ და ალექსანდრიიდან სამშობლოში ჩაიყვანა მეორე ექსპედიციის თანამშრომელთა ნაწილი.

1959 წლის 21 თებერვალი

როგორც იქნა, ცნობილი გახდა პირველი ნავსადგური — ადელაიდა. თუ ვივლით ასეთი სიჩქარით, რაც ორას ორმოც მილს აღემატება დღე-ღამეში, უნდა ჩავიდეთ 25 თებერვალს საღამოს, ან 26-ში დილით. საინტერესოა, როგორ გამოიყურება ჯემს კუკის ეს „terra incognita Australia“, რომელიც ამჟამად შსოფლიოს დამო-

უკიდებელი ნაწილია და რომლის პირველი თეთრკანიანი მოსახლე-ები ინგლისიდან გადმოსახლებული სისხლის სამართლის დამნაშა-ვენი იყვნენ.

ოკეანე, უკიდურესი ერთფეროვნების ეს რალაც გიგანტური ნა-წილი, ისევ წყნარი და მოქუშულია! ისეთი შეგრძნება მაქვს, თით-ქოს მეორმოცე განედმა მოგვატყუა, დაგვიძალა თავისი ნამდვილი სახე: „კოოპერაცია“ მეორედ გადაუნავარდა მას, როგორც პეპე-ლამ მძინარე ონავარს. ოკეანე, ნისლისა და ღრუბლის კედლებიანი ეს უზარმაზარი გოვზა, კი ოდნავ ირწევა, თითქოსდა, ნესტოებდა-ბერილი მობულრავე ხარი ქშინავსო. რატომღაც მაგონდება ბაგრიც-კის სტრიქონები „კონტრაბანდისტებიდან“:

ძოი, გახედე შავ ზღვას!  
გახედე ბერძნულ აფრასი..  
ერთი აბრაგი ქეჩოზე  
აზის მეორე აბრავს.

მაგრამ აქ არც ბერძნული აფრაა და არც კონტრაბანდისტები: შთელი გზა ისე გამოვიარეთ, არც ერთი ხომალდი არ შეგვხვებოდა. გულს გვიმძიმებს ოკეანის ეს უცვლელი მღუმარება, ეს უსიცოცხ-ლობა (ალბატროსებიც კი თითქმის არ ჩანან). და მე მაინც მესმის. რომ უმართებულოა ჩემი ბუზღუნი. ოკეანე ჩვენ გვანებიერებს. აქაური შტორმების ღმუილი და მძვინვარება გულს უკლავს ადამი-ანს.

დღეს რადიოგრაფა მივიღეთ ტოლსტიკოვისაგან: „16 თებერ-ვალს სოვეტსკაიაზე აფრიალდა სსრ კავშირის დროშა. სადგურის ზუსტი კოორდინატებია — სამხრეთ განედის 78° 24' და აღმოსავ-ლეთ გრძედის 87°35'.“

1958 წლის 22 თებერვალი

„კოოპერაცია“ უწინდელი სიჩქარით — ათნახევარი კვანძით გა-ნაგრძობს გზას. ოკეანე წყნარია.

საზეიმო, საკვირაო განწყობილებაა. რაც უფრო ახლოვდება საღამო, მით უფრო მატულობს სადღესასწაულო განწყობილება. დღეს საბჭოთა არმიის ორმოცი წლისთავია. ამასთანავე მიწამდე მანძილიც კლებულობს.

თუმცა შუა დღით ეს განწყობილება დროებით გაქრა. უნდა გამეუთოვებინა გუშინდელი სარეცხი. სამუშაო წარმოუდგენლად მოსაწყენი და გულსახეთქია. თავდაპირველად, გიყვარდეს, უსვამ და უსვამ ელექტროუთოს, პაერში კი ორთქლი ადის. მაგრამ მერე გადადიხარ პერანგებზე, რომლებიც საღამოთი კონცერტზე და ავსტრალიაში უნდა ჩავიცვა, გემი, რასაკვირველია, ირწევა. რესტორნის რომელიმე მაგიდაზე დააგებ ლოგინის გადასაფარებელს, ხელში აიღებ გავარვარებულ უთოს და შეუდგები საქმეს. პერანგის ზურგა, რომელიც შეიძლება სულაც არ დააუთოო, რადგანაც პიჯაკში მაინც არ ჩანს, შესანიშნავად უთოვდება. მერე უნდა გააუთოო სახელოები, მკერდი, მანუეტები, საყელო, ერთი სიტყვით, ყველაფერი ის, რაც იმ ხალხის მიერაა გამოგონილი, რომლებსაც არც შინ და არც ზღვაში არასოდეს გაუუთოებიათ თავიანთი ხელით საკუთარი თეთრეული. და აქ იწყება რალაც გაუგებარი: რაც უფრო მეტ ხანს აუთოებ, მით უფრო მეტად ემჩნევა გარეგნულად საკმაოდ სუფთა პერანგს ამოურეცხავი ადგილები. ერთ კალთას აუთოებ, ამ დროს მეორე იკმუქნება. მაგრამ ყველაზე ცუდი მაინც საყელოსა და მკერდის დაუთოებაა, საშინელებაა პირდაპირ. დგება დამწვარი ჩერისა და ისეთი ორთქლის სუნი, როგორიც სამრეცხაოშია ხოლმე. ისინი, ვინც უთოს ელოდებიან, ნერვიულობენ, რჩევას გაძლევენ, რაც გაბნევს და ბრაზით გახრჩობს. ფიქრობ, სადაა სამართალი. ჩენი პოეტი პაულ რუმო ერთ ზაფხულს ცოლთან ერთად ლაულასმას აგარაკზე ცხოვრობდა. მას ძროხამ დაუღეკა პერანგი, რომელსაც, უეჭველია, არც რეცხდა და არც აუთოებდა. ასე რომ, მან არამართო თავი და აღწია პერანგს, არამედ ლექსის თემაც იშოვა. მაგრამ ანტარქტიკაში არც ძროხაა და არც სხვა რაიმე ქმნილება, რომ პერანგი დაღეკოს. ასე და ამგვარად ხსნაც არსაიდანაა. მთელი ეს ამბავი იმით დამთავრდა, რომ ახლახან გაუთოებული პერანგები ხელახლა გავ-

რეცხე. ახლა ისინი კაიუტაში ჰკიდია და ყოველი შესვლა-გამოსვლისას სველი სახელო ცხვირზე მეშლააუნება.

დღისით დელფინების დიდ გუნდს ჩაუუარეთ. ალბათ, ასიოდე მაინც იქნებოდა. ისინი წყლიდან ხტოდნენ, მაგრამ გემის მიახლოებისას ანცობას თავს ანებებდნენ.

დღე შესანიშნავად დამთავრდა. მუსიკალურ სალონში გაიმართა მეორე ექსპედიციის მხატვრულ-თვითმოქმედებითი ანსამბლის კონცერტი. ანსამბლი მირინში ჩამოყალიბდა და მას „ლოლუა“ ეწოდა. ანსამბლის ხელმძღვანელი ოსკარ კრიჩაკია, ნიჭიერი და მრავალმხრივ განათლებული კაცი (სხვათა შორის, იგი შეიძლება ყოველდღე ნახოთ გემბანზე ორ პინგვინთან: კრიჩაკი იმედოვნებს, რომ მათ ცოცხლად გადაიყვანს ეკვატორზე და მოსკოვის ზოოპარკს მიჰგვრის).

მაგრამ დაუფებრუნდეთ კონცერტს. თავდაპირველად ანსამბლმა შეასრულა კომპოზიცია სამოქალაქო და დიდი საშამულო ომის დროინდელი საბჭოთა არმიის სიმღერებისა. ნაცნობი ჰანგებია, რომლებიც ესოდენ ახლობელი და მშობლიური გახდა ჩვენთვის ომის წლებში, ჰანგები, რომლებიც კიდევ დიდხანს იცოცხლებენ. ისინი ბევრ რამეს გვაგონებენ და აღადგენენ ომის წლების განუმეორებელ განწყობილებას. ამ სიმღერებში დანგრეული ქალაქების ტრუსის სუნიცაა, მოპიკირე ბომბდამშენის ღრიალიც, მეომრის საშინელი დაღლილობაც, წინმავალი ამხანაგის ფარაჯაზე დაფენილი ფანტელიც და სხვა მრავალი.

„სადა ხართ ახლა, პოლკელო ძმებო?“ ისინი აქ არიან.

კომპოზიცია დამთავრდა. მიკროფონთან გამოვიდა ორი კონტრანსიე—სიმონ გაიგეროვი და სერგეი ლოპატინი. ორივე მსუქანია, გაიგეროვი მეტად, ლოპატინი, როგორც უფრო ახალგაზრდა, ნაკლებად. გაიგეროვი ცნობილი აეროლოგია, ლოპატინი სეისმოლოგი-მარდად ამოქმედდა მათი ენა, რომელიც სრულიად არ არის იადრონით ტყბილი, პირიქით, უფრო კოლა ბრუნიონისებურია და სადგასივით წამახული. სახის გამომეტყველება სერიოზული, მეცნიერული აქვთ. ლაპარაკი კი სწორედ ისეთი, როგორიც ო' პენრის „მეფეებსა და კომბოსტოშია“. ვითომ, სხვათა შორის, და გაკვირით ახასიათებენ ზოგიერთ ამხანაგს, რომლებიც თავდაპირველად თაფლივით ჩანდნენ, მაგრამ შემდეგ მყავე გამოდგნენ. კონტრანსიეები ხშირად

თავიანთ თავსაც კენწლავენ, რაც უფლებას აძლევთ სხვებსაც გა-  
ქვრან კბილი. გასაოცარი წყვილია! რა ბედნიერებაა, ვფიქრობ ჩემ-  
თვის, გვერდში გყავდეს ასეთი ადამიანები ხანგრძლივ და მონო-  
ტონურ პოლარულ ღამეებში, როცა მოსწრებული, მხიარული და უწ-  
ყინარი ხუმრობა ბაჯალლო ოქროდ ფასობს!

მეორე ექსპედიციის მთავარი მზარეული ზაგორსკი, საკმაოდ ჩა-  
სუქებული და კარგი ხმის ახალგაზრდა, ასრულებს „ანტარქტიკულ  
ვალსს“ — მუსიკა ეკუთვნის კრიჩაკს, სიტყვები ანატოლ ვედენსკის.  
ეს სიმღერა მოგვითხრობს მირნის კლდეებზე აეარდნილ თოვლის  
კორიანტელზე, ყინულებზე, საკუთარი კერის მიტოვებით გამოწვე-  
ულ დარდზე, მეგობრობაზე, თეთრ აისბერგებზე, პოლარულ ღამე-  
ში „პრაედის“ მოკიაფე ჩირალდებზე. კრიჩაკის „ანტარქტიკული  
ვალსი“ და „თეთრი აისბერგი“ ჩინებული ნაწარმოებებია და სიმღე-  
რის დროს მუსიკალურ სალონში საპატიო სიწყენარე სუფევს. მათ,  
ვინც ანტარქტიკაში გაატარა ზამთარი, ან ჩემსავით ცოტა ხანი დაჰ-  
ყო იქ. გარდა ცოდნისა, გამოცდილებისა და ჰოგონებებისა, თან წაჰ-  
ყვებათ ოსკარ გრიგოლის ძე კრიჩაკის სიმღერები, და თუ ერთმანეთს  
ოდესმე შეხვდებიან ტალინში, ლენინგრადსა ან მოსკოვში, პირვე-  
ლად უეჭველად მოიგონებენ არა კრიჩაკის პიპოთეზას ანტარქტიკა-  
ში ციკლონების მოძრაობის შესახებ, არამედ მის „ანტარქტიკულ  
ვალსს“.

1958 წლის 24 თებერვალი

სწრაფად ვუახლოვდებით სამხრეთ ავსტრალიას.

ვხედავ შენს თვალებს —  
წარმოდგენავ, მოგონებავ  
ძნელია  
ვისოდენ ლურჯი თვალები...

დღევანდელმა ოკეანემ გამახსენა სილვა კაპუტიკიანის ლექსის  
ეს რეფრენი. საოცარია, მუქ-ლურჯად მოკამკამე, ოდნავი ნაოქებით  
დასერილი ზღვა. იგი ჩრდილოეთიდან მოფენილ მზის სხივებში გა-  
ნაბულა და თვლემს. სიწყენარეა, თბილა... მინდა ვწერო ლექსები.

მავრამ მე ვკრთოდი,  
გულს ვიოკებდი.  
და ზედ კისერზე  
ქუსლს ვაპერდი  
საკუთარ სიმღერას.

იქნებ, რამდენიმე დღის შემდეგ დღევანდელი დღე ლექსად იქცეს. ალბატროსები თითქმის ზედ წყალზე დასრიალებენ, ხოლო ზედაპირზე მათ კვალდაკვალ გადარბის ქათქათა, მთრთოლვარე ანარეკლები. რამდენიმე მილზე ჩვენს პერპენდიკულარულად მიცურავს ხომალდი — დიდი რუხი ტანკერი. იგი პირველია მთელ გზაზე. ალბათ მელბურნიდან მოდის.

საღამო უამს, როგორც კი დაბნელდა, ავსტრალიის მატერიკის ქუფრ ცაზე ამოცურდა ყვითელი, უდაბნოს მიწასავით, ყველის ან კარაქის ნაჭერივით მეტისმეტად ყვითელი, ნამგალა მთვარე. ასეთი მთვარე მხოლოდ სამხრეთ ნახევარსფეროში შეიძლება იყოს. ო, როგორ გიფორიაქებს იგი სულს! გავიწყდება, რომ ცხოვრების ნახევარი უკვე გავლილი გაქვს, თავი ოცი წლის ბიჭი გგონია, და ფიქრობ: „მუშაობა ხანდაზმული ხალხის საქმეა, ჩვენი კი...“

1958 წლის 25 თებერვალი

— მიწა გამოჩნდა

ამ საზეიმო შეძახილით გამომალევიდა დღეს კუნინმა დილის ექვს საათზე.

ხომალდის წინ გადაშლილი ცა მცხუნვარე მზის მოგიზგიზე აღშა იწვოდა. აუწერელი სილამაზისა იყო ალიონზე ზღვა. ჩვენს ხელმარჯვნივ, შესაძლოა, ერთ კილომეტრზე ლურჯად მოკამქამე წყლიდან ამოშვერილიყო სილითა და მიხაკისფერი ბალახით დაფარული კენგურუს კუნძული. მისი სიგრძე ორმოც მილს აღწევს, ხოლო სიგანე — ოცდახუთს. კენგურუს კუნძული მთელი დღე ჩანდა ჩვენგან ხელმარჯვნივ და ხან გვშორდებოდა, ხან გვიახლოვდებოდა. კუნძულზე არ შეინიშნებოდა სიცოცხლის, სიმზიარულის არავითარი ნიშანწყალი. ირგვლივ მხოლოდ სილა იყო, გადატრუსული ბალახი და ისევ სილა, აგრეთვე ზღვაში ჩაქცეული ფლატეები, რომე-



ლთა ანარეკლი წყალსაც კი ყვეთლად აფერადებდა ნაპირთან ახლოს. მალა აწეული მზის შუქზე კუნძული მძინარე კუს ბაკანს მოგაგონებდათ. კუნძულზე მხოლოდ ერთი ნაგებობა — რადიოშუქურა ჩანდა. ნაპირიდან ცოტა მოშორებით, ერთმანეთისაგან რამდენიმე მილის მანძილზე, გიზგიზებდა კოცონი. გადარუჯული მიწიდან ცაში აღიოდა სქელი კვამლის ლილისფერი სვეტები, რომელთა სიგანე ძირში სულ ცოტა, ერთი მილი მაინც იქნებოდა. ნეტავ რა იწვის. ტყე თუ ბალახი? ალბათ, ბალახი. და მაინც, რა კარგია ისევ ხმელეთის ხილვა, მთელი საათობით შევიძლია უცქირო! მე ხომ ბალახი და სილა უკანასკნელად ოთხმოცი დღის წინათ ვნახე სამხრეთ აფრიკაში.

სალამოს შევდივართ ინვესტიგატორის სრუტეში. ხომალდები უფრო ხშირად გვბვდებან. ჩვენს წინ ზღვიდან თანდათანობით ამოიშრათა მოყვითალო ფერის ავსტრალია, შორს გაწოლილი მისი კუნძუბიანი მთები. დგება თბილი სალამო.

„კოოპერაცია“ ღუზა ჩაუშვა წმიდა ვინსენტის ყურეში. ღამეს აქ გავათევთ.

1068 წლის 28 თებერვალი

ლოცმანის კატერი დილაადრიან მოგვადგა. გემბანზე ამოვიდნენ ლოცმანი, საბაჟოს მოხელეები და ნავსადგურის ექიმები. ლოცმანი გაემართა სავალი ბოგურისაკენ. ექიმები კი ჩვენი ჯანმრთელობას გამოკვლევას შეუდგნენ. ჩვენ მათ წინ ხელეგაწვდილ დავაბიჯებდით, თარჯიმანი გვიძახებდა გვარებით, რასაც მოჰყვებოდა ღიმილა და „very good“-ი.

ადელაიდის ნავსადგური მდინარის შესართავზე მდებარეობს. „კოოპერაცია“ ნელა მიიწევდა ნავმისადგომებს შორის. მარჯვნივ, მდინარის სამხრეთ ნაპირზე, წყლის პირს მანგოს ბუჩქები ჩასდევდა. გზადაგზა გვბვდებოდნენ თევზსაჭერი ბარკასები და მცირე რაოდენობით ხომალდები. მყუდრო უბეებში კი ურიცხვი პატარა იახტა და მოტორიანი ნავია, თუმცა საიალქნო სპორტი აქ გასართობად მხოლოდ მდიდრებისთვისაა ხელმისაწვდომი.

ადელაიდა დიდი ნავსადგურია. დაბალი პაკაუზებით მოფენილ დაბეტონებულ სანაპიროსთან დგანან დაახლოებით შვიდი ათასი,

ათი ათასი და თორმეტი ათასი წყალწყვის დიდი საოკეანო გემები. გემებზე მოჩანს ავსტრალიის, ინგლისის, ამერიკის, იაპონიის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, დანიის, შვეციის და სხვა ქვეყნების ალმები და ფირმის ემბლემები. უცხო მატერიკზე შემოდგომის უქარო ამინდია, პაპანაქება სიცხეა და მიწას ოხშივარი ასდის.

საბუქაირო გემებს „კოპერაცია“ ნავსადგურის შუაგულში შეჰყავთ. ჩვენს პირსთან დგას ინგლისის დიდი გემი „დეფონი“ და ათი ათასი ტონა წყალწყვის იაპონიის გემი (რომელიღაც „მარუ“).

როგორც კი გამოჩნდა საბჭოთა ხომალდი, და ისიც ანტარქტიკას ექსპედიციის მონაწილეებით სავსე, გემბანზე აუარება ხალხი გამოფინა. ნავმისადგომთან გამოჩნდნენ ნავსადგურის მუშები, შავ ფორმაში გამოწყობილი საბაჟოს მოხელეები და რამდენიმე პოლიციელი. მაშინვე თვალში გვეცა ავტომობილის წითელ ძარაზე „კოკა-კოლას“ ნაცნობი რეკლამა. მთელ სიგრძეზე ჩამწყკრივებულან საწყობები, მზეზე ლაპლაპებს ვიწროლიანდაგიანი რკინიგზის რელსები. ოკეანის სუფთა, მწუთხე პაერზე ყოფნის ორი კვირის შემდეგ ჩვენ კვლავ ვისუნთქავთ მტვრისა და ხორბლის სუნს.

ნავმისადგომთან ხალხი გროვდება. საბჭოთა ხომალდები იშვიათად შედიან ავსტრალიის ნავსადგურში და ამიტომაც წითელალმიანი გემის გამოჩენა დიდი მოვლენაა. როგორც კი დაუშვეს ტრაპი, ხომალდზე პირველი ამოვიდა პროფესორი გლესნერი მეულღესთან ერთად. გლესნერი გამოჩენილი მეცნიერ-მენავთობეა. მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე საბჭოთა მთავრობის მოწვევით ჩამოვიდა ჩვენს ქვეყანაში სამუშაოდ. მან საკმაოდ კარგად შეისწავლა რუსული ენა და ცოლად შეირთო ახალგაზრდა მოსკოველი ბალერინა. გლესნერს კარგი ურთიერთობა აქვს ჩვენს პოლარელებთან და ვინაიდან „ობმა“ და „ლენამ“ ჭერ კიდევ 1956 წელს ჩაუშვეს ღუზა ადულიადაში, ბევრ მათგანს კარგადაც იცნობს. როცა უურნალისტები შემოეხვივნენ მეორე ექსპედიციის უფროსს ტრეშნიკოვს, გლესნერმა მათ უთხრა:

— იცოდეთ, მეტისმეტი ცილისწამება არ იყოს! (სხვათა შორის, ჩვენს მიმართ აქაური პრესის ტონი კორექტულია).

ამ დროს კი ნავმისადგომზე ერთი წრიალია, რასაც ცნობისმოყვარეობის ბეჭედი აზის და არც ტრაგიზმსაა მოკლებული. იგი ფსი-

ქოლოგიური თვალსაზრისით მიმზიდველ სანახაობას წარმოადგენს-  
საწყობების ჩრდილში დგანან მთელი ოჯახები, ზოგნი ბავშვებია-  
ნად, ზოგნი ბავშვების გარეშე, ჯგუფიდან ჯგუფში კი გადადიან ცალ-  
კეული ადამიანები. ამ ადამიანთა უმრავლესობა რუსულად ჩურჩუ-  
ლებს. საწყობების უკანა მხრიდან გამოდიან მანქანები — ახალი  
„ჰოლდენები“ (ავსტრალიის საავტომობილო მარკა), ნახშირი „ჰოლ-  
დენები“, სრულიად ძველი „ჰოლდენები“ და უკვე სავსებით დანჯლ-  
რეულები, რომლებიც ალბათ პირველი მსოფლიო ომის დამთავრე-  
ბის პერიოდში გამოუშვეს. ასეთ მანქანებს რომელიმე საპორტო ქა-  
ლაქში კი არა, ავტომობილთა სასაფლაოზედაც ვერ იხილავთ. ზო-  
გიერთი მათგანი აქვე ჩერდება, უმეტესობა კი „კოოპერაციასთან“  
შოახლოებისას რაც შეიძლება ანელებს სვლას. ფანჯრებიდან ხარბად  
შემოგვეცქერიათ შიგ მსხდომნი: დიდები — სერიოზული სახეებით,  
ბავშვები — ცნობისმოყვარე გამომეტყველებით. „კოოპერაციის“  
მიზმის შემდეგ სანაპირო, რომელიც მანქანების მოძრაობისათვის გა-  
მოუყენებელია, გასაველელ გზად იქცა. მანქანები უვლიან საწყობებს  
გარშემო და სამი-ოთხი წუთის შემდეგ ისევ გამოჩნდებიან. ისინი  
ნელა მიჰყვებიან სანაპიროს, მგზავრები უკვე გაბედულად უყურე-  
ბენ ხომალდის ილუმინატორებს და ფარულად გვათვალიერებენ  
გემბანზე მდგომთ. ორწუთიანი დაზვერვის შემდეგ მანქანები ჩერ-  
დებიან, მგზავრები გადმოდიან, საწყობის კედლებს ეკყრიან და დიდ-  
ხანს, გაუბედავად შეჰყურებენ „კოოპერაციის“ ტრაქსს, მაგრამ ძალა  
არ შესწევთ ამოვიდნენ ზევით.

ესენი რუსი ემიგრანტები არიან. ადელაიდაში მათი კოლონია და-  
ახლოებით ოცი ათასი კაცისგან შედგება.

ალექსეი ტოლსტოი რუსი ემიგრანტების ერთ ნაწილს, რომლე-  
ბიც რევოლუციის შემდეგ პარიზში გადასახლდნენ, „მებოდიშეებს“  
უწოდებს. როცა თვალყურს ადევნებ, თუ რა ხდება ნავმისადგომზე,  
„კოოპერაციის“ ტრაქთან ახლოს, მაშინვე ეს განსაზღვრა გაგონდება.  
ემიგრანტები, უმეტესად ოჯახებით (ცოლი და ქმარი, ანდა, ცოლი,  
ქმარი და ბავშვები) უახლოვდებიან ტრაქსს, სანამ ფეხს შემოდგამენ,  
ცოტა ხანს დგანან გაუბედავად და დაბნეულად, ბოლოს ნელა ამო-  
დიან საფეხურებზე (ამოსვლისას ბავშვები მაგრად სჭიდებენ ხელს

ბაგირს). ამოათავებენ უკანასკნელ საფეხურს და ოჯახის მამა ჩვე-  
ულებრივად იკითხავს:

— ბოდიში, შეიძლება დავათვალიეროთ ხომალდი?

ანტარქტიკაში მოგზაურობის მთელ მანძილზე არ მსმენია იმდენი „ბოდიში“, რამდენიც აქ, „კოოპერაციის“ ტრაპსა და დერეფანში. რამდენი რამის შემცველი იყო ეს „ბოდიში“, რა განსხვავებულ ელფერს ლებულობდა სხვადასხვა ადამიანების მიერ წარმოთქმისას ეს ერთი უბრალო წინადადება: „ბოდიში, შეიძლება დავათვალიეროთ ხომალდი?“ ცნობისმოყვარეობა იყო ეს? რა თქმა უნდა, მაგრამ მართო ეს არ ყოფილა. აქ სხვა რამეც იმალებოდა: „ბოდიში, ჩვენ იმდენ ხანს გვატყუებდნენ, რომ გვინდა გავიგოთ, მართლაც ხომალდია ეს, თუ მხოლოდ პროპაგანდა“. „ბოდიში, მაგრამ თქვენს თვალში, ალბათ, მხოლოდ სამშობლოს მოლაღატეები ვართ“. „ბოდიში, მაგრამ გვინდა ჩვენს უწინდელ სამშობლოზე გავიგოთ რაიმე არა მეგაზეთე-ემიგრანტებისაგან, არამედ თქვენგან“. „ბოდიში, მაგრამ ჩვენ ვნაღვლობთ ჩვენს რუსეთზე“. ბოდიში, ბოდიში, ბოდიში... ამაში დარდიც არის და კითხვაც, ამაში სურვილიცაა იხილონ ის ადამიანები, რომლებიც ცოტა ხნის წინათ წამოვიდნენ და ახლა ისევ ბრუნდებიან ქვეყანაში, რომელიც აღორძინდა მას შემდეგ, რაც მათ, ემიგრანტებმა, ნებით თუ უნებლიეთ, დატოვეს იგი, რომლის უდიდესი, ყოველდღიურად მზარდი ავტორიტეტის, რომლის სიმძლავრისა და წარმატებების უარყოფას ვერ ბედავენ თვით ავსტრალიის ბურჟუაზიული გაზეთებიც, ქვეყანაში, რომელთანაც ავსტრალიის მთავრობას კაპიტალისტური სამყაროს თვალსაზრისითაც კი სამარცხვინო, ცუდად შეთითხნილი და ახლა უკვე ბოლომდე მხილებული პეტროვის პროვოკაციის შემდეგ შეწყვეტილი აქვს დიპლომატიური ურთიერთობა.

საღამოთი „კოოპერაციაზე“ ვერ გაივლი. ავსტრალიელებით და რუსი ემიგრანტებით გაიჭედა დერეფნები, გემბანები, მუსიკალური სალონი. ყველა კაიუტაში ისინი არიან, სვამენ ჩაისა და ვახშმობენ ჩვენს რესტორანში, ათვალიერებენ სურათებს, უკრავენ როიალს, ცეკვავენ, ერთი სიტყვით, შინაურულად გრძნობენ თავს. უფრო გვიან მოსულები უკვე უსასრულოდ აღარ ბოდიშობენ. ექვსი თვის, ერთი წლისა და ორი წლის ბავშვებს ძილი ერევათ და ქირვეულო-

ბენ. ზოგიერთებს უკვე სძინავთ კაიუტებში საწოლებზე, მუსიკალურ სალონში სკამებზე, ზოგიერთებს კი დედის კალთაში ჩასძინებიათ.

უცნაურ წინააღმდეგობათა საღამოა.

შეჰყურებ ტრაპს, რომელზედაც განუწყვეტლივ ამოდინან უცნობი ადამიანები და ფიქრობ, რამდენი წინააღმდეგობაა ამ რიგინად ჩაცმულ-დახურულ მომლოცავეებს შორის, რომელთა რუსულ სახეებზე მღელვარება აღბეჭდილა, რა ბევრია მათში დოსტოევშიჩინა, კრაზამდე მისული მერყეობა და გასაგები ხდება, რატომაა, რომ ავსტრალიის საგიჟეების ბინადართა დიდ პროცენტს ემიგრანტები შეადგენენ. გასაგები ხდება ისიც, რომ არც ისე დიდი ბედნიერებაა სახლისა და მანქანის შეძენა განვადებით.

გემბანზე უჩვენებენ ფილმს ანტარქტიკაზე, პირველ საბჭოთა ექსპედიციაზე. ხალხი უზომოდ ბევრია, მესამე გემბანზე ისეთი ჭედვაა, ნემსი არსად ჩავარდება, საკარჭაპე და სასეირნო გემბანები ხალხითაა გავსებული, მაყურებელთა ნაწილი ფილმს რესტორნის ფერადი სარკმლიდან უყურებს. სამარისებური სიჩუმეა. სულ ცოტა. ორასამდე კაცი გემბანადგომზე დგას — ხომალდზე მეტი ადგილი აღარაა.

გემებისა და ნავსადგურის ნათურების შუქი ეცემა ტრაპს, ოდნავ ეღვარებს გალაქული ხე, თვალისმომკრელად ბზინავს სპილენძი, სიბნელეში ძიგძიგებს მორუხო-მონაცრისფრო გემსაბელი. ტრაპზე ნელა ამოდის დაქმუქნილკოსტუმიანი მოზუცი. თავზე გაურკვეველი ფერის, ერთიანად დალაქავებული ქუდი ახურავს. მოკაუქვებულ ჯოხს საფეხურებზე კაკუნით მოათრევს. იგი გაუპირისპირდა გუშაგს და ისე შეაცქერდა, თითქოს იპედოვნებს, ნაცნობ ნაკეთებს ვინილავო. ეუბნება:

— მე რუსი ვარ.

-- აქ ბევრი რუსია, — უპასუხებს გუშაგი.

— ბოდიში, შეიძლება დავათვალიერო ხომალდი? — ბოდიში, ხელს ხომ არ შეგიშლით?

უმცროსი თაობის ესტონელი ემიგრანტი პოეტებიდან ყველაზე ნიჭიერ, ყველაზე თავისებურ და ამავე დროს, ყოველივე საბჭოურის მიმართ ყველაზე მტრულად განწყობილ პოეტად კალი ლეპიკი მიმა-

ჩნია. მას აქვს თავისი წერის მანერა, თავისი სახე და თავისი სიტყვები. უნიკო პოეტი ვერასოდეს მოიფიქრებდა იმ სახელწოდებას, რომელიც მისცა მან შვეიციაში გამოცემულ თავის კრებულს: „მათხოვრები კიბეებზე“.

1958 წლის 27 თებერვალი

ა ლ ე ლ ა ი ლ ა

კუნინი, რომელიც ჩემთან ერთად ცხოვრობს კაიუტაში, არაფრით ჰგავს დედამიწის სფეროს. იგი საშუალო სიმაღლისაა, ან შეიძლება, ცოტა ნაკლებიც, ქალარაა და მელოტი, ლაპარაკობს ხმადაბლა და არასოდეს იგინება, და თუ იგინება, საოცრად ლაზათიანად და გამომეტყველებით. იგი ცნობილი ინჟინერია, რამდენიმე სქელტანიანი წიგნის ავტორი, მშენებელთა შორის ავტორიტეტით სარგებლობს და შეთავსებით მეორე ბოცმანად მუშაობს „კოოპერაციაზე“. როცა ხომალდს მარცვლეულის მისაღებად ამზადებდნენ ოკეანეში, იგი მთელი დღეობით ტრიუმში იკარგებოდა თავის მშენებელთა რაზმთან ერთად. გემს ხუთი თითივით იცნობს, ზღვები და ოკეანეები მასავით ხშირად მეზღვაურებსაც კი არ უნახავთ. კუნინი ორმოცდაათ წელს გადაცილებულია და ალბათ ყველაზე მოუსვენარი კაცია „კოოპერაციაზე“. იგი კაიუტიდან დილით გადის, სადილობისას მისი ქალარა თავი ერთი წამით გაიელვებს რესტორანში, კაიუტაში ბრუნდება დაახლოებით თერთმეტ საათზე, აესტრალიაში კი — შუალამის შემდეგ. მას ოქრო ხელი აქვს, შეუძლია ხისგან და რკინისაგან გააკეთოს უამრავი მარტივი და რთული რამ, არ შეუძლია უსაქმურად ყოფნა. ხატავს კარგად, უკრავს მანდოლინასა და როიალს. კარგად ერკვევა ხელოვნებაში და თავისუფლად ლაპარაკობს ინგლისურად.

და თუმცა, ვიმეორებ, იგი არ ჰგავს დედამიწის სფეროს, მაგრამ დილით, როცა ტრაპით ნავმისადგომზე ვეშვებოდით, მოაჭირს გადაყრდნობილმა რომელიღაც ენაქილიკმა დაგვადევნა:

— აი კუნინიც, თავის თანამგზავრიანად.

•თანამგზავრი მე ვარ, და სავსებით მაკმაყოფილებს ჩემი თანამ-

დებობა. კუნინი უკვე იყო ადელაიდაში. 1956 წელს „ლენით“ ჩამოვიდა აქ, იცნობს ქალაქს და იცის, რაა სანახავი. უფრო მეტაღ. ავსტრალიელებს შორის მას ბევრი ნაცნობიც ჰყავს. კარგაა ვლადიმერ შიხეილის ძის ირგვლივ თანამგზავრით ტრიალი.

გავდივართ ქალაქში. იგი შედგება ორი ქალაქისაგან — ადელაიდისაგან და პორტ-ადელაიდისაგან. მათ შორის ეს უკანასკნელი თავისი საეპრო ფირმებითა და მაღაზიებით, მუნიციპალიტეტითა და მერით ნამდვილი საპორტო ქალაქია. აქვე მდებარეობს ავტოქარბანა „პოლდენის“ ერთ-ერთი უდიდესი განყოფილება. პორტ-ადელაიდიდან ადელაიდამდე დაახლოებით თხუთმეტი მილია. ავტობუსი, რომელიც აქ მარცხენა მხარეზე მოძრაობს, მიქრის უზარმაზარ საწყობებსა და მანქანის სადგომებს შორის, სავალი ნაწილი კარგად მოვლილი ნარგავებითაა შუაზე გაყოფილი. აქ ხარობს პალმა, კედარი, ზემთვის უცნობი ავსტრალიური ხეები, ყვავილები და ხალიჩასავით სქელი ბალახი. გზიდანვე ჩანს, რომ ადელაიდის, ისე როგორც ავსტრალიის ყველა დანარჩენი ქალაქის უმეტესი ნაწილი, კერძო სახლებს უკავია. სახლები სხვადასხვა მასალისაგანაა აშენებული. აქ შეხვდებით წითელი აგურით, თეთრი ქვით, ანდა მოყვითალო ბლოკებით ნაგებ სახლებს. თუმცა თვით სახლები საესებით ერთნაირია: ყველას განიერი ფანჯრები, დახურული ქალუზები და წინ გამოწეული კარვისებურად გადახურული აივნები აქვს. ავსტრალიაში მზე უხვად აფენს თავის მცხუნვარე სხივებს და ამიტომაც ჩრდილი დიდად ფასობს.

ადელაიდის ცენტრი დასავლეთის ქალაქების ცენტრს მიაგავს. აქ არის მრავალსართულიანი დიდი სახლები ქვემოთ მაღაზიებითურთ, ბანკები, კანტორები, მთავრობის შენობები, ურიცხვი რეკლამა, ოტელები, ბარები და უამრავი მანქანა. „თეთრი ავსტრალიის“ ადგილობრივი პოლიტიკის შესაბამისად, რაც ხელს უშლის ზანგების, იაპონელების, ინდოელების, მალაელების იმიგრაციას (ეს პოლიტიკა არ ეხება მხოლოდ იმ სტუდენტებს, რომლებიც ავსტრალიის უნივერსიტეტებში სწავლობენ და უფლება აქვთ, რა თქმა უნდა, განსაკუთრებული ნებართვით, აქ პრაქტიკა გაიარონ დიპლომის მიღების შემდეგ), ადელაიდა წარმოადგენს „თეთრ-ქალაქს: ყველგან ევროპული სახლებია, ევროპული მოდებია. იგი, მგონი, მართლაც მხო-

ლოდ ორი რამით განსხვავდება ჩემთვის ცნობილი დასავლეთის ქალაქებისაგან: ძველი მარკის ავტომანქანების სიუხვითა და ჭორფლიანთა სიმრავლით. მე ჯერ არსად მინახავს ქალაქი, სადაც ამდენი ჭორფლიანი ცხოვრობდეს. ჭორფლი სასაცილოს და მშობლიურს ხდის იმ მეგაზეთე-ბიჭუნების სახეებს, რომლებიც ყურთასმენის წამლებად გაჰკივიან ქუჩებში, ჭორფლი მოუჩანთ ტანკენარ ქალებს დეკოლტიანი კაბებიდან, ჭორფლს ვარსკვლავებით მოოჭვილ მოწითალო ფერის კამკამა ცასავით აუჭრელებია თეთრი ხელთათმანებით დამშვენებული ნატიფი მკლავები. თეთრი კაბებით ქუჩაში მონავარდე გოგონები კი შაშვის ჭრელ კვერცხებს დამსგავსებია. ბევრი, ძალიან ბევრი ჭორფლიანი გვხვდება. სხვა მხრივ იგი ჩვეულებრივი ქალაქია.

ადელაიდა წარმოადგენს სამხრეთ ავსტრალიის შტატის სამრეწველო და ადმინისტრაციულ ცენტრს. მისი მოსახლეობა შეადგენს ოთხას ოთხმოც ათას კაცს. სხვათა შორის, ქალაქში არ არის არც ერთი მუდმივმოქმედი თეატრი, არ არის საკუთარი სიმფონიური ორკესტრი. საშუალო ადელაიდელის მხატვრულ გემოვნებას, მის სულიერ მოთხოვნილებას უნდა აკმაყოფილებდეს კინო და როგორც ეტყობა, აკმაყოფილებს კიდევ. თუ მელბურნიდან ან სიდნეიდან ჩამოდის რომელიმე დასი ან რომელიმე მომღერალი, ბილეთები იმდენად ძვირია, რომ რიგითი მაყურებლისთვის და მსმენელისთვის ხელმიუწვდომელია. განსაზღვრული ბიუჯეტის პატრონს, რომელსაც უკანასკნელი პენსიცი კი გამოთვლილი აქვს, ძალიან გაუჭირდება გადაიხადოს ორმოცდაათი შილინგი, ესე იგი ორნახევარი ავსტრალიური გირვანქა.

დღევანდელი დღის დიდი ნაწილი მე და კუნინმა სამხრეთ ავსტრალიის ეროვნულ სამხატვრო გალერეაში გავატარეთ. ამ საკმაოდ მოზრდილ მუზეუმში ავსტრალიელ მხატვრებს დათმობილი აქვთ მხოლოდ ერთი დარბაზი, თუმცა, უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი მათი ნამუშევარი ჰკიდია ინგლისელების, ფრანგებისა და პოლანდიელების სურათების გვერდითაც. პირველი შთაბეჭდილების მიხედვით, აქ ინგლისელები ბატონობენ. ძალიან საინტერესოა ცნობილი ავსტრალიელი პეიზაჟისტის ალბერტ ნამეტჯირის ნამუშევრები. დაბალდაბალი მთები, ფოთლებშემზმარი, გამტვერიანებული ხეები, უდაბ-



ნო, ნახევარუდაბნო. დიდხანს შეეყუარებთ ინგლისელი ქალის ლაურა ნაიტის სურათს. არ ვიცი, ეს პეიზაჟი ავსტრალიურია თუ არა, მაგრამ ინგლისურისათვის იგი მეტისმეტად მზიანი მეჩვენა. წინა პლანზე გამოხატულია ორი ცხენი, ოდნავ მოშორებით შეყვარებულნი წყვილი და ორი სახედარი, უკან კი მთები. გეჩვენება, თითქოს სურათიდან განუწყვეტლივ იღვრება დარბაზში ოქროსფერი, მშვიდი და ხალისიანი მზის შუქი და მაყურებლებსა და სხვა ტილოებს ეფინება, ნეტავ, როგორ ხდება ეს?

პირველ დარბაზში რეალისტური პეიზაჟები და პორტრეტები. მეფეებსა და დედოფლებს აქაც ისეთივე ნაცნობი სახეები აქვთ. როგორც ყველგან — მედიდური, გაყინული, გოფირებული საყელოებიდან გამომზირალი. მაგრამ აი, ჩვენ შევედივართ თანამედროვე ხელოვნების სამეფოში. ტილოებზე ხატია სამკუთხედები, რომბები, კუბები, დახლართული ხაზები. მე არა ვარ სახვითი ხელოვნების დიდი მკოდნე, მაგრამ თუ არ ჩავთვლით იმ ტილოებს, რომლებსაც, მიუხედავად დიდი სურვილისა, ვერავენ ვერაფერს გაუგებს, აქაც იპოვი ისეთებს, რომლებიც სანახავადაც ღირს და ჩაგაფიქრებს კიდევაც. ალან რეინოლდსის წრეხაზები, კუბები და მართკუთხედები, მიუხედავად მოჩვენებითი ანტიმათემატიკურობისა, ქმნის ლამაზ, მშვიდ და, გაუბედავი მეთქვა, მხატვრულ სურათს. აქ არის რბილი ზოლურჯო-მონაცრისფრო და ვერცხლისფერი ტონები, არსადაა ჰყეტელა ფერები, და მთელ ამ უწყესრიგობაში გარკვეული შინაგანი სიმეტრიაა. უყურებ და ფიქრობ: შენი სახლის იმ ოთახში, სადაც ჩვეულებრივ სხედან სტუმრები, და მათ შორის ისეთებიც, რომლებიც დასავლეთში წარმოშობილ ყველა მხატვრულ მიმდინარეობას და მეთოდს განურჩევლად მხოლოდ ერთ შეფასებას აძლევენ: „ნაგავია, იდეური არაა, უაზრობა!“ — იმ ოთახში ასეთ სურათს ვერ დაკიდებ, მაგრამ უფრო მყუდრო ადგილას, — რატომაც არა?

უცნაური და ერთმანეთის საწინააღმდეგო გრძნობებით მოვშორდი რუა დე მესტრის სურათს. თვალის პირველი შევლებიას ვერაფერს ამჩნევ, გარდა ჯოჯოხეთური ქაოსისა. იგივე კუბები და ერთმანეთს გადახლართული მრავალგვარი სწორი ხაზებია, რომლებიც ათასგვარ კუთხეებს ქმნის, ტილოს შუაგულში კი ვიოლინოს გრიფის მსგავსი რაღაცაა. ამ საღებავების ნარევის ქვეშ წერია — „წა-

ბორძიკებული ქრისტე ჯვრით“. გაოგნებული ხარ. გვარის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, დე მესტრი შეიძლება კათოლიკე მხატვარი იყოს, ხაუყეტი სახარებიდან აულია, მაგრამ ავტორის მიერ ამ სიუჟეტის გააზრება ვიოლინოს გრიფის წყალობით, რებუსს წარმოადგენს. შეჰყურებ ხელახლა, გამომცდელად, დაკვირვებით და იმ ბავშვის მდგომარეობაში ვარდები, რომელსაც ცალკეული ასოებიდან რაღაც სიტყვა შეუდგენია და პირველად ცდილობს ამოიკითხოს იგი. მკაფიოდ გამოიყოფა მძიმე ჯვარი, მერე ამჩნევ მის ქვეშ წაბორძიკებულ ქრისტეს. სახე არ მოუჩანს — დაცემის მომენტში ქრისტეს იგი ცოდვილი მიწისაკენ მიუქცევია, მაგრამ ხედავ ჯვრის სიმძიმის ქვეშ მოხრილ, ძალაგამოღულულ ზურგს, ხედავ დანაოკებულ განიერ საბურველს და ხედავ შიშველ ფეხისგულებს ოდნავ მოხრილი თითებით, როგორც ეს დაცემის მომენტში უნდა იყოს. თვალმოუშორებლად შესცქერი ამ ჯვარს, მოხრილ ზურგს და ფეხებს, რომლებიც ძალიან შორსაა რემბრანდტის უძღები შვილის ფეხებისაგან, მაგრამ რაღაცით მაინც გაგონებთ გენიალურად მიგნებულ ამ დამსკდარ ფეხისგულებს. მე შემდეგ ხელმეორედ ვუბრუნდებოდი ამ სურათს და ყოველთვის რაღაც ახალს ვპოულობდი მასში.

მე აზრადაც არ მომდის, შევეუერთდე სოციალისტური რეალიზმისადმი მტრულად განწყობილ იმ ადამიანებს, რომლებიც მთელ საბჭოთა სახვით ხელოვნებას „ფოტორეალიზმის“ ერთი მნიშვნელის ქვეშ აყენებენ. მაგრამ ვერ ვუარყოფთ, რომ ბოლო წლებში გამოფენებზე ჩვენ ვიხილეთ ერთმანეთის მსგავსი, ერთმანეთის ამომწურავი ბევრი სურათი, რომლებიც, უკეთეს შემთხვევაში, წარმოადგენენ ჩვენი მჩქეფარე ცხოვრების რომელიმე უკვე განვლილი მომენტის მკრთალ ფიქსაციას. ამ ნაწარმოებებში არ იგრძნობა არც გუშინდელი დღე, არც ხვალისდელი, ისინი იმდენად აღწერილობითი ხასიათისანი არიან, რომ გვათავისუფლებენ ყოველგვარი ფიქრისაგან. მაგრამ, ჩემის აზრით, კარგი ფერწერული ტილოს, ისევე როგორც კარგი ლიტერატურის ქვეშარტად მხატვრული ზემოქმედება იწყება მას შემდეგ, როცა ჩვენ მოვშორდებით ტილოს ან დავხურავთ წიგნს და ჩავეუფიქრდებით იმას, რაც მათ გვითხრეს. ნაწარმოებში სათქმელისა და აზრის უქონლობა სილატაკის ნიშანია. ვინ არის გრიგოლ მელეხოვი, ბანდიტი, კაცისმკვლეული თუ უბედური

ტრაგიკული გმირი? იყო თუ არა აქსინია მხოლოდ და მხოლოდ უზნეო ქალი თუ კლეოპატრასებური სიყვარულის მატარებელი? ამაზე ყოველდღიურად კამათობს და ფიქრობს ათასობით ადამიანი. მაგრამ ბევრ სურათზე არც ფიქრობთ და არც ვკამათობთ: თავნაფქვი ბურღულის ფაფა — ეს თავნაფქვი ბურღულის ფაფაა, ნოყიერი და მომაბეზრებელი.

ეროვნულ სამხატვრო გალერეაში ჰკიდია ჯექ სმიტის ტილო „თეთრი პერანგი და ჭადრაკის დაფა“. ტილოზე გამოსახულია წითელუჯრედებიანი დაფა, ორი უბრალო სკამის ზურგი და მათ შორის ბაწარზე გაფენილი გარეცხილი თეთრი პერანგი. სხვა არაფერი. საღებავები ნათელია და ხალისიანი, სკამების ზურგი თითქოს ბავშვის მიერაა დახატული. და მაინც, შეხედავ ამ სურათს და მერე ქუჩაში ფიქრობ: ნეტავ ვინ ცხოვრობს ამ ოთახში, როგორ ცხოვრობს, რა კაცია, რა ფიქრები ამოძრავებს. ის პერანგი ვინ გაურეცხა — ცოლმა, შეყვარებულმა თუ თვითონ გაირეცხა? ალბათ თვითონ. დეკლავ თვალწინ გაიღვებს იაფფასიანი დაფა, უბრალო სკამების ზურგი, უბრალო პერანგი და კიდევაც ხედავ მის პატრონს. თუ ავსტრალიელია, ნეტავ სად მუშაობს? „პოლდენტან“? არა, „პოლდენტან“ გვარიან ხელფასს იღებენ, და მაშინ უკეთეს სკამებს იყიდდა. იქნებ ნავსადგურის, ანდა გზის უბრალო მუშაა, კვირაში იღებს თონბმეტ გირვანქას. ის ახალგაზრდაა და უყვარს საღამოობით სუფთა ტანსაცმლის ჩაცმა და შეყვარებულის კინოში წაყვანა. მოკლედ, ის ახლა იწყებს თავის ცხოვრებას. და უმალ ჭადრაკის დაფა, სკამებზე და პერანგი ნისლში იძირება და წინა პლანზე გამოდის თვით ადამიანი.

ტილოები, ტილოები, ტილოები... ქალის ერთი პორტრეტი წერის მანერით ჰგავს ესტონელი მხატვრის ნიკოლოზ ტრიიკის ნამუშევარს. დამამახსოვრდა ჯ. პარინგტონ-სმიტის განწყობილებით შესრულებული ნაწარმოები „ღამის ანარეკლი“: გამოღებულ იფანჯარა, მთვარე და მოყავისფრო-მორუხო ფონზე ერთმანეთს გადახლართული მუქი ჩრდილები. ასე გგონია, თითქოს ღამის სიბნელეში შეიხედო რომლის იქით სამხრეთის ჯვართან თვლემს დამცხრალი უდაბნო. მაგრამ გაურკვეველია როდის შეიხედე — სიზმარში თუ ცხადში.

ერთ-ერთ უკანა დარბაზში ჰკიდია ასეთი სურათი: ზღვის ნაპირ-

ზე რუხი ფერის ორ ქვას შორის დგას სკანდინავური გარეგნობის, ბავშვური სახის ქაბუკი. მას ნაცრისფერი სვიტერი და მონაცრისფრო-მოლურჯო შარვალა აცვია. უკანა პლანზე უკიდევანო ზღვაა გადაჭიმული. მოლი სტეფენსის ეს ტილო ცოტათი პიკასოს „ცისფერ პერიოდს“ გვაგონებს. და მაინც რამდენია ამ ტილოში ჩეენთვის ნათესაური, რამდენი მინახავს თუ ზუსტად ასეთი არა, მისი მსგავსი მომავალი მეზღვაურები თუ მეთევზეები რუხი ფერის ქვებისა და რუხი ზღვის ფონზე! მაგრამ ავსტრალიაში ეს სულ სხვა განწყობილებას იწვევს და ერთი სული გაქვს, ზეთის საღებავებით დახატულ ამ ქაბუკს ესტონურად შესძახო:

— გამარჯობა, ძმობილო!

მაგრამ როცა ათვალე რებ თანამედროვე ფერწერისათვის განკუთვნილ დარბაზებში გამოფენილი ტილოების უმეტესობას, გაოცებული ხარ და ვერ აგინხნია, რა საერთო აქვს მათ ხელოვნებასთან. ბევრ ნაწარმოებს. არცა აქვს სახელწოდება, თუმცა თანაბრად შეიძლება დაგვერქმია, ანდა არც დაგვერქმია რაიმე. ქაოსი, ფერადი ლაქების, ხაზებისა და შტრიხების დომხალი, ქვეტელა ფერები, ნათითხნი ადგილები. ის კი, რასაც შეიძლება ჩაწვდეს, ბევრად უკეთესი არაა: მოსაწყენი კლდეების ფონზე მთვარის შუქი; წითელი თუ მწვანე ფერის უპროპორციო შიშველი სხეულები. ასეთია ჯასტინ ო'ბრაიენის „კომპოზიცია“. ანდა, საღამოს ბინდბუნდში ნანგრევების ფონზე გამოხატული რომელიღაც ისტორიამდელი არსების კბილებდაკრეჭილი თავის ქალა. სიკვდილი, სიკვდილი, სიკვდილი, სიკვდილის კულტი. ასეთია სიდნეი ნოლენის სურათი „ბერდსვილის ახლოს“. ერთი სიტყვით, ფერების ამ ქაოსიდან თუკი გამოიტან რაიმე აზრს, ეს ყოველთვის ან სიკვდილის მოტივთან იქნება დაკავშირებული ან კიდევ მღალადებელი: „ყველაფერი ამაოა“, „ყველაფერი უაზრობაა“.

ავსტრალიის აბორიგენების ხელოვნებას ადელაიდის გალერეაში მხოლოდ პატარა დარბაზი აქვს დათმობილი. „თეთრი ავსტრალიის“ პოლიტიკის პირობებში, ეს რა თქმა უნდა, სავსებით დასაბუთებულია. უფრო მეტიც: როგორც ყველა წესიერმა დამპყრობმა, ავსტრალიელმა ევროპელებმაც თავიანთი ბატონობა, უპირველეს ყოვლისა, ადგილობრივი მოსახლეობის გაელეტით დაიწყეს. ადგილობრივი

მცხოვრებელთაგან ამქამად მხოლოდ სამოცდაათობმეტი ათასი კაცი დარჩა, და ვერც ერთ მათგანს ქალაქში ვერ ნახავ. ისინი რეზერვაციებში ცხოვრობენ და თეთრ ფერმერებს მწყემსებად უღვანან. ამ პატარა დარბაზიდანაც კი ჩანს, რომ ეს იყო საკმაოდ განვითარებული მხატვრული მიდრეკილების მქონე ხალხი. თავიანთ სურათებს ისინი ხის ქერქზე ხატავდნენ. უმეტესად ხატავდნენ იმას, რაც დამახასიათებელი იყო მათი საზოგადოებისათვის ქვის ხანაში: ცხოველებს, ქამას, ნადირობას. აქ ნახავთ ზღვის კიბოებსაც, ფრინველებსაც, კენგურუსაც, კუსაც, თევზებსაც, ნადირობის სურათებსაც და ერთად მსხდომ ადამიანებსაც. და ყოველივე ეს ისეთი რაკურსითაა შესრულებული, თითქოს მხატვარი თავის ობიექტებს ზემოდან დასცქერის.

გამოვედით ეროვნულ სამხატვრო გალერეიდან. იქვე გარეთ გველოდება კუნინის ძველი ნაცნობი დოქტორი პოზენი. იგი გამოჩენილი მედიკოსი და მუშაობს ადელაიდის უნივერსიტეტში. კუნინმა იგი გაიცნო 1956 წელს, როცა „ლენით“ ჩამოვიდა აქ. უფრო გვიან, 1957 წელს, პოზენის ცოლი, რომელიც ასევე ექიმი ნევროპათოლოგია, ჩამოვიდა ახალგაზრდობის მსოფლიო ფესტივალზე მოსკოვში და ეწვია კუნინების ოჯახს.

დოქტორი პოზენი ახალგაზრდა, მეტად ცოცხალი, ყველა ავსტრალიელივით თავლისფერთვალეა, გამხდარი კაცია. მას თეთრი, უბრალო პერანგი აცვია და უსაბო პალსტუხი უკეთია (ავსტრალიელები, საერთოდ, სადაც იცვამენ), ჩქარი ლაპარაკი იცის, როცა მოსაუბრეს უსმენს, თავი ოდნავ გვერდზე აქვს გადახრილი და ყურადღებით შესცქერის.

ჩვენ მოკლედ მოვითათბირეთ, თუ როგორი იქნებოდა დღის დანარჩენი პროგრამა. გვინდა დავათვალიეროთ ქალაქი და რამდენიმე წუთის შემდეგ უკვე ვსხედვართ დოქტორ პოზენის „პოლდენში“. ქალაქის ცენტრზე უკვე ვილაპარაკე. პირველ ყოვლისა, მივემგზავრებით ქალაქის გარეუბანში, იმ რაიონში, სადაც განლაგებულია მდიდართა კარ-მიდამოები, სადაც ცხოვრობს ადელაიდის საზოგადოების ნაღები. პოო, აი ეს კი მართლაც სახლებია! ლამაზი, ყოველმხრივ მოხერხებული, ხალვათი, ყოველ ბაღს აქ გამოცდილი მება-

ღის ხელი ატყვია. ეს სახლები ათი-თხუთმეტი ათასი გირვანქის ღირებულებისაა და იმ მცირერიცხოვანი სახლების რიგს განეკუთვნება, რომლებიც არც განვადებითაა შეძენილი და არც მრავალი წლის განმავლობაში დაზოგილი ფულით. აქ ცოტაა ხალხი, მანქანები და მაღაზიები, მოსახლეობა მცირერიცხოვანია და მოძრაობაც ნაკლები.

აქ გამავალი საზღვარი ადამიანებს მკვეთრად მიჰნავს ერთმანეთისაგან იმისდა მიხედვით, თუ რამდენით განისაზღვრება მათი საკვირაო ხელფასი, რა ღირებულება აქვთ მათ საზოგადოების თვალში. რა ფასი აქვთ გირვანქებში. საშუალო რანგის მეპატრონის სახლი ვერ გაიჰჰანებს მაღალი რანგის მეპატრონეთა სახლებს შორის. მაღალ და დაბალ საკვირაო ხელფასს შორის განსხვავება იმდენად ტანსაცმელში კი არ ვლინდება, რამდენადაც მანქანების მარკაში, სახლების ხარისხსა და მათ ადგილ-მდებარეობაში. საშუალო ფენის ადამიანთა სახლები, რომლებიც დაახლოებით ხუთი ათასი გირვანქა ღირს, პატარაა; საკარმიდამო ნაკვეთების სიძვირის გამო, სახლის ირგვლივ გაშენებული ბაღები უფრო სადაა და უბრალო, თუმცა აქაც ვხედავთ ისეთსავე დაჩრდილულ აივნებს, ისეთსავე ჟალუზებს და არაჩვეულებრივად ლამაზ აურაცხელ ყვავილებს. საშუალო ფენა შედგება გვარიანი ხელფასის მქონე მოხელეებისაგან, პატარა მაღაზიების მეპატრონეებისაგან, ექიმებისაგან და ა. შ.

მუშათა ბინები განლაგებულია უფრო ვიწრო და მტვრიან ქუჩებში. ვესტუმრეთ ერთ-ერთ ბინას.

ამბობენ, მეორე მსოფლიო ომში უშუალო ან არაუშუალო მონაწილეობა მიიღო დაახლოებით ათმა მილიონმა სმიტმა. იმ სახლშიც, სადაც ჩვენ ვიყავით, სმიტი ცხოვრობს. იგი ნავსადგურის. მუშაა, დებულობს კვირაში თვრამეტ გირვანქას, ჰყავს ცოლი და სამი პატარა ბავშვი (ავსტრალიელებს ბევრი ბავშვი ჰყავთ, მუშებს განსაკუთრებით). სმიტის სახლი სამი ათას ხუთასი გირვანქა ღირს. ვალის დიდი ნაწილი უკვე გასტუმრებულია, თუმცა, სახლის პატრონს კიდევ ათი წელი მოუხდება შემოსავლის მეოთხედის გადახდა. სახლის საყიდლად იძლევიან სესხს ორი ათასი გირვანქის რაოდენობით. მაგრამ უკან უნდა დააბრუნონ საკმაოდ დიდი წანამატით — 5,25 პროცენტით წლიურად. სამაგიეროდ, სახლი ყოველმხრივ მოსახერხებელია, სამზარეულო განიერი, აქვს საწოლი, სასტუმრო, საბავშ-

ვო ოთახი და კიდევ ერთი ოთახი. ოთახები ძალზე ნათელია. საერთოდ, კარგ სახლებს აგებენ ავსტრალიაში. ამასთანავე, აქ, სადაც სულ პატარა თოვლის მოსვლასაც კი დიდი ამბით აღნიშნავენ გაზუთები, გათბობის პრობლემა ფაქტიურად მოხსნილია.

სმიტებს აქვთ მაცივარი, სარეცხი მანქანა, საკერავი ელექტრომანქანა და გაზქურა. მაცივარი და საკერავი მანქანა განუადებრთაა ნაყიდი. სახლს აკრავს ბაღი — ყვითელი ქვიშით დაფარული რამდენიმე კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი, რომელზედაც დგას პრიალაფოთლებიანი ორი ძირი ხე. ბაღის კუთხეში მიდგმულია საქათმე. დიასახლისი ყველაფერს გვიჩვენებს. იგი კეთილი, ცისფერთვალეებიანი ახოვანი ქალია. მას განუწყვეტლივ ეხვევიან ბავშვები, სახლში ყველაზე მზიარულია საბავშვო ოთახი. ო, რა დღე უყრიათ პატარებს თოჯინებისათვის, პლუშის დათუნებისა და მანქანებისათვის! ამ თოჯინას თავი აქვს წაწყვეტილი, იმას — ფეხი, ყველაზე პატარა ბუთბუზა ბიჭი მუხლზე მიდებს დაქექილ, უბორბლო მანქანას. მეორეს, მასზე უფროსს მოაქვს დათუნია, რომელსაც მხოლოდ წინა თათი შერჩენია, პლუშის ბეწვი კი სულ გასცენია. პატარები რაღაცას ეტიტინებინან თავიანთ თოჯინებს, დათუნებს და მანქანებს. მათი რბილი და მელოდრული ინგლისური ლაპარაკიდან მე მხოლოდ იმას ვხვდები, რომ ამ ოთახში ყველა თოჯინა კარგია, ყველა დათუნია კარგია, ყველა მანქანა კარგია. შესანიშნავი ოჯახია, სტუმართმოყვარე და უბრალო! ცოლ-ქმარი დიდ ინტერესს იჩენს ჩვენი ჩეისისა და ანტარქტიკის მიმართ. მერე სასტუმრო ოთახში ვსხედვართ და სირჩა ჩერის ვსვამთ.

ცხადია, ადამიანთა იმედებში, განსაკუთრებით მუშათა იმედებში, მიუხედავად მათ შეხედულებათა და რწმენის სხვადასხვაობისა, იმდენია საერთო, თანხვედნილო, ჯანსაღი და სასიცოცხლო, რომ, თუკი გავაერთიანებთ მათ მისწრაფებებს, ისინი გადაიქცევიან, და ეს უკვე ასეც ხდება, უდიდეს, ერთსულოვნად მოქმედ ძალად, რომელსაც ჩვენ ხალხის ხმას ვეძახით. ეს გამოთქმა, საყოველთაო ენაზე გადატანილი, გამოხატავს სავსებით ერთნაირ ინტერესებსა და საზრუნავს: 'სამსახურს, არსობის პურს, საბინაო საკითხს, უმუშევრობას, სამსახურით უზრუნველყოფას, ბავშვების აღზრდას, სხვა ქვეყნებისადმი ინტერესს და ომის შიშს.

ჩვენ დავემშვიდობეთ სმიტებს. გადავდივართ ხილზე. მის ბეტონის მოაჯირს მეტრიანი ასობით აწერია:

### აიპრძალოს ატომური იარაღი!

დოქტორი პოზენი გვიხსნის:

— ასეთი ლოზუნგების წერიისათვის ავსტრალიაში ოცი გირვანქა ჯარიმაა, — და დასძენს: — ფილიპინებზე კი ციხეა.

ოცი გირვანქა არც ისე ცოტა თანხაა. მაგრამ საექვოა, ჯარიმების ასეთმა სისტემამ შეაჩეროს ათობით მილიონი სმიტი, რომლებმაც უშუალო ან არაუშუალო მონაწილეობა მიიღეს მეორე მსოფლიო ომში.

ვვანშობთ პოზენებთან. მათთან თავს თავისუფლად და შინაურულად ვგრძნობ. უფრო გვიან მოვიდა ამერიკელი მეტეოროლოგი მისტერ გორდონ კარტრაიტი, რომელმაც მირნიში გაატარა ზამთარი და ჩვენთან ერთად ჩამოვიდა ავსტრალიაში. აქედან იგი ამერიკაში გაფრინდება. იგი მგონი, ჩვენსავით ნაღვლობს საკუთარ სახლზე. საბაჟოს რაღაც ფორმალური მხარეები კიდევ რამდენიმე დღეს დააყოვნებს მას ადელაიდაში. კარტრაიტი კარგად ლაპარაკობს რუსულად და შესანიშნავი ურთიერთობა აქვს ჩვენი ექსპედიციის მონაწილეებთან. ამ „მისტერს“ აფასებენ და პატივს სცემენ, როგორც ადამიანს, რომელიც გამოზამთრების და ნაოსნობის დროს ჩვენი პოლარელების კარგ კოლეგად ითვლებოდა.

ავსტრალიის გაზეთების კორესპონდენტთა კითხვაზე, წარმოადგენს თუ არა საბჭოთა საკვლევი სადგური მირნიში სასტარტო მოედანს რაკეტული იარაღისათვის და წყალქვეშა ნაგების ბაზას, მისტერ კარტრაიტმა კატეგორიული უარით უპასუხა. ალბათ, ადვილად მოსანელებელი როდი იქნება დალესისათვის ამერიკელ პოლკოვნიკ კარტრაიტის ასეთი ანტიდალესური ნათქვამი.

პოზენებს ესტონელი ცოლ-ქმარი ესტუმრა. ცოლი ახალგაზრდა ექიმი, რომელიც დოქტორ პოზენთან ერთად მუშაობს კლინიკაში, ქმარი ინჟინერ-ელექტრიკოსია.

— თქვენ ლაპარაკობთ ესტონურად? — მეკითხება ინჟინერი.

— ვლაპარაკობ.

— კი მაგრამ, ესტონეთში ნებადართულია ლაპარაკი?



— ესე იგი? — გაკვირვებით ვეკითხები.

— ნებადართულია ესტონურად ლაპარაკი? — აზუსტებს ინ-  
ჟინერი.

მე მხრებს ვიჩეჩავ.

— მაშასადამე, ჩვენ ტყუილად... — ამბობს ინჟინერი და წინა-  
დადებას არ ამთავრებს.

— მისტერ სმუელ, თქვენ შეგიძლიათ ილაპარაკოთ მშობლიურ  
ენაზე! — კმაყოფილებით მეუბნება დოქტორი პოზენი.

შუალამე მიტანებული იყო, როცა ხომალდზე დაებრუნდით.  
გემის რადიოკვანძი, ალბათ, მერამდენედ უსურვებს ძვირფას სტუმ-  
რებს ღამე ნებისას რუსულად და ინგლისურად, მაგრამ „კოოპერა-  
ცია“ ხალხითაა გაკედლილი, მუსიკალურ სალონში კი ცეკვებია.

ჩემს საწოლზე სძინავს ექვსი თვიდან ორ წლამდე ასაკის ოთხ  
ბავშვს. ერთ ბავშვს სძინავს კუნინის საწოლზე. მათი მშობლები  
ცეკვავენ.

— როდის მოასწარით, იუჰან იურის ძეგ? — მეკითხება კუნი-  
ნი (ავსტრალიელები მას მისტერ კუნინს ეძახიან) და ჩემს პა-  
ტარებზე მითითებს:

— თქვენ როდისღა მოასწარით? — ვეუბნები მე და თავის  
ბავშვზე ვუთითებ. მერე დავძენ: — ჰო, მართლა, თქვენ ხომ ორი  
წლის წინათ იყავით ავსტრალიაში!

კარებში გამოჩნდა ქალი. როცა დარწმუნდა, ბავშვებს სძინავ-  
თო, ბოდიში მოგვისადა და წავიდა. ბავშვები წაიყვანეს მხოლოდ  
ნახევარი საათის შემდეგ.

1968 წლის 28 თებერვალი

ადელაიდის დიდ ზოოლოგიურ ბაღთან ახლოს მდებარეობს  
უფრო პატარა მეორე ზოოლოგიური ბაღი — „კოალა-ფარმი“. აქ  
მთელი მსოფლიოს ზოოპარკებისათვის ზრდიან ავსტრალიის უმწეო  
და სასაცილო ამორიგენებს, ჩანთოსან დათვებს — კოალებს. თავისი  
სიცოცხლის უმეტეს ნაწილს კოალა ძილში ატარებს ხეებზე. იგი  
თათებით ან რომელიმე კოალასაა ჩამოკიდებული, ან კიდევ ხის ტანს

და ისე სძინავს. ძალიან კარგი ცხოველები არიან, მათ სათამაშო და-  
ოვის მსგავსი მრგვალი ლილისმაგვარი თვალები აქვთ და მოუქნელი  
ტანი. თავდაპირველად კოალების მხოლოდ ის მცირე ნაწილი შევნიშ-  
ნეთ, რომელიც გალიაში იჯდა. მერე კი დავინახეთ, რომ უამრავ  
ამ პატარა მხეცს გაქვავებულოვით სძინავს უზარმაზარ ევკალიპტებ-  
ზე. თითქმის მათ წვერზე. კოალა ევკალიპტის ფოთლებით იკვებება.

აქ არიან აგრეთვე ახალგაზრდა კენგურუები და პატარა კენგურუ-  
ები, რამდენიმე თუთიყუში, მეტრ-ნახევარი სიგრძის გველი, დიდი,  
მწვანე ვომბეშო, აქლემი და ზღვის ლომი. ზღვის ლომისთვის უს-  
წავლებიან წყალში ხტომა. იგი ადის მისთვის საგანგებოდ აგებუ-  
ლი კიბით კოშკზე და როცა რომელიმე მნახველი აუზში თევზს ჩა-  
აგდებს, მის მისართმევად საკმაო სიმაღლიდან ძირს ხტება. ჩვენ  
თევზი არ გვქონდა და ფერმაში ჩვენი ყოფნის დროს ზღვის ლომი  
ავი, ყურთასმენის წამლები ხმით ღრიალებდა.

დღისით შეხვედრა გვქონდა ადელაიდის უნივერსიტეტში. ამ  
წედარებით პატარა უნივერსიტეტს აქვს საუკეთესო გეოლოგიური  
კოლექცია, რომლის განსაკუთრებით ძვირფას ნაწილს წარმოადგენს  
თვალსაჩინო პოლარული მკვლევარის სერ დუგლას მოუსონის მიერ  
შეგროვებული ქვები. ადელაიდის უნივერსიტეტის გეოლოგიის ფა-  
კულტეტი მის სახელს ატარებს.

საღამოს კი ისევ სტუმრები, სტუმრები, სტუმრები... ხომალდი  
გაქვდილია, გავლა თითქმის არ შეიძლება. მეც სტუმრები მყავს: ეს-  
ტონური ოჯახი: ცოლ-ქმარი და მათი ექვსი წლის ვაჟი. ავსტრალია-  
ში ისინი 1950 წლიდან ცხოვრობენ (უკანასკნელი ათი წლის განმავ-  
ლობაში ავსტრალიაში მიგრირებულ იქნა, უფრო სწორად, ჩამო-  
ყვანილ იქნა დაახლოებით ერთი მილიონი ემიგრანტი. ამჟამად  
ემიგრანტების ამ ქვეყანაში ყოველი მერვე კაცი ემიგრანტია). როგორ  
ცხოვრობენ ისინი? ასე თუ ისე, ახერხებენ ცხოვრებას. ქმარი „პოლ-  
დენტან“ მუშაობს, კვირაში თვრამეტ გირვანქას იღებს. ისინი უბ-  
რალო ხალხია და ჩვენი საუბარიც უბრალო საკითხებს შეეხება:  
ესაუბრობთ იმაზე, რომ თავდაპირველად აქ შავი პური არ იშოვე-  
ბოდა, მაგრამ ახლა უკვე აცხოვენ ესტონური კოლონიისათვის.  
(ადელაიდაში დაახლოებით ექვსასი ესტონელი ემიგრანტია). ისინი  
ამბობენ, რომ აქ, ავსტრალიაში, შედარებით უკეთ არიან, ვიდრე

დასავლეთ გერმანიაში იყვნენ, სადაც აქამდე ცხოვრობდნენ, რომ მუშის ცხოვრება — მუშის ცხოვრებაა და უფასოდ არსად არავინ გაქმევს. ესტონელ ემიგრანტებს, ისევე როგორც რუს ემიგრანტებს, უფრო და უფრო ელვიძებათ სურვილი, დაბრუნდნენ თავიანთ სამშობლოში, თუმცა უამრავი დაბრკოლება ელოდებათ.

ჩემს სტუმრებს აინტერესებთ, როგორ ცხოვრობენ ესტონეთში, რა შენდება, როგორ იკვებებიან, რამდენი აქვთ ხელფასი, როგორ იცვამენ. მართალია თუ არა, რომ ასი ათასი ესტონელი ქაბუჯი და ქალიშვილი წაიყვანეს ყამირ მიწებზე? არა, არ არის მართალი. მართალია თუ არა, რომ ესტონურ სკოლებში ნებადართულია ესტონურად ლაპარაკი? რა თქმა უნდა! და სხვა ამის მსგავსი საკითხება. მთელი მათი ცნობები ამოკრებილია შვეციასა და ამერიკაში გამოშავალი ემიგრანტული გაზეთებიდან, რომლებსაც, უნდა ითქვას, რომ ყოველწლიურად მეტი სკეპსისითა და უნდობლობით უცქერიან. არ მახსოვს „ველის-ეესტიში“ თუ რეის „ტეატაიაში“<sup>1</sup> ერთხელ შემხვდა ასეთი რუბრიკა: „რას იუწყებიან სამშობლოდან ცუდს“. ამ ცუდს ისინი ავრცელებენ იმდენად ბევრს, ისე ულოგიკოდ, ისე ერთმანეთის საწინააღმდეგოდ, ისეთი ისტერიული ბოღმით, რომ საღი გონების ყოველ ადამიანს ეს ცნობები სწორედ იმად მიაჩნია, რაც სინამდვილეშია: უთვისტომო, უსინდისო, ნიადაგგამოცლილი და მოსყიდული მჭლახნელების სიკრუედ. უმთავრესად ასე ფიქრობენ ჩემი სტუმრებიც, თუმცა მათ გულში მცირეოდენი ხინჯი მაინც დაუტოვებია სიკრუის ამ მღვრიე, წვრილ ნაკადს, რომელიც წლების განმავლობაში დასდიოდათ. უყვართ თუ არა მათ კომუნისტები? არა. მოსწონთ თუ არა სოციალისტური წყობილება, კოლმეურნეობები, საწარმოებისა და საბადოების ნაციონალიზაცია? არა მგონია, თუმცა ბურჟუაზიულ პერიოდში ისინი მუშები იყვნენ და არც ფაბრიკები ჰქონდათ, არც მაღაროები, არც გაქირავებული სახლები. მაგრამ ისინი, უეჭველია, ოცნებობდნენ საკუთარ სახლზე, შესაძლოა, საკუთარ ხუტორზე, ბანკში გახსნილ საკუთარ ანგარიშზე. მათ

---

<sup>1</sup> „ველის-ეესტი“ („საზღვარგარეთის ესტონეთი“). „ტეატაია“ („მოამბე“) — ემიგრანტული ესტონური გაზეთებია, რეი—ბურჟუაზიული ესტონეთიდან საზღვარგარეთ ლტოლვილი პოლიტიკური მოღვაწე.

სარულიად ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ საბჭოთა წყობილებაზე, და ახლაც ხედავენ მასში წყობილებას, რომელმაც წაართვა ის, რაც არ გააჩნდათ.

ოდნაე ნაღვლიანია ერთმანეთთან ჩვენი დამშვიდობება. ისინი შიშობენ განვადებით ნაყიდ სარეცხ მანქანაზე, განვადებით ნაყიდ პაცივარზე, და მანქანაზე, რომლის ყიდვასაც ახლა აპირებენ ხანგრძლივპერიოდის განვადებით. მაგრამ მგონი, თვითონაც არა სჯერათ, რომ აქაური ემიგრანტებისათვის ესოდენ დამახასიათებელ ამ ნივთებს — ამ „წმიდა სამებას“, რითაც ძალიან ხშირად თავს იწონებენ ხოლმე ისინი რაღაც გულუბრყვილო რწმენითა და ცოტაოდენი ტრაბახით, შესწევს უნარი შეეცვალოს ესტონური თოვლი. მე შევეკითხე ქმარს:

— მაშასადამე, თქვენ ყველაფერი გაქვთ. რაღა გაკლიათ?

— ტალინი და ერთი თლაშო არაყი.

სიტყვა სამშობლო არ ითარგმნება. მისი შინაარსი ერთობ დიდია. ჩემმა სტუმარმა იგი ორი ცნებით გამოხატა. და როცა მას მეგობრულად გამოვემშვიდობე, გავიფიქრე, ტალინი და ერთი თლაშო არაყი — არც ისე უხვირო განსაზღვრაა-მეთქი.

რამდენიმე წუთის შემდეგ მოვიდა მეორე ესტონელი — როგორც თვითონ განაცხადა, „მოთავებული მეზღვაური“ შვეციის გემ „ვარავონგიდან“, რომელიც „კოოპერაციის“ გვერდით დგას. იგი ესტონეთიდან 1936 წელს წამოსულა, მუდამ შვეციისა და ინგლისის გემებზე უმსახურია, ორმოცი წლისთვის გადაუბიჯებია და „მოთავებული მეზღვაური“ გამხდარა. ისეთი კილო აქვს, როგორიც კუნდასა და ლოქსას რაიონის სანაპიროს გლეხებს. კაიუტაში კუნინთან მოსული ავსტრალიელების წყალობით გამოირკვა, რომ ამ ძველი იანკის ინგლისური მეტისმეტად ღარიბია და მოწაფური. უფრო გვიან კი, როცა „ვარავონგში“ გავაცილე, დავრწმუნდი, რომ შეედურიც ასევე სცოდნია. ჩემი სტუმარი ერთი იმ ტიპთაგანი გამოდგა, რომლებიც უკვე იშვიათად არიან მეზღვაურთა შორის. მას ნახევარი მსოფლიო შემოუვლია, ყოფილა სხვადასხვა ნავსადგურში, დიდ და მდიდარ ქალაქებში, უნახავს ყველა მატერიკის სანაპიროს რელიეფი, მაგრამ არაფერი გაეგება. უძველეს ველურ დროში იალქნიანი გემების ასეთი ტიპის მეზღვაურებს „ზღვის რე-

გვენებს“ ეძახდნენ, ხოლო იალქნიანი გემების „რეგვენები“ ველურები იყვნენ. ქალაქებსა და ქვეყნებს ისინი ვერ ნახულობდნენ, რადგან ნავსადგურის პირველ სამიკიტნოს არ სცილდებოდნენ. მაგრამ იგი სრულებით არ არის ველური. მას რიგიანი კოსტუმი და გალაქული ფეხსაცმელები აცვია, იღებს ათას შვედურ კრონს და ცხოვრობს ორსაწოლიან კაიუტაში. ესტონეთზე იმდენი ახსოვს, რამდენიც შვეციასა და ინგლისზე, სადაც ცხოვრობდა, ანდა სიდნეიზე, სადაც ამჟამად დროებით იმყოფება. უცნაური პიროვნებაა. უკვე ოცდაორი წელია, რაც მომთავრებული მებღვაურია.

საღამო ეამს ისევ სტუმარი მყავს, რიგით მესამე. გუშინ ორჯერ უცდია მოვეძებნე, დღეს კი რამდენიმეჯერ აუვლ-ჩაუვლია ხომალდისთვის, მაგრამ ტრაპზე ამოსვლა ვერ გაუბედავს. ჩვენ მსოლოდ იმიტომ შევხვდით ერთმანეთს, რომ გუშაგმა გემბანზე მომიხმო.

— ვერ გამიგია, რას ამბობს ეს კაცი.

ეს შეხვედრა მძიმე იყო ორივესთვის, თუმცა ჩვენ პირველად და ალბათ უკანასკნელად ვხედავთ ერთმანეთს. ჩემი სტუმარი ხანდაზმული მამაკაცია, ლაპარაკობს მეტად გამართული, ლიტერატურული ენით, იშვიათად თუ გაურევს სამხრეთესტონურ დიალექტს. მისი აზნეული და ერთმანეთთან დაუკავშირებელი განმარტებიდან მხოლოდ ის გამომაქვს, რომ იგი ორმოცდაცხრამეტი წლისაა (გამოიკურება სამოცდაათი წლისად), რომ იგი 1944 წელს შვილებთან ერთად გამოიქცა ესტონეთიდან (ქალიშვილის ქმარი მსახურობდა ფაშისტურ „ესტონურ ლეგიონში“), მოხვდა დასავლეთ გერმანიაში და 1950 წელს ამერიკული გემით ჩამოიყვანეს აქ. მას არავითარი პრეტენზია არა აქვს საბჭოთა ხელისუფლებისადმი და არც არავითარი ღვარძლი. მას არც ის აინტერესებს, გამოინახება თუ არა მისთვის სამშობლოში სამუშაო, მისცემენ თუ არა ბინას. „მიმიღებენ თუ არა?“ — აი, რა აღელვებს. თურმე ვერ ეწყობა შვილებს, ვერ ეწყობა „ესტონეთის საკითხის გამო“. მას ესტონეთში უნდა წამოსვლა. ამბობს, რომ რაღა დროს მისი სწავლან გერმანული ან ინგლისური ენისა, რომ იგი დაიღალა „უცხოელთა შორის“ ცხოვრებით და რომ „კათოლიკებსა“ და „მორმონელ მისიონერებს“ (?) უნდათ მისი, პატროსანი ლუთერანის, გადარევა.

და უცებ:

— აქ კი არც წესიერი სასაფლაოა, არც ჯანდაბაა!

მე არ ვეთანხმები. სასაფლაოები ავსტრალიაში, ყოველ შემთხვევაში, ადელაიდაში, საკმაოდ კარგია.

— ზედ არც ხეებია, არც ჩრდილი!

ჩვენ კიდეც დიდხანს ვსაუბრობთ და სულ ერთსა და იმავეზე. იგა მოხუცებულია და შინ უნდა წასვლა, თუგინდ, არც ერთი აბლობელი არ მოელოდეს იქ. იგი ავსტრალიაში ციხეში გამომწყვდეულივითაა, აქ სიცხეა და სილა, მთელი მცენარეულობა იხრუკება, და არავინ ჰყავს მეგობარი. სრულიად უცნაურად გეჩვენება ჩივილი იმაზე, რომ ადელაიდაში „არავითარი საზოგადოებრივი ცხოვრება არ არის“. რას გულისხმობს: სახალხო სახლს, რძის კოოპერატივს, სამიწათმოქმედო ამხანაგობას? არ ვიცი. როგორც გამიგია, ადელაიდაშიც არის ეგრეთ წოდებული „ესტონელის სახლი“.

ქარიშხალმა ძირფესვიანად მოგლიჯა სანაპიროზე მდგარი ხე და ზღვაში გადაისროლა. ტალღებმა სხვა ნაპირზე გარიყა იგი. იქ აცხუნებდა ისეთივე მზე, ცაზე ციმციმებდნენ ისეთივე ვარსკვლავები, იქ იყო მიწა, იყო ნიადაგი და ქროდა ქარები. ამოთხრილი ხის ფესვები ისრუტავდნენ სანაპირო მიწის ტენს. რომელიდაც ერთი შტო კვლავ გაიფოთლა, მაგრამ მკედარი ხე ვეღარ გაცოცხლდა.

ჩემი სტუმარი ნავმისადგომამდე მივააცილე. არა მჯერა, რომ ეყოს ძალა ყველა იმ დაბრკოლების გადასალახავად, რომლებიც წინ ელობება სამშობლოში დაბრუნების მოსურნე ადამიანებს. ერთი წუთის შემდეგ მისი მოხრილი, ბებრული ზურგი პაკჰაუზის კუთხეში გაუჩინარდა.

ერთი თვის, ანდა, თვენახევრის შემდეგ მე კვლავ შინ ვიქნები. ის კი ისევ ივლის ასფალტის სუნიტ გაყდენთილ პორტ-ადელაიდის გავარვარებულ ქუჩებში და იფიქრებს იმაზე, რომ აქ არ არის „საზოგადოებრივი ცხოვრება“, თავისი უპედური, ბებრული ოცნებით კვლავ დაუბრუნდება სასაფლაოს, სადაც იქნებოდა ჩრდილი.

„კოოპერაციაზე“ ერთი ორომტრიალია. ასეთი ჯგლეთა და ჰედვია ხოლმე დიდ დღესასწაულებზე, სადაც მოზეიმეები განუწყვეტლივ კარგავენ და ეძებენ ერთმანეთს, კისერწაგარძელებულები გადასძახიან ერთიმეორეს ხალხის თავების ზემოთ, ესალმებიან, ემშვიდო-

ბებიან. ადგილობრივი ახალგაზრდობა მუსიკალურ სალონში გვიჩვენებს, როგორ უნდა როკ-ნ-როლის ცეკვა. არა უშავს რა! თუკი აქამდე „ოქრო დასავლეთის“ ესა თუ ის ცრურწმენა დაბრკოლებას უქმნიდა ქალიშვილებს, რომ აშკარად დაერწმუნებინათ მაყურებლები თავიანთი ფეხების სისწორეში თავიდან ბოლომდე, რომ მათი უკანალი თავისი ბრწყინვალეობით მარტო მკერავის ოსტატობას როდი უნდა უმადლოდეს, როკ-ნ-როლმა საბოლოოდ მოშალა ეს დაბრკოლებანი.

ხომალდზე ნაბიჯსაც ვერ გადადგამ ისე, რომ შენს წინაშე მთელი თავისი სიმძაფრით, სირთულითა და წინააღმდეგობებით არ წამოიშართოს ემიგრანტობის პრობლემა, სამშობლოს მოწყვეტილ ადამიანთა პრობლემა, მათი ფსიქოლოგია, მათი იმედები, მათი ოცნებები, მათი ექვები.

მე ემიგრანტებს სამ ჭგუფად ვყოფ.

პირველი. ადამიანები, რომლებსაც საბჭოთა კავშირი თავიანთ ერთადერთ სამშობლოდ მიაჩნიათ (მიუხედავად იმისა, რომ მათ სხვა შოქალაქეობა აქვთ მიღებული). მათ შორის არიან მოხუცებიც, შუა-ღიანიანიც, ახალგაზრდებიც. ისინი სხვადასხვა პროფესიის ადამიანები არიან და სხვადასხვა მიზეზით გახდნენ ემიგრანტები. სამშობლოს განშორებით გამოწვეული მათი დარდი სულაც არაა თვალთმაქცური, ოინბაზური, არც ცრემლებია. მათთვის „კოპერაცია“ — ეს მამულის ტერიტორიის რამდენიმე ასეული მეტრია და არაფერი გასაკვირია, რომ აქ ბებიებიანად და ჩვილბავშვებიანად მოდიან. ჩვენს სტუმრებს შორის ეს ჭგუფი ყველაზე მრავალრიცხოვანია.

მეორე. მერყევი ადამიანები. მათ მაინცდამაინც არ უყვართ იმაზე ლაპარაკი, როგორ და რატომ დატოვეს თავიანთი ქვეყანა, მათ საუბარში ყოველთვის იგრძნობა მისწრაფება — გაიმართლონ თავი. ჩვენ ხომ მათ არაფერში ვამტყუნებთ და არცა ვვაქვს დიდი სურვილი, მოვისმინოთ მათი აღსარება. მათი უმრავლესობა 1941—1944 წლებზე ბუნდოვნად ლაპარაკობს და საუბარი სასწრაფოდ გადააქვს დასავლეთ გერმანიის ლტოლვილთა ბანაკში გატარებული, ჩვენთვის უკვე ცნობილი აუტანელი ცხოვრების აღწერაზე. ისინი არ ამბობენ, სამშობლოში გვსურს დაბრუნებაო, მაგრამ საბჭოთა კავშირის მიმართ დიდ ინტერესს იჩენენ.

ეს ადამიანები საგონებელში არიან ჩავარდნილი და არ იციან რა უნდა დაადგენ.

მესამე. ესენი მუდამ მოკალათებული არიან „კოოპერაციის“ ვერანდაზე, მოხერხებულ შეზღონებებში. მათ ადვილად შენიშნავ, რადგან ყოველთვის განკერძოებულნი არიან ხომალდზე. მათი გამოჩენისას ექსპედიციის ესა თუ ის მონაწილე წამოდგება უფრო თავაზიანობის, ვიდრე ცნობისმოყვარეობის გამო და პირველი შესაძლებლობისთანავე ცდილობს გაშორდეს. ეს სწორედ ის ხალხია, რომელთაც ყოველდღიურად „ავიწყდებათ“ ხომალდზე ყველაზე რეაქციული გაზეთებისა და ჟურნალების დასტები. ესენი ჭყეტელად მორთული დენდები არიან, რომელთაც უზომოდ კრელი წინდები აცვიათ — ახალი მოდა გახლავთ. შარვალი რაც შეიძლება მალა აქვთ აკეცილი და ყველანი ვხედავთ მათ წინდებს. ისინი მსოლოდ ერთმანეთში საუბრობენ, რადგან არავითარი კონტაქტი არა აქვთ გემის ეკიპაჟსა და ექსპედიციის მონაწილეებთან, დანარჩენი ემიგრანტები კი მოწიწებით უვლიან გვერდს. მათ რუსულში ინგლისური სიტყვები ჭარბობს. ისინი ლაპარაკობენ ავტომანქანის მარკებზე, პოლიციელებთან დავიდარაბაზე („ბოზიმ ამართვა ოცი გირვანქა“) — ერთი სიტყვით, მდიდრულ ცხოვრებაზე. როგორც ვხედავ, მათი მოწოდება და დანიშნულება ისაა, რომ გაგვაგებინონ ჩვენ, გემის ეკიპაჟისა და ექსპედიციის კომუნისტებს, როგორი სამოთხე გველოდება, თუკი „კოოპერაციიდან“ გავიქცევით. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ისინი ყოველდღიურად უკლებენ ლაპარაკს და თვალეში საგონებელში ჩავარდნილი ადამიანის შავედრებელი გამომეტყველება ეხატებათ. მაგრამ გაზეთები მაინც წინანდებურად ავიწყდებათ გემზე.

გემბანზე უჩვენებენ „კარნავალის ღამეს“. ხომალდზე და გემბანზე იმდენი ხალხია, რომ ვერ გაივლი. სურათი ძალიან მოსწონთ. ოგურცოვის როლში ილინსკის გამოჩენა ეკრანზე მუდამ გუგუნსა და ხარხარს იწვევს. ყველას ფარავს ბავშვების წკრიალა და მხიარული სიცილი. საუცხოო და უჩვეულო მოსასმენია ამ ჩიტუნების ქღურტული გვიან საღამოს ნავსადგურის სიბნელეში, დადუმებულ ხომალდებს შორის.



დღეს ნასადილევს შეხვედრა გვაქვს ავსტრალია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ადელაიდის განყოფილებაში. საზოგადოების ადგილობრივი წევრები მანქანებით მოვიდნენ ჩვენს წასაყვანად. მე და კუნიჩი ჩვენი საერთო მეგობრის ჯონ ჯემს მიტჩელის მანქანაში აღმოვჩნდით. მიტჩელი რამდენჯერმე იყო ჩვენთან. იგი პორტ-ადელაიდის ნავსადგურის მუშათა პროფკავშირის მოღვაწეა, თვითონაც ნავსადგურის მუშაა. ავსტრალიის კომპარტიის წევრია. ჩვენს შორის იმ ადამიანებს, რომლებიც მხოლოდ ლიტერატურით იცნობენ ინგლისელებს, მიტჩელი ტიპიური ინგლისური გარეგნობის მამაკაცად მიაჩნიათ. იგი საშუალო სიმაღლისაა, სწორნაკეთებიანი, ოდნავ დაჭორფლილი, ხმელ-ხმელი სახე აქვს და ნაღვლიანი, ღია ცისფერი თვალები. ლაპარაკობს დაბალი ხმით. მის ლაპარაკში არ იგრძნობა ის. რაც ხშირად ახასიათებს დასავლეთის პროფკავშირელ „ბოსებს“ და რაც საკუთარი თავით უზომოდ კმაყოფილ ზოგიერთ ჩვენს საბჭოთა მუშაკსაც ემჩნევა ხანდახან. მიტჩელი, ისე როგორც სხვა მისი ამხანაგი-კომუნისტი, რომლებიც ავსტრალიაში გაეიცანით, ბევრს მეცადინეობს თეორიის საკითხებში, ბევრს კითხულობს. სამუშაო პირობები აქ მძიმე და რთულია, რადგან ყოველთვის მოსალოდნელია რეპრესიები. ადამიანები, რომლებსაც კომუნისტები თავიანთ მოსისხლე მტრებად, ესე იგი კაპიტალიზმის მტრებად მიაჩნიათ, ყველაფერს სჩადიან, რათა სახელი გაუტეხონ. მათ. მაგრამ ამ განუწყვეტელ. უსისხლო ბრძოლაში კომუნისტებს ჩინებულად უჭირავთ თავი. მიტჩელმა მაჩუქა ავსტრალიელი კლასიკოსის პენრი ლოუსონის ლექსების კრებული. როგორც ჩვენს შემდგომ საუბარში გამოირკვა (საუბრის ბოლოს მისაყვედურეს, რომ ვერ ვკითხულობ და ვერ ვლაპარაკობ ინგლისურად), მიტჩელი კარგად იცნობს მსოფლიო ლიტერატურას, პირველ რიგში, რასაკვირველია, ინგლისელ კლასიკოსებს, თუმცა არც რუს კლასიკოსებს იცნობს ცუდად.

მიტჩელი ჩვენს წასაყვანად მთელი ოჯახით — ცოლითა და ოთხი შვილით მოვიდა. სკოლაში ჯერ არც ერთი შვილი არ დაუდის. მანქანაში მჭიდროდ ვისხედით და მხიარულად ვიყავით. თავდა-

პირველად მისი ცოლ-შვილი წავიყვანეთ შინ. მიტჩელის სახლი დაახლოებით სმიტების სახლს ჩამოჰკავას და ასევე განვადებითაა ნაყიდი. სახლის პატრონმა კიდევ ოცდაორი წლის განმავლობაში ყოველთვიურად უნდა აძლიოს ბანკს თოთხმეტ-თოთხმეტი გირვანქა, რაც მისი შემოსავლის მეოთხედს შეადგენს. მანქანა ძველი აქვთ — სულ ორმოცდაათი გირვანქა ღირს. ავეჯი მეტად უბრალოა. მათი სახსრები პრივილეგირებულ მუშებთან შედარებით შეზღუდულია, მაგრამ მიტჩელის ოჯახი მეგობრული და ბედნიერი ოჯახია. ჩვენი გამგზავრებისას ორმა ბიჭუნამ რომელიღაც ყვავილის ბუჩქთან ტირილი დაიწყა — რატომ ჩვენც არ მიგყავართო! ყველაზე უფროსმა საკმაოდ გაჯავრებულად გადმოგვხედა და წაიბურტყუნა: „გულ ბაი“.

მეგობრობის საზოგადოებაში შეხვედრამ გულთბილად ჩაიარა: პატარა სილიან ბაღში ვსვამდით ყავას, შევექცეოდით ყურძენს, ვსაუბრობდით თარჯიმანთა მეშვეობით და მათ გარეშე. მიღებას ესწრებოდნენ ექიმები, ვექილები, მუშები.

ადელაიდის განყოფილების პრეზიდენტი უკვე ხანში შესული მამაკაცია, გამოკვეთილი ნიკაპი, მასიური ცხვირი და დაბალი, ჩახლეჩილი ხმა აქვს, შუბლი, დაწვები და კისერი ერთიანად დაღარვია ნაოქებით. მაგრამ სულ სხვაა მისი ხელები, რომელსაც ქათქათა მანქანები უმშვენებს. ეს არის მზით გარუჯული დიდი, დანაოქებული, დაჭორთლილი, გაუხეშებული, და როგორც მომეჩვენა, ყოველგვარ საქმიანობაში გაწაფული ხელები, რომლებისთვისაც უცხო არ უნდა იყოს მძიმე სამუშაო. ასეთი ხელები აქვთ კარგ მებადურებს, ხუროებს, გემის მექანიკოსებს. შესაძლოა, ასეთი ხელები ჰქონდა მიქელანჯელოსაც.

პრეზიდენტი გვესალმება შორეულ სტუმრებს, რომლებიც ამჯერად ჩრდილოეთიდან კი არ ჩამოვსულვართ, არამედ ყინულოვანი სამხრეთიდან, და გამოთქვამს რწმენას, რომ საბჭოთა ადამიანები, ისევე როგორც ავსტრალიელები, მიისწრაფვიან არა ომისაკენ, არამედ ჩვენი საერთო პლანეტის ყველა ხალხის თანამეგობრობისაკენ. იგი ლაპარაკობს საბჭოთა მეცნიერების მიღწევებზე და რუსული სიტყვა „სპუტნიკი“ სრულიად ჩვეულებრივად ეღერს მის ინგლისურ მეტყველებაში. დასასრულს, გვისურვებს ჩქარა წავიდეთ შინ,

ჩვენს ოჯახებში, გვისურვებს მომავალ კეთილ მგზავრობასა და მშვიდ ოკეანეს.

ჩვენგან ასევე გულითადად ილაპარაკა ტრეშნიკოვმა. მან გამოხატა თავისი სიხარული იმასთან დაკავშირებით, რომ იმყოფება ავსტრალიის ეროვნული გმირის სერ ღუგლას მოუსონის სამშობლო ქალაქში, და სიტყვის დასასრულს შეკრებილთ ჩვენი ექსპედიციის მონაწილეები წარუდგინა.

ხეს მიყრდნობია უბრალო ლურჯ სვიტერში გამოწყობილი ორმოცდაათიოდე წლის მამაკაცი. მას კუნთოვანი და მეტისმეტად გარუჯული სახე და მოქუფრული, ზღვასავით ნაცრისფერი, მშვიდი თვალები აქვს. ყურადღებით უსმენს სიტყვაში გამოსულებს და სიგარეტს სიგარეტზე ეწევა. მე კარგა ხანია თვალყურს ვადევნებ მას. უცნობი რაღაცით მაგონებს ადელაიდის სამხატვრო გალერეაში გამოფენილი მოლი სტეფენსის სურათის სანაპიროზე მდგარ ქაბუკს. რამდენიმე ხნის შემდეგ კუნინი მაცნობს უცნობს. ეს ავსტრალიელი მწერალი იუჯინ ლამბერსია.

შეხვედრის შემდეგ თავაზიან მასპინძლებს მიეყავართ ქალაქის დასათვალისწინებლად. კუნინი, კრიჩაკი და მე ვსხდებით ლამბერსის მანქანაში. მანქანაში უამრავი ნივთია. ყველაფერი მეტყველებს იმაზე, რომ ლამბერსი კარგი მოცურავე და გატაცებული მეთევზეა. აქ ნახავთ რეზინის ფარფლათებებს, წყალქვეშა ნიღაბს და წყალში გამოსაყენებელ უბრალო და მოხერხებულ სასუნთქ მილს. წყალქვეშა ნადირობა — უდავოდ სპორტის საინტერესო სახეობაა, რომელიც ძალიან გავრცელებულია ავსტრალიაში. ლამბერსის ოჯახში ამ სპორტით გატაცებულია თვითონ და მისი ორივე ვაჟი.

ქალაქიდან ვიწრო, დაკლანძილი გზით გამოვდივართ. გორაკს ქვემოთ იშლება ავსტრალიისათვის ესოდენ დამახასიათებელი შემოდგომის პეიზაჟი. ბრტყელი, შიშველი მთები, განმარტოებული კორომები და გადატრუსული, ფერწასული ბალახი. როგორც ჩანს, ავსტრალიის ნახევარუდაბნო აქ ქალაქს ეკვრის. ირგვლივ დიდებული მღუმარება დასადგურებულა და მშვიდად ლიელოვებს ჰაერი. მიუხედავად ამისა, ადელაიდის მიდამოები უდაბნოდ არ ითვლება. ჩვენს ფერხითთ გართხმულია ლბილ მონანავე შუქში გახვეული ქალაქი. იგი მართლაც ლამაზი, მზიური ქალაქია, ქათქათაა და მწვა-

ნე, მოგაგონებთ პირველი ზიარების წინ მორთულ-მოკაზმულ ქალ-წულს. აქვე ჩანს მშვიდი, ვრცელი და ლურჯი ზღვა, სამკუთხაფრებიანი იახტებითა და ღია ფერის სამგზავრო ზომალდებით სავსე. რამდენი დაუდგრომლობა იმალება თვით წყნარ ზღვაშიც კი, როცა მას ნაპირიდან გასცქერი, და როგორი მშვიდი და ერთფეროვანია იგი თვით ქარიშხლის დროსაც კი, როცა ზომალდის ქიმიდან უცქერი! აქ, ალბათ, ვლინდება თავისებური კანონი. რომელიც ამბობს „შორიდან ყველაფერი ლამაზია“, კანონი, რომელიც ძალიან სასარგებლოა ლირიკოსებისათვის და ძალიან სახიფათო პროზაიკოსებისათვის.

ვბრუნდებით ქალაქში და ლუდის დასალევად შევდივართ ღია კაფეში, სადაც კვირა დღესაც კი ცოტა ხალხია. მეზობელ მაგიდასთან ზის ვაჟბატონი, რომელსაც თვალისმომკრელად გაქათქათებული გულსპირის ფონზე სახე უფრო გაუფრმკრთალებია და ქალიშვილს უბღვერის. უცებ კუთხიდან ტყვიამფრქვევის კაქანის მსგავსი ლაპარაკი მოისმა — რეპორტაჟს გადმოსცემენ იპოდრომიდან. დიქტორი ლაპარაკობს ხმამაღლა, ავტომატურად და უგულოდ. ხმას არც იმაღლებს, არც იდაბლებს. იგი ისე ისვრის სიტყვებს, ისე აცხადებს ცხენების სახელებს, მათ ნომრებს, მოგებულ თანხას, თითქოს აუქციონის ჩაქუჩს სცემს თუნუქის დახლზეო. ბევრი სმენაგამახვილებული უსმენს. დოლი ავსტრალიელების ერთ-ერთი საყვარელი გართობაა. აქ ცხენებზე დიდ სანაძლეოს დებენ.

მისტერ ლამბერსს სახლში მივყავართ. სახლი მყუდრო და მზიანია. მას ბევრი წიგნი აქვს, მათ შორის ინგლისურად თარგმნილი რუსული წიგნებიცაა: ჩეხოვის, ტოლსტოის, დოსტოევსკის ნაწარმოებები. ლამბერსი გვაცნობს ოჯახის წევრებს — ცოლს, ქალიშვილს (ქალიშვილი უნივერსიტეტს ამთავრებს), მასზე ცოტა უფროს ვაჟიშვილს, რომელიც ძალიან ჰგავს დედამისს, და ბოლოს, უმცროს ვაჟიშვილს. იგი სწორედ ის-ის იყო შემოვარდა ოთახში ერთიანად გამტვერიანებული, აღგზნებული და ქორფლიანი. ყმაწვილს „მზით ავსებია თავი“, რომელზედაც ძველებური ტროპიკული ჩაფხუტი ჩამოუფხატავს. არც მეტი, არც ნაკლები, ნამდვილი ტომ სოიერია. იგი მაშინვე მიეტმასნა კრიჩაკს, ძალიან მოსწონს მისი კაზაკური უღვაშები და მისი ნაამბობი. კრიჩაკი დინჯი. მაგრამ გა-

საგები ინგლისურით უამბობს ანტარქტიკის ზამთარსა და ორ პინგვინზე — რომეოსა და ჯულიეტაზე, რომლებიც მოსკოვის ზოპარკში ჩაყვანამდე მის მეურვეობაშია და „კოოპერაციაზე“ ტრაპიქემოთ ბინადრობენ.

საუბარი შეესება ანტარქტიკას, იქაური ცხოვრების პირობებს, ადამიანებს, რომლებმაც მეექვსე კონტინენტზე გამოიზამთრეს. მე ვუზიარებ მათ კომსომოლსკაიაზე მიღებულ ჩემს შთაბეჭდილებებს. ლამბერსი მცირე ხნის დაფიქრების შემდეგ მირჩევს:

— მისტერ სმულელ, შესანიშნავი წიგნი გამოგივიათ. თქვენ ხომ პოეტი ხართ. დაწერეთ, როგორ რჩება ოთხი კაცი მარტოდმარტო მუდმივ ყინულებში, როგორ ატარებენ ისინი ზამთარს, როგორ ევსებათ თანდათანობით ბოლმით გული და როგორ უჩნდებათ ურთიერთსიძულვილი, როგორ აქცევენ საკუთარ ცხოვრებას ჯოჯობეთად. ფრანგებმა, სხვათა შორის, ბევრი წიგნი დაწერეს სწორედ ამგვარი ხასიათისა.

არ ვიცი, სრულიად სერიოზულად თუ ნახევრად სერიოზულად მომცა ლამბერსმა ასეთი რჩევა, მაგრამ ეს ხუმრობით ნათქვამი არ იყო. დასავლეთში ურთიერთსიძულვილის თემა დიდ მოწონებაშია და მეტად ოსტატურად და შთაბეჭდავად წერენ მასზე.

ფრანგები ფრანგებია, მაგრამ მე ვერ წარმომიდგენია სადგურ კომსომოლსკაიაზე ყველაზე საზარელი ზამთრის პირობებში ან მარცხის დროს მოხდეს ამგვარი რამ. იმის გაფიქრებაც კი, რომ დიდი მოროზოვი მუშტი-კრივს გაუმართავს პატარა სორაკინს, ფოკინი კი — ივანოვს, მხოლოდ ღიმილისმომგვრელია. მაგრამ, ცხადია, ასეთი რამ შესაძლებელია. და აქ, ავსტრალიელი მასპინძლის სასტუმრო ოთახის მყუდრო, შინაურულ გარემოში, გამახსენდა ჩვენი კაიუტის მაგიდაზე დატოვებული წიგნი, რომელიც მოგვითხრობს კოლუმბის ნაოსნობაზე და რომელშიც თავმოყრილია კოლუმბის წერილები მეფე ფერდინანდისა და დედოფალ იზაბელასადმი. ამ წიგნმა ამირია გონება. გამახსენდა იმ ოცდაცხრამეტი ადამიანის ბედი, რომლებიც კოლუმბმა, ამ ბუმბერაზმა და ამავე დროს არაკაცმა, თავისი ნაოსნობის პირველ წელს, „სანტა მარიას“ დაღუპვის შემდეგ, დატოვა ესპანოლას კუნძულზე, როგორც ქრისტიანობის ფორპოსტები და წინასწარ ჩააგონა მათ მონებით ვა-

კრობისა და ოქროს ხარბად ხევექის თავისი იდეები. ხელმეორედ ნაოსნობის დროს კოლუმბს ამ კუნძულზე დახვდა მხოლოდ გვამები და ლას კაზასი თავის „კოლუმბის მეორე ნაოსნობის აღწერაში“ გვაუწყებს, თუ რისი გაკეთება მოასწრეს ამ კეთილმა კათოლიკებმა და კასტილიის მეფის ამ კეთილმა ქვეშევრდომებმა წმიდა ჯვრის გულისათვის, სანამ არ ეწვიათ დამსახურებული სიკვდილი. ცხადია, მათ სძულდათ ერთმანეთი, რადგან ოქროს მოხვეჭისადმი მისწრაფებამ ჰკუაზე შეშალა ისინი. ისიც ცხადია, რომ თუკი ყინულებში შემთხვევით მოხვდებოდა ცოტაოდენი ტანსაცმლისა და სურსათის მქონე ოთხი კულაკური სულის კაცი, რამდენიმე თვის შემდეგ ყინულებს გამოულადრავდნენ ერთმანეთს.

მეექვება, რომ თვით ლამბერსს განევითარებინა შემოთავაზებული სიტუაცია ისეთნაირად, როგორც მე მირჩია. თუმცა ვინ იცის— იქნებ განევითარებინა კიდევ.

ჩვენი ხანგრძლივი საუბრის პერიოდში, რომელიც სადილობისას დაიწყო და ყავით გაწყობილ მაგიდაზე გაგრძელდა, გამოიჩინა, რომ მასპინძლის ინტერესები საკმაოდ ფართოა და ცხოვრებასთან მჭიდროდ დაკავშირებული. რა გამოვლენ ბავშვები, რომლებიც იმ გარემოში იზრდებიან, სადაც ფილმები და პირველი წიგნები მოგვითხრობენ მხოლოდ მკვლელობაზე, ძარცვასა და სადიზმზე, სადაც პორნოგრაფია და ნახევრად პორნოგრაფია იაფფასიანი კომიქსების სახით იჭრება ფანჯრებსა და კარებში?

რა სულიერი ტრავმა, რა სიმახინჯე, უხეში ძალმომრეობის რა კულტი მოაქვს ახალგაზრდა თაობისათვის ამ ბურჟუაზიულ „ბექდითი სიტყვის თავისუფლებას“! კომიქსებიდან ბავშვების დაცვა შეუძლებელია: აუკრძალავ — მალულად დაიწყებენ კითხვას, მალულად წაკითხული კი უფრო მეტ ზეგავლენას ახდენს. ყოველივე ეს აწუხებს ლამბერსს როგორც მოქალაქეს, როგორც მამას და როგორც გონიერ ადამიანს.

მნიშვნელოვანი საკითხია რელიგიაც. ლამბერსი წარმოშობით ირლანდიელია, მასში იგრძნობა ამ მემამბოხე კუნძულის შვილების ხასიათი, აზრთა გაბედულება, პატიოსნება, სიჭიუტე, საკუთარი გზით სიარულისადმი სწრაფვა. იგი კათოლიკე არაა, მაგრამ ავსტრალიაში, განსაკუთრებით კი ადელაიდაში კათოლიკური ეკლესია

მეტად მძლავრია, ფაქტიურად მეორე ხელისუფლებას წარმოადგენს. სიდნეიში კითხულობენ, ფულიანი ხარ თუ არა, მეღებურნში — რა ეროვნებისა ხარ, ადელაიდაში კი — კათოლიკე ხარ თუ არა. პატრის სამოსელი ისევე ხელშეუხებელს ხდის აქ ადამიანს, როგორც პოლიციელის ფორმა, სასულიერო პირები თავიანთი სამწყსოს პირად ცხოვრებაში ისე თავისუფლად ერევიან, თითქოს საკუთარ ბაღში დასეირნობდნენ. ეტყობა, ლამბერსა და კათოლიკურ ეკლესიას შორის ურთიერთობა მაინცდამაინც სახარბიელო არ უნდა იყოს. ეკლესია კი მძლავრი და შეძლებული მტერია, წმინდანობის შარავანდელით მოსილი მტერი, გონება-განწყობილებისა და საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების დარგში ძველთაგან გამოჩეულებული ფანდებით აღჭურვილი.

ლამბერსი კომუნისტი არაა და არც აქვს კავშირი ავსტრალიის კომუნისტებთან. მე მგონია, იგი ერთ-ერთი ტიპური წარმომადგენელია დასავლეთის ინტელიგენციის იმ ნაწილისა, რომელიც ოქტომბრის რევოლუციას და საბჭოთა ხელისუფლებას მისი არსებობის პირველ წლებში ისე უყურებდა, როგორც უდიდესი გაქაანების ექსპერიმენტს, ხოლო ლენინს — როგორც პოეტს, და ინტერესით მოელოდა, რით დამთავრდებოდა ყოველივე ეს, რა შედეგს გამოიღებდა. იგი ერთი იმათგანია, რომლებიც გაოცებულნი აღევენებდნენ თვალყურს ჩვენს ომისწინა ხუთწლეულებს და ვერაფრით აეხსნათ, რომ რუსეთი დამპყრობის მაგიერ ასეთ სასწაულებს ახდენდა. იგი ერთი იმათგანია, რომლებიც არ ცდილობდნენ სწრაფად შეეცვალათ დიდა სამამულო ომის წლებში საბჭოთა კავშირის მიმართ აღძრული პატივისცემა და სიმპათია „ანტიკომუნისტური“ ისტერიით. ლამბერსს შეუძლია შეაფასოს ჩვენს მიერ გადალახულ სიძნელეთა მასშტაბები და არ რცხენია გამოხატოს პატივისცემა ძლიერი აღმშენებლის მიმართ. საბჭოთა კავშირზე იცის საშუალო ავსტრალიელზე მეტი, იცის, რომ ჩვენ ბევრი კარგი გვაქვს და არ ლაპარაკობს ჩვენს ნაკლოვანებებზე ბოდიშისმოძებელი ღიმილით. მოკლედ რომ ვთქვათ, იგი წარმატებებს გვისურვებს.

საღამოს პოზენებთან ერთად მივდივართ ამერიკული ფილმის „ომი და მშვიდობის“ სანახავად. მე მივდიოდი და წინასწარ ვფიქრობდი: შეძლეს თუ არა ამერიკელებმა ჩასწვდომოდნენ ტოლსტოლ

ის რომანის ზოგადსაკაცობრიო და ამავე დროს ესოდენ რუსულ სულს და გადმოეცათ იგი? ფილმის დამთავრების შემდეგ ჩემთვის ცხადი გახდა, რომ „ომი და მშვიდობა“ ოსტატურად და სერიოზულად დადგმული კარგი ფილმია, რომ იგი ხელოვნების ნიმუშია. ცხადია, მასში არის ის ნაკლოვანებანი, რომლებიც შეინიშნება ყველა დიდი რომანის ეკრანიზაციის დროს, ვერ მოუხერხებიათ გადმოეცათ წიგნის ყველა სიუჟეტური ხაზი და გამოეყვანათ ყველა მოქმედი პირი. ფილმ „ომი და მშვიდობის“ მთავარი პერსონაჟები არიან პიერ ბეზუხოვი (ჰენრი ფონდა) და ნატაშა როსტოვა (ოლრა პეპბერნი). ესენი ზუსტად ტოლსტოის პიერი და ნატაშა როდი გახლავთ, ცოტათი გაამერიკელებული არიან, მაგრამ ქსოვილი მათი ხასიათებისა ძირითადად იგივეა. ჩანს, ფილმის დამდგმელი კინევიდორი კარგად იცნობს ტოლსტოის და სწორად განმარტავს მას. იგი უფლებას არ აძლევს საკუთარ თავს რსე გადაუხვიოს ტექსტიდან, მოქმედებიდან, წიგნში დასმული აქცენტებიდან, რომ ღირდეს ამაზე ლაპარაკი.

ნატაშა დიდხანს მემახსოვრება. იგი მეტისმეტად ნორჩი და ნობხიბლავია, მასში არის რაღაც ალმტაცი. კარგმა ამერიკელმა მსახიობმა შეძლო შერწყმოდა თავის როლს. ჩვენ ვხედავთ ნატაშას შინ, მსიარულს, ცხოვრებით გაუმაძლარს, ყველა ადამიანის მოყვარულს, სწორედ იმ ნატაშას, რომელიც ოცნებობს ღამით აივანზე (ჩინებულ სცენა!) და რომელსაც პირველად უსმენს და პირველად უგება თავადი ანდრეი. შემდეგ ჩვენ ვხედავთ ნატაშას თავის პირველ ბალზე, სადაც ვიდრე თავადი ანდრეი მიიწვევდა საცეკვაოდ, გადაიტანა ბავშვური, მაგრამ მაინც ამდენი განცდა. ვხედავთ ანდრეის, რომელიც ძალიან ახლოს დგას ტოლსტოის ანდრეისთან. შემდეგ ნატაშა მამამისთან ერთად ვიზიტად მიდის მოხუც თავად ბოლკონსკისთან, რომელიც მათთან ღამის ხალათით ცხადდება და თავი ცივად და ქედმაღლურად უჭირავს. ჩვენ ვხედავთ, როგორ იქმნება მათ შორის უფსკრული, როგორ ცდილობს თავადის ასული მარია მიჩქმალოს ეს ამბავი, როგორი გულგატეხილია ნატაშა. შემდეგ მოქმედებაში შემოდის ანატოლ კურაგინი. ამალეღვებელთა ის სცენა, სადაც ნატაშა ელოდება კურაგინის მარხილს, სადაც იგი რწმუნდება, რომ მისი საიდუმლო გამოაშკარავებულია, კარები ჩაქეტილი აქვს,



და ახალგაზრდა, ლამაზი, სასოწარკვეთილი, გულმოკლული ქალა მარტომარტო მიდი-მოდის ოთახში. ეს სცენა დიდი ხელოვნების ნამდვილი მიღწევაა. შემდეგ ჩვენ ვხედავთ, როგორ დიასახლისურად ფუსფუსებს ნატაშა მოსკოვიდან როსტოვების გამგზავრების დროს, როგორ პოულობს იგი დაჭრილ თავად ანდრეის, რა მძიმეუღ განიცდის მის სიკვდილს და საბოლოოდ როგორ პოულობს საკუთარ ბედნიერებას პიერთან ერთად. ჩინებული, შესანიშნავი მსახიობია!

პიერს სათვალეები უკეთია. იგი მოუქნელი (თუმცა გამხდარი!), უმწეო, მუდამ დაფიქრებული და კეთილია. უნდა ითქვას, რომ პიერთან დაკავშირებული ერთი სცენა მეტისმეტად ამერიკულადაა გადაწყვეტილი; კერძოდ, ის ადგილი, სადაც პიერი და დოლოხოვი ოფიცრებთან ერთად ჭეიფობენ. მთელი ლხინი ნაჩვენებია დეტალურად და ვრცლად. შემდეგ სანაძლოს დებენ და ფანჯრის რაფაზე შემომჭდარი დოლოხოვი სვამს ერთ ბოთლ კონიაკს. ყველაფერი ამ სცენაში უკანასკნელ წვრილმანამდე — ნერვებზე თამაშია: უკან გადაწეული დოლოხოვის ტანიც, ფანჯრის რაფაზე შემოწყობილი მისი ფეხებიც, ბოთლიც, რომელიც ასე აუტანლად ნელა იცლება, და პირდაღებული უფსკრულიც. სიმაღლე ას მეტრამდეა. შემდეგ რაფაზე ადის პიერი. იგი ძალიან მთვრალია, ტორტმანებს და ასე გგონია, სადაცაა მისი მძიმე ტანი ქვაფენილს დაასკდება. სანამ მას ისევ ოთახში შეათრევენ, საკმაო შიშს ჰამ. ჩვენ ვხედავთ პიერს მოსკოვში, საიდანაც ყველანი გარბიან, ვხედავთ მას ბოროდინოს ბრძოლაში და კარატაევთან ერთად ტყვეებს შორის.

დასავლეთში, ალბათ, „რუსული სული“ აქამდე ესმით, როგორც ტიპიური კარატაევისეული და ასევე განმარტავენ მას. ამასთანავე კარატაევშიჩინას თითქმის მთლიანად აიგივებენ კუტუზოვის ბრძულს. წინასწარგანკვრეტილ თავდაპერილობასთან. ფილმში პლატონ კარატაევის სახე საინტერესოდ და დიდი სიყვარულითაა დახატული. მასი ფატალოზში, სიმშვიდით, სიკვდილისადმი გულგრილობა, ბოროტებისადმი ძალადობით წინაღუდგომლობა, პიერისადმი მზრუნველობა, მისი უდიდესი სიკეთე. — ყოველივე ეს თითქოს საღამოს ლურჯი და თბილი კვამლივით თავზე დასწოლია დასაღუპავად განწირულ ნაპოლეონის დიდ არმიას.

ნაპოლეონისა და კუტუზოვის სახეების გახსნის დროსაც რეჟი-

სორი ახლოსაა ტოლსტოისთან. კუტუზოვი მოხუცებულია, იგი ბრძენია და ფრთხილი. სულ სხვა ხასიათისაა ნაპოლეონი — იგი ქირვეულია და ეგოისტი. გაპარტახებულ დარბაზში ელოდება ძლეული მოსკოვის ელჩთა გამოჩენას, ირჩევს პოზებს, ემზადება ბრწყინვალე სიტყვის სათქმელად და შმაგდება, როცა აუწყებენ, მოსკოველებმა ქალაქი დატოვესო.

„ომი და მშვიდობის“ თითქმის ყველა მასობრივი სცენა — ბორდინოს ომი, რუსების მიერ მოსკოვის დატოვება, ფრანგების შემოსვლა, — გრანდიოზული და წარმტაცია, მაგრამ იშვიათად მინახავს ეკრანზე ნაპოლეონის დიდი არმიის უკან დაბევისმაგვარი რამ. გასაოცარია ეს სცენა. მასში გარდუევალობაა და სამაგიეროც. სმოლენსკის გზაზე მიმავალი დიდი არმიის ყოველი გამოჩენისას ვხედავთ, თანდათანობით როგორ კნინდება იგი, როგორ იღვევა და ჩივდება.

აი, ეს სცენა. ნელა ბარდნის. ჩვენს წინ გადაჭიმულია გაუკვალავი თოვლიანი ბეჭობი. უცებ გაისმის ნალარის ხმა. თოვლიანი ბეჭობი ცოცხლდება. თოვლის საფარიდან ამოდიან დიდი არმიის ნარჩენები. კვლავ მიჩანჩალებენ დასავლეთისაკენ. აღარაფერი შერჩენიათ, აღარც იარაღი, აღარც წესრიგი, აღარც რწმენა. ეს სიკვდილის მსვლელობაა.

შეიძლებოდა თუ არა, მოგვეთხოვა უფრო მეტი, ვიდრე მოგვეცეს ამერიკელებმა ამ სურათში? რასაკვირგელია, შეიძლებოდა. და მაინც უნდა ვაღიაროთ, რომ ეს კარგი, არაჩვეულებრივად კარგი მხატვრული ნაწარმოებია.

ხომალდზე ნაშუალამევს ვბრუნდებით. არაჩვეულებრივი სიწყნარეა, მკრთალად ანათებს ჩირაღდნები. ნავმისადგომზე სეირნობს საბაჯოს ორი მოხელე. ნავსადგურს სძინავს. ირგვლივ მტვრისა და ხორბლის სუნი იგრძნობა.

1949 წელს რამდენიმე თვე ვცხოვრობდი ესტონეთის პროვინციულ ქალაქ ვირუს სასტუმრო „ალექსანდრიაში“. სასტუმრო წყნარია, ქალაქი კი მოზრდილ სოფელსა ჰგავს. მე წიგნსა ვწერდი და ვოცნებობდი შანხაიზე, დიდ ნავსადგურზე. თუ საშუალება მექნება, აუცილებლად გავემგზავრები იქ და ერთი-ორი წელი დავყოფ ნავსადგურში, დიანს, სწორედ ნავსადგურში. თვით მძინარე ნავსადგუ-

რებშიც კი იგრძნობა თავისი განსაკუთრებული რიტმი, სიმღერა, აქედან განიბნევა სხივები შორს, აქეთეც მოისწრაფვის სხივები შორიდან.

1958 წლის 2 მარტი

პ ვ ი რ ა

ყველაფერი დაკეტილია — მალაზიები, კინოები, ბარები. დილოთ, წირვის საათებში, გზებზე მანქანები ცოტაა. ხოლო საქალაქო ტრანსპორტი — ავტობუსები და ტროლეიბუსები პორტ-ადელაიდიდან ადელაიდაში იშვიათად გადიან. ქალაქელთა უმეტესობა ჯერ კიდევ გუშინ გავიდა ქალაქგარეთ, თუმცა ძნელი წარმოსადგენია, რომ ადელაიდის ახლომახლო მიდამოებში დაინახო იმის მსგავსი რამ, რასაც ჩვენ სიმწვანესა და ბუნებას ვეძახით. დატვირთვა შეწყვეტილია, საწყობთა მძიმე კარები ჩარაზული, სტუმრებიც კი დღეს ჩვეულებრივზე გვიან ცხადდებიან. ქალაქს თითქოს მთებიდან ეწვია უდაბნოს მღუმარება, რასაც არც ქუჩის ხმაური არღვევს, არც საბუქსირო გემების საყვირის ხმა. ამ სიჩუმეში ავსტრალიელები ევედრებიან თავ-თავიანთ ღმერთებს, რომლებიც ბურჟუაზიული პარტიკივიტ ებრძვიან ერთმანეთს. მეთოდისტები ევედრებიან თავიანთ ღმერთებს, ბაპტიტები—თავიანთს, ადვენისტები—თავიანთს, ლუთერანები — თავიანთს, მორმონები კი — თავიანთს. ევედრებიან აგრეთვე თვით ძლიერ ღმერთს, რომელმაც ნაცვლად თავისი ძისად დედამიწას რომის პაპი მოუვლინა.

დილიდან სიწყნარეა ხომალდზეც. ნასადილევს სტუმრად მივყვები ესტონელ ცოლ-ქმარს, რომლებიც თავიანთი „პოლდენით“ მეწვივნენ. ისინი სანაპიროზე ტოვებენ მანქანას და ჩემს წასაყვანად გემზე ამოდიან. იმ ხალხზე, რომელიც დასავლეთ გერმანიიდან ავსტრალიაში ამერიკული სამხედრო ტრანსპორტის სატვირთო ტრიუმით წამოიყვანეს, ცხადია, „კოოპერაცია“ უბადლო გემის შთაბეჭდილებას ახდენს.

მივდივართ ადელაიდის წყნარ ქუჩებში. ხალხი ცოტაა, მოძრაობაც ნაკლებია. ჩავექროლეთ მორმონთა ეკლესიას, სადაც ახლა წირვაა. გარეგნულად იგი სრულებით არ ჰგავს ტაძარს. შენობა პრაქ-

ტიკულადაა ნაგები — იგი ეკლესიაცაა და ამავე დროს კლუბიც. წიროს დროს ფარდას ჩამოაფარებენ ესტრადას. ცეკვების დროს კი — საკურთხეველს, ხოლო ესტრადაზე ჯაზის წევრები სხდებიან.

ჩემი მასპინძლები ახალგაზრდები არიან. როცა მათ ომის ბოლოს დატოვეს ესტონეთი, თხუთმეტი წლისანი იყვნენ. ორივემ ავსტრალიაში მიიღო უმაღლესი განათლება: ქმარმა დაამთავრა ადელაიდის სამშენებლო ინსტიტუტი, ცოლმა კი ადელაიდის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი. მათ ავსტრალიის მოქალაქეობა აქვთ მიღებული და განა მართო მოქალაქეობა. ისინი საკუთარ თავს ავსტრალიელებად თვლიან, მთელი მათი მომავალი გეგმები ამ მატერიკთანაა დაკავშირებული. ისინი შეეგუენ აქაური ცხოვრების წესებსა და ბუნებას. ცოლი გარეგნულად ტიპიური ესტონელია, ჯერ კიდევ კარგად და სუფთად ლაპარაკობს ესტონურად, ქმარს კი საკმაოდ ხშირად უბდება ინგლისური სიტყვების მოშველიება, კილოც ინგლისურს უგავს.

მოსწონს ცოლ-ქმარს ავსტრალია? მოსწონს. ისინი უკვე ახლა. ახალგაზრდობაშივე საკმაოდ უზრუნველყოფილნი არიან. მარტო ქმრის წლიური ხელფასი ათას ავსტრალიურ გირვანქას უდრის და ბევრად აღემატება საშუალო მუშის გამომუშავებას. ამასთანავე. ავსტრალია ისეთი ქვეყანაა, რომელსაც უმუშევრობა მთელი სიგრილე — სიგანით არ შეხებია, ყოველ შემთხვევაში, აქამდე მაინც. ჩვენი საუბარი საყოფაცხოვრებო საკითხების გარშემო ტრიალებს, იგი შეეხება საბინაო გადასახადს, ხელფასს, ფასებს, მშენებლობას და ა. შ., შემდეგ საუბარი თავისთავად გადადის ემიგრანტებისა და „ნამდვილ ავსტრალიელებს“ შორის ურთიერთობაზე. ამ საკითხში ყველაფერი რიგზე როდია. ბოძალდზე ჩემს მიერ არაერთგზის შემჩნეული ფარული უკმაყოფილება, რაც ემიგრანტებისადმი ავსტრალიელების ურთიერთობაში შეინიშნება, როგორც ჩანს, სრულიად უსაფუძვლო არ უნდა იყოს. ავსტრალიელი ქალიშვილები იშვიათად მიჰყვებიან ცოლად ახალგაზრდა ემიგრანტებს. ამ უკანასკნელებს იშვიათად იწვევენ მოდგმით ავსტრალიურ ოჯახებში. და თუმცა ახალგაზრდა ემიგრანტებს შეიძლება უწოდო ყველაფერი, გარდა „უენო უცხოელისა“, მაინც ეს უხილავი მიჯნა და ზღუდე მეტად მყარია. ვცდილობ, ვათქმევინო კაბუჯს მიზეზი.

— ჩვენ უფრო შრომისმოყვარენი ვართ, — გადაჭრით ამბობს იგი

— უფრო შრომისმოყვარენი? მხოლოდ ესაა მიზეზი?

— არა, მხოლოდ ეს არაა.

უცხო ქვეყნიდან მოსულები, ფეხზე რომ დადგნენ, ზოგჯერ შედარებით დაბალ ქირაზეც თანახმა არიან.

აი, თურმე სადაა ძალის თავი დამარხული! მუშებს ეშინიათ და, როგორც ეტყობა, არც ტყუილუბრალოდ, რომ ემიგრანტების გამო შეიძლება დაეცეს ხელფასის დონე, დამქარავებლები კი მათში ხელდავენ უფრო იაფფასიან მუშახელს, ესე იგი პროფკავშირების წინააღმდეგ ბრძოლისათვის საბრძოლო რეზერვებს. არც ისე სახარბიელო როლია.

ჩემი მასპინძლები სასიამოვნო და ტაქტიანი ხალხია. მათ თავიდანვე ხაზი გაუსვეს იმას, რომ პოლიტიკა მათი სფერო არაა და არავითარი კავშირი და საერთო არა აქვთ ესტონელი ემიგრანტების მთავარ მოღვაწეებთან (ისინი ძირითადად ყოფილი ესესელები არიან). მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც ვერ მოვახერხეთ მღუშარედ აგვევლო გვერდი ერთი საკითხისათვის, კერძოდ. საკითხისათვის, რომელიც შეეხება ემიგრანტთა უფროს და უმცროს თაობათა შორის მზარდ წინააღმდეგობას. ურთიერთგამიჯვნას. როგორც ჩანს, მათი ურთიერთგამიჯვნა სავსებით კანონზომიერი მოვლენაა. ემიგრანტთა უმცროსმა თაობამ, რომლის უმეტესობამ დასაუღმრთო გერმანიის თუ ავსტრალიის სკოლებში მიიღო განათლება, უკეთ განაცადა ასიმილაცია, მას უფრო ნაკლები კავშირი აქვს სამშობლოსთან, ნაკლები მოგონებები, მის მიერ გადგმული ფესვები უფრო გამძლეა და უთვისტომოდ გაღივებული. შვეციისა და აქაური დაკვირვებებიდან ვიცი, რომ მისთვის ისევე უცხოა შვეციისა და ამერიკაში მიმოფანტული და ყოველი გამოძალული დოლარისათვის გაცოფებული ბურჟუაზიული დროის „საზოგადოებრივი ბურჯები“, როგორც უფროსი თაობის ის ემიგრანტები, რომლებმაც ვერ შეძლეს შეგუებოდნენ უცხო ქვეყანასა და უცხო ბუნებას, შეესწავლათ უცხო ენა და უცხო ზნე-ჩვეულებანი, რომლებსაც უკირთ სამუშაოს შოვნა და რაც დრო გადის, უფრო და უფრო მიუწევთ გული მშობლიური კუნძულებისაკენ.

ავსტრალიის ცხოვრებისათვის დამახასიათებელია სამი ნიშან-თვისება.

ჩერ ერთი, ავსტრალიელი, მკვიდრი იქნება იგი თუ ახლად გამოცხვარი, უაღრესად ოჯახის კაცია, კარჩაკეტილი და საზოგადოებაში ნაკლებად გამოსული. მთელი ძალით მოქმედებს აქ კანონი — „ჩემი სახლი ჩემი ციხე-სიმაგრეა“. ნაცნობთა წრე მცირერიცხოვანია და შეზღუდული. მას ძალიან ფრთხილად ქმნიან და, როგორც ჩანს, საკმაოდ მყარია. უცნობებს უხალისოდ უღებენ კარს, სახლს აქაური ადამიანების ცხოვრებაში საკმაოდ საპატიო ადგილი უჭირავს.

მეორე და საკმაოდ სასიამოვნო ნიშან-თვისებას წარმოადგენს აქაური ქმრების გულისხმიერება. ისინი ეხმარებიან ცოლებს ყოველგვარ საოჯახო საქმეებში, მათ მაგივრად დადიან სავაჭროდ, მათთან ერთად საქმიანობენ სამზარეულოში და შლიან სუფრას. უოდვა არ იქნებოდა, ზოგიერთ ჩვენგანს მიებაძა მათთვის. ჩვენთან, საბჭოთა კავშირში, სადაც ქალების დიდი პროცენტი მუშაობს, მაშაკაცები ხშირად იმდენ ენერჯიას ხარჯავენ ქალთა თანასწორუფლებიანობაზე ლაპარაკში და აღფრთოვანებულნი არიან ამ ლაპარაკით, რომ სადამობით არაქათგამოცლილნი დივანზე გაიშობებიან და ღრიალებენ:

— მაჭამე რამე, ამის ღმერთი არ იყოს!

მესამე თვისება, რომელიც ცოტათი გაოცებს კიდევ, ეს ნივთების გაფეტიშებაა. ეტყობა, ნივთები აქ იღუმალად ბატონობენ ადამიანებზე და საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავთ ადამიანთა ფიქრებსა და ცხოვრებაში. აქ, მართალია, ძალიან ლამაზი ავეჯია (ამაში ჩვენ ჩამოვრჩებით), კარგი რადიომიმღებებია (არც ჩვენია ნაკლები), მეტად პრაქტიკული სამზარეულო მოწყობილობაა და ა. შ. მაგრამ ყველა ეს ნივთი იმდენად კი არ ემსახურება ადამიანს, რამდენადაც გამგებლობს მასზე. მე მგონი, აქ ზემოხსენებულ განვადების სისტემის გავლენასთან გვაქვს საქმე. შენს მიერ ნაყიდი და სახლში მოტანილი სკამი, ანდა რადიომიმღები მაშინვე იქცევა შენს საკუთრებად და ასე მოსაბეზრებლად არ გახსენებს თავის არსებობას, როგორც ნივთი, რომლისთვისაც ყოველთვის უნდა იხადო საკმაო თანხა და მევალესავით შემოგშტერებია.

ვბრუნდებით ხოძალდზე. სულთ და გულთ მადლობელი ვარ ჩემი მასპინძლებისა საინტერესოდ გატარებული დღისათვის და მათი გულახდილობისათვის. მათი წყალობით ზოგიერთი რამ ამ მატერიკის ცხოვრებიდან უფრო ნათელი გახდა ჩემთვის.

სალამო ეამს ძალიან გვიან მიხმობენ მუსიკალურ სალონში. გამოვდივარ და აღარ ვიცი, ვინ ვიკითხო, ვინ დამეძებს. ირგვლივ საუბრობენ რუსულად, ინგლისურად. მხოლოდ კუთხეში მიდგმულ ერთ მაგიდასთან ზის ოთხი გერმანელი. სწორედ მათ წრეს გამოეყო აწოწილი და გაწლიკული, ანკესის მსგავსი ქალი და მიახლოვდება.

— ბატონო, თქვენ ესტონელი ბრძანდებით?

— დიახ.

— ღმერთო ჩემო! ტარტუდან?

— არა, ტალინიდან.

— ღმერთო ჩემო!

ვსხდებით. ქალი მაცნობს თავის პეუღლეს, იგი გერმანელია, და კიდევ ორ გერმანელს. ქალი ცხარე მოლაპარაკე გამოდგა. ვსაუბრობთ ესტონურად. იგი ამადლებულად, პოეტურად ლაპარაკობს:

— გახსოვთ, ბატონო, სიმღერა: „ესტონეთის სიმამაცე...“

— მახსოვს.

— ეჰ! — ოხრაეს ქალი.

მხოლოდ ახლა ვახერხებ ვკითხო, საიდანაა წარმოშობით. თურმე ტარტუდანაა. აინტერესებს, არსებობს თუ არ კიდევ მამამისის კუთვნილი მაღაზია და „ვინ არის ახლა მისი მეპატრონე“. მე კარგად არ ვიცნობ ტარტუს და არ შემიძლია პასუხი გავცე. მამამისს კი, რომელიც ავსტრალიაში ცხოვრობს, ძალიან აწუხებს ეს ამბავი და სურს წავიდეს მის სანახავად.

— თქვენ, ქალბატონო, დიდი ხანია არ ყოფილხართ ესტონეთში? — ვეკითხები.

— დიახ, მას შემდეგ, რაც პიტლერმა გვიხმო გერმანიაში.

ოლონდ ამ წინადადებას იგი შედარებით ხმადაბლა ამბობს. ეტყობა, ხშირად იმეორებდა.

— თქვენი მშობლები გერმანელები არიან?

— დედა გერმანელია.

— მამათქვენი?

— მამა რუსია.

— თქვენ?

— ღმერთო ჩემო, ესტონელი ვარ!

ქმარი გამომცდელად და გამქოლად შემოპყურებს თავისი გამო-  
ხუნებული და ცივი თვალებით. ცოლი უთარგმნის მას ჩვენს საუ-  
ბარს და შემდეგ გადმომცემს მის კითხვას:

— თქვენ ჩვენს წინააღმდეგ იბრძოდით?

— ვიბრძოდი.

ჩვენ თავაზიანად ვსაუბრობთ, ვყვებით მთისას და ბარისას, მაგ-  
რამ საუბარი არ ეწყობა. ამას რომ ბოლო მოელოს, ქალი მთბოვს  
ვუსახსოვრო „ყაზბეგის“ ცარიელი კოლოფი. კაიუტიდან სავსე კო-  
ლოფი გამომაქვს და ვაძლევ.

— ღმერთო ჩემო, ამას მე ვაძლევთ?

— ეს გადაეცით მამათქვენსა და თქვენს, ქმარს, რომ არ და-  
ავიწყდეთ რუსული თამბაქოს სურნელება.

1958 წლის 4 მარტი

გემის დატვირთვა დასასრულს უახლოვდება. ტრიუმში ლამაზად  
გამწყრივებული ქერით სავსე ტომრები სათოფურებამდეა ასუ-  
ლი. ნავსადგურში ავსტრალიელი მუშები შრომობენ მშვიდად და  
აუჩქარებლად. მტვირთავები არც ნავმისადგომსა და არც ტრიუმში  
არ აკეთებენ არც ერთ ზედმეტ მოძრაობას, ჯალამბრები მეტად  
მორჩილნი გამხდარან მათ გამოცდილ ხელში. მუშაობენ ერთ-  
ცვლად, ამიტომაც საღამოობით ნავსადგური უკაცრიელი ხდება.  
აქაური ტემპი არ ჰგავს ჩვენი ნავსადგურების ტემპს და ნომალდე-  
ბიც მეტ ხანს დგანან ხოლმე.

ხვალ ადელაიდას უნდა მოადგნენ ინგლისური დედოფალი-დე-  
და და ანტარქტიკის საზღვაო ექსპედიციის მონაწილეებით სავსე  
„ობი“. „ობის“ მოსვლას „კოოპერაციაზე“ მღელვარებით მო-  
ვლიან. საზღვაო ექსპედიციის მონაწილეთა ნაწილი ჩვენი ხომალ-  
დით დაბრუნდება შინ. დედოფალი-დედის მოსვლის პატივსაცემად  
ადელაიდის ქუჩებს საღმრთაწაულოდ რთავენ. ყველგან ფრიალებს  
დროშები და ბაირალები, ვიტრინებში გამოფენილია მისი უდიდე-



ბუღესობის პორტრეტები და გვირგვინის ყოველგვარი გამოსახულება. როცა პორტ-ადელაიდიდან ადელაიდში მივემგზავრებოდით, გზად შემოგვხვდა თავისებურად აქრელებული ესკორტი. ყველა ცხენი თეთრი და ლამაზი იყო. მათ არც მხედრები ჩამორჩებოდნენ. ჩექმები და სერთუკი შავი ეცვათ, ვიწრო ბრიჯები — თეთრი. მოლაპლაპე კივერებზე ბუმბულის ჯიღები ედგათ, ხელში გრძელი წუბები ეჭირათ. ყველა კავალერისტი ერთნაირად კარგი იყო — ჯანღონიანი, დარბაისელი, ღირსებით აღსავსე. აშკარაა, დედოფალდელის ცხენოსანთა ამაღაშ ადელაიდის ყველაზე საუკეთესო, ესე იგი ყველაზე მღიდარი ჭაბუკები შეურჩევიათ.

1058 წლის 5 მარტი

ღიღით დატვირთული „კოპერაცია“ სხვა ნავმისადღომზე გადაიყვანეს. ნასადიღეეს ჩამოდგა „ობი“. გულთბიღად შეეზღდათ ერთმანეთს. ნავმისადღომზე მიმღდიღდნენ მარკოვი და ზენკოვიჩი, რომღღებმაღე ჩემთან ერთად იმღზავრეს ანტარქტიკაში. მრავალ ათეულ კაცს შორის, რომღღებიღე „ობის“ ჭიმზე გაღმომღდგარიყვნენ და ჭვევით იღჭირებღდნენ, გავარჩიე მზით გარუღჭული გოღიშევი, რომელსაღე თავი გადაეხოტრა და ამიტომაღე უფრო ახალგაზრდა და პირმრგვაღი ჩანდა. მერე გაღმოჩნდა წოწოღა ფურღეღევი, ისეღე ისეთი ეღღეგანტური და როხროხა. კარგია მეგობრებს შორის ყოღვნა!

შეეხვღდი აგრეთვე საზღვაო იქსპეღდიციის მონაწიღე ერთ-ერთ ესტონელსაღე. ეს მოსკოვეღი ასპირანტი ივარ მურღმაა არის. მე იგი შორიღანვე ვიღანი — ძაღან ჰგავს დეღამისს. უცნაურია — ჩვენი ხომალღები ღიდ ხანს იღგა ერთმანეთის გვერღით მირღნის რეიდზე, მაგრამ არღე ერთ ჩვენგანს აზრადაღე არ მოსეღია, რომ შეიღღღებღდა ერთმანეთს შეეხვეღდროღით. ორივე საკუთარი საქმეღებით, საკუთარი საზრუნავით ვაყავით დაკავებული. აი, ასე ვრეღელია სამყარო და ასე მღეირეა იგი!

დაწყნარებულად რომ წაგვემუსაიფა, როგორღე ეს ორ ესტონელს შეეფერება, ნავსადღურის უახლოეს ბარში შეევიღით.

ავსტრალიეღთა უმეტესობისათვის ბარი წარმოადგენს კღუღებს, შეხვეღდრის ადგიღს, მეორე სახღს. ამბობენ, ყოვეღი ავსტრალიეღი ღღიღურად საშუაღოდ ორ ღღიტრ ღღღღს სწამსო. ღღღი აქ მარ-

თლაც კარგია. ავსტრალიელები ოთხ საათზე ამთავრებენ მუშაობას და ბარები საღამოს ექვს საათამდე—სანამ დაკეტავენ — ხალხითაა გაქვდილი. ცოლები თავიანთი ქმრების შესახვედრად ბარში მოდიან და აქ ელოდებიან. ჩანს, ლუდი აქ ალკოჰოლიან სასმელად კი არ ითვლება (თუმცა იგი საკმაოგრადუსიანია), არამედ პირველი საჭიროების საგნად. ბარი, რომელშიც მე და ივარი ვსხედვართ, ორი სათავისისაგან შედგება. პირველში, ვრცელ და მოგრძო დარბაზში, მაღალტაბურეტებიანი დახლი დგას. დაბლში ბარმენია, ხოლო მის უკან თაროებზე ჩამწკრივებულია ყოველგვარი მაგარი სასმელების ბატარეები. ახლა, როცა ხუთის თბუთმეტი წუთია, ბარი ხალხითაა გაქვდილი. ჭიქებს ჭიქებზე ცლიან, სვამენ დინჯად, საქმიანად და შინაურულად. გასაოცარია პირდაპირ. მიუხედავად იმისა, რომ ყოველდღიურად აშდენი ლუდი ისმება, ავსტრალიაში ცოტა არიან მსუქნები, იშვიათად დაინახავ ლუდის სმისაგან მუცელგამობერილ კაცს. ამ ბარის მუდმივი სტუმრები, ნავსადგურის მუშები, თოქმის ყველანი ხმელ-ხმელნი და ტანადნი არიან.

მეორე სათავსს, რომელშიც ჩვენ ვსხედვართ, დატკეპნილი სოხანე, კაცის სიმაღლის წნელის კედლები და შეუღებავი ლამფის ქერი აქვს. კარი კარს არ ჰგავს, იგი უფრო ფარდულის კიშკარს მოგაგონებთ. დაბალ კედლებსა და მაღალ ჭერს შუა თავისუფლად შემოქმუტუნებს ქარი და სიგრილესთან ერთად მტვერიც შემოაქვს. ხალხი ბარში გულჩათხრობილი შემოდის. მაგრამ მერე სახეზე თანდათანობით ედებათ სიწითლე და ემატებათ ხალისიც. საუბარი უფრო და უფრო ძალდაუტანებელი ხდება, მარმარილოს მაგიდებზე არახუნებული ტოლჩები ჰიშნს უგალობენ ავსტრალიურ ლუდს. სწორედ იმ ლუდს, რომლის ორი პენსით გაძვირებამ შეიძლება საყოველთაო გაფიცვა გამოიწვიოს...

ამ ბარში მართლაც რომ ნავსადგურისათვის დამახასიათებელი ატმოსფეროა. ამ განსაკუთრებული ატმოსფეროსთვის თავისებური ბეჭედი დაუსვაშს დოკერთა სიდარბაისლეს, მათ მხიარულებას, მახლობლად მდებარე ოკეანის სუნთქვას. თვით ორი ქალიც კი, რომელთაც ოთხ საათამდე დაუკავებიათ დარბაზის ცენტრში ყველა მხრიდან კარგად შესამჩნევი მაგიდა, და საკმაოდ გაცრეცილ სახეებზე იმდენი ფერ-უმარილი წაუთუთხნიათ, რომ თავისუფლად

ეყოფოდა საკმაო სიდიდის ყავრის ახალ სახურავს, თვით ეს დობილებიც კი შუახნის მზეთუნახავებს დამსგავსებია. მათი აღზნებული, გამომწვევი და მრავლისაღმქმელი თვალები მაგიდიდან მაგიდაზე ინაცვლებს, დაეძებს გულკეთილ და ცოტათი ჯიბესქელ ადამიანს. იმისათვის, რომ ასახო აქაურ ცხოვრების ეს მხარე, აღწერო ავსტრალია საღამოს ოთხიდან ექვს საათამდე, ვიირალტის<sup>1</sup> ყალამს უნდა ფლობდე.

მე და მურდმა ვსაუბრობდით ჩვენს ტალინზე, ჩვენს საერთო ნაცნობებზე, ოკეანოგრაფიულ ექსპედიციასზე. „ობმა“ შეადგინა ანტარქტიკის სანაპირო ხაზის დიდი მონაკვეთის რუკა, ბევრი არსებითი შესწორება შეიტანა შიგ. ექსპედიციის თვითმფრინავებმა არა ერთხელ გადასხეს მატერიკსა და ყინვარებზე მეცნიერთა ჯგუფები; რომელთაც რთულ პირობებში და მოკლე დროში დიდი მუშაობა გასწიეს. ჩვენმა ხომალდებმა „ობმა“ და „ლენამ“, რომლებიც იმ ადგილებში დატურავდნენ 1956—1957 წლებში, დაახუსტეს მთელი ანტარქტიკის სანაპირო ხაზის, და არა მარტო სანაპირო ხაზის, ერთ მეოთხედზე მეტი ნაწილი; თუკი ამას მივუმატებთ ოკეანოგრაფიულ კვლევა-ძიებას, სიღრმეების გაზომვას, მეტეოროლოგიურ, გეოლოგიურ, გლაციოლოგიურ, მაგნიტოლოგიურ და სხვა გამოკვლევებს, ატმოსფეროდან ფოტოგადაღებებს და ა. შ. ნათელი გახდება: რომ ყინულმკვრელმა „ობმა“ და „ლენამ“ საკუთარი სახელები ამოკვეთეს ანტარქტიკის აღმოჩენისა და გამოკვლევის ისტორიის ქვაზე. სამუდამოდ დაუკავშირეს მდინარეებსმოკლებულ ამ მატერიკს რუსეთის მდინარეების სახელები.

„ობი“ აქ ჩამოვიდა ახალი ზელანდიიდან, ველინგტონიდან, სადაც ახლანდელ ერთმანეთს შეხვდნენ ანტარქტიკის მკვლევარები: რუსები, ამერიკელები, ინგლისელები, ფრანგები და ავსტრალიელები. ეტყობა, ამ შეხვედრამ დიდი არაფერი შესძინა ჩვენს მეცნიერებს და არცთუ ისე დააკმაყოფილა ისინი: ახალი ზელანდიის მეცნიერ მუშაკებმაც და პრესამაც დიდი შეფასება მისცეს საბჭოთა; აგრეთვე ფრანგ და ავსტრალიელ მეცნიერთა მოხსენებებს, რადგანაც მათ ახალი რამ დაუმატეს უკვე საყოველთაოდ ცნობილს. მაგრამ

<sup>1</sup> ელუარდ ვიირალტ (1898—1945) — უდიდესი ესტონელი გრაფიკოსი.

საკმაოდ ზერელე მოხსენებებით გამოვიდნენ ამერიკელები, რომლებიც ჯერ კიდევ 1928 წლიდან სისტემატურად სწავლობენ ანტარქტიკას და მაშასადამე, დიდი გამოცდილებაც აქვთ; ასევე ზერელე მოხსენებებით გამოვიდნენ ინგლისელებიც.

მაგრამ ცხადია, მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ეს სპეციალისტის აზრი კი არ არის, არამედ იმ კაცის აზრია, რომელიც გარეგნულ შთაბეჭდილებებს ეყრდნობა და რომელიც, სხვათა შორის, ღრმა პატივისცემით ეკიდება ინგლისელ, განსაკუთრებით კი ამერიკელ მკვლევართა მიერ მეექვსე კონტინენტზე გაწეულ უდიდეს სამუშაოს. თუნდაც მარტო ის ფაქტი. რომ მხოლოდ ავიაციის მეშვეობით შექმნეს მათ სამხრეთ პოლუსზე ამერიკული საკვლევე სადგური „ამუნდსენ-სკოტი“. წარმოადგენს მეტად სარისკო და ამავე დროს გულდასმით მოფიქრებულ ნამდვილ გმირობას. სამეცნიერო და საორგანიზაციო მოღვაწეობა ადმირალ ეველინ ბერდისა, რომელიც ამუნდსენის შემდეგ მეორე ეწვია დედამიწის ორივე პოლუსს, უფლებას აძლევს მას, არასოდეს ამოიშალოს ისტორიიდან და მომავალ თაობათა მეხსიერებიდან მისი სახელი, როგორც სახელი ანტარქტიკის ერთ-ერთი უდიდესი მკვლევარისა. მაგრამ სიკვდილის წინ, თავის უკანასკნელ სტატიებში ბერდი დაჟინებით ხაზს უსვამდა ანტარქტიკის მატერიკის, როგორც ავიაციისა და რაკეტული იარაღის ბაზის, სამხედრო მნიშვნელობას. ხაზს უსვამდა იმას, რომ დრეიკის სრუტე შეიძლება გამოიყენონ ამერიკის სამხედრო ფლოტის გადასაყვანად წყნარი ოკეანიდან ატლანტის ოკეანეში. ამერიკელები ამოწმებენ, როგორ მოქმედებენ ანტარქტიკაში უალრესად დაბალი ტემპერატურის დროს ტანკები და სამხედრო ავიაცია, ძალიან ხშირად იძუორებენ იმას, რომ ანტარქტიდა შეიძლება გამოიყენონ პოლიგონად და სასტარტო-სარაკეტო მოედნად და მის მომავალს სწორედ ამ თვალსაზრისით უყურებენ. თუ ამას მივუმატებთ ურანსაც, რომელიც შესაძლოა იმალება მუდმივ ყინულებში, მაშინ...

სწორედ იმ დროს, როცა პოლარელების ორი ჯგუფი მეცნიერებათა დოქტორის ინგლისელი ფოქსისა და ვეერესტის დამპყრობის პილარის მეთაურობით პირველი გადადიოდა ანტარქტიკის ყინულოვან პლატოზე, სანამ ისინი ატარებდნენ პირველ სახმე-

ლეთო ტრანსანტარქტიკულ ექსპედიციას, რომელიც სამხრეთ პოლუსზე შეზღვედრით დაგვირგვინდა და სავსებით დამსახურებულად მთელი მსოფლიო პრესის ცხოველი გამოხმაურება გამოიწვია, იმ დროს ანტარქტიკისადმი ზოგიერთი ქვეყნის ძირითადად მილიტარისტული დამოკიდებულება, რომელიც სხვათაჲნ ერთად წინასწარ განსაზღვრავდა მუნდირით შემოსილ მეცნიერებას, გასამხედროებულ მეცნიერებას, მეტად არსებითად უშლიდა ხელს ქვეშაერთად კოლექტიურ გამოკვლევებს, ცალკეულ მეცნიერებსა და ქვეყნებს შორის ინფორმაციების ნამდვილ გაცვლას. და იგი ჩვეულებისამებრ, ინიღბებოდა დასავლეთის ზოგიერთი დიპლომატიისა და პოლიტიკური მოღვაწის ნათქვამით — „ანტარქტიკაში საბჭოთა ექსპანსიის შესახებ“.

## 6 მარტი

საზღვაო ექსპედიციის ის მონაწილეები, რომლებიც შინ ბრუნდებიან, „კოოპერაციაზე“ გადმოდინან. გემზე ამოაქვთ შეგროვილი კოლექციისა და სამეცნიერო აპარატურის ნაწილი. სამშობლოში ბრუნდება ექსპედიციის ზაფხულის მთელი ჯგუფი, კარტოგრაფები და გეოლოგები. მათ არაფერი საქმე არა აქვთ ოკეანეებში, რომელთა გამოკვლევას უნდა შეუდგეს ახლა „ობი“, და ქვეყნებში, რომლებსაც იგი უნდა ეწვიოს. ახალი მგზავრების ჩოჩქოლში მხოლოდ ზოგიერთი ხმა მეცნობა.

ხვალ ვემშვიდობებით ავსტრალიას. გამოსათხოვრად მოვიდნენ ჩვენი ძველი ნაცნობები. მოვიდნენ პოზენები, გამოჩნდა მიტჩელის სანდომიანი სახე, ჩვენს კაიუტაში ზის მისტერ ლამბერსი.

მე და ლამბერსი დიდხანს ვსაუბრობდით ლიტერატურაზე, ძირითადად ინგლისურსა და ამერიკულზე, რადგანაც ავსტრალიელებიდან მარტო ჰარდი და ლოუსონია ჩემთვის ნაცნობი. გვახარებს ყველა მწერალი, ყველა წიგნი, რომელთაც ორივენი ვიცნობთ. წიგნი თითქოს ადამიანებს შორის გადებულ: ხილია. გამოირკვა, რომ არც ისე ცოტა საერთო ნაცნობები გვყოლია, უფრო მეტიც, ჩვენი შეფასებანი ნაკლებად განსხვავდება ერთმანეთისაგან. საუბარს ვიწყებთ ორივესთვის საყვარელ დიკენსზე, რომელსაც თანაბრად აფა-

სებენ როგორც ახალგაზრდები, ისე მოხუცები, თუმცა რამდენადმე შედარებით შორეულად მიიჩნევენ პრობლემატურობას მოწყურებული შუაზნის ადამიანები. მერე ვუბრუნდებით თეკერის და ვჩერდებით „ამაოების ბაზარსა“ და „ჰენრი ესმონდზე“. ირლანდიელები, ისევე როგორც ინგლისელები, და ეტყობა, ჩვენც, უალრესად ტრადიციის ხალხი ვართ, და ამიტომაც კლასიკურ ლიტერატურაზე საუბრის დროს ხშირად საკუთარ აზრს, საკუთარ სიმპათიებსა და ანტიპათიებს კი არ გამოვხატავთ, არამედ მივმართავთ დროის მიერ ნაკურთხ და მკვლევართა კომენტარებით განმტკიცებულ ტრადიციულ აღიარებას. აკი, მართლაც, ზოგჯერ შეიძლება მოგეჩვენოს დიკენსი სენტიმენტალურ და მეტისმეტად მსუყვე მწერლად, ფილდინგის კოლორიტიანი და ძარღვიანი „ტომ ჯონსი“ ზრდილობისა და კარგი გემოვნების ზღვარს გადაცდენილ ნაწარმოებად. ბრძოლის პათოსითა და თავისუფლებისადმი სიყვარულით გამსჭვალული „ულენშპიგელი“ მძლავრი რეალიზმისა და მისტიკის ნარევედ, ხოლო მღვდლების, მონაზვნებისა და ხათრიანი ქალების გამკილავე „დეკამერონი“ მეტისმეტად ავბორცულ ნაწარმოებად, რაც იძულებულს ხდის წესიერ მშობლებს დაუშალონ იგი ბავშვებს. მაგრამ ყველა ეს ნაწარმოები თავისი ეპოქის შვილია და ამავე დროს, მთელი კაცობრიობის საკუთრება.

ახლო ხანისა და არც ისე შორეული წარსულის გამოჩენილ მწერლებს შორის არიან ისეთებიც, რომელთა შესახებ აქამდე სხვადასხვა აზრი არსებობს. ადელაიდის წიგნის მალაზიებში არ შემხვედრია დრაიზერის არც ერთი ახალი გამოცემა. ჩანს, დრაიზერის სიკვდილის შემდეგ მის სამშობლოდ საბჭოთა კავშირი იქცა. ჩვენში იგი ძალიან უყვართ და ბევრსაც კითხულობენ. მგონი, ლამბერსიც არ თვლის მას განსაკუთრებით დიდ მხატვრად. მაგრამ შეხედულება ჯეკ ლონდონისადმი, მის საზღვაო მოთხრობების და „მარტინ იდენისადმი“, განსაკუთრებით „მარტინ იდენისადმი“ ერთნაირი გვიქონია. აქვე მინდა შეგახსენოთ, რომ ომის შემდეგ ეს წიგნი არც ერთხელ არ გამოსულა ჩვენთან ესტონურ ენაზე. სამაგიეროდ; გამოიცა „რკინის ქუსლი“, რომელიც, მიუხედავად ჩვენს მკითხველებს შორის ჯეკ ლონდონის დიდი ხნის პოპულარობისა, აქამდე მალაზიის თაროებზე აწყვია. ლონდონის ნიჭი უზომოა და წინა-

აღმდევგობის შემცველი, მაგრამ საჭირო იყო თუ არა, გამოგვეცა თავისი ტენდენციით ჰართალია ჯანსაღი, მაგრამ ლონდონისათვის მხატვრულად სუსტი ეს ნაწარმოები?

გავიხსენეთ მოემის რომანი „წვერბასრი ნესტარი“, რომლის მისტიკა მართალია რეალიზმს ეხამება, მაგრამ მე მალიზიანებს. ამერიკის ფულიანი დიდკაცობის, ფრანგი ბურჟუაზიის, ინგლისის გახევებული არისტოკრატის კრიტიკულად და ხელშესახებად დახატვასთან ერთად, აქ სრულყოფილადაა წარმოდგენილი ინდოელი იოგების მოძღვრებაც, ხალხის გადასახლებაც, მთავარი გმირის მიერ ობიექტური სინამდვილის სრული უარყოფაც, რასაც აშკარად თანუგრძნობს ავტორი, ყოველგვარ სიკეთეზე უარისთქმის ფილოსოფიაც და ასკეტიზმის ქადაგებაც. როგორც ჩანს, ლამბერსი სრულიად ბუნებრივად მიიჩნევს ყოველივე ზემოთქმულის მოქცევას ერთი ნაწარმოების ჩარჩოში.

ჩვენ ერთნაირი აზრები გვქონია ჰემინგუეის მოთხრობის „მობუცი და ზღვის“ შესახებაც. ამ წიგნის მილიონობით სხვა მკითხველებთან ერთად ჩვენ იგი მიგვაჩნია ზღვის, სიცოცხლისა და ბრძოლის ჰიმნად. მართლაც, ბოლო დროის წიგნებს შორის ძნელია დაასახელო ისეთი ნაწარმოები, რომელიც ესოდენ ბრწყინვალედ გაცემდა პასუხს ნეკრასოვის მოთხოვნას, რისი შესრულებაც მხოლოდ გენიოსის ხვედრია:

შეყრად, პატიოსნად, ჯიუტად  
გახსოვდეს და წესად გქონდეს:  
სიტყვები ჩარაზე მჭიდროდ,  
აზრი — თავსუფლად გქონდეს.

მე ვუჩვენებ ლამბერსს ამ წიგნის ესტონურ გამოცემას და წინასწარი განზრახვით არაფერს ვამბობ მის ბოლოსიტყვაობაზე, რასაც „უცნაურობის“ გარდა სხვა ვერაფერს უწოდებ. სამწუხაროდ, ჩვენთან ხშირად ხდება ასე: გამოვიძებნით კარგ ნაწარმოებს და გადმოვთარგმნით, მერე ვკითხულობთ, ვიწყებთ მის შეყვარებას, შემდეგ მივადგებით ბოლოსიტყვაობას და ვცდილობთ იქაც. ვიპოვოთ იგივე სიყვარული და პატივისცემა ავტორისა და მისი ნიჭისადმი, მაგრამ ბოლოსიტყვაობა ჯიუტად და გაშმაგებით ებლაუჭება ავტორის ყველა შეცდომას, მის იდეოლოგიურ უმწიფრობას, აკრი-

ტიკებს მწერალს არა იმისათვის, რაც დახატული აქვს, არამედ იმისათვის, რაც არა აქვს დახატული, რაც არ დაუწერია. დაახლოებით ასეთი უკმაყოფილებით წაეიკითხე ანისიმოვის ბოლოსიტყვაობაც პუიშანოვას ძალიან კარგ ნაწარმოებებზე: „ადამიანები გზაჯვარედინზე“ და „ცეცხლთან თამაში“. აქამდე ვერ ამიხსნია, რა მოსაზრებას ეყრდნობიან ასეთი ბოლოსიტყვაობის ავტორები, რაში ხედავენ ისინი თავიანთი მუშაობის აზრს. ხომ არ ეშინიათ იმისა, რომ დასავლეთის მწერალთა ყველაზე საუკეთესო, ყველაზე ნიჭიერა და ღრმად ჰუმანური ნაწარმოებების მეშვეობითაც კი შეიძლება შემოიქრას ჩვენთან ბურჟუაზიული გავლენა?

საუბარი გადადის გრინის „წყნარ ამერიკელზე“, დასავლეთში შექმნილ ერთ-ერთ იმ რომანზე, რომელმაც ყველაზე მეტად ამაღელვებელი ბოლო წლებში, რომელიც შორსაა ჩემგან და ამავე დროს ახლოსაცაა. ეგზოტიკა, უცხო ქვეყნის სუნთქვა, თავისებური კომპოზიცია და უღმობელი რეალიზმი — აი, რა იგრძნობა ამ წიგნში. მშვენიერია ფუონგი, რომელსაც ისევე ძნელია ჩასწვდე, როგორც მცენარის სულს, ან ფრინველის ენას, და რომელიც უცხო ყვავილივით ჰყვავის გულახდილი და ტლანქი ცინიკოსის ფაულერის გვერდით. ახლა თვით თომას ფაულერი აიღეთ, პოო, ეს კი მართლაც სახეა: იგი ყოველ საღამოს ოპიუმის ჩიბუხს ეწევა, იცის მოურადებელი და ლაკონური შეფასებანი, მუდამ აფიქრებს შორეული ინგლისის ბედი, ძალიან უყვარს ფუონგი, კარგად ესმის ომის სისასტიკე და უაზრობა, დაჟინებით მიისწრაფვის იქითკენ, რომ იყოს ობიექტური! დაბოლოს, პაილი, „წყნარი ამერიკელი“, სიტყვით და წერილმანებში — ჯენტლმენი, მთავარსა და უმნიშვნელოვანესში — თავხედი. ეს წიგნი წყნარ საღამოებში საკითხავი წიგნია. იგი მარტო ლიტერატურულ პრობლემებს როდი აყენებს. ამის მსგავსი პრობლემები დგას ავსტრალიაშიც. ამერიკელებს აქ ვერ იტანენ და მათზე შინაგანი ზიზლით ლაპარაკობენ. როგორც პაილის ხასიათი, ყოფაქცევა და სიკვდილი განაპირობა მისმა აღზრდამ და გარემოებამ, ასევე აქაური ფარული ანტიამერიკული ოპოზიცია განაპირობა ამერიკელების ქედმაღლობამ, მათმა ურცხვმა ეკონომიურმა ზეგავლენამ, მათმა რწმენამ, რომ მთელი მსოფლიო, გარდა შეერთებული შტატებისა, სხვა არაფერია, თუ არა ბარის



დახლი, რომელზედაც ყველა იანკის შეუძლია შემოაწყოს თავისი საქელლანჩიანი ფეხსაცმელები.

ჩვენს საერთო ნაცნობთა წრეში აღმოჩნდნენ აგრეთვე ეპტონ ზინკლერი, სინკლერ ლუისი, არტურ მილერი, სტეინბეკი, კოლდუელი... მაგრამ ბევრ მწერალზე, რომელთა შესახებ ლამბერსი დიდი პატივისცემით ლაპარაკობდა, არაფერი ვიცო, მათი გვარებიც კი არასოდეს გამიგონია; განსაკუთრებით ეს ეხება დასავლეთის ფილოსოფოსებსა და ფსიქოლოგებს. იგი დაბეჭდვებით მიჩნევენ წავეიკითხო ლენგვიჩის წიგნი „გადაგვარების ემოციურ-სექსუალურ სფეროში განსაკუთრებული ბუნდოვანებისა და გაურკვევლობის შესახებ“. ეტყობა, მას ასეთი საკითხები აინტერესებს. თვითონ მან დაწერა წიგნი სიხლის სამართლის დამნაშავე ტუსაღა ცხოვრებაზე. საქმის ჩინებული ცოდნით, ფრიად დაწვრილებით მიყვება იგი წყურვილით გამოწვეულ სიკვდილზე, ყოველივე იმაზე, რაც გადააქვს ადამიანს, რასაც განიცდის, გრძნობს და ხედავს იგი ასეთი სიკვდილის წინ ჩრდილოეთ ავსტრალიის უდაბნოში. ლამბერსს შეუსწავლია ეს საკითხი და ამაზე წიგნის დაწერას აპირებს.

იგრძნობა, რომ დასავლეთის მკითხველებში ხელოვნურად იწვევენ ინტერესს ტანჯვის, სიკვდილის, განადგურების, სიძულვილის გრძნობისადმი, საღიზმის, სექსუალიზმისადმი, ხელოვნურად აღვიძებენ ცნობისმოყვარეობას არანორმალური, გადაგვარებული ადამიანებისადმი, წიგნის ბაზარი თავის კანონებს კარნახობს ავტორებს. შედარებით სუსტნი მას მაშინვე ემორჩილებიან მთელი არსებით. უფრო ძლიერნი კი, მართალია, ხშირად მიმართავენ ამ თემებს, მაგრამ ძალუძთ აქაც შეინარჩუნონ საკუთარი ადამიანობა და ნიჭი. ყველაზე უპრინციპონი და უნიჭონი წარმოადგენენ მიზეზს ახალგაზრდა თაობას შორის სულ უფრო გახშირებული მორალური წყურვილით სიკვდილისას, წყურვილით, რომელიც ათასჯერ უფრო საშიშია საზოგადოებისათვის, ვიდრე აფრიკისა და ავსტრალიის უდაბნოებში განცდილი წყურვილი. ლამბერსი, უდავოა, არ ეკუთვნის მწერალთა არც პირველ და არც უკანასკნელ ჯგუფს. იგი საკმაოდ ძლიერია და სპეტაკი.

წიგნებს, ისევე როგორც ადამიანებს, საკუთარი ხედრი აქვთ. მაგრამ წიგნების ხედრი და, მაშასადამე, მწერლების ცხოვრებაც

სრულებით არ არის სახარბიელო ავსტრალიაში. თუ საშუალო შე-  
ძლების ავსტრალიელის სახლში, თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც  
ნახავთ წიგნებს, იანნი ყოველგვარი შერჩევის გარეშე არის შეძე-  
ნილი. წიგნსა და მკითხველს შორის კავშირი ავსტრალიაში სუსტია.  
ტირაცი მცირეა, რაღაც რამდენიმე ასეული ეგზემპლარი, და ისიც  
მთელი წელი მაღაზიაში დევს. მარტო მწერლობით აქ თავის გატანა  
ძნელია. მწერალთა ძირითად საქმიანობას გაზეთში, ტელეხედვასა  
და რადიოში თანამშრომლობა წარმოადგენს. ბოლო სამი კვირის  
განმავლობაში ლამბერსმა, როგორც მწერალმა, ე. ი. მარტო  
წიგნების გაყიდვით, სულ შვიდი გირვანქა აიღო, — მცირეხელ-  
ფასიანი მუშის ერთი კვირის გამომუშაებაზე ორჯერ ნაკლები.  
კარგი ბელეტრისტული გამოცემები აქ არაჩვეულებრივად ძვირია,  
რის გამოც წიგნები ხელმისაწვდომ გასართობს წარმოადგენს შედ-  
ლებული ადამიანებისათვის. ხელმოკლეებს კი რჩებათ კომიქსები,  
გაზეთები, კინო და იპოდრომი.

ლამბერსი გვიან საღამოს გამოგვეთხოვა. ხანმოკლე დროის გან-  
მავლობაში ჩვენ კარგი ნაცნობები გავხდით და, დამშვიდობებისას  
გამოვთქვამთ რწმენას, რომ ოდესმე კვლავ შევხვდებით ერთ-  
მანეთს, მაგრამ აქ კი არა, საბჭოთა კავშირში.

ბინდბუნდში ტრაპით ნელ-ნელა ეშვება ნავმისადგომზე მოხუცი  
ბატონი და ხელკავით ტანსრული ჭაღარა ქალი ჩამოჰყავს. მათ მია-  
ცილებენ ტრეშნიკოვი, საზღვაო ექსპედიციის უფროსი კორტი და  
კაპიტანი იანცელევიჩი. შავ კოსტუმში გამოწყობილ ბატონს  
ზედმიწევნით ინგლისური, მოგარძო, ინტელიგენტური სახე აქვს და  
ცოტათი ბერნარდ შოუს გაგონებთ. იგი გამცილებლებთან ერთად  
ნელა უახლოვდება თავის შავ ლიმუზინს; ჭაღარა ქალი — მისი ცო-  
ლი — საქესთან ჯდება. ბატონი ემშვიდობება ყველას, წელში იხრება  
და მანქანაში ჯდება. მანქანა მეტად დაბალი ჩანს შვიდფუტრიანი  
სიმაღლის ტანადი და ახოვანი მოხუცისათვის.

ეს ავსტრალიის ეროვნული გმირი, ანტარქტიკის სახელგანთქმუ-  
ლი მკვლევარი დუგლას მოუსონია, რომელიც მოხუცებულობას  
ადელაიდაში ატარებს.

დღეს „ობმა“ და „კოოპერაციამ“ დატოვეს ადელაიდა. ნავსადგური სავსე იყო გამცილებლებით, ავსტრალია-საბჭოთა კავშირის შეგობრობის საზოგადოების წევრებით. სანამ საბუქსირე გემები მოსცილდებოდნენ ნავმისადგომს, გამცილებლები გემბანზე გვესროდნენ ფერად სერპანტინს. გემები თანდათანობით შორდებოდნენ ნავსადგურს, ჩვენ და გამცილებლებს ხელში გვეჭირა ქალაქის ლენტის ბოლოები, და ლენტის უფრო და უფრო გრძელდებოდა, ქმნიდა ხომალდა და ხმელეთს შორის კრელ და სუსტ ხიდს.

მაგრამ ის ხიდი, რომელმაც მეზღვაურები და ექსპედიციის მონაწილეები ამ დღეებში გონიერულად და საღად მოაზროვნე ავსტრალიელებს დააკავშირა, ეს უხილავი ხიდი არც ისეთი კრელი და დეკორატიულია, მაგრამ სამაგიეროდ, არც ისეთი სუსტი. ჩვენ სრულებით არ გვიფიქრია უპარტიო, ანდა ბურჟუაზიულ პარტიებში შემავალი ჩვენი ავსტრალიელი ნაცნობები გვექცია კომუნისტებად, მათ კი ჩვენ — „წმიდა კერძო ინიციატივის“ მომხრეებად, მაგრამ ჩვენ ბრწყინვალედ გვესმის ერთმანეთისა და მიგვაჩნია, რომ დედამიწაზე, ლურჯი ზღვის, თეთრი თოვლის, ყვითელი უდაბნოსა და მწვანე ტყის ფერთა ამ პლანეტაზე ადამიანებს შეუძლიათ და კიდევაც უნდა იცხოვრონ შეთანხმებულად.

ათი დღე ავსტრალიაში და ისიც მხოლოდ ერთ ქალაქში, მეტისმეტად უმნიშვნელოა იმისათვის, რომ ყველაფერი მოისმინო, ყველაფერი ნახო, გაიგო და იგრძნო. ადელაიდა ავსტრალიის მხოლოდ ერთ-ერთი კარიბჭეა, იგი ერთ-ერთი პაწაწინა წრეხაზია მის უზარმაზარ ყვითელ რუკაზე, ერთ-ერთი კვანძია, საიდანაც მიემართებიან სხვა ქალაქებისაკენ, გავარჯარებული მატერიკის სიღრმისაკენ გზის აღმნიშვნელი ხაზები. ჩვენ ავსტრალია მხოლოდ ამ კარიბჭედან დავიხახეთ. მაგრამ ადამიანები, რომელთაც აქ შეეხვდით, მაინც ხომ წარმომადგენლები იყვნენ ავსტრალიელებისა, მათი ქვეყნისა, მათი ყოფისა, მათი ზნე-ჩვეულებებისა, მათი აზროვნებისა. ისინი არიან გონიერი ადამიანები, რომელთა მარჯვე ხელებით შექმნილია და იქმნება ბევრი კარგი და შესანიშნავი რამ ჩვენთვის უცხო ამ მატერიკზე. ისევე როგორც ჩვენთან, აქ იბადება

და კვდება ხალხი, ისევე როგორც ჩვენთან, ამ ადამიანებმა იციან, სიცილიცა და ტირილიც და თუმცა ისინი ჩვენი ანტიპოდები არიან, მაინც სრულებით არ არიან ჩვენი ანტიპოდები. მათ დიდ უმრავლესობას ჩვენსავით შესანიშნავი თანამდებობა აქვთ: იყოს ადამიანი დედამიწაზე.

8 მარტი

დილით „ობი“ და „კოოპერაცია“ კვლავ ერთმანეთის გვერდით იდგნენ კენგურუს კუნძულთან, ემუს უბეში. „კოოპერაციას“ „ობისაგან“ დიზელის საწვავი უნდა აეღო. მიუხედავად იმისა, რომ ნაპირი ახლოს იყო და უბე ჩახურული, ზღვა ძლიერ დელავდა-ხან „ობის“ ქიმი აღიოდა მაღლა, ხან „კოოპერაციისა“. „კოოპერაციიდან“ „ობზე“ გადავდებული ტრაპი საქანელასავით ქანაობდა-ერთი გემბანიდან მეორეზე რომ გადასულიყავით, ხელსაყრელი მომენტი უნდა შეგერჩიათ. მიუხედავად იმისა, რომ ხომალდებს ქიმიზე კორპის ბურთ-ბალიშები ჰქონდა მიმაგრებული, ისინი დრო-დადრო კორპუსებით აწყდებოდნენ ერთმანეთს და ერთი ჯახაჯუხი და ღრქიალი იდგა. „ობის“ მაღალი ბოგურა ჩვენს ვერანდაზე მარჯვენა მხრიდან შემოიჭრა, სამი ფანჯარა ჩალეწა და ლითონის კედლები რამდენიმე ადგილას შეტყლიჟა. არც ისე ადვილია ღია ზღვაში საწვავის მომარაგება.

რამდენჯერმე ვიყავი „ობზე“. იგი მძლავრძრავიანი, კარგი ლაბორატორიების და პირველხარისხოვანი სანავიგაციო მოწყობილობის მქონე ძლიერი ხომალდია, მაგრამ მეცნიერი მუშაკების საყოფაცხოვრებო პირობები ამ ხომალდზე თითქოს უარესია, ვიდრე ჩვენს ძველ „კოოპერაციაზე“. ბევრ კაიუტაში ექვს-ექვსნი ცხოვრობენ.

„ობი“ ყინულმჭრელი გემია და ამიტომაც მეცნიერი მუშაკების დაბინავება მოუხდათ საცხოვრებლად გადაკეთებულ ტრიუმებში. ეს იგრძნობა კიდევაც.

ხომალდში საწვავის ჩასხმა მოთავდა. ვემშვიდობებით „ობის“ ხალხს. უკანასკნელად შევირბინე მურდმას კაიუტაში, მოვძებნე კინოოპერატორი ეზოვი. იგი კიჩოზე, ზედ ხრახნის თავზე, ცხოვ-

რობს. მოვინახულე გოლიშევი და ოლეგ ვოსკრესენსკი, რომელიც საზღვაო ექსპედიციის შემადგენლობაში ჩარიცხეს. მერე ხომალდები ნელ-ნელა დაიძრნენ, ჩვენ მოაჯირებს მივაწყდით და გავძახით ერთმანეთს უკანასკნელ ფრაზებს, მაგრამ ხომალდები ერთმანეთს შორდებიან და ახლა ვყვირივართ. „ობი“ აღმოსავლეთისაკენ იღებს გეზს, ჩვენ კი თითქმის პირდაპირ დასავლეთისაკენ — დიდი ავსტრალიის უბისაკენ.

ქარიანი ამინდია, გვერდულად გვცემს ტალღა, პორიზონტზე მსუბუქი ნისლია გართხმული. კენგურუს კუნძული თანდათანობით გვშორდება და საბოლოოდ თვალს ეფარება. „კოპერაცია“ შეუდგა შვიდი ათას ხუთასი მილის სიგრძის უხილავი ძაფის დახვევას. ამ მანძილითაა იგი დაშორებული უახლოეს ნავსადგურ სუეცს.

ხომალდი ოდნავ ირწყევა. შინაურული და ძილისმომგვრელია ხომალდის ეს რწყევა, კორპუსის მსუბუქი ვიბრაცია ხანგრძლივი და გამუდმებული მოძრაობის შეგრძნებას იწვევს. ჩამეძინა, ძილში სახლო ვნახე, სადაც ბავშვობა გავატარე, ვნახე მოზრდილი კარაპანი, სადაც ზუზუნებდა ოთხი ჯარა და კრუტუნებდა ლუმელზე შემომჯდარი კატა. ქალები მღეროდნენ:

თვალდაშრტილი, მთლად უსინათლო,  
იქ ჯოხით დაღის მათი ხელმწიფე...

კაიუტაში ვილაც შემოდის, ერთ-ორ სიტყვას ხმადაბლა ეუბნება კუნინს, და როგორც ეტყობა, მხედველობაში აქვს ინდოეთის ოკეანის ტროპიკული სარტყელი, როცა ლათინურად წარმოთქვამს:

— Hannibal ad portas!<sup>1</sup>

❖ მარტო

დიდი ავსტრალიის უბა

თუ გსურს იცოდე, რას ნიშნავს დრო და სივრცე, იცხოვრე ექსპედიციის მონაწილეებით სავსე და ავსტრალიური მარცვლეულთ დატვირთულ ხომალდზე, რომელზედაც მხოლოდ ერთი დიზელური მუშაობს და რომელიც საათში ხუთი კვანძის სიჩქარით მია-

<sup>1</sup> ჰანიბალი კარებთანაა! (ლათინური).

პობს ზვირთებს. მშობლიურ ნავსადგურამდე კი ათი ათასი მილია! ჩანს, ვინც პირველად თქვა ყველაფერი მოძრაობსო, ძალიან შორს იყო აბსოლუტური ჭეშმარიტებიდან. ხომალდი, დრო, ფიქრები ყველაფერი ადგილზე გაქვავდა. ერთი საათის ცურვის შემდეგ რუკაზე აღნიშნული უკან გამოსავლელი გზა მილიმეტრის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილით შემცირდა. როცა წიგნებში დგება დიდი ხნის ნანატრი, სიმწრით მოპოვებული ბედნიერება, რომელიც მარადიული გეჩვენება, ჩვეულებრივად, წერენ ხოლმე: „დრო გაიყინა“, „დრო შეჩერდა“, „დრომ სრბოლა შეწყვიტა“. მაგრამ დრო შეიძლება ერთ ადგილზე გაქვავდეს დიდი ავსტრალიის უბის ლეგა დრუბლებით მოქურუხებულ ოდნავ მოტლაშუნე მუქ ლურჯ წყალზედაც, და სხვა არა იყოს რა გარდა ნაღვლიანი, გულისგამაწვრილებელი სიმღერასავით გაჭიანურებული კითხვისა:

— როდისღა?

11 მარტი

იალქნიანი გემების დროს არსებობდა საზღვაო ტერმინი „მაიმუნის ტვირთი“. მაგრამ ვერასოდეს ვიფიქრებდი; რომ ნაოსნობა მომიხდებოდა „თუთიყუშის“ ტვირთთან ერთად, ამასთანავე ამ სიტყვის არა გადატანითი, არამედ პირდაპირი მნიშვნელობით. შევეცადე დამეთვალა რამდენი თუთიყუში იყიდეს ავსტრალიაში, მაგრამ როცა კი დავიწყე, ყოველთვის ამერია. თუთიყუში ყველა კაიუტაშია, ზოგან თითო-თითო, ზოგან ორ-ორი. ისინი ლამაზ გალიებში ქანაობენ და ჭახჭახებენ. ზოგიერთ კაიუტაში ორი გალიაც კი ჰყილია. ხომალდზე საუბარი მხოლოდ თუთიყუშების გარშემო ტრიალებს, ლაპარაკობენ თუთიყუშების სიყვარულზე, მეცნიერებაზე თუთიყუშების შესახებ, მათ სახეობებსა და ბუნებაზე, მათ ნიქსა და მეტყველებაზე. ექსპედიციის ზოგიერთი შედარებით ახალგაზრდა მონაწილე, უმეტესად ტრაქტორისტები და მშენებლები, დაუმსახურებლად მონათლეს თუთიყუშებად ავსტრალიაში შექმნილი ჭრელი პერანგების გამო. ყვითელი ფერის მათ პერანგებზე დახტიან კენგურუები, სძინავთ კოალებს და ხარობენ ეკალიპტები.

გუშინ კაიუტაში მეწვია ექსპედიციის ერთ-ერთი ხანდაზმული მონაწილე, მეცნიერებათა კანდიდატი, მეტად დარბაისელი და საქმიანი კაცი, რომელიც, სხვათა შორის, საოცრად ჰგავს თავის ნაყიდ თუთიყუშს, თუმცა სამეცნიერო მოღვაწეობას უაღრესად დამოუკიდებლად ეწევა და ამ საქმეში სრულიად არ თუთიყუშობს აქვს მრგვალი სახე და მრგვალი თვალები, ცხვირი თუთიყუშის ნისკარტს მიუგავს. მან სერიოზულად მისაყვედურა, რომ თუთიყუშები არ ვიყიდე და ვალიუტა რაღაც სისულელეებზე გავფლანგე. ამ მნიშვნელოვან საკითხზე ერთმანეთს აზრები გავუზიარეთ.

ი. ს. უნდა გეყიდათ. ესტონეთში მათ იშვიათად შეხვდებით.

მ. ე. სრულებითაც არა. თუთიყუშები ჩვენთან საკმარისზე მეტია.

ი. ს. კი მაგრამ, საიდან შემოჰყავთ?

მ. ე. ჩვენ თვითონ გამოგვყავს.

ი. ს. თუთიყუშები? ესტონეთში? კი მაგრამ, რა ჯიშისა?

მ. ე. იმ ჯიშისა, რომლებიც შავი კაბებითა და შავი კოსტუმებითა არიან მორთული.

ი. ს. ჰო, აი თურმე თქვენ ვისზე ლაპარაკობთ... ასეთები ჩვენცა გვყავს... მერედა, ბევრს ყბედობენ?

მ. ე. ბევრს. და რასაც კი იტყვიან, ყველაფერი სიმართლეა. სხედან თავისთვის და იწერენ და იწერენ ციტატებს, თან ტყავში ძვრებიან, რომ ციტატა ციტატაზე ლოგიკურად იყოს გადაბმული.

ი. ს. მაშასადამე, თქვენ აღიარებთ, რომ თუთიყუშები ძალიან ჰგვანან ადამიანებს?

ღიახ, ვაღიარებ და ძალიანაც ვნანობ, რომ თუთიყუში არ ვიყიდე. რამდენად კარგი იქნებოდა მჭდარიყო იგი ჩემი ოთახის კუთხეში და ყოველდღიურად ჩაეგონებინა ჩემთვის, რომ შეიძლება ფრინველის ტვინითაც აამო ადამიანებს და წარმატებასაც მიაღწიო.

ცხადია, „კოოპერაციაზე“ მობინადრე თუთიყუშები, უმეტეს შემთხვევაში, პატარები არიან, მათ ჭერ კიდევ არ იციან ლაპარაკი, მხოლოდ ელურტულებენ და ჭახჭახებენ, ოჯახური სცენები გა-

ლიებში არ იმართება. მამაკაცები მათ მართლაც რომ მამობრივი სიყვარულით უვლიან და საათობით დგანან მავთულის გალიების წინ. ერთი მხრივ, კარგია, რომ თუთიყუშები ჯერ პატარები და უგუნურები არიან. ამბობენ, რომ ერთ წინა საზღვაო ექსპედიციაში უპასუხისმგებლო ადამიანებს ერთი პროფესორის თუთიყუშისათვის ჩუმ-ჩუმად უდიერი გამოთქმები უსწავლებიათ და მოსკოვში პროფესორი იძულებული გამხდარა გაეყიდა იგი, ოღონდ მყიდველად უცოლშვილო, მარტოხელა კაცი უნდა გამოენახა. ჩვენს თუთიყუშებს შორის არის ერთი მოზრდილი თუთიყუში, რომელიც თავისი სიდიდის გამო შედარებით ძვირი ღირდა. კუდის ორი საუცხოო წითელი ფრთაც ნახევარი გირვანქა სტერლინგით მეტი დაჯდა. სამწუხაროდ, ეს ფრთები მიწებებული გამოდგა და დასცვივდა.

ახლა მხოლოდ თუთიყუშებზე შემიძლია წერა. გუშინდლიდან შესანიშნავი ამინდი დაიჭირა, თუთიყუშები თავიანთი გალიებიანად პერზე გამოიყვანეს, ორი გალია პირდაპირ ჩემს ილუმინატორთან ჰკიდია, რომელიც სასეირნო გემბანს გადაჰყურებს. ლამაზი, მოუსვენარი, სიმპათიური ფრინველებია, დილაობით ერთი სული მაქვს ყველას კისერი მოუეგრინო. ყველაზე კარგად მე ექვსიდან შეიღ საათამდე, სწორედ გამოღვიძების წინ მძინავს. მაგრამ ექვსზე ამოდის მზე და ღია ილუმინატორში მაშინვე იჭრება ფრინველების ხმამალალი და არც ისე მელოდიური ჟივილ-ხივილი. ძილი შეუძლებელია. ასე რომ, ჩემთვის ვალუტის დახარჯვის გარეშედაც ნათელი ხდება, რა საოცარი ფრინველია თუთიყუში და რატომაა, რომ ამ ჩიტების პატრონები გალიებს თავიანთ კაიუტებთან კი არ ჰკიდებენ, არამედ ჩემს კაიუტასთან. მაგრამ ასეთი უმართებულო დამოკიდებულება, ცხადია, მძინარე კაცის ბუზღუნითაა გამოწვეული. დღისით მე მათი პატრონებივით ვტყებები თუთიყუშების ცქერით და მათ მიმართ არავითარ კრიტიკულ შენიშვნას არ გამოვთქვამ.

ზომალდის ფრინველთა სამყაროს მეორე ორი წარმომადგენელი მესამე სათოფურთან, გემბანის ტრაპს ქვემოთ, ცხოვრობს. ესენი საიმპერატორო პინგვინები — რომეო და ჯულიეტა არიან. რომეო და ჯულიეტა ძალიან შეიყვარეს ავსტრალიაში. მათ მუდამ ეხვით ირიგვლივ ბავშვები. ფრინველები კი, რომლებიც უკვე მისჩვეოდნენ



ადამიანებს, დიდად არ იწუხებდნენ თავს. დიდი ყურადღება და მზრუნველობა სჭირდებოდათ პინგვინებს განსაკუთრებით ახლა, როცა უკვე ჩამოცხა და მივუახლოვდით ტროპიკებს. მართალია, მათ ჯერ კიდევ არ უგრძნობიათ ნამდვილი პაპანაქება, მაგრამ აქედანვე შეიძლება მიხვდეთ, როგორ გაუჭირდება ყინულთა ამ ორ ბინადარს ტროპიკულ განედებზე. პირველ მშობლიურ ნავსადგურამდე მათზე პასუხისმგებლობა კრიჩაკს აქვს დაკისრებული და ეს უამრავ მღელვარებასა და წვალებასთანაა დაკავშირებული. რომეოსა და ჯულიეტასათვის საგანგებოდ ააგეს პატარა აუზი, რომელშიც ფრინველები დღეში რამდენიმეჯერ ბანაობენ. წყურვილს ყინულით იკლავენ და არა წყლით. მათ გაყინულ თევზსა და ციმბირულ ხინკალს აჭმევენ. ასე გასიჩქეთ, მგონი, ხინკალი უფრო მოსწონთ. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ კარგა ხანია გამოვედით ანტარქტიკის პავის ზონიდან, ისინი ჯერ ისევ ბევრს ჰკამენ. აქედან ცხადია, რომ უცებ გროვდება თხიერი, ყვითელი სკორე, რომლის წმენდა არც ისე სასიამოვნოა. თუმცა ამ უმნიშვნელო უსიამოვნებამ ხელი ვერ შეუშალა პინგვინებს ყველა ჩვეულების ნებეიერი გამხდარიყვნენ. მათ ჰკამას ბევრი ცნობისმოყვარე ადევნებს თვალყურს, და თუ ფრინველები უმადოდ არიან, კრიჩაკთან ერთად სხვებიც წუხან. პინგვინებმა ცოტათი ზრდა შეანელეს, თორემ ისე მშვიდად, მეგობრულად არიან, სოლიდურად გამოიყურებიან და გემბანზე ერთი და იმავე მარშრუტით დასეირნობენ, რომლის სიგრძე ათი მეტრია: წინ უფრო მაღალი რომეო მიაბიჯებს, უკან — უფრო დაბალი ჯულიეტა მიჰყვება. როგორც ჩანს, ისინი გულგრილნი არ უნდა იყვნენ ერთმანეთის მიმართ (პინგვინებს თითქოს ძალიან მყარი ოჯახური ურთიერთობა უნდა ჰქონდეთ) და მთელი დღე ერთმანეთში რაღაცას ბლიყინებენ. მხოლოდ მოუქნელობისა, რაც შეუჩვეველთ გარემო პირობებთანაა გამოწვეული, და შექსპირის უცოდინარობის გამო ვერ მართავენ სცენას აივანთან, თუმცა ხომალდზე ამისათვის დიდი შესაძლებლობებია. ისინი ხალისით მონაწილეობენ დილის გამამხნეებელ ვარჯიშში, რომელსაც მესამე სათოფურზე ფურდუცკი ატარებს.

არა მგონია, ყინულის გარდა სხვა რაიმე ესიზმრებოდეთ.

სალამოს ჩვენი კორდინატებია სამხრეთ განედის 33°43' და აღმოსავლეთ გრძედის 113°35'. ავსტრალიის სამხრეთ-დასავლეთის გამონაშვური ცხრანახევარ მილზე დარჩა ჩვენგან აღმოსავლეთით და აწი აღენის უბემდე მიწას ვერსად დავინახავთ. ზეგანზე გართხმულა მწუხრის ყომრალი ბინდი, რომელსაც ჩაუმუქებია ღია ყვითელი ფერის ავსტრალიის კონტინენტი. ამ ადგილების დანახვას კი, რომელიც ჯერ კიდევ მთლიანად არ გახვეულა სქელ ნისლში, ხელს უშლის შუქურას თვალისმომკრელი ძლიერი სინათლე. ჩვენ ახალი კურსი გვაქვს — 354, ე.ი. თითქმის ნორდი. შემდეგ მკვეთრად გადავიხრებით დასავლეთით და ირიბად გადავკვეთავთ ეკვატორს.

ხომალდზე ისევ გამეფდა შტილის მშვიდი საზღვაო რიტმი. გამოუმუშავებელი რიტმის გარეშე ოკეანეში ცხოვრება წარმოუდგენელია. ეს რიტმი ოთხი ელემენტით განისაზღვრება: პრეფერანსით, კითხვით, დომინოთი და რაც მთავარია, მუშაობით. პრეფერანსისა და დომინოს თამაში, კითხვა და შვებულება — ძირითადად ტრაქტორისტებისა და მშენებლების, მოკლედ, ტექნიკოსების სპეციალობაა, რომელთაც არ ევალუბათ თავიანთი მუშაობის ანგარიში ჩააბარონ ექსპედიციის ხელმძღვანელობას. სამეცნიერო ჯგუფების ხელმძღვანელებმა კი მუშაობის შედეგებზე ანგარიშები უნდა წარადგინონ და ამიტომაც საათობით სხედან კაიუტაში, წერენ, ოფლს იწურავენ, თავპირს იმტვრევენ, თავბედს იწყევილიან და ისევ წერენ. ტრენიკოვმა განაცხადა, ვინც ვადაზე არ ჩააბარებს თავის ანგარიშს, შვებულებას ვერ მიიღებს და მთელი ზაფხული მოსკოვში ან ლენინგრადში ჯდომის საშიშროების წინაშე დგასო. ამან იმოქმედა. კინოდარბაზი მთლიანად დაკავებული აქვთ კარტოგრაფებს, რომლებიც დილიდან საღამომდე აწებებენ რუკებზე აეროფოტოსურათებს და თანდათანობით გამოჰყავთ ანტარქტიკის სანაპირო რაიონის ზუსტი, შემოწმებული სურათი. კრიჩაკი საათობით უზის საბეჭდ მანქანას. საბეჭდ მანქანაზე ბეჭდავს აგრეთვე ექსპედიციის სწავლული მდივანი გრიგოლ ბრეგმანი, დანარჩენები

ხელით წერას ამჯობინებენ. ტრეშნიკოვი, რომელიც ბევრს მოითხოვს სხვებისაგან, თავს არ იზოგავს, რა დროსაც არ უნდა ჩაუარო მის კაიუტას, ყოველთვის მაგიდაზე თავდახრილს ნახაე. იშვიათად გამოდის დომინოს სათამაშოდ თამბაქოს მოსაწევ სალონში.

ვლადიმერ მიხეილის ძე დილაადრიან სადღაც იკარგება, დღის უმეტეს ნაწილს ატარებს სადურგლოში, რომელიც ხომალდის ცხვირზეა მოთავსებული, მერე ხატავს, მერე გემბანის რომელიმე მყუდრო კუთხეში რაიმეს კითხულობს. და თუკი დრო მორჩება, ორ მეგობარს ინგლისურ ენაში აშეცადინებს.

„მოსვენება არა მაქვს, მოსვენება არა მაქვს, მოსვენება არა მაქვს...“

ჰოო, კუნინისნაირი კაცისათვის მოსვენება სიკვდილია. არწივივით მოკაუჭებულ მის ცხვირს მაშინვე ეცემა რაიმე სამუშაოს სუნი და მერე იგი მთელი დღე იკარგება გემის რომელიმე სათავსოში, ანდა სახელოსნოთა ლაბირინთებში. მიუხედავად ამისა, მას და კრიჩაკს სადილობისას უყვართ ერთმანეთთან ლაპარაკი იმის თაობაზე, რომ მუშაობა რაღაც არ ეხალისებათ და ეტყობა, ორივეს თანდაყოლილი სიზარმაევე სჭირთ. მე დაუფარავი შურით ვუგდებ ყურს მათ საუბარს და გულში ვფიქრობ: „ნეტავ მეც ასეთი „თანდაყოლილი სიზარმაევე“ მქირდეს-მეთქი...“ მიუხედავად კაიუტის სიციწროვისა, შტილის დროს რატომღაც ფიქრები ჩემგან შორს მიილტვის, ოკეანე ფანტავს და მთლიანად შთანთქავს მათ. დროდადრო ვხედავ, თაღლითა თევზივით როგორ უჩინარდება მისი მშვიდი, სარკესავით გლუვი ზედაპირის ქვემოთ მოსწრებული ფრაზა, ძარღვიანი სიტყვა ან კიდევ მოუშთავერებელი სტროფი. ვგრძნობ, როგორ ფანტავს ოკეანე ყოველივეს რაც ჩემშია და სანაცვლოდ არაფერს მამლევს, გარდა ვერცხლისფერი წრეხაზისა საღამოობით და მოლაპლაპე სარკისა დღისით. ის, რასაც ჩვენ „მასალათა გამძლეობას“ ვუწოდებთ, ჩემს წინაშე ფილაქვის კედლადაა აღმართული. ყველაფერი, რაც ადრე დამიწერია, უინტერესო და ულიმდამო მეჩვენება, მხოლოდ ჩანაფიქრი მგონია კარგი, მაგრამ ამ კარგს რომ მიაღწიო, ერთი ნაბიჯი მაინც უნდა გადადგა „მასალათა გამძლეობის“ ამ ფილაქვის კედელში.

არ ვიცი, სამართლიანია ეს თუ არა, მაგრამ ზოგჯერ მგონია, რომ

უმცროსი თაობის ბევრ ესტონელ მწერალს ვერ გადაუდგამს ეს აუცილებელი ნაბიჯი, ამ ნაბიჯის გარეშე კი შეუძლებელია აღმოცენდეს ახალი თვისება, და საერთოდ, სიახლე. ეს საკუთარი აღზრდისა და საკუთარი სამუშაოსადმი მცდარი დამოკიდებულების შედეგია. ჩვენ შევეჩვიეთ მოვითხოვოთ როგორც მკითხველისაგან, ისე კრიტიკოსებისაგან პატივისცემა და მოწიწება მწერლის შრომისადმი, მისი ნიჭისადმი, მისი წარმატებებისა და წარუმატებლობისადმი, მაგრამ ხშირად ჩვენ თვითონ არ ძალგვიძს გარეშე კაცის კრიტიკული თვალთ შევხედოთ ჩვენს ნაწარმოებებს, შევხედოთ იმ თვალთ, რომელიც გვაქვს ხოლმე დადლილობისა და ძალ-ღონის გამოლევის დროს, იმ დროს, როცა შედარებით მკაცრად და პატიოსნად ვასწორებთ ჩვენს ნამუშევარს. ჩვენ მოთხოვნების წამოყენება სხვების მიმართ ვიცით ხოლმე და არა საკუთარი თავის მიმართ. ალბათ, ეს არის ერთ-ერთი მიზეზი ბევრი ახალგაზრდა მწერლის უადრესად მცირე ნაყოფიერებისა. ჩვენ ვწერთ: „მშენებელი აშენებს,“ „მებათქაშე აბათქაშებს“, „მეთევზე თევზაობს“ და ა. შ. და ა. შ., და ვწერთ ამაზე, როგორც ჩვეულებრივ რამეზე, ვწერთ ყოველგვარი ეშმაკობის გარეშე, რადგან რა შეიძლება იყოს უფრო ჩვეულებრივი, ვიდრე მუშის მუშაობა, მაგრამ იმაზე, რომ მწერალი წერს, რომ მწერალი ამთავრებს ახალ ნაწარმოებს, ჩვენ ჯერ კიდევ ვერ მივეჩვიეთ ვილაპარაკოთ ისე, როგორც სრულიად ჩვეულებრივ და ყოველდღიურ რამეზე. არა, ჩვენ გვინდა ეს ყოველთვის იყოს მოსილი რაღაც სხივმფინარე შარავანდელით, რომლითაც ხშირად ვცდილობთ დავმალოთ ხანგრძლივი შემოქმედებითი უნაყოფობა, რაც უმეტეს შემთხვევაში, მხოლოდ სიზარმაცისა და უდარდლობის შედეგია, თუქცა არ გვინდა ამაში გამოვტყდეთ. ამას დავეუმატებდი აგრეთვე „ცხოვრების შიშს“, ამ იშვიათ ოსტატს, რომელსაც შეუძლია ყოველთვის მოიგონოს ათასგვარი მიზეზი და საბაბი, გამოძებნოს დამნაშავე და შირმით შენიღბოს ქონმოკიდებული უდარდლობა, — ეს ფაშფაშა ქალი ერთი წლის ბავშვით, ე. ი. მიზეზიანობით, და საწოლზე დახრილი სიდღერით, ე. ი. განაწყენებით. შირმიდან დროდადრო იმზირება მისი უდიდებულესობის პრეტენზიის მოგარძო, დაძარღვული სახე. ხუთ წელიწადში — ლექსების კრებულო, ერთ წელიწადში — ნახევართაბახიანი

საბავშვო წიგნი ან ნოველა, და თუ ლაპარაკია კრიტიკაზე, მხოლოდ წყვილი რეცენზია, თუკი მას საერთოდ არ წერენ მხოლოდ დაბადების დღესთან დაკავშირებით. ჩვენ კმაყოფილები ვართ, ვითვლით ყოველივე ამას და ვამბობთ, რომ ლიტერატურა წინ მიდის. მაგონდება, ომის დროს ერთი მსახიობი იაროსლავლში ესტონეთის მხატვრულ ანსამბლს უკითხავდა რეფერატს კომუნიზმის მშენებლობის შესახებ, და განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნავდა, ახალ ეპოქაში მუშა მხოლოდ ორ საათს იმუშავებს დღეშიო. რეჟისორმა კაარელ ირდმა ადგილიდან დაუძახა:

— მსახიობს წელიწადში მხოლოდ ერთი როლი ექნება, ახალგაზრდებსა და ნაკლებნიჭიერებს კი საერთოდ არაფერს მისცემენ ამბობენ, ორატორი ძალიან დაამწუხრაო ასეთმა პერსპექტივამ.

მაგრამ ვფიქრობ, რომ ჩვენ ხშირად ვქმნით ჩვენთვის ხელოვნურ სამყაროს, ორსაათიანი სამუშაო დღის ხელოვნურ ეპოქას და თუ გვისაყვედურებენ ცოტას წერთ, ამასთანავე ხშირად ცუდადო, გაყვირით უსამართლოდ გვექცევიანო.

ნუ გეწყინებათ, ტოლებო და კოლეგებო! ჩემს მიერ წარმოთქმული ამ იერემიადის საყვედური, უპირველეს ყოვლისა, ჩემდამია მომართული, თუმცა: სურვილისა და საჭიროების შემთხვევაში, რაც გადამრჩება, შეგიძლიათ, რა თქმა უნდა, თქვენც მიიღოთ. სევდას მგვრის და მამბრაზებს ყრულ მოტლაშუნე ტალღები, შუქურას მოციმციმე შუქი, რომელიც სულ უფრო მკრთალად ანათებს კიჩოს მიღმა გადაშლილ ოკეანეს, აგრეთვე სევდას მგვრის უღონობისა და ვალის გადაუხდელობის ენით გამოუთქმელი და განუწყვეტლად გამაწამებელი გრძნობაც.

14 მარტა.

ბობოქრობს შვიდი-რვაბალიანი ტალღები, გრიალებს ქარი. არჩვენების დღესთან დაკავშირებით, 16 მარტისათვის ვამზადებთ კედლის გაზეთს, უფრო სწორად, გაზეთს კუნინი ამზადებს. ტექსტი უკვე ჩავაქარით, დასაწერი დაგვრჩა საერთო სათაური და წერილების სათაურები. დასახატია აგრეთვე კარიკატურები. შარეები ძალიან კარგი გამოდის, განსაკუთრებით, ექსპედიციის მონაწილეებზე.

ვინაიდან მუსიკალური სალონი მთლიანად დათმობილი აქვთ მეცნიერებსა და იმათ, ვინც ანგარიშებს ადგენენ, ჩვენ ეკიპაჟის წითელ კუთხეში მოვიკალათეთ. უკვე სამჯერ შეეცადა იქიდან ჩვენს გამოყრას ბრაზიანი დამლაგებელი. ეს არის მშვენიერი ქალიშვილი, ჯანიანი, ამავე დროს მოხდენილი ტან-ფეხის არხანგელსკელი მზეთუნახავი. მას ლურჯი, გამჭვრიახი თვალები აქვს, რომლებიც ახლა გააფრებული შემოგვცქერის. პირმრგვალია, აპრეხილ ცხვირზე ჭოროვლი აყრია. იგი რეცხავს ეკიპაჟის კაიუტ-კომპანიის იატაკს (რომელიც სასადილოცაა და წითელი კუთხეც) და რამდენიმე საათია სულმოუთქმელად და ყოველგვარი მორიდების გარეშე გვლანძღავს. გვლანძღავს ხმადაბლა და გასაგებად. ჩვენ ყველანი — მე, როგორც რედაქტორი, კუნინი და ფურდეცი, როგორც თანამშრომლები, ვიგებთ ჩვენს ნამდვილ ფასს. ჩვენ ვართ უსაქმურები, თხაპნიები, უხეირო მხატვრები (სიტყვა „მხატვრებს“ იგი მეტად დამამცირებელი ეილოთი წარმოთქვამს), ბებერი ბრიყვები, მენაგვეები; ხულოგნები, უტიფრები და ა. შ. და ა. შ. რადგანაც ჩემი საქმე უკვე მოთავებულნი მაქვს, ხმას არ ვიღებ, ფურდეცი ხანდახან იტყვის ერთ-ორ სიტყვას, მაგრამ ეს ცეცხლზე ნავთის დასხმაა. კუნინი კი, ჩვენი თავზიანი, ზრდილი და უთქმელი კუნინი, კარიკატურებს აფერადებს და თან ცხვირში ბურტყუნებს:

— ო, დმერთო, ნუთუ ცოტა იყო ქვეყნად სხვა საძაგლობა, რომ ქალიც არ გაგეჩინა!

ეს მგონი, გოგოლის სიტყვებია. არხანგელსკელი მზეთუნახავი კი არაფერს არ აქცევს ყურადღებას და განაგრძობს ჩვენს ლანძღვას, მე სიამოვნებით შევყურებ მას ჩემი ადგილიდან: რა მშვენიერი ქალიშვილია! გაწითლებული ხელებით რა მარჯვედ უსვამს სველ ჩვარს ლინოლეუმს, თვალები კი, რომლებიც შუბლზე ჩამოშლილი კულულებიდან შემოგვეყურებს ჩვენ, „თხაპნიებს“, და მზადაა დაგებუგოს, ვარსკვლავებივით უბრწყინავს და უციმციმებს. ხანდახან იგი ფეხს ჰკრავს სკამს, თითქოს ეს ნივთიც იმ „მენაგვეთა“ ჯგუფს ეკუთვნოდეს, რომელიც კედლის გაზეთს ამზადებს, და მამაკაცურად ილანძღება და უხერხულობაში გვაგდებს. ვინაიდან კაიუტ-კომპანია კიჩოს თავზე იმყოფება, ჩვენი მაგიდა ზევით-ქვევით ხტის, ილუმინატორებს გამუდმებით ესხმება წყალი. სახატავი

ქალაღი ხშირად საღებავით იღღბნება და ფუნჯი ზედ გაუთვალისწინებელ ზოლებს ტოვებს. არხანგელსკელი ქალიშვილი ყურადღებას არ აქცევს არც ხომალდის რყევას, არც ქარს, არც იმას, რომ თხუთმეტი წუთია მას არავინ არ ეურჩება, და აქიაქებს და აქიაქებს ჩვენს ოთხმეტრიან (!) კედლის გაზეთსა და ჩვენს მუშაობას, რამაც უნდა აღზარდოს ადამიანები და ნაწილობრივ თვითონ ისიც. გსიამოვნებს, როცა უსმენ ტოროლასებურ მის ტიატიას, უყურებ მის განრისხებულ თვლებს და გაგონდება, რა ანგელოზივითაა იგი ცეკვის საღამოებზე მუსიკალურ საღონში.

უცებ ქალიშვილი, რომელიც ჩვრით წმენდს სკამის ფეხს, ჩუმდება, მისი გაათრებული მოძრაობა ნაზი ხდება, იგი თვლებზე ჩამოშლილ კულულებს თავსაფარში მალავს და საოცარი ხვეწროვანი ხმით იწყებს სიმღერას, რომელიც ალბათ ჩვენ არ გვეკუთვნის. იგი გულშიჩამწვდომი ხმით მღერის:

არ ვარ შავვრემანი,  
პოეტი არ ვარ...

და კიდევ რაღაც ამღაგვარს სიყვარულსა და ფიცზე.

კარებში გამოჩნდა ექსპედიციის ერთ-ერთი მონაწილე, პოეტური გარეგნობის. გრუზათმიანი, შავვრემანი ახალგაზრდა. ქალიშვილი ამჩნევს მას, დაბნეულად დგება, კიტელს ისწორებს, იღიმება. თავაზიანად მოაქვს ჩვენთვის დიდი ხნის ნავედრები საფერფლე და გვთხოვს, ნამწვი იატაკზე არ დავავდოთ. ახალგაზრდები საუბრობენ კართან. რამდენადაც მესმის მათი საუბარი, არხანგელსკელი ქალიშვილის ლექსიკონი საკმაოდ გაუფერულდა, მოაკლდა გამომსახველობა, სივარკაცე, ხატოვანება — ახლა მისი სიტყვები საგულდაგულოდ შერჩეული და ლიტერატურულია. შავვრემანი მაღალი ქაბუკი კი, რომელმაც დროებით ამოგვშალა „მენაგვეთა“ სიიდან, ხან მუღარით, ხან ალურსით, ხან კიდევ ოღნავი საყვედურიღ იმეორებს ერთსა და იმავეს:

— დუნია, დუნეჩკა!

დუნეჩკას კიტელქვეშ უკვე შეესხა ოღნავ შესამჩნევი თეთრი ფრთები. თვლები ნაზად აუციმციმდა, ხმა მელოდოური: და ნარნარი გაუხდა. ეს ხომ ისევ ის მარადიული და ყოველდღიური: აშბა-

ვია პეპელასი, რომელიც აბრეშუმის პარკიდან გამოფრინდა და  
ტრელი ფრთები გაშალა. ახლახან ჩვენ ვხედავდით პატარა ნიანგს,  
და უცებ...

შენ მე —

ო, მჯერა სასწაულის! — ცად აღმიტაცებ,  
ალურსიანი და მსუბუქი მაგ შენი ფრთებით  
ვდემის ლურჯი ბადისაქენ წამიღებ მაღლა —  
ქოი, რა უღვთო სიმაღლიდან  
მომიწვევს ვარდნა.

ისინი დიდხანს ჩურჩულებდნენ, ოდნავ გაისმის ღუნისა და  
ტოლიას სახელები მოქანავე კაიუტ-კომპანიაში. კუნინი და ფურ-  
დეცი სათაურებს წერენ, მე კი მოუთმენლად ველი იმ მომენტს,  
როცა ქალიშვილი ძუ ვეფხვივით დაგვიწყებს ყურებას და გვეტყვის,  
რა მძიმე ტვირთად ვაწევართ მას ლამაზ კისერზე. მაგრამ ეს მომენ-  
ტი არ დგება. ტოლია მიდის, ღუნია კი ისეთივე კეთილი რჩება,  
როგორიც იყო. იგი უკვე კრიჭაში აღარ გვიდგას და აქებს კიდეც  
კუნინის კარიკატურას. ვლადიმერ მიხეილის ძის თხოვნით აკვარე-  
ლის საღებავებისთვის სამხარეულოდან მოაქვს წყალი, რისთვისაც  
ხომალდის შუა ნაწილამდე მიხდებოდა სიარული, — ღუნია წვეთს  
არ ვვაძლევდა.

გარეთ ექვს-შვიდბალიანი ქარია. მაგრამ ღუნისთვის ოკეანე  
მზიანი და სარკესავით კრიალაა.

საკვირველია!

16 მარტი

უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეა. „კოოპერაცია“ მურმანსკის  
ნავსადგურსაა მიწერილი და ჩვენ ხმას ვაძლევთ იმ კანდიდატებს,  
რომლებსაც იქაური საარჩევნო უბნები აძლევენ ხმას. კანდიდატთა  
ბიოგრაფიები გადმოგვცეს რადიოთი.

ღლის შვიდ საათამდე ყველამ მისცა ხმა და ხომალდზე უჩვეუ-  
ლო საზეიმო განწყობილება გამეფდა. წინაერდო ხალხითაა გაჭედ-  
ლი — ზოგი მზეზე შავდება, ზოგი წყალს გაჰყურებს, ზოგი რაღა-  
ცას თამაშობს. საღამოს მუსიკალურ სალონში ცეკვებია. ექსპედი-  
ციის შედარებით ახალგაზრდა მონაწილეებისა და ქალთა პერსონა-



ღლის თხოვნით ცეკვები კვირაში ორჯერ იმართება უკანა გემბანზე. მოცეკვავეები ცოტანი არიან, მაყურებლები — ბევრნი.

ღლისით მფრინავებთან ვიჭექი. იქ იყვნენ ფურღეცკი, ძველი პოლარული მფრინავი კამინსკი, ბორტმექანიკოსები და რადისტები. კამინსკი ორმოცდაათს გადაბიჯებული ფართოყვრიმალუბიანი, ლურჯთვალეზიანი მაშაკაცია, თმა გადაკრეჭილი აქვს. წლებს სახე ნაოჭებით ისე დაუღარავს, როგორც საკრისი დასერავს ხოლმე მუხის ტანს. გამოხედვა ახალგაზრდული და მშვიდი აქვს. კითხვის დროს სათვალეებს ხმარობს. კითხულობს საოცრად ბევრს, კითხულობს მთელი დღეობით. დაკვირვებით, აუჩქარებლად, დროდადრო თავიდან უბრუნდება წაკითხულ გვერდებს. უყვარს კამათი ლიტერატურაზე, წიგნებზე.

ახლა ხელიდან ხელში გადადის გალინა ნიკოლაევას „ბრძოლა გზაზე“. ამ წიგნზე კამათობენ კაიუტებში, გემბანებზე. კამინსკი ამ ნაწარმოებთან დაკავშირებით ამზადებს კონფერენციას, რომელიც ალბათ შეწამულ ზღვაში გაიმართება. არ ვიცი, რა გამოვა აქედან. აქ თითქმის ყველანი ტექნიკოსებია, რომელნიც მეტნაკლებად დაკავშირებული არიან რთული მანქანებისა და ხელსაწყოების შექმნასთან, მათი პრაქტიკული გამოყენების საკითხებთან. ამტყდარ დავაში მთავარ ადგილს ყოველთვის იკავებს ტექნიკური პრობლემები, საწარმოო პროცესების ზუსტი აღწერილობის საკითხი. ხოლო ადამიანური პრობლემები, ადამიანთა მისწრაფებანი, მათი სუსტი მხარეები, მათი ღირსებები ყოველთვის სადღაც უკანა პლანზე ინაცვლებს. მაგრამ როცა ამ საკითხებსაც მიაღდგებიან, ცხადი ხდება, რომ ექსპედიციის თითქმის ყველა მონაწილე, ახალგაზრდებიც და ხანდაზმულნიც, ძალიან დიდ მოთხოვნებს უყენებენ ლიტერატურულ გმირს და არაფერს აპატიებენ მას. მათ სურთ გმირი იყოს პატიოსანი, გამრჩე, არ ეშინოდეს რისკისა. ზღვაში ყოფნისას უფრო მეტს მოითხოვენ კაცისაგან, ვიდრე ხმელეთზე, ექსპედიციაში კი გაცილებით მეტს, ვიდრე ზღვაში. ეს მომთხოვნელობა აუცილებლად გადააქვთ ლიტერატურაზე, თანაც განსაკუთრებულ სიძლიერესა და სიწმინდეს მოითხოვენ გმირი ქალებისაგან. ზოგჯერ მათ მეტსახელად „პებელას“ ეძახიან, ხან, კი უფრო უარესსაც.

- მე მოვიხსენიე გმირი, რომელსაც რისკის არ ეშინია. ეს ჩვენი

საერთო საყვარელი გმირია. მას დიდი შემწყნარებლობით ეკიდებოდა და არც ისე უკიკიტებენ მიზნებს, რომლებსაც წინ მიჰყავს იგი მისი მოქმედების გულისწადილისაკენ. ცხადია, აქ განსაკუთრებულ კლასს შეადგენენ პოლარული მკვლევარები: ნანსენი, სკოტი, სედოველები, ოთხი პაპანიწელი, ჩკალოვი, გრომოვი, ბერდი, მოუსონი. ესენი არიან სახელგანთქმული კოლეგები, რომლებმაც იმოგზაურეს ყინულებში და იფრინეს მათ ზემოთ. მაგრამ დასაფასებლები არიან სამხრეთის ყინულოვანი ოკეანის სელაპმპკერებიც. რომელთა უნრაველობამ აღიარებულ მოგზაურებზე ადრე მიაღწია უკიდურეს საზღვრებს, მაგრამ სიცრუეს წერდა გემის ჟურნალებში, რათა ამით დაემალა სელაპების ჭერის ადგილი. დასაფასებელია აგრეთვე პორტუგალიელი კაპიტნები, რომლებიც, წიწაკის შოვნის სურვილით შეპყრობილები, ახალ კუნძულებს პოულობდნენ და ავსებდნენ მსოფლიო რუკას, თუმცა არც იმაზე დაიხვედნენ უკან, რომ ერთი ტომარა წიწაკის გამო ყელი გამოელადრათ თავიანთი კონკურენტისათვის. ასეთ ადამიანებს შეეძლოთ უბრალო რამისთვის ქანდარაზე ჩამოეხრჩოთ მეზღვაური. ისინი საშინელი დესპოტები იყვნენ, მაგრამ ისტორია ივიწყებს ჩამოხრჩობილ მეზღვაურებს და აღმოჩენისათვის დაფნის გვირგვინით ამკობს წიწაკაზე მონადირეს. ეტყობა, რისკიანი ადამიანების ასე განდიდებას პოლარელებს, მფრინავებსა და მეზღვაურებს აიძულებს თავიანთი პროფესია და თავიანთი ხასიათის მსგავსება წარსულის მამაც ადამიანთა ხასიათთან.

ესაუბრობთ ხომალდის ბიბლიოთეკის წიგნებს შორის ყველაზე პოპულარულ წიგნზე, რომელსაც წაკითხვის შემდეგ უსიტყვოდ გადადებ გვერდზე და რომელმაც სულის სიღრმემდე შეგვძრა თავისი მკაცრი დოკუმენტობითა და თავზეხელაღებული, უაზრო რისკის სულისკვეთებით. ეს არის იაპონიის წყალქვეშა ნავის მეთაურის წიგნი— „ჩაძირულნი. იაპონიის წყალქვეშა ფლოტი 1941—1945 წწ. ომში“. მისი ავტორი იაპონიის წყალქვეშა გემის იმ მეთაურთა მცირერიცხოვან ჯგუფში შედის, რომლებიც ამერიკელებთან ომში ცოცხლები გადარჩნენ. ამერიკელებმა ფაქტიურად ჩაძირეს იაპონიის მთელი წყალქვეშა ფლოტი. ეს წიგნი სხვა არაფერია, თუ არა ჩაძირულ ხომალდთა ქრონოლოგიური ნუსხა, სიკვდილისადმი უაზრო გამოდევნების ისტორია, საბრალდებო აქტი იაპონიის საადმი-

რალოს წინააღმდეგ. ომის დასაწყისში იაპონიის წყალქვეშა ფლოტი უკვე მოძველებული, ჩამორჩენილი იყო და ომის დროს მისთვის შეუძლებელი ოპერაციების შესრულებას ავალებდნენ. მისი საშუალებით ცდილობდნენ მოემარაგებინათ წყნარი ოკეანის კუნძულებზე ამერიკის საზღვაო და საჰაერო შეიარაღებული ძალების ზიერ ბლოკადაში მოქცეული იაპონიის გარნიზონები. ბრინჯით საჯსე ტომრებს სატორპედო აპარატების მეშვეობით აგზავნიდნენ ნაპირზე. აგებდნენ წყალქვეშა ავიამზიდებს პანამის არხის დასაბომბავად, მაგრამ ისინი აღჭურვილი არ იყვნენ რადარის დანადგარებით, რომლებსაც უკვე ფლობდა იაპონია. იაპონიის წყალქვეშა ნავეებმა ორჯერ შემოუარეს კეთილი იმედის კონცხს, გადასერეს ატლანტის ოკეანის „ღრიალა მეორმოცე“ განედი, მიაღწიეს ევროპის წყლებს და საფრანგეთის ნაპირებთან გერმანელთა ბაზაში შეხვდნენ გერმანელთა სუბმარინებს. ეს იყო გაბედული მეთაურებისა და მეზღვაურების გაბედული ნაბიჯი. ამ წიგნში ყველაზე შემადრწუნებელია თავი ტორპედო-ადამიანების შესახებ, რომლებიც გამოჩნდნენ იაპონიის განადგურების წინა ხანებში. სპეციალურა სატორპედო აპარატიდან გაშვებული არც ერთი კაცი არ დაბრუნებულა უკან. ჩვენ არაფერი ვიცით იმ განწირულთა განცდების შესახებ. ამ ნაბიჯის გადადგმა შეეძლო მხოლოდ იაპონიას, მხოლოდ იაპონელებს. ამ საქციელის იქით უნდა იმალებოდეს ჩვენთვის რალაც გაუგებარი დამოკიდებულება სიცოცხლისადმი და რწმენა თავისმკვლელი კაცისა, რომელსაც შეგნებული აქვს თავისი მომავალი აღსასრული და სხვანაირ ბოლოს არც ელის. ტორპედო-ადამიანები იზრდებოდნენ განსაკუთრებულ სკოლებში, რომელთა დამთავრების შემდეგ იცვამდნენ საგანგებო ფორმას და ცხოვრობდნენ როგორც ხვალისდელი მიცვალებულები. მერე ისინი ჩადიოდნენ წყალქვეშა ნავეებში, შესაფერის მომენტში სხდებოდნენ ტორპედოებში და უკანასკნელი, რის თქმასაც ასწრებდნენ რადიოტელეფონით იყო: „გაუმარჯოს იმპერატორს!“

მთელი წიგნი გამსჭვალულია ავტორის ფატალური სიმშვიდით, იგი გულგრილად ჩამოგვითვლის დალუპული ამხანაგების სახელებს და იმ ნავეების ნომრებს, რომლებიც არ დაბრუნებულან ბაზაში. წერის მანერის მხრივ ეს ყველაზე გულგრილი და ყველაზე მტანჯ-

ველი წიგნია. მაგრამ ჩვენ ვაღიარებთ მას: ეს მაგრამ რატომ? უგონო რისკი, მუდმივი სწრაფვა გარდუვალო აღსასრული-საქენ — სწორედ ამაშია ამ წიგნის მომხიბლაობა, რაც გველის მზერასავით მომნუსხველია.

თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში კამინსკიმ ასეულ ათასობით კილომეტრი იფრინა ყინულების თავზე, ნახა და განიცადა ყოველივე ის, რაც შეიძლება ნახო და განიცადო ასეთი ფრენის დროს. მე ვიცი, რომ იგი წერს დღიურს, რომელიც ძალიან ვრცელია და ალბათ ძალიან მდიდარია ფაქტებით. მაინტერესებს, იცის თუ არა მან, რომ იგი არის ერთ-ერთი ყველაზე პატიოსანი, ყველაზე გამრჩე გმირი, რომელსაც რისკის არ ეშინია? ეტყობა, არ იცის. თავისი წარსული და ახლანდელი ცხოვრება მას ისევე ბუნებრივად მიაჩნია, როგორც სუფრაზე მოტანილი პური, როგორც მის გარშემო და მისი თვითმფრინავის ფრთებქვემოთ არსებული პერი.

16 მარტი

თითქმის ყველა კოლექტივში არის ფარული წინააღმდეგობანი, ბანაკები, შეხედულებათა კიდილი, გემოვნებათა და ხასიათთა შეხლა-შემოხლა. ყოველივე ეს უეჭველად დამახასიათებელია ცალკეული ჩვენი მეცნიერებისათვისაც — სწორედ აქ იმალება ყველაზე დახლართული და ამავე დროს, ყველაზე ფარული წყალქვეშა დინებები.

მაგრამ ამ ჩუმ და უსისხლო ომში ყველაზე მკაფიოდ გამოირჩევა მოწინააღმდეგეთა ორი ჯგუფი — „სპარტაკის“ გულშემადრეკრები და „დინამოს“ გულშემადრეკრები. მე გამაკვირვა ჯერ კიდევ მირანიში, შემდეგ კი თვით ანტარქტიკის სიღრმეში ერთმა ამბავმა — ტრაქტორების ერთი-ნაწილი მორთული იყო „სპარტაკის“ ვიმპელებით, ხოლო მეორე — „დინამოს“ ვიმპელებით. ერთხელ გამაოცა ხალხის სახეებმა, როცა საუბარში ძალათი ჩათრეულმა არ ვახსენე მათი საზოგადოება. შემდეგში ამ ორკოფული პოზიციის გამო, იმის გამო, რომ რომელიმე ბანაკისადმი თანაგრძნობა არ გამოემყლავნებინა, არა ერთხელ აღმოვჩნდი გამოუვალ მდგომარეობაში. გამოსა-

ვალი რომ მეპოვა, შევედი ტალინის „კალევი“, რასაკვირველია, შევედი არაოფიციალურად, და არც შემიტყობინებია ეს ამბავი საზოგადოების ხელმძღვანელობისათვის. მე გონივრულად ვამჯობინე „კალევი“ ტალინის „დინამოსა“ და ტალინის „სპარტაკს“, რადგან მათი სახელწოდება აუცილებლად ჩამათრევდა ან ერთ, ან მეორე ბანაკში. „შრომით რეზერვებში“ კი იმიტომ არ შევედი, რომ მისი სახელწოდება (და არა თვით საზოგადოება!) სრულ უაზრობად მეჩვენება. აბა, დაფიქრდით: „შრომითი რეზერვები!“ ეს სახელწოდება აქცევს ადამიანს თუ ნულად არა, ერთიანად მაინც, რომელიც მოკლებულია ინდივიდუალობასა და საკუთარ ხასიათს, თითქმის აიგივებს მას მექანიზმთან. როცა მე ვხედავ ფაბრიკის ახალგაზრდობას, რომელიც მწყობრად მიაბიჭებს საღამო ექვს ტალინის ქუჩებში, და ტანთაცვია შავი ფერის ხშირად ცუდად მორგებული და მუდამ ჩაქამებული ფარაჯა, რომელიც თითქოს ანადგურებს მის სიახალგაზრდავეს და ერთფეროვან, უღიმღამო სქემებად აქცევს ყველას, გულში მუდამ ეკლად მესობა სიტყვები — „შრომითი რეზერვები“. მე ხომ ვიცი, რა ხელმარჯვეები არიან ჯვალოს ფარაჯებში გამოწყობილი ეს ქაბუკები და ქალიშვილები, ცოდნისადმი რა დაუშრეტელი სიყვარულითაა აღსავსე ფორმისქუდიანი ამ ახალგაზრდების თავები. შესანიშნავია ჩვენი მომავალი თაობა. მაგრამ ნუთუ ეს მხოლოდ შრომითი რეზერვებია, მხოლოდ ადამიანის მასალაა? ყოველ შემთხვევაში, მე მეწყინებოდა ვინმეს ჩემთვის ისევე დაეძახა, როგორც ამ ქალიშვილებს და ქაბუკებს ეძახიან, და ეთქვა: „ჰო, სმუული? ვიცი, ვიცი, ის ახლა „შრომითი რეზერვია!“

აი, რა მოსაზრებით ავირჩიე ტალინის „კალევი“.

— ჩვენს „დინამოს“ ვაშა! — წამოიძახა ჩემმა ძველმა მეგობარმა ვლადიმერ გავრილოვმა, როცა დომინო მოიგო და მხურვალედ და დემონსტრაციულად დიდხანს ართმევდა ხელს თავის პარტნიორს, აგრეთვე დინამოელს.

— შემთხვევით მოიგეთ! ბედი გწყალობთ! — ვერ დამალა მწუხარება და ამოოხვრით თქვა ერთ-ერთმა წაგებულმა „სპარტაკის“ მგზნებარე გულშემატკივარმა იგორ ტიხომიროვმა, რომელიც გაგრილოვთან ერთად ცხოვრობს კაიუტაში.

— შემთხვევით მოვიგეთ? — მხიარულად წამოიძახა გავრილოვ-

მა. — კი მაგრამ, შემთხვევით როგორ? „დინამო“ ყოველთვის გირტყამდათ ცხვირში და არც აწი დაგაკლებთ მუშტებს. ყოჩაღ, „დინამო“! ძრწოდე, ევროპა! ჩვენ უძლეველნი ვართ!

ვერ ნახავთ ვლადიმერ გავრილოვსა და იგორ ტიხომიროვზე უკეთეს მეგობრებსა და მათზე უფრო მოსისხლე მტრებს. ორივე ექსპედიციის ექიმია. ტიხომიროვი შინაგან სნეულებათა ექიმია, გავრილოვი — სტომატოლოგი. გავრილოვი მუშაობდა ექიმად და მზარეულად ვოსტოკში ამ სადგურის დაარსების პირველი დღეებიდანვე. ტიხომიროვი კი მუშაობდა მირნიში, მაგრამ ტრაქტორ-მატარებელთან ერთად ვოსტოკშიც მოუწია ყოფნა, როგორც ექიმ-მზარეულს. მხოლოდ ტრაქტორებით მას დაახლოებით ოთხი ათასი კილომეტრი აქვს გავლილი ანტარქტიკის ყინულებში.

ძნელია იპოვო ერთმანეთისაგან გარეგნულად ასე განსხვავებული ადამიანები. გავრილოვი პატარაა და მსუქანი. ხმარობს მრგვალმინებიან სათვალეს. თვალები თაფლისფერი აქვს. მის გამჭკრიახ, ცოცხალ და ცნობისმოყვარე გამოხედვაში არის რაღაც ფრინველისა. პირმრგვალია, დიდი ცხვირი აქვს, თავის სიმაღლესთან შედარებით უზომოდ ღონიერია. თავისი რკინისებური ხელით იგი ზოგჯერ არწმუნებს „დინამოს“ სიძლიერეში მათ, ვისაც ამაში ეჭვი ეპარება. გავრილოვის ძალის წინაშე შიშმა მაიძულა საჩქაროდ გამომეცხადებინა თავი „კალევის“ პატრიოტად.

გავრილოვი ტემპერამენტიანი მოკამათეა, რატომღაც ცდილობს ყველას სკეპტიკოსად მოაჩვენოს თავი. თუ ვინმე ზედმეტადაა დარწმუნებული რაიმეში, თუ ვინმე ტრაბახობს, იგი ჩვეულებრივ შესძახებს თავის ყოვლის ამომწურავ, უფრო სწორად, ყოვლისუარამყოფელ სიტყვას:

— დოღრიალა!

მაგრამ საკუთარ ზიმართლეში არასოდეს ეჭვი არ ეპარება. მან უცებ იცის ანთება და ისედაც წვრილი ხმა კიდევ უფრო უწვრილდება, თვალებიდან კი ცეცხლს აკვესებს.

იგორ ტიხომიროვი მაღალი, მშვიდი, ყოველმხრივ მოწესრიგებული კაცია და მუდამ ჩაფიქრებულია. იგი გავრილოვივით ბევრს კითხულობს, მაგრამ მისი აზრი წაკითხულის შესახებ თვით ჩხუბისთავ გავრილოვსაც კი აიძულებს ქედი მოიხაროს. ტიხომიროვს

ერთი წარბი ყოველთვის აჭიმული აქვს და ეს მის სახეს რაღაც შეფისტოფელურ იერს აძლევს. მისი გაშმაგება ძნელია, მაგრამ თუ გაშმაგდა, დიდხანს ვერ დაამშვიდებ. თუკი კამათის დროს შეეხებინან ზოგადსაკაცობრიო პრობლემას (ტიხომიროვი კი ყოველთვის უფრო დიდ და კოსმოსურ პრობლემებს ეხება, ვიდრე გავრილოვი) და ვერ შეძლებს დაარწმუნოს მოწინააღმდეგე, მკვახე სიტყვებით აქიპქებს:

— ნამუსი არა გაქვს, შენ ნამუსის მაგივრად... — და განუმარტავს მოწინააღმდეგეს, რა აქვს ნამუსის მაგივრად.

მან რამდენჯერმე გამაფრთხილა, რასაკვირველია, მაშინ, როცა ვეკამათებოდი.

— მე შენ გასწავლი თავისუფლების სიყვარულს!

დამოუკიდებელი და თავისუფლებისმოყვარე ტიხომიროვისათვის ეს სასტიკი მუქარაა. ამ წინადადებას იგი სხვადასხვა გარემოებაში სხვადასხვანაირად წარმოთქვამს, მაგრამ წარმოთქვამს ყოველთვის ავტორიტეტულად.

როცა მათ კაიუტას ჩაუვლი და შეიხედავ ილუმინატორში, ხშირად დაინახავ საწოლზე გაშხლართულ იგორს, რომელსაც წიგნი მკერდზე უდევს; ხელები თავქვეშ ამოუდვია და ფიქრს მისცემია, მის პირდაპირ ჩამომჭდარი გავრილოვი კი მთელი არსებით ცდილობს გამოიყვანოს იგი ამ ფუჭი ოცნებიდან და საქმიან კამათში ჩაითროს.

— ხედავ! — ამბობს იგი, — ფიქრობს! რა აქვს საფიქრალი?

— ხელს ნუ მიშლი! — ხელის აქნევით ეუბნება ტიხომიროვი, მაგრამ მაინც წამოდგება.

— იცი, რაზე ფიქრობს? — მეკითხება გავრილოვი. — დომინოს თამაშის ახალ თეორიაზე. ღამეებს თეთრად ათენებს. სურს გაიგოს, რატომ წაავო გუშინ და რატომ წააგებს ხვალ — რას იზამ! რახან „სპარტაკია“, აგებს კიდევ. სუსტი გუნდია...

მერე იწყება ერთი დავიდარაბა.

საბოლოოდ ისინი შედიან მოსაწევ სალონში, შემოუსხდებიან მაგიდას და იწყებენ ქვების ჭახუნს. ზოგჯერ გამონაკლისიც ხდება. ისინი დროებით ივიწყებენ „სპარტაკის“ და „დინამოს“ მეტოქეობას და თამაშობენ ერთად. გავრილოვი თამაშობს აზარტულად და რის-

კიანად, ტიხომიროვი — უსიტყვოდ და ფრთხილად. მოიგებენ და ტიხომიროვი იტყვის:

— მე თქვენ გასწავლით თავისუფლების სიყვარულს!

გავრილოვი კი ამტკიცებს, რომ № 107-ე კაიუტის ორივე მეგობარი „კოოპერაციის“ ჩემპიონი გახდებოდა, რომ მათი საყვარელი გუნდები მუდამ ერთად თამაშის უფლებას აძლევდეთ. დინამოელები, რა თქმა უნდა, უფრო ძლიერები არიან, მაგრამ „სპარტაკისთვის“ ისეთი მოთამაშეც კი, როგორც იგორია...

და ისევ იწყება ერთი ალიაქოთი...

საუცხოო ამინდია. დღეს ხელახლა გადავკვეთეთ თხის რქის ტროპიკი აღმოსავლეთ გრძედის 98°50'-ზე და შევედით ტროპიკებში, ამჯერად ინდოეთის ოკეანის ტროპიკებში. მოგველის ცხელი დღეები.

შორს ჩვენგან, სამხრეთით, იწყება ზამთრის საბრძანებელი. გუმბინ ვოსტოკში მინუს 67° იყო, მერედა, ისიც ზამთრის პირზე!

20 მარტი.

სწრაფად მატულობს სიციხე. კარგი სიჩქარით მივცურავთ — გვშველის სამხრეთ-აღმოსავლეთის პასატი. უკანა რეისის დასაწყისშივე კაპიტანმა იანცელევიჩმა თავაზიანობა გამოიჩინა და ნება დამართო ავსტრალიაში საკომანდო ბოგურაზე და სამანქანო განყოფილებაში. საექსპედიციო ხომალდზე ეს ყველაზე მყუდრო ადგილებია. განსაკუთრებით იზოლირებულია საკომანდო ბოგურა.

იგი გამიჩნულია ქვედა გემბანებისაგან, რომლებზედაც გამუდმებული წრიალი, ჩოჩქოლი და აურზაურია. აქ იშვიათად დაინახავ ვინმეს, გარდა მესაჭისა და ხომალდის უფროსობისა. საკომანდო ბოგურის კარში შესვლისთანავე თვითონაც ყუჩდები.

მე ჩვეულებისამებრ აქ დღის ორი საათის შემდეგ მოვდივარ. საჭევრის მარცხნივ დატანებული ვიწრო კარიდან, რომელიც გადის შტურმანის ჯიხურში, ვხედავ საზღვაო რუკებზე დაჩრილ ანატოლ საველის ძის ჭალარა თავს. ამ დროისათვის იგი ჩვეულებრივ ამთავრებს თავის შუადღის გამოთვლებს და შემდეგ მიემართება თავის



კაიუტაში, ანდა მიდის მემანქანებთან. აქ მას ყველაზე დიდი საზრუნავი აქვს: „კოოპერაციის“ ღიზელები ხშირ-ხშირად ჩერდებიან, დეტალები გაცვდა და დაძველდა, ყოველდღიურად იგრძნობა, რომ ხომალდი, რომელიც რეისის დასაწყისში შეკეთდა, ისევ სარემონტოა. როცა ოკეანე დღევანდელივით დამშვიდებულია, ანატოლსაველის ძეს შედარებით იშვიათად დაინახავთ ბოგურაზე, მოვა, ერთ-ორ სიტყვას ვტყვის შტურმანებს, საკუთარი სექსტანით „გადაიღებს მზეს“, რომ შეამოწმოს გამოთვლები, ნახევარი საათით დაინხრება რუკაზე, გააკეთებს გაანგარიშებებს, ზოგჯერ შეიტანს კურსში პატარა შესწორებას, და მერე ბოგურაზე რჩებიან მხოლოდ „ანატოლები“. ასე ვეძახით მეგობრულად „კოოპერაციის“ ყველა შტურმანს. უფროს თანაშემწეს ანატოლი ჰქვია, მესამე თანაშემწესაც ანატოლი ჰქვია, ხოლო მეოთხე — ოკოროკოვი სულ მთლად ანატოლ ანატოლის ძეა. მაგრამ სამაგიეროდ, ყველგან, სადაც საჭიროა შორეული ნაოსნობის კაპიტნის, ყინულოვანი ზღვების კაპიტნის დიდი გამოცდილება, იქნება ეს სამხრეთის ყინულოვანი ოკეანე თუ ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანე, ანატოლ იანცელევიჩი ათ-ათი საათი დგას ბოგურაზე. კაპიტანთა შორის, რომლებიც კი საერთოდ მინახავს, იგი ერთ-ერთი ყველაზე იღბლიანი, ყველაზე ჰქვიანი, ყველაზე მშვიდი და ყველაზე გულჩათხრობილი კაცია, და უთუოდ ერთ-ერთი ყველაზე მკაცრი კაპიტანი. მაგრამ მისი სიმკაცრე მელანდებდა მარტოოდენ მისდამი რწმუნებული ეკიპაჟის მიმართ, და არა ექსპედიციის მიმართ.

ანატოლსაველის ძე თავს ანებებს რუკებს. როგორც ყოველთვის, დაახლოებით ერთი და იმავე დროს შტურმანის ჯიხურიდან გამოდის მეორე თანაშემწე ბენიამინ ნიკოლოზის ძე კრასნოიურჩენკო, ერთადერთი კაცი, რომელსაც ანატოლი არ ჰქვია. მისი მორიგეობა დღის თორმეტიდან ოთხამდე გრძელდება. ბენიამინ ნიკოლოზის ძეს გამოაქვს გემის უურნალი, საიდანაც ვიწერ ცნობებს, სად ვიმყოფებით შუადღეს, რა კურსით მივცურავთ, რა ტემპერატურაა წყალსა და ჰაერში, როგორი ძალით და რა მიმართულებით ქრის ქარი, რა სიჩქარით მიცურავს გემი, რა მანძილი გავიარეთ დღე-ღამეში. ყოველთვის, როცა უურნალს ვიღებ ხელში, ვცდილობ ჩანაწერებში რაიმე უჩვეულო ამოვიკითხო, მაგრამ უჩვეულოს აღმო-

ჩენა მეტად ძნელია. „მორიგეობა ჩაბარებულია“, „მორიგეობა მიღებულია“... ექვსჯერ დღე-ღამეში, როგორც წესი, მორიგეობის ცვლასთან ერთად იცვლება ხელნაწერიც. ციფრებს გარდა ვერაფერს ნახავთ ჟურნალში. ეს ციფრები აღნიშნავენ აღმოსავლეთ მერიდიანების ნომრებს და სამხრეთ პარალელების ნომრებს, რომლებიც თანდათანობით კლებულობს, აგრეთვე ქარის სიჩქარისა და ტალღის სიმაღლის ოდნავ მერყეობას. მიუხედავად ამისა, აქაა შაინც მთელი ისტორია გემისა, მისი ადამიანებისა, მისი რეისებისა. მე კი კიდევ რამდენი უნდა ვიხეტილო და ვისწავლო, რომ შეეძლო ამ მკაცრი პოემის წაკითხვა, მისი ძუნწი სილამაზის ჩაწვდომა!..

ჩვენ ჩუმად ვსაუბრობთ ამინდსა და ზღვაზე, მესაჭვევრეს ნელა გადაპყავს ბერკეტი („კოოპერაცია“ საჭვევარი არა აქვს) ხან მარცხნივ, ხან მარჯვნივ, გიროკომპასის ისარი თითქოს ნაძალადევად ინაცვლებს ადგილს, მაგრამ მისი ჩვენება უფრო სარწმუნოა, ვიდრე მაგნიტური კომპასის ჩვენება. ღია კარიდან და დიდი ფანჯრებიდან იღვრება ოკეანის თანაბარი, კაშკაშა შუქი, რომელსაც გაუჩახახახებია გემის წინ პორიზონტამდე გადაჭიმული უსასრულო სივრცე. მფრინავი თევზები წყლის გლუვ ზედაპირზე ტოვებენ მოგრძო ზოლებს. არ ჩანს არც ერთი ფრინველი. ღრუბლები საშინელ, ზღაპრულ არსებებს ჰგვანან. ხომალდის ცხვირთან მარჯვნივ და მარცხნივ გარბიან ყოველდღიურად ახალი, მაგრამ ისევ და ისევ ის ტალღები. მხოლოდ ტალღების სრბოლა, აგრეთვე ხრახნის თანაბარი გუგუნის მეტყველებს იმაზე, რომ ჩვენ მივცურავთ.

გავლილი მანძილი ხილული ხდება შტურმანის ჩიხურში. ფარგლით გაზომავ უკან მოტოვებულ გზას და დაინახავ, ჩვენი კურსი როგორ სერავს ირიბად გრძედებსა და განედებს, მისი ვიწრო და წვეტიანი შავი ხაზი გაფრენილ ისარსა ჰგავს თეთრ რუკაზე. გრძელი ხაზის ერთი ბოლო ებჯინება პუნქტს, რომლის გვერდით ლამაზად და გარკვევით აწერია „20. III. 58, 12.00“, მეორე კი — ჩრდილოეთისაკენ იკანკლურად გაჭიმულ, ჩაგოსის მარჯნის არქიპელაგის უწესრიგოდ მიმოფანტულ წერტილებს. თვითმწერი ავტომატურად აღნიშნავს ქაღალდზე გავლილ გზას, მე კი მწვანე, ამჟამად ჩამქრალი თვალთ ჩიქურ შემომცქერის რადიოლოკატორის ეკრანზე.

სიწყინარეა.

შუაღლით კოორდინატებია — სამხრეთ განედის  $13^{\circ}50'$  და აღმოსავლეთ გრძედის  $85^{\circ}20'$ . წყლის ტემპერატურა პლუს 29 გრადუსია, ჰაერისა — პლუს 28 გრადუსი. ქრის სამხრეთ-აღმოსავლეთის ასევე ის პასატი. სიჩქარე ათი კვანძია. კაიუტაში ჰაერი ნოტიო და შეხუთულია. მესამე კლასის თითქმის ყველა მობინადრე გემბანზე გადაბარგდა. პირველ ტრიუმზე გადაფარებულია ბრეზენტის დიდი ტენტი. მეორეზე ორი ტენტია, რომლებიც ლითონის მრგვალ გისოსზეა გადაჭიმული. საჩრდილობელქვეშ კაიუტასთან შედარებით ოდნავ გრილა. თუთიყუშები თავს კარგად გრძნობენ. რასაც დილა-ადრიაანადვე გვაუწყებენ თავიანთი გამკვივანი ხმით. მუშაობა არ ეწყობა. ვერც მე ვმუშაობ და ვერც სხვები. თუმცა ექსპედიციის მონაწილეთა ერთი ნაწილი დანიშნულ საათებში ყოველდღიურად უზის თავის ანგარიშს და ოფლში იწურება.

ატლანტიკაში ამავე განედზე გაცილებით გრილოდა. მართალია, აქ ხშირად წვიმს (წელიწადში სამი ათასი მილიმეტრი ნალექი მოდის), მაგრამ ჰაერი მხოლოდ წუთით გრილდება. ზურგის სუსტ პასატს საერთოდ ვერ გრძნობ, თუმცა იგი ჩვენი გემის სიჩქარეს ნახევარი კვანძით ზრდის. ყველა ჩივის, ტვინი არ მუშაობსო. შედარებით გრილ განედებზე მცხოვრებ ადამიანებს უჭირთ ყოფნა ლურჯი წყლით სავსე ამ დიდ, ღრმა და უნაპირო აბაზანაში, ესე იგი ინდოეთის ოკეანის იმ ნაწილში, რომელიც კირჩხიბისა და თხის რქის ტროპიკებს შორის მდებარეობს. ყველაფერი გულისამრეველად თბილია: ჰაერი, წყალი გრაფინებში და აუზში, და თვით ოკროშკაც კი. უკვე თითქმის არავინ გამოთქვამს აღფრთოვანებას ოკეანის სილურჯისა და მუდმივი დარების გამო. ყველას ენატრება ცივი ლუდი.

საღამოს მე და კუნინი მეხუთე მაშველ კანჯოდან ფილმს ვუყურებთ. აქედან ახლოა ცა და ვარსკვლავები. დღეს შევნიშნეთ, რომ სამხრეთის ჯვარი უკვე საკმაოდ გადაიხარა ქვევით, ოკეანის თავზე კი დიდი დათვი გადმოეყიდა. კიდევ ერთი-ორი დღე და პოლარუ-

ლი ვარსკვლავიც გამოჩნდება. ღამეები მეტისმეტად ბნელია, ვარსკვლავები კი — კაშკაშა. მთელი საღამო ელავდა. ქუხილი არ გვესმოდა, მაგრამ ელვა ისე აშუქებდა ცის ტატნობს, თითქოს ცეცხლის ყვავილები იფურჩქნებიანო. იფიქრებდი, რომ ისინი ზეცაში კი არ ჩნდებიან, არამედ ქვემოდან, წყლიდან, ამოდიანო.

24 მარტი

კოორდინატები — სამხრეთ განედის  $8^{\circ}30'$  და აღმოსავლეთ გრძედის  $78^{\circ}50'$ . მწიფობაში შესული ქვავის ყანასავით მკლავს სურვილი, იყოს ნაკლები ხვატი, მეტი ცივი წყალი! მაგრამ შხაპი დაეკტილა — რაღაც მექანიზმი გაფუჭდა.

25 მარტი

ცხელა. საბედნიეროდ, ჩრდილოეთიდან წამოუბერა სუსტმა ნიაჟმა. ოკეანე გლუვია და თვალისმომკრელად ლურჯად ლაპლაპებს. ორიოდე დღის შემდეგ გადაესერავთ ეკვატორს, მაგრამ მდუმარების ზოლი ალბათ დაირღვევა მხოლოდ მეათე პარალელის გავლის შემდეგ. გემბანზე ფეხშიშველი ვერ გაივლი — ხეც კი გაცხელებულია, ტრაპის რკინის საფეხურები კი კანს წვავს. რომეო და ჯულიეტა აღარ გამოდიან თავიანთი სადგომიდან. ფრინველებს დაეკარგათ მადა. ნახევრადდაღებული ნისკარტები ძირსა აქვთ დაშვებული. ჯულიეტა მლოცველ მონაზონსა ჰგავს.

ნახევარი საათი სამანქანო განყოფილებაში დავყავი. მუშაობს ორივე დიზელი. მაშინაც კი, როცა აქ ჩამოდიხარ მზით გავარჯარებული გემბანიდან, ასე გგონია, ჯოჯოხეთში მოგხვდიო. ხომალდის კორპუსი გამთბარია ოკეანის წყლით, ამას ზედ ურთვის მანქანების ალხი, ლითონის ამ დიდი მასის ალხი, ცხელი ზეთის სუნი და თანაბარი, მონოტონური გუგუნი. აქ ყველაფერი ცხელია — რკინის მოაჭირიც, აძაგძაგებული ლითონის იატაკიც, უზარმაზარი მილებით და ათასგვარი მათეულებით დახლართული სათავსოც, რომელიც ხომალდის ფსკერსა და გემბანს შორისაა მოქცეული. ტროპიკებში ყველაზე მძიმე და მომქანცველი მემოტორეთა ცხოვრებაა.

როცა „კოოპერაციის“ სასეირნო გემბანიდან, მეორე და მესამე კლასის კაიუტების ზემო ადგილიდან, გასცქერი, ჩვენი ლამაზი ხომალდი მაჩვზღარბს ჰგავს. ყველა ილუმინატორიდან გამოშვებულა ნახევრადმორკალური ფანერი, ან თუნუქის ფურცელი, ან კიდევ სქელი მუყაო. ეს თვითნაკეთი ვენტილაციაა კაიუტებისათვის. გარეგნულად ეს სურათი არც ისე ლამაზი სანახავია, მაგრამ რატომღაც შესანიშნავად ეხამება გემბანზე გაშლილ კარებს, ჩვენს რამდენადმე ბოშურ ცხოვრებას. გაგრილების უახლესი სისტემა კარგად მუშაობს, მაგრამ ბოცმანი და კუნინი წყევლა-კრულვით იხსენიებენ ამ სისტემას: საკმარისია უყურადღებოდ დატოვო თუნუქის ან ფანერის რაიმე ნაჭერი, რომ უკვალოდ გაქრეს.

ეკიპაჟის წევრებს შორის ექსპედიციის მონაწილეებთან ყველაზე მეტი ურთიერთობა აქვს კაპიტნის უფროს თანაშემწეს ანატოლ დონიას. მას უყენებენ პრეტენზიებს კვების, წყლის, აბანოსა და სხვა საკითხებზე. კაპიტნის უფროსი თანაშემწე წარმოადგენს თავისებურ ბუფერს ხომალდის უფროსობასა და ექსპედიციას შორის. ეს ადვილი როლი როდია, რადგან თუკი კვებით ყველა კმაყოფილია, წყლის მდგომარეობით არც იმდენად არიან კმაყოფილი. როცა „კოოპერაციის“ ერთი დიზელი ჩერდება და სიჩქარე კლებულობს, კაპიტნის უფროს თანაშემწეს ბევრი არასასიამოვნო სიტყვის მოსმენა უხდება. ექსპედიციის მონაწილეებს აცოფება კილის სუსტი, ოდნავ შესამჩნევი ნაკადის დანახვა და გაავებულები და აფხორილები აქეთ-იქით აწყდებიან. ზოგჯერ ყველაზე მშვიდი ხასიათის მგზავრებიც კი ვერ იკავენ თავს და მოძულეებული სიდედრივით ლანძღვა-გინებით იკლებენ მოზოზინე ხომალდს. დონია გულგრილად ისმენს ლანძღვა-გინებას. გაშმაგებული ამხანაგი შორდება მას ცოტათი დამშვიდებული: დაე, მისი სიტყვები ნუ შეუშუსუბუქებს მექანიკოსებს მძიმე შრომას და ნუ ააჩქარებს ხომალდს, მაგრამ მან ხომ თქვა ყველაფერი, რასაც ფიქრობდა.

ანატოლი დონია გულისხმიერი ადამიანი და კარგი ამხანაგია. თითქმის ყველანი მას ან მარტო სახელით მიმართავენ ან კიდევ „უფროსოს“ ეძახიან კაპიტნის უფროსი თანაშემწის თანამდებობის გამო. მე მრავალი საღამო დაეყავი დონიას დიდ კაიუტაში, ვსაუბრობდი მასთან ზღვებზე, ნაოსნობის ამბებზე, პირად ცხოვ-

რებაზე, საკუთარ გეგმებზე. მწვანე აბაჟურის წყალობით მთელი კაიუტა, მისი ავეჯი, მისი კედლები და კუთხეები, ჩვენც, მოზაასენიც, გახვეული ვიყავით მსუბუქ ბინდში, რაც ვრცელსა და იღუმალს ხდიდა კაიუტას. მხოლოდ მრგვალ მაგიდას ეცემოდა კაშკაშა შუქი. რაც ავსტრალიიდან წამოვედით, ჩვენი მესამე მუღმივი კომპანიონი გახლდათ დონიას პატარა თუთიყუში, რომელიც დონიას თავისი ქალიშვილისათვის მიჰყავდა საჩუქრად. თუთიყუში თავისუფლად დაფრინავდა კაიუტაში, მალაყებს გადადიოდა მისთვის საგანგებოდ გაჭიმულ მავთულზე და კაიუტის მთელ მორთულობას მეტად შინაურულ ელფერს აძლევდა. დონია ანებივრებდა ჩიტს (იგი სასიამოვნო ხმის მქონე პატარა ჯიშის თუთიყუში იყო), რომელიც ხშირად თითზე აჯდებოდა და ჭახჭახს იწყებდა.

დღეს დონია მეწვია კაიუტაში. მორღუშული დაჯდა და თითქმის თხუთმეტი წუთი ხმა არ ამოუღია. რამდენადაც მახსოვს, სამსახურთან დაკავშირებულ არც ერთ ჩხუბს, არც ერთ პრეტენზიას არ გაუფუჭებია მისთვის ასე გუნება.

— გაიპარა... — თქვა ბოლოს გულმოკლული ხმით.

— ვინ გაიპარა?

— თუთიყუში. ავსტრალიელი.

— როგორ?

— ილუმინატორიდან.

დონია ღია ილუმინატორს ყოველთვის დობანდს აფარებდა, მაგრამ ამჯერად დავიწყნია. ნახევარი საათი არ გასულიყო, რაც ლამაზი ჩიტი გაფრენილიყო. აქედან ძალიან შორია ყველაზე მახლობელ ხმელეთამდე, საგოსის არქიპელაგამდე. თუთიყუში ნაპირამდე ვერ მიაღწევს და გზაში დაიღუპება. ეს ყველაზე მეტად გვაწუხებს.

სხვათა შორის, რადიოგაზეთის საღამოს გამოშვება ამ ამბავს გამოეხმაურა გრძელი ნეკროლოგით, რომელშიც ჩამოთვლილი იყო თუთიყუშის კეთილშობილური სულიერი თვისებები და დამსახურებანი, და მთელი კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებდა მის პატრონს, აგრეთვე თუთიყუშის ავსტრალიელ ნათესავებს, უგზო-უკვლოდ მისი დაკარგვის გამო. ნეკროლოგი მოწიწებული სამგლოვიარო ხმით წაიკითხა დიქტორმა კრიჩაკმა.

ჰენრიკ ვ. ვან ლოონი, ჩინებული წიგნის — „ზღვები და ადამიანების“ ავტორი, ასე იწყებს თავის შრომას:

„ზღვაოსნობის ისტორია კაცობრიობის მარტიროლოგი არის, წამების საკნებს ხომალდები დაერქვა. ამ საკნებში იტანჯებოდნენ ადამიანები, რომლებმაც ბრძოლა გამოუცხადეს დროისა და სივრცის ღმერთებს“.

ჰაერი დახშულია, ცხელა. წყალი სარკესავით გლუვია, სიოც არ ქრის. მთელი დღე მხოლოდ ერთი დიზელი მუშაობს. შვიდ მილს ძლივს გავდივართ საათში. აქ, ამ მდუმარების ზოლში, ინდოეთის ოკეანე ყველაზე უფრო უსიცოცხლოა. არ ჩანს არც ერთი ჩიტი, არც ერთი გემი, არავითარი კვამლი ჰორიზონტზე. ირგვლივ გადაშლილია წყლის უდაბნო, ლურჯი, უზარმაზარი და ქაფქაფა. ქოთნებში ჩარგული ყვავილები, რომლებიც კუნინმა მაჩუქა ავსტრალიაში, ჩვენს თვალწინ კენება და არ ვიცი, რა ვიღონოთ, რომ არ გახმეს. გამუდმებით ოფლში ვიწურებით.

მაგრამ როცა ფიქრის უნარი მიბრუნდება, ჩემთვის ნათელი ხდება, რომ ოკეანის ამ სახის ხილვაც დიდი საჩუქარია.

7 საათსა და 21 წუთზე გადავკვეთეთ ეკვატორი აღმოსავლეთ გრძედის 68°10'-ზე და გადავედით ჩრდილოეთ ნახევარსფეროში. „კოოპერაციის“ სირენამ სამჭერ მძღავრად დაიკივლა და ასე გამოემშვიდობა სამხრეთ ნახევარსფეროს. ექსპედიციის მონაწილეთა დიდი ნაწილი უკანასკნელად 1956 წლის ნოემბერში იყო ჩრდილოეთ განედებში, ესე იგი, თითქმის წლინახევრის უკან. მათთვის დიდი დათვის ვარსკვლავების ქვეშ დაბრუნება მნიშვნელოვან ამბავია. ღამის ცა, რომელიც ყოველ საღამომობით სულ უფრო და უფრო ნაცნობი ხდება, ჩემშიაც იწვევს სახლთან სიახლოვის გრძნობას, თუმცა ფორშტევენის მიღმა გაწოლილი წყლები — ადენის უბე, მეწამული, ხმელთაშუა და შავი ზღვები — ჩემთვის უცხო და

უცნობია. მაგრამ ნაცნობი ვარსკვლავების ხილვა!.. როგორც ნათქვამია ფინურ ხალხურ სიმღერაში:

შენ შორს ხარ, მშობელ მხარეში,  
მე უცხოეთში კენტად...  
ჩვენ კი ლურჯ ცას და ვარსკვლავებს  
უნდა ვაპწრებდეთ ერთად...

მაგრამ მე ის ვარსკვლავებიც კი ისე დიდი ხანია არ მინახავს.

ვოცნებობ ესტონეთის სრუტეების გრილ და ნაცრისფერ წყლებზე, სოფლის დღეობებზე, და იმაზე, რასაც ხოტბას ასხამდა სოლომონ ბრძენი თავის „გალობათა გალობაში.“ ბალტიის ქაშაყით დამარილებული ჩემი სული ვარსკვლავებისკენ მიისწრაფვის, მაგრამ სდექ!

ნასადილევს შემოგვხვდა ხომალდი. იგი პირველია ავსტრალიიდან გამოსვლის შემდეგ. ეს იყო დიდი და დაბალი დიზელ-ელექტრომავალი, მის ფორშტევენს ქვემოთ მოჩანდა ქაფის ფაფუკი უღვაშები, ხომალდი უთუოდ თოთხმეტ-თხუთმეტი კვანძის სიჩქარით მიდიოდა. ჩვენ, ალბათ, კიდევ ხშირად გავაყოლებთ შურით თვალს სწრაფმავალ გემებს. უფრო გვიან შემოგვხვდა ჩიტების გუნდა და დიდი მფრინავი თევზები. უკვე რამდენიმე დღეა ეს თევზები გამოჩნდნენ, მაგრამ აქამდე ჰიჭყინასავით პატარები იყვნენ. ისინი დიდხანს დაფრინავენ წყალს ზემოთ ნამდვილი ჩიტებივით. მათა ჭერცილი ლამაზად ბზინავს მზეზე. გემის ხელმარჯვნივ გამოჩნდა დელფინების დიდი გუნდი. დელფინებმა ააქოთქოთეს წყალი და მალე სადღაც გაქრნენ.

სიწყინარეა, ძალიან ცხელა. ოკეანე გაპრიალებული ფოლადივითაა. მასში ისახება ღრუბლებიც, მფრინავი თევზების გაფარჩხული ფარფლებიცა და მათი მოელვარე მუცლებიც. წყალს მხოლოდ „კოლპერაციის“ კიჩოს მიღმა მოსდებია ქავლი.

81 მარტი

ვკითხულობ:

ავი განგება დამღუპველი... იდუმალ სახეებს  
გაუმხელელი ხვაშიადის ბეჭედი აზის;  
ხანი, ქარავანი, ტახტრევანი,



ჩუხჩუხებს ბაღში შადრევანი,  
 დაშნებზე ცეკვავს ცოლი ზონტქრისა,  
 ჰა, მაქარაჯა და ფადიშაქი,  
 ფერმკრთალი მთვარე დაქნათის მინარეოს,  
 თმაშულებილი წითური ინით  
 ქრულ ხალიჩებზე წვანან ქერა ლამაზმანები,  
 მოთქმა-გოდება, ჰა, მუეძინის  
 და ოპიუმის ტყბილი შხამი დამატობელი —  
 აი, თქვენ ჩვენი აღმოსავლეთი —  
 ფრანგულ რომანებში,  
 აი, თქვენ ჩვენი აღმოსავლეთი —  
 ყალბ ტილოებზე,  
 მილიონობით ტირაჟებით ქვეყნად მოყენილი!

ეს ნაზიმ ჰიქმეთის ლექსის „პიერ ლოტის“ („აღმოსავლეთი და დასავლეთი“) სტრიქონებია. ეს სტრიქონები გამახსენდა დღეს, როცა გამაბრაზა ოკეანემ, მოცარიელებულმა წყლის გლუვმა რკალმა, მასზე გადმომხობილმა უდაბურმა, მაღალმა და მოსაკრულმა ცამ. ხომალდმა, რომლის საკომანდო ბოგურაზე მრიცხველი აღნიშნავს ხრახნის ას თხუთმეტ ბრუნს წუთში, წოლი კი — ცხრანახევარ კვანძს, გამაბრაზა საკუთარმა თავმა, რადგან სიცხე და მღუშარება გამეფდა არა მარტო ოკეანესა და გავარვარებულ გემბანზე, ლეგაციისფერი ნაღველით აავსო არა მარტო კაიუტა, არამედ იქცა ჩემი ფიქრების ერთადერთ საგნად, ერთადერთ აუცილებელ რეალობად. აშკარაა ეს იმიტომ, რომ ტროპიკული ინდოეთის ოკეანე ცრუ შარავანდედით შევმოსეთ სადღაც სულის კუნჭულებში, მაგრამ ეს შარავანდედი კვამლივით გაიფანტა. ეჰ, ზღვაო, ზღვაო! ხმელეთზე ყოფნისას ჩვენ მას ვრთავთ კილიტებითა და ზინზილებით, მსგავსად პიერ ლოტისა, რომელიც აიდევალებს აღმოსავლეთს. ვკიდებთ ეჭვნებსა და ჟღარუნებს, ვალამაზებთ, თითქოს გვეშინია კოსმეტიკის გარეშე მისი სახის დანახვისა. ორიოდ დღის შემდეგ ხელმარცხნივ გამოჩნდება აფრიკა, ხოლო ხელმარჯვნივ არაბეთი — „ხანი, ქარავანი“. ჩვენგან აღმოსავლეთით კი დარჩება არაბეთის ზღვა, რომელიც გადასერა შეამბოხე ღვთისმავედრებელმა ხომალდმა „პატნამ“, ჩემი ერთ-ერთი საყვარელი წიგნის კონრადის „ლორდ ჯიმის“ ხომალდმა. რა ერთფეროვნებაა! ვიგონებ კვირებს, რომლებიც გავა-

ტარე ჩრდილოეთ ატლანტიკაში ქაშაყების ჰერის დროს და ასე მგონია, იქ არასოდეს ყოფილა ოკეანე ასეთი უსიცოცხლო.

ვიგონებ, ქაშაყის სუნიტ გაუღენთილ სპეცტანსაცმელზე ჭურთუქწამოსხმულნი როგორ დავბარბაცებდით ვაწრო დერეფნებში სამღლიანი შტორმის დროს, რომელმაც სადღაც ისლანდიასა და იანმაიენს შორის მოგვისწრო. ვიგონებ, როგორ დააქანებდა, მალღა ისროდა და ატორტმანებდა ჩვენს ტრაულერს გაურკვეველი სიმძლავრის ტალღა. ჰო, ადვილი არ იყო იქ ყოფნა, განსაკუთრებით ჩემისთანა გამოუცდელი კაცისთვის, მაგრამ აქ, ინდოეთის ოკეანის ამ ნაწილში, გაცილებით მიმძიმს, სულიერად მიმძიმს, თითქოს ოკეანეში, სრული უძრობის ამ სათავსში ერთად შეედუღება უამრავი უცნობი ადამიანის უნიათო და უღიმღამო ბედი. არავითარი ჟრუანტელი არ აღლევებს დროის ამ ზღვას, არავითარი მრავალმეტყველი სინხარული, არავითარი მრავალმეტყველი ჟინი, არავითარი გრძნობა — თვით უადრესი სასოწარკვეთაც კი.

როგორც ეტყობა, ოკეანის ეს გამალიზიანებელი სიმშვიდე მარტო მე როდი მაშმაგებს. ექსპედიციის ბევრი მონაწილე, რომლებიც უჩუმრად ნაღვლობენ თავიანთ სახლ-კარზე, ამბობენ, ოკეანიტ ყელამდე ვართ სავსეო. როგორც კი „კოლონიალიზაციის“ ერთი დიზელი ჩერდება (ეს კი ხშირად ხდება) და ხომალდის სიჩქარე იკლებს, გაისმის გააფთრებული შეძახილები. ღმერთო ჩემო, კოლუმბის კარაველები თოთხმეტი კვანძის სისწრაფით მიცურავდნენ, ჩაის გადამზიდი იალქნიანი გემები — თვრამეტი კვანძის სისწრაფით, ჩვენ კი ხშირად ექვსი-შვიდი კვანძის სიჩქარით მივლოლიალობთ ოკეანის ტყვიისფერ ზეწარზე და ეს ხდება მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში, როცა სადღაც იქ, გამოხუნებულ ზეცაში, ჩვენი თანამგზავრები რვა ათასი მეტრის სიჩქარით დაქრიან წაშში!

გაცეკერით ოკეანეს. მაგონდება რა აღტაცებული სიტყვები აღმოხდათ ზღვის შესახებ ადამიანებს, რომლებიც შორს ცხოვრობდნენ მისი ნაპირებიდან და პირველად დაინახეს ტალინის ყურე „ალის“ ქანდაკების კვარცხლბეკიდან. ამასთანავე ჩემი მეგობარი მეთევზეების ლექსიკაში, რომელშიც ყველაფერს თავთავისი შეფასება აქვს გამოხატული, ვერ იპოვით ზღვის სილამაზის გამომხატველ ვერც ერთ გამოთქმას. იქ იპოვით კარგ და ლამაზ სიტყვებს ქა-

ლებზე, მინდვრებზე, პურის ყანებზე, ტყეებზე, ყველაფერ იმაზე, რაც, ჩვეულებრივ, პორიზონტს ეფარება, სიტყვებს, რომელთა გვერდით უფერული გამოჩნდება ყოველგვარი ლიტერატურული შედარება. მაგრამ ბობოქარი თუ მშვიდი ზღვა განსაკუთრებით ულმობელი ეჩვენება იმათ, ვინც შინ ბრუნდება, ვის თვალწინ გადაშლილა უსასრულო სივრცე, რომელიც ხარბად და უგულოდ ნთქავს დღეებს ერთიმეორის მიყოლებით. სახლ-კარზე დარდი გვაიძულებს უსამართლოდ მოვექცეთ ოკეანეს და ხომალდს.

სალამოა. „კოოპერაციის“ მარჯვნივ, ერთნახევარი მილის მანძილზე, მიტურავს ხომალდი. მან, ალბათ, სუეცი გამოიარა და გეზი ავსტრალიისკენ უჭირავს. იგი წყალზე გართხმული ლეგა ღრუბლების ფერისაა და აქედან ღრუბლის ქულა გეგონება. მისი ორი ანძა ასანთის ღერსა ჰგავს, რომელთა წვერზე ციმციმებს თეთრი სინათლის ორი უტყვი და უძრავი წერტილი. გვეჩვენება, თითქოს ეს ხომალდიც ჩვენთვის ესოდენ მტრულად განწყობილი დროითა და სივრცითაა დატვირთული.

## ■ აპრილი

როგორც იქნა, გამოვედით დიდ გზაზე...

დილით, დაახლოებით ექვს საათზე, ავსტრალიიდან წამოსვლის შემდეგ პირველად დავინახეთ მიწა. ეს აფრიკის მატერიკია, იტალიის სომალი, გვარდაფუის კონცხი. „კოოპერაციამ“ ნახევარწრედ შემოუარა მას და აღენის უბეში შევიდა. მშვიდობით, ოკეანევ! ან იქნებ, ნახვამდის? ვინ იცის. მე უსამართლოდ ვწერდი და ვფიქრობდი მასზე. რასაკვირველია, ოკეანისათვის ეს სულ ერთია, ჩემი თქმით და ფიქრებით იგი არც უკეთესი გახდება და არც უარესი, და არც ინებებს ჩემზე განაწყენებას. იგი დიადია, დიადია დამშვიდებულიც და განრისხებულიც. მაგონდება ბრძენი პლატონი, მისი „მოძღვრება სულების შესახებ“. პლატონის აზრით, „სულის ეტლში“ შებმულია ორი ცხენი — მამაცობის ცხენი და გულისთქმის ცხენი. ეტლში კი ზის გონება. სამწუხაროდ (ეს ჩვენ კარგად ვიცით ზღვაოსნობის აღწერილობის მიხედვით), ოკეანეში მამაცობის ცხენიც და გულისთქმის ცხენიც თვითნებურად სხდებიან ეტლში,

თავიანთ ნაცვლად ეტლში აბამენ გონებას და მიერეკებიან. მაშინ კი ჩვენ არ ძალგვიძს შევაცქერდეთ ოკეანეს ისეთივე სიმშვიდით, როგორითაც იგი გვიცქერის ჩვენ. აი, ამ ბრძნული სტრიქონებით ვემშვიდობები მე ინდოეთის ოკეანეს.

ხომალდის მარცხნივ გადაჭიმულია სომალი, რომელიც მოციგ-ლიგე ალზიან ნისლში იძირება. იგი ძალიან მოგვიახლოვდა, როცა ჩვენ გვარდაფუის კონცხის ყველაზე მაღალ ადგილზე წამომართულ შუქურას გაუუსწორდით, ალბათ კილომეტრით ან კილომეტრ-ნახევრით თუ ვიქნებოდით ნაპირიდან დაშორებული. მიხაკისფერი, ღია მიხაკისფერი, ალა-ალაგ ღია ყვითელი კბოდებში მოშიშვლებულია და გამოფიტული. ისინი ციცაბოდ ეშვებიან ზღვაში და მზეზე ვარვარებენ. კბოდებს შორის ლურჯი წყლისკენ მიემართებიან დაბალი, უსიცოცხლო და უფერული ხეობები, რომლებიც უდაბნოს ქვიშითაა ამოვსებული და მდინარეებს თუ გლეტჩერთა ენებს ჰგვანან. არც ერთი სათევზაო ნავი, არც ერთი ქოხი, არც ერთი სულიერი არ ჰქაჟანებს ამ უჟაცრიელ და მოწყენილ ნაპირზე. მიხაკისფერ, მზით განათებულ კლდის ფონზე გაიელვებს წყლიდან მაღლა ამომ-ხტარი თევზი, იგი დგაფუნით ვარდება ძირს, იქნებ მასზე მოდარა-ჯებული ონავრის ხახაში.

ხომალდები აქ უფრო მეტია, მაგრამ მათი ერთი ნაწილი ალბათ ჰორიზონტსაა ამოფარებული. ჩვენ მხოლოდ იმ ხომალდებს ვხე-დავთ, რომლებიც ავსტრალიისკენ მიემართებიან, ან აფრიკის აღმო-სავლეთ ნაპირს მიჰყვებიან და გეზი სამხრეთისაკენ უქირავეთ.

დავინახეთ პირველი ზვიგენები. მართალია, ისინი აღარ არიან აგრესიულნი და ხომალდის წინ ცოტა ხნით ტრიალის შემდეგ სად-ღაც იკარგებიან, მაგრამ მაინც საზარელი სანახავეებია. რა გულის ამ-რევია ამ ხარბი თევზების ბლაგვად წაჭრილი თავი, რუხი ფერის ტანი და თავხედური მოძრაობა. როცა მათ უყურებ, უნებურად უფრო მაგრა ეჭიდები მოაჩირს. ჩიტი აქ ბევრია, მაგრამ არც იმდენი, რამდენიც ნაპირთან ახლოს უნდა იყოს. წყალზე დატურავს დაგ-ლეჯილი მწვანე წყალმცენარეები, ალბათ ზღვის ფსკერიდან თუ ამო-ტივტივდა.

ღიდი ხნის შემდეგ კვლავ დაქროლა გრილმა ნიავმა. ეკვატორის გამოვლის შემდეგ წყალმა ისევ იწყო აუზში გაგრილება და ახლა

მისი სითბო 24 გრადუსია, ჰაერის ტემპერატურა — 27 გრადუსი.

დღეიდან მოსკოვის დროით ვცხოვრობთ. ავსტრალიიდან მთელი რეისის მანძილზე ჩვენ გვექონდა ექვსი ოცდახუთსაათიანი დღელამე: ადელაიდის დრო ექვსი საათით უსწრებს მოსკოვის დროს. ახლა ჩვენ ყველგან პორტ-საიდის, ალექსანდრიის, დარდანელის, ოდესის გრძედებზე დავექვემდებარებით მოსკოვის დროს. ერთი რამ მაინცაა მყარი.

4 აპრილი

დილით გავიარეთ ბაბ-ელ-მანდების სრუტე და შევედით მეწამულ ზღვაში. ხელმარცხნივ აფრიკაა, ხელმარჯვნივ — არაბეთის ნახევარკუნძული. როგორც იქნა, ზღვა ოდნავ აღელდა და ნელა აგუგუნდა. ქრის ზურგის ქარი. კარგად მივცურავთ — უკანასკნელ ოც საათში გავიარეთ ორას ხუთი მილი.

ნასადილევს მარცხნივ მოვიტოვეთ კუნძული ცუგარი — ერთ-ერთი ყველაზე დიდი კუნძული მეწამულ ზღვაში. მის შორიანლო, ზოგან კილომეტრზე, გადის დიდი საზღვაო გზა. საკვირველი პეიზაჟია: შავი კონუსისებრი მთები (ცუგარის ყველაზე მაღალი მთის, ფუტის, სიმაღლე 2047 მეტრია), კლდოვანი მუქი ფერდობები. ყოველივე ეს ჩაძირულია მეწამული ზღვისთვის ესოდენ დამახასიათებელ თითქმის უფერულ, მოყვითალო-მონაცრისფრო ნისლში, რომელიც აბუნდოვნებს კონტურებს. საოცარია, იცურაოსიეთ ლურჯ, დიდ და მხიარულად მოტლამუნე ტალღებზე, რომელთა თავეზედაც მტერის ასეთი კორიანტელია. უდაბნო იჭრება ზღვაში, ყელი გიშრება, თვალები გეწვის. კბილებში კი კნაწაკნუწი გააქვს წვრილ, თვალთ უხილავ სილის მტვერს. როცა ქარი დაუბერავს არაბეთის ნახევარკუნძულიდან, ანდა აფრიკის უდაბნოდან, ქვიშის მტვერი ფარავს ყველაფერს და ორმოცდაათიოდე მეტრის მანძილზე ვერაფერს ხედავ.

მარჯვნივ მოვიტოვეთ კუნძული აბუ-ალი. ეს ფრიალო კბოდელებია, რომელთაც ისეთი ფერი ადევს, როგორითაც აღნიშნავენ ხოლმე რუკებზე უდაბნოს ზეგანებს. კუნძულის თხემზე წამოშარ-

თულია შუქურა. ჩვენ დიდხანს გავცქერით ზღვაზე გადმოკიდებულ კლდოვან კედელს. ზოგჯერ ღურბინდსაც ვიშველიებთ, მაგრამ ვერსად ეპოულობთ ხომალდის ან კანჯოს მისადგომ ადგილს. ალბათ უცნაური, განმარტოებული და არაბისთვის ნიშანდობლივი ერთი ფიქრით მოცული ცხოვრება აქვს ასეთი შუქურის რაზმს: ირგვლივ ზღვის სილურჯეა (მეწამული ზღვა ძალიან ლურჯია, ასე გასინჯეთ, მუქი ლურჯი), აღმოსავლეთით ცუგარია დანტეს „ჯოჯობეთის“ მსგავსი თავისი ლანდშაფტით, ჰაერში ქვიშის მტვერია, ცაში ცეცხლივით მოვიზგიზე უზარმაზარი მზე. გემები ჩაუვლიან ხოლმე კუნძულს, მოდიან სამხრეთიდან და მიდიან სამხრეთისკენ. და თუმცა მათ მიერ ავორებული, თევზის კუდის მსგავსი ტალღები აბუ-ალის ქარაფებს ეშხაპუნება, ეტყობა, თვით გემები ისევე მიუღწეველია შუქურის მომსახურებებისათვის, როგორც ცაში ვარსკვლავები.

ირგვლივ ბევრი ხომალდი ჩანს, ძირითადად ტანკერები. ყველაზე ლამაზი სანახაობა, რაც კი ოდესმე მინახავს ნაოსნობის პერიოდში, ვიხილე აქ, მეწამულ ზღვაში. შემოგვხვდა ცამეტი ათასი წყალწყვის დანიის ტანკერი „ანა მარსკა“. მას თეთრი გემბანის დანაშენი და ფირუზისფერი კორპუსი ჰქონდა. ყველაფერმა — მისმა ასხლეტილმა, მოხდენილმა კორპუსმა, მისმა ყოველი ნაწილით წინ მისწრაფებამ, თეთრი ქათვის გვირგვინით დაშვენებულმა მისმა ცისფერმა მკერდმა — ლამაზი ადამიანივით მოგვეტაცა თვალი. რა მშვენიერია ზოგიერთი ხომალდი — ფოლადის ჩამდვილი ზღაპარია! ჩვენ ჯერ ისევ შორს მიმავალ „ანას“ გავცქეროდით, რომ უცებ გამოჩნდა სავსებით მისი ორეული „ემა მარსკა“, რომელიც ფირუზისფერი მკერდით მიაპობდა წყალსა და ქარს. მათ, ორივეს, გეზი ბაბ-ელ-მანდების სრუტისაკენ ექირათ. ხომალდები თანდათან დაპატარავდნენ და ბოლოს გაქრნენ ზღვაზე მოციმციმე სილის მტვერში, როგორც ზღაპრული დები ივანეს ღამეს კოცონის ზემოთ გართხმულ ნამიან ნისლში.

სალამოს გემბანზე გვიჩვენებენ „ჯავშნოსან „პოტიომკინს“. ეკრანს ზემოთ გაბმულ ვანტებს შორის იმზირება მთვარე. ჩვენგან მარჯვნივ და მარცხნივ წყლის ზედაპირზე ნელა მიცურავენ გემების სინათლეები.

ღღეს სანიტარული ავრალია — მე და კუნინი ჩვენს კაიუტას ვრეცხავთ (ალბათ მეხუთედ) და სპილენძის ნაწილებს ვაპრიალებთ.

ზღვა საუცხოოა. ქრის გრილი, უაღრესად სასიამოვნო პირქარი. სიჩქარე კარგია. სამ, ოთხ დღეში შევალთ სუეცში.

უკვე აღარ მახსოვს, მირნიდან მეწამულ ზღვამდე რამდენჯერ შეიცვალა ჩვენი მარშრუტი. ჯერ ამბობდნენ, კეიპტაუნის გავლით გავემგზავრებით ევროპაშიო, მერე თქვეს პირდაპირ ჩრდილოეთისაკენ წავალთ, მაგრამ არ ვიცით. რომელ ნავსადგურში შევივლით პირველადო. შემდეგ დაასახელეს ავსტრალია — მელბურნი. უფრო გვიან თქვეს — წავალთ ახალ ზელანდიაში, ველინგტონში, იქიდან წამოვიყვანთ საზღვაო ექსპედიციის წევრებს და შესაძლოა, პანამის არხით დავბრუნდეთ სამშობლოშიო. საბოლოოდ, როგორც იყო, გამოჩნდა გარკვეული გეზი — აღელაიდა. ავსტრალიიდან მოყოლებული დღევანდლამდე უფრო მყარი გამოდგა უკან დაბრუნების შემდგომი ვარიანტი: სუეცის არხით ჩავალთ ალექსანდრიაში, იქ გადავსხდებით „პობედაზე“, რომელიც 19 აპრილს გავა ალექსანდრიიდან და 25-ში ჩავა ოდესაში. თუ ეს ვარიანტი საბოლოო იქნებოდა, მთელი კვირა დავრჩებოდით ეგვიპტეში.

ღღეს დილიდანვე ყველა ალაპარაკდა ახალ მარშრუტზე: ეგვიპტეში ხანმოკლე გაჩერების შემდეგ გავემგზავრებით პირეიში, საბერძნეთში, და იქ გადავსხდებით სამგზავრო გემ „ყირიმზე“. „ყირიმი“ საბერძნეთიდან 13 აპრილს გადის. ასე რომ, ჩვენ შესაძლოა, მთელი ერთი კვირით ადრე ჩავიდეთ შინ. მაგრამ ვფიქრობ, ეს ჯერ კიდევ არ უნდა იყოს საბოლოო ვარიანტი. მიუხედავად იმისა, რომ ეს ახალი, სავარაუდო მარშრუტები გარკვეულ უნდობლობას გვინერგავენ, მაინც შესანიშნავ გასართობს წარმოადგენენ ხომალდზე ერთფეროვანი ცხოვრების პერიოდში. გონების თვალთ მოგზაურობ იმ გზებზე, რომლებზედაც შესაძლოა, ვერასოდეს დაადგა ფეხი, თუმცა ყოველთვისაა იმის შესაძლებლობაც, რომ პირიქით მოხდეს.

იწყება ბარგის ჩალაგების ციებ-ციხელება.

14 საათსა და 30 წუთზე გადაკვეთეთ კირჩხიბის ტროპიკი და გამოვედით ტროპიკებიდან. ჯერ ისევ თბილი, მზიანი ამინდია, ქრის სუსტი პირქარი. უკვე მეორე დღეა ლაპარაკი არ წყდება მარშრუტის ბოლო ვარიანტზე. საინტერესოა, კვლავ დიდხანს იბოგინებს ეს ვარიანტი?

დილით გამოჩნდა დელფინების დიდი გუნდი, რომელმაც ხომალდის მიერ გაბობილ ტალღებში დაიწყო ანცობა. გუნდში ოცდაათი-ორდე დელფინი იქნებოდა. მფრინავი თევზები აქ უფრო პატარებია, ვიდრე ინდოეთის ოკეანეში. სამაგიეროდ, დელფინები კარგა მოზრდილები არიან. ისინი დიდხანს მოსდევდნენ ხომალდს. მათი წყალობით შეწყდა წინაერდოზე „სიმპოზიუმის“ სხდომა.

„სიმპოზიუმი“, როგორც ორგანიზაციული მუშაობის ფორმა, წარმოიშვა ავსტრალიიდან წამოსვლის შემდეგ. იგი არსებობდა ადრეც, ატლანტიკის თბილ განედებზეც, მაგრამ მაშინ ექსპედიციის საერთო კრების უფლებები არ ჰქონდა მოპოვებული. ამავე დროს, ეს მთლად საერთო კრება როდია. მასში მონაწილეობის მიღება აუცილებელი არ არის, თუმცა უამისოდაც იგი თავს უყრის მთელ კოლექტივს. კინო, ცეკვები, თვითშემოქმედება, ასევე გემის უფროსობის მიმართ პრეტენზიების გაფორმება — ყველა ამ საქმეში უმადლეს ხელისუფლებას ფაქტიურად „სიმპოზიუმი“ წარმოადგენს. მის სხდომებს არ ჰყავს მუდმივი თავმჯდომარე, მდივანი, არ არის, როგორც შეიძლება მოგეჩვენოთ, არავითარი წესრიგი. სხდომები ყოველთვის წინაერდოზე ტარდება. იგი მიმდინარეობს შზის გულზე, ღია ცის ქვეშ. ამ სხდომების ჩატარებაში არის რაღაც სტიქიური, რაღაც პირველყოფილი, რაც არ შეინიშნება სასადილო-ში გამართულ კრებებზე.

გადავხედოთ სხდომის მონაწილეებს. ყველანი უპერანგოდ არიან და მხოლოდ ტრუსები აცვიათ. ზოგს მესამედ სძვრება ტყავი, ზოგის კანი წითელია, ზოგის ყავისფერი, ზოგისა კი — უფრო მეტად ახალგაზრდებისა და აქტიურებისა — სულ შავი. ზოგიერთს გამოუტანია პირსახოცი თუ ლოგინის გადასათარებელი, რომ ზედ



გაიმხლართოს და მუცლით ან ზურგით მზეს მიეფიცოს. ფეხზე არავის აცვია.

იწყება „სიმპოზიუმი“. ზოგიერთი შეიბრუნებს გვერდს და ახედავს ორატორს (ან ორატორებს), ზოგიერთი მხოლოდ თავს წამოსწევს, პრეფერანსისა და დომინოს მოთამაშეები კი თავიანთ საქმეს განაგრძობენ; თუმცა ეს ხელს არ უშლით, ხელსაყრელ მომენტში თავიანთი სიტყვა ჩაუტრონ.

დღევანდელი „სიმპოზიუმის“ სხდომა თავისთავად დაიწყო. დღის წესრიგში მხოლოდ ერთი უმნიშვნელო საკითხია. თუკი საბერძნეთში გავლის ვარიანტი მოიხსნება (თუმცა იგი ჭერ არ მოხსნილა) და ჩვენ ალექსანდრიაში „პობედაზე“ გადავსხდებით, მსურველებს შეეძლებათ წავიდნენ კაიროში და იქ ექვსი ეგვიპტური გირვანქა დახარჯონ. მაშინვე გამოირკვა, რომ ნაწილს სურს წასვლა, ნაწილს — არა, და იქვე დაევალა ჭგუფის ხელმძღვანელებს, შეადგინონ მსურველთა სიები. მაგრამ სხდომა ამით როდი მთავრდება, პირიქით, იწყება. წამოიჭრა ისეთი საკითხი, რომ მოთამაშეებმაც კი თავი დაანებეს თავიანთ საქმეს და კამათში ჩაებნენ. გავრილოვი შეწუხებული და მოღუშულია, სამაგიეროდ. ტიხომიროვს სულგრძელად და გულმონწყალედ გაბადვრია სახე. იგივე, ერთმანეთის საწინააღმდეგო გრძნობები აღბეჭდვით სახეზე სხვებსაც, ზოგი კარგად მალავს ამას, ზოგი ცუდად. მოხდა რალაც წარმოუდგენელი ამბავი, რამაც ზოგის თავშეკავებული კმაყოფილება და ზოგის აშკარა უკმაყოფილება გამოიწვია.

— „მაშ, მოკლეს ჩვენი ფერდინანდი, არა?“ — ამბობს ვილაცა ცნობილ ფრაზას, რითაც იწყება „მამაცი ჯარისკაცი შევიკი“.

გავრილოვს თითქოს ბზიკმა უკბინა. მან ღრმად ამოიოხრა, ფართო გულ-მკერდი ამობურცა, მერე ნელ-ნელა ამოიფშვინა, მაგრამ არაფერი თქვა.

„შახტიორმა“ მოუგო მოსკოვის „დინამოს.“ ანგარიშით 2 : 1.

ერთი ამბავია. „სპარტაკის“ გულშემატკივრები თითქოს მეტისმეტად დანადვლიანებულნი არიან, გულმონწყალე თანაგრძნობა გამოხატვით, ვითომდა, შესანიშნავად ესმით „დინამოელების“ სულიერი კრიზისი. ისინი ღუმან, მაგრამ ზოგჯერ ღუმილიც მეტად მნიშვნელოვანია, გაცილებით მომაკვდინებელი, ვიდრე საუკეთესო

ორატორის სიტყვა. „დინამოს“ მომხრეთა სახეებზე დაბნეულობა და გაოცება ისახება. ახლა ჩემთვის ნათელი ხდება, ერთხელ რატომ მცემეს კინალამ მოსკოვის „დინამოს“ სტადიონზე, როცა საკუთარი გრძნობები გამოვხატე შეუფერებელ ადგილას და შეუფერებელ საზოგადოებაში, ესე იგი, მოწინააღმდეგე ბანაკის პატრიოტთა შორის. ფეხბურთის გულშემმატკივართა ქცევა, რამდენადაც დაკვირვებიდან ვიცი, ყველაზე ნაკლებად ემორჩილება გონებას. ეს არის ვნებათა ღელვა, ძლიერ განცდათა აღტყინება, თავდავიწყებამდე მისული გამარჯვების სიხარული და დამარცხების სიმწარე. შუა საუკუნეებში ასეთ ძლიერ განცდათა გამო რაინდები შუბზე აგებდნენ ერთიმეორეს, გონმიხდილი ბანოვანნი კი მკერდზე მისვენებულნი გამოჰყავდათ თავიანთ კავალრებს. ფეხბურთის გულშემმატკივართა შორის თავს ისე გრძნობ, თითქოს კვლავ კაცობრიობის ბავშვობის ხანაში მოხვდი და თვითონაც ბავშვად იქეცი.

— ჰოო, ორით ერთი... დაამარცხეს ჩვენი „დინამო“, დაამარცხეს, — ამბობს ტიხომიროვი, — მერედა, ვინ დაამარცხა? განა „სპარტაკმა“, „შახტიორმა!“

გავრილოვი ღონიერი ხელებით ეპიდება მოაჭირს.

— მერე რა მოხდა, რა მოხდა, რომ დაამარცხეს? — ამბობს იგი მრისხანედ და გაბრაზებით. — ზოგჯერ ხდება. მაგრამ „დინამოს“ ვინ შეედრება! (და იგი ჩამოთვლის „დინამოს“ მიღწევებს პირველობებსა და თასის გათამაშებაში, ყველა მის გამარჯვებას უახლოესი ისტორიის ხანაში). საუკეთესო გუნდია! „სპარტაკი“ კი... (ჩამოთვლის „სპარტაკის“ ყველა წაგებას და ერთ იმდენს ზედ უმატებს კიდევ). თუკი „დინამო“ საზღვარგარეთ წავა, ყველაზე ძლიერ გუნდებთან თამაშობს. გახსოვთ თამაშები ინგლისში? (ხელახალი ჩამოთვლა).

— კი მაგრამ, „შახტიორმა“ რომ მოუგო?! — ამბობს რომელიღაც „სპარტაკელი“ და ცდილობს გავრილოვი თანამედროვეობას და მშობლიურ ნიადაგს დაუბრუნოს.

მაგრამ ვალოდია განაგრძობს:

— ხოლო „სპარტაკს“ თუ აგზავნიან, აგზავნიან წყნარი ოკეანის, ანდა ინდოეთის ოკეანის რომელიმე კუნძულებზე, სადაც ისეთ ველურ ტომებთან ათამაშებენ, რომელთაც ჭერ ბუცებიც კი არ

უნახავთ: სამ თითს აიხვევენ ბანდით და ბურთს ფეხშიშველი დას-  
დევენ. ცხადია, „სპარტაკი“ იგებს თოთხმეტით ნოლს და მერე ბა-  
ჭიბუქობს ბურთების შეფარდებით.

— შენ „სპარტაკს“ მოეშვი. ერთით ორი „დინამომ“ წააგო, თო-  
რემ „სპარტაკმა“ კი არა.

— „წააგო“, „წააგო!“ მეც ვიცი, რომ წააგო! სახელმწიფოებ-  
რივი მოსაზრებით „შახტიორს“. არ უნდა მოეგო. (ასეთი ლოგიკა  
ზოგიერთებს აოცებს!) აბა, დაფიქრდით, როგორ იმოქმედებს ეს  
მეშახტეებზე. გახარებულები მომავალ კვირას მილიონით, ათი მი-  
ლიონით, ასი მილიონით ნაკლებ ქვანახშირს მოანგრევენ. (გავრი-  
ლოვი აგვიწერს პროცესს, თუ როგორ შემცირდება ასე ზღაპრუ-  
ლად ქვანახშირის მოპოვება.) „შახტიორს“ რომ „სპარტაკისთვის“  
მოეგო, მსგავსი არაფერი მოხდებოდა, მაგრამ რახან „დინამოს“ მო-  
უგო, უბედურება გარდაუვალია!

აქ კი მთელი „სიმპოზიუმი“ ერევა კამათში. იქნევენ ლონიერ,  
მზეზე გარუჯულ ხელებს და ფეხებს, ახდენენ დარტყმის ტექნიკის  
დემონსტრირებას, მეტყველება უცებ ხეაერიელდება სპეციალური  
ტერმინოლოგიით. უმნიშვნელოვანესი საკითხების გადასაწყვეტად  
მიმართავენ ყოფილ ფეხბურთელს, სიმონ გაიგეროვს. რამდენიმე  
ხანიც და, „დინამოს“ და „სპარტაკის“ მეტოქეობა იჩქმალება აბსტ-  
რაქტული პრობლემებით, წინაერდოზე შეფობს ფეხბურთი, მეფობს  
თითქმის ერთი საათი, ურყევად და ერთპიროვნულად.

ლურჯზე ლურჯია ზღვა, ქრის ნელი სიო, აცხუნებს მზე. ბევრი  
ხომალდი ირევა ირგვლივ. ჩვენ უკვე იმდენად მივეჩვიეთ მათ, რომ  
მხოლოდ ერთმა დიდმა სამგზავრო გემმა შეწყვიტა წამით ჩვენი  
„სიმპოზიუმი“. „სიმპოზიუმი“ დამთავრდა მას შემდეგ, რაც გემის  
წინ გამოჩნდა ორი ზვიგენი.

8 აპრილი

როგორც იქნა, ცნობილი გახდა ახალი, ვიმედოვნებთ, საბოლოო  
მარშრუტი და საბოლოო ვადები. მივდივართ ალექსანდრიაში, 13  
აპრილს გადავსნდებით „პობედაზე“, 16-ში ჩავალთ ბეირუთში, 19-  
ში ისევ დავბრუნდებით ალექსანდრიაში, იმავე საღამოს გავალთ

ნავსადგურიდან, 21-ში ვიქნებით პირეში, შუალამით დავტოვებთ პირეის, რამდენიმე საათით შევივლით სტამბოლში, ვარნასა და კონსტანცაში და 25 აპრილს ჩავალთ ოდესაში. ამრიგად, ეგვიპტეში ვრჩებით თითქმის მთელი ერთი კვირა. შესაძლოა, ხვალ ღამით უკვე კაიროში ვიყოთ, რა თქმა უნდა, თუ კიდევ რაიმე არ შეიცვალა.

1958 წლის 10 აპრილს, ღამით

კაირო, ობელი „ლუნა-პარკი“

რამდენიმე წუთის შემდეგ ოტელის მოსამსახურემ შემეყვანა ნომერში. ეს იყო შავთვალემა მაჰმადიანი ჰაბუკი, რომელსაც არწივისებური ცხვირი და პერგამენტისფერი სახე ჰქონდა. მას უცნაური გრძობით შეპყრობილი მივყვებოდი დერეფანში. ჰაბუკი სავესებით უჩუმრად მიაბიჯებდა. ეცვა კოჭებამდე ჩაშვებული თეთრი ხიფთანი, რომელზედაც წითელი ზონარი შემოერთყა და ცოტათი ხალათს ჰგავდა. მისი წითელი ფეხის შავი ფოჩი აქეთ-იქით ირხეოდა. როცა ნახევრად ჩაბნელებულ დერეფნებში მივაბიჯებდი, ასე მეგონა, სიჩუმესა და ლანდების გარემოცვაში მოვხვდი, მოულოდნელად სრულიად უცხო და შეუცნობელ სამყაროში აღმოვჩნდიმეთქი. ჩემმა მეგზურმა ერთ-ერთი ოთახის კარი გააღო, შიგ შევიდა, სინათლე აანთო, გულხელი დაიკრიფა და ისე მდაბლად დამიკრა თავი, რომ ფეხის ზემო ნაწილი გამოაჩინა. მერე თავი ასწია, მრელვარე თვალებით ჩიქურ შემომხედა და მობუბუნე ხმით წარმოთქვა:

— რუსი, კარქია!

ბოლოს გამიღიმა და ისევე უჩუმრად წავიდა, როგორც მოვიდა. ვათვალისწინებ ოთახს. დგას განიერი საწოლი, რომელზეც ძალიან პატარა ბალიშია, აგრეთვე სკამი, კარადა, საწოლთან ღამისნათურაიანი მაგიდა, პირსაბანი. ეს არის და ეს. ფანჯარა გადაპყურებს ჰასავით ვიწრო ოთხკუთხედ ეზოს, იქ კაცის ჰაჭანება არაა. სხვა ფანჯრები ან მუქადაა შეღებილი, ან დაკაბებმბიხურულია. მათ ზემოთ მოჩანს აქა-იქ ვარსკვლავებმბმობნეული, დიდი ქალაქის ჩი-

რადღნებისა და რეკლამების არილით ოდნავ შეფაკლული ცის ნაგ-  
ლეჯი. ოთახში ფანჯრებიდან ძლივს აღწევს დამეული ქალაქის  
ამაღლელებელი უცხო ხმები.

...სუეცის რეიდს ნაშუადღევის ცხრა საათზე მივადექით. „კო-  
ოპერაციამ“ ქალაქთან საკმაოდ ახლოს ჩაუშვა ღუზა. ჩვენ გავყუ-  
რებდით ქალაქს, არხის რაბიან ჭიშკარს და ხშირად დურბინდს ვი-  
შარჯვებდით. სუეცი სავსებით თანამედროვე ქალაქია, განსაკუთრე-  
ბით კი ნავსადგურთან ახლოს აგებული სახლებია თანამედროვე.  
როგორც ჩანს, სუეცი ახალგაზრდა ქალაქს წარმოადგენს, თუმცა  
პირველად მეთვე საუკუნის ცნობებშია მოხსენიებული. XVI საუკუ-  
ნეში, როცა თურქებმა დაიპყრეს, იგი გახდა დიდმნიშვნელოვანი  
სამხედრო და სავაჭრო ნავსადგური, მაგრამ შემდეგ თანდათანო-  
ბით დაკარგა თავისი მნიშვნელობა და სიდიადე. სუეცი აღორძინდა  
1869 წელს, მას შემდეგ, რაც სუეცის არხი გაიხსნა. ახლა აქ (1952  
წლის ცნობით) ას თხუთმეტი ათასი მცხოვრებია.

სალამოს კანჯობით გადაგვიყვანეს ნაპირზე. ტურისტულმა კან-  
ტორამ, რომელმაც კაიროში ჩვენი წაყვანა ითავა, მანქანები გამო-  
გზავნა. გავიარეთ სუეცი. მან ახლოდანაც ისეთივე შთაბეჭდილება  
დატოვა, როგორც რეიდიდან — შთაბეჭდილება თანამედროვე მდი-  
დარი ქალაქისა. ოღონდ, ასე გგონია, რომ მისი ას თხუთმეტი ათასი  
მცხოვრები ერთ ციდა ფართობზეა დასახლებული, რომ უდაბნოს  
ქვიშა მხრების გაშლის საშუალებას არ აძლევს ქალაქს და ნაპირი-  
დან ბიჯს არ ადგმეიინებს.

გავემგზავრეთ კაიროში. მზე შუბის ტარზეა და დაყინებით და-  
გვცქერის მოყვითალო-მოწითალო, მოღლილი, ფართოდ გახელი-  
ლი თვალებით. მანქანის ფანჯრები დახურულია, მაგრამ კბილებში  
უკვე აკრაწუნდა სილა. ირგვლივ ერთფეროვანი, ნაღვლიანი, უხა-  
ლისო პეიზაჟია. ბალახი მეჩხერია და ფშვიკი. მიწა გაშიშვლებუ-  
ლია, მოჩანს ფოთლებშიმწვარი ჯუჯა ხეები და განმარტოებულად  
მდგარი სახლები. შორს შიაბიჯებს ოთხი აქლემი. აქლემებზე სხე-  
დან ჩაქუფრული მხედრები, რომლებიც თითქოს მათ ზურგებს  
შეზრდიან. ჩვენ ვხედავთ რწევით მიმავალ „უდაბნოს ხომალდე-  
ბის“ მაღალ კისრებს, მათ კუზებს, მათ გრძელ ფეხებს, ვხედავთ  
მათ უკან გადაშლილ ყვითელი ფერის ოდნავ დატალღულ დაბლობს,

რომელსაც კიდევბეჭეწითლებული მკრთალი ცა გადმომხობია თავ-ზე. საოცრად ჰგავს უდაბნო ზღვას და ასევე საოცრად განსხვავდება მისგან. უეცრად ბნელდება, ცაზე აკიაფდნენ ვარსკვლავები და ჩვენ ახლა ვხედავთ მხოლოდ მანქანის შუქფარით განათებული ერთი მტკაველი უცხო მიწის ზოლს. ვხედავთ მარტოოდენ ასფალტიან გზას, მის გასწვრივ ჩამწკრივებულ ხეთა სილუეტებს, მანქანის შუქით უნებლიეთ განათებულ სახლის კედლებს და ყელზე მოწკარუნე ზანზალაკებშებმულ თითო-ოროლა აქლემს, რომელთა ზურგზე მდუმარე ეგვიპტელები სხედან. ჩვენ მივქრევართ სიბნელეში ჩაძირული ეგვიპტის სივრცეებზე და ვერაფერს ვარჩევთ. სანამ ცის ტატნობს კაიროს არილი არ შემოენთო.

აი, პირველი შთაბეჭდილებანი, რომლებიც კაირომ მოახდინა ჩვენზე ამ გვიან საღამოს. ევროპული ელფერი ადევთ უკვე მიწყნარებულ ქუჩებს, ამ ქუჩებით ჩვენ ოტელ „ლუნა-პარკისაკენ“ მივემართებით, ევროპულ ყაიდაზე აცვიათ მოგვიანებულ მგზავრებსაც, თუმცა სახით არ ჰგვანან ევროპელებს. ამ მთვლემარე ქალაქშიც კი არის რაღაც სახეიმო და ამაღლევებელი. კედლებზე ყველგან გაკრულია ლაკონური პლაკატები, რომლებზედაც ვარსკვლავების ფონზე გამოხატულია იატაგანი. ყოველ ნაბიჯზე დაინახავთ გამალ აბდელ ნასერისა და სირიის პრეზიდენტის სურათებს. ყველა კედლიდან, ყველა ვიტრინიდან შემოგვცქერის ნასერის მომღიმარი სახე. ეტყობა, მას შემდეგ, რაც ეგვიპტე და სირია შეკავშირდა და იქცა არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკად, ჰაერი გაჟღენთილია მხოლოდ ერთი ფიქრით, ერთი მისწრაფებით, ერთი ანდამატური ძალის მოწოდებით:

— არაბებო, გაერთიანდით!

ოტელ „ლუნა-პარკში“ ისე მიგვიღეს, როგორც დიდი ხნის ნატრული სტუმრები. ვახშმობის ეამს ხშირად გაისმოდა სიტყვები: „რუსი, კარქია!“, რაც შემდეგ უცვლელ რეფრენად იქცა. ჩვენმა „ინგლისელებმა“ ყოველი ღონე იხმარეს, მაგრამ ვერაფრით ვერ გააგებინეს მასპინძლებს, საიდან ვიყავით ჩამოსულები. ჩვენ რომ გვეთქვა ანტარქტიკიდან კი არა, მთვარიდან ჩამოვედითო, ეს უფრო გასაგები და ნაცნობი იქნებოდა მათთვის. მასპინძლები წამდაუწყებ იმეორებდნენ: „ანტარქტისი, ანტარქტისი“, მაგრამ როგორც ჩანდა,

ეს სიტყვა არაფერს ეუბნებოდა მათ. გასიგებოდა. ალაჰის შეუფება, მისი სული გადასწვდენია მინარეთებს, ოაზისებს, უდაბნოებს, ხალხის მასაზრდოებელ მდინარეებს, ხოლო ცივ ზღვებთან, თოვლსა და ყინულთან წინასწარმეტყველს არასოდეს ჰქონია კავშირი.

რა განცხრომა ისევ დაიძინო ნამდვილ საწოლში, თუმცა უცხო, მაგრამ მაინც ნამდვილ ოთახში!

ღამე ნებისა!

II პრილი, ღამე

ხველთაშუა ზღვა

ყოფილხართ კაიროში? ალბათ არა, ყოველ შემთხვევაში, უმეტესობა არ ყოფილა. მე ერთი ღამე შეძინა კაიროში, ერთი დღე ვიხეტიალე მის ქუჩებში, და რომ გაიცნოთ ეს ქალაქი, გირჩევთ გადაშალოთ დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის მეცხრამეტე ტომი 371-ე და 372-ე გვერდებზე და წაიკითხოთ მთელი ტექსტი „კაინსკა“ და „კაიროზე“ სტატიებს შორის. მხოლოდ ერთი დღის ყოფნის შემდეგ ქალაქში, რომელიც გასურდა დაგეთვალთ იერებინა, შეგესწავლა, შეგეცნო, და იქნებ, ზოგადად აღგეწერა კიდევ, თითქმის ყოველივე ქრება და რჩება ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფიქრები და ცნობები, ახალი სახელებისა და ციფრების კალეიდოსკოპი; და სწორედ ის, რაც ყველაზე მეტად გინდოდა გაგეგო, იმის საწინდარია, რომ ვერაფერს გაიგებ და თითქმის ვერაფერს ნახავ. ვიყავით ეგვიპტის მუზეუმში. შევცქეროდი მუმიებს, ქვის ფარაონებსა და დედოფლებს, წმიდანად მიჩნეულ ხარებს, ძველებურ პორტალებს, ბარელიეფებს და ფრესკებს, ქანდაკებებს, უძველეს მონეტებს. ვიხილე ძველი ხანის არაჩვეულებრივად მდიდარი კულტურა, რომელიც გაკრული იყო კედლებსა და სტენდებზე, გამოფენილი იყო ვიტრინებში. ჩვენ ისე მივაბიჯებდით კულტურის ამ ნიმუშებს შორის, როგორც საპატიო ყარაულის წინ. და გვეგონა, რომ ათასი წლის წინანდელი ოსტატების მიერ საჭრისით გამოკვეთილ ფარაონთა თვალები დამცინავად შემოგვეცქეროდნენ. ერთ დღეში ვერ შეიცნობ ყოველივე იმას, რასაც საუკუნეების მანძილზე ქმნიდა უძველესი ეგვიპტელი ხალხი,

ჩვენთვის ესოდენ შორეულსა და უცხოს, ესოდენ დიადსა და მშვენიერს. ერთი სული გაქვს ისევ მოხვიდე აქ, რომ ფიქრობოდა კვლავ მდუმარედ იხეტილო ნახევრად ჩაბნელებულ დარბაზებში. მარტოდენ ამ სურვილისთვისაც კი უნდა იყო მადლობელი. დედოფალ ნეფერტიტას თაბაშირის პატარა ქანდაკება, რომელიც კაიროში შევიძინე, ახლა მაგიდიდან ისე შემომტკეერის, თითქოს მეუბნება:

— დაბრუნდი!

ვიყავით მუჰამედ-ალის მეჩეთში.

ღირს კი დავასახელო თარიღები, მეჩეთის ზომები, შევჩერდე აღწერაზე? არ ღირს, რადგან ჯერჯერობით ისინი მეც არაფერს მეუბნებიან. მეჩეთში არის საუცხოო ხალიჩები და იღვრება ელექტროშუქი, მსგავსი სანთლების შუქისა. დარბაზს მიდგმული აქვს ვიწრო აივანი ქალთათვის. აივანი უხალიჩოა და კრეტსაბმელითაა გამოყოფილი. მუჰამედ-ალის მეჩეთის ხუროთმოძღვრება მოლიან. დასრულებულ შთაბეჭდილებას ახდენს. აქ თითქოს ყველაფერს თავისთავად უპოვია საკუთარი ადგილი და ჩვენ ფეხსაცმელგახდილნი, წითელ ხალიჩაზე მორთხმულნი ჩუმად გამოვხატავთ ჩვენს აღფრთოვანებას დიდი ხნის წინათ გარდაცვლილი ხუროთმოძღვრისადმი, რომელსაც აუგია სინათლით გაჩახჩახებული შენობა. ამ შენობას არც სიგრილე აკლია, არც მსუბუქი ჩრდილი, არც ჰაერი, არც უჩვეულოდ ჰარმონიული სილამაზე. მეჩეთის ისტორია, რომელიც კარგი რუსულით გვიამბო გიდმა, ჩვეულებრივია და არაფრით განსხვავდება სხვა მეჩეთების ისტორიისაგან.

რა ნაყოფიერი გამოდგა ჩვენთვის ეს დღე! კაიროდან გავემგზავრეთ გიზაში, რომელიც ნილოსის მარცხენა ნაპირზეა გაშენებული. რა თქმა უნდა, ჩვენ საბჭოთა კავშირში შეჩვეული ვართ ისეთ უზარმაზარ მდინარეებს, როგორიც სახელგანთქმული ნილოსია. ჩვენ ვერაფრით ვაგვაოცა ეგვიპტის მამამ, მისმა მასაზრდოებელმა, მისმა მთავარმა არტერიამ, მისმა სათაყვანებელმა მდინარემ. ვერ ვაგვაოცა ვერც თავისი სიგანით, ვერც თავისი სწრაფი დინებით, ვერც თავისი სილურჯით. თუმცადა, ოკეანის შემდეგ, სადაც თვალი ეჩვევა ხმელეთისთვის არაჩვეულებრივ მასშტაბებს, ყოველი მდინარე მოკრძალებულად გამოიყურება.



როგორც ვერავეითარი მთა ვერ შეედრება გიგანტურ აისბერგს, როგორც ხმელეთის ვერავეითარი მღლუმარება, რაც უნდ უკიდურესი იყოს იგი, ვერ შეედრება ოკეანის მკაცრ მღლუმარებას, ასევე ვერაფერი შეედრება ეგვიპტის პირამიდებს. ჩვენი მანქანები შეუყვენენ გიზას პირამიდებისაკენ მიმავალ ფერდობებს. უკან ცხენებითა და აქლემებით გამოგვედევნა ასამღე ეგვიპტელი (რომ სურათები გადაგვეღო მათთვის). აჰა, ცის ფონზე გამოჩნდა გიზას სამი პირამიდის წვერი. მათ შორის პირველი ხეოპსის პირამიდაა, მის გარშემო გადაჭიმულია სილა და ასე გგონია, პირამიდის უზარმაზარი სამკუთხე ყვითელი კედლები სილიდანააო ამოზრდილი. როცა პირამიდას ქვემოდან ასცქერი, იგი წყურვილისგან გათანგულ ცის ლავარდში იკარგება და ასე გგონია, ფონად მხოლოდ ცა და უდაბნო შეეფერებაო.

ვიცოდი, რომ ხეოპსის პირამიდა აგებულია დაახლოებით ორი ათასი შვიდასი წლის წინათ ჩვენს ერამღე. ვიცოდი, რომ იგი ააგო თავისთვის ეგვიპტის მეოთხე დინასტიის ფარაონმა ხეოპსმა, როგორც უკანასკნელი სამკვიდრებელი. ვიცოდი, რომ ორასი ათასი მონა აგებდა მას ოცდაათი წლის განმავლობაში. ისინი ერთმანეთზე აწყობდნენ ორნახევარ-სამტონიან ლოდებს. მე ისიც ვიცოდი, რომ პირამიდის სიმაღლე ას ორმოცდაექვსი მეტრია, მაშასადამე, ტალინის ოლევისტეს ტაძარზე მაღალია. მაგრამ პირამიდის კვადრატული საძირკვლის ყოველი მხარე ისე გრძელია, რომ თავდაპირველად ჩვენ არც კი მიგვიქცევია ყურადღება მისი სიმაღლისათვის. მხოლოდ უფრო გვიან, როცა მზერა გადაგაქვს ქვის ერთი მწკრივიდან მეორეზე, რომელიც თანდათანობით ვიწროვდება ზემოთკენ და უკანაა გადაქანებული, როცა ადარებ პირამიდის სიდიდეს ადამიანების, სახლების და სხვა საგნების სიდიდეს, როცა შორიდან გახედავ მას და მის გვერდით დაინახავ სათამაშოსავით ერთი ციქქნა აქლემის ქანდაკებას, მქვევრმეტყველების უნარი გეკარგება.

შევდივართ აკლდამაში. ქვაში გაქრილი ვიწრო შესასვლელი მიემართება უსწორმასწორო კედლებს შორის. იძულებული ხარ ყოველ წუთს დაიხარო, რომ ქვას თავი არ მიარტყა. მერე იწყება დახრილი გასასვლელი, რომელიც პირამიდის წვერისკენ მიემართე-

ბა. აკლდამა აქაა მოთავსებული. უზარმაზარი ლოდებისაგან ნაგები კედლები გაპრიალებულია. საკმარისია ზევით აიხედო, რომ სუნთქვა შეგეკრას. ვიწრო და მაღალი ტალანი თითქმის ორმოცდახუთი გრადუსიანი კუთხით მიემართება მაღლა და სიცოცხლესავით დაუსრულებელი გეჩვენება. ლუმინესცენციურ სინათლეზე ჩვენი სახეები ფერგამქრალი და ბებრული ჩანს. თითქმის დაოთხილი მიყვებით ლითონისიატაკიან დახრილ გასასვლელს. პაერი მშრალია და კირის სუნით გაუღენთილი. მე დაახლოებით ჩვენი ჯგუფის შუაში მივდივარ და მესმის წინმავალი ხალხის გახშირებული, მძიმე სუნთქვა. როცა უკან ვიხედები, ვამჩნევ როგორ მოფოფხავს ჩემს ნაკვალევზე ოციოდე კაცი. მათ ჩათეთქილი სახეები და ამოღამებული თვალები აქვთ. სულს ძლივს ვითქვამთ. მაღალ და ვიწრო ტალანს ბოლო არ უჩანს. გრძნობ შენს ზემოთ ათასობით ტონა ქვის სიმძიმეს და ტალანში დაგუბებული ათასწლეულის სუნთქვას.

მივალწიეთ აკლდამას. აქაც ლუმინესცენციური სინათლეა. ეს არის გაპრიალებული ქვისკედლებიანი ვიწრო და მაღალი, გრანდიოზული დარბაზი. აქვეა გლუვი გრანიტისაგან ნაგები დიდი სარკოფაგი, რომელშიც ოდესღაც ხეობის მუმია ესვენა. შთაბეჭდილებებს ხმადაბლა ვუზიარებთ ერთმანეთს, რადგან ეს გამოცარიელებული აკლდამაც უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენს. აქედან რამდენიმე მეტრის დაშორებით კი არის მცხუნვარე მზე, მხურვალე ქვიშა, ლურჯი ცა და არაბები თავიანთი აქლემებითა და სავაკროს საქმეებით. მაგრამ ამჟამად გგონია, რომ ყოველივე ეს შორსაა, ძალიან შორს. აქ, პირამიდაში შემოსული, თითქოს დროის ლუპაში იყურები. აქ მიწისქვეშა სამეფოს ღმერთის, ოზირისის, სამფლობელოა, მღუმარებისა და ათასწლეულის სამფლობელო, აქ ყველაფერი უცვლელი გეჩვენება, ანდა ისე ნელა ცვალებადი, როგორც მუღმივ ყინულებში უზომოდ ღრმად ჩამარხული რაიმე ნივთი.

ისევ გარეთ გამოვედით და შვევით ამოვისუნთქეთ. გიზას უზარმაზარი, ქვისსახიანი სფინქსი ნაღვლიან ფიქრებში ჩაძირულა და შორეულ სივრცეს გასცქერის. მშვიდად და დიდებულად გაწოლილა იგი და თავისი ლომის ტანი თაკარა მზისთვის მიუფიცხებია. ხუთი ათასი წელი აწევს მას თავის უდრეკ მხრებზე.

არა, აქ უნდა დავბრუნდე!

კაიროდან გვიან საღამოს წამოვედით. საღამო გრილი იყო და ნოტიო. ჩავედით იზმაილში, იქ კი გზიდან გადავუხვიეთ და არხის პარალელურ გზატკეცილს გავყევით პორტ-საიდისკენ. სამხედრო პატრულები გზადაგზა გვაჩერებდნენ, საბუთებს გეისინჯავდნენ და ნებას გვრთავდნენ გზა განგვეგრძო. აქ, არხის ზონაში, ისევე როგორც მთელ ეგვიპტეში, ნარკოტიკების კონტრაბანდას ებრძვიან...

გზატკეცილიდან უცნაური ჩანს სუეცის არხი. გზა, რომელზედაც მიქრიან ჩვენი მანქანები, ოდნავ მაღლაა წყლის დონეზე. სარკესავით გლუვი ხელოვნური წყალსატევი ხშირად ქვიშიან დიუნებს ეფარება. მერე უცებ ისევ გამოკრთება და ჩვენს თვალწინ გაივლებს კუპრივით შავი, გარინდებული წყლის ზედაპირი, რომელზედაც ოქროს ვაშლის მსგავსი ფარნების ანარეკლი ციმციმებს. ერთი წამი და, სუეცის არხის ორივე ნაპირი ერწყმის სინაის უდაბნოს წყვედიად, უდაბნოსი, რომელიც გულგრილად ნთქავს ოცდათხუთმეტი ფუტის სიღრმის მლაშე წყლის ვიწრო ზოლს. და უცებ უდაბნოს შუაგულში ხედავ ხომალდებს, ხედავ მათ სასიგნალო სინათლეს, მათ გაჩირადდნებულ ილუმინატორებს და გემბანებს, ხედავ მათ მძიმე კორპუსებზე აღმართულ დანაშენებს და მსხვილ ანძებს. თავდაპირველად ასე გგონია, ოკეანეში მიმავალი აქლემი დავინახეო. გემი, რომელიც ყოველთვის ვეება ჩანს ზღვაზე, აქ ერთი ციკქნად გამოიყურება. იგი თითქოს პატარაედება უდაბნოს პორიზონტისკენ თანდათანობით აღმავალი პანორამის ფონზე.

აჰა, პორტ-საიდიც. ვსვამთ ყავას საბაჟოს დაბალ შენობაში და მერე მივდივართ რეიდზე, რათა დავხვდეთ „კოოპერაციას“. ყვირიან მენავეები, კანჯოებიდან და ხომალდებიდანაც მოისმის შეძახილები. ციმციმებენ შუქურები, ზეთჟოღებულ, ზანტად მოტლამუნე ტალღებზე გველთვეზასავით იკლაკნება სინათლის მოგრძო ანარეკლი. უზარმაზარ გემებს ღუზა ჩაუშვიათ და გარინდებულან. ირგვლივ მეფობს თანამედროვე „ათას ერთი ღამის“ ზღაპარი. მარჯვნივ კი გაწოლილია ქალაქი პორტ-საიდი, რომელშიც 1956 წელს ინგლისელმა და ფრანგმა „პოლიციელებმა“ მიწასთან გაასწორეს მუშათა ორი კვარტალი. ჩაბნელებულ ცაზე მიცურავს

ყვეთელი მთვარე. ხმადაბლა ვკითხულობ სტრიქონებს ესენინის  
ბალადიდან — „ოცდაექვსის შესახებ“:

ღამე მღვრიე  
ნისლით ფარავს არეხ,  
ცად ნუსვიეთ  
მიაგორებს მთვარეს.  
ტალღა ტალღას  
ებჯინება სწრაფი,  
ზღვა შრიალებს,  
ესეთქება ნაპირს.  
ო, ასეთი  
ნისლი იდგა ცაში,  
ასეთივე  
ღამე იყო მაშინ,  
ოდეს ქუხდა  
ბრიტანელი რისხვით,  
თქრიალებდა  
ოდეს წმიდა სისხლი.

არხიდან გამოდიან ხომალდები. ჩვენ კარგა ხანს ვეძებთ „კოოპე-  
რაციას“, მაგრამ ვერ ვპოულობთ. არხში გავლისას ხომალდები ჩთა-  
ვენ მძლავრ პროექტორებს, რომლებიც თვალსა ჭრის და ხომალ-  
დებს ერთმანეთისაგან ვედარ ვარჩევთ. ბოლოს თვალი მოექარა  
„კოოპერაციას“. მან სვლის შეუწყნებლად ჩაგვიარა გვერდით.  
ჩვენ კი ჰაერში დაკიდებულ ტრაპზე გადავხტით მოტორიანი ნავე-  
ბიდან.

1858 წლის 12 აპრილი

ალექსანდრია

გუშინ, 11 აპრილს, მივედით ალექსანდრიის რეიდზე. ხმელთა-  
შუა ზღვის წყალი ნაპირებთან ერთიანად მოფენილი იყო მოყვითა-  
ლო ლაქებით, გეგონებოდათ ბალტიის ქამბალები ირწევიანო წყალ-  
ში. ეს იყო ქვიშის ნაყარი, მწყურვალე უდაბნოს წყალქვეშა განტო-  
ტება, რომელიც აქ შტორმის შემდეგ წამომართულა. მძიმე ტალღა

ეტილაშუნება „კოოპერაციის“ კიმს. მისი გულისგამაწვრილებელი, გამოზომილი დგაფენი მხოლოდ მაშინ შეწყდა, როცა ჩვენმა ხომალდმა ლუზა ჩაუშვა და ცხვირით ქარისკენ შებრუნდა.

შესანიშნავი ხედი იშლება ზღვიდან! რამდენიმე მილის დაშორებით დაცემულ ნაპირზე გაშლილა ქათქათა, ლაბაზი, შთამბეჭდავი ქალაქი. იგი თვალისმომჭრელად ბზინავს მცხუნვარე მზის სხივებში. მზეზე ელვარებენ ათსართულიანი ევროპული სახლების ზღვისკენ მიქცეული თეთრი ფასადები. მინარეთები ცისკენ აწვდილან-ერთადერთი ჩამუქებული ადგილი ნავმისადგომია. თალხი ფერი დასდებია ამწეების გაქვარტლულ კოშკურებს და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დიდ სავაჭრო გემს. იგი ნელა მოძრაობს და ჩაქუფრული კორპუსით დროდადრო ეფარება სახლების ქვედასართულებს, გემის მილი კი მიცურავს მინარეთების ნახევარმთვარეებს ქვემოთ. მაგრამ აჰა, საბუქსირო გემებმა ხომალდი გვერდზე გაიყვანეს და ჩვენს თვალწინ კვლავ გადაიშალა ეს ზღაპრული ქალაქი. ალექსანდრია გარეგნულად ევროპული ყადის ქალაქია. მისი სახე შეღებილი და უჩადროა. მაგრამ ქალაქს უკველად აქვს სხვა სახე, ნამდვილად არაბული, შეათვალებიანი, რომელიც ჩადრითაა შებურვილი. ალბათ, იგი უფრო უბრალოა და გაცილებით კრელი.

ალექსანდრია თავის მიდამოებიანად ყველაზე მდიდარია მცენარეულობით ეგვიპტის ქალაქებს შორის. იგი გაშენებულია ნილოსის დელტაზე, რომელსაც სიუხვით აუვსია მთელი ქალაქი.

ახალი ქალაქი ყოველთვის გაღელვებს. გინდ ალექსანდრია იყოს, და გინდ ესტონეთის რომელიმე მივარდნილი რაიონული ცენტრი. პირველი გაღელვებს თავისი სიძველით, თავისი ისტორიითა და დღევანდლობით; მეორე კი — თავისი ზრდის ტემპებით. ახალი კვარტალების მშენებლობით, ახალი ტრადიციების შექმნით.

ალექსანდრიას ცუდად ვიცნობ. ვიცი, რომ იგი დააარსა ალექსანდრე მაკედონელმა 332—331 წლებში ჩვენს ერამდე. ვიცნობ სხვადასხვა ხალხების კულტურის ცალკეულ ნაწილებს. ეს ბერძნული, რომაული, ეგვიპტური, იუდეური კულტურაა. რომელიც აქ ერთ ნაკადად ქცეულა. ვიცნობ ანტიკური ხანის ზოგიერთ მწერალს: რომლებიც დაახლოებით ორი ათასი წლის წინათ შესაძლოა ამ სა-

ნაპიროდან გასცქეროდნენ ხმელთაშუა ზღვას. აქ აყვავდა მეცნიერება და ლიტერატურა, აქ ჩაუყარეს პირველად ბერძნებმა საფუძველი ბუნების ზუსტ შესწავლას. მაგრამ მეოთხე საუკუნეში, მებრძოლი ქრისტიანობის საუკუნეში, ამას ბოლო მოუღო და ალექსანდრიაში, როგორც მეცნიერულმა ცენტრმა, შეწყვიტა არსებობა. ენგელსმა ჯვაროსნულ ლაშქრობას „კაცობრიობის სიგიჟის შესანიშნავი ძეგლი“ უწოდა. და როცა ეპისკოპოსმა თეოფილემ 391 წელს განკარგულება გასცა გაენადგურებინათ ალექსანდრიის ბიბლიოთეკა, რომელშიც შეიღასი ათასი ხელნაწერი ინახებოდა და იმდროისათვის უდიდეს საგანძურს წარმოადგენდა, რის შემდეგაც უკვე მიკვლეული ხელნაწერები დიდი ხნით დროის წყვედიადში ჩაინთქა. ამაში გამოვლინდა იგივე უაზრო გიჟური ფანატიზმი, რამაც რამდენიმე საუკუნის შემდეგ აიძულა ოცი ათასი კაცი ჯვაროსნულ ლაშქრობას შედგომოდა „ქრისტეს საფლავის დასახსნელად“. აქ, ალექსანდრიაში, შეიქმნა სიბილას წინასწარმეტყველური სიმღერები, რომლებშიც აისახა ელინიზირებული ებრაელი მოსახლეობის დაბალი ფენების დამოკიდებულება რომის იმპერიისადმი. სიბილა ეუბნება რომს:

„ვאי შენ, ვაი, ფურია, შხამიან გველთა მეგობარო დადუმდი, ფლიდო ქალაქო, ერთ დროს საზეიმო ხმებით მოცულო. ვერ ეღირსები ამიერიდან მსხვერპლს შენს სამსხვერპლოზე... შენ თავს ჰხრა დაბლა, ზვიადო რომო ცეცხლი შთანგთქავს შენ, შენი სიმდიდრე გაქრება, შენი ნანგრევები მგლებისა და ტურების ბუნაგად იქცევა, და ისე აღიგვები, თითქოს არც არსებულხარ“.

1517 წელს ალექსანდრია გაანადგურეს თურქებმა. მიწასთან ისე გაასწორეს, თითქოს არასოდეს არც არსებულა. შეთერამეტე საუკუნეში იმ ადგილებში, სადაც ახლა სახლების თეთრი ფასადები გადაკეცილებს ზღვას, მხოლოდ ექვსი ათასი კაცი ცხოვრობდა.

როცა რეიდზე ვიდექით, რატომღაც მომეჩვენა, რომ უკვე ნანახი მქონდა ალექსანდრია. ეს არ იყო არც ახლანდელი ქალაქი, არც ალექსანდრე მაკედონელის დროინდელი. ეს არ იყო არც 391 წელს დაბრუნებული ალექსანდრია, ანაფორების შავი ღრუბელით დაფარული. ეს არც ის ქალაქი იყო, რომელიც 1517 წელს თურქების იატაკანების, რბევისა და ცეცხლის მსხვერპლი გახდა. არა, მე ვიხილე

რალაც შუალედური, განსაკუთრებული ქალაქი. კი მაგრამ, სად ვიხილე მე იგი? „ალექსანდრიაში“, ფოიხტვანგერის „იუდეველთა ომის“ მეოთხე წიგნში, რომელიც დიდი ხნის წინათ მქონდა წაკითხული. ის ალექსანდრია დიდი ქალაქი იყო, რომლის მოსახლეობა მილიონ ორას ათას კაცს შეადგენდა, ის იყო შრომისმოყვარე და სიცოცხლეს დახარბებული ქალაქი, მთავარი მსოფლიო ბაზარი, უძველესი ხანის იმპერატორთა რეზიდენცია. აქ იყო მუზეუმი, შესანიშნავი ბიბლიოთეკა, მავზოლეუმი, სადაც ესვენა ალექსანდრე დიდის ბროლის კუბო, თეატრი, იპოდრომი, გემთსაშენი, სახელოსნოები. აქაური მუზეუმი სჯობნიდა რომისა და ათენის მუზეუმებს, სკოლები — რომის სკოლებს. აქ იმპერატორ ვესპასიანეს ამაღლაში ჩამოდიოდა იოსებ ფლავიუსი, აქ განაცხადა თანხმობა გაეწყებათ იგი, რათა თავი დაეღწია მეუღლე მარისაგან, აქ შეისყიდა რომის მოქალაქის წოდება. აქვე შეიყვარა მხატვარ ფაბულის ქალიშვილი დორიონი. ჩემს მიერ ხილული ეს უხილავი ალექსანდრია წარმომიდგა დორიონის სახელთან დაკავშირებით. დორიონი იყო ტანადი, ნაზი, ქერათმიანი ქალიშვილი, რომელსაც თავი მოგრძო და ვიწრო კქონდა, შუბლი ამობურცული და მაღალი, თვალები ზღვისფერი. „კარგი გოგოა, — თქვა იმპერატორმა“ (ფოიხტვანგერი, „იუდეველთა ომი“). საოცარია — ჩემგან ნახევარი მილით დაშორებულმა 1958 წლის ალექსანდრიაში წამით დაკარგა თავისი თანამედროვე სახე და იგი დავინახე ისეთი, როგორიც ფოიხტვანგერს აქვს ნაჩვენები. პირველი საუკუნის ამ ქალაქზე დახრილია დორიონი, წმიდა კატით ხელში. ჩემს სმენამდე კიდევაც აღწევს ქალიშვილის გააყვებული ხმა და საზარელი ხარხარი, მაგრამ აქვე ვრწმუნდები, რომ ხმების ეს პალეონაცია გამოწვეულია საბუქსირო გემების ნაწყვეტ-ნაწყვეტი საყვირებითა და ნაპირზე მოსრიალე ავტომანქანების გუგუნით.

დღევანდელი ალექსანდრია ეგვიპტის ნამდვილი კარიბჭეა. 1947 წლის მონაცემებით, აქ ცხრაას ოცი ათასი კაცი ცხოვრობს. ეგვიპტის ექსპორტისა და იმპორტის 80 პროცენტი ალექსანდრიიდან გადის და შემოდის.

დღეს დილით საბუქსირო გემებმა მიგვიყვანეს ნავმისადგომთან. ძლივს მოასწრეს გემსაბმელით „კოოპერაციის“ ნაპირზე მიბმა,

რომ გემს თითქოს მოაწყდა რაღაც ენითგამოუთქმელი არაბული, რაღაც მხოლოდ უდაბნოსათვის დამახასიათებელი. პირი ისევ გაგვიშრა, გვეცემს სუნი, რომელიც, როგორც ეტყობა, აღმოსავლეთის ბევრი ნავსადგურისთვისაა დამახასიათებელი. მაგრამ შენ თვალწინ გადაშლილი ნავსადგური აბსოლუტურად ევროპულია, აქ ჩქეფს სისხლსავსე ცხოვრება. ეს მძლავრი სავაჭრო არტერიას, აქ იგრძნობა მძლავრი მაჯისცემა. ეგვიპტის ახალგაზრდა მრეწველობას ალექსანდრიის ნავსადგური აწვდის ახალ ტექნიკას, ახალ ინდუსტრიულ მოწყობილობას. ალექსანდრიის ნავსადგურიდან იღებენ თანამედროვე სოფლის მეურნეობის იარაღებს ფელახები, რომლებიც თუმცა ნელა, მაგრამ ჭიუტად ემშვიდობებიან მიწის დამუშავების ძველ, ფარაონთადროინდელ წესებს. ჩვენთან ახლოს დგას ოთხი საბჭოთა გემი. მათ წინ კი ნავმისადგომზე ჩამწყკრივებულან საბჭოთა მარკის საბმურიანი ტრაქტორები და სატვირთო მანქანები. აქვეა პოლონეთის სამი ხომალდი, რომლებიდანაც გადმოაქვთ მანქანები. თუკი ხომალდებზე აფრიალებული აღმებით ვიმსჯელებთ, დასავლეთი გერმანია საკმაოდ დიდ როლს თამაშობს ეგვიპტის სავაჭრო ვაჭრობაში. აქედან, ალექსანდრიიდან, გააქვთ ევროპის საფეიქრო ფაბრიკებისათვის ბამბა. ბამბა ეგვიპტის ვალუტაა.

მიუხედავად ყოველივე ამისა, აქ უახლესი ამწეებით, უახლესი ტექნიკით აღჭურვილ ამ ნავსადგურში, მაინც იგრძნობა სხვა ქალაქიც, უდაბნოს ქალაქი. სატვირთო მანქანების გვერდით მიდი-მოდრიან ხან ცხენებზემზული, ხანაც ჯორებზემზული მოგრძო ოთხთვალეები, რომლებიც ხილის ყუთებითა და ბამბის ბარდანებითაა დატვირთული. მათი ბორბლები რახრახით მიგორავს რკინიგზის რელსებზე. „კოოპერაციის“ წინ ნავმისადგომზე თავის ხელოვნებას წარმოგვიდგენს მუქკანიანი მსახიობი. მთელი მისი რეკვიზიტი შედგება: უზარმაზარ შიდაჯიბეებიანი ძველი პიჯაკის, ერთი დასტა ბანქოს, ორი ფერადი ცხვირსახოცის, თეთრი თავვისი, ორი შევარდენისა და ოთხი წიწილისაგან... რამდენიმე ვაჭარს ნავმისადგომის ბოლოში გამოუფენია თავისი საქონელი: სათამაშოები, ჩემოდნები, ქალის ჩანთები, სიგარეტები. კრელჭრულით სავსე ამ პატარა ბაზარში ყველაფერი ცოტაა, ოღონდ დრო აქვთ გამყიდველებს უზღვავე. იქეჭი შენთვის მტერიან ნავმისადგომში, საათობით აკყიტე ნამძი-



ნარევი თვალები, ზოგჯერ კი წამიერად გაცხარებული წამოხტა ფეხზე და ეცი მეორე ვაჟარს, რომ შემდეგ ისევ ზანტად დაეშვა შენს ადგილზე და შეაჩერდე ხომალდზე გამოფენილ ხალხს — ეს არის და ეს. ადამიანები გაქვავებულები სხედან, ოღონდ მათი ჩრდილი მიტოცავს, ჩვეულებისამებრ, დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. ვფიქრობ, ჩამორჩენილი ქვეყნის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა მისი ზოგიერთი მკვიდრის დამოკიდებულება დროისადმი — მისი უაზრო ფლანგვა.

ჩვენ პაპიროსით ვუმასპინძლებით მებაჟესა და ტრაპთან მდგარ პოლიციელს. ისინი მადლობის გრძნობით იღებენ პაპიროსებს, მაგრამ არ აბოლებენ. კი მაგრამ, რატომ?

ისინი ყავისფერი თითით გვიჩვენებენ შუადღის მზეს, მაგრამ ჩვენ არაფერი გვესმის.

— რამაზანი!

ჩენი გაგებით, ეს, როგორც ეტყობა, მარხვაა, თანაც ისეთა, რომლის მიხედვითაც ხედავ, რამდენად მკაცრი და ულმობელია ალაპი თავისი შვილების მიმართ. მაჰმადიანი რამაზანის დროს მზის ამოსვლიდან ჩასვლამდე ვერ გაბედავს ვერც ჭამას, ვერც სმას. ვერც თამბაქოს მოწევას (თამბაქოს მოწევას საერთოდ კრძალავს სარწმუნოება, მაგრამ თანამედროვე ეგვიპტელი ყოველთვის როდი იცავს ამას). ალიონიდან მწუხრამდე იგი ქალს არ უნდა გაეკაროს და მშვენიერთა სქესზე ფიქრიც კი არ უნდა გაივლოს გულში. სამაგიეროდ, რამაზანის ღამეებში იგი თავისი თავის ბატონ-პატრონია. ქამე, სვი, იმხიარულე.

გავდივართ ქალაქში. ქარია. კბილებში კნაწაკნუწი გააქვს სილას. ნავსადგურის თვალუწვდენელ სივრცეებზე გაისმის მანქანების გუგუნის, ამწეების ღრქიალი, ზირების ყროყინი, ცხენების ფრტუნის, ეგვიპტელების ყვირილი, გაისმის ყურისთვის შეუჩვეველი უცხო ხმები. ქუჩაში მოაბიჯებს ჩვენი სამეული — კუნინი, მიხეილ კულეშოვი და მე. ჩვენ ორდანის სამი მილივითა ვართ ერთმანეთს შეწყობილი. ხელმარცხნივ მიაბიჯებს კუნინი; იგი ნახევარი თავით ჩემზე დაბალია, შუაში მივდივარ მე, ხელმარცხნივ მომყვება მიშა კულეშოვი, რომელსაც მხრებამდე ვწვდები. კუნინისა და კულეშოვის სახმო სიმები დაბალ ხმებს გამოსცემს, მე კი საღლაც საშუალო რეგისტრებში ვლაპარაკობ.

ფხვდაფხვ მოგვდევნ ეგვიპტელი ბიჭები. ისინი გაოცებული შეჰყურებენ კულეშოვს და ალტაცებული არიან მისი სიმაღლით. მე და კუნინი ვცდილობთ არ შევიბღალათ ღირსება და მხარდამხარ მივყვეთ კულეშოვს. მაგრამ ძალიან გვიჭირს. ბავშვები კვალდაკვალ მოგვდევნ. ისინი მოწყალებას როდი თხოულობენ, მხოლოდ თავიანთ სამსახურს გეთავაზობენ. მზად არიან დაგვათვალისწინებინონ ქალაქი. წაგვიყვანონ კარგ მაღაზიებში, სადაც საქონელი ხელმისაწვდომ ფასებში იყიდება, თუკი სურვილი გეექნება, წაგვიყვანონ იმ ადგილებშიც, სადაც რამაზანს არ იცავენ. ჩვენს ამაღლაში შემავალი ბავშვები ცნობისმოყვარე, აბეზარი, ზოგჯერ ურცხვიც კი არიან. თვითველ მათგანს სწადია უკეთ მოგვემსახუროს, რის გამოც ერთმანეთში კინკლაობენ. ისინი მიმართავენ მხოლოდ მიშა კულეშოვს, რომელიც თითქოს კვარცხლობეკიდან დასცქერისო მათ. ბავშვების ლოგიკის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, კულეშოვი ჩვენი მეთაური და უფროსია.

— შიპ „კოოპერაიშენ“? — კითხულობენ ბიჭუნები და ქათქათა „კოოპერაციაზე“ გვითითებენ.

— იეს, სწორედ ეს შიპი გახლავთ „კოოპერაცია.“ — უპასუვნებს კულეშოვი.

— ო, რუსი! ო, რუსი! უჰ, თანამგზავრი! — ყვირიან ბავშვები და თვალს არ აშორებენ კულეშოვს, რომელიც ამ „ო, რუსისა“ და „უჰ, თანამგზავრის“ ცოცხალ განსახიერებად მიაჩნიათ.

— რაზე ეღუბრებოდნენ, ვლადიმერ მიხეილის ძეგ? — ყოველი შემთხვევისათვის ჰკითხა კულეშოვმა კუნინს, თუმცა ისედაც ყველაფერი ნათელი იყო.

— თანამგზავრსა და რუსეთზე, — უპასუხა კუნინმა.

— დახე, სცოდნიათ! — გრძნობამორეულად წარმოთქვა კულეშოვმა. — მეგზურობასაც გვიწვევენ...

მივუახლოვდით პორტის ქიშკარს. გვეგონა, დრო იყო წამოეყენებინათ ბავშვებს თავიანთი ეკონომიური მოთხოვნები, მაგრამ მათ რაღაც უფრო მნიშვნელოვანი აინტერესებთ. ისინი კულეშოვის ირგვლივ ტრიალებენ, მუშტებს ირტყამენ თავიანთ ბავშვურ ბიცეფსებზე და გაიძახიან „ათლეტ“, რასაც ნავსადგურის ხმაურში ძლივს ვარჩევთ. ცხადია, ეს კულეშოვს ეხება და ისიც კუმშავს

მუშტს, ხრის ცალ ხელს, მეორეს კი ბურთივით აბურცულ კუნთზე ირტყამს.

— იეს, ათლეტი, — ამბობს იგი. — იეს, თანამგზავრი! იეს, კარგია! გასაგებია, ბელურებო?

ამ დანაწევრებულ წინადადებაში ჩანს მთელი მისი ხასიათი და ძალა, მისი დამოკიდებულება თავისი ქვეყნისადმი, თავისი მეცნიერებისადმი. ბავშვებისთვის ეს სავესებით გასაგებია. მათ გადააქვთ საუბარი ეკონომიურ საკითხებზე:

— პიასტრები! სიგარეტები!

ამ სიტყვებს წარმოთქვამენ ინგლისურად, გერმანულად, ფრანგულად. კულეშოვის „ბელამორის“ კოლოფი უცებ ცარიელდება, ჩვენს პიასტრებს კი ჭერჭერობით არ თხოულობენ. კიშკრიდან გამოსვლისთანავე ჩვენი ამაღლა მცირდება. საღამომდე არ გემორდება მხოლოდ სამი ბიჭი. ისინი ხან წინ გაგვისწრებენ, ხან უკან ჩამოგვრჩებიან, თან ახლოს არავის გვაკარებენ. როცა მაღაზიებში შევდივართ, ბიჭები გარეთ გვიციდიან. შემდეგ შერბიან მაღაზიის პატრონთან და, როგორც ჩანს, ჩვენი მოყვანისათვის იღებენ უმნიშვნელო პროცენტებს, რაც შეესაბამება ჩვენს მიერ დახარჯულ თანხას.

დღევანდელმა დღემ დიდი შთაბეჭდილებები დამიტოვა, რომელთაგან ორი განსაკუთრებით დაუვიწყარია. პირველი შთაბეჭდილება მოახდინა ალექსანდრიამ, მეორე — მიშა კულეშოვმა. მე და კულეშოვი ანტარქტიკიდან ერთად ჩამოვედით აქ, მაგრამ რიგიანად მხოლოდ დღეს მოვახერხე დავკვირებოდი მას.

ჩემს შთაბეჭდილებებზე საუბარს დავიწყებ კულეშოვისაგან, მეორე ექსპედიციის მონაწილეთა შორის ყველაზე მაღალსა და; შესაძლოა, ყველაზე ძლიერი კაცისაგან.

უნდა აღვნიშნო, რომ პირველად ჩვენი ტრაქტორისტი ჭერ კიდევ მეწამულ ზღვაში შევნიშნე, როცა გალინა ნიკოლაევიას რომანს ვარჩევდით. იგი მაშინ იატაკზე იჯდა მუსიკალურ სალონში. ხშირად მოითხოვდა სიტყვას, ცხარობდა, მაგრამ ბოლოს ჩიხში ემწყვდებოდა, რახან ლაპარაკი არ გამოსდიოდა, გადაწყვიტა დაეწერა ის, რასაც ფიქრობდა. ჩემი ყურადღება მიიპყრო მისმა ხელებმა. კულეშოვმა აიღო ჩვეულებრივი ავტოკალამი და ხელისგულზე დაიდო.

ავტოკალამი ასანთის ღერივით ერთი ციკქნა გამოჩნდა მის ხელში, იფიქრებდით. თვალი გვატყუებსო. აჰა, კულეშოვმა მოიმარჯვა ავტოკალამი ცერსა, სალოკ თითსა და შუა თითს შორის და ისე ფრთხილად და ნაზად დაიწყო ხრახნის მოშვება, თითქოს ამჟულა უქირავს ხელში და ეშინია არ გაუტყდესო.

შეხედავ კულეშოვს და ნამდვილი დათვიაო, იტყვი. იგი დათვსა ჰგავს არა მარტო სიმაღლით, არამედ გარეგნობითაც. მიშას უბრალო და ნებისყოფიანი სახე აქვს. ხშირი, წაბლისფერი თმა, რომელიც საკმაოდ შექალარავებია, შუბლს უფიწროებს. ცხვირი კარგა მოზრდილი აქვს, პირი — დიდი, ნიკაპი — მომრგვალებული. მძიმე, დაფანჩული წარბებიდან ცნობისმოყვარეობთ იმზირებიან თითქოს ნამძინარევი თვალები. მაგრამ საკმარისია ატყდეს კამათი, რომ თვალები უმაღ ალეგზნება და მრისხანედ დაეწკურება, ხანაც, თუკი ვინმე საინტერესო ამბავს ჰყვება, მხიარულად აუციმციმდება. მაგრამ ჩაბუდებს მიშას თვალებში ოდნავი ეშმაკობა ან ნალველი და ისინი ცოტაოდენ დათვის თვალებს ემსგავსებიან: ხან ისეთებია, როგორც ტყის მეფის თვალები ზამთრის ძილიდან გამოღვიძების დღეს. ხან იმ დათვის თვალებსა ჰგავს, რომელიც მოამტვრევს დაბურულ ტყეს და გამბედაობით აღსავეს საფუტკრისაკენ მიბაჯბაჯებს, ხან ისეთი, როგორიც თავისი თავით, მეფუტკრითა და ყველაფრით კმაყოფილი დათუნია საფუტკრიდან უკან ბრუნდება. ამავე დროს ესაა ჰკვიანი, ცოდნისმოყვარე კაცის თვალები, რომლებიც შნოსა და ლაზათს აძლევენ მის სახეს.

კულეშოვს სურს იცოდეს ყველაფერი. ვერც კი მოვასწარით გახედ-გამოხედვა, რომ მან უკვე კარგი ურთიერთობა გააბა რომელიღაც დასავლეთგერმანელ სტუდენტთან, რომელსაც რამდენიმე თვე უმოგზაურია აღმოსავლეთ აფრიკაში, ახლა კი უგროშოდ ზის ალექსანდრიაში და ცდილობს მეზღვაურად დადგეს რომელიმე გემზე, რომ როგორმე ჰამბურგში ჩავიდეს. კულეშოვმა იგი ლუდზე მიიპატიჟა ბარში. კუნინი, რომელიც თურმე გერმანულსაც კარგად ლაპარაკობს. შეუდგა მათი მეგობრული საუბრის თარგმნას. სამწუხაროა, რომ კულეშოვი არ არის ჩვენი გემის კაპიტანი, თორემ ამ ჰაბუკს წაიყვანდა ჰამბურგში, გზაში კი უსათუოდ გამოჰკითხავდა სომალისა და აბისინიის ამბებს. კულეშოვი უკვე დაუმიგობრდა ეგ-

ვიტელ ბარმენს და ახლა იმის ცდაშია, გაიგოს რას წარმოადგენს ეს „რამაზანი“ და რა ხეირს შეიძლება მოელოდეს მისგან. „ერთი უთხარი, ვლადიმერ მიხეილის ძევ, ერთი ჰკითხეთ, ვლადიმერ მიხეილის ძევ“, — მოსვენებას არ აძლევს იგი კუნინს.

ერთ მეტისმეტად მტვრიან და ქუქუყიან პორტისპირა ქუჩაზე ანტიკვარული მაღაზიაა. ჩვენ ვათვალიერებთ ვიტრინაში გამოფენილ საქონელს. ვიტრინის შინაში, რომელსაც დიდი ხნის მტვერი ადევს, ძლივს ატანს მზის სხივები. აქ ნახავთ ფარაონთა ქანდაკებებს, იარაღებს, აქლემის უნაგირებს, ვერცხლისა და სპილენძის თევზებს, ნილოსის პეიზაჟებიან და მინარეთების ხედებიან სურათებს. ყველა ეს ნახმარი, მტვრიანი ნივთი ეგზოტიკურ ნოველასა ჰგავს, რომელშიც ასახულია გუშინდელი დღეცა და დღევანდელიც. ეს ნივთები საგანგებოდ დაუყრიათ ვიტრინის მთავარი ექსპონატის — წითელხავერდგადაკრული ფეხმოქცეული სავარძლის ირგვლივ. სავარძლის ზურგზე ჰკიდია წარწერა:

„მეფე ფარუქის სავარძელი. შვიდი გირვანქა“.

იქნებ ეს მხოლოდ გამყიდველთა თაღლითობა და რეკლამაა, მაგრამ იქნებ არც არის ასე. ყოველ შემთხვევაში, ეს მეფური თუ ფსევდომეფური რეკვიზიტი როგორღაც ნაკლებად შეესაბამება აქლემის უნაგირებსა და გაშავებულ პისტოლეტებს. კულეშოვს ასეთი ლოგიკური დასკვნა გამოაქვს:

— მეფეების ფასი ეცემა.

მერედა, როგორ ეცემა! ეს განსაკუთრებით აშკარად შეინიშნება ახლო აღმოსავლეთში. სავარძელს ხომ ორჯერ მეტი ფასი ადევს. მყიდველს კი სამ გირვანქადაც შეუძლია მისი ყიდვა. მოსალოდნელია, რომ ამ სავარძელს კიდევ დიდხანს მოუწიოს გდება ამ შეუფერებელ გარემოში, მტვერსა და მზეში. მყიდველი ბოლოს და ბოლოს გამოჩნდება, მაგრამ რამდენ ფულს გაიმეტებს მეფისთვის?

ქალაქებს, ისე როგორც ადამიანებს, აქვთ საკუთარი ხასიათი, საკუთარი სული, საკუთარი სახე, საკუთარი თვისებები. ეს ყოველივე, რა თქმა უნდა, იცვლება იმასთან დაკავშირებით, ვინ უყურებს მას, საიდან უყურებს, როდის და როგორ უყურებს. ტალინს რამდენჯერმე ეცვლება იერი — დილით, შუადღით და საღამოს. მისი სახე

სხვადასხვა ადგილიდან სხვადასხვანაირად გამოიყურება. ცენტრის შესახებ დაობა არ ჰგავს ნახევარკუნძულ კოპლის შესახებ დაობას, სანაპირო რაიონისა — ნიმეს. ხალხიც კი სხვადასხვა ადგილებში სხვადასხვანაირად დადის: კადრიორგში მშვიდად და აუჩქარებლად დადიან, ფაბრიკებთან ახლოს მოსიარულეთა ნაბიჯები მძიმეა და მტკიცე, ცენტრში კი ვცდილობთ ვიაროთ მხნედ და სწრაფად, თითქოს ფანჯრებიდან ათასი თვალი შემოგვეცქერის. ცენტრში ჩვენი ნაბიჯები ყველაზე თეატრალურია, მაგრამ ძირითადად ტალინის სახე არის მშრომელის სახე, მეღვინის, მანქანათმშენებლის, ფეიქრისა და მეზღვაურის სახე.

ტარტუ გონების ქალაქია. ახალგაზრდა ქალაქია, ახალგაზრდების ქალაქია, მაგრამ გონების ხემ აქ ერთი პარაზიტული შტო გაშალა: არსად ისე არ ბრძენთა-ბრძენობენ, როგორც ტარტუში. აქ არა მარტო სწავლობენ, როგორ დაეუფლონ ენას, არამედ სწავლობენ როგორ დაამახინჯონ იგი. აქ ყველაზე მეტად, ვიდრე სადმე სხვაგან, უსარგებლოდ კამათობენ და ამ კამათის დროს ხედავ, რა ბრწყინვალედ სძლევენ შესანიშნავი ესტონური ენა ირგლივ არსებულ მყუდრო სივრცეს. ეს წმინდა მოწაფური თვისება რამდენიმე ზედმეტი ნაოჭით სერავს ტარტუს ლამაზ სახეს. ეტყობა, სწორედ იმიტომ, რომ გათავისუფლებულიყო ერთის მხრივ ტალინის ცივი ანგარიში-ანობისაგან, მეორეს მხრივ კი ტარტუს მედიდური ფრენისაგან ზეცაში, განსვენებულმა სიუტისტემ თავი ტაპელ პოეტად გამოაცხადა. მაგრამ ტარტუცა და ტალინიც კარგი, სიმპათიური ქალაქებია.

კეიბტაუნი შეგიძლიათ მხოლოდ პროფილით დაინახოთ. სახის ცალი მხარე თეთრი ფერისაა, რომელსაც თვითკმაყოფილების და ამპარტაუნობის ბეჭედი აზის. მისი გაფუებული, ნაპატივები სახის ამ მხარეს ამშვენებს პოლანდიური ცხვირი, დიდი პირი და უზარმაზარი ყური, რომელიც ცდილობს დაიჭიროს ქვეყნის უმნიშვნელო უკმაყოფილება და გადასცეს ტვინს ბრძანება, ამოქმედოს ხელკეტები. სახის მეორე მხარე მუქი ფერისაა, რომელსაც ზანგის ტუჩები და მოეღვარე შავი თვალი აქვს. მართალია, მას ტანჯვის კვალი ატყვია, მაგრამ მაინც მგზნებარეა და ბრძოლის ყინით აღტყინებული. იმის მიზეზი, რომ ეს ორი მხარე დღეისდღეობით არ შეადგენს ერთ მთლიან სახეს, რასიზმია.

დიახ, ქალაქებს აქვთ თავიანთი ხასიათი, თავიანთი სული. შესაძლოა, ჩვენ ყველაზე თვალნათლივ ვხედავთ მათ პირველ დღეებში, უფრო მეტიც, სწორედ პირველ დღეს, სანამ არ შეგვედულაბებით ქალაქს და მის ნაწილად არ ვიქცევით. მიჩვევა ხშირად აჩლუნგებს მზერას. რასაკვირველია, ერთია, როცა ვათვალისწინებთ პეიზაჟს დიდხანს და დეტალურად, და მეორე — როცა თვალს მოგკრავთ მას წაშივრად. შუა ღამით ელვის დროს. მაგრამ უნდა შეგვეძლოს ერთიც და მეორეც. მოგზაურობის დროს ბევრ ადგილს ჩვენ ვხედავდით მხოლოდ მაშინ, როცა ელვა დაიწყებოდა და მარტო ის მცირეოდენი დეტალები დავიმახსოვრეთ, რომლებიც ამ მომენტში შევნიშნეთ.

ალექსანდრია ერების კონგლომერატია. აქ ცხოვრობენ ეგვიპტელებიც, იტალიელებიც, ბერძნებიც. ძალიან ბევრია სომხები, რომლებიც ხშირად მოდიან ჩვენთან და გვესაუბრებიან ერევანზე, თავიანთ საოცნებო ქალაქზე. ისინი ისე ლაპარაკობენ ერევანზე, როგორც მაჰმადიანები მექაზე: ნაზად, ფიქრმორეულად, მოწიწებით, და მუქ თვალეებში ცეცხლის ალი უგიზგიზებთ.

ევროპული სახის ადამიანებს ყველაზე მეტად შენიშნავთ სანაპიროზე, ასფალტის მდიდრულ, საუცხოო მაგისტრალზე, სადაც ქალაქისა და ზღვის ხმაური ერწყმის ერთმანეთს. ეგვიპტელთაგან აქ უმცირესად მდიდრებს დაინახავთ. ისინი სხედან ჩინებულ მანქანებში, მამაკაცთაგან ძალიან ცოტას ახურავს ფესი, ქალებს კი უკანასკნელ მოდაზე აცვიათ. ეს ხალხი წარმომადგენელია ეროვნული კაპიტალისა, რომელიც თავის პოზიციას იმტყიცებს ქვეყნის ეკონომიკაში. ეს კაპიტალი ოსტატურად სარგებლობს ეროვნული გრძნობებით, მას არ აწუხებს მიჭარბებული სენტიმენტალობა და ღმობიერება.

აქედან რამდენიმე კვარტალის მოშორებით სხვა ალექსანდრიაა. იქ ბევრ ქალს ჩადრით აქვს სახე დაფარული, ტომარასავით განიერი სამოსი გარეგნულ ფორმას და ინდივიდუალობას უკარგავს მათ ტანს. უნდა ითქვას, რომ ასე ჩაცმულ-დახურული უმეტესად ხანშიშესული ქალები არიან. ახალგაზრდა, ლამაზი ქალები არავის უმაღლავენ თავიანთ სახეს.

აქაურ მამაკაცებს ახურავთ იაფფასიანი ფესი და აცვიათ მიწაზე მოფრიალე შარვალი, რომელიც ქვემოთ ტომარასავითაა ამოკერილი

და კაბას მოგაგონებთ. აცვიათ აგრეთვე კოჭებამდე ზოლებიანი ხიფ-  
თანი.

პატარა ღუქნებში საქონელი მყიდველების თვალწინ მზადდება  
და იქვე იყიდება. ჩვენ დაგვანტერესა აქლემის ყელის ბეწვისაგან  
დამზადებულმა ხალიჩებმა. ძლიერ მოვასწართ ღუქანში ფეხის  
შედგმა, რომ მეპატრონემ წაგვიყვანა უკანა ოთახში, სადაც ორი  
ხელოსანი ამ ხალიჩებს ქსოვდა. ჩვენ გვანტერესებდა აგრეთვე, რო-  
გორ ტვიფრავდნენ სპილენძის თეფშებს ასე ლამაზად, და ჩვენ გვა-  
ჩვენეს ეს პროცესი. საერთოდ აქ ეგვიპტელი, ბერძენი და სომეხი  
ვაჭრები ბატონობენ.

ქალაქში ბევრია პატარა კაფე. კაფეების წინ ტროტუარებზე უძ-  
რავად სხედან ქალაქელები და თვალმოკუტული შეჩყურებენ გამე-  
ლელებს. თავისი გზით მიდის ცხოვრება, ბარქანივით ზანტად და  
უსარგებლოდ მიზოზინობს დრო. „შენი ბედ-იღბალი ზეცაში წერია,  
შენ კი უძლური ხარ შეცვალო იგი“, — აღბეჭდილია მათ მუქ,  
პირქუშ სახეებზე.

აქვე ღულს ცხოვრება — შეუცნობელი, დაუდგრომელი, სისხლ-  
სავსე და ბობოქარი, ღულს გრძნობები და ვნებები: სიყვარული,  
სიძულვილი, თანაგრძნობა, ანგარება, რელიგიური ფანატიზმი,  
ოსტატურად შესრულებული საქმით გამოწვეული სიხარული. ყა-  
ვისფერხელებიან ოსტატებს სპილენძსა და ვერცხლზე გამოჰყავთ  
სფინქსები, პირამიდები, პალმები, ამჯერად წითლად მოლაპლაპე  
მკერდგანიერი ნილოსი. აქვე ამზადებენ ფესებს, თანამედროვე სა-  
კერავი მანქანები კერავენ თეთრეულსა და კაბებს მეზობელი მალა-  
ზიისათვის. ქუჩებში მიმოდინ თაბახიანი მეწერილმანეები და ყვი-  
რილით იკლებენ იქაურობას. საკმარისია ერთი-ორი წუთით შეჩერ-  
დე ქუჩაში, რომ ისედაც სარკესავით გაკრიალებულ ფეხსაცმელებ-  
ზე მწმენდავის ჭაგრისი იგრძნო. ხშირად ორი ერთად გეცემა, ერთი  
— ერთ ფეხსაცმელზე, მეორე — მეორეზე. თუკი გამბედაობა არ  
გყუო და დროულად არ შეაწყვეტინე უთავბოლო წმენდა, მშვი-  
დობით პიასტრებო.

დღის მეორე ნახევარში სასოწარკვეთილებამდე მიმიყვანა მეწე-  
რილმანეების და მწმენდავების მედგარმა შემოტევებმა. ისინი ერ-  
თი წუთითაც არ გაძლევენ გაჩერებისა და გარშემო მშვიდად მიმო-



ხედვის საშუალებას. სრულიად უმწეო და უნუგეშო მდგომარეობაში ჩავევარდი, ამასთანავე შევინიშნე, რომ უკვე მომისწრია ათასნაირი ზედმეტი და უსარგებლო ნივთის ყიდვა, მათ შორის შოკოლადისაგან დამზადებული საბავშვო მაჯის საათისა. სხვათა შორის, დავრწმუნდი, რომ ფესით მორთულ ხალხს არაფერ აცივდება, და თუკი ჩააცივდება კიდევ, საკმარისია ფესიანმა ხელი აუქნიოს, რომ მეწვრილმანე მაშინვე ჩამოეხსნას და შედარებით ევროპული გარეგნობის მსხვერპლის საძებნელად გაემართოს. აქედან გამომდინარე, მთელი დღის განმავლობაში ჭკვიანური ის გავაკეთე, რომ ოცდაათ პიასტრად ფესი შევიძინე. შავულვაშიანმა ახალგაზრდა გამყიდველმა, რომელიც რაღაცაზე გაუთავებლად ენას ატარტარებდა, თავზე დამახურა იგი და ალაპის სახელითა და „very good“-ით გზა დამილოცა.

როგორც იქნა, მოვისვენე. კუნინსა და კულეშოვს წინანდებურად უტევდნენ, მე კი (უფრო სწორად, ჩემს ფესს) არაფერ ეკარებოდა. თვით ყველაზე აბეზარი გამცილებლებიც კი ჩამომეხსნენ. მხოლოდ ერთი დაურიდალი, თავგასული მწმენდავი ძველებური გულმოდგინებით ეცა ჩემს ფესსაცმელებს. მე შევეცადე დამეღწია თავი იქვე დასწავლილი ხერხით — ხელის დაუდევარი აქნევით, მაგრამ ამან არ გაჭრა. მან თითი ჩემკენ გამოაშვირა და თვალებზე მიმითითა, თან გაშმაგებით რაღაცას იმეორებდა.

თვალების ფერს ვერაფერს მოუსერებე. ჩემი ნაცრისფერი თვალები კი აშკარად არ შეესაბამება არც ალაპის მონის იერსა და არც იმ ფესს, რომელიც თავზე მახურავს. ცნობილი ინგლისელი ჯაშუში ლოურენსი, რომელიც დიდხანს ცხოვრობდა არაბებს შორის და „ლურჯთვალა შეიხად“ იყო მონათლული, წერს, რა შიშის ზარს სცემდა მისი ლურჯი თვალები უდაბნოს ქალებს. „ცა გამოკრთის მისი თავის ქალადან!“ — ფიქრობდნენ ისინი.

როგორც ეტყობა, მწმენდავსაც აღძვრია იგივე ეჭვი ჩემს მიმართ. მიუხედავად ამისა, ოცდაათ პიასტრად მაინც მოვახერხე შედარებით მშვიდად გამეტარებინა დღის მეორე ნახევარი.

საღამოს ალექსანდრიის რკინიგზის სადგურის მიდამოებში მოვხვდით. სადგური ქალაქის ერთ-ერთ ულამაზეს არქიტექტურულ ნაგებობად ითვლება, მაგრამ ჩვენ არ გვაინტერესებდა სადგური,

არ გვანტერესებდა არაფერი, რასაც ევროპული იერი ადევს. ევროპული იერი ბევრ რამეში იგრძნობა, დაწყებული ჩაცმულობით, დამთავრებული რესტორნებზე გამოკრული ნეონის რეკლამებით. ჩვენ გვანტერესებდა ის, რაც დაკავშირებული იყო უდაბნოსთან და ფელახებთან, რამაც შეაღწია ალექსანდრიაშიც და თავისი დალი დასვა ქვეყანასა და ზღვას შორის დატანებულ ამ საზღვაო ჭიშკარს.

აქვე, სადგურის გარეუბანში, საღამოობით დაინახავ ცხერის დიდ ფარებს. თვითთულ ფარას ან ორი მწყემსი მოჰყვება, ანდა აქლემებზე შემსხდარი შემსყიდველები. მიდამოს ბინდი აწევს, გარშემო ყურთასმენა აღარ არის. საოცრად ბლავიან წყურვილისაგან დაოსებული ცხერები და კუდებს აქიცინებენ. ისინი რკალეზად შემოხვევიან ყოჩებს და თავები მათკენ მიუქცევიან. თავგზას მიბნევენ ნაცრისფერ თუ შავ ასფალტზე უსწორო, თეთრ წრეებად გაბნეული ცხერის ფარები, ავტომანქანების საყვირთა ხმებში არეული უმწეო ბლავილი, პირქუშად ზეაშვერილი აქლემის კუზები და უკანა პლანზე აღმართული ხეთა სილუეტები. «ეს სად მოვხვდი?» — უნებლიეთ ეკითხები საკუთარ თავს. ყველა ცხვარს ფერდზე წითელი დამლა აზის. ეს იმის ნიშანია, რომ მათ ხვალ უთენია ალექსანდრიის სასაკლაოზე გაგზავნიან.

გზებზე ველოსიპედებით მიმოქრიან სამიკიტნოს ბიჭები და მანქანებს, სახედრებს და აქლემებს ოსტატურად უქცევენ გვერდს. მათ უმეტესობას ზურგზე გატყავებული და გამოშიგნული ცხვარი აქვს გადაკიდებული და რომ არ გაუვარდეს, კუდი კბილებით უჭირავს. ხორცის ასე გადატანა პირველყოფილ, ველურ იერს ატარებს. როცა ველოსიპედისტი ოღოროღოროზე გადადის, ცხვარი აქეთ-იქით ქანაობს. ისმის ველოსიპედის ზარის წკრიალი. მანქანების შუქზე ელვარებენ ველოსიპედის თვლები. ბოლოს, სამიკიტნოდან გამოგზავნილი ბიჭი თავის ტვირთიანად სქელ ბინდში იკარგება, თითქოს ზურგზე ცხვარმოგდებული მგელი ტყეს შეეფარაო.

შევდივართ რომელიღაც იაფფასიან ღუქანში. მოგრძო მაგიდებს უსხედან მეწვრილმანეები, მუშები, ეგვიპტის არმიის დაბალჩინიანი პირები. აქ, ისევე როგორც ჩვენთან, თანასწორუფლებიან ქვეყანაში, სადაც ყველაზე ცხელ რესპუბლიკებში, ჩამორჩენილობის გამო, თითქმის უწესობის მწვერვალად ითვლება ქალების შესვლა მეორე-

ხარისხოვან სასაღილოებში (და არა მამაკაცების უქნარობა და მიმდევრობა ყურანის მოძღვრებისა, რომელიც ქადაგებს — ქალი აქლემია და საყუთარი ზურგით უნდა ზიდოს მამაკაცი ცხოვრების უღამ-ნოშიო), ასევე აქაც, ვერც ერთ ქალს ვერ დაინახავ დუქნებში.

სანამ ინგლისურის მცოდნე კელნერს მოგვეგვირდნენ, იქაურობა მოვათვალეერეთ. რა საოცრად ჰგვანან ერთმანეთს დუქანში მსხდომნი და ამავე დროს როგორ განსხვავდებიან. ყველა მამაკაცი მუქთვალეებიანია, თითქმის ყველას ნუშისმაგვარი თვალის ჭრილი აქვს. ზოგის კანის ფერი მოყვითალოა, ზოგის კიდეც — მუქი ყავისფერა. ცხვირი უმთავრესად კენიანი აქვთ, მაგრამ შედარებით მუქი სახის მამაკაცების ცხვირი ზანგსავით ჩაჭყლეტილია, ტუჩები კი გამობურცული და ხორციანი. გვხვდებიან თითქმის ანტიკური, ელინური პროფილის მამაკაციებიც.

მათი შემოხედვა სრულიად არამეგობრულია. რაც არ უნდა იყოს, ეს დუქანი არც მდიდრებისთვისაა, არც თეთრკანიანებისთვის და არც ურწმუნოებისთვის.

მაგიდას სუფრა არ აფარია. საკმელი ფოთლებზეა დალაგებული და ისე შემოაქვთ. დანა-ჩანგალს არავენ გეთავაზობს. მაგიდის შუაგულში დევს მარილითა და სანელებლით სავსე ჯამი. ჭერზე ჰკიდია უბაჟურო ნათურები, რომელთა კაშკაშა სინათლე ზღაპრულ ლანდებს ქმნის.

ბოლოს, როგორც ეტყობა, მეზობელი სამიკიტნოდან მოჰყავთ ინგლისურის მცოდნე კელნერი. შევეუკვეთეთ კარტოფილში შემწვარი ცხვრის ხორცი. ჩვენთვის სადღაც შოულობენ მაგიდის გადასაფარებელს, თეფშებსა და ჩანგლებს, ვთხოვთ მოგვიტანონ ეგვიპტეში ყველაზე პოპულარული ლუდი „სტელა“. მწვანელით უხვად შეკაზმული ცხვრის ხორცი ჩვენი გააზიზებული კბილებისთვის ცოტაოდენ მაგარი და ძარღვიანი გვეჩვენა. განსაკუთრებით გვაოცებს სანელებლები. იგი ისე ცხარეა, რომ პირს გვითუთქავს და კურცხლებს გვაყრევინებს.

ამ პატარა დარბაზში, რომლის ნათურებს გარშემო ევლებიან ფარვანები, ყველა კუნჭულიდან დაკვირვებულად შემოგვეცქერია და თვალთ გვზომავენ.

გამოვდივართ დუქნიდან. კულეშოვს პირი ისევ გამობუგული აქვს.

— აქლემი იყო! — ამბობს იგი.

— რა იყო აქლემი?

— ის ცხვარი აქლემი იყო! — კატეგორიულად აცხადებს კულეშოვი. ჩვენ არ ვეთანხმებით, იგი თავისას არ იშლის: — აქლემის კისერი იყო, მერწმუნეთ!

კულეშოვის გადარწმუნება შეუძლებელია. და ჩვენ იმაზე შევთანხმდით, რომ აქლემი გემრიელი იყო.

ჩავუარეთ სახლებს შორის ჩაქედნილ პატარა ღარიბულ მეჩეთს. მისი ფართო კარი ყურთამდე ღიაა. მკრთალი შუქი ეფინება წითელ ხალიჩას და დაჩოქილ ღვთისმლოცველებს, რომლებიც ხან წელში სწორდებიან, ხან კი იატაკს შუბლით ეხლებიან. კართან ჩამომწყრივებულია მათი დაგლეჯილი სანდლები და ქოშები. ღატაკი მლოცველების შიშველი ფეხისგულები მაიძულებს შევჩერდე ცოტა ხნით. ტყუილია, თითქოს კაცის ხასიათი, მისი ბედ-იღბალი მხოლოდ სახეზე შეიძლება ამოიკითხო. დაკვირვებული კაცისათვის ბევრის მთქმელია ფეხისგულებიც. ალბათ, მსოფლიოს ყველა ღარიბ-ღატაკს ერთნაირი ფეხისგული აქვს. მთელი დღე ნახირის მადევიარ მეჯოგეებს, რა ფერის კანიც არ უნდა ჰქონდეთ მათ, ერთნაირი მოყვანილობის ქუსლი და ცერი აქვთ. ერთნაირი ფეხისგული აქვთ მეთევზეებსაც. შემოდგომის ჟამს ნაწვერალზე მოსიარულე გუთნის დედის შავად დასერილი ფეხები ჰგავს იმ შორეული ძმების დახეთქილ ყავისფერ ფეხებს, რომლებიც უდაბნოდან ქალაქს გადასახლებულან და ახლა მთელ სიცოცხლეს სიარულში ატარებენ. მე დიდხანს შევყურებ ამ ფეხებს და ვერ ვხედავ ვერც ერთ გააზიზიებულ, ფაფუქ ტერფს. ცა და ქარი სახეზე აღუბეჭდავს კაცს თავის ბედ-იღბალს, მკაცრი მიწა კი ფეხისგულზე...

ადგილიდან ფეხს არ ვიცვლი, სანამ მოლა არ დაამთავრებს დღის ამ უკანასკნელ ლოცვას. მლოცველები დგებიან და უსიტყვოდ იცვამენ ფეხსაცმელებს. მათ ფეხებს ისევ ეკარგებათ დამახასიათებელი ელფერი. რამდენიმე მლოცველი შემომტკერის მომნუსხველად და თვალებით მბურღავს. ამ თვალეში აღბეჭდილია იგივე მტრობა ურწმუნო ადამიანის მიმართ, რომელიც შესანიშნავად გამოხატა ერთმა დიდმა ადამიანმა და დიდმა მწერალმა:

„ცისფერ, გაქვავებულნაკეცებიან მოსასხამში გახვეული მუიანი უძრავად დგას და მსჯავრს მღებს:

— იგი ამბობს: შენ თხსავეით შეექცევი სალათას და ღორივით— ღორის ზორცს. შენი ურცხვი ქალები არ იბურავენ სახეს: ეს თვითონ უნახავს. იგი ამბობს: შენ არასდროს ლოცულობო. იგი ამბობს: რისი მაქნისია შენი თვითმფრინავები, შენი რადიო, შენი ბონაფუსი, თუკი ქეშმარიტება არ გაგაჩნიაო?“

და თუმცა ჩემთვის გასაგებია ეს შემოხედვა, თუმცა ამგვარადვე მცსმის მათი მნიშვნელობა. მაგრამ მე მაინც უფრო მეტად დამამახსოვრდება ფეხისგულები, რამდენიმე წუთის წინ რომ მოჩანდა მეჩეთის ღია კარიდან და ალექსანდრიის მტვრიანი ქუჩისაკენ იყო მიშვერილი. ქეშმარიტების რაობაზე შეიძლება იკამათო, მაგრამ უაზრობაა იკამათო იმაზე, სჭირდებათ თუ არა მათ თვითმფრინავები და რადიო. დიახ, სჭირდებათ. უფრო მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რა გზას აირჩევენ ეს დამსკდარ-დახეთქილი ყავისფერი ტერფები, რომლებიც თავისებურ პასპორტს წარმოადგენენ შავი მატერიკის მცხოვრებთა 95 პროცენტისათვის. მათი ნაბიჯების შეწყობილი და შრისხანე ხმა შიშის ზარს სცემს და აშმაგებს დასავლეთის შესვეურებს.

16—17 აპრილი

გაირკუთში შიგავალი „აოგაღის“ ქივიჟი.

სულ მოვიარეთ

მთა და ბარი

მე და ზაზუნამ ერთად.

მღეროდა მოაჯირთან ახალგაზრდა მონაზონი, როცა ჩვენი დიდი, ჩინებული კაიუტისაკენ მიმავალმა გვერდით ჩავუარე. ყვავისმაგვარი მისი ორი თანამგზავრი, რომლებიც ბეირუთში მიაცილებდნენ მას, შეზღონგებზე გაშხლართულიყვნენ. მონაზონი განზე გამდგარიყო, რომ მის თანამგზავრებს არ გაეგონათ სიმღერა და ჩემთვის გაუგებარ ენაზე დაბალი, წკრიალა ხმით მღეროდა მოტივს ბეთპოვენის

ნაწარმოებიდან. მე მალულად შევავლე თვალი მის სუსტ, სათუთ ხელებს; მოაჯირზე ჩამოდებულ მის გრძელ თითებს, თვალი შევავლე მის თოვლივით თეთრ სახეს, რომელსაც შავი კაპიუშონი ავად-მყოფურ იერს აძლევდა. ლეგა ფერის, მოქუშულ ხმელთაშუა ზღვის ფონზე მკაფიოდ გამოირჩეოდა მისი ხატისებრი სახე.

სულ მოვიარეთ  
მთა და ბარი...

მაგრამ მონაზონის ამ ძვირფას და ელეგანტურ სამოსელში გახვეულ ქალიშვილს გულით თან მიჰყავს საკუთარი ზაზუნა.

შევედი კაიუტაში, მაგრამ მელოდია მტანჯავდა და მოსვენებას არ მაძლევდა. ირგვლივ ფერხული გააბა ყოველივე იმან, რამაც ბოლო დღეებში გაურკვეველი, ჩუმი ნაღველით აავსო ჩემი სული. ყველა ჩვენგანს თან დაჰყავს თავისი ზაზუნა, რომელიც ჩვენში მანაპ ცოცხლობს, სანამ ცოცხლობს გონება, სანამ გული არ დაძაბუნებულა. დროდადრო მისი ნაღვლიანი კრუტუნნი გამოხატავს ყოველივე იმ კარგს, რაც გაგვაჩნია: შეუღლებელ მოგონებებს, გაფრენილ ახალგაზრდობას, საყვარელ, ჩვენს შემწე ადამიანებს, ოცნებებს, რომლებშიც ისეთად ვიქცევით, როგორიც სწირად არა ვართ, მაგრამ როგორიც ყოველთვის უნდა ვიყოთ, თვალებს, რომლებიც მომთხოვნელად შემოგვცქერის, ბედნიერ სიცილს, კეთილ სიტყვას, სამშობლოს სიყვარულის დიდ და წმიდა გრძნობას.

რას კრუტუნებ, ჩემო თანამგზავრო, ჩემო ზაზუნა? იმ ჩემს ამხანაგებზე ხომ არ კრუტუნებ, ყინულებში რომ ცხოვრობენ, იქნებ იმათზე, ჩემთან ერთად ხომალდით რომ მოდიან, რომელთაც მალე გამოვემშვიდობები და შესაძლოა დიდხანს ვერ შევხვდე, იქნებ ჭერ დაუწერელ სიმღერებზე კრუტუნებ, ანდა ხომალდზე, რომელიც უნდა დაეტოვოთ?..

დიახ, ხომალდზე, რომელიც უნდა დაეტოვოთ... ჩემი წიგნი ხომ არსებითად 13 აპრილის საღამოს დამთავრდა, სწორედ იმ წუთს, როცა „კოლოპერაცია“ ალექსანდრიიდან ზღვაში გავიდა.

„პობედა“ ალექსანდრიას მთადგა 13-ში, შუადღით. თვალყურს ვადევნებდით მის მოახლოებას. მოლოს იქით მოჩანდა ხომალდის დიდი, თეთრი კორპუსი, გემბანის დანაშენი, ფიჭისმაგვარ კაიუტათა

სართულები, მაღალი, მოცურავე ოტელი. რაც უფრო გვიახლოვდებოდა იგი, მით უფრო თითქოს პატარავდებოდა და ვიწროვდებოდა „კოოპერაცია“. ჩვენ ვიცოდით, რა წყალწყვისა იყო „პობედა“. ვიცოდით, რომ მისი სიჩქარე თექვსმეტი კვანძია. სწორედ ამ უქანასკნელმა — „პობედის“ სიჩქარემ — გავვიღვიძა თანაგრძნობა ჩვენი ხომალდისადმი, რაც ბერიკაცისადმი თანაგრძნობას ჰგავდა.

დღის მეორე ნახევარში გადავბარგდით „პობედაზე“. ხომალდის ეკიპაჟთან გამოთხოვება რაღაც გულგრილი გამოგვივიდა. მართალია, „კოოპერაცია“ რამდენიმე საათის შემდეგ უნდა გასულიყო ღია ზღვაში და ამით გამოწვეული ფატიფუცი ბოჭავდა ეკიპაჟს, მაგრამ... რაც არ უნდა ითქვას, ჩვენმა ხომალდმა მოახდინა გმირული რეისი, რომელიც მანძილით ეკვატორის სიგრძეს აღემატება, გადალახა ყინულები და შტორმები. დღეს იგი გიბრალტარისაკენ აიღებს კურსს, მერე გადაზიდავს ტვირთს როტერდამში, ხოლო ერთი თვის, ან თვენახევრის შემდეგ პოლონეთის ქვანახშირით დატვირთული ჩვეულებრივი გემივით მიადგება რიგას ან ლენინგრადს. ექსპედიციის მონაწილეებით სავსე „პობედას“ კი ალბათ ოდესაში შეხვდებიან გემების საყვირებით, სასულე ორკესტრის მარშებით, სიტყვებითა და ახლობელთა ხევენა-კოცნით. მაგრამ ყოველივე ეს ხომ აშკარად ჩვენმა ძველმა, ერთგულმა „კოოპერაციამ“ და მისმა ეკიპაჟმა დაიმსახურა. ჩვენ ალბათ, ოცნებით უკვე ოდესაში ვიყავით, როცა „კოოპერაციის“ ეკიპაჟი გიბრალტარზე ფიქრობდა, და ამიტომაც ვეღარ გამოვძებნეთ ის თბილი, კარგი სიტყვები, რომლებიც უნდა გვეთქვა.

და მაინც ყველას ენაზე ადგა ეს სიტყვები, იმათაც კი, ვინც ყველაზე მეტად წყევლიდა „კოოპერაციას“ ინდოეთის ოკეანეში და მას ძველთაძველ კალოშს ეძახდა. მახსოვს, როცა ინდოეთის ოკეანეში მივცურავდით, ერთ-ერთ კინოქრონიკაში გვიჩვენეს კრონშტადტთან ახლოს გემების ალალი, ეკრანზე გამოჩნდა „კოოპერაცია“. სწორედ ამ დროს ერთი დიზელით მივღონდილობდით და ამიტომაც მაყურებლებმა უსტვინეს თავიანთ „კოოპერაციას“. ახლა, როცა ეს გვაგონდება, ისეთ გუნებაზე ვდგებით, თითქოს კარგ ადამიანს ვაწყენინეთ. „კოოპერაცია“ საღამოს გაუდგა გზას; ყველამ „პობედის“ ზემო გემბანზე, საცეკვაო მოედანზე, მოვიყარეთ თავი. ჩვენს სმე-

ნამდებ ქლივს მოაღწია ნაცნობი საყვირის ნაღვლიანმა ხმამ. პასუხად ყველას ერთად აღმოგვხვდა დაუოკებელი „ვაშა“, რომელსაც ერთ-ვოდა „პობედის“ დაბალი და მკვეთრი ბანი. ჩვენ ისე გავძახოდით ჩვენს ხომალდს, როგორც გასძახიან ხოლმე გამოთხოვებისას მეგობარს, რომელიც მიუხედავად მისი სუსტი მხარეებისა, უყვართ. ჩვენ ამ „ვაშაში“ ჩავაქსოვეთ ყველა ის სიტყვა, რომელიც უნდა გვეთქვა დღისით „კოოპერაციის“ გემბანის კაიუტებში.

ჩვენ გავყურებდით ნაცნობ ხომალდს მანამ, სანამ ხმელთაშუა ზღვის წყვილიაღმა არ შთანთქა და როცა ანძის ჩირაღდნები თვალს მიეფარა, უცებ ვიგრძენი, რომ უკვე ნაკლებად მაინტერესებდა ბეარუთი, პირეი, ათენი და სტამბოლი, რომლებშიც გზად უნდა შევიბროთ. ზაზუნამ დაიწყო კრუტუნნი, იგი კრუტუნებდა სიმღერას ხომალდზე, რომელიც დაგვემშვიდობა.

ახლა კურსი ბეირუთისაკენ გვაქვს აღებული. ქარი ნორდვესტია, ფაფარაშლილი ხმელთაშუა ზღვა ყალყზე შემდგარა. მე შეეყურებლამის ბობოქარ, მოუსვენარ ზღვას, შეეყურებ, როგორ იმსხვერვეა და ცხრება ტალღები.

ჩანს, ჩემი ცხოვრების ახალი ტალღა — ჩემი ნაოსნობა — სადაცაა მხუილით ჩამოიშლება და შეიმუსრება. მაგრამ მე ძალიან მინდა გამართლდეს პოეტის სიტყვები:

ქრიან ტალღები,  
იფშენებიან გრგვინვა-გრავანით,  
ერთის საფლავი —  
მეორისთვის ხდება აკვანი!



რედაქტორი ა. ბრეგაძე  
მხატვარი თ. სამსონაძე  
მხატვ. რედაქტორი შ. დოლიძე  
ტექნიკური რ. ქვარცხავა  
კორექტორი თ. ჭიჭეიშვილი

•

ხელმოწერილია დასაბეჭდად 30/IV-65  
ქალაქის ზომა 60×84<sup>1</sup>/<sub>16</sub>  
ნაბეჭდი თაბახი 20,75  
სააღრიცხვო-სივამომცემლო თაბახი 16,19  
ტირაჟი 15000 შექვ. № 972  
ფასი 63 კაპ.

გამომცემლობა „ნაკადული“, მარჯანიშვილის ქ. № 3  
Издательство «Накадули», ул. Марджанишвили № 5  
სტამბა № 2, „ნაკადული“. თბილისი, ფერცელაძის ქ. № 5  
Типография № 2, «Накадули». Тбилиси, ул. Пурцеладзе № 5